საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული ფორუმი „ებლიტფო“
www.nplg.gov.ge/forum

ჩემი ხუთეული

ანოგზია

2008

„ჩემი ხუთეული“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოზე“ განხორციელებული ერთ–ერთი პროექტის ბეჭდური ვერსიაა.

იდეის ავტორებმა სხვადასხვა თაობის მწერლებს მივმართეთ თხოვნით, გამოექვეყნებინათ საკუთარი ხუთი ნაწარმოები „ებლიტფოზე“ გახსნილ სპეციალურ თემაში.

პროექტის განხორციელებისას ნაწარმოების შერჩევის კრიტერიუმები (გამოქვეყნების დრო, გამოქვეყნებისას არსებული განწყობა და სხვ.) ავტორებმა თავად განსაზღვრეს.

ჩვენთვის მეტად საინტერესო იყო თუ რამდენად დაემთხვოდა ფორუმელთა მოლოდინი ავტორთა არჩევანს.

საინტერესო იყო ავტორთა ასაკობრივი დიაპაზონი, პროექტის მიმდინარეობისას ფორუმელთა რაოდენობის ზრდა; ლექსებთან დაკავშირებული მკითხველთა კომენტარები. მნიშვნელოვანი იყო ლექსების თემატიკაც.

ლექსები გადმოტანილია ავტორისეული კომენტარებითა და “ღიმილაკებით”.

პროექტი ახალგახრდა პროზაიკოს ნინო თარხნიშვილის (ამელის) მინიატურებით დავამთავრეთ. ამელის მინიატურები ერთგვარი ხიდი გახდება ლიტერატურულ პროექტებს „ჩემი ხუთეული – პოეზიასა“ და „ჩემ მოთხრობას" შორის.

ვფიქრობთ, ანალოგიური პროექტის განხორციელებას 10 წლის შემდეგ... საინტერესო იქნება, წინამდებარე კრებულიდან რამდენი ლექსი გახდება მომავალი „რჩეულის“ კუთვნილება, რომელი ავტორები დარჩებიან „მოქმედ“ პოეტებად და სხვ.

დარწმუნებული ვართ, კრებული “ჩემი ხუთეული” აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს. მზად ვართ კამათის ყველა მსურველს “ებლიტფოზე” მოვუსმინოთ.

და ბოლოს, უკვე ცნობილ ავტორებს უმორჩილესად ვთხოვთ, არ დაიზარონ და შეადგინონ თავიანთი ანთოლოგია კრებულში დაბეჭდილი ლექსებიდან (უდაოდ საინტერესო იქნება გივი ალხაზიშვილის, ვაჟა ხორნაულის, ემზარ კვიტაიშვილის, მარსიანის, ლელა კოდალაშვილის, შოთა იათაშვილის, ბელა ჩეკურიშვილის, დავით ჩიხლაძის, შალვა ბაკურაძის, დალილა ბედიანიძის, ლელა სამნიაშვილის...
მიერ შედგენილი ანთოლოგიები) და მოგვაწოდონ „ებლიტფოზე“ გამოსაქვეყნებლად.

ყველაზე მეტად განმეორებად ლექსებს ცალკე კრებულად გამოვცემთ.

ნატო ინგოროყვა
გიორგი კეკელიძე
ფუნიქს
თეკლე ბატონიშვილი
რეზო გეთიაშვილი
დარეჯან სუმბაძე
მაია კილაძე
ქეთი გზირიშვილი
გიორგი გურჯი
ვასილ გულეური
გვანცა ჯობავა
ქეთი დიდიშვილი
გივი ალხაზიშვილი
მარი ჩიკვილაძე
ნინო ნიშნიანიძე
ნინო დარბაისელი
დიანა ანფიმიადი
ნინო ნადირაძე
გიო არაბული
მარიამ წიკლაური
გიორგი საჯაია
ლუბა ელიაშვილი
ნელიკო გოგუაძე
ბელა ჩეკურიშვილი
ანა გრიგი
ირმა შიოლაშვილი
ნუკრი ბერეთელი
ნინო ნეკერიშვილი
მედეა იმერლიშვილი (ინანა)
ქუთათური
ქეთი თუთბერიძე
ნინო სადღობელაშვილი
ნატა ვარადა
სოფო დათუაშვილი
რობერტ მესხი
ნათია გიორგაძე
მარსიანი
იოჰან ხევსური
დარეჯან ლომთაძე
გიორგი ბუნდოვანი
თამარ ბოლქვაძე
თამთა ირემაძე
თათათო
ირინკა
მარიკა ჟორჟოლიანი
ქეთო ნინიძე
ნიკა ჩერქეზიშვილი

.

თეა თაბაგარი
ნათია ნაცვლიშვილი
გიორგი ზანგური
გიორგი შალამბერიძე
დავით-დეფი გოგობედაშვილი
თეა თოფურია
მარიამ ხუცურაული
მაია სარიშვილი
შოთა იათაშვილი
რუსუდან კაიშაური
ალეკო ცქიტიშვილი
ვაჟა ხორნაული
შალვა ბაკურაძე
ირმა მალაციძე
ლელა სამნიაშვილი
არნოლდ გეგეჭკორი
რენუარი
გელა დაიაური
ადამ კადმონი
ანდრია
სანდრო ლორთქიფანიძე
ტუფლა
ზვიად დევდარიანი
ბექა ახალაია
ლაშა ბერაია
გივი ბერაია
ნინო გოგიაშვილი
ნათია ავსაჯანიშვილი
გია გეგია
ბექა რამიშვილი
r____o____i
დავით ფირცხალავა
სოსო ნადირაძე
დავით შემოქმედელი
გიორგი კობახიძე
ია(იკა) ქადაგიძე
სალომე დონაძე
დალილა ბედიანიძე
სოფო მიქიაშვილი
თამრი ფხაკაძე
ზურაბ რთველიაშვილი
ბესო ხვედელიძე
ემზარ კვიტაიშვილი
ნინო თარხნიშვილი (ამელი)

ნატო ინგოროყვა

ეს ‘ხუთეული” არ არის ჩემი რჩეული. მხოლოდ იმ განწყობის შედეგია, რომელ განწყობაზეც შევარჩიე და გადმოვაგზავნე. ავტორისათვის თითეული ლექსი, რაღაც ნიშნით, ყოველთვის ძვირფასია მისთვის. მიუხედავად იმისა, შესაძლოა დაწერიდან რაღაც დროის შემდეგ, სულაც არ მოსწონდეს იგი.

დედები

“...უპასუხოდ გადაყლაპეს ყველა საყვედური,
რომელიც ვუთხარით...”
ზვიად რატიანი, ”მამები”

გაზაფხული აქ ისეთივე უდანაშაულოა, როგორც ჩემი სურვილი,
ჩვენს ორმხრივ სიყვარულზე გესაუბროთ.
გადანახულ სიმართლეზე უნდა მოგიყვეთ, აქამდე რომ
ვერ გაგიმხილეთ.
რაც ამ ვიწრო სამყაროში გამოგვისტურეთ, სამუდამოდ
წაგვართვით შანსი თქვენს ბუდეში შემობრუნების.
თუმცა ვრჩებოდით ხშირად პირისპირ, არ გაგიმეტეთ, ან ვერ
გავბედეთ, ნამდვილ ამბებზე გველაპარაკა.
ვერც მაშინ, როცა სასკოლო დღიურებს თქვენს მაგივრად
ხელს ვაწერდით.
ვერც დიდობაში, როცა ვწერდით ავტობიოგრაფიას, სადაც
ვამბობოდით ”დედა”, გვინდოდა გასწვრივ ჩაგვეწერა - ყველაფერი(ა),
ფრჩხილებში (მტკივა).
ვერც დღეს, როცა თქვენს კითხვებს უხერხულ ღიმილს ვაგებებთ
პასუხად, ხელები შემოსახვევად გვიგრძელდებიან,
მაგრამ მუხლისთავებზე ვიწყობთ სასამართლო დარბაზებში
გამოფენილი სამხილებვით.
ახლა როცა თვალი გულში ჩავიბრუნეთ, ფიქრები ქვებივით აღარ
დადუმდნენ, სიმძიმე სიტყვებით გამოიხსნეს.
ჩვენი დედები, ერთადერთები, რომლებმაც გაგვაჩინეს სურვილით
და სიყვარულით.
ჩვენი დედები, რომელთაც ჰქონდათ სითამამე და
გამძლეობა სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტისათვის
და არ ჰქონდათ ფული -აბორტებისთვის.
გვაჩენდნენ ალალბედზე, არასასურველ მაგრამ გარდაუვალ
შვილებად.
ვიზრდებოდით ერთად, რაც ყოველდღე გაკლდებოდათ თქვენ,
გვემატებოდა ჩვენ და ვიზრდებოდით, მამებისა და
მამრებისაგან დაცულნი.
ვიზრდებოდით დედებად და ქალებად, ზოგჯერ საკუთარ
დედებზე ხანდაზმულებიც.

თქვენ, დაღლილები ჩვენი სიყვარულით, კეთილდღეობაზე ზრუნვით,
დგებოდით რიგში ღმერთთან და ჯიბრში ეშმაკთან, ჩვენი პირველობისთვის.
გვითვლიდით ცხოვრებას წინასწარ, ცდილობდით აგერიდებინათ მოსალოდნელი განცდების სიმძაფრე.
შვილები კი ვეხებოდით ჩვენს საიდუმლო სურვილებს ღამით, როცა თქვენ ხედავდით უშფოთველ სიზმრებს და დაღლილები ჩვენს ცხოვრებაში მოგზაურობით, უბრუნდებოდით საკუთარ თავს.
დედებს, რომლებსაც ვერასდროს გავუმხილეთ ნამდვილი ფასი ჩვენი ტკივილების და ახალი კაბების, რადგან ვიცოდით, შევაშინებდით მათი სიძვირით.
ჩვენ, საერთმანეთოდ ღიას და ერთმანეთისთვის ჩაკეტილებს, გვქონდა გასამხელი ამბები, მაგრამ ვითმენდით და გრძნობებს უკან ვიბრუნებდით.
დედები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩვენს მამებთან, უყვარდათ სხვისი მამები და საიდუმლო უფრო ახლოოვებდათ ერთმანეთთან.
ბუნებრივად გიჩნდებოდათ თმაში ჭაღარა, რომელსაც ხდიდით თვალსაჩინოს ან იღებავდით ჩვენი დარდებით.
მე გიცნობთ თქვენ, გადაღლილებს თავის მართლებით, რომ ასე ცხოვრება თქვენი კი არა, თავად ცხოვრების არჩევანია.
მე გიცნობთ თქვენ, შეშინებულებს, რომ ოჯახს, რომელშიც ცხოვრობს ოთხი სული, არ ეყოფოდა ოთხი პური, რადგან მამები წაგართვათ ომმა და ნახეთ შიმშილის შიში.
გნახეთ, როგორ მიდიოდით წინასწარ წაგებულ ომებში და ფსონს შვილებზე დებდით.
გნახეთ ტყვიის რიგში, როცა სხვა დედების შვილებმა დაგიხვრიტეს საკუთარი შვილები და თქვენ ტიროდით ორთავე დედის მაგივრად.
გნახეთ სხვა ქვეყნებში გადახვეწილი, სხვისი დედების მოსავლელად, რომ ჩვენ, როგორც ბავშვობაში, ისევ დაგვეჯერებინა, დედები არ ჭამენ დაშაქრულ მარწყვს.
როცა ქუჩაში, გადასასვლელზე, სხვის მოხუც დედას ვაშველებთ ხელს, საკუთარ სიბერეს ვუდგამთ ყავარჯენს.
ჩვენი დედები, სასიგნალო ანძებივით მარტო დარჩენილები და გაკიდულები გაშლილ სივრცეში.
დედები, რომლებსაც ავუშენეთ მოხუცთა და მიუსაფართა თავშესაფარი, უფასო სასადილოები გამოსაკვებად და სადგურები შვილების მისაბარებლად.
დედები, რომლებსაც შევატოვეთ ბავშვობის სახლი, მივუსაჯეთ მოლოდინი და მზერა ჭიშკრისკენ.
მარტოობით დაკავებულებს და გულნაჯერებს, მონატრების

ამოსაქოლად შევუძინეთ მობილური ტელეფონები
და შევიძინეთ სიმშვიდე, ანგარიშის შევსებიდან - ანგარიშის ამოწურვამდე.
მათ, ვინც გვიცნობს შიგნიდან და გარედან, მოვუნიშნეთ ერთი დღე კალენდარში და დავიჯერეთ, რომ დედის დღიდან - დედის დღემდე არ დავიფიცებდით ტყუილზე.
საოჯახო ალბომებში ვინახავთ მათ ფოტოებს, შავ -თეთრ სურათებს, ჩვენი ფერადი ბავშვობის გემოთი და ვარჩევთ, რომელ ფოტოზე გამოიყურება დედა ლამაზად, საფლავის ქვისთვის ანდა ჩარჩოსთვის.
და დედაჩემი, რომელსაც დღემდე ვერ გაუმხილე, რომ მიყვარს.
და ჩემი დედა, რომელსაც არასდროს წავაკითხებ ამ ლექსს, რადგან მასწავლა სიმართლის შეფუთვა და არგამხელა, თუკი სიმართლეს ახლდა ტკივილი.
და მეც, ისეთივე უდანაშაულო ვიქნები, როგორც ეს ლექსი, გაზაფხული და ჩემი სურვილი, დღეს ხმამაღლა ვილაპარაკო.

ვახმობ სიტყვებს

ვახმობ სიტყვებს.
(ნედლი არ გიყვარს.)
გიმზეურებ და სიმინდის მარცვლებივით
კაკალ-კაკალ გიფშვნი.
ჩემი გამხმარი სიტყვები დასაფრქვავად მოგიტანე წისქვილო,
ზოგიც ცის ფქვილად,
ზოგიც მიწის ქატოდ.
საღერღელი ამეშალა,
შენთვის გასანდობი ამბები დამიგროვდა.
უცნაური ვინმე ხარ წისქვილო,
ღერღავ და ღიღინებ.
გამოგიტყდები: ვერ ვიცხოვრე შენებურად.
”ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო”
ვერც იმას გეტყვი, რომ შენი ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავს.
ჰო, ნუ დაფრთხები, არ შეყოვნდე,
ჩემზე დარდი ღარში არ გაიჩხირო,
მოდი ჩამოვფრქვათ.
შენ წყლის მითხარი, მე მიწისას გაგანდობ.
ფქვილს გობი უცდის მოსაზელად,
ცომს ცხელი კეცი.
ვაცხოთ სიტყვები.
წაბლის ფოთოლში გავახვიოთ სურნელებისთვის.
ცხელ-ცხელი დავტეხოთ და ჩამოვარიგოთ.
დედა სულს შეგიბერავს,
მამა დაგაგემოვნებს,
ბებო ცოცხალი რომ იყოს, პირჯვარს გადაგწერდა
და ყველა ლუკმას ხელიდან რომ დამცვივდებოდა,
ობლის იყოსო. მიაყოლებდა.
მე ნება- ნება შეგექცევი, თან მეღიმება,
ვიცი ისევ ამეშლება საღერღელი.
ისევ გავახმობ სიტყვებს,
(ნედლი არ გიყვარს,)
ისევ მოგიტან ჩამოსაფქვავად,
ზოგსაც მიწის ქატოდ,
ზოგსაც ცის ფქვილად,
წისქვილო...

სახლი

ეს სახლი, დაღლილი ერთ ადგილზე დგომით,
დაღლილი ლოდინით, სიკვდილმისჯილების აშენებულია.
ფანჯრებზე გისოსებად შემოსაღებული სიმშვიდე,
რომ აღარაფრის უნდა გეშინოდეს- ილუზიაა,
უმი სურვილებით ნაკვები,
სინედლე რომ შეინარჩუნოს.

ამ სახლში, ცხოვრობს ისტორია, რომელიც
აღარ გახსოვს საიდან დაიწყო, როდის მოვიდა
თუ თვითონვე გამოიგონე, რადგან მას,
უყვები მხოლოდ საკუთარ თავს,
დღემდე იგი არავისთვის გაგიმხელია.

ამ სახლში, შენი ხმა ისე ისმის,
თითქოს იმ ქვეყნიდან საუბრობ, სადაც ზამთარია,
აქ კი ზაფხული, ხოლო ბგერებს ისეთი ჟღერადობა აქვთ,
რომ მეზობელ ოთახში ხარ.
კარადში დამალული ბავშვივით არ გცემ ხმას,
გულისცემას ვუთვლი სახლს.

ამ სახლში, არაფერი მოგაქვს,
მხოლოდ მოგონებები, ის რისგანაც შედგები.
მხოლოდ ხსოვნა, რომელსაც არასდროს უღალატებ.
აღარ დარდობ ვინ შეავსებს ამ ოთახს,
როცა აღარ იქნები, აქ და ამ ქვეყანად.

ამ სახლიდან მიდიხარ სადღაც, გაურკვეველში,
სადაც შენი აჩრდილი ყოველთვის წინ გისწრებს
და ცხოვრებას, რომელსაც ხსნიდი განმარტებებად,
დროს, რომელსაც ასწრებდი და დიდობას ჩქარობდი,
დარჩა როგორც სადგური, ბოლო მგზავრით დაღლილი,
და სიკვდილით დაღლილი,
და ვიდრე დანგრეულა,
დაანგრიო უნდა.

მეორედ დაბადება

ფორუყ ფაროხზადეს

ფორუყ, როცა შენს სიყვარულს, ბავშვურ თვალებს, კანონის თალხი ნაჭრით უხვევდნენ,
ჩემი სიკვდილი, დედის საშოში ჩემს სიცოცხლეზე უფრო ადრე იბადებოდა.
დედა ცდილობდა სხეული ჩემგან გამოეთავისუფლებინა და ამ ვიწრო სამყაროსთვის მიმეტებდა.
ჩემი დედაც გზა და ფარდაგია, მთელი ცხოვრებით, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან დაფენილი.
ფორუყ, მე ის ბავშვი ვარ, წვიმიან ამინდში უფსკრულში რომ გადაჰყევი და სიცოცხლედ ამოიოხრე.
გახსოვს, მითხარი, ზნეობა ისეთი მაღალია, ვერ იქნებაო ადამიანი.
ვერ გედავები, მეც დამყოლი ვარ სისუსტეებზე და ცხოვრებისთვის ძალებს ვიკრებ.
გზები ჩემთანაც გზაჯვარედინობს და მეც ვფიქრდები, ნეტავი საით?
თუმც, არ ვჩერდები, უნდა ვიარო, სიკვდილის შემდეგ ჩემი ფოტო შენს ფოტოს დარად,
ჩემს ქვეყანაშიც "უჩადროდ" რომ გამოჰფინონ ცოდვის შვილებმა.
ფორუყ, შენი სახელი შენსავ ენაზე "სინათლეს" ნიშნავს, ჩემი – მშობლიურს,
და განაჩენი "ლექსებისათვის განქორწინება", ხელისგულებზე დამღად დამედო.
მეც ჩემს სარკმელთან ჩამომჯდარმა საკუთარ თავს დავუწყე ძებნა,
და დავინახე ფანჯარასა და მზერას შორის მანძილი როგორ იზრდებოდა,
მერე მოვიდნენ და დამილაგდნენ სტრიქონებად სიტყვები, რომლებიც მჭირდებოდა.
ფორუყ, როგორ მეგონა, ადამის მოდგმა სუნთქვით ერთმანეთს ათბობსმეთქი,
ვაი და, თურმე, ვაბინძურებთ ბედნიერებას ღვთისმოსაობით.
იცი, ვგრძნობ ვშრები წყალივით საკუთარ გუბეში
და დედამიწას, რომელიც ჩემზე უფრო მარტოსულია,
რითაც მოვედი, მეც იმადვე ჩავუბრუნდები.
ფორუყ, "ამ მარტოობისხელა ოთახში, ჩემი მარტოობისხელა გული", შენით დაორსულდა
და აკაციამ, ყვავილები შენს თვალებად რომ გამოისხა, მე ლექსად გიშვი.

ჭიშკარი

აქ ყველა სიტყვა გახსნილია
ვ
ე
რ
ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ
ი
კ
ა
ლ

უ
რ
ა
დ
და აღარაა დაფარული არცერთი ასო.
სიტყვები ძებნით გადაღლილი,
დრო და მნიშვნელობა შემოცვეთილი,
დაისაკუთრა კროსვორდის უჯრამ.
ხმოვნებს და თანხმოვნებს
ქაღალდის გემო შერჩათ ენაზე.
კალმის წვერით გადაჩხაპნილებს
ტუჩის კუთხიდან სისხლი უჟონავთ.
ისინი, ჩვენს ნებას დამორჩილებულნი,
დაირთავდნენ სასვენ ნიშნებს
და სიტყვის დერეფნებში ,
ვიდრე დგებოდა ჯერი წერტილის,
სწორხაზოვანი ბგერების გზაზე,
შეგვახვედრებდა სიტყვას - ჭ ი შ კ ა რ ი ,
რომელიც აღარ იღებოდა უკვე თავისით.
აღარც საგნები იმახსოვრებდნენ მზერის სიხშირეს.
ჩრდილად აწვება წაშლილი სიტყვა მიწის კიდურებს.
აწმყო გაკოტრდა. დიდი სოფლის ამ დამღლელ გზაზე
აბგა ლაგდება, საფლავს უნდა თავსასთუმალი.
კედლის საათებს ჩაენაცვლა დრო - ელექტრონის,
ის წრეზე ბრუნავს, გული კი მაინც ჩვენს რიტმში უცემს
და დალაგებულ სიმშვიდეში სამყაროს წესრიგს
მოუსვენარი, ხშირი სუნთქვით ხარკს გადაუხდი.

ჯაჭვს ნაბიჯების ანუ იმ გზას, რომელზეც დგახარ
სიხარულის ძნელად მოსარევ მოლოდინებით
აჩუქებ ქაოსს, აურევ რიტმს, ვნებას შეაძლევ,
მოდის ცაც ახლოს, მიწაც აღარ გემორჩილება
და შენს თავნება სურვილებში აღარაა ფრენა საშიში.

გიორგი კეკელიძე

რუ

სიცოცხლე №3

მე ცარიელი ოთახი ვარ. . .
სული, რომელიც აქ ცხოვრობდა,
სტუმრად წავიდა,
მერე წვიმდა
და
უკან ვეღარ მოაგნო გზები -
ეს ტყუილია, მშობლებისთვის რომ მოვიგონე,
ჩემს მშობლებს ძინავთ
და
სიმართლეს გაგიმხელთ მალე:
მე ცარიელი ოთახი ვარ,
სული, რომელიც აქ ცხოვრობდა,
წავიდა ჩემგან,
შინ, კარადაში სიზმრის ცოტა ნამცეცი დარჩა
და
ცრემლის ჩაი.
რა ხანია ჩაი გაცივდა.
მე ცარიელი ოთახი ვარ.
ქუთუთოს ფარდა გრძელია
და
სამყაროს ყოფნის,
მაგრამ კედლების შავად ღებვას ჯერ არ ვაპირებ
და
ჩემმა სულმა იმიტომაც დატოვა ბინა,

რომ მხოლოდ ერთი ოთახი ვარ

და
ისე მცირე –ორი სული ვერ დაეტევა
და
ჩემმა სულმა ფანჯარასთან დაკიდა მზერა,
ეს გასაღები შენთვისაა,
შენ შეგიძლია მოხვიდე
და
მშვიდად იცხოვრო.

პირველი თურქული ყავა რუს

რიზე

,,მომიკაკუნე კარზე,
მთხოვე მწიკვი მარილი”
დიანა ანფიმიადი

,,დავაკაკუნე და ძალიან, ძალიან ყრუ ხმა გამოსცა.
უფრო ღრმად შევაცურე ძალაყინი”
რობერტ პენ უორენი

როცა სამყაროს,
ანუ შენს და ჩემს სხეულს წერდა,
თვალს – ყველაზე გრძელ და უცხო წინადადებას
წამწამები დაუსვა ბრჭყალად,
ანუ გვითხრა, რომ ჩვენი სევდა პირობითია.
ჰო,
მალე ღმერთი როცა
თვალის ჭრელ და ოკრო-ბოკროდ
მიმოფანტულ
აბზაცებს წაშლის
და მხოლო ბრჭყალებს დამიტოვებს ერთმანეთთან ძალიან ახლოს,
სიზმრად მოგწერ:
ხშირად ვწევარ და თვალის ხაზზე სიყვებს ვანაცვლებ
(რა ვქნა, ეს ხაზი შენს ფურცელზე წერია ისევ
და ისევ იქით ვიყურები, საიდანაც თვალი მეწვება)
სავსე ბოთლივით ჩახუტებულ ნაცნობ ღამეებს,

ხელს მანამ ვუჭერ, სანამდე არ შემომეფშვნება –
ჰო,
ეგებ დილის ცივმა წყალმა გამომაფხიზლოს –
ჰო,
ვიცი ისევ სიცრუეა ეს ძველი ეგებ
და თუ ჩათქმული ოცნებები თავს მავიწყებენ,
ეგებ ბავშვობის ეს შიშები მაინც ამიხდეს
-და აღარასდროს არ ვიძინებ
და საღამოთი ყვითელ საღეჭ რეზინებს ვყლაპავ,
რომ ავსულები მოვიდნენ და სული მომპარონ
და პირიდან სიკვდილისას
სულის ნაცვლად
თეთრი ნაძვი ამომოვიდეს.

ორდუ

ნათია ნაცვლიშვილს
დაბადების დღისთვის და არა მარტო
ასე გვეგონა –ჩვენი ეზოს ბაბუაწვერებს –
მიწა ბალახით ნაჭრის უშნო ბუშტებს ბერავდა
და ჩვენი ძველი სახლის თვალი – ცივი და სველი
მხოლოდ თავისთვის ისიზმრებდა თებერვლის ავდარს.
და ჩვენ წავედით უფრო ადრე, გვეგონა ვიდრე
და გამოვტოვეთ საუზმისთვის შემთბარი წლები
და მომავლისკენ ფეხს და ღიმილს თანაბრად ვითრევთ,
რახან გვითხრეს, რომ სიკვდილამდე გარდავიცვლებით.
და ვთქვით –მძინარე მდინარეებს მიაგავს გზები
და ეს სახლები – სანაპიროს თბილი ქვებია
და რომ ასფალტზე მოწითალო გუბურა დგება
ღამით თვითმკვლელი ფანჯრები რომ ენარცხებიან.
და სადღაც დამრჩი, სადაც დარდის ბევრია სოკო,
სოკოებს შენვე მოუყვები ზაფხულის წვიმებს
და მაკრატელი – მხრებზე თმები რომ დაიოკო
და სამყურების მშრალ ხიდებზე აგცდეს სიმძიმე.
და დაგიბარე: ,,რახან ჩვენი წესია სევდა,
გადააყოლე გული შენთვის შეკერილ დარებს,
გადააყოლე გული თამაშს დამთხვეულ დებთან
და საღამოთი საბნად დაღლა გადაიფარე.
გადააყოლე გული ნაცნობ დღეებთან ცეკვას
და გამოგონილ ორთვალებით უკან ხეტიალს,
ლამაზ სარკეებს – თუნდაც სხვისი თვალები ერქვათ
და მზეს, წამწამის ორღობეში თუ დაგეტია.”
შენ იცინოდი და სიცილზე ადრე მითხარი:
,,მე ვიცი – ჩვენი მისასვლელი სახლი ახლოა”
და სისხლი, ცივი ტკივილების ნაბანი წყალი,
გადააქციე
და
გული წყალს გადააყოლე.

გამოყოლილი გაკვეთილი

დავხუჭე – ცრემლები ჩავყლაპე,
ტუჩი მოვიკვნიტე – სისხლი წამსკდა”
ტიტინა გიგლას მამა

მე ისევ აქ ვარ,
სადაც დამტოვეს,
კუთხეში, მარტო
და წიგნით ხელში.
უკვე წლებია,
ჩემი დები და ჩემი ძმები
სადღაც წავიდნენ –
ბეჯითები, ბედნიერები,
მე კი ჯერ გვერდიც ვერ წავიკითხე.
სულ ასე იყო –
ტუჩები დავხუჭე – სიტყვები ჩავყლაპე,
ქუთუთო მოვიკვნიტე – ცრემელები წამსკდა.
(და წიგნიც ალბათ ამ კედლისთვის წაღმა მიჭირავს,
სიტყვებსაც ალბათ დასავლეთის ქარისკენ ვმარცვლავ)
მე ისევ აქ ვარ,

მაგრამ ჩემი ბრალი არ არის –
თუკი მშობლები გაეყარნენ ათასი წლის წინ
და ზარმაცი ძიძა მივლიდა
და დედაჩემი,
როცა მზეა, როგორც ობობა,
გამომივლის და შემომძახებს:
,,გამო, შემეთამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს,
გამო, შემეთამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს.”

წიგნი მოწერილი შენდამი პირველი

ირონის და იას ეროტიული საკითხავი

„ამირან დარეჯანის ძე"
შ. რუსთაველი
„და სიყვარულის ასე მოთმენა"
გ.ტაბიძე

-ა-

და
არვინ ვიცით, ვინ შეგვყარა (და რას გაგვყარა),
ვინ დაგვაბრალა ჯიბეებში დამხრჩვალი ფრთები,
ვინ დაგვაძალა ერთნაირი გვეყოს სამხარი
და სამხარს მერე წამწამების ფიჩხით რომ ვთბებით.

-ბ-

და
ერთხელ ყველა ისე ახლოს მომეყრდნეთ სახით,
რომ გეფიცებით ვეღარცერთი ვეღარ გიცანით
და სიმარტოვემ დამაძალა სიცოცხლის ტახტი -
შენი სახლიდან მონარჩენი თხელი ფიცარი.

-გ-

და
ვჭრი საბძლიდან ენებივით დაკიდულ თოკებს,
როგორც მაჯებზე შემოხვეულ სისხლის მავთულებს,

ფანჯრებს ვუმუწავ ჭრელ სართულებს და მზეს ვიოკებ
და სიკვდილისკენ გადაკიდულ ბილიკს ვართულებ.

-დ-

და
რახან დავრჩი, ჩემს ყანებში დათესეს გვალვა
(ალბათ ელიებს მოუმრავლეს ღამის ქოთნები)
და მე მომიხდა ყანებისთვის ცრემლების სწავლა
და ზაფხულების სიყვარულზე უფრო მოთმენა.

-ე-

და
ცხელს, სიზმრების სარდაფებში ვიხდიდით ჰაერს,
ვიცვლიდით ჰაერს და ვერასდროს ვიცმევდით წაღმა
და ამ ტანსაცმლით ცხადი წლები ისე ვიარეთ,
ტუჩზე ღიმილი ბალახივით რომ შემოგვახმა.

-ვ-

და
და ძმა იყო მზე და მთვარე, სანამ გვეძინა
თუ ბავშვობაა ტკივილიდან ნაბიჯი უკან
და ღმერთიც იყო უსუსური პატარა წინათ,
რაღაც ეტკინა და ჩემს ნეკნებს მოუკაკუნა:

-ზ-

და
გაიზარდა და დამშვენდა ჩემით და შენით
და სიყრმეს კეფით აკვირდება ჩვენი მიწიდან
და ღმერთო ჩემო, ღმერთს ცრემლები საოცრად შვენის
და ღმერთს საოცრად არ უხდება, როცა იცინის.

-თ-

და
წუხელ ვახშმად ჭიანჭველის ბულიონს ვჭამდი
და გვიანი მზით მოტყუებულ ჩრდილებს ვისხამდი
და ვბერდებოდი – ანუ ხელებს ვაწვდენდი ცამდი
და თვალს ხელივით ვაცეცებდი ნაცნობ მიწაზე.

-ი-

და
ვჭამდი ტყეებს (სადღაც გემოდ მეცნო სამოთხე)
ტყეში ფუღუროს, ფუღუროში გახრწნილ ავსულებს
და თქვეს ღმერთებმა, რომ დამჯერე შვილი გამოვდექ
და დანაპირებს ზედმიწევნით ზუსტად ვასრულებ.

-კ-

და
მოვატყუე ყველა ღმერთი – დათვლად ულევი
და სანამ ერთად მოისურვეს სული და ვალი –
გუშღამე – ვიდრე ამ უცხო ლექსს დავასრულებდი,
ჭკუა ვიხმარე და უჩუმრად გარდავიცვალე.

-ლ-

და
მიაწერონ მერე სხვათა – ვინ ვის უქია,
რუსთველი – რუსთველს, სარგის – სარგისს, თუ ხონელ –ხონელს
და თქვან რომ ლექსი სისხლია და სიჭაბუკეა
ან თქვან, რომ მუზის ქარავნები სიბრძნისას მოვლენ.

-მ-

მე
კი თქვენს ახლოს, თქვენგან ნაქებ კაფეში ვზივარ
და გეახლებით ოდნავ მწარე ყავისფერ ყავას
და ვეღარაფრით ვერ მივიღებ თქვენგან სამძიმარს
ანუ მზე ადგა, მზე დადგა და მზე მალე ჩავა.

-ნ-

მზე მარტივია, წითელია და ოდნავ მრგვალი ,
მზე დაღლილია, როგორც შენი ხელი მარცხენა,
როცა პასუხს მწერ და თვალებმა სცადეს სიმთვრალე
და ცოდვა სცადეს და ცოდვისგან ცოტა დარცხვენა.

FUNIX

ქრისენტე

ქრისენტე!
ხტიან თავთავები ქრისენტე -
სოფელია ცხელი
სავალია ბევრი -
ვარდისფერი ქუსლები დაგესვრება
მუხლებს ამოყევი ქრისენტე
ილოცე ჯვარდაწერილო!
-ჩაწექი გუდრონში ქრისენტე
როდის ვუცადო შემოდგომას
გაიხსენე ოაზისები და დაბმული თევზები -

კაცისთვალება
შენი არც ერთია
გაიხსენე ფანჯრიანი შენი უბე ქრისენტე
და შეუმდგარი სალოცავები
გაიხსენე
პირჩაჭრილი თოჯინები ქრისენტე - შენ რომ ხარ მაინც
ღრმა ჭრილობებით
მუცელში რძეჩაღვრილო
-დაგლევ მაინც ქრისენტე-იქედან
ამინდის ქალო
თვის ქალო
დღის ქალო
გიხდებოდა გუდრონის ხაზები ტანზე
გიხდებოდა უძუძუობა
ნიჟარიდან გადმოღვრილო...
-სად ხარ ქრისენტე!
სად აშენებ ბუდეს კოვზებით
ჩამომესხი უჯრებად
ფეხებში გამეპარე ლურჯად
გაქცეულო
- სად მიდიხარ ქრისენტე
ვინ გიჭედებს იატაკს და გიხსნის პირს
ვინაა შენი მეუღლე
ბამბებში ჩაგაწვინო ქრისენტე
არ უნდა მოგეკარო
ახალი თვე მოდის - გაიხარე
გახეთქე ინდაურის ჩიყვები!-არ გეტკინება
მგლები გადავყლაპე შენი - მგლები ქრისენტე
- უმტროდ გტოვებ და მივდივარ!

ჩალის ცხენები

- ბგერით გაჭედილ ჰაერს-მოძრაობასა და მანერებს -
ჩვეულებასა და ხასიათს იქით-
ყვითელ აკვარიუმში ირწევიან
- ჩალის ცხენები
უხერხული
გაურკვეველი მოძრაობებით,
ჩვენივე სითხით, ნერწყვით შექმნილნი
მზეების დამიწებისას...
ცეცხლამდე.
გახუნებული თმებით, ამწვარი ზურგებით
და ტუჩებით ,
უფორმოდ შედუღებული .
გაღვივებას ამცდარი.
ჭუჭრუტანებში...
უბეებში...
ჩატანებულ-
ჩახუტებული -
-ოქროსფერი ჩალის ცხენები
ეწებებიან
იფრცქვნებიან
იქერცლებიან
იკოცნებინ
იღგზნებიან...
ჩვენს მოძრაობას იმეორებენ
აგრძელებენ
გვემსგავსებიან .
და გველოდებიან
და გვეძახიან..
-ჩალის ცხენები!
ან
უბრალოდ გვიყურებენ დრომდე
- სანამ აგვცდებიან, სანამ დაგვავიწყდება.
ისინი
გადმოდიან
იღვრებიან

თეთრი თვალებიდან
ისინი
მზეს - ჭუჭრუტანებში აწვენენ
სუნთქვის გახშირებამდე
რამოდენიმეჯერ
რამოდენიმეჯერ
რამოდენიმეჯერ
მაჯის რიტმით
დროის გადაწევით
კვნესის შიშით, დასაბადებლად, სიცოცხლით-
უსირცხვილო მარადისობისთვის
ჩალის ცხენები..

ბატონები

ბატონი მნახეო
ბატონად გნახეო
პატარა დედოფალაო
ბატონებს გამიკვირდაო
ვინ გამოგგზავნაო ასეთი და ისეთიო
ფარი ხარ ჩემი თუ ხმალიო
სახლი თუ კედელიო
ჭერი თუ გზაო
საფიხვნოს ჩამოვიარეო
ჩემად გიგულეო
ორგული განგიდევნეო
შარბათი გასვიო
გულზე დაგასვიო.
ჩემი დღეები დაფნებიაო
კუბოს კარამდე გაგყვებიანო
უკან არ მოიხედავენო
წითელი კაბა ჩაგაცვი კოჭებიანიო
ქოლგა დაგხურე კოპლებიანიო
არ მოგეკარო შეგცივდებიანო
დარდი ბევრი მაქვს შეგეშინდებიანო
მე რა ვიცი მოფოფინებაო
ნაზად გეხები გეყოფინებაო
ხელს არ შემატყყდეს ფაიფურებიო
არ დაგაორთქლო დაიბურებიო.

ჩემად რა ვიცი გული გულიაო
აი ბატონები შეშინებულიაო
აი ბატონები დაკავებულიაო
ვიღაცამ ბატკანი დაუკლაო
ვიღაცამ ხარი დაუკლაო
შავები გავხადე შიგნით რა არისო.
შიგნით შენა ხარო შენა ვინა ხარო
ასეთი და ისეთიო ჩემი თუ შენიო
თუ ჩემი საფოფინოო თუ შენი საზოზინოო
მოდი ბუმბული დავიგოთო
მოდი ჩეროში დავიგოთო
მოდი ცოტათი გავიგოთო
რა ფერიაო რა გველიანო
რა სიშორეაო რა სიღრმეაო

და დავწვეთო წვეთად ვიდინოთ ვიქცეთო.
ჩემო ბატონოო.ჩემო ბატონოო
მეო ქალი ვარო ერთი ქალიო
მტლად დაგედებიო ზედ გადაგყვებიო
ოღონდ მიმიხვდი ბატონებიანსო და მომარჩინეო
ჩემო ბატონოო ჩემო ბატონოო.
ბატონი მნახეო ბატონად გნახეო
გამიბატონდიო გაგიბატონდიო
და რა ძალააო რა შარააო და
რა შნოაო თუ არ დამემართეო
თუ არ დაგემართეო თუ არ დავემართეთო
და თუ არ დავმარცხდითო
ლოცულობაშიო
ამინ!

საქანელა

მოდი
წადი
დღეს ხომ ჩვეულებრივი ამინდია
წვიმს
არა აპირებს
მოდი
აი შენ თბილი კამფეტები
წადი
მოდი დელფინებს დაგიჭერ
მოდი
დელფინივით ვიყვირებ
მოდი აი შენ წითელი ბუშტი
ანდა წითელი ბუშტი მე ვიქნები
შემოძვერი ერთად ვიხტუნოთ
მოდი
მოდი მე ვენერა ვიქნები და შენ ჩემი მხატვარი
ან შენ ცეზარი და მე დამნაშავე
მოდი
მოდი მონადირე ვიქნები
არა
მონადირე შენ იყავი და
მე სამი კურდღელი
წადი
მოდი ტელევიზორი ვიქნები და შენ გაჩვენებ
წადი
მოდი
მე ხიდი ვიქნები და შენ ხიდზე კაცი
ან
კაცი და ხიდი შენ იყავი და მე მდინარე
არა
მოდი ხიდზე კაცი ხიდი და მდინარე ორივე ვიყოთ
წადი
მოდი
ბეჭებზე დამადექი ხელები გაშალე და...
მოდი
წადი
მე დედაიწასავით დავმგვრალდები
და თან გამოგყვები
წადი
მოდი
დღეს ხომ საერთო ამინდია
წვიმს
არა აპირებს .

ზამთარი

ჩემო დიდო ზამთარია
ნანა!
დიდია,
დოდიო ნანა
ცივია ზამთარი -
განა,
ზამთარი.
ჩემო დიდო ზამთარია
ნანა!
ჩუო ნანა ,
სუო ნანა ,
ვითომ- ვითომ
ნანა.
რამხელაა ეს ოხერი განა,
აგერ გულზე დამათოვა განა,
ჩუ ნანა.
აბა როგორ მოგიმღერო ნანა ,
გენაცვალე ნანა.
ჩემი ლექსი ზრაპარია განა,
განა შენთვის ვინახავდი,
ნანა.
არა ნანა.
ზამთარია.
ოღონდ შენ არ შეგეშინდეს ნანა ,
ჩუ ნანა,
ოღონდ შენ არ შემიცივდე ნანა,
რაო ნანა,
ვითო ვითომ
ზამთარია განა.
აგერ როგორ დაათოვა ნანა.
მე და შენი სიყვარული
თანა
თოვს ნანა.
ზამთარია.
ჩუ ნანა
სუ ნანა
ვერსად რომ ვერ მოგიძებნე,

ნანა!

მიწა პეშვით შევჭამეო
განა.

დამაბერა ამ ზამთარმა,
ნანა
გამაგიჟა ამ ზამთარმა ნანა,
ჰო ნანა
ჩუ ნანა
მოდი უნდა შევაშინო,
ნანა
გავაქციო ჯანდაბაში,
განა
ვითომ ვითომ
ზამთარია განა,
მუხლებში რომ ჩაგივარდე
განა,
გვიანია სიყვარული...
ვაი როგორ მომენატრე,
განა
ჩემო ნანა
ვაი ძუძუები მტკივა ნანა,
ხელები გაქ ჩარჩენილი ,
განა
არა,ესეც ზამთარია ნანა
ჰო ნანა
ჩემო დიდო
ზამთარია
ნანა.
დიდია
დიდი თანა.
აგერ გულზე დაგვათოვა
განა,
მე და შენი სიყვარული
ნანა.
ჩუ ნანა
სუ ნანა
ვითომ-ვითომ
ნანა
ასე
ზამთარი.

.....

წლებს მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის რადგან ისედაც არეულია წლები და მოვლენები ჩემს თავში პირადად.
რაც შეეხება ამ ლექსებს იმიტომ გამოვარჩიე რომ თოთოეული მათგანი რომელიმე ცალკეული სტილის-(ჩემივე)ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.კიდევ მაქვს ორი განსხვავებული მიმართულება მაგრამ აქ ხუთი იყო მიმითებული და ასეც მოვიქეცი.
რაც შეეხება მეცნიერულ მსჯელობას-თვალებს ვუჭუტავ რადგან არც ერთი და არც მეორე ამისთვის არ უნდა დაიხარჯოს
მგონია
და რადგან მომეცა საშუალება ამორჩევისა
ეს ლექსები იმიტომ ამოვარჩიე,რომ-განა იმიტომ რომ სხვაზე უკეთესია ან მიყვარს მხოლოდ-ეტაპობრივად ასახავს ჩემ თემებს - თუ საერთოდ ისინი არსებობენ და ჩემთან არიან
მადლობა ასეთი შემოთავაზებისთვის

თეკლე ბატონიშვილი

დე, იცი...

დე, იცი...
ღამით ცრემლი მომდის ხანდახან
და გარინდებულ სიმარტოვეს ტუჩებზე ვითლი,
ჩემი ცხოვრების ის ეტაპი უკვე დამთავრდა
და ყოველ დილით, მაკიაჟით მე ფერებს ვიცვლი.
დე, იცი...
მე მაჩუქეს, აპრილის კაბა
და არათითზე წამომაცვეს მბზინავი რგოლი,
მე გავიზარდე თუ ის კაბა დაპატარავდა
არ ვიცი,
მაგრამ მის ნაფლეთებს ყოველდღე ვწონი.
დე, იცი...
მტკივა,სისხლისაგან დაცლილი გული,
ლიბრგადაკრული თვალის ჭრილით ვეღარას ვხედავ,
საწოლზე კუტი ლავაშივით პირქვე გართხმული
რიჟრაჟით, ისეც გახუნებულ ოცნებებს ვღებავ.
დე, იცი...
აღარ მინდა დავხუჭო თვალი,
აღარც ჯიუტი შეგრძნებების მოგერიება,
უნდა გამიგო, ზოგჯერ უნდა გავიღო ხარკი
რისთვისაც ხშირად ზედმეტია მონანიება.
დე, იცი...
დასაწყისი შენა ხარ მხოლოდ
და შენი სუნთქვა ყოველ ღამით, ჩემს ატირებას
ნასკვავს ნერვებად და უაზრო ცხოვრების ბოლოს
მე...
გათელილი ბავშვობისთვის გთხოვ პატიებას.
დე, იცი...
გაზაფხული მოვიდა მგონი...

გესმის, ისვრიან...

გესმის, ისვრიან...
მზე დაიხრჩო ლურჯ ჰორიზონტზე,
შავი ფიქრები შეეყარა დატალღულ ნაპირს,
ამ უცნაურად ქვადქცეული ქალაქის ფონზე
ნიჟარებს დაცლილ ვაზნებივით სამადლოდ დავყრი,
სიცარიელეს ტოგასავით ტანთ რომ იზომებს
ვშლი გონებიდან,
ომს, რომელიც გამოვიგონე.

მზეო, სადა ხარ,
აფხაზეთი გავკიდე თოკზე,
სველია ჯერაც, შეუმშრალე გთხოვ მას ცრემლები,
კადრები ჩემი წარსულიდან ხმაურით მომდევს
ფერად სარჭებში მომწყვდეულან, როგორც მძევლები
და სარეცხივით გადაფენილს დრო, რომ აქვავებს
შეგრძნებებია
ნაწილებად მე რომ დამშალეს.

გესმის ისვრიან,
მე კი ძილი ვისწავლე ღამით,
საიდან მოხველ
საით მიხვალ
რა გზას მიჰყვები?!
ვინ ვარ!
როდემდე დავუმალო ფურცელს სიტყვები.
გათენებულაა...
სევდიანი ნამგალა მთვარის
პროფილს გვერდულად ირეკლავენ ურჩი ტალღები,
ხვეული თმებით
შენს რუქაზე დავიტალღები.

გესმის ომია,
მე გამყიდეს ოცდაათ ვერცხლად,
(ისე ახლოს ვარ ახლა ღმერთთან, როგორც არასდროს ?!)
ჟანდარმერიავ!
გასწორდი და გახსენი ცეცხლი,
მაინც ხვალ დილით მე სირცხვილის გრძნობა დამახრჩობს,
რომ, კიდევ ერთხელ დავამცირე ჩემი ცხოვრება,
ტუჩის დამალვით
კოცნას ზღვას, რომ ემათხოვრება.

გესმის ისვრიან...
მზე დაიხრჩო ლურჯ ჰორიზონტზე...

მე და დემონებმა

წუთში ჩაძირულა ფიქრის ქარიშხალი,
ჩემი უძილობაც ამ წუთს ემონება,
მგონი, ცეცხლის ალი ისე გავიყავით,
როგორც დემონებმა...

მკვიდრეობა

ფიქრად დაკლაკნილა ჩემი სიმარტოვე,
როგორც უსასრულო გზები ლაბირინთად,
საწუთრო, დროებით სამკვიდროდ მათხოვეს,
მაშინ ეს სიტყვები რომ არ გამერითმა.
ალაზნის ხეობა მუჭებით დავცალე,
მზერა ვაბანავე სველი კალმახებით,
წლები,
გულგრილობის ნიღბით რომ წავშალე
სახეში მხვდებოდნენ, როგორც მათრახები.
ბევრს არას ვითხოვდი, მაგრამ ის მცირედი
სად იყო, როცა ქარებს გავეკიდე,
როცა, ყოველ ღამე სინდისს ვაძინებდი
ფასეულობათა უღირსი მემკვიდრე.
ნესტით ობმომდგარი ძველი კიდობანი,
თვითონ დახავსულმა ვძერწე აჩრდილებად,
მუხაც მე გავჩეხე, ის, ჩემი დარგული,
მთელი ბავშვობა რომ ღიმილს მაჩრდილებდა.
ვბორგავ!
ისტორიას ლანდად მომწყვდეული,
რუხი ისტერიის გაბმულ ტყვეობაში,
თითქოს გაზაფხული ჩემთვის მოწვეული
უცხო სტუმარივით იდგა “დღეობაში”.
ჰოდა მე ვესროლე!
მარტი დავუტბორე,
ტყვიას გაყოლილი დენთის მდუღარებით,
ცხელი ანაბეჭდი სისხლად დავუტოვე,
შუბლზე მიბჯენილი ყაყაჩოს თვალებით.
ჩემი სამკვიდროა შავი აკლდამები,
უძვლო საფლავების ცივი მდუმარება,
ნეტავ ამ შეგრძნებებს როგორ ვაკავებდი
თურმე, შემძლებია თავის შეკავება.
წუთი გამიქვავდა ჩემი წარულიდან,
როგორც მატეანეს სეტყვად დავეკიდე,
ვძირკვავ!
ღრმადფესვგადგმულ გრძნობებს ამ სულიდან
ფასეულობათა უღირსი მემკვიდრე.

გაქცევა

საშველად ოაზისს დავეძებ თვალებით,
შიშველი ვიმუხლებ ქვიშების მინდორთან,
რატომ არ ჩააცვით სამყაროს შავები,
როცა მზის გარეშე ცხოვრება მინდოდა.
ხნულები ვერ გამყავს,
აქ სულ ქვიშებია,
განთიადს სახე აქვს ნაფრესკალ ქალწულის,
ჩემი სტრიქონებიც აქვე შიშვლდებიან
წყურვილის შიმშილის მზის ხელში დაწურვით.
შვიდგზის გიპოვე და შვიდგზის კვლავ დაგკარგე,
მშრალი სინანული მითხარ სად დავტოვო,
ახლა შუბისტარზე საწუთრო ავაგე
ოქროს ნაყოფივით მზეს რომ დავატოლო.
გახსოვს?!
ის ლექსები ჩემი დანაღმული,
ღამით რომ ვერაფრით ვიწვენდი მკლავებზე,
როგორ მენატრება მიწა დანამული,
ახლა გაგრილებას ტუჩებით დავეძებ.
გაჩერდა კადრი!
ეს მართლა გესლია,
სფინქსივით ცივი და სფინქსივით მდუმარე,
თუ მხოლოდ ზურმუხტის ნაპერწკლებს მესვრიან,
დროს სტალაქტიდებით რომ გადაუარეს.
ვიცი გადარჩენა აქ ძალზე ძნელია,
შვიდგზის მიყვარდი და შვიდგზის გიღალატე,
მხოლოდ უდაბნოა და არსად მელიან
და მხოლოდ თვალები გულს, რომ მიმალავდნენ.
ნერწყვით მისველდება შიშველი მუცელი,
სხეულში საამო სიგრილის ტენია,
შვიდგზის გაფატრული გრძნობების მოცელვით,
მტანჯავს აგონია, როგორც ისტერია.
მტკივა!
და ცრემლები იშლება ნისლებად,
ტკივილი სხეულზე შამანად დავისვი,
რვეული მელნისგან ნელ-ნელა იცლება
და ცხელ უდაბნოში მკლავს მე ოაზისი.
შვიდგზის ფხიზელი და შვიდგზის ნამთვრალევი
გრძნობა, მონარჩენი ფქვილივით გავცერი,
მომაქვს,
ამოთხრილი ზურმუხტის თვალები
ქვიშის საათივით დროისგან გაქცევით.

მამაო

მამაო,
მტკიოდა უსახლო სამკვიდრო,
დარდის შვერილები ვით სტალაქტიდები,
სუნთქვას მიჩხვლიტავდნენ წარსულის ტიტრები,
ჩემი სიმარტოვე ღამით რომ გამიყო
იმ წუთს, გარინდული სუნთქვით ვაბიჯებდი
სულში ჩანესტილი გრძნობების კვალდაკვალ,
ცრემლიც მომდიოდა ტალანში ხანდახან.

მამაო,
ვიხევდი სულიდან სტრიქონებს
და წლებს გამცილებელ კორტეჟად ვაწყობდი,
თვალებს ამ მომლაშო სითხეში ვაწობდი,
მამაო, მითხარი მე ვინ მომიგონებს
თუ სივრცის არეკვლა ვცადე ამ ლექსებით
და ამ სიჯიუტეს მე ვერ შევეშვები.

მე ცხელ უდაბნოში მკლავდა ოაზისი
ჩემით მოხმობილი გრილი სხეულიდან,
როგორც ეს სიტყვები ძველი რვეულიდან
და ჩემი სამკვიდრო იმ ხის მოაჯირში,
ქუჩის ბანერივით მაკრავდა ბოძებზე
და სხვა იარაღი მე ვერ გამოვძებნე.

მამაო,
მიყვარდა, მძულდა, ვღალატობდი,
მკლავდნენ და დილას კვლავ ვიწყებდი თავიდან,
მამაო, მე მგონი ცხოვრება გავიდა,
მის ბოლო ჩასუნთქვას ისე ვდარაჯობდი
ჩემიც გავაყოლე,
დათხრილი ზურმუხტის თვალების სისველე
მუჭით მოგიტანე,
მამაო მიშველე...

სიკვდილის ინტიმი

მორჩა!
დავიწყებულ წუთს აღარ მივტირი,
სისხლიან თვალებში უშენოდ ბინდდება,
სიკვდილში არის ისეთი ინტიმი,
სიჩქარეს ვუმატებ და ფრენა მინდება.
თმაში ჩავიბნიე კარმენის ვარდივით
წითელი სიშიშვლე, ვით თავდავიწყება,
ახლა, უცნაური გიჟმაჟი მარტივით
მუხრუჭი აღარ მაქვს და აღარც მჭირდება.
არაფერს არა გთხოვ, არც არას გპირდები,
გაზაფხულს დაუგეს მახე ამინდებმა,
ყინულის მარცვლების აპრილში მიგდებით
ნუშებს დაეფინა თეთრად გარინდება.
სუნთქავს უცნაური შიში სხეულიდან,
გავწელე ეს სივრცე თამბაქოს რელსებით,
ჩამოგსვამ!
თუ გინდა მელნად რვეულიდან,
და მერე ეს კვალი დაფარე ლექსებით.
მოგვდევენ!
ტყვიებად ცხელ ლავას გვესვრიან
და ლამის ეს სივრცე გავხვრიტო თვალებით,
გზაზე ასფალტივით დაკრული გესლია,
ზევით კი ნისლივით ქრებიან წამები.
მორჩა!
დავიწყებულ წუთს აღარ მივტირი,
სტიქია ამ სულში ზღვასავით დიდდება,
სიკვდილში არის ისეთი ინტიმი,
სიჩქარეს ვუმატებ და ფრენა მინდება.

მოვალ!

მოვალ!
უძილობა უნდა ჩაგინესტო
სულში და გითხრა, რომ ... მართლა მენატრები,
ვიცი გეძინება...როგორ გაგიმეტო
სველი სიჩუმისთვის... რაღაც მენანები.
მოვალ!
ის ტკივილი უნდა გაგინელო
ტანს რომ გისერავდა ბინძური ხელებით,
ღამე ნასიცხარი... კოცნით გაგითენო
სუნთქვა შეგიკრა და დაგახრჩო ფერებით.
არადა...
ოთახში მარტო ხარ მგონია,
ფანტავ რუხ ფოტოებს შენი წარსულიდან,
ვიცი ფიფქებივით დამათოვ ფორიაქს
მზეს რომ გამოსტაცე ცხელი სხეულიდან.
იქნებ ...
ბოლო კადრი ქარში გადაგირჩა
გინდა ჩემს თვალებში ჭინკები დათვალო?
უნდა გაგაღვიძო! ძილი გადამიცდა
მინდა ფოტოებით თამაში გასწავლო.
მინდა...
გარღვეული სუნთქვა გაგიმთელო,
უკვე ქვადქცეული, ლოდინის ტარებით,
შენი უცნაური მზერა დავიჩემო,
ჩრდილად გადავიქცე შენი წამწამების.
მოვალ!
ეს სიზმარი უნდა აგიცხადო
სცენას ჩამოვგლიჯო ხავერდის ფარდები,

მინდა დასასრული ერთად განვიცადოთ,

კადრად დამიწყე... და ფილმად დავმთავრდები

რეზო გეთიაშვილი

შვედური ზღაპრები

წვიმამ არ იცოდა ძალა საკუთარი, არც მშვიდი ოთახი,
არც შენი კაბები, უხმოდ რომ დასველდნენ, მოწყენა, კაპრალი.
გშვენოდა, იცოდი, თვალებში პატარა ცრემლები მონახე
და მერე თვალებით, თითებით მიამბე შვედური ზღაპარი.

ეს იყო სულერთი, სულ ორი, სულ ცოტა, სიზმრები, ღმერთები,
რადგანაც უაზროდ, უარად ხმარობდი ღიმილის ილეთებს,
ისედაც, საერთოდ, ყოველთვის ვტყუოდით ჩვენ ორში ერთ-ერთი,
წვიმამ არ იცოდა მარტივი ტკივილი წერტილთა, მძიმეთა...

შენ კაბებს იხდიდი და სადღაც გარბოდი, იხდიდი ქალაქებს,
რომ უცებ ჩაგვერთო თითების თითებთან შეხების მუსიკა
და წლების გადაღმა წუთები, წამები, წვიმებით დალაქე
და შენი არყოფნაც მოფინე წვეთების მსუბუქი მუსლინით.

ეს იყო სულერთი და ავტო ლოშნიდა, ნივა, ავენიუს,
კეთრი პასეიზმი და გლიცინიები და საპირფარეშო,
რადგანაც მოგვართვეს წითელი, ყვითელი ტუჩების მენიუ
და ჩუმად გვფურცლავდა ნაპირთან მჯდომარე ვიღაცა გარეშე

და რადგან გშვენოდა, საშინლად გშვენოდა, ცრემლები მონახე,
ეს იყო სულერთი, სულ ცოტა, ღალატი და კაფე “მედუზა”,
წვიმამ არ იცოდა ძალა საკუთარი, არც მშვიდი ოთახი,
არც შენი კაბები, სპლინი, მით უმეტეს, ზღაპრები, შვედური.

* * *

დღეს შენი მწვანე კაბის ფერი
დღეც ისე გაქრა ქარის ფრად
შენც ისე ქრები (ნელა-ნელა
არი და არა არი რა)
შენ სადღაც ქრები ჟამი-ჟამ
და ქრები ქრები ნელა ნელა
მთელ ღამეს
- კაი მაინც გავა
- და მაინც სხვაა
- მაინც გავს
- ქარს ქარი მოაქვს
- თავის-თავად
- და ისევ ატანს თავის თავს
და ისე ატანს თავის თავს
რომ ქრები ქრები ნელა ნელა

* * *

შენს სახლში რამდენიმე გამოკეტვაც
სამყაროს ნაწილი ვარ,
შენს სითბოს სინათლეზე ვიმატებ და
ხის მადა მაქვს,
შენს გვერდით სამოთხეც კი სიმართლესთან
ახლოა გაცილებით,
როგორმე ვიმყოფინებ სამოთხედაც,
ყისმათადაც.

მიყვარხარ, ვიდრე ღმერთთან გამიყვანენ
შემდეგი რაუნდები,
სოფელში თითქოს წუთიც არ გასულა,
ხის მადა მაქვს,
დამითმე კიდევ ორი, სამი ღამე,
ვიდრე გზას გავუდგები,
როგორმე ვიმყოფინებ დასასრულად,
ყისმათადაც.

დამოკლდა დღეები

ღმერთმანი, ღამეებიც
დამოკლდა, დღეებით, თვეებით, ღმერთმანებით,
თავისით, სავსებით ასეთი რამეებით,
გავა ეს ზამთარიც და როცა ერთმანეთი

აღარ გვეყვარება - მაისი, ნოემბერი -
დაორთქლილ მინაზე დახატულ შედევრებად
და შენი ლამაზი გაქრობის მომენტები
ჯერ ისე მწველია, წამიც კი მებევრება

და რაც სიმძიმე გაქვს, სულ უნდა მომანებო,
ჰოებად, მინდებად, არებად, ველარებად,
დარჩება ფოთლები, შანდლები, რომანებიც,
სადაც ერთმანეთი ჩვენ ისევ გვეყვარება.

ინტერვალი

უფსკრული. ისე მივუყვებით ქიმნარს და შიშნარს,
რომ ზოგჯერ ქიმზე ვჩერდებით და ყვავილებს ისვრის
ზეცა ქვევიდან, წარსულისკენ, ეს იმას ნიშნავს,
რომ ისევ მოვრჩით და ახალი დასასრულისთვის

ისევ ვიწყებით, უსაშველო ვარდნა და შვება
და ფორიაქი, სინანული, ტკივილი, ის რაც
სისხლად, მტვრად, ხორცად, ერთმანეთად, ქიმებზე რჩება,
მისაღებია, რადგან ფსკერიც დასაწყისს ნიშნავს,

რადგან მიყვარხარ (სიგიჟეა), მწყევლი და ბოლო
ვარსკვლავიც ცაზე მიწურია ჩემი და მიჯნა,
მაგრამ ჩვენი დრო, სიცოცხლის და სიკვდილის დრო რომ
უკვე გავიდა, უკვე აქ ვართ, ეს უკვე ნიშნავს

გარდაცვალებას, ვიმეორებ, გაფრენას, მიწას,
წყევლას, თავიდან, ფორიაქი, ვარდნა და შვება
და ნეტარება, ჟრუანტელი, ტკივილი, ის რაც
იწყება, რჩება. ინტერვალი. იწყება, რჩება.

დარეჯან სუმბაძე

მარი-ცა

ცა მკლავებში მოვიქციე. ვერ გამექცევა.
ვერ იცელქებს. მისი ფილმისთვის
ჩემი გმირი – მეოცნებე პატარა გოგო
ნაჭრის თოჯინით ბავშვობიდან გამოიპარა.
ვერაფერს შეცვლი.

ტილო თეთრია. უთეთრესი.
სიცილისას შროშანები იშმუშნებიან.
ამ დროს მიკვირს: ცა მკლავებში როგორ მეტევა.
რძე და ღვინო – განთიადი. მზის სითბოთი
გაკვირვებული მკერდის კოკრები.
ცაზე საფრენი თოლიები – ხელის მტევნები.
მერე უკვე ცა მკლავებში აღარ მეტევა.

ამ მთაზე, სადაც უნაგირი
ყველაზე მყარი საყრდენია,
მივიხუტებ და გავფრინდებით.
სადაც რაშებს ჯერ კიდევ აქვთ ფარული ფრთები
და მხედრებიც ჩვენს საშველად მოიჩქარიან.

ცა მკლავებში რაკი მეტევა, მისი მუსიკა
ჩემი სმენის სადინარებში ისე ლივლივებს,
სამყაროს ყველა ოკეანემ ხელი ჩაკიდა. გადმოვიდა.
და ჩვენ მთაში ამოვასწარით.

ყავა

მყარია შენი ნაბიჯები. ოღონდ ირიბი
ეს შეღამება უკვე იყო. და ფრთხილად უქცევ
გვერდსა და ფინჯანს. ქალაქისფერ ჭაობს პირისპირ
შერჩი და ყავის ნალექებში თოვლიან ფურცელს
ნუღარ დაეძებ! მეორდება ხილული წამი –
დღეს უკვე მკვეთრი – შიშნარევი ხილვა ნისლიდან –
ჩვენ ვსვამდით ღამეს იმ ფინჯნიდან, რომელშიც ღამე
იწვა და ყავის ნალექივით გულს არ გვიხსნიდა.

წაწალი

ეს ზღუდე ისე მკვეთრია და ისე ბასრი – ხანჯლის პირივით,
თვალის გახელა არ მჭირდება.
არარსებულ სიმართლეში არსებობის გამართლება თვალთმაქცობაა.
შენ კი ცდილობ დამარწმუნო, თითქოს, გხედავდე,
როცა გახებ დეფორმირებულ თითის ბალიშებს.
როცა თითების ფეხაკრეფა ფერმკრთალდება ვარსკვლავებივით
ნისლის ღამეში
ვნების ცხელ კანზე გადაკრული ჩრდილის ფენა როცა მკვეთრდება,
ეს იგივეა: მე უგრძნობი ვარ
(რაც ისედაც იგულისხმება
ჩემი ხერხემლის მყისიერ და დრეკად ფრჩხილებში).
ეს სურვილის მოძრაობაა.
თითქოს თითები ერთადერთი ადგილია სამუდამო მეხსიერებით.
შენ კი ცდილობ დამავიწყო აჩემება – სურნელს ვძერწავდე.
იის მდელოს
აკაციის მტევნით მიცვლი –
თავი მტკივა
და თითების დეფორმაცია.
როგორც შეხება,
როცა ყველა მზრუნველობა
მამა ქრონოსის მზრუნველობაა.

თვალდახუჭული მდინარე ვარ.
არ შეიმჩნიო. არ მაღელვებს –
გაფანტული ყურადღება ყურის მიღმა მიედინება
სადენებში დამწყვდეული დღეებივით მოკლე ჩართვამდე.
როგორც ძარღვებში.
როგორც ლტოლვა
მიზიდულობის ეროტიკული სიმსუბუქით დამძიმებული.

სარკმელმა შიგნით შემოაბიჯა. ნიშანია:
უკუნეთში გათენება ვივარაუდო.
წინადადება –
ჩემს ოთახში ჩაკეტილი მყარი ჰაერი,
როგორც წყალი გაუვრცობელი –
აბსურდია – მარტივი და თან – ქვეწყობილი.

წაშლილ დროს და ჩარჩენილ ღელვას
შემინული უძრაობის უამრავ ნატეხს
მანეკენების მსუბუქ ფიქრში –
გალატეას მღელვარებად ვერასდროს ვაქცევ,
ვეღარ გავახელ დაკენტებიდან დაწყვილებამდე ერთადერთ ნაბიჯს.

უფესვო მიწის თიხის ნერგებს
მინის აქეთ ყელი უშრეზათ. იმსხვრევიან.
ერთი წარღვნა სანატრელია,
თუნდაც ხელახლა ეს ტალახი ვინმემ მოზილოს.

მე კი მხოლოდ შემიძლია
დამსხვრეული ერთი ნაბიჯი
სარკმელივით გადმოვანაცვლო.
რა გინდოდა?
ქიმზე თითებს ისერავს ღამე. მეძმობილება.
თვალს ვერ გავახელ.
დემ, რა გინდოდა?

კავშირი

მანძილი მთელდება. შავი იალქანი.
თენდება. ბინდიდან ქალაქმა აკეცა.
ძილი თვლემს. სიზმრების ხომალდს მიაქანებს.
აქ არის. სინათლე სარკმლიდან აკმევს ცას.

აკმევს ნელ საკმეველს. ან დილას რას უშლი.
თუ წვიმას გაიდგამს ფესვებად. მღეროდნენ
წვეთები. წვიმს და წვიმს. მიწის ხელისგულში
ცა – თეთრი ყვავილი დგას წვიმის ღეროზე.

მყარი უშენობის ღეროზე ვნებივრობ.
მოწყენის ღეროზე. სიტყვებად სანამ ვთვლემ.
ვიდრე გადავივლებ სივრცეს. მაქვს ნება რომ
ლოდინად ავ-ალდე წუხილის სასანთლეს.

სანამდე ვევლები. ვიწვი და ველევი.
საღამო ნავლივით მონაცრის-
ფეროა.
და მანძილს, რომელსაც შენამდე ვერ ვლევდი.
წვიმა ცრის.
წვიმაც რის –
წვიმა ცის
ღეროა.

მეტი. ანუ ერთით ნაკლები. გადამფრენები
("მარტის კოქტეილიდან")

1
დღეს – სხვაგვარად.
მანამდე სულ ასე ვფიქრობდი:
აღარ ვიცი მიმესვლება – არ მიმესვლება
იმ ჭერის, იმ ცის, იმ ქალაქის, იმ ჰაერის ქვეშ,
საიდანაც ჩემი ფრთები
თავისთავად უკვე გაფრინდნენ.
თავისთავად გაფრინდებიან.
არ ვიცი, თუკი მიმესვლება.

კანის ხაოზე ამოზრდილი შავი ღინღლები
მეზიდებიან.
ჰაერის ნაკადს
თხელი ძვლები აპობს და ვყოფნი,
როგორც ყოფნის მიწას მარცვალი. თევზს ოკეანე.
ფრთები – სივრცეს.
რომლის ღრუბლის აისბერგებზე
გავაღწიო დამსხვრევას. უნდა
გადავარჩინო.
იმ ჭერის. იმ ცის. იმ ქალაქის.
იმ ჰაერის ქვეშ
დაბრუნება.
სადაც თუკი მიმესვლება, ან თუნდაც – არა,
უნდა დავბრუნდე.

დღეს თოლიებიც დამემგზავრნენ
ჩემზე უფრო ფერმკრთალები, დაუღლელები.
ერთად ვკითხულობთ
მზის და მთვარის საგზაო ნიშნებს.
ღამის მკაწრავ ციმციმს ვარსკვლავთა.
ვიზეპირებთ
ოკეანის წყალთა სარკის გამრავლების ტაბულას.

ადამიანებს იქნებ ახსოვთ:
სადაც თუკი გელოდებიან
ვეღარ შეძლებ, რომ არ დაბრუნდე.

ვერ აიძულებ იყო მუდამ.
მუდამ აქ და მუდამ ამავ დროს.
ვერ აიძულებ შეჩერებას.

და თუ ასე ფრინველებიც არ იქცევიან
მაშინ რას სთხოვ ადამიანებს – გადამფრენებს.
უსამშობლოდ. გასხვისებულებს.

ყოველთვის, როცა მიდიოდი
და ტოვებდი შეჩვეულ ბუდეს,
დაბრუნებულს უცხო გხვდებოდა.
გამგზავრებაც არ ყოფილა თავისდაღწევა.
უფრო ჩვევა, მოძრაობა,
მოშორება იმ ბუდიდან,
რომელიც უნდა მოგნატრებოდა.
საითკენაც უნდა გეჩქარა.
და მერე მუდამ. დაბრუნებულს მუდამ. გხვდებოდა
სხვა სახლიც და სხვა გათენებაც.
რომ გეფიქრა: ***სხვა – სამშობლოს*** სინონიმია.

ჯერ ისევ იქ ხარ.
მაგრამ მერე. მოგვიანებით.
უფრო ზუსტად, წესისამებრ.
დრო მოიტანს ფრთებს გადაფრენის
სამშობლოდან აგარაკისკენ. მარადიული ზაფხულისკენ.

მაგრამ ახლა. მაგრამ ჯერ კიდევ.
ამ დროს. ამ გზით.
ყოველთვის ამ გზით
სამხრეთიდან
ბრუნდებიან მეტაფორაში – ***სამშობლოში.***

2
როცა ეძებ უფრო ახლობელს
უფრო მყუდროს.
საიდანაც დრო მოვა და
უეჭველად უნდა გაფრინდე.
ვიდრე ოდესმე სამუდამოდ დაუბრუნდები
რომელიმე ფერის ნიადაგს.
დარჩები მასთან განუყრელად –
საკუთარ გულთან. მოკრძალებულად
რომელმაც თავი არც შეგახსენა
და ძებნაში უმთავრესის
ყურადღების მიღმა დადუმდა
ბეღურასავით მოფრთხიალემ
გამოიგონა ილუზია საუცხოო
მთებზე, მიწაზე,
გამჭვირვალე ჰაერსა და ნაკადულებზე.
რომ გეძებნა შენგან გარეთ,

რომ ვერ მიგეგნო.
შენშივე
მარცხნივ
ნეკნებსშორის.
რადგან ცოდნა სინამდვილის
ძებნის სურვილს დაგიკარგავდა.
და დაგტოვებდა შენსავე ფიქრთან
ასე სტატიკურს.
როგორც ახლა,
როცა გეყო ერთი მტკაველი
ფენებსშორის
თიხიან, შავ თუ წითელმიწა ნიადაგში.
როცა დროა ჩაიკეტო, გადარაზო
გული-სამშობლო
მოიშუშო. იქცე კვირტად.

როცა – აყვავდე.

და გაეწოდო საყრდენად სხვებს:
მკლავებად – მერცხლებს.
ჭერად – მერცხლებს.
ბუდედ – მერცხლებს. მოსანატრებლად.
როცა დროა. გახდე ვინმესტვის შეჩვეული.
ახლობელი.
საითკენაც იჩქარებენ, გაილაღებენ.
როცა დროა იქცე სიტყვად – არამთავრად.
უფრო ზუსტად, მთავარ წევრზე ერთით ნაკლებად.
რასაც ახლა მეტაფორა უნდა დაარქვა.
ხოლო ისინი იმად გთვლიან,
საითკენაც სულ იჩქაროდი.
საითკენაც სულ იჩქარიან –
გთვლიან ***ნაწილად***
შეხვედრად და განშორებად. მოლოდინად გადაქცეული.
შეჩვეული. მათთვის ალბათ სისხლით ნაცნობი
რაღაცფერის მტკაველი მიწის.

ახლა, როცა შენ ხარ ისინიც,
მანამდე, ვიდრე
ასე სხვაგვარად არ ფიქრობდი.
ახლა, როცა შენ ასე ფიქრობ,
ასე – შენსავით.

მაია კილაძე

მერიდება, ჩემს ნაწერებს ლექსები ვუწოდო, მაგრამ იყოს, რაც არის. დავდებ და ზევსს აპატიეთ, არ მოდიან ეს ოხერი მუზები ნაცნობობით.

* * *

ცის კარს შემოაღებს მზე
და შიშველ სხეულს ძლივს უფარავს
თხელი ბურუსი...
თავთან ჩამოუჯდება მომაკვდავ ღამეს.
ფეხს ფეხზე გადაიდებს,
ყავას მოსვამს
და სიგარეტს მოუკიდებს,
ღრუბლებად გააბოლებს

და ვარსკვლავებს ჩამოიფერთხავს
თმიდან.

ცას თუ აქვს კარი,
სამყაროს არ ექნება ნეტავ
სადარბაზო?
ან კიბე მაინც?
აბა სად კითხულობს ხოლმე
ლექსებს მთვრალი მთვარე,
როცა მზე სახლში არ უშვებს?

* * *

სევდა აიფარა სახეზე სამყარომ
და კბილებით იჭერენ საკუთარ ტუჩებს,
რომ შემთხვევით არ გაეღიმოთ.

გულის ჯიბეში ყველას უდევს
ერთი კალამი,
საკუთარ პოეტურ ხასიათზე ხაზგასასმელად

უკანა ჯიბით
პატარა ბოთლით
დააქვთ წყალი

* * *

ოღონდ ეგ არის,
ვერასდროს ვხვდები,
ეს წყალია თუ
ფასდაკლებით ნაყიდი ცრემლი?

შავ-თეთრით ცვლიან
ფერად ტელევიზორს,
დღეს ცვლიან ღამით.
და მზესაც ღლიან ამ ყალბი დარდით.

ამოდით რა,
ამ თქვენი ხელით გათხრილი საფლავების
თქვენივე "ჰენდმეიდი" კუბოებიდან
და მეთამაშეთ,
ვიდრე ჩემი ფერადი ბუშტები
დაიჩუტება.

* * *

ვცდილობ არ ვუყურო საათს
და ხვალის მოლოდინში
დროს ვარცხნილობებს ვუცვლი.

ეხვევა ცაზე ღრუბელს ღრუბელი.
დღეა ისეთი,
როგორც ფეხბურთის მატჩის შემდეგ
ტაბლოს შერჩენილი 0:0

* * *

ცისარტყელა
წითელი - ნეტავ რას ხედავს ხოლმე
მზე ჩასვლისას,
ასე რომ წითლდება?

სტაფილოსფერი - (ყველაზე გულუბრიყვილო სახელი ჰქვია ამ ფერს.)
თოვდა.
მამამ ეზოში ჩამიყვანა
და კაცის სიმაღლე
თოვლის ბაბუა გააკეთა ჩემთვის.
თავისი ბავშვობიდან აიღო თარგი
და სახლიდან ჩამოიტანა
ნამდვილი სტაფილო.
მაშინ პირველად ვნახე
სტაფილოსცხვირიანი თოვლის კაცი
და გავიცინე.

იცინოდა მამაც.

მოსაღამოვდა და
სანთლები აანთეს თბილისში.
თოვლის კაცმა
სტაფილო დაგვიბრუნა
და დედას მივუტანეთ,
რომ...
ჯერ სკოლაშიც არ დავდიოდი
და მაინც მივხვდი, რატომაც...

ყვითელი - ხელისგულები აიფარეს
ყვითელ თვალებზე ლამპიონებმა
და დილა გაიზმორა ცაზე.

მწვანე - დგას ჩემი ფანჯრის ქვეშ
და თითის წვერებზე იწევა,
რომ ფანჯარაში შემოიჭყიტოს
თავისი მწვანე თვალებით
ქლიავის ხემ.

ცისფერი - ც-ნაწილაკი,
ნიშნავს "აგრეთვეს".
ა - შორისდებული,
გაკვირვებას რომ გამოხატავს.
ცა- ღმერთსა და კაცს

შორის დებული
განსხვავების სიმბოლოა
თურმე აგრეთვე.
აბა, შეხედე,
ჩვენ სადაც ფეხს ვდგამთ
შავია ან ასფალტისფერი
და მტვერი ასდის,
უფლის სავალი
კი ლაჟვარდია და
თეთრი ღრუბლებით
მოფენილი.

ლურჯი - მგონი ჩემი კალმის
ნაფეხურებია
ლურჯი.

ყოჩივარდასფერი -
იმ ადგილს ჩემი ბავშვობა,
სადაც დიდი თუთის ხე იდგა
და ყოველ ზაფხულს
თითებს, ტუჩებს,
ჭის წყლით გარეცხილ
ფერად ტანსაცმელს
თუთის ტკბილი წვნით ვიღებავდით.
იმ თუთის სუნი...

ბავშვობას თურმე ბევრი ფერი აქვს
და სუნი თუთის.

* * *

ოდესმე

არ გეხუტები,
უბრალოდ ვუსმენ შენს გულს
და ყოველ დარტყმაზე
ჩემს სუნთქვას ვდებ,
როგორც ფაიფურის ფინჯანს
მოხატულ ლამბაქზე.
მომპარე ჩემი თავი
და ვდგავარ გაძარცვული
თეთრი ფურცლების ამარა,
რომლებზეც ვწერ ერთ სიტყვას,
შენ რომ გადაგრჩა:
"სულ"...

მკერდზე გადებ თავს
და შენს გულს
ვუგდებ ყურს
სულ.


ეფემერიდებზე ადგენენ ეგვიპტელები ოთხასწლიან
ციკლებს. ეგვიპტეში ეს ციკლი ერთ ადგილზე
ბრუნავს, ანუ ერთ ადგილზე ბრუნავს ციკლი
ეფემერიდებზე ასე არა მგონია ეფემერიდებზე
ეფემერიდებზე ეფემერიდებზე

ქეთი გზირიშვილი

პირველ რიგში მინდა ვთქვა, რამდენადაც ძალიან კარგი და საინტერესო თემაა, იმდენად ურთულესი - ავტორისათვის არჩევანის გასაკეთებლად და მაინც, თუნდაც ამ სიძნელის გამოა კარგი. დიდი მადლობა ადმინს მისი გახსნისთვის. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ავტორების მინაწერები იქნება საინტერესო (თუ მიაწერენ) - რატომ აირჩიეს ეს ლექსები.

საკუთარი ხუთეულის არჩევა ძალიან რთული აღმოჩნდა.

უფრო მარტივად თუ შევეცდები: მე მაქვს ლექსები, რომლებიც გამორჩევით მომწონს - ყოველთვის; ან განწყობის მიხედვით ხდება მნიშვნელოვანი... ან გამოხმაურებების მიხედვით... და ხანდახან არაფრის მიხედვით - ანუ არცერთი არ მომწონს. ისინიც კი, რომლებიც გამორჩევით უბრალოდ ამ "ტიტულს" ინარჩუნებენ, თორემ... და ახლა სწორედ ასე ვარ. ისე კი, ყველა მიყვარს, მაინც.

უფრო რთულად: იმ მოკლე გზის მიუხედავად, რაც გამოვიარე, მიმაჩნია, რომ რამდენიმე ეტაპად იყოფა ეს გზა. ამ ეტაპების გათვალისწინებით შერჩევა კი გამიჭირდა, რადგან საკუთარ გზაზე მსჯელობა მეძნელება.

ამიტომ „მარტივად“ გადავწყვიტე: ხუთეული იმ ლექსებით შევადგინე, რომლებიც ყოველთვის მომწონდა და ჯერ კიდევ მომწონს. პატარა ისტორიებიც მივაწერე..
აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მინიმალისტური ლექსებიდანაც შემიძლია გამოვარჩიო რამდენიმე, მაგრამ პატარებზე იქნებ, სხვა დროს. და კიდევ, ადგილების მიკუთვნება მიჭირს. პრაქტიკულად, ადგილებს არ ვანიჭებ.

„ჩვენ, ორი..“- ერთადერთი ლექსია, რომელიც აბსოლუტურად გაცნობიერებულად, წერის პროცესშივე მიყვარდა. არვიცი, ამ განცდის სიტყვებით გადმოცემას შევძლებ თუ არა. ძალიან მშვიდი ვიყავი, აუჩქარებელი და თითოეულ სიტყვაზე შეყვარებული. მგონია, ლექსს ეს კიდეც ეტყობა. მიუხედავად სიდიდისა, ერთი ამოსუნთქვის ლექსია (ისევე, როგორც თითქმის ყველა ამ ხუთეულიდან), არაფერი შემიცვლია დაწერის შემდეგ.

ჩვენ, ორი..

ჩვენ, ორი ველოსიპედი,
ორი, დიდი ხნის წინ გამოგონილი ველოსიპედი,
ჩამოქერცლილ, თეთრ კედელთან მიყუდებულები,
ველოდებით მათ.

შენი ველო მწვანეა და სამთო,
უამრავ დაბრკოლებაგადალახულს, თავი ყოჩაღად უჭირავს.
შენ, ყოველ დილით,
(ან იქნებ არც კი, ყოველ დილით)
ჰაერით ავსებ მის ბორბლებს
და სიგნალს საჩვენებელს წამოკრავ –
გასვლის წინ, გასაღიმებლად..
მწვანე მეგობარზე ამხედრებული
კისერს უკან იტრიალებ, –
კეთილ ღიმილს, ჩამოქნეულ ხელისგულში რომ ხედავ,
საკუთარს აგებებ.
დამშვიდობება შედგა –
დროებითი
და ეშვები სივრცეზე და სივრცეში..

ჩემი ველო ცისფერია და მომცრო –
ეზოში გასატარებლად თუ გამოდგება,
ჰა – მიმდებარე ქუჩებში..
მე, ყოველ დილით,
(ან არც კი, ყოველ დილით)
ვამჩნევ მის მოშვებულ ბორბალს და იმ იმედით,
რომ ახლოს მივდივარ,
ხელჩაქნეული, მაინც ვსკუპდები ზედ
და კედელ–კედელ ნასწავლი პირველი გაკვეთილი მახსენდება..
ჩემი ველოს სიგნალი ისეთი უნიათოა,
საჩვენებელ თითსაც კი ვერ განაწყობს წამოსაკრავად,
ჰოდა დუმს,
მხოლოდ ხანდახან, შესამჩნევ და მაინც უყურადღებოდ გამორჩენილ
ორმოში ჩახეთქებისას კვნესის,
ოდნავ.

დღეს შენი სივრცე ჩემს მიმდებარე ქუჩას მოიცავს.
დღეს შენი მწვანე ჩემს ცისფერს ეზავება.
დღეს შენი კვალი ჩემი საგზაო ნიშანია.
დღეს ვერ შევამჩნევ ვერცერთ ორმოს და მაინც,
არ გავიგებ ხმას –
სუნთქვას ჩუმად ამოყოლილს..

ჩვენ, ორ ველოსიპედს,
ორ, დიდი ხნის წინ გამოგონილ ველოსიპედს,
ჩამოქერცლილ, თეთრ კედელთან მიყუდებულებს,
გვიყვარს ერთმანეთი.

05.02.08.

„მუცო“ - მინდოდა, პირველად ამ ლექსზე დამეწერა, მაგრამ ადგილებს ხომ არ ვანიჭებ.. ერთ-ერთი პირველი ლექსია და დღემდე მომწონს.

მუცო

აბგა გაქვს,
ხურჯინი...
ყრი საგზალს -
ჯერ კიდევ თბილ გულს,
ხელებს,
ფილტვებს,
თვალებს,
ფეხებს,
ძარღვებს..
წამოიკიდებ მხარზე და
ჰაიდა,
აუყვები სტვენით მუცოს ბილიკს...

ფარა გყავს იალაღებზე გადასადენი,
დაღამებამდე.
ლეგა გვერდით მოგდევს,
მურა სასთუმალთან მოგიწვება.
ფარა ჩაიმუხლავს.
წამოწვები.
აანთებ კოცონ-ჩირაღდანს -
დროა ივახშმო...
ხურჯინს მოავლებ ხელს,
ააშიშხინებ წალამზე…
მილულავ თვალებს,
რუხ ჰორიზონტს შუბლს მიუშვერ…
ხელს გაუქნევ ნიავს -
მიმართულების შესაცვლელად..

ხვალ გათენდება..
სუფთა ჰაერი იცის მუცოში..

06.06.07.

„შინდებს ბორდო სდით“ - ეს ლექსი ალმანახ „თაობების“ მეორე ნომერში დაიბეჭდება, სადაც ჩემს „ყველაზე უფრო“ ლექსად დავასახელე. ამიტომ არვიცი, ამ ხუთეულშიც უნდა დამესახელებინა, თუ არა; მაგრამ მაინც, რაკი შერჩევის მარტივი გზა ვარჩიე.. მისი დაბადების თარიღი ჩემი, როგორც ავტორის დაბადების თარიღიც არის – ამ ლექსით გამოვჩნდი „ებლიტფოზე“ ღიად. ერთი წელი ხდება უკვე.

შინდებს ბორდო სდით

შინდებს ბორდო სდით...
ჩემი მაჯიდან მოსვი ბადაგი,
იმღვრიე თვალი..
აიღე კოვზი,
ნატეხ შაქარს,
ჩაფშვნილს შენს სულში,
ამოურიე...
აიღე დანა,
საკუთარ მაჯას გადაატარე
და ამამღვრიე
ტუჩმოლოკილი...
ნაბიჯარეულს გაგიძღვები
ჩემი ეზოს შინდის ჩეროში..

შინდებს ბორდო სდით..
მხრებზე დაფენილ არტერიებით
თავს იწონებენ..
შინდებს ბორდო სდით..
დაჩითულ კაბებს აფრიალებენ
გამხდარ კანჭებზე..
შინდებს ბორდო სდით..
მხარზე შემოდგმულ კოკას ავსებენ
მოლზე გაშლილი შენი სუფრისთვის..
წამოუწექი,
თვალი მილულე
შემოპარული სხივის ციალზე..
გაუყევი გზას
აღმართიდან დაღმართებისკენ..
გადამიშალე ზღაპრის წიგნი,
წამოღებული
და საყვარელი ადგილები ამომიკითხე..

ჩამობუნდოვნდა,
ჩეროს რიგში ვერცხლი იბნევა..
არტერიები აუკეცავთ კეფაზე შინდებს..
სალბუნი მადევს,
ჩემი მაჯა პირშეკრულია,
ჩემი თვალი დაწმენდილია,
ჩემი ბიჯი - დამშვიდებული...
მივყვები ბინდებს ხელისცეცებით
და ჩანასახის პოზაში მყოფი
ვისიზმრებ სიზმრებს.

ეზოს წიაღში,
ვერცხლის წვიმის ქვეშ
შინდებს ბორდო სდით..

15.06.07.

რამდენიმე ძველი ლექსი კიდევ მაქვს - შედარებით მეტად რომ მომწონს, მაგრამ გადავწყვიტე, დაახლოებით ერთი თვის წინ დაწერილ ლექსებზე მომეყოლა...

„ხელები“– რაც ლექსებს ვწერ, ფრაზა „მომეცი ხელები“ არაერთხელ მიმიწერია ფურცელზე, მაგრამ ამის იქით ვერ წავსულვარ. ეს ლექსი უცებ გაჩნდა, ერთი ამოხეთქვა იყო, იმდენად სწრაფი, მოგვიანებით ძლივს გავარჩიე ფურცელზე ხელნაწერი. არ შემიძლია ამ ლექსის ახსნა სხვა სიტყვებით, მთელი გულით კი ვითხოვე...

ხელები

მომეცი ხელები..
მომეცი შენი სველი ხელები,
დაძარღვული ხელები,
რბილი ხელები..
გამომიწოდე მზის ბორცვები,
მთვარის მინდვრები,
გადმოსახედები,
აივნები,
ბილიკები..
ვივლი ბილიკებზე,
ვივლი ღორღზე,
სლიპინა ასფალტზე
და გადავირბენ მოსახვევებთან
და გადავტეხავ სიცოცხლის ხაზს,
თამამად.

მომეცი ხელები,
ამოაბრუნე ჭიქები –
ამოავსე სიტყვებით
დაცარიელებული პირი,
ამოასხი ტკივილი,
იჩხუბე,
იყვირე,
იტირე..
მომეცი ხელები,
რბილი ხელები,
თბილი ძარღვები,
ფალანგები,
ფრჩხილები,
ნუნები,
კანი..
მომეცი,
ჩამიყარე თითებში დღეები,
ჩამიყარე თითებში ღამეები,

ჩამიყარე ლურსმნები,
მიმაჭედე,
გამაკარი,
დამცალე..

დახედე ხელებს.
დაიხარე.
მოფხოჭნე ტალახი.
ვიცდი...
09.04.08.

და ბოლოს - „ჩამქრალი..“ - ძალიან საინტერესოა ჩემთვის ეს ლექსი. არ ვაპირებდი გამოქვეყნებას, რადგან მეგონა, მკითხველი არ მიიღებდა, მაგრამ მეგობრის რეაქციამ შემაგულიანა. არც ვნანობ, მისი მადლობელი ვარ. ლექსი ძალიან თვითირონიულია, შესაბამისი ფორმით და ეს მაეჭვებდა.

ჩამქრალი..

მინდა, გამოვფინო ჩემი გადამწვარი ნათურები
და ტანის ოდნავ რხევით ვუთხრა ყველას:
ლა-ლა,
აი, მე რა მაქვს, -
ჩამქრალი ნათურები,
აი, ის წვრილი ძაფივით ჩამწყდარი ზამბარები,
არ გინდათ, კარგად შეათვალიეროთ?
ლა-ლა,
მე ნათურის გამოცვლა არვიცი
და როცა ვიცი -
არ მაქვს ახალი ნათურები.
ლა-ლა,
სანთლის შუქზე ყველა ერთ ოთახში გროვდება,
მე შემიძლია, ხელი გავიწოდო და
შევეხო,
ნებისმიერს..

მოდი ახლოს,
ნახე ჩემი ჩამქრალი ნათურები,
შორიდან არ ჩანს გაწყვეტილი ზამბარა..
ან, არ გინდა ახლოს,
დარჩი ორი ნაბიჯით უკან -
ვერ მოგწვდები და
ჩრდილი იქნები..
ბნელში იდექი,
სანთელი,
ლამფა,
სანთებელა,
უბრალოდ, ასანთი გეჭიროს ხელში..
ჩემი ხელები ჰაერს უსინჯავენ ნაკვთებს:
აი, სუნი..
აი, სითბო..
აი, ტალღა..

დამტოვე ტალღების პატრონად,
ბგერების პატრონად
და გეჭიროს ხელში ასანთის ღერი,
ვიდრე უცებ არ გაგახსენდება,
რომ ჯიბეში გაქვს გადაუწვავი ნათურები,
ციმციმა ნათურები,
ფერადი..

ჩრდილო, მოიწიე,
ჩაყავი ხელი ჯიბეში -
დაგეწვა.

19.04.08.

გიორგი გურჯი

როგორა ხარ

"ცა რომელსაც ლექსივით კითხულობენ'',
როცა არ უნდა აიხედო,
ყოველთვის
ცამდე მართალი,
ჩემი შეყვარებულის თვალების ფერია.

ჩემს შეყვარებულს
მუქი ცისფერი თვალები
და
ციური ღიმილი აქვს.

როცა თბილისი
თავის დროზე ვერასოდეს იღვიძებს,
მეგობრის საფლავზე დაწერილი სტროფებივით
სევდიანია.
რომ ვინმე ზედმეტად პოეტმა ადღეგრძელოს,
მერე ადგეს
და
ბოკალში ვერმუტივით გამოცლილი ღამე,
იმ იმედით, რომ ისევ დაბრუნდება,
თვალს და ხელს შუა
გააპაროს.
რომ მოგონილმა მემაწვნემ
დილა უთენია დაიბღავლოს,
რომ მოგონილი მამა
სამსახურში წავიდეს,
რომ მოგონილმა დედამ

ნამძინარები თვალებით და
ფინჯანი ყავით გააცილოს.
რომ ჩემი შეყვარებულის თვალების ფერი ცა
ისეთი ახლოა,
უნებლიედ ფეხის წვერებზე მინდა ავიწიო,
კისერი მოვიღერო
და ჯერ კიდევ ძილისგუდა ვარსკვლავებით
დაკოპლილ ტუჩებზე
''მიყვარხარ''--მეთქი , დავაწერო.

ამას წინათ
მოვიდა და
წვიმის წვეთებივით
მთელი ღამე მეჩურჩულებოდა,
ისეთი გულახდილი იყო,
ვერც კი შევკადრე,
მე ამ ენაზე
ძალიან ცუდად ვსაუბრობ-მეთქი .
რომ გაათავა,
მაშინღა მიხვდა
ბევრი არაფერი მესმოდა.
ასეთი ბედი მაქვსო,
ვისაც რა არ უნდა ვუთხრა ,
ვერავინ გამიგებსო.
მე კიდე ჩავჩიჩინებ,
მე ხომ გიგებ,
მე ხომ თანაგიგრძნობ?
მეტი რაღა გინდა?!
ვერ ხედავ?

მე ადამიანი ვარ
და
ამოდენა ქვეყანაზე
ხმის გამცემიც აღარავინ შემრჩენია.
მე ადამიანი ვარ
და
ამოდენა ქვეყანაში
თავი ვერავიზე მიმიყრდვნია,

რომ
გულაჩუყებული,
ბავშვივით ავზლუქუნდე.
და უარესიც,
ამოდენა ქვეყანაზე,
მე ხომ მართლა არაფერი გამაჩნია?!
უკვე უსაშველოდ გაწელილი სიკვდილის გარდა,
რომელსაც შავი ლაბადა აცვია
და ყოველ ღამე სასთუმალთან მიზის,
ყოველთვის პროფილში და ყოველთვის მდუმარე.
არადა ,
იმ დღეს ვეუბნები,
ოღონდ რამე სთქვი
და თუ გინდა
იმ შენს საიქიოს
ხელში აყვანილს ჩაგარბენინებ-მეთქი.,

მაგრამ ვინ გისმინა?!
ასე აქვს ნაბრძანები.
სადღაც, მაგისიც მესმის.
ჩვენ ხომ ყველა
ვიღაცის მიერ
უნაკლოდ "შესრულებულ"
დრამას ვთამაშობთ?!
მერე ბატონი გაუმართლებლობა?! -
- ჩემი პირადი დაცვა,
რომელიც
გულის ფეთქვასავით
დედის მუცლიდან თან მსდევს
და მოგონილი მშობლებივით
გვერდიდან არ მიშორებს.
ან ფილტვებში
ჟანგბადივით ჩაგუბებული მარტოობა?!

ერთი სიტყვით,
ცა, რომელსაც ლექსივით კითხულობენ,
გამეცალა
და იმის მერე
აღარ დაბრუნებულა.

მოწევა მომინდა,
მაგრამ ბოლო ღერი სიგარეტიც,
ქუჩაში რომ გიჟი ქალი შემხვდა,
იმისთვის მიმიცია.
აი, მთელი შენი-''როგორა ხარ.?"

* * *

გადამითარგმნე, ამ სიჩუმის და
ტირიფების მოზამთრება, უკვე ლექსია.
შენ ხომ ამ სკამზე, საათობით სწავლობდი დუმილს?!
როცა შენს ხმაზე ვგიჟდებოდი, ისე გულწრფელად,
შეგეძლო გეთქვა, რომ იცნობდი ჩემს შეყვარებულს,
შეგეძლო გეგრძნო ჩემს ძარღვებში აჭრილი თოვლი,
მუხლებში ძალაგამოცლილი ნოემბრის სევდა,
ჩვენს უკანასკნელ შემოდგომას, რომ ასრულებდა.
თურმე რა ძნელი აღსარება გდებია გულში?!
თურმე რა უცებ შეგძლებია გარდაცვალება?!
კი არ მომიკვდი, ეს უბრალოდ შემომეზამთრე,
რომ გაზაფხული ჩამდგარიყო ჩემს და ღმერთს შორის.
როცა არც ჩემი და არც შენი ნება არ იყო...
ახლა ამ სკამზე, რომ მარტო ვარ... როგორც არასდროს
და დღეს ამ ბაღში მოიყრიან თავს შენი თმები.
ხო დღეს ამ ბაღში მოიყრიან თავს შენი თმები,
რომ დღეს ამ ბაღში მოიყრიან თავს შენი თმები,
რომ ისევ ისე გაგიშალოთ მე და ნიავმა.
კი არ მომივკდი?! ეს უბრალოდ შემომეზამთრე.

ძეწნა

როკავს, როკავს, როკავს...ძეწნა, ძეწნა,
ძეწნა...
ნოტებ-ნოტებ ტოტებს, ურევს, ურევს,
ურევს...
ბაგე ბაგეს უცებ, ისე შემოეწნა,
როგორც სველი მკერდი,ვიწრო მაისურებს.

ტოკავს, ტოკავს, ტოკავს...გახვითქული
ტანი...
ისე ნება-ნება, ეუფლება ვნებას
და-და, და-და, დანით
და-და, და-და, დანით
ასე მოხდა ჩვენი გადალებანება...

ფეთქვა-ფეთქვა-ფეთქვით, აღმა-დაღმა
დადის.
სისხლძარღვებში სისხლის აღარ არის ტევა.
არის მხოლოდ ღამე, ლურჯი მარმალადის...
შენს დალალებს მიღმა, მტევან-მტევან-მტევან...

გადაკიდებ კისერს როცა ბოლო-ბოლო...
და მოიდებ ყელზე აკივლებულ ალმურს.
დაასრულებს ქარი უკანასკნელ სოლოს
უაღრესად ველურს, უაღრესად ქალურს.

და ქალივით როკავს... ძეწნა, ძეწნა,
ძეწნა
ნოტებ-ნოტებ ტოტებს, ურევს, ურევს,
ურევს...
ბაგე ბაგეს უცებ, ისე შემოეწნა,
როგორც სველი მკერდი, ვიწრო მაისურებს.

შემოგედალალე

რომ იცოდე, როგორ ვგრძნობ შემოდგომას ,
ზამთრის ბებერ და უხეშ თითებში
დედოფალი იმედივით რომ იწურება!
რომ იცოდე,როგორი საზარელი ზამთარია
ჩემს აივანზე ატუზული და თავის დროს ელის.
რომ იცოდე,როგორ შემიძლია გამოვაღო
ნოემბერი და …
დაორთქლილი ფანჯრებიდან
”შემოგედალალე !”-
-დაგიძახო.

იმ ყვავილების და

იმ ყვავილების,
იმ ყვავილების და
კიდევ იმ ყვავილების სურნელივით, შემოგედალალე.!..
რომ იცოდე ,როგორ გარბის ჩემი წლები,
თბილისის ქუჩებიდან, ნისლივით წამომდგარი
და უგზო-უკლოდ დაკარგული ბავშვობის მსგავსად.!
რომ იცოდე,როგორ ნერვიულობს ჩემს ფანჯრებთან
შუაღამე, შენს სიყვარულსა და არსიყვარულს შორის
ჩაქოლილ ფიქრებს. !
რომ იცოდე, როგორი ზიზღით ხვდება ჩემი ოთახი
ყველა უშენობას.!..
რომ იცოდე ,როგორი უშენობები დასჩემდა შემოდგომას !
შემოგედალალე!
რომ იცოდე, როგორი მწარე, არმიყვარხარ ამინდები
მიყრია მაგიდაზე…
და ვცდილობ როგორმე არ იწვიმოს.
ჰო, როგორმე არ იწვიმოს,
ოღონდ არ იწვიმოს …
შემოგედალალე !

მენდე

მენდე!
ახლა ეს ბაღიც უფრო მშვიდია

მენდე!
ახლა უფრო უკეთ შემიძლია მოგყვე ჩემზე.

მანდე!
შენი ქათქათა ხელები მანდე!
მინდა უფრო ახლოს მოხვიდე ჩემთან.

მინდა შენი ხელების სითბო.
მინდა, შენი ხელების სითბო
ჩემი ხელების სიცარიელეს შევუერთო.
იქნებ ასე უკეთ მოვიდეს
შენამდე
ჩემი

შენაღონები,
სიცოცხლის ხაზი.
მენდე!
მანამდე უნდა მოიწყინო,
ვიდრე ამის საშუალებას მოგცემენ სხვები.
რადგან ძალიანაც რომ მოინდომო,
ასე ვეღარავის დაადანაშაულებ.

მენდე!
სჯობია უფრო უბრალოდ გეცვას
ვიდრე გაცვია.
მენდე!
ასე უფრო ახლოს მიხვალ იმასთან,
ვისაც მეთელი გულით ეყვარება შენი შიგთავსი.

მენდე!
შენზე ლამაზად ჩაცმულები ბევრნი არიან,
შენზე ლამაზად გამოძერწილნიც.

მენდე!
ოღონდ არასდროს მკითხო,
რატომ აგირჩიე.
როცა უბრალოდ აგირჩიე,
სალაპარაკოდ.
ჩემი პასუხი-
არასოდეს იქნება დუმილზე მეტი.

არც ჩემი თვალები იქნება ამაზე მწვანე.
არც ეს ბაღი იქნება ამაზე მშვიდი.
არც ეს საღამო აღარ იქნება.
არც ეს ჩურჩულით ნათქვამი მთვარე.
არც ეს ნიავი, შენ და ძეწნას, თმას რომ გიწეწავთ.
არც ეს პოეტი შადრევები იცეკვებენ
ამგვარად ფოქსტროტს.

შენ კი იქები!
შენ იქნები ყველაზე ბავშვი,
შენ იქები ყველაზე უკეთ.
შენ იქები თუნდაც ამ ლექსში.

თუნდაც ამ ხესთან,
თუნდაც ამ სკამზე.
და გემახსოვრება-

როგორ ჩურჩულებდა ვიღაცა ახლოს.
როცა ირგვლივ არავინ იყო.
როგორ ეჭირა შენი ხელი.
როცა ირგვლივ არავინ იყო.
როგორ იგრძენი ვიღაცის წასვლა
როცა ირგვლივ, ისედაც არავინ იყო.

და როგორ შეიცვალე...

ვასილ გულეური

რთული საქმე კი იყო 🙂 მაგრამ მაინც ვცადე...

მელაკუდას მაღაზია

ულრან ტყეში მელაკუდამ
გახსნა დიდი მაღაზია
და წარწერა ჩამოკიდა
“შემობრძანდით, არის ღია”.

სავსე არის დახლები და
მრავალ რამეს ყიდის რადგან,
ვინ გინდა, რომ აქ არ ნახოთ,
მყიდველების რიგი დადგა.

დათუნია თათს ილოკავს,
კასრები დგას თაფლისაო.
მელაკუდა ეკითხება:
- ცაცხვის გსურს თუ წაბლისაო?

აბურდღუნდა დათუნია:
- კარგად უნდა გამივსო,
სამი ქილა ცაცხვის მინდა,
ოთხიც კიდევ - წაბლისო.

თაფლი სულაც არ სჭირდება,
ხორცის რიგში დადგა მგელი:
- მეც მომხედე, მელაკუდავ,
რა ხანია ვდგევარ, გელი.

მელა ცდილობს რუხი მგელი
არ დარჩეს გულნაკლულია,
- გაყინული არ გეგონოს,
სულ ახალი დაკლულია!

ტურა ქათამს ეტანება,
მსუქან-მსუქან დედლებს არჩევს.
ჭყინდი ტარო სიმინდისა
სათითაოდ მიაქვთ მაჩვებს.

შეიძინა ყანჩამ თევზი,
ბაყაყების სამი აცმაც.
ჭაობისას მაღაზიის
კი სჯობია, რომ თქვას კაცმა.

კურდღელმა თქვა: - ეს სტაფილო
უნდა დავდგა გოდრითაო,
სულ მოვითქვამ, დავიღალე
ამ ბალახის კორტნითაო.

ზღარბმა აისხა ეკლებზე
თურაშაული, კეხურა.
გარეთ რომ გამოცუნცულდა,
თავზეც ვაშლები ეხურა.

ტახმა ტომრები დაავსო
ნარჩევი რკოთი, წაბლითა.
სანამ სახლამდე მივიდა
გზაში ეშვებით დაფლითა.

და როცა ბოლო მყიდველიც
ეზოში გამოეხეტა,
მელიამ მიმოიხედა,
ცარიელ დახლებს შეხედა,

თქვა: - ვაფართოებ ვაჭრობას,
ეს უნდა გადავაკეთო
და მაღაზიას ხვალიდან
დავარქმევ “სუპერ-მარკეტსო”.

საქმეს ავაწყობ თანდათან,
განა ვაჭრობა ძნელია.
ქათმის ქურდს ვინღა მიწოდებს,
ვიქნები ბიზნესმელია.

წვიმა

წამოვიდა წვიმა და
ნელა-ნელა იმატა.

აწკაპუნდნენ წვეთები –
“მიწას დავეღვენთებით.

გამოგგვზავნა ღრუბელმა,
უნდა ვიქცეთ გუბედა.

ერთად ვითამაშებთო,
აქ გამოდით, გარეთო.”

დედებმა თქვეს, - ბავშვებო,
როგორ უნდა გაშრეთო,

არ სურთ გარეთ გაშვება,
ჰოდა, რა ქნან ბავშვებმა,

დგანან, ფანჯრის მინებზე
ცხვირებმიჭყლეტილები.

ბაყაყური

გზის ნაპირას იხვებს ორმო
ნაჟური წყლით აუვსიათ,
იძახიან – აქეთ მოდით,
საცურაო აუზია.

რა სჯობია წყალში ცურვას,
ქვეყნად რაა ამის ფასი?
რა სტილი გსურთ, შეგასწავლით:
ბატერფლაი, კროლი, ბრასი.

უცნაური სახელებით
მოიხიბლა ყველა ირგვლივ
და სულ მალე ცურვის სწავლის
მსურველების დადგა რიგი.

ბაყაყი ზის არხეინად,
არ ათხოვა იხვებს ყური
– თქვენს კროლსა და ბატერფლაის
მირჩევნია ბაყაყური!

შტორმი

ოკეანე აღელდა,
ტალღა ტალღას ეხლება.
ჩქარა, თორემ ხომალდი
ხიფათს გადაეყრება.
კაპიტანი ხმამაღლა
მითითებებს იძლევა:
- ყველა აფრა დაუშვით,
მალე შტორმი იწყება!

სათითაოდ მიმართავს
ბოცმანსა და იუნგებს.
უსმენენ და კაპიტანს
ყველა ერთხმად მიუგებს:

- შევასრულებთ ყველაფერს,
რასაც გვეტყვი, კაპიტან!
შენთან ერთად, იცოდე,
ყველა ხიფათს ავიტანთ!..

თამაშობენ ბავშვები,
თავშეყრილნი ჯგუფურად.
გემი არის ნაფოტი,
ოკეანე – გუბურა.

ვის რა აჩუქა თოვლის პაპამ

ზეიმია უღრან ტყეში,
ცეკვავენ და მღერიან –
შეიკრიბნენ ცხოველები,
თოვლის პაპას ელიან.

ნაძვი მორთეს, ათასფერად
ციმციმებს და ანათებს.
ნაძვის ძირში ალაგებენ
საახალწლო ბარათებს.

უხარიათ ხეზე ჩიტებს,
სოროში კი თაგუნებს:
- მალე მოვა თოვლის პაპა
და ჩვენც რამეს გვარგუნებს.

სწორედ მაშინ, ტყის საათმა
თორმეტჯერ რომ ჩამოჰკრა,
ატყდა ერთი ჟრიამული
- რა გგონიათ, რა მოხდა?

რისი სანტა, რა კლაუსი –
წამოვიდა თოვლი და
თეთრი წვერით, შავი ნაბდით
თოვლის პაპა მოვიდა.

მის გარშემო შეიკრიბა
ყველა, ტყეში ვინც არის.
ვის რა ერგო საჩუქარი,
აბა, გამოიცანით?

დათუნიას – განა თაფლი?
მისცა ჭრელი ბალიში.
მაინც სძინავს მთელ ზამთარს და
თათის ლოკვას არ იშლის.

მგელს აჩუქა რადიოლა,
- დამიფასებ ამაგსო,
ღამ-ღამობით რომ ყმუიხარ,
მოუსმინე ამასო.

ჩამოაცვა გრძელ ყურებზე
კურდღელს დიდი სათვალე
- ბაჭიები არ დაკარგო,
გაიკეთე, დათვალე!

კალათბურთის სათამაშოდ
ჟირაფს ერგო ბურთი და
ზღარბს – ძაფები ათასფერი,
ჯადოსნური ყუთიდან.

წიგნი მისცა ზღაპრებისა
მელაკუდა-მელიას:
- წაიკითხე არაკები,
შენ თუ გამოგელია.

ლომს აჩუქა მაკრატელი
- არ გამიწყრე ამაზე,
მეფე ხარ და დაგჭირდება,
ფაფარს გაილამაზებ.

სარკე მისცა მაიმუნს და
ტურას – ტუჩის საყვირი,
სავარცხელი – ოფოფს, ზებრას
ზოლიანი აღვირი.

სპილოს აძლევს კბილის ჯაგრისს
- დაიხეხე ეშვები!
ჩიტებს – ლამაზ პარაშუტებს
- ძირს ამით დაეშვებით!

საჩუქარი ჭრელ ხურჯინში
ყველასათვის აღმოჩნდა.
მერე ისევ ჩაყო ხელი –
მგონი, რაღაც გამორჩა...

ჰო, ახალ წელს, გაგონილა,
ტკბილეული არ იყოს?
რა თქმა უნდა, კანფეტებიც
უნდა ჩამოარიგოს.

მთელი ღამე ლხინი ჰქონდათ
უღრანი ტყის ბინადართ...
ხოლო დილით, თოვლის პაპა
თოვლში გაუჩინარდა.

გვანცა ჯობავა

კაბად დედამიწა მაცვია

კაბად ჩავიცვი დედამიწა,
თებში ჩავიბნიე მზე,
მხრებზე მოვიხვიე ზეცა -
სულის გაოცების დღე...

სარკედ მოვიმარჯვე ზღვა,
ყურზე დავიკიდე მთვარე,
ფეხზე ამოვიცვი მიწა,
ცრემლად წვიმის ემოცია ვღვარე.

ღამით მივაშურე ღრუბლებს,
სიზმრად დავათოვდი სამოთხეს,
თურმე სული სხეულს უძლეს,
ცდილობს ცოდვები არ წამოსცდეს.

დილით გამეღვიძა მთებში,
სახე მოვიბანე თოვლით,
ზვავად შეჯგუფული სევდა
თავზე გადამევლო გლოვით.

ასე უცნაურად შემოსილი,
მთიდან გავემართე ბარში,
თითქოს უსიცოცხლო, გრძნობაშემოცლილი,
მოვხვდი გვირილების ბაღში.

ფეხებმოკეცილი ვზივარ ყვავილებში,
ვცდილობ არ დავკუჭო კაბა - დედამიწა,
მალე ახლოვდება ზღაპრის დასასრული,
თორმეტს უკვე წამიც გადამიცდა.

გამომეღვიძა... მაგრამ დედამიწა
კვლავაც მაცვია ტანზე,
კვლავაც მიწითა მაქვს ფეხი შემოსილი,
კვლავაც მზე დამნათის თავზე.

მაგრამ გავა დრო და ჩემს ჩანაცმევ,
უქმად მიტოვებულ დედამიწას,
წვიმა ღვთიურ წყალში აბანავებს
და ჩემს ყველა ცოდვას შეაწმინდავს.

შემდეგ მოვარდნილი ქარი აიტაცებს,
ზეცის სარეცხების თოკზე გამოკიდებს,
მზე კი სიმხურვალით გამოაშრობს
და სხვა მეპატრონის ძიებაში სხივზე ჩამოკიდებს.

იცი, ჩემს ჩანაცმევ დედამიწას
მერე სხვა მოირგებს ტანზე,
და თუ ჩემი სული სხეულს გადაურჩა,
ვარსკვლავად აენთება ცაზე...

* * *

მთვარე დაბრუნდა არგათელილი ზეცის გულიდან
და დედამიწამ მოიხდინა ცალი საყურე,
შემომეპარა შენზე ფიქრის ანარეკლები,
ბეღურასავით ნამცეც-ნამცეც ესღა მაპურებს.

მთვარე მაპურებს, მიკლავს წყურვილს
უშენობიდან უშენობამდე,
ვსუნთქავ ზეცამდე და ვებრძვი სურვილს
სულის სიმშვიდის შეშლილობამდე.

მთვარე დაბრუნდა არგათელილი ზეცის გულიდან
და შეეფეთა ჩემი გულის მშფოთვარე ტალღას,
გამინაწილა ნაგვირილარი საბნის სიმშვიდე,
მიმაძინა და არ მაცალა სიცოცხლით დაღლა.

მთვარე დაბრუნდა, ჩამოეღვენთა ჩემს ფანჯარას
სანთლად, ლოცვებად,
და დამირწია ზეცის აკვანი, დანაწევრებულს
ცრემლად, ცოდვებად.

ვრჩები უშენოდ არგათელილი გულის იმედად,
დილა თენდება გვირილისფერი, იისფერი, სევდიანი
და თქმას გიბედავ...

მე მოვიწყინე
უშენობიდან უშენობამდე
და ვიფერფლები...

თუმცა სიზმარია სიცოცხლის
ბოლო ჩასუნთქებამდე
ეს ფორიაქი - მთელი ცხოვრება,
მეტად საშიში გამოღვიძებით საიქიოში,
როს სათუოა სულის ცხონება...

სევდიანია დედამიწის გადმოსახედი

აბობოქრებულ დედამიწას გავეთამაშე,
გავუზიარე ტკივილების კორიანტელი,
ისე მოთოვა ჩემი სევდით შეწუხებულმა,
რომ მე არასდროს არ მინახავს თოვლი ამდენი.

მთელი ზამთარი ერთიანად გადაიბარდნა,
სევდიანია დედამიწის ყოველი კიდე,
და მეფერფლება დედამიწის წუხილი - თოვლი,
თითქოს უფალი ცის თაღიდან თეთრ დარდებს ყრიდეს.

სევდიანია დედამიწის გადმოსახედი,
რაც მოწყენილი ქრისტეს სულის პეიზაჟია,
ჩემი წუხილიც უსაზღვროა ამ ჰორიზონტზე,
ცოდვილი სულის მტკივნეული მონახაზია.

სევდიანია დედამიწის გადმოსახედი,
მოპყრობილი აქვს სევდიანი უფლის თვალები,
ჩამოეღვენთა ცრემლიც. მიწის სივრცეებს
ანგელოზებმა დააბერტყეს თეთრი დარდები.

მომენატრები, მამაო!

მომენატრები, მამაო,
გეფიცები, მომენატრები,
მაგრამ ეს წუხილი არის ამაო.
მალე თვალთახედვას მიეფარები,
ჩემი ერთი სუნთქვა მინდა გაგატანო.
ცრემლი შეგიგროვო წვეთებად,
იქვე ჩემი გულიც მიითვალე,
გადაასკეცებულ ფეთქვებად.
უკვე მეორეჯერ ვრჩები მარტო
და მხსნელს ვეძებ უკვე მესამედ
და შენს დაბრუნებას უკვე ვნატრობ,
გნატრობ ჩემი სულის მესაჭედ.
იდგა დეკემბერი, როცა გაგიცანი,
შობის მარხვამ ფერი მიცვალა
და ამ სააღდგომო მარხვის დასაწყისში,
სულმა ღმერთი მეტად იწამა.
ეს კი შენი ლოცვის ძალისხმევით,
თაფლის სანთელივით ტკბილი სიტყვებით.
ვფიცავ, დავიხსომებ შენს სიყვარულს,
მუდამ ჩემს სივრცეში იქნები.
მსურდა ჩემს სევდაზე მომეყოლა,
მეთქვა რომ უფლამდე ხიდი ხარ,
მაგრამ ვერ შევძელი...დღეს კი გვიანია,
დღეს შენ სხვა მხარეში მიდიხარ.
გემშვიდობები მამაო,
მთელი წლებით გემშვიდობები,
შენთვის ვილოცებ მამაო
და გთხოვ, შენც დამითმო ლოცვები.
უცხო ქვეყანაში მიდის მამაო,
თავის ხალხის შემწედ, მეგზურად,
ღმერთო შენ უშველე ჩემს მამაოს,
იქნებ მასზე თავად გეზრუნა.
მე კი მეტირება...
და თუ დამივიწყებ
და თუ ხელს გამიშვებ,
ვფიცავ, მეტკინება.
მამაო...
მალე გაზაფხული გაიაპრილებს,
ქრისტე ჭეშმარიტად აღსდგება.
მჯერა, რომ ოდესმე, ნააპრილევს,
ჟამი დაბრუნების დადგება.

ზეცის კიბეზე

დაღამდა... ქალაქმა დაიძინა
და დაემსგავსა სევდას, მელანქოლიას...
მეც ვდუმვარ ქალაქივით და ვოცნებობ მზეზე,
რომელიც ჯერ არ მქონია...

შუაღამეა... თორმეტი შესრულდა,-
მამცნეს ეკლესიის ზარებმა,
და კვლავ მომეპარა ფრთხილი ნაბიჯებით
ჩემი ღამეული ზმანება:

ავრბივარ ზეცის კიბეზე,
მაცილებს დედის ლოცვები,
რაც უფრო ვშორდები მიწას,
მით უფრო მეტად ვოცდები.

ავდივარ ასე, დაუსრულებლად,
ფილტვებში აღწევს ზეცის სურნელი,
და ეს არ არის გარდაცვალება,
ეს არის ოცნება, რომელსაც სულ ველი:

დიდი ხნის შედეგ, როცა დადგება
ჟამი მიწისგან დაშორებისა,
გულში ჩამიკრან უფლის მკლავებმა
და მიხსნან მასთან განშორებისგან.

დღეს კი დავდივარ მიწის ლაბირინთში,
დავეძებ ღმერთამდე მისასვლელ გზას,
თუმც ჯერ არ მინდა გარდაცვალება,
თუმც ჯერ არა ვარ ამისთვის მზად...
(ეს მე არ მინდა, ღმერთს კი რა ვიცი...).

დაღამდა... ქალაქმა დაიძინა
და დაემსგავსა სევდას, მელანქოლიას...
მეც ვდუმვარ ქალაქივით და ვოცნებობ მზეზე,
რომელიც ჯერ არ მქონია...

ქეთი დიდიშვილი

ვიფიქრე, ვიფიქრე და დავდებ...
არ ვიცი, რამდენად საუკეთესო ხუთეულია, ალბათ - არა. ამ წუთას, აი, ახლა, ვარ სწორედ ასეთ განწყობაზე და მხოლოდ ამიტომ...

თებერვლის საუნდ ტრეკი

ამეკვიატე როგორც სათქმელი,
რომელსაც ზოგჯერ გულდაგულ ვმალავთ
და ყველა ჩრდილი, ყველა ნათელი,
როგორც გრაფიტი გრაფიკულ ნახატს,
ფიქრებს დამიშლის შავ-თეთრ შტრიხებად
და უშენობას დამადებს ვალად.
გარეთ კი, გარეთ თოვლია ისევ
და თებერვალიც ქარებს იჩემებს,
თავშალს ისწორებს მოხუცი ქალი,
თან უხერხულად მალავს ცივ ხელებს
თხელ სახელოში და სიჩუმეა...
შუშაბანდებში გაკიდული ჭრელი სარეცხი
მიყვება ამბავს ერთფეროვან სადაგ დღეების,
ქარის ზუზუნი, ჩანს, თებერვლის საუნდ ტრეკია
და თითქოს თოვლიც საგანგებოდ საჩემოდ მოდის...

ამ ლექსს სათაური ვერ შევურჩიე, პირობითად ,,მეძავის აღსარება" დავარქვი, თუმცა მეძავთან არაფერი საერთო აქვს, უფრო საზოგადოების გამოწვევაა, ან საყვედური, არადა, ასე ხომ ვერ დავარქმევ. უსათაურო...

*** * ***

ისე მითხარით:
-გთხოვთ, შეიმოსოთ!
და მომაწოდეთ ერთფეროვანი პატიოსნების
მოსაწყენი გრძელი ლაბადა,
თითქოს გუშინ თავად არ მხდიდით...

საოცარია, განა გუშინ თავად არ მხდიდით
გულმოდგინებით, ნება-ნება და ნეტარებით,
როგორც პატარძალს საქორწილო ქათქათა ფატას?..

მე კი სულელემა, გულწრფელობამდე გაშიშვლებულმა
კაბის მაგივრად გადაგიკიდეთ შირმაზე ლექსი -
როგორც ცოდვილი პატიოსნება
და ხორცის ნაცვლად
შემოგწირეთ ზვარაკად ღმერთი -
ათი მცნება,
ცხრა ნეტარება...

სემირამიდას დაკიდებულ ბაღში გავცვალე
სამოთხის ბაღი
და ჩადრის ნაცვლად ავიფარე
თქვენი თვალების უტიფარი, თავხედი მზერა...
ისე გავცვალე ეგვიპტეზე აღქმული მიწა,
არც მინანია...

რამ დაგაბნიათ,
მზით ფერდაკრული ხორცის სიშიშვლემ,
თუ სითამამემ?!
ჩემი არსების კვლავშემოსვა
რად განიზრახეთ,
განა გუშინ თავად არ მხდიდით?!

უფალო!

ყოველთვის, როცა შემოდგომა
მენატურე ქალივით დინჯად
იხდის სამოსს და ბედავს ლოცვას,
შემოდის ჩემში სინანული -მაგდალინელი
და სენი -სევდა,
სევდა, რომელსაც ნოემბერი ქარდაქარ იხდის
და ტოვებს კართან,
კართან კი უკვე, რა ხანია, არავინ იცდის,
მხოლოდ ღამე თუ ამუნათებს შემთხვევით გამვლელს

და ჩუმი შიში აყოლია ქარის ფორიაქს...
მე მიყვარს ქარი, თვალღია და უძირო ღამე,
ჩემი სარკმელი -გამჭვირვალე
და დედამიწა,
სადაც, ვიცი, მრავალჯერ ვცოდე,
და მე არ მინდა ავიფარო სახეზე ჩადრი,
მე ველი სტუმარს,
თავსასთუმლად ვუდებ ბიბლიას,
ვუთბილავ ფეხებს
(ნელსაცხებელს ნარდის სუნი აქვს),
და ცრემლებს, როგორც წამოცდენილ
შემთხვევით სიტყვებს მუჭებში ვმალავ...

მე ვტირი, რადგან ნელსაცხებელს ნარდის სუნი აქვს
და ქარი ფარდას უგზო-უკვლოდ მიაფრიალებს
და მეც მივყვები აყოლილი ქარის ფორიაქს
თეთრი ფრანივით საოცნებო მირაჟისაკენ,
მე ვტირი, რადგან...
ყოველთვის, როცა შემოდგომა
მენატურე ქალივით დინჯად
იხდის სამოსს და ბედავს ლოცვას,
შემოდის ჩემში სინანული -მაგდალინელი
და სენი -სევდა
საცალფეხო ბილიკებივით
შენით
შენამდე...

,,პარანოია" უბრალოდ მიყვარს...

პარანოია

გაშალე ხელი,
სიმსუბუქე იგრძნონ მკლავებმა,
გასწავლო ფრენა...
დახუჭე თვალი და იგრძენი ფრთები ბეჭებზე...
იცეკვე ისე, ვით ცეკვავდა სალომეია,

ნათლისმცემელში მისი ცეკვა როცა გასცვალეს...
გაშალე ხელი...
ნუ იფიქრებ ოღონდ ამინდზე,
ვიცი, ელია ელვის მათრახს ცაზე აკვესებს,
მინდა იცოდე, თამამი ვარ მე დღეს ძალიან,
ელვა კი არა, თვით სიკვდილიც ვერ შემაჩერებს...
გაშალე ხელი...
ჩაგიბნიო თმაში სხივები,
ან ვარსკვლავები - მოციმციმე ქრიზანთემები -
ღამის ცრემლები და სამყაროს უსაზღვრო სევდა,
ოღონდ ამისთვის მე ჩამხედო უნდა თვალებში...
დავიმხოთ თავზე,
გადმოვბერტყოთ სარჩული ზეცის,
მე კაბის კალთას ავიკეცავ და შიგ ჩავიყრი
მარგალიტების ქინძისთავებს, ალმასების წახნაგთა ელვას
(გულის მაგივრად ალმასები თუ არ ჩავისვი,
როგორ გავუძლო უსაშველო ამ ღამისთევას),
გამომიჩნდება კალთააკეცილს მუხლისთავები
და ვარსკვლავებზე მოხტუნავე შიშველ წვივებით
აგიყოლიებ, გაგიტყუებ მეცხრე ზეცამდე,
იქ სიყვარულის სამუდამო სამფლობელოში
დავიკარგებით ლაბირინთში ,,ირმის ნახტომის"
და მეცამეტე მზის სისტემის პლანეტა X-ზე
გადავიქცევით მოზეიმე თავდავიწყებად
და ამ სამყაროს უსასრულო მონატრებაში
ჩვენ ვიქნებით ნათელი სევდა
- მოხეტიალე და უსაზღვრო ბედნიერება...

მერე კი ისევ დაღამდება,
ამოვა მთვარე
და დაიწყება ყველაფერი ისევ ახლიდან:
- ჩამჭიდე ხელი,
წაგიყვანო დედამიწაზე...

ეს მოსწონთ...

მე და შენ. იაპონური ჩანახატი

როგორც აგვისტოში წითელი მოცხარი
ელვარებს საყურე,
თითქოსდა აფეთქდა ცისფერ კიმანოზე
ნაქარგი საკურა,
შენ თუ კი ინატრებ, მე, რაღა თქმა უნდა,
მოგართმევ საკესაც
და აღარ გაგიბამ ავყია ცოლივით
ჭორმრავალ საუბარს...

მთვარის ათინათი მაცდურად ლიცლიცებს
გაღებულ სარკმელზე,
ღამეს რახანია შეხსნია საკინძე,
როგორც ოწინარი ჭაში ჩაშვებული
თვალები დახარე
და ღამის უბეში შვეულად ჩაჰკიდე...

და სხვა არაფერი...
უმანკო მზერით და ასკეტის იერით
მე კვლავ წაგიკითხავ ტანკას და ჰაიკუს,
მხოლოდ გამამხელენ სუნამონაპკური ცისფერი კიმანო,
მხურვალე საკე და
წითელი მოცხარის ელვარე საყურე...

გივი ალხაზიშვილი

ამ ლექსებს ერთმანეთთან ანათესავებს დრო - 70-იანი წლები და მინიმალიზმი. ჩემთვის ვიქრობ: შემომრჩა თუ არა რაიმე ამ ლექსების სტილისტიკიდან?! რაღაც კი, მაგრამ რა, ამაზე ახლა არ ღირს საუბარი, მითუმეტეს, რომ ვხდები მხოლოდ შორეულ მინიშნებებს, მაგრამ ეს შორეული ნათესავები, ოდესღაც ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო. ახლა ჩენი ესთეტიკა სრულიად განსხვავებულია და ეს წლების მანძილზე ჩამოყალიბდა. მინიმალური წვლილი მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ალბათ, ამ ლექსებმაც შეიტანეს, თუმცა მათი გავლენის კვალის შენიშვნა უცხო თვალისთვის თითქმის შეუძლებელია. თუმცა,

იქნებ ვცდები კიდეც და უცხო თვალი უფრო ამჩნევს მსგავსებას, ვიდრე შეჩვეული მზერა.
შევეცდები მომავალში სხვა ხუთეული შემოგთავაზოთ და სხვა ნიშნით შევარჩიო.

* * *

თოვლმა წაშალა
მეზობლების სადავო ღობე,
ბილიკი,
ღელე,
საფლავის ჯვარი.

ტყეში

მე მიმატოვეს უსიერ ტყეში
და იმ დაკარგულ გზას დავეძებ,
რომლის დაკარგვაც ოდესღაც მსურდა.

* * *

თითქოს უხილავ კლავიშებზე
მივდივარ ფრთხილად
და ყოველ ნაბიჯს
ეშინია საკუთარ ბგერის.

* * *

აყვავებული ცაცხვის სურნელი
ისევ მახსენებს
ბავშვობის დღეებს.
როცა თელავის სასაფლაოზე,
დამალობანას თამაშისას,
სულ პირველად გავიფიქრე:
 - მეც შეიძლება მოვკვდე!

იქვე, საფლავზე,
დედაბერი გამხმარ მიწას აფხვიერებდა.
დედაბრის ხელი
მიწისფერი იყო იმდენად,

რომ მოძრაობა განასხვავებდა
ხელს მიწისაგან.

აყვავებული ცაცხვის სურნელით
გაჟღენთილია დღეს ჩემი ქუჩა.

1974

* * *

ბროლის ლარნაკში
სათბურის ვარდი -
გაცვეთილია რითმა და დარდი.
ყალბია მზერა,
ყალბია ნოტი,
ხელოვნურია ნაძვის ხის ტოტი.
და ყოველივე, რაც ასე მბოჭავს,
ბავშვის თვალებში ზღაპრულად მოჩანს.

1973

ისიკავა ტაკუბოკუს

რა გვიან მივხვდი,
რომ ის კიბე,
რომელზედაც ავდიოდი მრავალი წელი,
კიბე კი არა,
ერთადერთი საფეხურია.

ერთი რამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, კერძოდ კი ის, რომ 70-იანი წლებია და ვცდილობ 60--იანელებისგან სრულიად განსხვავებით ვწერო, არ მოვხვდე მათ სტილისტურ ტყვეობაში. 1972

P.s.

მე შეგნებულად ამოვარჩიე ლექსები დებიუტიდან და დანარჩენებს გვერდი ავუარე. რამდენადაა ეს ლექსები ჩემი რჩეული დავას არ უნდა იწვევდეს და ჩემს ერთჯერად დამოკიდებულებას გამოხატავს. მეგონა, რომ სხვა ხუთეულებიც იქნებოდა და ასე იმიტომ მოვიქეცი, მაგრამ ასეც არაფერი შავდება. ჩავრჩები სამოცდაათიან წლებში, თითქოს აქეთ არაფერი გამიკეთებია. ზოგი მაინც ასე თვლის, რადგან მას მერე არაფერი წაუკითხავს ჩემი და ორმოცი წლის წინანდელი შთაბეჭდილებით კმაყოფილდება და მაფასებს. აი, რას ვგულისხმობდი, როცა ვსაუბრობდი ყავლგასულ "სპისოკებზე" და კიდევ იმაზე, რომ ერთმანეთის შემოქმედებას არ ან ცუდად ვიცნობთ პროფესიონალებიც კი, ახალგაზრდებს არ ვგულისხმობ. ვიღაც ჩარჩა დებიუტში, ვიღაც განვითარდა დროთაგანმავლობაში. ამ სხვაობებს არავინ ამჩნევს და საამისოდ არავის სცალია. არც არის გასაკვირი, რადგან ზოგადად პოეზიაა დაწუნებული ამ დროში და ნიუანსებზე ვინ იფიქრებს, თითო-ოროლა ტვინგახურებულის მეტი?!

განსხვავებით დამწყები ავტორებისგან, მე მაქვს რამდენიმე ხუთეული, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული სტილისტურად, თემატურად, პროსოდიულად და ეს იმიტომ, რომ პერიოდულად ვიცვლები და იცვლება ჩემი ლექსები. რაც წარმოვადგინე მხოლოდ სამოცდაათიან წლებს ასახავს. სულ ესაა და ზოგად რჩეულს არ წარმოადგენს.

მარი ჩიკვილაძე

ეს ლექსი იმიტომ რომ ძველ "ებლიტფოზე" ძალიან მოეწონათ, პერსონალური გვერდიც გამიხსნეს ამ ლექსით და ალმანახ "თაობების" მეორე ნომერშიც დაიბეჭდება, პროექტით "ყველაზე უფრო".

ყოველთვის როცა

ყოველთვის, როცა ჩემთან მოდიხარ,
ჩემი გულის ცემა, დილით,
ეკლესიაში დარეკილი ზარის მსგავსად,
მთელ ქალაქს ესმის...
და ვენდობი შენს გამოწვდილ ხელებს,
ისე, როგორც ხეივნის ჩრდილში დაკიდულ ჰამაკს;
მერე ჩემი გულიდან გაფრინდებიან ჩიტები,
მუდამ რომ მწიწკნიან და მკორტნიან,
და მე ვრჩები შიშველი ხესავით...

ყოველთვის, როცა შენი ხმა მესმის,
ჩემი სხეული,
სახელდახელოდ აგებულ ქვიშის პირამიდებს ემსგავსება,
მერე ვიშლები და მიწას ვეფინები...
ყოველთვის, როცა შენს თვალებს ვხედავ,
სიმაღლის მეშინია...
არ მინდა ცაში...
და ზუსტად ვიცი რომ არასოდეს ვიქნები მზე,
რადგან უშენობას ვერ ავიტან და...
არ მინდა დაგწვა...

ყოველთვის, როცა ჩემგან მიდიხარ,
მე ვინახავ შენს ნაბიჯებს,
ახლა შემიძლია გავზომო მანძილი
პლიუს უსასრულობიდან - მინუს უსასრულობამდე...
მერე აღმოვაჩენ რომ ამ ქვეყნად მხოლოდ ყინულის ქანდაკება ვარ,
სითბო და სიყვარული არ შემიშლია...
მე დნობას ვიწყებ...

და რომელიმე შეყვარებულის
გულწასული თვალების
მოსასულიერებლად,
მდუმარე სევდით
ჩამოვგორდები
ფერწასულ სახეზე...

ეს იმიტომ რომ ლიბ.გე-ზე მოეწონათ, იქ ჩემი მხოლოდ ეს ლექსი დევს.

გადამარჩინე

გადამარჩინე...
წამიყვანე შენთან, სადმე შორს,
თორემ ამ ქუჩის მტვერი სულში მათოვს და მყინავს,
ეს დამტვერილი ოცნებებიც კარგავენ ძალას,
გადამარჩინე, თორემ მტვერი ყველაფერს მპარავს...
გადამარჩინე...
წამიყვანე...
უფსკრულთან ვდგავარ,
მტვრიან ქარიშხალს ველოდები თვალის ცეცებით,
გადამარჩინე თორემ ქარის მოტაცებული,
ამ მტვერში გზას ვერ გავიკვლევ და დავილეწები.
გადამარჩინე თუ გიყვარვარ,
თუ გინდა ჩემთან,
მიდი და სთხოვე უფალს, ქარის ჩადგომა ბრძანოს,
თორემ ამ მტვერმა სულ წამართვა ხედვაც თვალიდან,
და ჩვილი ბავშვივით ფეხის ადგმას ვიწყებ თავიდან...
გადამარჩინე...
მე ამ მტვერმა მონად მაქცია,
და როგორც მონას,
მეც მტვრიანი კაბა მაცვია...

ეს იმიტომ რომ ძალიან მიყვარს...

პატარა ვარ და რა ვუყო

პატარა ვარ და რა ვუყო,
ვერ ვიტევ გრძნობას ამ ღამით,
თუ ვერ ვეყოფი სამყაროს,
დამაქუცმაცეთ, დამყავით...

გუშინ ამანთეს სანთლებად,
დღეს ფარდასავით დამკიდეს,
დედოფლად ყოფნას ვნატრობდი,
მონასავით კი გამყიდეს.

პატარა ვარ და რა ვუყო,
ვერ ვჯობნი გრძნობას არეულს,
თუ დღისით არსად გამიშვებთ,
დავემსგავსები მთვარეულს.

ავმეტყველდები მუნჯურად,
აღარ ვიქნები ჟღერადი,
შავებს ჩაიცმევს ზეცა და
წვიმა წამოვა ფერადი.

პატარა ვარ და რა ვუყო,
ვერ ვიტევ გრძნობას ამ ღამით,
თუ ვერ ვეყოფი სამყაროს,
დამაქუცმაცეთ, დამყავით...

ეს კი იმიტომ რომ არც ისე პატარა ვარ...

პატარა კი ვარ მაგრამ არც ისე

როცა საყვარელს ვეფერები, ვგავარ ყაყაჩოს...
და ყაყაჩოსფერ ლოყებს მალავს შენი ხელები,
როცა სიტყვები თავმომწონედ მინდვრად ყოყოჩობს,
მე არასოდეს, არასოდეს გეპირფერები.

როცა სიზმრებში გადახლართულ თმებს ამიწეწავს,
ქარივით ძლიერი და მდუმარე შენი თვალები,
მაშინ მაცნობებს დედისერთა, გულის გზავნილი,
მე სიყვარულის აბლაბუდა ქსელში გავები...

და ვერ მიშველის ვერც წვიმად ქცევა, მე ხომ მარტო ვარ,…
და ისევ მიყვარს მარტოს ცეკვა მზით დამწვარ გზებზე,
ბოშა ქალივით ჩამოვივლი ქუჩებს ხალისად,
ჯიხვისებური სიამაყით შევდგები ცერზე.

როცა მაკოცებ გთხოვ დახუჭე მზერა მაგ თვალთა,
მე სირცხვილისგან დამწვარ და დამჭკნარ ვგავარ ნარცისებს,
რომ არ შენიშნო ჩემს თვალებში იდუმალება,
მე პატარა ვარ, ხო, პატარა ვარ, მაგრამ არც ისე...

არ მითხოვია

არ მითხოვია - ჩემთან მოდი,
თავად მოხვედი...
თავად ინდომე ჩემი გულის დაპატრონება,
არ მითხოვია - მომიწყვიტე ციდან ვარსკვლავი,
შენ თავად გსურდა მოგერთმია მთელი ქონება.

არ მითხოვია - ვიყინები, ხელებს გამითბობ?
შენ მოინდომე გეგრძნო ჩემი ხელების სითბო,
არ მითხოვია - ჩამეხუტე და არ გამიშვა,
არ მითხოვია, და მე დღემდე არაფერს ვითხოვ.

არ მითხოვია - ერთხელ მაკოცე,
ვიყავი ჩუმად,
ფრთხილად შემეხე, გადამიწიე სახიდან თმები,
მე თვალებდახრილს შენი გულის ცემა მათბობდა,
შენ გაღიმებულს გაოცებდა ჩემი თვალები.

არ მითხოვია - გამიღიმე,
თავად მიღიმი,
ჯიუტი ბავშვის ფრთხილი კოცნა საჩუქრად მიგაქვს,
არ მითხოვია - ჩემი გულის კუნჭულში დარჩი,
შენ ჩემში, ჩემგან უკითხავად დაიდე ბინა.

არ მითხოვია – დამიბრუნდი,
და ამას არც გთხოვ,
რადგან მე შენი დაბრუნების ისედაც მჯერა,
ჩვენ უხილავი ძაფებით ვართ გადაქსოვილი,
და ამ ძაფს ვერვინ შემოგვარღვევს,
ვერა და ვერა.

ნინო ნიშნიანიძე

გაფრენამდე

მე ამ ყველაფერს ავრევ და
გოგლიმოგლივით შეგაჭმევ კოვზით,
გააღე პირი და გადაყლაპე:
გაქცევა დასრულდა.
გაქცევა ,რომელშიც არ ამყევი.
სანამდე?
იქამდე,
სანამ ადამიანები შიშივლები რჩებიან,
გარეთ კი გაკიდებული ზოლებიანი მაისურები დაჭერობანას თამაშობენ ქართან,
იმიტომ რომ ადამიანებმა ვერშეძლეს სამოთხის დაბრუნება ,
ან ახალი ბაღის აშენება ვერ მოინდომეს,
რა გახდა ეს ყველაფერი?
მე აშიშინებული ტელევიზორივით მოსაწყენი გავხდი,
იმ მაღალი საზოგადოებისათვის,
რომელმაც ვერა და ვერ გარისკა ჩემთან დანათესავება.
მე,რომელმაც გაფრენამდე ერთი წუთით ადრე შევნიშნე ,
რომ ფრთები არ მქონია და ავიშალე...
რატომ არ წამომყევი ქაჯო ტყეში?
შენ რაც გეგონა მისთვის კი არა ,
ქოხი რომ აგვეშენებინა და
აკვარიუმის ჭყარტალა თევზების ნაცვლად ,
მდინარის ველური ლიფსიტების გაზრდითვის გვეცქირა
ქაჯო!!
მე ამ ყველაფერს ავრევ
და გოგლიმოგლივით შეგაჭმევ კოვზით,
რათქმა უნდა დოზის გათვალისწინებით,
ისე რომ არ შემიწუხდე,
აჰა ,მზადაა ეს ყველაფერი ,
გააღე პირი და გადაყლაპე!

ომიდან რომ დაბრუნდები

დილა დამალული მკვლელია საყვარელო,
შენი კოშკი დამინგრია,
მარტო რომ დამტოვე,
აქ დამელოდე, სანამ ომი არ დამთავრდებაო...
მარტო დავრჩი...
შენ ცისფერ კოშკის საძირკველში შევძვერი,
დავიბუდე
და შავი ქოლგა წამოვიფარე თავზე,
ფერადი არ უხდება ლოდინს...
შენი კოშკი სულ დაიმსხვრა საყვარელო,
ვაწებებ ერთმანეთზე ცრემლებივით დამსხვრეულ ბროლს...
დილა თეთრი დედაბერია,
თვალებდაქაჩული დამიკაკანა
ნუ შეიშალე მთლად ქალოო!
დილა უხეშია საყვარელო!
თავის ისრიმა თვალები ჩემსას გაუყარა და
დამიყვირა : არ დაბრუნდება შენი საყვარელიო!
მზეს შეხედე თვალებში,
მზე სიმართლეაო სინათლესთან ერთად.
რას უყურებდი მზეს შუშიდან,
რატომ აფერდებდიო,
კოშკიდან მეც კი გელამაზებოდიო.
მეშინია მე მზის საყვარელო!
მოდის დილა ყოველთვის და მანგრევს,
მე კი მაინც გიშენებ კოშკს,
რომ დაბრუნდები ხომ უნდა დაგხვდეს საყვარელო.
კერას ხომ არ გაგიცივებ საყვარელო,
შავ ქოლგას რომ გადავაგდებ საყვარელო,
შენ რომ მკლავს გადამაფარებ,
ცივი ქარისგან რომ დამიცავ,
ავი თვალისგან რომ დამიხსნი.
ცივი დილის მეშინია მე
და პირდაპირი მზის!
რომ დაბრუნდები დავამთავროთ ერთად კოშკი
და იქედან ვუყუროთ მზეს.
ანდა შენ რომ დაბრუნდები
მერე რაღად მინდა იგი?

დილამ მითხრა ომი დამთავრდაო,
ომი არც ყოფილაო,
ომში არც წასულაო და ვის უცდი შენო.
ქოლგა გამიხუნდა საყვარელო.
მალე მოთოვს.
დილა მოფუთფუთებს,
ჩემთვის თეთრი თოვლი მოაქვს,
კისერში უნდა ჩაგაყაროო,
შუბლი უნდა დაგიზილოო,
სიზმრისას უნდა გამოგილოცოო,
რას დამიტოვე ეს თეთრი დილა საყვარელო!
წუნკალი დედამთილია
მზე -გაბუსული მამამთილი!
კოშკიდან გამომაგდეს.
ჩემი ქოლგა აღარ ვარგა!
სადა ხარ კაცო? სად დაიკარგე?

მზე და პეპელა ანგელოზები

როცა გვინდა რომ მზე გვქონდეს,
ვაგდებთ შემცივნებულ ანგელოზებს სულებიდან,
ცივად, მოძულებულ სინაცრისფრით,
დაღლილი ღიმილით,
აუცილებლად რამის ჩადენის სურვილი
გვიღუტუნებს მზის სხივებად სულებში,
მზის გულზე დიდ პეპლებად ვჩნდებით,
გახურებულ ფრთებით მზეს თვალებს ვახატავთ,
მხოლოდ ამ თვალებს შეუძლიათ პეპლები უკვდავები გახადონ,
ჩვენ არ გვყავს თბილი და შემნდობი ანგელოზები გულებში;
სიწმინდე კი დაავიწყდათ რას ქვია,
და ოჰ, ეს ნაცრისფერი ადამიანები, როგორ გვაძულებენ მათნაირობას
და როგორ არ მინდა ვწერდე ამას, მაგრამ გავფრინდი...
ნახე როგორია ფრთები?
ნახე,აქედან არც დაწყება შეიძლება და ვერც დავმთავრდები,
მე სულ ვარ, მე სულ ვარ,
ის არ არის,არ ვცნობ მე უსინათლო სულებს!!
შენ არ იცი, სიმშვიდეს მხრებიდან როგორ გადააქვს სინათლე სულში,
როცა მზეა და ანგელოზები წასვლას ტირიან..

წარმოდგენები

შენც შემიყვარე და მე გაქცევას გასწავლი
იცი? მე ერთხელ გავიქეცი წითელი ფეხსაცმელებით..
შენც შემომიშვი და გაიგებ როგორ სცივათ მერე..
რის მერე?
აი ,ყველაფერი რომ ჩანს და არფერი გრჩება..
ნაზამთრალ სულს რა გაალღვობს ბავშვო?
მე არ შემიძლია კვირტების გამობმა,
შენი ჩურჩულისთვის გაუხეშებულია ჩემი სმენა,
ნუ მასწავლი ცეკვას!
შენი რიტმი უცხოა, ჩემი სასაცილო,
შენი მზერის მერე სიცხეს ვთამაშობ,
შენი ხელები მთავზობენ ფეხსაცმლის გახდას
და საერთოდ გადაყრას ადგილზე დარჩენის მიზნით..
. . . . . .
შენ მიყვები ლეგანდებზე
და რომ ავტომობილები ჯერაც მფრინავი რაშებია..
რომ ჩვენი კომპიუტერები ჯადოსნური სარკეები,
რომ ჩემი მეზობლის კატა ჩემი მეზობელია,
ღამით ხმაურს თუ ვაპატიებთ აღარ დაგვკაწრავს,
რომ შენი სახლი ზღვაა და დელფინებს არ შეუზლიათ ფიზიკური სიყვარული ,
რომ ყველაზე მეტად მე მოგწონვარ რაც დედამიწაზე ადამიანი ნახე,
იმიტომ რომ ერთ დროს კიბორჩხალა ვიყავი და სიყვარულისგან შემოგეჭამე
და რომ ზღვა ჩემი ქვეყანა არაა, არაუშავს .
შენ შეგიძლია დაბრუნდე ზღვაში და
მე უნდა შევძლო ბადით შენი დაჭერა,
მერე სამი სურვილი გთხოვო:
შენ ისწავლო მიწაზე ცხოვრება,
მე დავბრუნდე სახლში და
ჩვენ შევძლოთ სხვების დანახვა,
როცა ასე ადრეა სინანული..

ალექსანდრას!

თაფლისფერი თვალები გაქვს, ალექს!
ჩემი ტანსაცმელი გაცვია და ცას ასცქერი,
მაჩუქე იქ ნამყოფი შენი მზერა-
წამომყევი ტყეში!
იქ,სადაც ყველას ეშინია გამომყვეს,
მინდა გამოვიძახო ქათმისფეხება ჩემი სახლი
და გაგაცნო დედაჩემი..

დედაჩემი სახლიანად დაეხეტება,
გუშინ წერილი დაწერა სათვალიან მამაზე
და გაუგზავნელ წერილებთან ააშრიალა..
ის ცოცხზე მსვამს
და იქეთ მიშვებს
-შენ რომ იხედები..
დედაშენს კი დიდი ტელესკოპი აქვს და
მაკონტროლებს რომ არ მოგიპარო,
გზაში ულტრა- კივილს მაწევს:
\"დაბრუნდი, ქუდი დაგრჩა\"
და მე არ მესმის,\" ქ\" თუ \"კ\".?..

ბოტკინიანი მთვარის დროს-
მე მავიწყდება ერთადერთი \"შენ\".
ეს ხდება
როცა დედამიწაზე შემოდგომდება
და ცხენებს მთვარეზე ოქრო მოაქვთ-
ზარი რომ ჩამოვადნო....
მე მიყვარს ოქრო სხვების დასაძახებლად,
გეძახი:
-ჩემი ოქრო ჩემთან მოვა!

მოდი,
ვაჩუქოთ ერთმანეთს-
ბავშვობაში ერთხელ ნანახი \"ბალოტნი\" ბუშტები,
მოვიგონოთ კარსლსონი მეზობელ სახურავიდან..
ძველი მეზობელის კომკავშირული სითბოც მოვიგონოთ..
შევღობოთ სახლი
და საზღვარზე გავაკეთოთ გრაფიტი

\"მედეას დედას ....\"
და ჩვენი სახლი
გადავღობოთ ეკლით
არა კვერცხის ყუთებით

წითელ წარსულიანი ბავშვების სახლს გავუმიჯნოთ...
აღარ გვინდა მათთან თამაში
ჩვენ გავიზარდეთ...

ალექს!
შენი სახელი სხვა ქვეყნიდანაა,
შენი სახელი ყველამ იცის ,
ჯერ არ გიცნობენ..

გახსოვს,
მერხს როცა ვუჯექით ?
გაზაფხულს ჩვენთვის ბომბების ხმა როგორ მოჰქონდა!
და მე მეგონა, სწორედ ეს იყო გაზაფხული
და მე ვფიქრობდი,
რომ მამაჩემიც ასე ისმენდა ბომბებს ,როცა ამ მერხზე იჯდა,
და მე მიკვირდა,
რატომ ვერ შეძლო მამამ ამდენხანს შეეცვალა რამე,
დღეს ჩემი შვილი იმ მერხს არ იცნობს ,
იმიტომ რომ მე ვერ შევძელი ,
ხოლო
მამამ არ იცოდა...

მე მჭმუხნიდა შენი გაგუდული ქვითინი...
მერე ერთ-ერთი მაგიდიქვეშა ტელე სეანსის დროს,
შენ რომ ლიგინში დამჯერედ და მშვიდად გეძინა,
მკვდრებით დაპრესილ მოედანზე -
ჩემი წითელი კაბა ვიცანი,
კაბა,ბებომ რომ შემიკარა
და მაშინვე ლტოლვილ თამუნას ვათხოვე,
შემოვარდი ლოგინში და მაგრად მოგეჭიდე
-\"არ გაიღვიძო გოგო\"ს ძახილით;
ალექს, არ გვინდა!..
თქვი ალექს,მეც ხომ მეძინა, რა!!!

ჩვენ ერთი ბავშვობა გვქონდა და საერთო ბებია გვყავდა,
საერთო სხვა არაფერი...
ის გარადიცვალა,
ჩვენ - გავიყავით ...

შენ გეშინოდა უპატრონო ძაღლების
როცა მე ისინი ქუჩიდან ამაყად მომყავდა...
მე გიმტკიცებდი ყოველთვის რაღაცას
და შენ არასდროს ცდილობდი გაგევარჯიშებინე მათემატიკაში..
მერე თქვი, ჩემი ადგილი აქ არაარ
და

მე სახლი არა მაქვსო
და
აღარ მინდა აქო ,
თქვი და გაიქეცი.

დედაშენს ტელესკოპი არც უძებნია..
მე დავიღალე და დავიძინე ,
დედას ცოცხი ობდებოდა..
დატოვე მოშრიალე კაბები
და პიანინო როლსაც ბეთჰოვენი დაავიწყდა..
ჩემს ჯაჭვებზე და მაისურებზე-
შენ რომ მუდამ ხითხითებდი-
არავინ იცოდა...

მე ძველბურად ვიკეთებს ჯაჭვებს ,
ვიცვამ ისევე,როგორც მაშინ ,შენ რომ გახსოვარ,
ვაჯდები ცოცხს და ბუხრიდან ვძვრები,
გავდივარ ტყეში,ტყეში დიდი მოლი მხვდება,
ხოლო მოლის შუა გულში ხეა მოჭრილი,
არყის თეთრი ხე..
რა უნდაო ჩვენვენთან არყას?!
მათ არ იციან ალექს, შევუნდოთ,
ტყისთვის უცხოა სითეთრე ,ალექს..
ამ ტყეში დადის დედაჩემი ,
მოჭრილ არყასთან დაგვბღავიან დედაჩვენები..

მერე შენ გაიქეცი
და წარსულდაკარგულ ხალხს მოსთხოვე თავშესაფარი,
შენს ახალ სახლს მგლოვიარე სახურავი აქვს ,
იმიტომ რომ ღობე დაუწვეს ,
აქ ადამიანები ფერადს თამაშობენ
პირში ჩათხრილი ბურთებით.
და აქ მტირალა ჯამბაზია შენი ქმარი,
\"ეიფელის\" რკინის ურჩხულთან ცეკვავს და
ატყუებს ხალხს ,
რომ \"პარიზი\"მისია.

შენ დამივიწყე ალექს ,
შემიჯავრე და ყოველ ჩემს ძახილზე:
\"არ დამზაფრო\",
ნუ მეძახიო მპასუხობ.
ახლა მოვედი და განჯღრევ:
\\'\\'გამოფხიზლდი ,გოგო!
შენც არ გეძინა იმ კადრის დროს-მეთქი \"
გეუბნები,

გახსოვს ჩვენი ნაცრისფერი ქალაქი ,
მიწისქვეშა აკორდები?
გახსოვს,
მხატვარი რომ მიყვარდა
და ის კი მხოლოდ შენ გამჩნევდა?
გახსოვს წრიდან გაგდებული ბავშვები ?
საქართველო???

და შენ მპასუხობ,
მე რომ მახსოვდეს ,
მათ არ ახსოვთო,
მე რომც მახსოვდეს,
მათ არ იციან ,რომ თვითონ არსებობენო,
მე რომ გაღიარო, ტკივილს მომიტანო და
და შენ მპასუხობ,
როცა არავის სჭირდები ,ჯობს იქ წახვიდე ,
სადაც იცი, რომ არა ხარ საჭიროო..
და მე ცოცხს გაჩეჩებ ხელში სახლის დასალაგებლად..

მიდიხარ!
მიდიხარ ბილიკზე ,
რომელიც მხოლოდ შენია,
მე ვერ გავივლი...
და ვიცი, უნდა გავაცოცხლო ბებიაჩვენი

აქ არის საქართველოს სივრცეში დაწერილი ლექსები (პირველი ორი)"შემდეგ უკვე საფრანგეთში -ამ ორი სრულიად განსხვავებული კულტურის ფონზე ძიებებმა- თავისი გავლენა მოახდინეს თავად ლექსის ხასიათზე . დასასრულს - "ალექსანდრას" არის ამ ორი ქვეყნის საზღვრების გადანაწილება-გადარჩევის ნიშნით, დანახული ჯერ კიდევ "ბალოტნი" პოსტსაბჭოური ბავშვობის ფონზე.

ვფიქრობ ასეთი ეტაპობრივი ცვლილებები თვალსაჩინოდ იგრძნობა და ამიტომაც სწორედ ეს ხუთი ლექსი ავარჩიე.

მადლობთ

ნინო დარბაისელი

ამ ლექსს ერთი სახალისო ისტორია უძღოდა. ერთხელ, უცხოეთში გამგზავრებისას, აეროპორტში მეგობარ-კოლეგებთან შევყევი კამათს ქართული ლექსის თემატური ლიმიტების შესახებ. და ასეთი რამ წამოვისროლე, თემა პოეზიაში შეიძლება გახდეს ნებისმიერი მცირე თუ დიდი მოვლენა და თუ ოსტატის კალამი შეეხება მახათზეც კი შეიძლება ლექსის დაწერა.

ამას მოჰყვა ხუმრობით ნაძლევი ჩვენს შორის,და ჩემი გამგზავრება. დაბრუნებულმა მთლად ლექსი "'მახათი" ვერა, მაგრამ ''ბიჭი იო-მახათი"' მაინც ჩამოვიყოლე თან. მკითხველი შენიშნავს, როგორ იცვლება განწყობა ლექსის დასაწყისიდან ფინალისაკენ, სიტყვიერ-პოეტური თამაშიდან -დრამატიზმისაკენ კონვენციურიდან ვერლიბრსა და ვერბლანამდე.

ბიჭი “იამახათი”

აეროპორტს ვეღარ შველის,
უფალო, ნება შენი.
დაერივნენ ჩემს ბარგს ქშენით
“ციური მებაჟენი”.

არც რამ აალებადი,
არცა რამ იარაღი,
ამაცალეს, რაც მებადა -
ერთი ბოთლი არაყი.

ბედის უკუღმართობით
მე - სევდამორეული
რითმებითღა ვერთობი
და მევსება რვეული.

გულს მომედო რაღაც ფერისცვალება.
მხარზე ჩანთით, ხელში “იამახათი”
გვერდს მომიჯდა ბიჭი - შენფერთვალება,
გაიკვირვა ჩემი ნაწერ-ნახატი.

რვეულს აქ ერთი ფურცელი აკლია.
მე ის ფურცელი
წამოსვლისას
სასთუმალთან,
წიგნში ჩაგიდე,
მაგრამ არ ვიცი,
მინდა თუ არა,
წაიკითხო.
ზედ ერთი სიტყვა წერია:
“მაპატიე!”

სასაზღვრო ზოლთან
სულ გაფერმკრთალდა
შენი სათვალე - “ქამელეონი”.
(მე თავიდანვე არ მიყვარდა
კაცის ცრემლები).
განშორებისას

მე ხომ ცივად მოლაპლაპე
ქვა და რკინა ვარ,
ბოლო წამს მაინც ჩავიფიქრე,
თუ მიმავალი
ერთხელ მაინც მოიხედავდი,
ყველაფერი კარგად იქნებოდა.
შენ, რა თქმა უნდა,
არ მოგიხედავს.
ან იქნებ კიდეც მოიხედე,
მაგრამ დაფარა შენი სახე
მოჩქარეთა მღვრიე ტალღებმა.

ეჰ, ანგელოზებს ჩვენთვის უკვე აღარ სცალიათ,
ანდა არ ესმით აღარაფერი,
რადგან ისინი
თვითმფრინავებს
მოგრუხუნე ფრთებზე ასხედან.

ადიდებულა არეები
ტურბულენტური.
ივსება ზეცის მორევები
ფრთებდამწვარი ანგელოზებით!

რას აცხადებენ?!
ამ ავდრის გამო
უკვე მესამედ გადაიდო
ჩემი რეისი.
მე მაინც არსად მომელიან,
რა მეჩქარება!
და ფრთხილად ვსუნთქავ,
უნებლიედ რომ არ შევაკრთო
მხარსმონდობილი
მძინარე ბიჭი - შენფერთვალება.

ჩემი ფანტაზიის ნაყოფი, დაფუძნებული იმ გარემოებაზე, რომ, როგორც პლატონი გადმოგვცემს, სოკრატე ბრძენმა ვერ გასცა პასუხი კითხვაზე, რა არის, როგორია სიყვარული და მხოლოდ მეგობარი მონა-მხევალის დიოტიმას ნათქვამი გაიმეორა.

დიოტიმა

დიოტიმა ვარ,
მზის ასული,
სულით ორსული,
უცხო ტომისა,
უცხოდ მხედი,
უცხოდ მავალი.

შემოკრბით, ბრძენნო,
სანადიმოდ,
შესვით წყალ-ღვინო,
რაც გინდათ, მკითხეთ
სიყვარულზე,
ვიცი მრავალი.

ვიცი, ნიადაგ ვით დაეძებს
ნაკლული ნაკლულს
და შეერთების მწარე ნდომა
ვით დაიმონებს.

ღმერთს და კაცს შუა
მოქანავე ვნახე სამანი -
იქ გახიდულებს
პირზე კოცნით ვიცნობ დემონებს.

“დამენამაო თვალი ცრემლით,
მოდი მალეო,
უშენოდ წყვილმა აფროდიტემ
გამაწამაო...”
უნდოს, უჭეროს, დაუდევარს
ვინ დაუჯეროს.
თვით უკვდავებაც
სიკვდილივით არის ამაო.

კმარა ბაასი.
მო, კალთაში ჩამიდე თავი,
ჩემს ბაგეს დაჰყევ,
გარინდული,

ღელვას მიენდე!
მორჩა ამბავი.
რას დაეძებ,
თუ იბნევიან
ნათელმზიდველნი
მთის წვეროდან
ჩრდილთა მღვიმემდე.

ხედავ?
აფრინდა წყვილი წერო,
ცაც აირია,
შემოისერა
ბედისწერის თეთრი არშია.

რას ვერჩით ღმერთებს,
ეს ტანჯვაც ხომ
ჩვენ მოვიგონეთ.
არ არის ქვეყნად სიყვარული
და არც ცაშია.

გამოყენებული ლიტერატურა:
1. პლატონი - “ნადიმი”, “სახელმწიფო”,
2. ჰოლდერლინი - წერილები,
3. გალაკტიონი - “უსიყვარულოდ”,
4. ნ.დარბაისელი - სიყვარულით,
5. ცხოვრება - როგორც ტექსტი.

ალტერნატივა საკუთარი შემოქმედებითი პრინციპებისა. ლექსი, მთლიანად აგებული ქართულ სუფრულსა და სასიმღერო ლირიკაში გავრცელებული კლიშეებით, რომელთა ცვლაც დაუსრულებლად შეიძლება. გამონაკლისს წარმოადგენს ფინალური რითმა სიკისკასე/ასეთი ასე, სადაც პირველი სიტყვა საყურადღებოა თავისი სიმკვეტრით, გაუცვეთელობით კონექსტისათვის მოულოდნელობით. მეორე კი მ.ბახრინის ქრონოტოპის (აქ და ახლა). განვრცობა-გაპოეტების ცდაა.

ასეთი, ასე...

დე, სხვამ უმღეროს ნაღვლიანად
წარსულ სიყვარულს,
სხვამ დაინანოს,
რომ მიუვალს ემონა თვალი.
მიმქრალ ვარსკვლავთა
იდუმალი ახმიანება
სიტყვა ეგონოს,
საყვარლისა შემონათვალი!
ამივსე თასი!
დაილიოს წვეთი ბოლომდე.
მოედოს ზეცას
აღტაცება და სიკისკასე!

არ მენაღვლება,
არ რა იყო,
ან რა იქნება,
მე შენ მიყვარხარ
აქ და ახლა,
ასეთი,
ასე!

კლასიკური ლექსი, ტრადიციული საზომით რითმებითა და შიდარითმებით. დასაწყისში გამოყენებულია ჩახრუხაძის ოდა თამარისადმი: "თამარ წყნარი, შესაწყნარი". აზრის საილუსტრაციოდ, რომ დედოფალიც და მონაც უპირველესად ქალია. შესაქმისეული ამბის, უფლის, როგორც თიხისაგან ადამიანის გამომძერწის, პირველმეთუნეს პოეტური კონცეპტი. გამოყენებულია ფინალში. დოქისა და ქალის კონოტაციათა მსგავსებისა და ერთობლიობის იდეა აღებული მაქვს ქართული ტრადიციიდან, რომელიც განვავრცე (გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ''დოქის პირი მირჩევნია ქალისას..."

დოქი

თიხა - წყნარი, შესაწყნარი,
ძირბნელი და პირნათელი -
ბნელგრილოში დავრჩი ისევ,
შენი ნაწარნაქალი.
სად ხარ, ჩემო მეთუნეო,
უფარავი ვინ დაფაროს!
ვიდექ ჩემთვის დაბლა თაროს,
არც მეძებდა არავინ.
დამიარა ელვის ელდამ,
ამოსუნთქვა გამიძნელდა,
მყუდრო, თვლემამორეული
აირია მარანი.

ყურზე ხელის მოკარება,
ჟრიალი და ნეტარება
გულამომქრალს მეცნაურა,
არა, მეუცნაურა...
მაგრამ აღარ დამელია
გარეთ - ლაქა, შიგნით - ლექი.
მანჯღრია და მაჭანჭყარა,
მაინც გამძლე გამოვდექი.
სილაც ბევრი დამაყარა,
ამირია გონება,
დამაყვედრა წყალზე დგომაც,
მოლზე წამოგორებაც.
რა არ მითხრა სავაგლახო!
მერე პირქვე დამამხო.
განა ზღვიდან ამოზიდულ
ტანმოხატულ ამფორებს
ვინმე ასე მოკითხავდა
ნათითურ - ნაამბორევს?

რა ვიცოდი, თურმე სურდა
სხვა სასმელით ავევსე.
დაწრეტიდან ავსებამდე
ვეღარც მივუალერსე.
იქნებ თავი მოვაწყინე
მორაკრაკემ არაკთა?
რას არ იტყვის დოქი,
ერთხელ თუკი ალაპარაკდა.
მომანდომა - მოვინდომე
რაც იყო და რაც არა
სიტყვა აღარ დამაცალა,
მოყუდებით დამცალა.
მე მეგონა, ამავსებდა
სათავისოდ, თავიდან,
... ...
დამაგდო და წავიდა.

საღვინე და სავენახე
ნეტა სულ არ დავენახე!
რას მერჩოდა,
რაღად მითხრა,
დოქთა შორის მიცნიხარო,
იცი, მართლა მიყვარხარო,
ჩემი სულისდგმა ხარო?
ერთხელ ვსურდი თურმე სურად
და ნაწადიც აისრულა.
რა ვქნა,
როგორ განვიკითხო
მე - აყალომ აყალო?

მეთუნეო,
მეთუნეო,
მეთუნეო მაღალო!

მართმადიდებლური პოზიციიდან ეს ლექსი ერეტიკულადაც შეიძლება მივიჩნიოთ.
თამამი, კადნიერი მიმართვა უფლისადმი ქალისა, რომელსაც სიკვდილ სიცოცხლის, ცოდვა-მადლის უპასუხო კითხვების პირისპირ უწევს დგომა. ფინალი-ხილვა შემრიგებელი ღვთიურ განაჩენთან.

ნაივური, ცვალებადი თავრეფრენი, აგებული გრადაციის პრინციპზე. ფორმა გარდამავალი, ვერლიბრისა და ვერბლანის კომბინაცია, ჩანართი -გარითმული კონვენციური სტროფით .

რეკვიემი ქეთინოსათვის

ღმერთო, კეთილო, აღარ არის ჩვენი ქეთინო!
ცივ შუშაბანდში ასვენია,
ზამთრის ხიდან ჩამოვარდნილ ბეღურასავით.

სხვა ვიღა გყავდა ამ სოფელში
ქეთინოსავით
ღვთისმოშიშარი, ღვთისმოყვარე და
ღვთისმოსავი?

გაშლილ სუფრაზე წყნარად კუთხეში
ჩამოჯდებოდა,
არას შეჭამდა,
პურს ტყემალს ამოიწობდა,
ბოლოს ქაღალდში შეახვევდა ძვლებს და
ნატეხებს
და მაწანწალა ძაღლებისთვის წაიყოლებდა.

ღმერთო კეთილო, აღარა გვყავს ჩვენი ქეთინო!
ერთხელ ჩანთები შეგვეცვალა,
შიგ ეწყო ხურდა, პურის ყუა, კრიალოსანი -
სხვა არაფერი, არაფერი, არც არაფერი.
ის ხომ ოცდაცხრის არც კი იყო
და არ ენახა სიყვარული ჩვენებური,
ჩვეულებრივი,
ღმერთო კეთილო, გაგვიჩუმდა ჩვენი ქეთინო!
თავად მეუფემ აზიარა,
ოლარის კალთა დააფარა.
ტკივილებს უნდა გაუძლოო,
არ იტიროო, დაუბარა
და როცა კარი მოიხურა,
ჭრილში მოუყვა ანაფორა,
რაღაცა ძალა აბრუნებდა:
“მთავარი უთხარ, მეუფეო”,

მაგრამ არ უთქვამს არაფერი.
ნეტა მკვდარს ჩემი ხმა თუ ესმის,
ან ცოცხალს რად არ მოვეფერე?

ღმერთო კეთილო, დაიღალა ჩვენი ქეთინო!
მითხარით, ხომ არ მოვკვდებიო, მაინც იკითხა.
ვინ მაჯერებდა, სიკვდილის მე არ მეშინია,
ზეიმიაო,
ვიღას ვედავო სააქაო-საიქიოზე,
ვიღა მომიტანს პატარ-პატარა ხატებს და
წიგნებს
და კუთხეში ჩუმად დამიწყობს,
იქნებ მაინც წაიკითხოსო?
მინდა ვიტირო,
მაგრამ თვალზე ცრემლი არ მომდის.

ღმერთო კეთილო, რად მოკალი ჩვენი ქეთინო,
სნეულთა შემწე,
სასთუმალთან გამთენებელი,
არცარის მქონე,
არცრის შემძენი.
ან სიმსივნით რაღად გასტანჯე?
ან დენს დაერტყა,
ან ნამცეცი გადასცდენოდა,
ან დაეძინა და აღარასდროს გაღვიძებოდა!

მაგრამ ტანჯვისთვის შენ ხომ შვილიც
არ დაინანე.

“ელი, ელი, ლამა საბაქთანი?”
ვინ გაიგოს შენი სამართალი,
ვინ დაიხსნას ეჭვისაგან თავი,
ცნოს ბილიკნი გზათა სავალთანი,
“ელი, ელი, ლამა საბაქთანი?”
ნათესავები მორიდებით ფაციფუცობენ.
მანდ, ცაში უკვე ხმას იწმენდენ ანგელოზები
და ზეფიროვან შესამოსელს მზე
აგვირისტებს.
ო, რამოდენა სამზადისი ჰქონია ქრისტეს!
და ჩვენც მზადა გვყავს შენი სასძლო,
ღმერთო კეთილო,
ღმერთო კეთილო, ჩაიბარე შენი ქეთინო!

დიანა ანფიმიადი

კალეიდოსკოპი

გუშინ მეგონა გავიზარდე,
თურმე დედა ვარ
თავის პატარას ჩუმ-ჩუმად რომ კანფეტებს პარავს,
გუშინ მეგონა,
ვარდისფერი საპნის ნამცხვარი
ვჭამე და პირში ამიქაფდა ბავშვობის ძაღლი,
დედაჩემი კი მარწყვის ტორტია!
კრემისკენ თითის წაპარება
არის სურვილი
მისი დიდობა
და დედობა ჩაიზიარო.
მარწყვის ტორტია დედაჩემი,
ნაჭერ –ნაჭერ დაინაწილეს.
გუშინ მეგონა გავიზარდე
და ბავშვობაში მოწამლული ძაღლის საყელურს
გზისპირა სკვერში
დილაობით დავასეირნებ.
გუშინ მეგონა გავიზარდე
და "სახლი ხეზე"
მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე გადმოვაბარგე.
გუშინ მეგონა,
მივიპკურე ყელთან სუნამო,
გემრიელია,
გული მწყდება ჩემს თავს რომ ვერ ვჭამ.

ჰაერში ისევ ძაფგამობმულ ბავშვებს უშვებენ,
მერე ესვრიან და ხეთქავენ
და მე სიცხე მაქვს.....
ყურძნისთვის პურის შეტანება –
მე შენს მუხლებზე,
ასე უბრალოდ,
რაღაც იწყება.

გუშინ მეგონა გავიზარდე ბოლო სუნთქვამდე
და სუნთქვის მერე ვაგრძელებ თამაშს,
დედაჩემი კი მარწყვის ტორტია
ვეძებ და ჯიბით ვარდისფერი სანთლები დამაქვს.
ჩემი ოდესმე დაბადებისდღის.

ცხელი შოკოლადი

მისმინე, იცი
სიტყვის ჩრდილში არის ჰამაკი
ქარის თოკებით მოქსოვილი
და ქარისფერი
მე ყოველღამით იმ ჰამაკში
იმ ქარში მძინავს
ვეძებ სიმშვიდეს
ვეძებ სიმშვიდეს
მისმინე, იცი
გახურებულ მინდორში ვწევარ
ჩემი ნაწნავი მიწის ნაპრალში
გველივით გაძვრა
და ცხელ მიწას მიმანაწნავა
გამომიგზავნე თრითინები
იქნებ გადაღრღნან.
მისმინე იცი
შემოდგომა სულ მალე მოვა
სახლს აივნები
ფოთლებივით შემოახმება
და კიბეებსაც კბილებივით როცა მოიცვლის
მაშინ ყველანი
ჩვენ ყველანი
ვისწავლით ფრენას!!!!
მისმინე იცი
ვეძებ ჩემი ნაწნავის ბოლოს
რადგან მსურს
როგორც მენატრები
ისე მიყვარდე

ყველაფერი კი პირიქითაა
ვეძებ ჩემი ნაწნავის ბოლოს
რომ წრე შეიკრას
რომ ერთხელ მოვკვდე.
მისმინე
გზაზე ხახვის ფურცლებს თუმცა ვფანტავდი
მაინც ვერასდროს მივაგენი გზას შინისაკენ
და ჩვენი სახლი - შემოდგომა
უცებ დაზამთრდა.
ახლა სიჩუმე
ისე დატკბა
ისე გაბლანტდა
ყელს გვწვავს
და კოცნის სურვილს გვიკარგავს
კოვზით მივირთვათ.
მისმინე
დილა დავაწერე შენს ფანჯრის მინას
თუ გინდა
ფარდას გავაფარებ -
საღამო, მწუხრი
მე შემიძლია მოგაჩვენო
რომ ახლა გძინავს
და თავქვეშ ჩემი გიგია მუხლი.

სამშობლო

მომიკაკუნე კარზე
მთხოვე მწიკვი მარილი
პურზე კარაქის
როგორც ხელზე ხელის გადასმა
რადგან გციოდეს
ეს ნიშნავს რომ
სიკვდილის შიში
დაზუზუნებდეს შენი პალტოს ბნელ ტალანებში.
მა, გადაგვეწვა ღამით ყველა ციცინათელა,
საკუთარ სულის მხურვალებას
მიაწვეს ფრთები
და გამახსენდა,

როცა ზღვაზე გადადიოდი

არ გესობოდა
შიშველ ფეხში
წყლის ნამსხვრევები?
ყოველდღე
თითო სანტიმეტრით
მოკლდება მზერა
მჯერა,
ბრმა იყო,
ეს ნიშნავს რომ შიგნით ცხოვრობდე,
შიგნით ხედავდე
დაგიბრმავდეს სიკვდილის შიშიც
იასამნისფერ
ყვითელ
ცისფერ
მწვანე
ოქროსფერ
ფერებს ითხოვდეს,
მეტრო-მეტრო დამათხოვრობდეს.

მა,
მიდი, ბოთლის ნამსხვრევებით
მთვარე ამიწყვე,
სამშობლო ხარ,
მე დაგიჯერებ!

შერიგება

ლეას

ბებიაჩემის რძედაწყვეტილ,
გამომშრალ ძუძუს
დღემდე წოვ,
მაინც მუდამ მშიერი,
და დედაჩემის ქვრივ სარეცელს
ყოველღამ სტუმრობ,
ხანდახან კი დილითაც რჩები
ერთად ვსაუზმობთ.

შენს არსებობას ჩვენს დიდ სახლში
არ სჭირდება მიზეზის ძებნა
როგორც ჭიქა წყალს სასთუმალთან,
ან დალევ ან ,
კაქტუსს დაუსხამ,
აყვავებულ ფშატის რტოს ჩადებ
ანდა გადაღვრი.....
ხანდახან როცა ავად ვხდები
და ხელს მატოლებ,
უფრო მეტად ვპატარავდები
შენს ხელისგულზე
შოკოლადის ფილადღა ვრჩები.
გამომიზარდე ერთგულ საქმროდ
ბავშვობაში გარდაცვლილი შეყვარებული....

სიკვდილო,
ისე უცნაურად მეახლობლები,
არ გაგიკვირდეს,
ერთხელ მამა რომ დაგიძახო

პირის ნიშნები

ქეთოს

ერთხელ ვიყავი მამაშენი,
შემეძლო მხარზე ნაჯახივით შენი გადება,
ძირში მოსხეპილ შენს მომდევნო და-ძმას ვბადებდი,
ერთხელ ვიყავი დედაშენი,
სუპში ჩემს თითებს პურთან ერთად
უხვად გიფშვნიდი
და სახლობანას სათამაშოდ ომში გიშვებდი.
ერთხელ ვიყავი შენი ცოლი,
ლოგინში სითბოს
ნაკვერცხალივით ვაღვივებდი, ვუდარაჯებდი,
იტალიური მაკარონის მაკრამეს ვქსოვდი,
პურზე კარაქის,
როგორც ხელზე ხელის გადასმას,
გიზოგავდი და ისე გაჩვევდი.
ერთხელ ვიყავი სინათლის ხე
შენი ფანჯრიდან,
კრეფდი ღამურებს – უმწიფარი შიშის ნაყოფებს,
ერთხელ ვიყავი მაცივარი
და მხოლოდ შენთვის
საყინულეში მიფეთქავდა მარწყვის ნაყინი,]
ერთხელ ვიყავი შენი კაბა
და სულ შემთხვევით
შენს ქმართან ერთად კარადაში შემომისწარი,
სიტყვის მორგება კაბის ნაცვლად
მაშინ ისწავლე.
ერთხელ ვიყავი შენი ლურჯი ხავერდის ფარდა
მრცხვენოდა, შენთვის გამემხილა ცუდი ამინდი,
ერთხელ ვიყავი შენი ქმარი
და ცვილის ფრთები,
როცა ნათურას ვამაგრებდი, მაშინ დამიდნა.
ერთხელ ვიყავი საწოლი და როცა გეძინა
ფეხები ძირში გადამაჭრეს
ზეწარი აფრად გამომაბეს,

ბალიში წყალში დაახრჩვეს და
გამდინარე წყალს დამაყოლეს,
მაშინ ისწავლე სიზმრის სუნი,სიზმრის შეხება:
(შუბლზე – გლობუსის აზიაზე
ძმრიანი ტილოს დაფარება,
ცივ მდინარეში გაგრილება
საბნიდან ფეხის გაპარებით.....)

ერთხელ ვიყავი ხელთათმანი
და შენ მაგივრად
ბასრი ყინულის კლავესინზე სიზმრებს ვარჩევდი,
ერთხელ ვიყავი უბრალოდ კიბე,
უბრალოდ კიბე სხვის კარამდე, შენ ვერც მამჩნევდი,
ერთხელ ვიყავი ჭერი
შენი საწოლის ზემოთ,
მზერით ამხადე , მეცხრე ცამდე გამაფართოვე,
ერთ დღეს, ორივემ გავიგონეთ ფრთხილი კაკუნი –
დასჭედეს კუბოს სახურავი
და მიგვატოვეს....
თოვლის პაპას რომ საჩუქრები ჩვენგან მიჰქონდა,
მაშინ ვიყავი შენ და მფიქრობდი.
ერთხელ.

ნინო ნადირაძე

ძაფი

შიგნიდან თითქოს გასანთლული ვარ,
ორგანოები სანთელივით წინააღმდეგობრივად
სრიალა მაქვს.
გაწელილი ვარ მუცელთან ბრტყლად,
როგორც პური თონის.
საიდან ვარ ან როდის?
თხევადია ჩემი თვალები, როგორც სისხლი.
თხევადი მზერით გაკვირდები როგორი ხარ,
მინდა დაგინახო..ოღონდ ბოლომდე არა და ისე მივხვდე..
როგორ გაუძლებ ჩემს ცხოვრებისეულ წონას.
რაც უფრო ვსუნთქავ ჩემს სივრცეს,
მით უფრო ზემოთ მოდის, ყელთან, საზიზღრობაა
ჩემი მოწყენილობისეული შეგრძნებები
და ვსვამ საღამოს სოდიანი წყალივით
და უკან ვანთხევ ჩემს ნასუნთქს
და უკან ვუბრუნებ სამყაროს - გულისრევაა
და უზრდელობა ჩემი სასუნთქი გზების
მუშაობის შედეგი.
ვჩერდები...
ვხდები ბროლივით მსხვრევადი და ყოველ დილით
თქვენ რომ ხმაური გგონიათ, მე ვარ.
შიგნიდან თითქოს გასანთლული ვარ და ვგრძნობ,
რომ ერთი გრძელი ძაფი, ხახამდე გრძელი,
სხეულის ზედ შუა ადგილასაა და ასანთის გაკვრა მიკლია.
ქუჩას ტანსაცმლიანს მისძინებია.
მე ეგოისტი კი ვდგავარ მასზე, მის ყურებთან ახლოს
და მთელი ხმით ჩავყვირი: "ელი, ელი, ლამა საბაქთანი?".
შიგნიდან თითქოს ძაფი ვარ...
უფალო, გევედრები ამანთე...

ქარლის

იცი, ქარლი, ფინჯანში მზე მინდა დაგისხა,
დავსხდეთ ძვირფასო, სამყაროს დედა შევიშვათ სისხლში.
იცი, ქარლი, სულ მინდა გითხრა, მაგრამ ვერ ვამბობ.
გულზე შემახორცდი და ვეღარ გიცილებ და არც მსურს.
ერთხელ გითხარი მოგპარავ სევდას თქო..
იმის მერე გაგრილებული თვალებით ხატავ ჩემს არსებობას
და მე არ ვიცი როგორ მიყვარდე.
ქარლი, ძვირფასო, ქუჩაში თითქმის აღარ დააბიჯებენ
სითბოს მოლეკულები, ერთიორგან თუ შეხვდები, იმასაც
სადმე მოხუცებთან, კანტიკუნტად რომ სერნობენ.
დროისათვლაც თითქოს აჩქარდა, რაც უფრო მიკვირს,
მით უფრო სწრაფობს. ვერაფერს ვასწრებ, სულ ვერაფერს.
იცი, ქარლი, მე ისე გგრძნობ, როგორც ბრმები, საკითხავ
ტექსტებს, როგორც ძაღლები, თუ რა ფერია ადამიანი,
როგორც მიწა თუ როდის წამოვა მადლი ზეციდან –
წვიმა რომ ქვია.
მე სულს ვწერ ქარლი, ჩემს ფორიაქა სულის ნაგლეჯებს
გასიტყვება ისე სჭირდებათ, როგორც ემბრიონს გარშემო წყალი.
დალიე მზე ჩემთან ერთად, ოღონდ არ მითხრა არაფერი,
ხანდახან სიტყვა აფუჭებს სივრცეს.
შენს გასაგონად მინდა ვამბობდე,
შენს დასანახად მინდა ვარსებობდე,
შენს გასათბობად მინდა ვიცვამდე,
შენს გასაღიმებლად მინდა ვიცინოდე.
იცი ქარლი, სანთელივით მინდა გეჭირო
და ლოცვისას ვღვენთავდე ჩემს სულს.
მე ავად ვარ, მჭირს ეგოცენტრიზმი
და მარტოობა, მასთან დაკავშირებული
პატარ-პატარა სიმპტომებითურთ.
შენ მახანგრძლივებ.
იცი, ქარლი...
დაგეძინა...
მზეც გაგყინვია..
ღამე მშვიდობისა ქარლი, დაიძინე.

მუერტე

მზემ გამაჩინა...
მიწიდან აწყვეტილი სურვილები აფარფატდნენ
და ქარის მარშუტით მიფარვანობენ ცისკენ..
მას მერე თითქოს სამყარო განიცდის დუღილს,
ორთქლდება და უნდა ჭიქაში ფრთხილად დავასხა,
რომ ტანზე მიტმასნილ ოცნებებზე არ გადამესხას..
მერე ვსვამ მთელ დედამიწას ნელა, ყლუპ-ყლუპად,
ფანჯარაში წყნარი ყურებით..
მთელი სიცხელით ჩაუყვება სამყარო ძარღვებს,
უხეშად ჩაახრიგინებს თავის მანკიერებებს

მერე კი მიჭირს..
მოვინელო...
მთელი მსოფლიო..

……
ესაა ჩემი "მუერტე "

როგორც წყალი

ქალაქმა სიშიშვლე დუმილით დაფარა,
სიჩუმე ჩაიცვა და თვალი მილულა.
მე ვგავარ ცარიელ, თავმოხდილ მათარას,
უშენოდ ვიცლები, ძვირფასი, მიყურე!

ოცნება ხევის პირს მოგკივის ზურგიდან,
გეძახი: აქა ვარ! და რა შორს წასულხარ.
მე შენში მოვდივარ და თუ წყალს მომიტან,
ნელ-ნელა დაგლევ და დე, ამ წყლით გავსუქდე.

მწყურიხარ, რა ვუყო, არ მყოფნი აროდეს,
სიზმარშიც გიყოლებ, სიზმარშიც მჩვევიხარ.
არ მინდა, არ მინდა რატომღაც გკმარობდე,
გჯეროდეს, გჯეროდეს, ყოველთვის ჩემში ხარ.

ზმანებით მოგძახი: დონდე ესტას ამიგა?
ქალაქი დუმილში იხრჩობა ისევე.
ჩურჩულით რომ მიხმო, მე მაინც გავიგებ...
მომწყურდი და ჩემთვის ხარ ახლა მისწრება.

ქალაქმა სიშიშვლე დუმილით დაფარა,
თბილისი საღამოს სიმშვიდეს უშენებს.
მე ვგავარ ცარიელ, თავმოხდილ მათარას,
მიყურე ძვირფასო, ვიცლები უშენოდ!

ოქროს შუალედი

შენ სამშობლოზე მეტი ხარ ჩემთვის
და ისეოზე ოდნავ ნაკლები.
ლურჯი ბაღების გადაღმა მესმის
შენი თეთრი ხმა და ვიფაკლები.

ყურთან ლამუნობს სიო, სისველე...
და სიმარტოვე არის ფიქრების
სულ დაზუთხვა და სულ დამიზნება
მერე ელქეში გადაფიქრებით.

მზეებზე წვანან შემწვარი ზღვები.
არ მავიწყდები, თუმც არც მიცდიხარ.
ათას სიზმარში ასჯერ ბრუნდები,
სუნთქვჯერ გიჯერებ, ფეთქვჯერ მიდიხარ.

ლურჯი ბაღების გადაღმა მესმის
ჩურჩული სკამის და მონატრების.
შენ სამშობლოზე მეტი ხარ ჩმეთვის
და ისეოზე ოდნავ ნაკლები.

გიო არაბული

ხევსური

"... ამიტომ მქვიან ალბათ პოეტი
და მათ მუხლებთან მიხდება მოხრა."

გაბრიელ ჯაბუშანური

/გაბრიელის ხმაზე/

მე ერთი ქვა ვარ შატილის კოშკის,
ლებაისკარის ქვითკირის ზღუდე,
იახსრის კლდე ვარ, ლოდი ვარ როშკის,
თორღვას ციხეში არწივის ბუდე.

მე ხომ არაგვის ერთი წვეთი ვარ,
უღელტეხილის გრილი ვარ წყარო,
გუროს კლდეებთან ნაწვეთრები ვარ,
ის აწუნთა ვარ დეკა რომ ხარობს.

ცივი მთვარე ვარ არხოტის ცაზე,
ძალა რომ შესწევს ლამის ზევსური,
ჩირდილის ყმა ვარ, მლოცველი მასზე,
ამიტომ მქვია ალბათ ხევსური.

2007 წელი

გოდერძი ჩოხელის საფლავზე

აჰა, მოვედი,
ცრემლები,
მცხეთა...
დღეს შენს საფლავზე ტირის სანთელი,
გულში აზეზდა,
ნაფიქრი სევდა:-
სულ დარდით რატომ კვდება ქართველი?!

...გრილი მთის წყარო,
ბუნების შვილი,
შენ ხომ ცაც იყავ, ლურჯი, მზიანი...
მე ახლა მივხვდი,
საფლავთან მივხვდი-
რატომაც ტირის ადამიანი.

მწუხრი...
ეს სევდა გარდასულს არ გავს,
არაგვსაც დარდი გაჰყვა იმ წლების,
შენს საფლავს ერთი სანთელი აკრავს,
ერთი სანთელი-
-არდავიწყების.

*** * ***

როგორ მიყვარდი....
უსიტყვოდ მტოვებ,
...უსიტყვოდ მტოვებ ბედის ამარა,
მე უშენობა რომ არ შემეძლო,
შენ სწორედ ამან გაგათამამა.

რაღა ვქნა თუკი ისევ მაჩნიხარ,
ისევ თუ მინდა შენი დანახვა,
შენი სიტყვები.... ~ო რა კარგი ხარ...~
ახლა სადა ხარ,
ახლა სადა ხარ?...

...კარავი... კოცნა... ალერსი.... სითბო,
თითების სითბო, შენი თითების,
ო, ის აპრილი.... იმ აპრილს თითქოს
კიდევ გპირდები.....
კიდევ გპირდები.....

.....რისთვის ვიხსენებ იმავე გრძნობას,
რომ შემაყარა შენმა დალალმა,
და სიყვარულმა კი არა მხოლოდ,
შენ გაზაფხულმაც გაგათამამა.

პოეტი სასაფლაოზე

საფლავებს ადგას მიმწუხრის ბინდი,
პოეტი ფანტავს ცისფერ ქაღალდებს,
რატომ არ არის ეს ღამე მშვიდი,
ამ ვერხვებს რაღა ალაპარაკებს?!

სასაფლაოზე დადის და უფალს
შველას სთხოვს, დარდით ლექსებს იგონებს,
მას ავბედითი სიცოცხლე უყვარს
და თან საფლავებს უძღვნის სტრიქონებს.

ბედნიერ ყოფას ლექსებით ეტრფის,
სავალად ირჩევს მთებს და ქარაფებს,
თან ეშინია მაღალი ღმერთის,
თან პოეტობა ალაპარაკებს.

მთვარე ქანაობს ვარსკვლავებს შუა
და სიბნელეში ფანტავს ნაწნავებს,
ქვეყნად სიცოცხლე ლამაზი თუა,
პოეტს ცხოვრება რისთვის აწვალებს.

2008.28.04.(აღდგომის ღამე)
შატილი

მე მოვკვდი

ჩემი ლამაზი სიზმრების წილ, შენი გოდება,
ჩემი ლამაზი სიცოცხლის წილ - შავი სიკვდილი,
ძვირფასო, შენი ღიმილი რომ მომაგონდება,
გარდასულ დღეებს, ჩემს სიცოცხლეს მწარედ მივტირი.
მე მოვკვდი, რა ვქნა შემეყარა ოხერი სენი,
მკვდარს სავსე მთვარემ დამაფარა ბნელი მანტია,
ძვირფასო ჩემი წარსული და ჩემი ლექსები,
აბა მათ მეტი ქვეყანაზე რა მაბადია.
მე მოვკვდი გუშინ, თუ გუშინწინ, დავშთე ცხოვრება,
მე მოვკვდი, ალბათ დაბადებაც იყო უაზრო,
ჩემი სახელი თუ ოდნავაც გემახსოვრება,
სასუფეველში ანგელოზებს შენზე ვუამბობ.

2007 წელი / შატილი

მარიამ წიკლაური

აი, დავდებ "ქვებს","სიზმარი აღმოსავლეთზე", "ვაჟას", "პოეტს" "შემომძახიან ლექსები" და გამოვიდა, რომ არცერთი ლექსი სიყვარულზე, უი, რა ცუდი არჩევანია,თავი შემებრალა.... მინდა ისეთი ლექსები ავარჩიო, რომ სხვას მოეწონოს.ასეთია ჩემი ამპარტავნული ბუნება -სხვას მოვაწონო...
და ხუთი რა ცოტა ყოფილა და მეგონა ბევრი იყო.
დავამატებდი "სინათლის ყვავილს", "ბრალი რა მედოს" "უსინატლო მამას" კიდევ ვიფიქრებ
ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს მაინც ვერ ჩავტიე "პოეტს", რომელიც ძალიან მიყვარს და შეიძლება "ბაობაბში" გადავცვალო,
ვერც "სადა მთავრდები სიკვდილო" ვერ დავდე...
ისე, პატარა ლექსები უკეთესი იქნებოდა, გაცილებით უკეთესი, მკითხველს მაინც არ დაღლიდა...
აი ასეთი დაულაგებელი ადამიანი აღმოვჩნდი და ესეც ერთგვარი ტესტია პოეტისა

ქვები

მიწის წიაღში ქვის მარცვალი ჩაუპნევიათ.
კარგა ხანია, ამ ქვებს მზე ათბობს,
კარგა ხანია, აწვიმს და ათოვს,
მაგრამ არა და არ ეზრდებათ ფესვები ლოდებს,
არ ღვივდებიან.
თითქოს უჟამო მარადისობა მიაბარეს და დაარწმუნეს,
რომ ადვილია და უმჯობესი ქვად არსებობა,
რომ შეიძლება
იყვავილო და იფერადო გარედან შიგნით,
რომ უბგერო ხმა მიაწვდინო სამყაროს საზღვრებს.
წყალი კი მიდის, მიჩხრიალებს, მიედინება...
შუაღამისას თუ ჩაიძინებს,
სიკვდილივით უსიზმარო ექნება ძილი,
რადგან ირეკლავს ცხოვრებას და წამსუმალ გარბის,
არ შეუძლია გაგიღოს გული,
გაგიზიაროს სიხარული ან გასაჭირი.
ზღვებისაკენ მიეჩქარება,
ზღვებიდან ხომ ადვილია მოხვედრა ცაში...

და თუ მაინც დაიმორჩილე,
უმალ ჭურჭლის ფორმას მიიღებს,
დადუმდება, გაფერმკრთალდება.
გაქრება მისი კალაპოტის სანდლიანი
ფეხის ხმა და აურზაური.
ქვები რჩებიან ფეხმოუცვლელნი და მდუმარენი.
სამყაროს ერთგულ ჯარისკაცებად რჩებიან ქვები.

მათი სხეული შუბსაც ისხლეტს,
ტყვიასაც, ცრემლსაც,
არც წვიმით და არც მზის ხვატით არა დნებიან.
მათ უსისხლო სიცოცხლის მადლი ებოძათ ქვეყნად.
ათასგვარი სნების მალამოდ გადაექცათ გაძლების ნიჭი,
ცივი ცეცხლი უკრთით თვალებში,
დაჟინებით გვიყურებენ და მოელიან,
როდის ვიგრძნობთ მათი სულის ძახილს და სითბის,
როდის ვირწმუნებთ მათ ერთგულებას
და ჩვენიანად ვაღიარებთ
წყლის ჩხრიალით დაყრუებულნი.
წყალი შიგნითაც იგივეა, რაც ზედაპირზე.
სარკესავით - სულის სიღრმე არ გააჩნია,
არ ინდობა მაინც ბოლომდე.
უცხოა წყლისთვის რწმენით ტანჯვის იდუმალება,
უცხოა მისთვის ქვათა ენა, ლოდების ენა.
მაგრამ წყალიც გუმანით ხვდება,
რომ ბოლოს მაინც უმჯობესია
ქვის მძიმე სხეულს ჩამოაყრდნოს თავი დაღლილმა
და ნაპირი შემოიკეთოს,
თუნდაც დროებით...
ქვას შეუძლია შექმნას სამშობლო,
წყალი კი მიდის, მიედინება,
საკუთარი ჩხრიალი უყვარს,
უკან არასდროს მოიხედავს,
გაქცევაზე უჭირავს თვალი,
რადგან შიში აქვს თანდაყოლილი
დაბერების, დაჭაობების.
ყრმასავით რომ ჩაიწვინოს ხელში ლოტოსი,
არაფერი ეშველება,
მყვართა ტაძრად გადაექცევა ლურჯი წიაღი.

ქვებს კი არასდროს უწერიათ დაჭაობება.
ულპოველი არის ქვის სული!
ბერულია ერთგულება ქვისა და ლოდის.
მზის დატოვებულ ღამის სითბოს ინთებენ სულში.
ვარსკვლავებიც ხომ მხოლოდ ქვებია,
საპატიო ყარაულში ჩამდგარნი მწკრივად.
თუმცა არიან ისეთებიც,
ცრემლივით რომ ჩამოწყდებიან უძირო კოსმოსს...
რაც უნდა ითქვას, წყალი ხმაურობს,
ქვა მდუმარებს აქაც და იქაც.
ამიტომაც ქვას არგუნეს, ერქვას სამანი,
ამიტომაც დაიმსახურა საფლავზე დგომა
მეთვალყურედ სიკვდილ-სიცოცხლის!

წყალი კი მიდის, მიდის, მიდის, მიედინება.
რა ლეგენდები აღარ დადის ამ წყლის ძალაზე -
მაცოცხლებელზე, დამანგრეველზე,
რის სიმბოლოდ აღარ იქცა
ზღვა, ჭა, მდინარე...
მიწიდან ცამდე მოგზაურობს წყლის მოციქული,
მაგრამ სიცოცხლეც და სიკვდილიც
ქვას ებარება.
მხოლოდ ქვის კვარცხლბეკს შეუძლია
კერპთა ზიდვა ჟამიდან ჟამში.
ათიოდე მცნება,რომელიც
კაცის გულმა დღემდე ვერაფრით დაიმახსოვრა,
ქვამ დაიწერა თავის გულზე და შეინახა.
წყალი კი მიდის,
მიჩხრიალებს,
თავდაღმართში მიედინება.
რომც შეეცადო, ვერც წააწერ მის ჩქერს და ტალღას
სიტყვებს, რომელიც ყველა ენაზე გამოითქმის თავისებურად:
ღმერთი, ირემი, კაცი, ცხენი, მზე, ქალი, ბავშვი...
ქვაზე ხატია ეს ყველაფერი.
ქვამ კარგად იცის რაა ცხოვრება.
ქვის მელნითაა ამოკაწრული
კაცთა მოდგმის ისტორია ქაოსის ფრთაზე.
წყალი კი მიდის, მიიჩქარის უცხო მგზავრივით.
გინახავთ სადმე ოკეანის ან ტბის ნატეხი?

გინახავთ სადმე ფშანის, ლეშხის ან ცვრის ეტრატი?
დედოფალთან დამარხული ცისკრული ნიჟი?
ცრემლი ან ნამი - პალიმფსესტივით გადაწერილი?
ვერც ნახავთ, რადგან თავისი აქვს წყალს გზა-სავალი,
არც გეკითხება, რატომ გინდა ხანდახან კაცს,
თავი დაიხრჩო
და წყლის დინებას გაატანო სიცოცხლე შენი.
ქვას ხომ ამას ვერასოდეს ვერ აკადრებ, ვერ გაუბედავ,
და როცა მიწად გადაიქცევა ჩვენი სხეული,
მხოლოდ მაშინ გაგვიცხადდება
საიდუმლო ქვაობრიობის,
მხოლოდ მაშინ გვეცოდინება,
რისგან იცავს სამყაროს ჯვარი -
გაფოთლილი დედამიწის ქვა-ავგაროზი.
მანამდე კი სულ იქნება ქვა მდუმარე და
წყალი ღამით ჩაძინებული,მაგრამ ჩხრიალა.
სულ, გამუდმებით შეგვაწუხებს ფიქრი იმაზე,
რად დაისაჯნენ ეს ლოდები სულარსებობით,
რატომ არ ერგოთ სიხარული გარდაცვალების?
იქნებ ქვები თესლი არის მარადისობის,
ციდან მიწაში ჩამოჰნეული?
მსგავსად სულისა
და დროც მანამდე იქნება ასე მოუხელთები,
უპასუხო და უსასრულო,
სანამ მიწაში არ გადგამთ ფესვებს,
არ გაღვივდებით,
ქვებო,
ლოდებო...

სიზმარი აღმოსავლეთზე

მესიზმრა, ჩემს ქოხში მესტუმრა ხელმწიფე.
ავფორიაქდი.
ვარდის ფურცელი არ მქონდა და
რა დამეფინა?
ქვის სკამზე დავსვი.
ჩაი მივართვი, სურნელოვანი.
ვიცი, ტყუილად რომ არ სტუმრობს მეფე მდაბიოს.
რა უნდა ნეტავ?
მომავალს თუ წარსულს წაიღებს?
სიზმარს თუ ცხადს მთხოვს?
ჩემმა პატარა მუხამ მოხიბლა…
მუხამ, რომელსაც არსაიდან არ ჰქონდა ჩრდილი.
ჰაიკუ ვუთხარ.
ჩემს წინაპრებს უყვარდათ ხოლმე
მეფეებთან ლექსით ბაასი.
- ჰაიკუ ხომ პოეზიის ბონსაიაო – მიპასუხა მან ხელმწიფურად
და კიდევ ერთხელ გახედა მუხას.…
ამ პატარა ხის ტოტებში არწივი ბუდეს ვერ გაიკეთებს,
ვერც ჭრელი გველი ჩაიბუდებს იმის ფესვებში,
ვერც იმის ჩეროს შეეფარება დაღლილი მგზავრი.
მაგრამ ბონსაის იდუმალება ადამიანს გაახსენებს,
ღვთის ნებას რომ დათმენა უნდა,
რომ ,,სიდიადე სიმცირეშია,,…
მერე მეფის სკამს ხავსი მოედო
და აკაციად გადაიქცა პატარა მუხა.
შიშისაგან გამომეღვიძა…
მთის მწვერვალებზე მოჩანდა თოვლი,
ჩემი წინაპრის თვალით ნანახი.
ბავშვს გადავხედე.
მშვიდად ეძინა თავისსავე ლოყებში ჩაფლულს
და ეტყობოდა,
რომ სიზმარში არ ხედავდა პატარა მეფეს,
რომელსაც მისთვის სათამაშოს წართმევა სურდა.
დედას რომ შვილის სიზმრების ნახვა მაინს შეეძლის,
მაგრამ ანგელოზს უფრო ნახავ,
ვიდრე შენი შვილების სიზმრებს!

სანამ ქუსლით გიჭირავს იგი და ამზეურებ,
არ დაგავიწყდეს ერთი ჰოკუ მაინც გააწყო
და ბონსაის ბონსაი უთხრა თამაშ-თამაშით:

,,მზემ დაიძინა, ჩვენც დავიძინოთ.
ხვალ ისევ ერთად ვითამაშოთ
მინდორში, ჰო, კუ!,,

არასოდეს დაგიფასდება ეს შრომა, მაგრამ
ბედნიერი იქნება შვილი –
დედის ხელნაწერს ნახავს იგი ასი წლის მერე
და კიდევ ერთხელ დაეძინება მშვიდად რადგანაც,
პატარა მეფე ვეღარ წაართმევს
სათამაშოს სიზმარში მოხუცს..
წინაპრები ხომ ახერხებდნენ ამას მშვენივრად
და გმირობას მარტო ომში არ ჩადიოდნენ.
,,აი ია,, გასაოცარ ჰაიკუს ქმნიდნენ.
აღარაფერი დაწეილა აღმოსავლეთში ამაზე კარგი.
,,მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა,, და
ტიანშანის ,,მთების შვილი,,
,,ნაცარა ჩიტს,, ეკითხებოდა: ,,ვის უგალობო?,,
,,შენო ,პატარავ!,,– და ბედნიერად ცხოვრობდა ხალხი.
ყოველ ცისმარე რწყავდა ბაღს და ელოდებოდა,
,,დიდი ხე რომ პაწაწინა ყლორტისაგან ამოზრდილიყო,,.
ჟამიც კაცივით ბერდება თურმე
და მშვიდობას, ომის ნანებით მოძლიერებულს,
გაუვიდა ყავლი და გაცვდა.
ახალი დრო კი ახალ მთვარეს ჰგავს,
მოიყოლებს ხოლმე ქარაშოტს
და დღეში შვიდგზის გადაგარხევს ლერწამივით
წარსულსა და მომავალს შორის.
აღარ იცი, საითაა უმჯობესი ფეხის გადადგმა,
აგერევა ერთმანეთში
აღმოსავლეთი და დასავლეთი,
ცა და მიწა,
და ერთ ადგილზე დაჭაობდები.
მყვართა ყიყინის ხმად იქცევა
ლექსებისთვის შექმნილი ენაც.

,შვილი გაიზარდა, დედა მოხუცდა
და თვალებზე ლიბრი კი არა,
შვილის ცხოვრება გადაეფარა,, -

ჰოდა, ასეა ჩემი ქვეყანაც, სამშობლო რომ ჰქვია სახელად.
მის თვალებსაც ჩვენი ცხოვრების ცოდვა-მადლი გადაჰფარვია.
რასაც ბრმა თვალი კარგად ხედავს,
სიზმარია, საუბედუროდ,
ცხადის ერთი ორიგინალიც რომ არ ჰქონია.
სხვის ქვეყნებს რომ ასე გამძლე სახელები დაარქვა ღმერთმა,

რაღა ჩემსას ჰქვია სამშობლო?!
რაღა ჩემს მიწას ყლაპავს ასე გემრიელად ყველა გამვლელი?
გასაკვირია, სისხლის გემოს რატომ ვერ გრძნობენ
ან ძვლებით რატომ არ იხრჩობიან?
შეიშმუშნა ბავშვი.... ვაკოცე.
მაპატიე, ჩემო პატარავ,
დამავიწყდა, რომ
ღრმად ჩაძინებულ გონებასაც აფხიზლებს ლექსი,
რაგინდ დუქნად ექცეს მ,ამული.
,,ნანა, ნანა, დაიძინე დედის იმედო,
ბევრს ვილოცებ, რომ ეს სამყარო
არასოდეს მოგეჩვენოს შენზე პატარა.
ნანა, ნანა, დახუჭე თვალი,
არ წაიღოს შენი სიზმარი ხელმწიფის შვილმა.,,
თოერემ უსიზმროდ გაზრდილმა კაცმა
როგორ გაიგნოს გზა სამყაროში?
როგორ იფრინოს, როგორ დაეცეს უმტკივნეულოდ,
იყვიროს უხმოდ, გარდაცვლილებს ელაპარაკოს
და წინასწარ გარდაიცვალოს,
რომ ყოველი გათენება და მზის ამოსვლა
დაბადება იყოს მისი, იმედიანი!
მეც ჩამეძინა...
დედას ხომ ხშირად ეძინება თავის ნამღერ იავნანაზე,
როგორც პროგრესს რევოლუციურ შემახილებზე.
განმიახლდა მეწამული სიზმრების ხილვა:
ვიზრდებოდით მეც, ბავშვიც, ჰოკუც…
თითქოს იგი ბალადად იქცა და დაერქვა
,,ვეფხისა და მოყმის ბალადა,,!

მერე პოემად გადაიქცა და დაერქვა
უფალივით მარადი სიტყვა
,,ვეფხისტყაოსანი,,!…
სამყარო კი პატარავდებოდა, ილეოდა…
და შიშმა, რომელმაც კიდევ ერთხელ გამომაღვიძა,
ვეფხვის თვალებით გახედა ღამეს.
ბავშვს კარგად ჰქონდა დასწავლილი ,,აი ია,, და
მშვიდად ეძინა.
ეძინა მამას, რადგან იცოდა,
,,რომ არ გაცვლიდა სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა,,
მხოლოდ მე მეშინოდა,
რადგან ვგრძნობდი,რომ არ ეძინა
ხელმწიფეს და ფიქრობდა,
როგორ გამოეყვანა სამშობლოს ბონსაი……

ვაჟა ფშაველას

ვაჟას ნეშთი დაკრძალვიდან 20 წლის შემდეგ
გადაასვენეს დიდუბიდან მთაწმინდაზე

ნეტავი იმას,ვინც შენი
ნაცვამი მიწა მოირგო.
ვინც საიქიო ქორწილში
შენი საფლავით მოირთო.
შენი ნამყოფი სამარე,
ვინძლო, საყდრადაც იგულა,
შენზედ ნამთხვევი შავმიწით
ბნელეთი მოიმზიგულა.
ალბათ სიცოცხლემოხდილი
სიკვდილმა სათნოდ დაინდო,
შენზე ნატოლი ბელტები
გულზე ხატივით დაიდო.
ხომ იმავ დღეს მოკვდებოდა,
რომ მისცემოდა ნიშნადა,
ვის საბრძანრებელ საფლავში
ელოდა ჩაშლა ქვიშადა.

ვაჰ,თუ ვერც მიხვდა, იმ ხნარცვში
ვისი სულის მზე ესვენა,
იქნებ სიკვდილი, ბედნიერს,
ზმანებასავით ეჩვენა…

სინათლის ყვავილი

ოთახში დამწყვდეულ დღეების ექოებს
აქანებს სიჩუმე, როგორც ძველ მარაოს,
ქანაობს, ქანაობს
და ღამის სხეულსაც
უნედლებს კედლების უღიმო ანარეკლს.
დგას აკვარიუმი - მჭვირვალ წყლის ზანზალაკს
ხანდახან გასცვივა ჩქამივით ფუსფუსი
უფსკრულის.
თევზის ფარფლს, უსუსურს
უსმენ და იოცებ, რომ ნაბიჯს ამღერებს
ნაჟღერებ სიმივით, დღე- წყლისქვეშ გასუსულს.
წინ მთელი ღამეა.
გაითევს ოთახი
მოცხარის ფერნაკრეფ ცისკრამდე შობასაც.
ობობას - დუმილის ანგელოსს შეიჩვევს,
შეაჩქვეფს ნიავი სინათლის ნასახლარს
და სხივის ხსოვნასაც შეამსხვრევს იაკინთს.
ღამეში ჩათესილ სინათლის ყვავილებს
ჰკიდიათ აკვნები -
ბიისფერ აბაჟურებს
არწევენ ექოები -
ფიქრები მეგობრების - მარადი ძიძები…
დაძებნი ოთახში შენსავე მარტოობას,
ნატრობ, რომ სულ გჩხვლეტდნენ წიწვები -
წამები არსებობის!
ნამდვილი არსებობის!
და მაინც არა წამს, ხმას აძლევ
ამ გამძლე მარადისობას,
რომელიც გაიძულებს, ტკივილებს ემონო!
გეგონოს, ასე სჯობს, რომ არც მთლად უმიზეზოდ

ზუიან ფიქრების ფუტკრები -
უტკბილეს ნექტარს გიგროვებენ
ცრემლის ცვილით ამოქოლვილ ღამის თეთრ სკებში,
ღამის თეთრ სკებში, ღამის თეთრ სკებში,
სადაც მსგეფსია,
სულ მსგეფსია სიყვარულისა.
თავად ხარ მარხვა და აკრძალული,
უკვდავებისთვის!
ბიისფერ აბაჟურთან ყულფივით ქანაობს
სინათლის ყვავილი…

ბაობაბი

ან კი რა ახსოვს ბებერ ბაობაბს,
პირველ კვირტებში პეპლების ძილი.
ხსენად ჟონავდა მათი სიზმრიდან
მარადისობის მზისფერი წირი.
უდაბნოების უსასრულობა
იდგა გიგანტურ ქვიშის საათად.
პეპლების ფშვინვა აკრთობდა ქარებს
და მოდიოდა ქვიშა ტაატით,
როგორც მიწიდან მოსული წვიმა.
წვიმა მშრალი და ოქრომოყრილი,
ბებერ ბაობაბს ღმერთი ეგონა
ჩამავალი მზე, წითლად მოღლილი.
ტიროდა ხე და პეპელას ძილში
ეჩვენებოდა, უდაბნოს ციდან
რომ მოყვებოდა გორაკებს მწირი
და დრო მოჰქონდა, სხეულზე მძიმე.
ხე ხელებს შლიდა შიშით შეშლილი,
ფესვებით სურდა დაჭერა მიწის,
მზე ჩადიოდა მორცხვად მორჩილი,
თითქოს ცას აღარ სჯეროდა მისი.
ზედ შეკვდომოდა ყველა ფრთას ფრენა,
ქვას შეჭკნობოდა ყვავილის ცრემლი
და უდაბნოში მოსული მწირი
განადიდებდა სიცოცხლეს წყევლით.
ან კი რა ახსოვს ბებერ ბაობაბს
ძველი სიზმრიდან ნადენი ცხადი.
მაშინ სიკვდილიც არ იყო ქვეყნად,
შენც სიყვარულის სახელით მწამდი.
შევთხოვდი უფალს, რომ მიეჩინა
უსასრულობა ჩვენთვის, საკმარი
და ზეცის ქოხში გულზე მიგვეკრა
ჩვენი პირველი ჩვილი – სამყარო.
და შემომესვა მხრებზე ფრთოსნები,
ანგელოსები ამესხა მძივად,
ამომეწოვა ფესვით სკნელიდან
მარადიული სიცოცხლის წვიმა.

და ვყოფილიყავ დაუსაბამო,
ბედნიერებით დასჯილი გულით,
უდაბნოს მხრებზე მოსხმულ სიჩუმის
მსგავსი და ათიათასჯერ ჩუმი…
ახლა კვირტებიც გაიშლებიან,
გაიღვიძებენ პეპლებიც მალე
და არც ეტყვიან ბებერ ბაობაბს,
თუ საით წავლენ...

გიორგი საჯაია

როგორ შევარჩიო აბა? რა პრინციპით?
ბევრი რომ არ ვიფიქრო ახლა, ბოლო 5 ლექსს დავდებ...

მზე ხელისგულზე
(Sun was said to die and be born again)

აქ მზე თავდება! სხვა იტყოდა, თავდება გზაო,
მაგრამ სხვა არ ვარ და ამდენად, მეპატიება -
მე შეიძლება განვაცხადო, რომ უშნო ცაა
და წვიმის ნაცვლად მოვიყვანო სერპანტინები,
ასე რომ ვამბობ: გზა კი არა, აქ... მზე თავდება!

არადა იყო საკმარისი მზეც და მანანაც...
დროც, როცა ღმერთის არსებობის იმდენად მწამდა,
რომ თავს საოცრად უხერხულად გრძნობდნენ მავანნი
და სახელითა მამისათა ნელ ცეცხლზე მწვავდნენ
იმდენხანს, ვიდრე უღმერთობას არ ვიწამებდი.

მერე კი, მერე ყველაფერი გაიშვიათდა:
ჟანგბადიც, ღმერთიც, უღმერთობაც, მორალიც, დოგმაც,
ბედიც, რომელიც აღარც მახსოვს ავირჩიე თუ
მემკვიდრეობით ალბერტ პ-სგან მივიღე როგორც
უკანასკნელმა საპატიო ალქიმიკოსმა,

რომელიც სიტყვებს ასო-ასო თუ მისხალ-მისახალ
წონის და მათი ღამეების ღუმელში კოქსვით,
ხელეწაფება პოეზიად აქციოს ის ხე,
სწორედ ახლა რომ მიასაქმა მეზობლის ტაქსამ,
თაობები კი, ყვავილებით მოიკითხავენ...

და მზეც, რომელიც გულში კი არ, არამედ გულზე
ხელის მენთო და გაილია ნიშნად იმისა,
მარტივად რომ ვთქვა: აქ თავდება! და უფრო რთულად:
აღარც ღმერთია, აღარც ხატი, აღარც სინდისი -
მხოლოდ "სინათლის" უიმედოდ ბნელი ქალაქი.

გაუცხოება

მოდიან წვიმები... ფანჯრებთან... და ისეც კი ხდება,
მიდიხარ ფანჯრებთან - წვიმები. ვინ იცის, თუ ხვდები,
რომ ასეთ ამინდში, ასეთი მოწყენა გიხდება
და ასეთ მოწყენას, რომ ასეთ ამინდში უხდები

იმდენად, რომ გინდა ადგე და მიეცე კაეშანს
ქანქარა სავარძლის, კუბოკრულ პლედის და თამბაქოს
და ფიქრს დადევნებულ მზერას დააწიო კარებში
თვალები და მერე საფერფლეც, ფინჯანიც, ლამბაქიც

და ღამეც, რომელსაც სხვაგვარად უწოდე წამება...
და გინდა იყვირო, ან სულაც ძაღლივით აყეფდე!
და ისე ხდება, რომ მოდიან ფანჯრებთან წვიმები
და ისეც ხდება, რომ მიდიხარ ფანჯრებთან, აღებ და

იგუბებ ფილტვებში ოზონის მომწარო სიბლანტეს
და მკერდში ესობი, როგორც ხელოვნური იმპლანტი,
ქალაქის (რომელიც არასდროს არაფრით გხიბლავდა)
ქვაფენილს (რომელსაც ყოველთვის რაღაცით ხიბლავდი).

თოვლი მაინც იყო

ზამთარს ოთახებში ვაშამათებ,
ბოლთით, სიგარეტით, მოხიტოთი.
თოვლი მაინც იყო, მოხვიდოდი,
თუნდაც აქა-იქ და იშვიათად.
ვაშრობ გიგანტური კროსვორდებით
დროის ინდოეთის ოკეანეს -
ისე გაიწელა ნაკიანი,
როგორც დარღვეული პროსოდია.
თოვლი მაინც იყო... მოხვიდოდი...

რამხელა დრო გასულა

რამხელა დრო გასულა -
სანამ მე შემოდგომა
გაგილექსე,
ზამთრიდან, ლეთარგიულ,
მოსული კოშმარივით
აიტუზა
ფანჯრებთან,
ალვებიდან
რაფაზე ჩამოთოვლილ
ყვავილებზე,
უმძიმეს ალერგიით
სნეული გაზაფხულის
ჰაბიტუსი.
რამხელა დრო გასულა -
ვაგროვებ დღეებს, როგორც
რელიკვიებს
(ღამეთა ადენომას
მისტიკის გარეშეაც
ვერეოდი)
და თითქმის სულერთია,
რომ ჩემთვის
უშენობას
"წლები" ჰქვია,
შენთვის კი – რამდენიმე
მარტივი სინტაქსური
პერიოდი.
რამხელა დრო გასულა...

აუტოფობია

არათუ მეგობრებმა,
მუხლებმაც მიღალატეს...
ძალიან, ამ ბოლო დროს,
ვიღლები უსიცოცხლო
ქუჩებში ხეტიალით,
ბებერი მენესტრელი,
პუნქტიდან - ცარიელი
(უკეთეს შემთხვევაში)
კოლოფი მალბოროსი,
პუნქტამდე - გომოცლილი
(უარეს შემთხვევაში)
ჩივასის მინის ტარა.

არათუ საყვარლებმა,
თვალებმაც მიღალატეს...
სულ რაღაც ხუთი წლის წინ,
პაულ ფონ მაუზერის
დედის პირს ჩავხატავდი
მეტალის ლარიანში,
პუნქტიდან - გამავალი
ქუჩაში ამბრაზურა
(საწოლი ოთახიდან),
პუნქტამდე - პრობლემების
მაგიერ გადაჭრილი
ცაცხვების მარიაჟი.

არათუ გული მწყდება,
ნერვებიც, სისხლძარღვებიც,
მყესებიც დავიწყვიტე
და ვურთავ რემარკებად
ღამეებს, ასფურცლიან,
თუ როგორ ვეშვებოდი,
პუნქტიდან, სათაურით
"დუმილის პოეზია",
რომლითაც დავიწყე და
პუნქტამდე, დამთავრების
რომლითაც, ვაღიარებ,
ყოველთვის მეშინოდა.

ლუბა ელიაშვილი

ლომებიანი სიზმრები

ჩემი ცხოვრება, არაფრით იყო გამორჩეული,…
თუმცა სიზმარში სულ ვხედავდი ვეფხვებს.
ხორხე ლუის ბორხესი.
,,ლურჯი ვეფხვები,,

როგორ მინდოდა და ვერ გნახე,
რამდენი ხანია მოვედი.
ისევ მესიზმრება
ხანდახან,
ჩვენი ქვიშისფერი ლომები.
მათი დასავარცხნი
ფაფარი,
ზანტი დაბიჯება ტორების,
მხურვალე მკლავების
ზღაპარი,
ნატიფი ვნებების ზმორება.
ბრმა თავისუფლების
სიმწარე,
ამურის უხეში
შეხება,
შ ე მ ხ ე დ ე !
რამდენი ზიზღი მაქვს,
სახეზე მოსხმული
შხეფებად.
შ ე მ ხ ე დ ე !
როგორი სუსტი ვარ,
სული გამაცალეს ომებმა,
ვეღარც
ვერაფერი შემმატეს,
დარდით
დავრდომილმა
ლომებმა.
როგორ ვიბრძოლე და
წავაგე,
ვერც შენი
წასვლით ვერ მიშველე.

ასე შეველეწე
სამყაროს,
უდღეურ ჩვილივით შიშველი…
თუ,
სწორად დავსახე მიზნები
ძილის წინ
რად მენატრებიან -
სახეალეწილი სიზმრები,
რომლებიც
ლომებთან წვებიან.…

2006 წ.

ავტობიოგრაფია

შენი თავი ბავშვობიდან დამაძალეს,
დამაბრალეს,
დამავალეს,
შემომაჩეჩეს.
სკოლიოზის კორსეტივით მომაზომეს,
შიგ ჩამჭედეს,
შემომაკრეს,
შემომიჭირეს.
იდეებად, გმირებად,
ლხინებად და გასაჭირებად.
გამომიჭედეს ყურები
შენი სადღეგრძელოებით...
მ ი თ ხ რ ე ს:
,,საქართველო შენი სამშობლოა...
ღვინო - უფლის სისხლია,
პური - მისი ხორცია,
ჭირნახული,
მოწეული,
წინაპართა ოფლითა და
ძვლებითგაპოხიერებულ,
სისხლითმორწყულ,
წმინდა მიწაზე.
ამ ნიადაგზე უნდა იარო
დღენიადაგ -
მისი გაქვს
ვ ა ლ ი,
და სულ
მ ი ს ი ა
შენთვის
საგზლად ნაანდერძევი
ძვალი და სისხლი
სისხლი და ძვალი.”
მე,
გულისრევას ვებრძოდი
რადგან
ვგრძნობდი
ნერწყვს ჩემსას
სისხლის გემო აქვს.
კბილებში კი
გამუდმებით მიხრაშუნებს
ძვლების ნაფშვენი.
მ ე უ ბ ნ ე ბ ო დ ნ ე ნ:
,, უფალი შენი არის

ვ ა ზ ი,
ახლად აღყვავებული,”
მე კი,
ვ ა მ ჩ ნ ე ვ დ ი,
როგორ გამირბის
თვალი
უცხო ჰორიზონტისკენ...
მერე, ერთხელაც
ვიძალე და გავწყვიტე ჯაჭვი.
ბევრი ვიარე.
დამეხარჯა ყველა მიზანი.
გ ა რ დ ა ვ ი ს ა ხ ე.
აღარ მახსოვდა
საიდან ვარ,
სადა ვსახლობდი.
სხვისი ღმერთების
გულგრილი მზერა
დავინახე
ისე ახლოდან,
რომ ვეღარც მივხვდი
სად მეპოვნა
ის ერთადერთი,
ვისი მადლიც უნდა მეწამა.
თან,
ნოსტალგიით რომ არ მეწამა,
შენს საზღვრებთან
ჩამოვიფერთხე
ყველა დარდი და
ვალების სია.
და მაინც, ბოლოს
უ კ ა ნ დ ა ვ ბ რ უ ნ დ ი.
დავაბრუნო უნდა
ნ ი ს ი ა,
სულჩამოფლეთილს,
უსახლკაროს,
შენგან რომ გამყვა.
მ ო ვ ე დ ი.
უხმოდ ჩავიმუხლე
ერთადერთ სახლთან.
სახლთან, რომელშიც ღია სარკმლიდან
ც ა მოჩანს,
მ ა რ თ ლ ა...
ხოლო ონკანში,
დღემდე მოდის სასმელი წყალი,
ი ს ე თ ი

წყალი,
რომ შეუშვერ პეშვს და რომ დალევ...
იმ სახლში, სადაც
ცხელი პურის სუნი აქვს სარდაფს.
დამსკდარ კედლებზე,
ფრესკებს ფერად აფენენ სადაფს.
ხატავენ ხატებს,
მოწყალე უფლის,
ი ს ე თ ი
უფლის,
ეკლის გვირგვინი რომ ადგას შუბლზე
და...
უძღებ შვილებს,
ჯვარზე გაკრული,
ნ ა წ ა მ ე ბ ი,
სევდანარევი სიყვარულით,
მშვიდად,
კეთილად,
მ ა ი ნ ც გ ვ ი ღ ი მ ი ს.

2006 წ.

ჩამო!

ჩამო!
თვალებში ჩაგხედო
ჩემო ბავშვობავ თავხედო!
ასკინკილათი ნარბენი
სიხარულები გავხედნოთ,
ოცნების ეტლში შევაბათ
უდარდელობის რაშები,
ისე ხმამაღლა ვიცინოთ,
შვილებმა მკითხონ: რას შვრები?
ჩამო!
ფოთლებში ვიპოვოთ
თაფლივით ტკბილი თუთები
და სადარბაზოს კუთხეში
კოცნით გავცვითოთ ტუჩები.
ჩამო!
უგონოდ მთვრალებმა
ლექსები ვუთხრათ სახურავს,
მერე ერთმანეთს ვუამბოთ
ცა ქუდად როგორ გვახურავს.
ჩამო!
ჩინური კეტები
გრაციოზულად ვატაროთ,
მუჭში გაცრილი კანაფი
სხვენზე წრედ შემოვატაროთ.
ჩამო!
მინდა რომ ვიღაცამ
ისევ ჩამთვალოს სულელად.
ჩამო!
ერთმანეთს ვახალოთ
გრძნიბითგამსკდარი გულები.
ჩამო!
დილამდე ვიცეკვოთ,
ჩამო!
მოვიქცეთ ჯაზურად,
ჩამო!
შენ მინდა შეგჩივლო,
ეს, რამდენი დრო გასულა...

ჩამო!
წარსულის შუკებში
იქნებ მივაგნოთ მეგობრებს...
მ ა გ რ ა მ... შენ თურმე
წ ა ს უ ლ ხ ა რ,
მე რომ ეზოში მეგონე.

2007 წ.

მაზოხისტური ფიქრი დილის ჩაიზე

მნახე.
უშენობამ მომატოვა.
დავიმარტოხელე საუბარი.
ჩაი მოვხვრიპე და
სინოტივე
ნამის ნამცეცებად დავუყარე
ჩიტებს,
ჩვენს რაფაზე შემომსხდარებს,
შენს რომანებზე რომ ჭორაობენ.
ზღაპრობენ:
წუხელ რომ არ მოხვედი,
ვიღაცის ლოგინში გორაობდი.
შემთხვევითაც კი არ მივაყურებ,
ჭიკჭიკი არასდროს მყვარებია.
კარს უკან,
ცოცხივით მივაყუდებ,
რაც კი შენს თვალებში ქალებია.
ან იქნებ,
სიბერის ღარებია,
ნაოჭად დამსკდარი ნაჭუჭები
და შინაც იმიტომ დაბრუნდი,
რომ
სახლის შეგიყვარდა ფაჩუჩები.
აღარ გაურბიხარ მყუდროებას,
თბილი ცოლი გინდა
ბუხარივით,
ცუღლუტი ფიქრები დაგირბილდა
ჩაიში ჩამბალი სუხარივით.
იქნებ,
ოცნებებიც დაგეღალა
შარაგზის ყაჩაღს და სალახანას
და თუკი,
თვალს აღარ გაპარებ
კოხტა მუხლისთავის სანახავად,
შიშისგან გულიც ხომ გამისკდება,
უცებ თუ შეგატყვე დაღვინება.
მე შენ,
ვერასოდეს დაგჯერდები -
შეჩვეულს, გაზეთით ჩაძინებულს.

რაც კი ქარიშხლებში გვიცხოვრია,
ყოფას მირჩევნია ნაპატივებს,
საწყლად არაფერი მითხოვია,
სხივჩამქრალ თვალებს ვერ გაპატიებ.
ჩუმად შეგხედე და
გულს მომეშვა -
ფიქრებს წაუღიხარ თავისნებას,
შენი გაქცეული მზერა მიყვარს,
ცალტუჩაგრეხილი ჩაღიმება.

2007წ.

აღმოსავლეთი...

მინდა
ჟინიანი, ურჩი გამეტებით
ფეხქვეშ დავიყარო
გონჯი პლანეტები...
მინდა
აზიურად, უტყვი გამალებით,
უკიდ-უნაპირო
ვსერო ტრამალები.
უდაბნოს ჯიშის და
მზის შვილთა თვალების,
ვიწრო და უხეში,
კერპი გამოხედვა,
მონათა ლეგიონს
ვაძგერო ხმალივით.
ვთესო და
ვამრავლო,
ფლოქვების თქარუნში,
ცხენის ფერდებიდან
ახსნილი აკვნების
უძღები ნაყოფი.
ავზილო ალაფი
სისხლში და აწმყოში.
სარზეწამოცმული
მონათა თავებით,
შევკრა გალავანი,
დავიდგა კარავი....
მიწისთვის ნაჩუქარ
ოქრო-იაგუნდის
ყორღანზე გადმოვდგე
ურცხვი და თავხედი,
უდაბნოს გავხედო,
უკვდავ
უსასრულოს
ცხელსა და მშობლიურს
გულზე ამოვკაწრო
დ ი დ ე ბ ა
სახელად.
ქვიშაში გავწმინდო
ნამგალა ხმალი და...
ჩემს
თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს
მივუძღვნა მსოფლიო.

ნელიკო გოგუაძე

ციფერბლატი

ჰო
ყოველთვის ასეა...
ხშირად მაგვიანდება
ერთი წამი,
ერთი წუთი,
ერთი საათი,
ერთი დღე.
ჰო,
ყოველთვის ასეა,
ხშირად ვაგვიანებ
ერთი წამით,
ერთი წუთით,
ერთი საათით,
ერთი დღით.
და ეს ერთი თავდაყირა აყენებს ყველაფერს.
არ ვიცი რატომ
მაგრამ ყოველთვის მრჩება
საყვარელი ნივთი იქ,
სადაც ვიყავი და
ისევ უნდა დავბრუნდე.
და რატომღაც
ყოველთვის ვკარგავ ადამიანს
რომელიც ჩემთვის ძალიან ძვირფასია.
არ ვიცი რატომ
მაგრამ ჩემი ოცნებები
ყოველთვის სრულდება
ერთი წამის,
ერთი წუთის,
ერთი საათის,
ერთი დღის დაგვიანებით.
და ხშირად ეს ერთი
ძალიან გვიანია.
არ ვიცი რატომ მაგრამ ახლა
შენ - ყველაფერი ხარ ჩემთვის,
ის - უკვე არაფერი.
და ეს ყველაფერი დღეს ხდება
არცერთი წამის,
არცერთი წუთის,
არცერთი საათის,
არცერთი დღის
დაგვიანებით.

და ჩემი სადღაც დარჩენილი საყვარელი წიგნი
ახლა შენთანაა უკანდასაბრუნებლად.
იქნებ იმიტომ, რომ
აღარ დამაგვიანდეს,
ოცნებები დაგვიანებით აღარ ასრულდეს
და ციფერბლატმა
აღარ მამცნოს ჩემი დროის დაგვიანება.
ჰო
ყოველთვის ასეა...
ხშირად მაგვიანდება.
დაბადებით კი
თურმე ზუსტად
ერთი თვით,
ერთი დღით,
ერთი საათით,
ერთი წუთით და
ერთი წამით ადრე დავიბადე.

სველი ნაფეხურები

შენ მიდიოდი
და ქვაფენილს
სველ ნაფეხურებად უტოვებდი
წარსულს.
მოხრილი მხრებით...
დახრილი მზერით...
თვალებში ჩაღვრილი ტკივილით
და დაღეჭილი სიგარეტით...
ჯიბეში კი თითები
ნერვიულად სრესდა
მალბოლოს კოლოფს.
შენ მიდიოდი
და ქვაფენილს
სველ ნაფეხურებად უტოვებდი
ჩვენს შეხვედრას,
როდესაც გაუთავებლად ვლაპარაკობდით
და უთქმელს ვტოვებდით
მთავარს.
არ ვიცი, რატომ მაგრამ
ეს ორივემ კარგად ვიცოდით
და მაინც...
შენ სიგარეტის კვამლს
აყოლებდი ფიქრს,
მე - ყავის სიტკბოს.
და ორივე ვფიქრობდით იმ წუთზე,
როცა ჩვენი ირიბი
და სადღაც ერთ წერტილში
გადაკვეთილი მზერა
გაშიშვლდებოდა და
ჯიბეში ნერვიულად მთრთოლავი თითები
აღარ დასრესდნენ მალბოლოს კოლოფს.
მერე კი....
მერე
ქვაფენილს წყვილად დააჩნდებოდა
ერთადმავალი
ჩვენი სველი ნაფეხურები.

ხომ იცი...

ხომ იცი,
სანთლებად აგინთებ სიცოცხლეს,
სანთლებად,
რომლებიც სულ მუდამ იწვიან,
ხომ იცი,
ხატის წინ მუხლმოყრით ვილოცებ,
ვილოცებ და უფალს
დარდს ვეტყვი ფიქრიანს,
რომ სანთლად ავანთე
მე ჩემი ოცნება,
სიბნელეს სარეცელს არასდროს
გავუყოფ,
არაფერს არ ვითხოვ,
მე მხოლოდ ის მინდა,
რომ შენი ღიმილი
პირბადედ მაჩუქო.

არა, მამაო!

არა, მამაო,
მე შენდობას არ ვიმსახურებ,
ნუ ცდილობ, სულში ჩამხედო და
შემიმსუბუქო
ამ ქვეყნად ყოფნის ტკივილი,
არა, მამაო,
ჩემს თვალებს სიმშვიდეს
ვერასდროს აჩუქებ,
ნუ ცდილობ, იტვირთო ჩემი ტვირთი
და მხრებზე დამაფინო სიმსუბუქე,
არა მამაო,
ვეღარ ვდგამ შენსკენ ნაბიჯებს,
რადგან ცოდვები
ბორკილად მადევს,
უფრო და უფრო მძიმდება წლები.
არა, მამაო,
მე შენს ნდობას არ ვიმსახურებ,
დიდი ხანია,
სატანას მივყიდე სული,
ამ ქვეყნად ყოფნა
ვისესხე და
ახლა სიცოცხლემისჯილი
ვალებს ვაბრუნებ.

დრო, რომელიც დიდ დუმილს იტევს

ჩვენს შორის იყო ყველაფერი
თან არაფერი,
და ამ უსასრულობით
გაჯერებულ ვეება სამყაროში
დასეირნობდა
პატარა და დამფრთხალი ფიქრი.
ჩვენს შორის იყო დრო,
დრო,
რომელიც დიდ დუმილს იტევდა
და ამ დუმილში იყო
ის არაფერი,
რომელსაც ჩვენთვის ყველაფერი ერქვა.
დროსა და სივრცეში აცდენილი
ნაფეხურები კი
ჯიუტად ეძებდნენ ერთმანეთს
და ფიქრად ქცეულები,
ჩვენი მოგონებების სამყაროში
დასეირნობდნენ.
ზღვის მლაშე გემო
მთრთოლავ ტუჩებზე
ტოვებდა სათქმელს.
მთვარის ბილიკით
განათებული ზღვა კი
ზაფხულის ლამაზ და
სიყვარულით სავსე ზღაპარს
უყვებოდა ვარსკვლავებს.
ჰო!
ჩვენს შორის იყო ყველაფერი
და არაფერი,
ამ უსასრულობით
გაჯერებულ ვეება სამყაროში
დასეირნობდა
ნატვრად ქცეული
პატარა და დამფრთხალი ფიქრი.

ზელა ჩეკურიშვილი

ნანას

თუ საღამოხანს,
დაგრძელებული ხეების ჩრდილებს,
ძველებურად,
ასკინკილით გარს შემოვუვლით,
ჩემი და შენი ქალაქები ამბად გეტყვიან,
რომ ზაფრანას ყვავილივით გავყვითლდი
და დავიბენი,
როგორც მაშინ,
სკოლის მერხებზე გაურკვეველ ინიციალებს რომ ვკაწრავდი,
ხომ გახსოვს,
ჭორფლების შეგროვება რომ დავიწყე
და თმაც გამეფშიკა,
მაშინდელივით ახლაც გამუდმებით ვიწნავ და ვიშლი
და გოგრის გულივით ყვითელი ვარ.
ხომ გახსოვს
ჩემი ჭრელა-ჭრელა სარაფანები,
ფოჩებიანი მოსასხამი
და ფარად-ფერადი ღილები,
ახლა კი წიწილასავით ყვითელი ვარ
და წყლის დალევისას ცაში ახედვა მავიწყდება.
ხომ გახსოვს, რა ძნელია,
პირველად რომ მოიტყუები და დაგიჯერებენ,
როგორც ხუთი ჩხირით
რომბებიანი წინდა მოგექსოვოს,
ანდა ზურგს უკან დამალულ ხელებში გამოგეცნოს,
მარგალიტის ბურთულები ლუწია თუ კენტი.
ახლა კი ქარვის კენჭივით გამომშრალი
და ყვითელი ვარ
და ვიდრე არ დამიძახენებენ,
ვეღარ ვხვდები, საით გავიქცე.
ხომ გახსოვს, ძველ ზღაპრებში
სამი გზის გასაყარზე რომ დგებოდნენ,
მე კი სიტყვის ორადორი მარცვალი მაქვს ამოსათქმელი
და მაინც აქეთ-იქით ვიყურები,
ხომ გახსოვს, როგორ გვიმეორებდნენ,
როცა ვმოძრაობთ,
ან ტანთ ვიცვამთ,
არ დაგვავიწყდეს,
რომ ძუძუებიანი არსებები ვართ
და რძესთან ერთად,
ასწლოვანი ღვინის ძალასაც დავატარებთ უქმე დღეებში.

შენ ჩემი და ხარ,
და რომ გეცადა,
შენს ქალაქში,
საღამოხანს,
ჩრდილებდახრილ ხეების ტოტს შემოხვეოდი,
ჩემი და შენი ბავშვობის საქანელები ამბად გეტყოდნენ,
რომ ფეტვის მარცვალივით ყვითელი ვარ,
ჩამოვიფშვენი და
დავიბენი.

ნატო ინგოროყვას

`რა ქნას მოკვდავმა~
… (ბესიკ ხარანაული)

რა ქნას მოკვდავმა,
თანაც ქალმა,
თანაც პოეტმა,
თანაც ქალაქში,
სადაც ქვაც კი სიბერით სცოდავს,
სადაც ზღვებიდან გადმოსული საღამოები
ახშობენ დილით დაბადებულ იმედის ნოტებს;
რა ქნას მოკვდავმა,
თანაც ქალმა, როცა არსებობს,
მარტივ დღეებად გაფანტული
უცხო სიზმრებში,
როცა სინათლის წყაროა და
მისი მსგავსები,
არქმევენ სატრფოს,
ხან მეგობარს, ხანაც სისხამზე,
უძღვნიან ლექსებს
და მოლოდინს უვსებენ სიტყვით,
როცა ბგერებსაც უწონიან
მისხალ-მისხალზე
და ფეხაკრეფით გაურბიან
უხერხულ კითხვებს;
რა ქნას მოკვდავმა,
თანაც ქალმა,
როცა მარტოა,
როცა წევს მზესთან
და მკლავებით აღვივებს ქვიშას,
როცა სიცოცხლის სურვილებმა
უკვე დატოვეს
და წყლის სიმშვიდით ელოდება
რაიმე ნიშანს;
და რა ქნას ქალმა,
უპასუხომ,
როცა ელიან
მისგან სამოთხეს
და არქმევენ გზასა და ჭიშკარს
იმ სამყაროსკენ,
სადაც საგნებს სხვა სახელი აქვს,
სადაც სიყვარულს არ ატანენ
ქარსა და პირქარს;

და რა ქნას ქალმა
მოტივტივემ
ტალღებზე უხმოდ,
უძვლოდ, უსისხლოდ დარჩენილმა
ქალაქში, სადაც
ამინდებია და განწყობა
თბილი და სულ სხვა
პასუხებია და სახლები სადაზე სადა.

წუხელი სიზმარი ვნახე

„წუხელი სიზმარი ვნახე, ნეტავ, დედავ, რაო?“ - (ხალხური)

-რაო და,
ის წყალი, თავზე თქეშად რომ გადმოგემხო,
ჩემი ცრემლებია,
ვაი აქვს შენს დედას და ნუგეში არ უნდა!
-რაო და,
ის თევზი, წყალში რომ შემოცურდა,
შენი ექიმია და
თევზმა ეშვები რომ ჩაგასო,
მისი სკალპელი,
-რაო და,
აკვანს ღერძი რომ გასტეხია,
შენი ხერხემალია და
არტახები რომ დასწყვეტია -
შენი ხელ-ფეხი,
-რაო და,
ავგაროზზე ღილი რომ აუჭრიათ,
შენი თავია,
ვაი აქვს შენს დედას და ნუგეში არ უნდა!
-რაო და,
ჩიტები რომ მოგეგებნენ,
შენი და-ძმებია,
ჟღურტული მიტომ აღარ შეუძლიათ, რომ
ენა თევზებმა შეუჭამეს,
ბუმბული მიტომ დასცვენიათ, რომ
იმქვეყნად ტანსაცმელი არ სჭირდებათ,
ფრთებით გზას მიტომ განიშნებენ, რომ
თან უნდა გაგიყოლონ,
-რაო და,
თორმეტ ნაწილად გადასერილს
ერთად აგკინძავენ,
ეს ერთმანეთით ისწავლეს და
აღარ შეეშლებათ,
ვაი აქვს შენს დედას და ნუგეში არ უნდა!
-რაო და,
ლეღვის ხეს ნაყოფი რომ უხმება,
დედაშენის მკერდია და
საწნახელი სისხლით რომ ავსებულა -
მისი მუცელი,
ტყისპირას ტურები რომ გაჰკივიან,
მისი გოდებაა,
ვაი აქვს შენს გამწირავს და ნუგეში არ უნდა. . .

ჩინური სიმღერა

ძაფზე ვკიდივარ ქაღალდის ჩიტად
და სასწაულის მოხდენას ველი.
და სულ ერთია, ვიქნები ციდა,
თუ გაჭიმული ერთი მტკაველი,
მე ამ ყუთიდან გაფრენა მინდა
და ჩემს სურვილზე ყოველდღე ვმღერი.

ნუ მიმატოვებ, უფალო, როცა,
პატარა ნისკარტს მივმართავ მზისკენ,
არ მახსენდება არც ერთი ლოცვა,
თვალდახუჭული მივყვები სიზმრებს,
აქ, კუთხეში რომ ობობა ცოცავს,
ისიც კი, თითქოს, მოწყალედ მიმზერს.

ჯერ არ მინახავს არც ერთი ფერი,
ზეცის ლაჟვარდზეც მხოლოდ მსმენია,
როცა გაცრეცილ ფარადს შევცქერი,
იმ სივრცეებზე ვფიქრობ დღენიაგ,
სადაც ტყეებში პატარა ჩიტებს
ხის ბუდეები ჩაუფენიათ.

ხანდახან ვხედავ, კედელზე ჩრდილებს
როგორც ატოკებს ორპირი ქარი.
ქაღალდის ფრთებზე დამივლის თრთოლვა,
ქაღალდის გულში გაჩნდება ბზარი,
რომ ყოფილიყო ეს ძაფი ცვილის,
რომ ყოფილიყო ცვილი დამდნარი. . .

ჩენდლერს

„ნარმა, მიტკალი, რა გინდა, მითხარი“ - (გათვლა)

მომიყევი მწვანე მატარებელზე
და მანანის ფაფაზე,
ლიანდაგების გამოჩენის მოლოდინში
ტანჯვით რომ ვყლაპავდით,
მომიყევი დაფნის ბუჩქებზე
ჩვენი სკოლის ეზოში
და გვირგვინებზე,
მომიყევი გვირგვინოსან კეისრებზე
ტრაიანესა და ავგუსტუსზე,
მხევალი ქალის ერთგულ თვალებზე მომიყევი,
როცა არ ვიცოდით,
სად მთავრდებოდა ბატონის შიში
და სიყვარული სად იწყებოდა,
მომიყევი ვარდისფერ ღამეებზე
და აბრეშუმის აბაჟურებზე,
ვარდისფერ ბაჭიებზე მომიყევი,
ჩემი პიჟამოდან
პირდაპირ საწოლში რომ ხტებოდნენ
და სურვილების ჩაფიქრება ავიწყდებოდათ,
მომიყევი წვიმაზე
ტაჯმაჰალის გარშემო
და შეყვარებულ მაჰარაჯებზე,
ინდუს ქალებზე მომიყევი,
სამკუთხა მუცლებს რომ აჩენდნენ ცეკვისას
და ნატიფ ევროპელებს
ძრწოლას რომ ჰგვრიდნენ,
მომიყევი ტროპიკულ შიშებზე
და ორბისხელა ღამურებზე ქალაქის ბაღში,
მომიყევი ტაძრებზე,
მე რომ ქვა ვიყავ
და მზე,
იმ ქვაში,
შენ რომ ეყრდნობოდი.

ანა გრიგი
Анна Григ

К Р У Ч Е

я хочу быть много круче чем 'от Gucci
и жирнее тучи
тучи самой жирной
чёрной тучи
я хочу тебя замучить-дозамучить
!чтобы в кучу
всё что после
сразу в кучу
сразу п о с л е
даже е с л и
если в Осло ты умчишься или Прагу
я раскрашу краше флага всю бумагу
и п р и л я г у и п р и л я г у и п р и л я г у
и прилягу отдохнуть перед дорогой

КОФЕ

каждое утро
начинается утро
начинается кофе
начинается много
начинаются спазмы
в шести падежах

-ах-
заразна
сигарета
в губах
/своих
чужих
без разницы/
-ах-

когда:
ни губ ни сигареты
п л о х о

! скорее б вечер
! скорее б вечер
он т о ж е как утро
н а ч и н а е т с я тоже
н а ч и н а е т с я с кофе
и
начинается с к о ф е
и
н а ч и н а е т с я с к о ф е к а к
у т р о

* * *

я ухожу и возвращаюсь
к тебе опять
прощай
!прощай
...нет
!не прощаюсь
!нет :чувства вспять

жизнь отучнев крадётся
мимо
куда-то в тень
а я - всё жду
неутомимо
из ночи в день

ты
!не даёшь душе покоя
ты
!как романс
а я - я
всё не зная кто-я
ловлю свой шанс

? и почему я не прощаюсь
устав гадать
то ухожу
то возвращаюсь
к тебе опять

Р О М А Н С-Ф А Н Т А З И Я

мы познакомились недавно
под небом нежным как сирень
он представлялся очень славным
и сомневаться было лень

я: нарвала букет романсов
растолковать ему мой шарм
и утопить в дыханье стансов
сплетающих обрывки гамм

он: заражал мгновеньем риска
и предвещал чувствоворот
но подойдя нежданно-близко
задел избитостью острот

мы познакомились недавно
под небом нежным как сирень
он представлялся очень славным
а сомневаться было лень

НА - ДОПЕЙ

как маньячка
- с коньячком в стакане -
жду точка
придёт через 10 минут

пусть забуду я сразу
пусть того кого ждать не решаюсь

но !ты
кого ждать не решаюсь
но !ты

: я ведь спела
у ж е
я тебе свои песни
и сказала 'je t'aime' 20 раз

!я сказала 'je t'aime' !20 раз

ладно
ладно
:скажу в 21-ый:

на - допей мой коньяк

ირმა შიოლაშვილი

მივესალმები ამ მშვენიერ პროექტს და ჩემს ხმას 5 ლექსით ვუერთებ. ლექსებზე ბევრი არ მიფიქრია, გულით ავარჩიე:

* * *

იმ სურვილებით უნდა გავქვავდე
ხეს რომ დაადნა წვიმის წვეთებად,
ყველას წვიმების მადლი გფარავდეთ -
მე... ჩემი მადლიც მეიმედება.

და გდარდობთ. თუმცა შეშლილი მარტი
როცა ტკივილებს აცლის მზეტიალს,
მე გამოვდივარ სახლიდან მარტო
და დაღლილ ცრემლში ვიწყებ ხეტიალს.

1994.

* * *

(ფრაგმენტი პოემიდან)

...არ შეიძლება ლექსებს წერდე ძველი ინტიმით,
ძველი ცოდვებით მიდიოდე ტაძრის კარებთან
და სიკვდილივით გაშინებდეს რაღაც მარტივი -
ბრმად მოდებული სიყვარული გულისგარეთა,
არ შეიძლება მოწესრიგდე, როცა სახელად
გქვია პოეტი და ფოთლებში ეძებ სინაზეს...
აჰა, საღამომ ძველი ბოღმა ამოახველა
და დასჯილივით მიგაჯაჭვა ფანჯრის მინაზე.
რა მარტივია ყველაფერი, როცა ხმაურობ
და ყველა ხდება მოყვარული და შენიანი
და ტკივილამდე აჯადოვებს შენი აურა
ადამიანებს...მომლოდინე ადამიანებს
და რა რთულია ყველაფერი, როცა იღლები,
როცა მთიები მკერდზე აკრულ დაღებს იჩენენ,
როცა შენიდან, როგორც ჭიდან, ამოიღებენ
წყალს, რომ გვალვისგან მშრალი გვამი გადაირჩინონ.
რა უცნაურად იტვირთები...თუმცა ფარულად
რაღაც მარადი ჩაუქრობი ცეცხლივით გათბობს...
და სიმარტოვე -ერთადერთი თავშესაფარი
ისე მიგელის, როგორც მზისგან დასიცხულ სატრფოს.

1995.

* * *

გემუდარები, გამიღე კარი.
სიტყვა, რომელიც ერთ დროს გამომრჩა,
მე მოგიტანე ახლა პეშვებით,
გემუდარები, კარი გამიღე!
ასე ადვილად ვერ შევეშვები
დაგმანულ კარში შეჭუჭკულ ლოდინს
და რწმენისა და იმედის ლოდებს
ვერ ჩამოვაგლეჯ ჩემს მარტოობას,
...სისულელეა ჯიუტი ღობე
ყინულოვანი, თეთრი თითებით,
მე, თუმცა, მთვარის სატრფოდ ვითვლები
მაინც მთავარი დავტოვე შენთან -
უბავშვურესი სულის მითები
და მოყვავილე სინათლე ფერთა;
და ახლა, სიტყვა მომაქვს პეშვებით,
რომლითაც უნდა გადავარჩინო
შენს სულში თითქმის გახუნებული
ჩემი თითების ანაბეჭდები,
სავსე ვარ შენი დიდი სურვილით
და სურვილს იქეთ არ ვიხედები.

გემუდარები, კარი გამიღე.

1999.

ევროპის დღიურიდან

რაღაცნაირად გულგრილი გავხდი...
ერთადერთი, რასაც ვამჩნევ
კედელზე უშნოდ ატუზული
ოთხი ჩარჩოა
და ფერები - შეჭუჭკული ჩარჩოს კუთხეში...
მენატრება საყვარელი ქალაქის მტვერი,
შავი მტვერი - მოუვლელი, სადა ქუჩების.
ვრეკავ უცხოელ მეგობართან,
რომლის ძარღვებშიც
დაედინება უცნაურად ნარევი სისხლი,
რომელიც კოსმოპოლიტია
და ერთნაირად ენატრება
ბონიც და ჩიკაგოც
და ვუყვები, რომ
ქალაქი, რომელიც მენატრება,
ძალიან ძველია და ძალიან სახიერი,
მაგრამ უცნაურად დაავადდა და
ადამიანებს ვეღარ პატრონობს.

2000 წ.

ლუკას

ოდესმე აღარ დაგჭირდები-
ამ ჯინსისფერი ქურთუკივით გამიხდი და სახლიდან წახვალ...
მე, ალბათ, კალთას ჩამოვაწყობ გადაღლილ მაჯებს
და სევდაში და მოლოდინში დავიდნობ სახეს

და, ჩემს სიცოცხლეს ოქროს ტოტი ჩამოატყდება...
შენ კი... შენ- დედა გენაცვალოს - უნდა იარო
მხრებგამართულმა, ლამაზმა და სავსემ მარტებით,
სიყვარულებით, სურვილებით, ყოფის ხვიარებს

მხარი უქციო და ხანდახან ხელის წავლებით
უსიტყვოდ ჰკითხო დედის მაჯას-რატომ წრიალებს...
მხოლოდ ხანდახან-თორემ, დედა დაგეწამლების,-
შენ უდარდელად, უტკივილოდ უნდა იარო....

27.05.08.

ნუკრი ბერეთელი

მე უფრო აკვიატება ვიცი ლექსის,ჩემი იქნება ეს თუ, სხვისი. "ამეკვიატა შენი სტრიქონი და ვიმეორებ ისევ, თავიდან..." ჰოდა,დავდივარ მერე და ლოცვასავით ვიმეორებ -ძილის წინ და დილით, ახალგაღვიძებულზე, ჭამის წინ და შემდეგ, სახლიდან გასვლისას და შინ დაბრუნებისას და დავდივარ ასე აცეტებულ-აკვიატებული. ჩემების გამორჩევას რაც შეეხება, მშობლებს არ ეკითხებიან,რომელი შვილი მეტად გიყვარსო... შვილებს-კიდევ შეიძლება. ჰოდა, მიბრძანდით ვისაც არ გეზარებათ და ჩემს ლექსებს ჰკითხეთ,რომელს მეტად ვუყვარვარ. ჩვილებს გამოვარჩევ მაინც,ხშირად უპატრონოდ მყავს მიტოვებული და იქნებ თქვენ მაინც მიაქციოთ ხანდახან ყურადღება.

მე ახლა ავად ვარ

მე ახლა ავად ვარ, გესმის?!
ავად - უშენობით...
ათასფერ ყვავილებს გესვრის
კარს მომდგარი მარტი.
შენით უძილობას ვნატრობ,
შენ - ძილს უჩემობით...
რითმებს ვამარტივებ,ვატყობ,
გადაღლილი დარდით.

ისე მიძნელდება წერა,
როგორც არასოდეს.
ჩემი მინავლული კერაც
მიცივდება სოფლად.
გულზე ლაქასავით, ჭრელი -
უნდა ამოგშორდე,
იქნებ გავამართლო ჩვენი
ვარსკვლავებთან ყოფნა.

ვითომ დაუჯერებს თვალებს
დაბნეული ჭინკა,
როცა გავაჯავრებ მთვარეს
მოქცეული ღრანჭით?!
გული, გაბზარული როგორც
შარშანდელი ჭიქა -
დამაქვს - წყაროს პირთან...ოღონდ
ნუღარ მკითხავ, რა მჭირს -
ყველა შეუნდობი ცოდვა
დამაბრალე როცა!
ტვინში არეული ბოდვა
წალამივით იწვის...

ყველა გადაშლილი ფრესკის
ვერნათქვამი ლოცვა
ღმერთმა მოგივლინოს! ეს კი
რამდენია, იცი?!

მე კი გავუყვები ქარებს
მუჭისტოლა ღრუბლით,
ჩვენ რომ ვარსკვლავები ვთვალეთ -
იმ ბავშვობის ციდან -
უნდა ავარჩიო ერთი
და მიწისკენ შუბლით
(აღარ გამახსენო ღმერთი!)
გადმოფრენა მინდა!
მე ახლა ავად ვარ, გესმის?!

მაინც სოფელზე

ახლა სოფელზე მსურს დავწერო... მეტყვიან მერე -
დროს ჩამორჩიო, მოძველდაო ეგ თემა უკვე.
- ვაი, თქვენს პატრონს! - ვეტყვი - თქვენ თქვენს მოდაზე წერეთ, მე კვლავ ჩემს
სარჩულგამოხეულ, კლდე-სოფელს ვუკმევ.

ჰოდა, ქარია. (ვტელეპატობ!) ქარია, თქორი,
ცა ჩამოსულა თურმე ფეხად შუკებში წუხელ.
ჩემს კრუხ-წიწილას დაეცაო ეზოში ქორი! -
სწუხს დედაჩემი და მეზობლებს სატკივარს უმხელს.

მოსძალებია ღობისძირებს ეკალი უხვად,
დგას უხელჯოხო მოხუცივით ოცი წლის ვაზი,
ამ ჭურებს სტუმრის მოჭიშკრება სხვაგვარად უყვართ...
მეძუძურ ხბოებს წამწამები პეპლებად აზით.

კიტრა ვაშლების აყვავება მიყვარდა როგორ!
ვარდისფერებში გამოეყო ალუბალს კიჭი.
გაღმა სოფელში გათხოვდაო მეზობლის გოგო...
საგურამოსთან დამარცხდაო მეზობლის ბიჭი...

ჟანგიან სახნისს დაჰკარგვია ფოლადის გამა,
ყრუ მყუდროება აკაკუნებს გულგამშრალ კარზე.
არ მომასწრებო, აწი, ცოლ-შვილს? - წყაროსთან, მამამ
და ბრგე ჩაფივით მწუხარება შეიდგა მხარზე...

ცრის. ციცრის კვერცხებს აგროვებენ ბავშვები. გაღმა
მიტანტალებენ... (აღდგომაა ორიოდ დღეში.)
-ეჰ, წუხელ ბოვში მესიზმრა და დარეკოს ახლა! -
ზის დედა კართან და წიწილებს აპურებს პეშვში...

მაინც სოფელზე მსურს დავწერო!..

რომ შემეძლოს

ახლა მოვკვდებოდი... (ბევრჯერ დამიწუნეს
წერა სიკვდილზე და, მაინც მეწერება)
გულზე დავიწყობდი მინდვრის თაიგულებს -
ღიღილოების ან, მშვიდი ენძელების...

მზერას გავატანდი წყაროს სამღარიანს,
ღიმილს -მაისის ქარს, -ხეებს დაურიგოს.
სადღაც ნიკორები მიწას ჩაბღავიან...
დები იტირებენ ალბათ "ძამულიკოს".

მერე დაიწყება წლები დავიწყების,
ცელით დაატყობენ მიწას ნაბილიკარს...
ძვლები გათეთრდება - დედის საფიცრები,
მხრებში მოიხრება ძველი ბაზილიკაც.

მეხი დააფეთებს სადღაც მიკიოტებს.
(ნატვრით როდის იყო, გზები მოკლდებოდნენ!)
მე ახლა მზისკენ უნდა მივდიოდე,
ჩემი კლდე-ბილიკით უნდა მივდიოდე,
ხევებს და ქარიშხლებს უნდა მივკიოდე,
თუმცა... რომ შემეძლოს, ახლა... მოვკვდებოდი.

ჩემი სიკვდილი

ტკივილი ფონია, კაკტუსი-სიმბოლო.
ღამეებს გამაკრეს სამსჭვალით ეკლების...
ამაღამ სიკვდილი რომ გამოვიგონო,
მიზეზს გამართლება უთუოდ ექნება.

ლექსებით სიკვდილი რომ გამოვიგონო...
რა ყულფი?! უჰ, ლულას საფეთქელს შევახებ?!
სად ის, რომ იფეთქებ მეხივით სტრიქონად
და ჯოჯოხეთის კარს წიხლით რომ შეაღებ!

სად ის, რომ ჩაუვლი ამაყად გაბრიელს,
რიდი შენ კი არა - შენი რომ ექნებათ...
მთელი დღე ლექსებმა დღეს ხელი დამრიეს!
უჰ, ხელი დამრიეს მთელი დღე ლექსებმა!..

წუთისოფელმა კი იდინოს, იგოროს;
(ვინ გხედავთ,თვალებო, დარდით რომ მევსებით.)
მე ჩემი სიკვდილი მსურს გამოვიგონო -
ლექსებით სიკვდილი... სიკვდილი ლექსებით...

გვიანი გაზაფხული

ეს გაზაფხულიც ისე გავიდა,
ვერ მოვეფერე ვაშლის ხეზე ფეხმძიმე კვირტებს,
ვერ შევუმშრალე ნება-ნება ცრემლები ვაზებს,
ვერ შევისუნთქე ახალმოხნული მიწის სუნი და შავი სითბო, -
ვერ მოვასწარი...
და გულდამწყდარი
ქალაქის ვიწრო, ბნელ ქუჩებში ხეტიალისას
შენ შეგეფეთე -გვიან გაზაფხულს...
პროზაულია?
ვიცი, ამ ლექსს არ მომიწონებ.
ან რა ლექსია, აჩხა-ბაჩხა სიტყვების გროვა;
ან ეს მარცვლები ნახე, როგორ უგულოდ ყრია,
როგორც ხურდა მათხოვრის ქუდში...
და მანც გვიან გაზაფხულზე მინდოდა მეთქვა:
რომ, მოვეფერე ვაშლის ახლად დაბერილ კვირტებს,
რომ, ნება-ნება შევუმშრალე ცრემლები ვაზებს,
რომ, შევისუნთქე მიწის სუნი და შავი სითბო -
შენ იყავ ჩემთან.

ნინო ნეკერიშვილი

ძალიან დიდი კადნიერება თუ არ იქნება ჩემგან, რომ დავამატო ჩემი ხუთეული...
რა ვიცი, შემოგიერთდებით

გაზაფხული

გაზაფხული კარებს მოადგა.
\"ნაფტალინის\" სუნი ასდით ვიწრო აივნებს,
ასე უხვად გადმოფენილი,
ჩრჩილით დაჭმული,
ნაზამთრალი გრძნობების გამო,
კვლავ მესიზმრება თეთრი კოშკი,
ფართო საწოლი,
და შენი კოცნით უცაბედი გამოღვიძება-
მაღვიძარას ზარი ყოფილა...

ეს ლექსი მიყვარს ძალიან, იმიტომ რომ ლიტერატურა.გე-ზე ჩემი პირველი გულშემატკივარი იყო თამთა დოლიძე, რომლის გაცნობაც, სამწუხაროდ ვერ მოვახერხე და თამთას კორექტული კომენტარები ყოველთვის მეხმარებოდა გაზრდაში. ეს იყო პირველი ლექსი, რომელიც თამთას შენიშვნების გარეშე მოეწონა.

ნაფეხურები

გამშრალ ცემენტზე შემონახულ
ციცქნა ნაფეხურს
არ ეტოლება ჩემი თეთრი ფეხისგულები-
გავზრდილვარ თურმე...
ციცქნა კაბაც თოჯინისას ჰგავს,
მხოლოდ ძველი ფოტოები მიფიცებენ-
მართლა გეცვაო.
დანანებით შემომცქერის პატარა ნინი :
-რაღა ვქნათ ნინუც, გამასწარი,
ისევ ვეღარ გეთამაშები...

მხოლოდ ღამით,
სიზმარში თუ დამიცდა ფეხი,
უფსკრულისკენ უფრთოდ ფრენისას
გულგახეთქილს რომ მეღვიძება,
ვმშვიდდები, მაშინ -
ისევ ბავშვი ვარ, თუ კვლავ ვიზრდები?!

ეს ლექსი მიყვარს იმიტომ, რომ ბატონი გივის მოწონება დაიმსახურა და შემდეგ მისგან კარგი რჩევები მივიღე.

წიგნები

ყოველი წიგნი-
დროებითი გაქცევაა შენი თავიდან,
ნებადართული მნახველობა სხვისი
სულის მუზეუმების,
რომლებსაც სწორედ ის ფერები მოსჭარბებიათ
შენს პალიტრას ასე რომ აკლდა...
მერე კი,
როცა დაქანცული პილიგრიმივით
მტვერდადებულ სამოსს შეიცვლი,
ხვდები - თვითონაც შეიცვალე,
ერთი ნაბიჯით მიეახლე უფლის სიყვარულს.

სხვათა შორის, ამ ლექსის მუზა ნინო ნადირაძის წიგნი იყო როდესაც მისი წიგნი "სიტყვებით თამაში" მივიტანე სახლში გულში ჩახუტებული, იმ აზრმა,რომ ახლა ნინის სამყარო უნდა გამეცნო, ეს ასოციაციები გამიჩინა და ასე გამოიხატა. მგონი ამას პირველად ვამბობ.

ისტერიკა

ისეთი უაზრო ამინდია,
თითქოს გაკლდეს - დარდებს დაგიმატებს,
ჯიბრით გავიხსენებ ყველა ცოდვას
და სილად გავაწნავ გულგრილ ხატებს.

ღმერთმაც - ზევით მცხოვრებ ოჯახივით
წვიმა დაუდევრად ჩამოგვიშვა...
თვალებით ვკივი - დამეხმარეთ!!!
თორემ... გარეგნულად არა მიშავს.

და თუ უთქმელად ვერ მიმიხვდები,
ნათხოვნ ყურადღებით გავიხარო?
ისე გადამღალა ამ ცხოვრებამ,
შატალოზე უნდა გავეპარო!

ჰო, ამ ლექსს მცირე ახსნით ვტოვებ - მიყვარს იმიტომ რომ მიყვარს! მთელი დღე მაწვალა, სანამ ფურცლამდე არ მივაღწევდი და არც ერთი სიტყვა არაა შეცვლილი. ამ ლექსს ვერც ვერასოდეს შევცვლი და დავხვეწ, სხვებს - რასაკვირველია.

დიალოგი

-კვალი?
-ვაღიარებ, საკმაო მაქვს.
-ცნობილ?
-მეგობარი პოეტების!
-რას წერ?
-ოჰ, ვწერ არა! უფრო ხშირად
რითმულად მივედ-მოვედები...
-სინდისს?
-ჯერ ვაწყნარებ ჩემებურად...
-მერე?
-ალბათ მერე აჯანყდება,
როცა საკუთარ თავს მოვბეზრდები,
როცა ღამეებიც გაჯანჯლდება.
-მერე?
-მერე ყველას მოვიმდურებ,
სიმართლეს ვესვრი ტყვიასავით,
უფლებას მივცემ, ჩემი ენის
მსხვერპლად გაასაღონ ურცხვი თავი...
-და რა?
-არაფერი... ამაოა,
ამით არაფერი შეიცვლება...
კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებით
უნიჭოს არაფერი ეშველება!
-იქნებ დაისვენო, დაღლილს ჰგავხარ.
-ეგ მერე... კუბოში... შეიძლება...

ბოლო ლექსი ვერ შევარჩიე, ბევრი ლექსი თანაბრად მყვარებია, ამიტომ ეს მივამატე... მაინც "საჯაროს" შვილია.

მედეა იმერლიშვილი (ინანა)

დამშვიდობება ზამთართან

მინაწერი პასკალ კინიარის
წიგნზე „სექსი და შიში“

სიყვარულისთვის ასახლებდნენ,
როგორც სენისთვის,
შორს, კუნძულებზე, უდაბნოში,
იდებდნენ ბინას და თავს უძღვნიდნენ
დროის ათვლას, ანდა ხელობას,
ხელოვნებას, დროის ჩერების.
აცახცახებულ ყვავილებზე
მზის ფერად სუნთქვას ყურს უგდებდნენ
და ცის წიაღში, შორს, ღრუბლებს მიღმა,
გამდნარ ბინდში
მათი სული დანანაობდა.

ვრეცხავთ და ვაშრობთ, და ვიმზადებთ
სახვალიო ფერუმარილებს.
მარტოობაში გარდაცვლილა ოვიდიუსიც.
იმპერატორი აღაშფოთა მისმა ლექსებმა,
სიყვარულისთვის ასახლებდნენ,
როგორც სენისთვის,
და რადგან იგი ითვლებოდა დანაშაულად,
ანდა სიგიჟედ, ცდილობდნენ კიდეც,
არ მოსდებოდა ეს სენი ქალაქს,
და ამიტომაც, მისით ატანილთ, არიდებდნენ,
ასახლებდნენ შორეულ მხარეს.

ვერგილიუსი როგორც აღწერს,
`ძველისძველია ეს იარა და კაცთა სხეულს
უხილავი ცეცხლი ედება~.
კატულუსი კი, `ჩემო ღმერთებო,
თუკი თქვენთვის უცხო არ არის
შეწყალება და სიბრალული,
სიკვდილის გზაზე, თუკი გწადიათ
შიშის გარდა ადამიანს სხვა რამ მომადლოთ,
დამხსენით სენი სიყვარულის,
რადგან ვერ შევძელ გამკლავება
და ჩემს სხეულში სისხლის ნაცვლად
საწამლავი დაიარება, გთხოვთ,
დამიბრუნოთ გულის სიმშვიდე~.

ნეტავ სად დაქრის ჩვენი ფიქრები,
ან იდუმალი სურვილები სად იდებს ბინას.
ჩემი ოთახი უდაბნოა და თან დილეგი,
გამოკეტილი იმედების,
ან იმ ხატების, რომლებიც მქმნიან.
ჩაძირულები როგორ აღმოჩნდნენ
მთის ფერდობზე ჩაკიდებულ მდიდრულ ვილაში.
ჯადოსნურ წრეში ხეტიალი ანდა ქვესკნელში
ოდისევსის ძველი სტუმრობა.
გზისპირა მტვერში ჩამომჯდარი ველოდები
ყვითელ ავტობუსს და თან ვიხსენებ
ფერმკრთალ სიზმრებს
წვერდალეულ წითელ ფანქარზე.

გარდუვალია სწრაფვა იმისკენ,
ვინც უკვე დაგჭრა, სწრაფვა და ჟინი,
შეუერთო მის ცხელ ტალღებს შენი ნაკადი.
მაგრამ სიამეს სევდა მოსდევს ამაოების,
რადგან ბოლომდე არვის ძალუძს დაეუფლოს
მეორის სხეულს, ერთობის სურვილს
ვერ გიოკებს განცდილი ვნება.
წყურვილის მოკვლის ყველა მცდელობა
გიასმაგებს წყურვილის განცდას
და მცდელობას, ჩაისუნთქო, ჩაისახლო,
ან შენ ჩასახლდე ამ ტალღებში,
და იყოთ ერთად დამანგრეველი სიამის მხარეს.

რაღა დილაა, თერთმეტი ხდება.
ვზივარ და ვუსმენ ნაცნობ სიჩუმეს _
მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა.
ზანზალაკებად ვხმიანობთ ქარში,
ჩვენი ღიმილი აირეკლავს ჩვენს წილ სიყვარულს,
ნდობის ნაპირზე გაიშლება ალუბლის ბაღი.
თან დაგატარებ როგორც ორსული
და ველი იმ დღეს, როცა ჩუმად დავსხდებით სადმე,
ჩაის დავლევთ, თან ვისაუბრებთ, აუჩქარებლად.
ალბათ იწვიმებს, იშრიალებენ გარეთ ხეები.
შეერთებული ხელისგულები
ეწაფებიან მდინარის ტალღებს.
ვისხდებით სადმე, გახვეულნი
ჟასმინის ბინდში, წვიმის ხმაურში,
და სადღაც, მიღმა ყველა წვიმის და ყველა ქარის,
მიყრუებულ გამოქვაბულში,
ბნელ წიაღში დაიბადება ჩემი `ოდესმე~.

მე არ ვიცი თქვენი ღამეები,
არც დღეები.
სევდამ ისახლა ჩემს სხეულში
და ჩუმად მფიტავს.
პირქვე ვგდივარ მდინარის შლამში,
ან ბალიშში თავჩარგული, და წუთებს ვითვლი.
მდინარის შლამი ან ჭაობის დონდლო ტანი
თბილ ლოგინად, სულ იოლად შეიძლება, თურმე იგულო.

* * *

რამდენი მდინარე
შეგვხვდება გადასაცური
ან რამდენი მდინარე
ჩამოივლის და ჩვენ ჩავიმუხლავთ
და დავეწაფებით, რადგან ბევრი ვიარეთ
და არ ვაპირებთ გაჩერებას
ალისფერ ზაფხულში,
მომდევნო სადგურებამდე.
ჩვენ გვაფრთხილებდნენ
და საგზალსაც უხვად გვატანდნენ,
ქვასავით მძიმეს.
ვიგერიებდით ცაში ფრინველს
და ხმელზე - ნადირს, უფრო კი ჩრდილებს,
ფეხაკრეფით ადევნებულებს.
თავ-პირში გვცემდა სამხრეთის ქარი,
იბლანდებოდა ეკლებში წვიმა,
ვაორსულებდით გამოქვაბულებს
და მერე ჩუმად გამოპარულნი
დედად გახდომის სიხარულსაც
ურცხვად ვპარავდით.

* * *

რამ მიბიძგოს ყოფნისაკენ,
ყოველ დილით წამომაგდოს
რისმა წყურვილმა.
ჩემს წილ იმედებს ერთად ძოვდნენ
მგელი და კრავი, წითელ მინდვრებზე
სიყვარული უხვად ხარობდა და წკარუნობდნენ
ზანზალაკები ჩაკიდულ ტბებში.
ბედნიერება ერქვა სიჩუმეს.

გავუუცხოვდი გუშინდელ სურვილს,
მხოლოდ აჩრდილებს თუ მოვუხმობ
კარის ღრიჭოდან.
შებინდებისას ისევ მეძებს სიჩუმის კალთა,
მიმიბნიოს ამძვრალი ღილი.

* * *

შეხვედრა, მართლაც, შედგა.
რა მნიშვნელობა აქვს, მხარეს,
სამხრეთის თუ ჩრდილოეთის,
მხარეს, გატეხილი ღამეების.
შეხვედრა შედგა.
ნაწვიმარ კაკალს აშრიალებს დილის ნიავი.
პირველყოფილო მეგობარო,
თანამგზავრო ჩემი ფიქრების, მეცხრე ცისკენ,
ცოტა აცივდა. სოფელს ჯერ ძინავს.
გინდა, გიამბო, როგორ გელოდი,
და შენს მაგივრად როგორ მიცავდნენ
მიღმა ქვეყნის ჯარისკაცები?
არარსებულ თმას ბავშვის სუნთქვა ჩუმად მიწეწავს.
შეხვედრა შედგა,
თუმც ზურგშექცევით ვსხედვართ
და ვითვლით კენჭებს ზღვისპირა ბაღში -
შენი ღამე ჩემი დილაა.
შეხვედრა შედგა - ფეხაკრეფით ავუყვებით
ბილიკს ჩარჩოებს მიღმა. სტიქსის პირას
ჩამომსხდარნი, სამდურავით შემომცქერიან.
ტანჯვა ლხინია, მარტოობაც - ღამის კიდეზე.
თქვენ გადაცურეთ ჩემი სხეული
და მიაშურეთ უვნებელ მიწას.

* * *

ერთდროულად თუ არ მოვუხმეთ ერთმანეთს,
არაფერი გამოვა.
თუ არ შეაგებებ გადახსნილ ბაგეს
ჩემს სიტყვებს, არაფერი გამოვა.
ჩვენი ყველა მოძრაობა -
ნაბიჯის გადადგმიდან, მომდევნო ნაბიჯამდე,
ჰაერში გამოკიდებული სიჩუმე,
ნიჩბის მოსმიდან, ხელმეორედ მოსმამდე
შემოხაზული რკალი ჰაერში
და წრეში მოქცეული სიტყვა `გაზაფხული~.
აპროპოს სანუკვარი გაკიაფება
ა ბაო ა კუს მოლოდინივით
კიბის საფეხურქვეშ შეყუჟული, გარინდებული.
ხელისგულზე გაშენებული ატმის ბაღის
სურნელში მფეთქავი მზერა -
მოძრაობა, რომელიც არ სცდება უძრაობის ჩრდილს.

ქუთათური

მაფშალია

გადმოდი თოვლში მაფშალია
გადაიცვი არილის კაბა,
გამოდი.
გცივა მაფშალია,
არ გეიმედება თბილი ხელისგული.
ამ ჩაწუმპულმა იანვარმა
როდემდე გამახსენოს შენი სითბო.
სულში იმ ცეცხლის ნაშალია,
ფიფქებში ბჟუტავს გასუნტრული,
გადმოდი თოვლში მაფშალია,
ბუხარში კუნძი შევუზრახოთ,
სანამ ღველფიანი ღადარია.
მოდი დოქის ყელში ჩამიფრინდი
მერე ვნახოთ, როგორი ზამთარია.
ზამთრისა ვიმღეროთ, იანვრისა,
ჩემო აპრილის მახარია,
გადმოდი ზამთარს მაფშალია
გაჩვენებ შარშანდელ გამხმარ იებს.
გამოდი იანვარს მაფშალია,
აპრილის დილაა ვითომ შენი,
დიდ ხელისგულებს დაგახვედრებ
ვიცი ჩემსავით ითოშები.

პოროსის მარმარილო

"...მე ამისგან გავაკეთებ!!.."
(ჯერცოცხალი ოცნებიდან)

მე ველოდები შენ საჭრეთელს ახლა, მიქაელ.
შემომაცალე
ეს სასჯელი,
ეს სამოსი, ეს უპატრონო!..
ერთი წამით დავრჩეთ მარტონი,
შეგხედო მინდა.
ამომასუნთქე ერთი წამით, -
ჩაკირული ვარ,
ამ ქვის უვადო პატიმარი.
და მერე თუნდაც მიმამსხვრიე..
იმედით ვეგდე
ქარში,
თოვაში,
დამდიოდა ღვართქაფი მღვრიე,
მინახავს ბევრი პროცესია და მაყრიონი,
დამალაქავეს, ამომსვარეს
ჭუჭყში, ტალახში,
ხავსიც მოცოცავს,
ვერ გამრეცხავს ახლა რიონი.
ჰო, მომისწარი,
ამაგლიჯე ეს სხეული,
ეს უპატრონო.
დაველოდები შენ საჭრეთელს აწი, მიქაელ!..

როდეო

ოჰ, მაპატიეთ ქალბატონო,
მე ამ ღამეს,
უცაბედად,
აგერ, თქვენთან შემოვასწარი.

მთელი სიცოცხლე
უხედნ ბუღას
ვეჯექი ქედზე
და ჩემს ბედზე არ ვარ მანუელო,
ვინ მყავს სათქმელად:
- გაგაღვიძე, ზე?
ე, ბიჯო,
გამიგიჟდა ხარი!
მე უნებურად,
ქალბატონო,
ჩემს ცხოვრებას,
ამ გიჟ მოზვერს,
სულმოსათქმელად
აგერ, თქვენთან შემოვასწარი.

რენე დერბლეს

მზე ჩადიოდა..
აკაციაზე გალობდა ჩხართვი.
ცოტათი ციოდა.
წიოდა მართვე.
იდილიას თუ თავი ვერ გაართვი
და წასართმევი არავის წაართვი -
დაშნას მოგაწვდის მომაკვდავი მერკუციო და
(შენცა გაქვს თუმცა...)
შავ მოსახამებს , პრიალა ცელებს
ახლიჩავ ერთ-ორს.
მეტიც შეგეძლო
მგონი ერთ დროს -
ეს მაშინ, როცა
აკაციაზე გალობდა ჩხართვი... მართვე წიოდა.
ახლა კი, მიდი, მკვდარს (მერკუციოს)
დაშნა აართვი -
შენი არც იცი, სად იჟანგება.
და გალურსული სველი ჭანგებით
შემოიფლითე სულზე სხეული.
იჩქარე..
სანამ შემოგათენდა,
სანამ ცა არი ჩამოხეული
და მოჩანს იგი,
უსხეულო და ყველგანმყოფი.
მიდი, სანამდე ორთქლი ასდის
დაშნას ნათხოვარს,
სანამ ტაძართან კიდე ღვიძავს
ბოლო მათხოვარს,
გატეხე ნავსი -
მოკვდი ხარხარით,
ანდა სიმღერით,
რადგან აგორდი
და სხეულზე
ჯერ არ გაქვს ხავსი -
ზეცას უგრძნობელს გაუყარე ბოლო აკორდი .

ერთადერთი შტრიხი, ან ფერი

ერთი შტრიხი თუ ერთი ფერი
აკლდა
ჩვენს ნახატს.
დიდხანს ვეძებდით,
რა არ ვცადეთ,
ვხატეთ და ვშალეთ.
სად არ ვიარეთ უცხო ტონი რო მოგვენახა.
რამდენჯერ თბილი ცისარტყელაც გადამიშალე
იქაც არ იყო.
არც იქ.. არც იქ -
ალთას და ბალთას.
აკეცილ კალთას
ცისარტყელის
ვეღარც კი მივწვდი, რამე ფერისთვის
სადამდე ავხტე.
ახლა ვიპოვე და პეშვებით მოვარბენინებ
ცოცხალ საღებავს,
ბეღურასავით მიფართქალობს
ხელისგულებში,
იქნება დამხვდე..
უცებ მინდა კარის გაღება,
სანამ ეს სუნთქვა თითებიდან არ გამქცევია
მომაწოდო იქნება ფუნჯიც.
ნახატი მუნჯი..
ფერნაკლული და უდღეური,
კუთხეში მუქი მინაწერით,
რომ
შენ უკვე
სხვა ტილოზე სხვა ფერს აზავებ.
ამტკივდა უცებ ანაცერი
შენი ტუჩების,
შენი თვალების,
და ჩემი ფუნჯის,
უკითხავად რო წაგიღია,
ადრე უჩემოდ ხელის ხლებას რო ვერ ბედავდი.
მომაკვდავ ფერით გათხვრილ ხელებს
ვაჭყლეტ ტილოზე,
არც მეურჩება,
რა თბილია,
როგორ უხდება,
მაინც ვიპოვე,
მივაგენი,
ნეტა ხედავდე.

ქეთი თუთბერიძე

ძალიან საინტერესო თემაა, იმიტომ რომ ასე საგანგებოდ შერჩეული ლექსები ყველაზე კარგად ახდენენ ავტორების პერსონიფიკაციას.

თუმცა ჩემთვის ცოტა რთულია ავარჩიო ხუთი საკუტარი ლექსი, ამიტომაც გადავწყვიტე ის ლექსები ამერჩიე, რომლებიც ყველაზე "ჩემია" ასე ვთქვათ.

სამკუთხედი არის ლექსი, რომელიც თითქოს და ჰყვება ამბავს სასიყვარულო და ეროტიკული სამკუთხედის შესახებ, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ სისხლით სამკუთხედს შავ მაგიაში ხატავდნენ, ასევე სამკუთხედს საკრალური და საკმაოდ მისტიკური დატვირთვა აქვს როგორც ხუთივე დასახლებულ კონტინენტზე არსებულ თითქმის ყველა სექტაში, ასევე ხელოვნებაში. ასე რომ ყველაზე ეროტიკულ და რომანიტულ ლექსშიც შეიძლება ავტორმა ქვეცნობიერად თუ ცნობიერად რაღაც მისტიკურ ჩააქსოვოს, თუმცა დამერწმუნეთ, რომ არავითარ მაგიასთან არ მაქვს კავშირი თუ არ ჩავთვლით პოეზიას.
პოეზია ხომ ყველაზე დიდი მაგიაა, რადგან "დასაწყისში იყო სიტყვა..."

სამკუთხედი

იცი, არასდროს მყვარებია გეომეტრია,
არც ფიგურების გამოყვანა
ხისფერ დაფაზე.
დღეს ჩემი სისხლით დაგიხატავ
მარტივ სამკუთხედს,
რომლის ალესილ კუთხეებად
ჩვენ განვლაგდებით.
იცი, შემცივდა...
მოგონილი ქალაქის მტვერი
თამბაქოს მსგავსად მიიჩვიეს
ჩემმა ფილტვებმა.
და რა ხანია გამითავდა
ფერადი ცარცი,
შენ რომ მაჩუქე
მოსახატად აკვილონების.
იმ დღეს
სიზმრებმა ჩრდილოეთი ჩამომიტანეს,
ენით ვიგრძენი გაცრეცილი კლიმატის გემო...
ჩვენ ასკეტურად სამნი ვდგავართ
მარტივ წვერებზე,

ასე მარტივად
დღის რუტინას მაინც ვღალატობთ.
ჩამომიწვეთე შენი სახე ყავის ჭიქაში,
რომ გადამექცე უძილობის ნერვიულ ჩვევად,
შეუხორცებლად მიგიჩვიო შეხორცებამდე.
ჩემი კუთხიდან
გალაქტიკაც დახაზული ჩანს.
თითქოს როგორი ადვილია განმარტოება,
როცა დაფაზე სამი ხაზი
უნდა გაავლო...
და არც კი იცი
თუ რომელი მხარეა შენი,
(თუმცა არასდროს მყვარებია გეომეტრია).
სამკუთხედს ვხატავ შენს ფეხებთან
ჩემივე სისხლით...
იცი, ის ცარციც გამითავდა
შენ რომ მაჩუქე.
ჩვენ კუთხეებად გავიშლებით ბასრ ფიგურაში
და გამოვიცნობ,
რომ მესამე კუთხე ჩემია.

ლექსი "substitutio" არის ყველაზე მეტი ექსპანსიით დაწერილი ლექსი, რომელიც ყველაზე ნათლად ასახავს ჩემს იმდროინდელ მდგომარეობასა და ჩემს ცინიკურ-ტრაგიკულ მიდგომას ამურისადმი

Substitutio

ჩემი ქარები შენს ცივ ქალაქს ისე უხდება,
ლამის მოვგლიჯო თმის ღერები
და მაგ მხარეში გამოვუშვა შობის წინა დღეს.
ისევ გაღვიძებს ალბათ დილით ჩაიდნის ყრუ ხმა.
ორთქლით გავსებულ ძველ ოთახში
ყოველი ნივთი ერთნაირია და ერთი ფერის.
და ერთნაირად ვუყურებთ იქნებ საათს მე და შენ, -
ერთ დროს აჩვენებ.
კენტი ციფრები დაავადდნენ ფსიქოპატიით…
ჩემი ფარული ინტიმური ილუზიები
ისე უხდება კაბის ფერზე შენს პერვერს გოგოს,
ლამის მოვიჭრა ყველა თითი
და ვუწილადო შობის წინა დღეს.
იქნებ ამ ღამით მაინც იყოს
მისი სხეულის ტემპერატურა
წინა ღამისგან განსხვავებული
მსგავსი ნივთებით გადაჭედილ
ხის ძველ ოთახში...

ეს ტრიპტიქი ყველაზე მეტად მიყვარს, იმიტომ რომ ჩემი აზრით საუკეთესოა რაც დამიწერია, მიუხედავად იმისა, რომ მე რასაც კარგ ლექსს ვუწოდებ, აქამდე ჯერ არ მივსულვარ, მაგრამ თვითკრიტიკა აუცილებელია ჩემი აზრით ე.წ. "დამწყები პოეტისთვის" და საერთოდ დამწებისთვის ნებისმიერ სფეროში.

პარანოიალური ლოცვა

I

ისე შორია ამ კედლიდან ბნელი ტყეები,
გამხმარ ტოტებზე სინდისივით რომ შერჩენიათ ყოფიერება,
ჭაობებიდან ამოსული მოჩვენებები,
ყოველ ცივ ღამეს ოთახებში რომ შემოდიან
და გაწეპილი მლაშე ენებით
შენს ეგზოტიკურ სიზმრებს ლოკავენ,
სანამ მარტივი მექანიზმით დასაქოქი მზე
წვრილი თითებით არ ჩამოკაწრავს
ჭერზე დახატულ პატარა ნავებს,
კეთილ მეთევზეს და ფერად კუბოს,
(რომელშიც მხოლოდ ბავშვებს აწვენდნენ).
გარეთ მახინჯი თეთრი სახლები
ცის სიახლოვით გაჭვარტლულან
და ასე ჩუმად უთვალთვალებენ სიცარიელეს …
თავისი ბრტყელი სახურავებით
ხის კენწეროებს უტოლდებიან,
ხანდახან ღმერთსაც...

II

აქ სიცივეა...
უპატრონო კატების მსგავსად
დარბის ტკივილი ძველ სახურავზე,
საკვამურიდან ძვრება ოთახში
და შიმშილისგან შემზარავად კნავის დილამდე.
ზოგჯერ დერეფნის სიმყუდროვეს ფხაჭნის ბრჭყალებით.
აქ სისველეა...
წვერებიანი ფსიქიატრი
ხელს უფათურებს კაბის ქვეშ გოგოს -
ახალ პაციენტს,
რომელმაც იმ დღეს
ჩემი ფეხების საპარსი ბრიტვით თავი მოიკლა.
სისხლი სდიოდათ მდინარეებს ონკანებიდან…
ის იწვა მშვიდად, -

ქვედა პალატის მეზობელი ობოლი გოგო,
სისხლჩაქცევებით ფეხისგულებზე,
ინდიგოს ფერი კოტონის კაბით...
მე ახლაც მახსოვს
როგორ ვხეთქავდით ეზოში ბუშტებს,
ფერად რეზინებს ვამაგრებდი დამტვერილ თმაზე
და მიწიანი ხელებით ვჭამდით პურის ნატეხებს
(თუ ბეღურები აღარ კენკავდნენ),
როცა გვშიოდა,
როცა შორს იყვნენ კედლებიდან ბნელი ტყეები
და ჭაობიდან ავარდნილი ბალახის სუნი.

მე ისიც მახსოვს,
სარკის სხვა მხარეს იდექი ხოლმე ჩაკეტილ კარში,
ჩემს ძველ ბალიშში წამლებთან ერთად გადამალული
შენი შიშები თავს მახსენებდნენ.
და მოგონილი ანგელოზები
ჩვენი ბავშვობის მელოდიებს გვასმენინებდნენ.
ასეთ დროს ძილი მერეოდა…
ასეთ ამინდში,
როცა ქარები ეჯახებოდნენ გაწელილ სახლებს,
ზედა პალატის მეზობელი უსახო ბიჭი
რადიოტალღის შიშინს ისმენდა.
ამბობდა, ვიღაც იცინისო
და ცივ ოთახში ჩასახლებულ სიცარიელეს
წყლის ბოლო ყლუპებს ასმევდა მუჭით.
იმ ღამით,
როცა პატარა გოგომ თავი მოიკლა,
მდუმარედ იჯდა თავდახრილი ქვის კიბეებზე
და დაწყლულებულ ხელისგულებს სულს უბერავდა...
სწორედ იმ ღამით,
განსაკუთრებით შორს რომ იდგნენ
ამ კედლებიდან ბნელი ტყეები,
სადაც ხის ტოტებს მაინც შერჩათ ცოტა სინდისი,
ჭაობებს სული,
და სიყვარული ნოტიო მიწას...

III

მე ვცხოვრობ სახლში,
სადაც საგნები ერთნაირია,
კედლები - ჭრელი...
შენ ახლა თითქოს ჩემი სახე გაქვს,
და მეც ხანდახან შენსავით ვსუნთქავ მძიმედ და მუცლით.
მზის ამოსვლისას ფარდებს ვაფარებ ხის ფერად ფანჯრებს,
ვამპირებივით ვემალები(თ) ირისის დილას.
მე ვხუჭავ თვალებს.
ასანთის ყუთში ჩაალაგეს წვრილი ხეები…
და ვხედავ ნისლებს თეთრ თოკებზე ჩამოკიდებულს…
და ცამდე გაზრდილ გაჭვარტლულ სახლებს

ნისლები სცვივათ აივნებიდან.

ახლა ციფრი ვარ მაღვიძარაზე...
მუხლებზე დაჩოქილს ჩემივე ჩრდილი თავზე მადგება.
ყოველ საღამოს,
ცხრა საათზე კივილს დავიწყებ... – 21:00
ეს წერტილები უკიდეგანო მაგისტრალია ჩვენს შორის, –
სივრცე ნულიდან თორმეტ ციფრამდე...

ონკანებიდან სისხლი მოსდით ცივ მდინარეებს,
ჟანგიან სიზმრებს ატარებენ სხვისი ცოდვებით.
მე მშვიდად ვწევარ აბაზანაში ინდიგოსფერი კოტონის კაბით,
სისხლჩაქცევებით ფეხისგულებზე.
და ვხედავ ნისლებს,
თეთრეულივით რომ ჰკიდია მილების ზემოთ.
სახლი, რომელიც არც კი გვქონია,
ფანჯარასთან დგას,
ხელს თუ გაიწვდი კარებს გააღებ.
და აჩრდილებით გავსებული ბნელი ტყეები
აღარასოდეს მოგენატრება.
ახლა დრო არის შეიზიზღო კოტონის კაბა სისხლის ლაქებით…
რადგან კედლები დაიბზარა ოთხივე მხარეს,
ელექტროსაათზეც ციფრებს მხოლოდ ნულის ფორმა აქვთ,
როგორც სიყვარულს დიდი ღმერთების ძველ ფორმულაში.

ეს ლექსი ყველაზე ახალია...
კონცეპტი კი, რაღა თქმა უნდა ყველა მიხვდება, რომ აპოკალიფსამდე მიდის.

The End

მინდორზე ჩამოყრილ მომწვანო თესლებს
ეკვატორისკენ ვერგაფრენილი ფრინველებიც აღარ კენკავენ…
ეს ტყვიებია…
მილიონობით დახოცილი ბავშვის სიზმრიდან რომ შემორჩა
ამ გამხმარ მიწას – უნაყოფოს
და დახეული დიდი ფოთლებით უხვად დაფარულს…
ეს ტყვიებია,
რომლის შიშითაც კიბე მიადგეს ღმერთების კოშკებს
და საპროტესო აქციაზე გამოტანილ გიგანტურ ბილბორდს
დააწერეს სიტყვა "არაფერი…"
ეს აღარ ჰგავდა გეების პარადს,
არც ანორგაზმიით გატანჯული ქერა ქალების ფემინისტურ დემონსტრაციას.
ეს ჰგავდა არაფერს…

ქოთანში ფესვგადგმულ ტყვიებს მე ყოველ დილით ვუსხამ წყალს
და ყავის სმისას ვაკვირდები როგორ მრავლდება მისი ნაყოფი.
მალე ალბათ მთელ ქალაქს მოედება...
და ეს იქნება უნიკალური მცენარე დედამიწაზე… -
უახლესი ეპიდემია,
და ჩვენ ვიქნებით უნიკალური გასართობი ამ მცენარისთვის…
და ალბათ მალე ჩვენც დაგვისხამენ წყალს,
რომ არსებობა აღარ შევწყვიტოთ…
მიწაში ჩაგვფლობენ და თიხის სახლზე დაგვაწერენ ერთნაირ სახელს.
ან საერთოდაც არ დაგვაწერენ ალბათ არაფერს…
მიწა იქნება მშრალი და მძიმე…
ჩვენ მოგვბეზრდება იმაზე ფიქრი, რომ
"ნეტარ არიან მგლოვიარენი რამეთუ მათია სასუფეველი…"
"ნეტარ არიან" თვითმკვლელნი
"ნეტარ არიან" მეძავენი
"ნეტარ არიან" უსახლკარონი,
რომელთაც არავინ არ ელოდება გამთბარ ოთახში…
"ნეტარ არიან" და e.t.c.…
მოგვბეზრდება რწმენა არაფრის…
და ჩვენ ვიქნებით არაფერი
და ეს იქნება არაფერი
და ნეტარ არიან არაფრის მთქმელნი
და ნეტარ იყვნენ არაფრის მქმნელნი,
რამეთუ მათია სასუფეველი ცისა
აწ და მარადისდა...
The end

ეს ლექსი უბრალოდ რაღაცნაირად მიყვარს, მეტი არაფერი.

P.s აფრიკაში მართლა სწამთ, რომ სიკვდილის მერე ადამიანის სული ხეში სახლდება...

რეინკარნაციის თავისებური აღქმის უნარი აქვთ ეკვატორულ სარტყელში .

კვიპაროსი

წარმოიდგინე,
დედამიწის ერთ-ერთ წერტილში,
რომელიც ალბათ გლობუსზეც არ ჩანს,
ცხოვრობს პატარა ზანგი გოგო,
ბრმა და ობოლი.
ყოველ ახალ დღეს ელოდება
დედის ჩამოსვლას ცივი ქვეყნიდან,
სადაც ცხოვრობენ სხვისი მშობლებიც
და აღარასდროს მობრუნდებიან
ქუსლმოტეხილი ფეხსაცმლებით გამოვლილ გზებზე.
შებინდებისას ხეებშორის გაბმულ ჰამაკში
ჭამს მწარე ფაფას,
(რადგან ბებია უკვე მოხუცდა და,
როგორც წესი,
არ ახსენდება შაქრის მოყრა რძიან ფაფაზე).
ღამით არ სძინავს,
უდაბნოების ცხელ სუნთქვას ისმენს.
დედასაც ხედავს მკრთალ ფერებში
ხვეული თმებით და ხის მძივებით
ატყავებულ ტერფამდე ასხმულს.
ის კვიპაროსს ჰგავს...
ან იქნებ ერთხელ კვიპაროსის ხედ გადაიქცა,
დასერილ ჩრდილში მშვიდად არწევს
თავის ბრმა გოგოს
და ჰამაკის თოკს წელზე იხვევს სისხლისდენამდე.
მერე რა მოხდა,
თუკი მკერდში რძე გამოუშრა
და უნაყოფო საშვილოსნომ ხმობა დაიწყო.
ჰავის ბრალია...
ან ევროპიდან მოვარდნილი ეპიდემიის,
შოვინისტური ქალაქების სუნი რომ ასდის, -
ახალ ქარხნებში ჩამოსხმული მოკლე სიზმრების.
წარმოიდგინე

უსახლკარო და ბრმა გოგო ვარ,
და უკეთესი ვიდრე ახლა,
ვიდრე შენს გვერდით.
მეც ავისხამდი კვიპაროსის ხის სამკაულებს
და ახორკლილი ქარიშხლების პულსს დავითვლიდი.
დედაჩემი კი ერთ საღამოს ხედ გადაიქცა...
ალბათ ვერასდროს გავიგებდი,
რომ კოკაინი კაკაოს ტორტზე გაცილებით გემრიელია,
რომ ნიკოტინი რიტუალია ორგაზმის შემდეგ.
ვერ მივხვდებოდი,
როგორ უყვართ ან ეზიზღებათ
მავთულებივით გადახლართულ მაგისტრალებზე.
წარმოიდგინე,
დედამიწის მეორე მხარეს
მე ვიქნებოდი უსინათლო
და უკეთესი...

აი ესაა ჩემი ხუთეული

ნინო სადღობელაშვილი

ძალიან მიყვარს ეს გვერდი.. ცოტა გამიჭირდა ხუთი საყვარელი ლექსის გამორჩევა (შვიდიდან) მაგრამ, ესაა- ჩემი სულის ხუთი უძვირფასესი წამი..

* * *

სული ჩემი განაპირა მდინარეა...
ის მოდის მინდვრიდან ჭალაზე,
ყანიდან ტყისკენ...
ის მოდის დიდ პაპის ყელიდან,
ურმული ქვებზე
თოარიკით მოაქვს და
სეთიბედნიერია
როცა სიმღერით მოდის!..
სული ჩემი განაპირა მდინარეა
და რა ძალა აქვთ მდინარეებს
რომლებიც მთვარის ძირსი წვანან?
წამოაგებთ ხოლმე ხანდაან
ფსკერის სიზმარი,
ვარსკვლავი გადაცდებათ
ელდისგან,
შფოთავენ თვალებდაჭყეტილები და
ეს შფოთვაც რაღაცის გასენებაა ალბათ...
როცა სული განაპირა მდინარეა,
შეგიძლია შენთავსვე გაუნაპირდე,
მუხლებქვეშ შეიკეცო ტალღები აგაუყვე გზას...
ლურჯია მისი ტევრი და
ალაგ-ალაგ თევზები
ბატონებად აყრია...
დგახარ, მაგრამ
ტანში მდინარე დაგიდის,
დუმარ, მაგრამ
საიდანღაც მღერი...
ასე მღეროდნენ შენამდე
ამვლელ-ჩამვლელები,
ზაფული იყო მათი ტემბრი და
თუთის წვენი-ტკბილმოვანება,
მიჰქონდ-მოჰქონდათ პირით წყალი,
მარტოობის ჭაში ასხამდნენ,
საღამოობით წკრიალებდა ხოლმე
ჭის ოწინარი და
ეს დრო იყო,

მდინარე რომ ფსკერზე
კენჭებს ითვლიდა...
თითო კენჭი-
თითო წელი, თითო საათი...
სიმღერა ჯობდა
წარმავალის უგუნებობას...
როცა სული განაპირა მდინარეა და
შენ კი ვინმეს
ნესტოებდაბერილი დაეძებ,
ჩახედე ტალღებს,
ფურცელ-ფურცელ რომ მოაქვთ
ცისკრიას ფსალმუნი,
მწვერვალის ცრემლივით
ქვევითკენ გორავენ...
ჩახედე მათ და
გაიხსენი გულისპირი,
შენც ის ხარ
ვინც უნდა ტალღებთან იცეკვოს,
ვინც მდინარეში ტაატით შევა და
თავზე სივებს გადაიფარებს...
სული ჩემი განაპირა მდიონარეა,
მიდის, მიყავხარ
მოღიღინე მარადისობა.

* * *

დედი, გახუნდა შენი კაბა და
სინათლე მოგიჩანს,
დედი, სინათლე დაიფარე თორემ
თვალს შეაჩვევენ ძაღლები..
მომიტეხე პური, მეც მომიტეხე
მარტოკაცი ვარ და
როგორ არ გეთანაღრები..
შენმა ნაბანმა წვიმამ დედი
იებზე გადამირბინა,
ჩამოვარიგე ეს იები,
ბღუჯა-ბღუჯა გავკრიფე ეზოდან,
ჩემთვის ფესვი და ტალახი დავირჩინე..
დედი, აბა შუბლზე დამადე ხელი
იქნებ ძველებურად გეცელები
ბავშვობის მერე ჩემთვის ეგრე აღარ მოგივლია,
ხანდახან, დედი,
ისევ ის ძველი სიმღერა მესმის,
მზე რომ სასწაულის ლოდინია..
შეხე, თმა როგორ გამეზარდა დედი,
ცოტაც და, მინდვრებზე გადავშლი,
ოცნებეს რომ მივარცხნიდი,
თავზე თბილად რომ მასუნთქებდი-
ეს სულ ის თმებია, ზეცაში ნახარში..
შეხე რამდენი ბავშვია ჩემს ეზოში,
დარბიან ფერადი ნაქსოვი ზღაპრებით,
ღამით, მიწას ცოდვა როცა ატკივდება,
გულში შენებურად ვიკრავ დედი,
თვალზე ხელს ვაფარებ..
სიარულშიც შენ დაგემგვანე დედი,
ნისლივით გამომდის ბარბაცი,
ცხოვრებაც ნისლივით წამივიდა-მეთქი,
ახლოში ვქრები და
მარტო ზევიდან მოვჩანვარ მამაცი..
დედი, ხანდახან მიქრება სანთლებიც.
ვიწვი და ცეცლს მაინც ვერ ვანთებ,
გული დამიჭირე დედი, შენს მკერდთან გამსუსე,
თვალებით გამათბე..
რაღა მაშინ აგიჩემებ ხოლმე
სხვაგან რომ გადახვალ დასანუგეშებლად,
სხვებს როცა სჭირდები,
ვწრიალებ ძაღლივით, შენს გზას გამოვცქერი,
გიყვირი დედი!..

მაინც არ უსმინო ჩემ უხმო ღრიალს,
ხელით დაიგმანე ყურები,
დედი, წადი სადაც დედაშვილობისთვის გეძახიან
წადი ოღონდ კარი არ მოიხურო..
შენს ბაღში, ატმებთან დავწვები,
წამივა გულიდან ლოდინის მდინარე,
როცა დაბრუნდები, ჩემი სიზმრები შეიწყალე
დედი, თუ დაგხვდი მძინარე..

შუაღამის იავნანა

ხეებს და ნისლებს და ტყეებს რომ გავივლი,
მტვერი რომ აუვა ნაბიჯებს
და ჩემგან გახდილი ცა რომ ემგვანება
თეთრსა და უწყინარ საგიჟეთს!..
რტოებს რომ დავიქნევ-შვინდისფერ მარაოს,
ტყემლების განცვივა ჟრიალი
და ფეხს ავუჩქარებ და შევკრავ კამარას
და გადმოვეშვები რიალით!

არ გეძინა შეგამჩნიე
დაუვალო მზეო,
შავკაბით ჩამოგიჯექი
წითელ ლოგინზეო..

მინდვრები, მინდვრები ქარებს რომ მიანდე
როგორც საკრავები მომღერალს,
ნეტა ამაღამაც არ დამაგვიანდეს,
ბგერების ღვარცოფი მოვხელო!
წამოვწვე მაგ შენი ზურმუტის ბოლოზე,
თავქვე ამოვიდო მდინარე
და ვიწვე, დავიწვე მზეების კორომზე,
პროფილი მიგავდეს მინარეთს..

შუბლზე ცვარი მოგიწმინდე
გული მოგანდეო,
გეძინა თუ არ გეძინა
მზე შემოგანთეო..
შავკაბიან მკლავებშუა
დარდებს გაათევო?..

ბალახით სარეცელს ლამაზად მოვირთავ
დავგეშავ ნაზამთრალ ბეღურებს
და მოვალ მარჯვნიდან და შვილებს მოვიყვან
და ქარვის სიმშვიდეს შევყმუვლებ!
როგორ გაგვითოვდა სიშორე მე და შენ,
რა მყუდროდ, რა ძლიერ თოვდა!
ვერხვების, ჭადრების, ცაცხვების კიდეში
ვაი მარტოდმარტო მდგომთა!
მე შენი ფესვების სამშობლო მახარებს,
მოვალ და დავიწყოთ თავიდან
და კვლავ გაგიფიქრებ და მოვალ ახლავე
და ციდან სამარხებს გავიტან!..

გულზე ყური მოგაპყარი
ჩუმად გისმინეო,
ნეტა ჩემო უძინარო
მღერი ვისთვიმეო?..
იას ნანა, ვარდებს ნანა,
სიზმრის ჭირიმეო..

მთასვლელი

მიდის ზევითკენ.
ბარში, ბალახზე შეიწმინდა
ფეხისგულები,
პური და სანთელი ჩაიდო,
თვალები ღრუბლის ხილაბანდით აიხვია და,
ზევითკენ მიდის.
გზადაგზა ვარსკვლავები
ქინქლებივით ეყლაპება...
ადამიანები კი
ჭიანჭველების მწკრივში დგანან...
გარშემო მხოლოდ აღმართებია,
თითქოს აყირავდა დედამიწა და
შინმისასვლელი გზებიც
თავქვე დაეკიდა ციდან.
შინ მივა კი არა,
ვინც ახლა შინ ავა,
ვინც ახლა შინ ავა
მშვიდობა იმას!
ბუბუნით მიდის.
ქალღმერთივით შემოხვდება
ედელვაისი,
არ ახსოვს ცოლი,
თორემ მოწყვეტდა და
ჯვრისწერაზე დანაპირებს აუსრულებდა...
არ ახსოვს შვილი,
თორემ უკანდაბრუნებაზე იფიქრებდა...
გულისქაქანით ზევითკენ მიდის.
მთები ისეა გადაწნული
როგორც ჩუქურთმა,
მიწის საყდარს სარკმელთან ადევს.
იმ სარკმლიდან უნდა გადაიხედოს,
ცოლის მაგივრადაც,
შვილის მაგივრადაც,
მამამისის მაგივრადაც,
შვილიშვილის მაგივრადაც,
რადგან
დამპყრობელის გუმანით იცის,
კარგახნით დაასვენებს მის თიხას ბუნება,
სხვისაში აამღერებს ვარსკვლავთა ქარიშხლებს.
მიდის ზევითკენ.
მარმარილო პრიალებს ნისლში.
თოვლი ისეთია,
ხმა რომ გასცე,

რამეს სიზმრად შემოგაგებებს...
მიდის, როგორც
ენისწვერზე მომდგარი სიტყვა
და სულცოტაც და,
მასაც დაწერს თოვლის ანბანი...
მწვერვალი ქარის სიმღერაა
ფეტვის მარცვალივით ცაში გაფანტული
და ვაი მას
ვისაც შემთხვევით გაღეღილ გულში ჩაუვარდა
და ვაი მას
ვისაც ჩაესმა!
ვეღარავინ შეაჩერებს,
ბარში, ბალახზე შეიწმენდავს ფეხს,
ჩანთაში პურს და სანთელს ჩაილაგებს,
თვალებს ღრუბლის ხილაბანდით აიხვევს და,
თუნდაც მერე გაზაფხულდეს...
მთაში თოვლი დადნეს...
თოვლში ვინმე კაცი ნახონ
გათოშილი სადმე...
ცოლი ცხრა თვე წერილს წერდეს
თურმე მკვდარი ქმრისთვის,
გაალღონ და დაატირონ:
თავს იკლავდი რისთვის?..
მწვერვალი ქარის სიმღერაა და
შინ ვინც ავა
დიდი დედა უმღერებს მას.

მსჯავრი

წინასწარ ვიცი,
მოვლენ და მთელ ჩემ წუთისოფელს დაგაბრალებენ.
გამოგიყვანენ პირველ გვერდზე,
როგორც ტყვიისფერ და
ხალხით გასუსულ მოედანზე,
მიგაკრავენ ჩემი სახელის გასწვრივ,
მიგაჭედებენ დანაღმული ძახილის ნიშნებით და
ყველაფერს, ყველაფერს
შენ დაგაბრალებენ:
ჩემს მარადიულ უგუნებობას,
ჩემს სისხლნაკლულ განთიადებს და
ბოდვიან ღამეებს
რიგრიგობით რომ გვიმარცვლია
ვარსკვლავების კრიალოსანზე...
შენ დაგაბრალებენ ჩემს
ალაგ-ალაგ ჩამქრალ თვალებს,
ბნელში, უკუნში უმოწყალოდ ჩატრიალებულებს და
თაფლისფერის სინაზეს მათში...
დაგაბრალებენ ჩემს დამდნარ თითებს,
ძირში დამაჭრიან
უკანასკნელ ლექსს შენზე და
აი ამ თითებს, მთებგადაგორებულებს,
თოფის ლულებივით მოგიშვერენ გულზე.
შენ დაგბრალდება ჩემი უდროოდ დაცლილი დროც,
წუთები, წამი, რომლებიც
სხვებს ხანდახან არც მოეკითხებათ...
მე კი სულ მისხალ-მისხალ,
წამიწამ უნდა ჩავაბარო, ვისგანაც მერგო
და ვაი რამდენი სიცარიელე...
და ვაი რამდენი ვზღოთ...
შენ დაგბრალდება, თუკი
პური მეჭირა ხელში და სხვას ვერ მივეცი.
შენთვის მომქონდა,
შემეშინდა გაცემა...
შენ დაგბრალდება, ბავშვები რომ გავიხადე და
ხეები ჩავიცვი,
იმათ ფესვები აქვთ,
ჩაეჭიდები და წახვალ...
დაგაბრალებენ ჩემს ერთ ოთახ სიმარტოვესაც.
იჯდა და, სიყვარულით გათვალულ კედლებში
ისე მღეროდაო!- შემოგიღრენენ...
ამ სიმღერებსაც შენ მოგათვლიან,
თვალგახელილში სიზმრებსაც,

მაისის თაფლივით, ჩემი სულის ფიჭიდან
ამოღებულ შვებას...
შენ დაგბრალდება ჩემი შვილიც
და მთელი მოდგმა,
ჩვენს შემდეგ,
ჩვენი გასანთლული სხეულების გადანაჭერზე
ამონაყარი...
გამოგიყვანენ-მეთქი
პირველი გვერდის სინათლეზე,
გადაგიშლიან მკლავებს და
ჩემს გასწვრივ მიგაჭედებენ...
მერე მოვა ის უნაპირო,
ჩადგება შეყვარებულ ავაზაკებს შორის,
უნაზესი დარდით გაიღიმებს და
სამუდამოდ გააყუჩებს
ბროწეულის ეკლებს ხელისგულებში...

ნატა ვარადა

ჩემი რჩეული - ბევრი ლექსი გამახსენდა.. უცნაურია, რატომღაც პირველად რომ დავიწყე ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნება ისინი წარმომიდგნენ თვალწინ, მერე უფრო ადრინდელები, მერე ისინი, მერე ესენი და თითქოს ლექსების წრეში მოვექეცი, პატარა ბავშვების ხმით ამოიდგეს ენა: მეც, მეც.. მე ნუ გავიწყდები, არ დამტოვო

ახლა კრებულს გამოსაცემად რომ ვამზადებდე, წარმომიდგენია რა დამნაშავის კომპლექსს ავიკიდებდი.. აი, ხუთიც.. ხელის თითებზე ჩამოსათვლელი.

ვთხოვდები..

ვარადას ჭორები

შვიდის ხუთ წუთზე,
ოპერის წინ,
გაჩერებაზე,
ხუთი წუთით დავაგვიანე.
ამიტომაც,
მთელი ხუთი თვე,
ოპერასთან,
ხუთი წუთით ჩამომდგარს,
ცარიელი აფიშის კითხვა მერგო სასჯელად.
შემდეგი სპექტაკლი..

რა ვუყოთ ახალ ჩვევებს თუ მივეჩვიეთ?
რომელ ურნაში გადავუძახოთ?
გაუძლებს ბოძზე აკრული მწვანე?
ჩემი ბავშვობის საფოსტო ყუთს რომ მაგონებს,
დაუზარებლად.

ხუთი წუთით ადრე მოსულს,
მოგწყინდა ლოდინი და
რუსთაველს გაყევი.
ხუთი წუთით დაგვიანებულს
შენი სუნი დამიტოვე,
შენს ნადგომ სივრცეში იდგა
სუნი, რომლითაც დავსნეულდი.
და ღმერთმა არ ქნას,
შემთხვევით გამვლელს სურვილი გაუჩნდეს,
ჩამაკვირდეს, ჩამიღრმავდეს,

თვალებიდან კოპირაითი გაუკეთოს
ჩამოღვენთილ სასოწარკვეთას.
განა გაიგებს, რომ გამტაცა ჭირხლიანი მოლოდინი?
დამიმახინჯა.

ჩვენ ხომ ფართომხრებიან მთიდან
ჩაქცეულ დარდებს გამოვექეცით
და სანამ ფრთოსნები გვერქვა,
სანამ აფთიაქში გაყიდულ გაიშვიათებულ,
წამლის ცარიელ კოლოფებად არ გვაქცევდნენ,
ჩვენით წამლობდნენ,
ძველ იარებს,
ძველ გრძნობებს,
ძველ ღალატებს და ნაიარევს.
მთას კი შეატოვეს იმედი ჩვენი დაბრუნების
და დაშალეს ჩვენი ბუდეები.

იქნება ის დროც მოვიდეს,
შვიდის ხუთ წუთზე
შემთხვევით ჩავლილმა,
არ შემამჩნიო,
ოპერასთან, გაჩერებაზე
ნახევარი საათით მდგარი,
თვალებიდან წამოსული
სასოწარკვეთით მორწყულ გაჩერებაზე,
გაჩერებაზე, რომელიც მთელი ქალაქის მსგავსად,
ერთი უბრალო სასაკლაოა.
საშობაოდ დანთებულ კოცონზე დგახარ და
ქართველი ჟანა დარკის გმირობა იწერება.
გაქანებული შავ-თეთრი ავტობუსებიდან კი
თავები მოუჩანთ ბავშვებს,
რომლებიც ვარდისფრად ღებავენ ქალაქს,
და რომლებსაც ღერაღერა შერჩენილ ბუმბულს
უკან მიპარვით აცლიან და
უკითხავენ მკვდარი პოეტის ლექსიდან:
"მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ, დამრთოთ ნება"
ოღონდ, მართლა, არ ვხუმრობ".

ნუ დაიჯერებ, რომ
ოპერის წინ,
გულგრილობის გამო აღარ ვარ.
ყინვა, ვირუსი, პაიმორიტი არც ახსენო.
სინამდვილეში,
აი, რა მოხდა:
ათი წელია ჩემზე გიჟდება

ეზოში მდგარი ბებერი კარალიოკი.
მამაჩემმა რამდენჯერ დაკრა ცული,
დააშინა, მაგრამ არა და არ დაიშალა.
წელს,
დიდგვალვობისწელს, ცოტა შერჩა ნაყოფი
და დედამ სულ ერთიანად გაკრიფა.
მისი კენწერო გვხიბლავდა ამნაყოფით,
ბავშვობაში,
მე და ჩემთან სტუმრად მოფრენილ
ზამთრის დიდ, გულუბრყვილო ჩიტებს.

ამ შაბათს ქორწილი მაქვს,
გეპატიჟები.
ბებერ ხეს მივყვები.
თუმცა, პარასკევს
თოკი საბელით, თოკი საბელით
დავეწინდები.

10.01.07

ფონი ო კ ე ა ნ ე

ჩემი ცრემლების მარილიან ოკეანეში
თავი დავიხრჩე.

სამოთხე - ტკბილი სიზმარია.

გამოკრეფილი უდაბურების ჩრდილში
ხმელეთი ფეხიდან წავიძრე,
ცისფერი სითხე ვითომ და, შერწყმის ადგილია.

ჩვენ,
წყალმცენარე ხავერდების ხავსიან თმაში,
გამოვიზამთრებთ.

მე ვიქნები მიდიების დიასახლისი -
მხოლოდ შენი იდა სახლისი.
შენ მომიზიდავ მზიან ნიჟარებს -
უმზეობით რომ არ გაგიყვითლდე.

აქ, საფოსტო ყუთს არ შევამოწმებთ,
ცრუსატრფოთა წერილები გზაზე აორთქლდნენ.

აქ, სიტყვებს ლაყუჩებში ჩავიგუბებთ,
მხოლოდ კოცნისას ვილაპარაკებთ.

ტანზე აფცქვნილ კანს შვილებს
სასთუმლად ამოვუგებთ და
გავმრავლდებით.

თუმცა გემებიც იძირებიან,
მერცხლებგამოსხმული იალქნები.

გამიხსენე,
ბავშვობის სიზმრის შენი
სოფია.

ყარაჯა, დაილამაო!

-ყარაჯა დაილამაო - სმს-ს მწერენ
კლასელი ბიჭები.
-ალავერდზე თეთრიც კი ყოფილა,
მაგრამ ოშკივით უბედური -
ვაბრუნებ პასუხად.

რა გინდათ, ერთგულად დაუმარხავს,
უპატრონია ბუტბუტა ალაზანს,
უდედატერეზა.
უმღერდა დუდუნა საგალობელს,
ქვიშის ფარდაგს ამოუკეცავს.
აბა, წელს რაღა დროს,
დამდგეს კი საშოში ჩავისვამ ლაზარეს,
ცხრა თვეში მზეზე გამოვაჩენ და
ღმერთს მივაბარებ,
ოცი წელი უფლისთვის ერთი წამი –
ბიჭს საულვაშე შავად დაეღინღლოს,
არმაზის აბანოებს და ბაგინეთს მოვატარებ.
- ყარაჯავ, დაფლული გულისკენ დავგეშავ
და თლილი თითებით ხელახლა აღმოგაჩენს.
შლამს რომ გადაგაცლის, შენამც ამოხედე,
უთეთრეს ღრუბელად ცას წელში გაემართე,
დედოფალ თამარის ფრესკებით გაანათე.
ალაზანს თავს ვახვეწებ: ნესტიან უბეში,
რა, კარგად შამინახე!

ყარაჯა საყდარი ლამს გადაუფარავს,
ჩვენი მოწყენილი, მუნჯი ბერიკაცი; -
კლასელმა ბიჭებმა ქედი მოიხარეს,
ლაზარეს გავაჩენ!

წითელი ქარის ლაქები

აღარ მოისურვა სულმა,
რაღაც შენეული, რომელიც
სისხლის წვეთებით შემოგყოლოდა.
აი, ისინიც: უძილობა, რიჟრაჟის ქურუმობა.
კიდევ რა, რა
მისახსოვრე და რა
გადმომისხი უწვრილეს კაპილარებში მთავარი არტერიიდან.
დღეს, ღამეს ორადგილიან საწოლებში, მარტოები, სხვადასხვა ჭერქვეშ ვათევთ.
დილით კი ამოდის ბურთივით წითელი მზე.
ესაა ცხოვრება.
ასკინკილით, ასკინკილით, ასკინკილით
გასამდა,
განა, და,
კედელ-კედელ, კედელ-კედელ, კედელ-კედელ
კარდაკარ.
მზე,
რომელიც,
მხოლოდ წითელი სათამაშო ბურთია და ღალატისათვის ფსონს ჩამოვა შენზე...
ნისლი,
რომ არ იცოდეს შენმა მთამ
ან
მე შემეძლოს ნისლის მორღვევა
ამელის ფასანაურელი ბებოს მოქსოვილი წინდის ყელივით,
ან
15 გაჩერება დიღმის მასივიდან და,
ან
უმოკლესი გზაც ვიცი.
...ქურუმ ქალს არ შეჰფერის სულწასულის უღირსობის მანტია.
მზეს შევწირავ არშემდგარი მილიმეტრიანი ნაყოფის სისხლის გუნდას,
უბრალოდ სიმძაფრისთვის, ნამდვილობისთვის, თანაც დაბერდა..

თვითმკვლელი ბეღურა გადამეღობა, ჩემი ნაშანთი თვალით ვნახე,
მანქანის ძრავას თავით შეაფრინდა, მაგრამ დაინდო ღმერთმა, საწყალი ჩიტი და
გადაარჩინა.
ეგრევე კი არ გამოფრინდა, შემდეგ ძრავმოტორას დაელოდა და იმანაც გვერდი
რომ აუქცია,
მერე ჭადრის ხის ტოტს მიენდო..

ჰერამ დამწყევლა..
ხოჭო ვარ.
შემოგიძვრები წითელი კოპლება სხეულით და
მიმღერებ წითელა ბატონების ნანინას.
ჩამოგიძვრები მიწის გულის გულში დედის დედო,
ვერ ნანახო ბებოჩემო და ნახე,
წითელა ბატონების სიმღერა თუ არ გამღერო..
ბებოო, 28 წლის, 28 წლის ხარ!
28 წლის, 28 წლის ვარ.
ასლი დედანთან არასწორია

სასძლოს გალობა

შენ, ჩემი იესო ხარ, ლამაზო კაცო..
მხრები, მკლავებზე ნაკვეთი კუნთები -
მექალწულეს შესაფარი გუმბათია.
თვალები - მწვანე შუქია
შენში უთავბოლოდ სახეტიალოდ.

ატეხილია მეხთატეხა,
მეხამრიდია დამიწება.
გვამშია ჭიანჭველებია,
ზღვაშია ორ კუნწულა კუნძულია.
მანძილი შორია საზომია.
მზე, ღმერთია!

უფალი კანონიერია,
ლურსმნული დამწერლობა
ლოცვაა.

ელვა,
დაკლაკნილი ცეცხლის გველია,
კვდება გენია.

ორეული თუ შენია,
დღეს სხვისია, მაგრამ
შენია ჩემი მე, ორეულია.

მონატრება პოლიპია,
ჭიჭი-ჭიჭი სკალპელია
ფაფუუუ ა სოფიაა.

როდეა, ჰანოვერია, გიოთინგენია.

წვიმა,
დასველებაა.
ჭადრების ვედრება.
ლანდიაა.
შენია, ცრუ დიაგნოზია.
ღამის ელეგია..
შიზოფრენიაა,
შავი ქალის რელიგია.

სამია
თვეა თებერვალია..
- რატო გიზიდავ?

- სანთელია, ფარვან,
სიკვდილია.

ჩემი კეთილი იესო,
დღეს ჩამობრძანდება,
დამითმობს ჯვარცმას.
ჩემთვის ხის კაცუნა შვებაა.
მოწყალება? ძმარ-ნაღვლის შესმაა.
მკერდის შუბით გადაკვეთა
ან
ნათითურების ამოშანთვა,
მაცადე, რა:
მაჯაზე, ლურსმნებით
დავიჭედო უშენობა.

დილაა,
საზვერეებიდან გამოდი იესო,
ამიკარი თვალები და ბეწვის ხიდიდან
გადამაგდე, რომ სისხლით და
გულისწყვეტით დაგიმახსოვრო.

\"ნუ გააღმერთებ კაცს -
სამი დღით ღმერთი მოკვდავია\".

დილაა,
კეთილი კაცი ისხეპავს დანით წარსულს,
რომელიც ძილში ლოგინის მოგონებებად
ედება ზურგზე,
თივა�ა ხმელია,
გამომშრალია,
მტკივნეულია.

სუნიااااა სუნია,
ტანში ჩარჩენილი თეთრი ვნებისა.

სული სხეულს დავაქორწინე,
პირით ჯვრის წერას იმეორებდი.
ფიცია, ბოლოს გაკვირვება.

მიწა მუჭებით ამიწონე და
დამმმარხეე.
წირვა-ლოცვისას მომიხსენნიე,
გასხვისებული მიცვალებული.

ჩემი ორეულია სოფია!
თუ სულერთია,
ეს არაფერია.

ბიურგერი. 2004 წ. სოფკა.

სოფო დათუაშვილი

* * *

შენთვის არასდროს მითქვამს -
შენს ჩამოსვლამდე
დარჩენილი დღეების მანძილზე
დიდი და თეთრი მაცივარი
უსაშველოდ ცარიელდება.

აღარ ვყიდულობ ლუდს,
მისი კარის ბოლო თაროზე
რომ გავამწკრივო
და აღარც ალუბლის წვენი მხვდება,
როცა მწყურია.
შენს ჩამოსვლამდე დარჩენილი
დღეების მანძილზე
აღარ ვადგენ საყიდლების ნუსხას,
აღარ ვდგები დილაობით ადრე,
ხეხვისაგან ემალგაცლილ
ძველ გაზ-ქურაზე
მხოლოდ ყავა იხარშება
და წიწიბურა.
თვალს ვარიდებ მტვრიან თაროებს,
რადგან ვიცი, აღარავის დააცემინებს.
ანალიტიკურ გადაცემებს აღარ ვუყურებ
დაღამებამდე,
აღარავინ მაიძულებს ჩავიცვა თბილად
და წესიერად ჩავიტანო მაისური,
თუ წელი მიჩანს...
და მაინც...
ვზივარ დივანზე სურდოთი
და წითელი ცხვირით,
ჩემს თითებიან ჭრელ წინდებზე
ვითვლი დღეებს შენს ჩამოსვლამდე,
ხელებსაც ვახმარ...
ჩამოდი მალე...

21.06.2006

ჩემი ეგოიზმი

"პატარა ბავშვივით
მტკივნეულად განვიცდი
და შინაური ცხოველივით ვეჭვიანობ
შენს, თუნდაც ერთი წამით მეტ ყურადღებას
ვინმეს ან რამეს მიმართ,

სხვისთვის მიწერილ
ჩემსაზე ერთი სტროფით გრძელ წერილს,
ჩემთან არგატარებულ
ნებისმიერ წუთს,
ჩემთვის არნათქვამ
ნებისმიერ სიტყვას...
ავადმყოფივით აუტანელი
და ჭირვეული ვხდები,
ყოველთვის როცა დუმხარ
და არ ვიცი რაზე ფიქრობ,
ყოველთვის როცა ვდუმვარ
და არ კითხულობ რაზე ვფიქრობ...
მე ხომ ის წლებიც ვერ მომინელებია,
უჩემოდ რაც გაატარე,
ის ამბები,
შენი მეგობრები რომ ყვებიან,
მე კი მათში არა ვარ...
. . . . . .
გეთაყვა,
მხრები არ აიჩეჩო
და გაოცებულმა არ მითხო ახლა,
საიდან ამდენი ეგოიზმიო...
ეს ყველაფერი
შენგან ვისწავლე.

25.06.2006

ცივი ხელები და თბილი ზურგი

"ამბობენ, ვისაც ცივი ხელები აქვს,
გული აქვს თბილი...
დამეთანხმები,
ეს ვერაფერი ნუგეშია,
როცა ნოემბერი მის ცივ პერანგს
ჩააცვამს თბილისს
და უზარმაზარ ტახტზე
საცოდავად მობუზული
ამაოდ ვცდილობ როგორმე გავთბე.

აღარც თმებს ვიშლი,
თუმცა ვიცი,
ვერ მომწიწკნი
მოუქნელი მოძრაობისას;
როგორც ყოველთვის,
შენს საყვარელ მხარეს ვიკავებ
(მარჯვენა),
შემოვხვევ მკლავებს
და ხარბად ვყნოსავ
შენი სუნებით გაჟღენთილ ბალიშს.
გატრუნული ვოცნებობ, ზურგზე
პაწაწინა ხოჭოსავით
რომ ვაბობღდები ყოველ ღამე
და მუცელს მითბობს.
დღე კი, მის უკან
თავს ისე ვგრძნობ
როგორც კენგურუ დედის ჩანთაში -
უშიშრად, მყუდროდ
და უზრუნველად...
... მაგრამ
ზოგჯერ მაფრთხობს კიდეც
ეს მყუდროება...

. . . . . .
მითხარი,
ხომ არ ვარ ძალიან მძიმე?

8.07.2006

რობერტ მესხი

ნიჟარები

ფიქრიას

კოჯრის ტყის სიზმრები რომ დავისიზმრეთ, გახსოვს?
ისეთი თოვლი იყო,
ფილტვებს პეპლის ფრთებივით ვშლიდით,
მერე ამ ფრთების ბოლოებიდან,
უამრავი კილომეტრების მიღმიდან
გამოჩნდა სპილენძისფერი ზღვა
და ჩვენც სხვადასხვა ზომის ქვებისგან
საკუთარი სხეულები ავაწყვეთ,
საკუთარი ხმები ნიჟარებზე ჩავიწერეთ
და ბალიშის ქვეშ ამოვიდეთ,
რათა ძილშიც ერთმანეთისთვის გვესმინა.

იმ ქალაქში არ ქროდნენ გაბრაზებული ქარები,
ჰორიზონტს მიყრდნობილი გემები
ვეშაპებს ბაძავდნენ და
კარკასებზე ღუზების რაკუნით საუბრობდნენ.
იმ ქალაქში არ იყვნენ ღამურები,
ამიტომ რომანტიკული წყვილები
თამამად ადიოდნენ სახურავებზე
და შეჰყურებდნენ ღამის ცას,
რომელიც ყოველთვის იძლეოდა უეცარი წაბორძიკების,
სუნთქვის შეკვრის,
მცივას და რა ლამაზიას თქმის საბაბს
და ცრიდა.....
ამ ცას სიგიჟემდე უყვარდა წვიმა,
ჯამბაზივით მიმოდიოდა წვიმის თოკებზე
და ცისარტყელას რგოლებს ატრიალებდა.

გახსოვს,
როცა აღმოვაჩინე, რომ სახლი არ მქონდა,
ობოლი ბავშვივით დავიბენი,
მიწისქვეშა გადასასვლელების ხმაური გავიზეპირე
და უცებ გამახსენდა, რომ ერთ დროს
შენ იყავი უფრო მე, ვიდრე მე,
და შენი სახლი უფრო ჩემი, ვიდრე ჩემი,
და შენი სუნთქვა უფრო ჩემი, ვიდრე ჩემი
და ხელისგულზე ჩამქრალი სიგარეტიც გამახსენდა
და დაგიძახე.
ეს იყო მაშინ,

როცა საფოსტო მტრედებივით დაფრინავდნენ
და უხმოდ სწვდებოდნენ ერთმანეთს
ჩვენი ხმები.

...”ნაიკის” დახეული ბოტასი თუ გაქვს
და შავი ჯინსის შარვალი
და ყველა ჩამქრალი ფარანი
სიმდის მოცეკვავე გგონია,
წერ.
წერ ჟღალწვერა მოხუცზე,
რომელიც თვითონაც წერდა,
ყოველდღე სერვეთას ყავახანაში დადიოდა
და იმ ქალს იხსენებდა,
რომლის თვალები
ენგურიდან ახლადამოყვანილი კალმახის კოპლებს წააგავდნენ.
წერ ზღვაზე,
რომელსაც ნაპირი მწვანე დეკოლტესავით ეცვა
და ტალღები ჯიშიანი ქალის მკერდივით უდუღდა.
წერ ომზე,
სადაც...
რისთვისაც...
როდესაც...
რის გამოც...
დანგრეული ციხის ჯებირებთან
წყალმცენარეების სუნში აღრეული
გახრწნილი დელფინების სუნი იდგა და
თვალდათხრილი ქალები ავტომატის ტყვიებს ეძებდნენ
ფერდში,
მუხლებში,
თირკმელში,
გულში...

ყოველთვის,
როცა მზე პირს იბანს,
ცისარტყელას ზონრებზე გამობმული ქალაქი-არლეკინი
უწონად მდგომარეობაში გადადის.
იქ არც ჟანგბადია,
არც ნახშირორჟანგი,
იქ სარეველა ბალახები ვაგზლის ქვაფენილზე ამოდიან
და სამგზავრო მატარებლებს ელიან.
ამბობ, არ გვინდაო ომზე...
თხილის წკნელებისგან დაწნულ შეზლონგებს მთავაზობ,
თუთის ზეწრებზე მაწვენ...
მე ხომ აბრეშუმის ჭია ვარ და
მუდამ გაფრენაზე ვფიქრობ,

მე ხომ აბრეშუმის ჭია ვარ და
საკუთარ თავისუფლებას ვატყვევებ,
მე ხომ აბრეშუმის ჭია ვარ და
მაინტერესებს,
მართლა მაცლიან ჭუპრიდან გამოფრენას,
თუ ცხელი ჰაერით მომგუდავენ,
რათა ჩემი დანერწყვილი კედლები
შრიალა პერანგებად აქციონ.

უფერული ღრუბლები,
უსახელო გმირები და
უპილოტო თვითმფრინავები დაფრინავენ
ჩემი სამშობლოს ცაზე.
ჩემს სამშობლოში,
როგორც ექსპერიმენტულ ელექტროღუმელში,
მილეთის მზარეულები ჩამოდიან და
უცნაურ ნამცხვარს აცხობენ:
ერთი მეორედი მე,
ერთი მეორედი შენ,
ერთი მეორედი ის...
(ნახევარი კაციო, რომ იტყვიან!..)
ერთი მეორედი მთვარე
(ცაზე რომ მოჩანს ის კი არა, რომ არ მოჩანს),
ნახევარი ჭიქა გესლი,
გესლზე ცოტა მეტი იმედი,
ბებიაჩემი - გასული საუკუნის მრავალწერტილი...
მისი ჩაწურული თვალები
(თუკი ეს ჯერ კიდევ შესაძლებელია...)
კარგად მოვურიოთ,
ვაცხოთ ნელ ცეცხლზე
რამდენიმე თვე,
ან რამდენიმე წელი...
ზემოდან მოვაყაროთ წვრილად დაფშვნილი მიწა
გაგრიდან,
გუდაუთიდან,
სოხუმიდან,
გულრიფშიდან,
ოჩამჩირიდან,
ტყვარჩელიდან,
გალიდან...
აი ის, ცხვირსახოცებით რომ ჩამოაქვთ
დევნილთა კუბოებზე მოსაყრელად.

ვდუმვართ.
დუმილი ვასწავლეთ ყველაფერს:

გაბზარულ ჭიქებს,
წვიმიან ფანჯრებს,
ეჭვიან საათებს...
მხოლოდ ნიჟარები გვახსენებენ,
ღამეს რომ სანთლები აკლია,
სუნთქვას რომ სიხშირე აკლია,
პალმებს რომ წყალი აკლია,
და ჩვენ - ერთმანეთი.

წავალ,
სქელფერდიან გემებს ვინახულებ...
მტირალა ნიჟარებს ჩავუტან,
რათა ყოველი აჩქარებისას წყალწყვის ხაზზე დაიდონ
საკუთარი გულისცემის მოსასმენად.

გაზაფხულის ტრუბადურები

...და ისევ შენ

სად ხარ აქამდე? დავიღალე გზისკენ ყურებით,
სტვენენ ჩიტები - გაზაფხულის ტრუბადურები;
თხელი თუნუქის ფურცლებიდან საკენკს კენკავენ,
მე კი ოთახში ჩემი სევდა დამყავს ხელკავით...
ზოგჯერ პირიქით, მას დავყავარ, თან ეს ტანდემი,
სულ ავადმყოფობს, როცა დიდხანს გაგვიანდება.
ხომ არ მოხვედი?.. დავიღალე ჭიშკრის ყურებით,
სტვენენ ჩიტები - გაზაფხულის ტრუბადურები.

კარდიოგრამა

კავკასიონის მწვერვალებს მიუყვება
ჩემი გულის კარდიოგრამა.
რამდენიმე ამოვარდნა მაქვს -
უშბა,
თეთნულდი,
მყინვარწვერი;
იშემიის ნიშნები -
როკი და საკენი.
წლების წინ ნაინფარქტალი - იალბუზი.

მინდვრის ზამბახი ვარ;
მეც მიყვარხარ,
მაგრამ შენი ფეხის ხმა
მიხშირებს მაჯისცემას.
ნუ მომწყვეტ,
ხომ ხედავ,
შენს ლარნაკს
ნაფოტად არ ვეყოფი...

ჩემი ანდერძი

/გუშინ დავასაფლავე დედა/

აი,
შენი სურნელი მომწვდა, დედა,
მწუხარე მაგნოლიის სურნელში აღრეული...

(აქ რაღაც გამომრჩა - ერთი ამოსუნთქვა -
ხუთწამიანი:
-
-
-
-
-)

ისიც ხომ შენი კაბა იყო, დედა,
შრიალა აბრეშუმი
ფართე გვირილებით?..
ნამდვილად შენი თმები იყო, დედა,
ღია წაბლისფერი,
სოხუმის წვიმებით დავარცხნილი,
რადგან ქოლგა არ გიყვარდა,
ვერაფრით გაერითმე ქოლგას...

ვაიმე,
ვკვდები, მე მგონი, დედა,
და ვიბარებ:

“იქ,
იქ წამიღეთ,
დედაჩემის მწუხარე საფლავთან,
მწუხარე მაგნოლიის გვერდით დამაწვინეთ, -
კიდესთან...
საოჯახო ალბომშიც წიბოსკენ ჩამაკარით,
ქვემოთ,
მარცხენა მხარეს,
ჰო, უფრო მარცხნივ,
მთვარის ერთი ფაზის დადებაზე”.

ზებო

ალიონზე,
როგორც კი სახლის ჭიშკარი თვალხილული ხდება,
იგი სამზარეულოდან გამოდის,
თეთრ თმებ და თავშალ გაშლილი
კალთას გაისწორებს
და ყველას და ყველაფერს თავის სიკეთეს დააბერტყავს, -
ბოსტანსაც დაარწყულებს,
ცირასაც,
კოტინასაც...
კრუხებს წარუძღვება "მეიჭანის" ძახილით,
ლოგინში სურნელოვან ვაშლებს შემოგვიყრის.
საღამოს კი
მდინარიდან მობრუნებულებსა და გვარიანად გარუჯულებს
მეასედ თუ მეათასედ შეგვახსენებს,
რომ მდინარესთან ჭაობი ახლოა
და რომ ჭაობმა "მონაჟამა" იცის,
რომ მესეფები წყლიდან ამოდიან და
ოქროსფერ ნაწნავებს იშლიან,
რომ ოჩოკოჩი მიტოვებულ წისქვილში ცხოვრობს
და თავს სუროს ფოთლებისგან დაწნული გვირგვინით იმშვენებს.
მერე კი,
ძალიან გვიან,
როცა ოდას მიბჯენილი
უშველებელი მსხლის კენწეროზე
მისი თავშალისფერი მთვარე ჩამოჯდება,
ხოლო მსხლის ქვეშ დამშეული ზღარბები ახმაურდებიან,
მესეფები გამოვლენ წყლიდან
და ჩვენს უშფოთველ სიზმრებში
ოქროსფერ ნაწნავებს დაიშლიან.

ეს 5 ლექსი შევარჩიე, რომელთაც მონატრება აერთიანებს, მონატრება მშობლიური ქალაქის, მონატრება ძვირფასი და აწ უკვე წარსულში მყოფი ადამიანების, რომლებმაც სიყვარული და მეგობრობა მასწავლეს, სითბო დამიტოვეს, ცრემლიც დამიტოვეს და სიხარულიც...

ნათია გიორგაძე

* * *

მთაო, წვერი გაგითეთრდა
ადამია შენი მიწა.
ლერწმის ვარ და მოვიწყინე
ყველამ ერთად დამივიწყა:
ხელმწიფემაც, სალამურმაც,
მოსაწვევმა ბარათებმაც.
სიყვარულით ალეწილი
ველოდები ანათემას.
არაფრისგან დავიღალე,
ყველაფერი მაღალია
შენ კი ბინდი თვალწინ
გიდევს, გხედავ უკვე
რახანია,
მწვერვალებს
რომ გადამკიდე,
განა ამილახვარი ვარ?

* * *

ჩვენ შევეკარით მეთევზეებს
და შევეზღვავეთ ოკეანეებს
და ავსტრიელი პოეტის სიკვდილს,
მაინც ვერ შევხვდით სენის ნაპირთან,
დავიგვიანეთ სულ სამი წელი
და ვერ მივაგეთ ცხედარს პატივი,
მე ისიც მახსოვს მუცლად ყოფნისას,
მაპატიეო, როგორ ითხოვდი.
შენგან გამომყვა ამდენი სიტყვა
და სიყვარული მაწანწალების,
ლუკმა რომელიც ვერ მინაწილე
ტკბილია, როგორც ზღვათა სიმლაშე
და შენმა ცრემლის ყლაპია შვილმა
უნდა გიპოვოს, უნდა გითხრას
რომ გაპატია და რომ ვერაფრით
ვერ დაგივიწყა, დრო უკან მიდის,
ხოლო თვალწინ შუაღამეა.

* * *

ჩემს თვალებში იგალობა
ხანმა, ხანაც დაიტირა
ლომგულების ერთგულება
და ლაჩართა სახელები.
გამეტება მესიტყვეთა,
მესტამბეთა, მესტვირეთა,
სატკივარი მერამდენედ
გაუვლელი, მოსარჩენი
და დამჩემდა ვით სამოსელს
მხრების ნაცვლად ჩუმი სევდა,
მზის სხივები ამიმხედრეს,
ზეზს კი ვიღა შემამჩნევდა?
ის ამ ქვეყნად აღარ იყო,
ის იმ ქვეყნის ღრუბლის მიღმა
ხაიამის რობაიებს
შაჰის ცოლებს უთარგმნიდა.
სათვალავი თორიანთა -
მთები მხოლოდ თოვლიანი,
მეც ხანდახან მითებს ვითხოვ
და მდინარის ხმას, თალხიანს,
ვინც მახვილით შემომხედა,
სხვაგან არსად არ მარხია.

* * *

ცა ვეშაპის თვალებში
ინახავდა წვიმას,
ვით ცეცხლს- პირისფარეში
ბუხრის განაპირას,
ვით მხიარულ შაირებს,
ვით ბავშვობას- ხმები
წუთისოფელს- მონასტრის
არქიმანდრიტები
და არ მენატრებოდით
უსაშველო დარდით,
მარტო იმის იმედად,
რომ მეც დავიბადე,
რომ შემოვრჩი სტრიქონებს
დრეიფივით ურჩი,
რომ მეც ჩამომიქროლებს
ტოტებს ჩამომსხდარი
წლები, როგორც ზღვის გაღმა
გასაფრენი გუნდი,
რადგან ვზიდე უთქვენო
და უთქმელი ახლაც
ნაპერწკალი, რომელიც
დედამიწას უდრის.

* * *

ზღვა - მკვდარი
მე და შენ - ცოცხლები
ხომალდის სამანზე გადასვლით,
ზღვაური ვით ახლომხედველი
შორიდან მოელის ვიღაცას.
მე შენთან მხდალი ვარ ძვირფასო,
შენს მძიმე ტალღებზე რომელი
სიმღერა ვიმღერო ამაღამ?
რომ გული აგივსო ალერსით,
ვით ლომის მრისხანე მეფობას,
ამ სოფელს ბევრი რამ არ ესმის
მშვიდობით! ეფესოს მივდივარ,
მეფეო, თან მიმაქვს ნაღველი
და მტოვებს სიმშვიდე თანდათან
ვით ქარვა დედოფლის ნამძივი
და მინდა ვიცოდე სად არ ხარ?
რომ ძილით ვიძინო, ნამდვილით.

მარსიანი

წამი

ოდესმე იყო – სიზმრად გიხილე ბავშვი
ხსოვნის უდაბნო ყვითელ სუდარით იწვა
უჟამობის და ჟამის უმანკო კავშირს
რა სევდით ფარავს ყოვლის ამტანი მიწა
იყო სიზმარი და იყო ქვიშა მწველი
ნარინჯის ცაზე მთვრალ ვარსკვლავების თოვა
იტალღებოდა მკვლელი არყოფნის ველი
ფერი წასვლოდა ხვატის დაფლეთილ ოვალს
მიტოვებული, არარას ბჭესთან მდგომი
მზე ჩამოიქცა უსახოდ მგმინავ სისხლად
სამყაროს მიღმა ავად გრგვინავდა ლომი
ყოფნის მკვდარ სხეულს ზარით ზარავდა ის ხმა
ნაგვემი სივრცე შიშის ყვავილებს ისხამს
აიმღვრეოდა მკვდარი უდაბნო მთვარით
აჩქამდა ხსოვნა შრიალით გადაიხსნა
არდავიწყების მწვანე სახმილით მწვარი
და იყო წამი გამქრევის მოშიშარი
და პირამიდებს ალი ათოვდა ციდან
წამოიმართა ქვიშის სვეტები ქარით
ქვიშას ალანძულს სფინქსის ტორები ცრიდა
დრო აზვირთული სამანებს გადმოსცილდა
და ქანაობდნენ შემკრთალი უფსკრულ–ცანი
იყო სრევა და გრიგალი გრიგალს ცვლიდა
ეთერს არყევდა ლომის მძვინვარე ბანი
და თითქოს წამით იმ უუშორეს ხადილს
გადაუარა ვარდის მღიმარე ალმა
სიზმრად ამიხდი და განმერიდა ცხადი
რომ ფრიალებდა არშერიგების ალმად
ქარში გიხილე – აგმღერებოდა მკერდი
სანსარის ფანტომს ცით თუ გზვერავდა ვინმე
უმდუმარესი მელოდიები ძგერდა
ხვატით ავსილი გული მესვენა წინ მე
დროის დრაკონი გაქვავდა გაინაბა
მინავლებულა მზვერავი მზერა ავი
დედდება მთვარე და სივრცე იხდის საბანს
მიწით ამოხეთქს მარადისობის ყვავილს
მარჯნისფერ ცაზე ვარსკვლავნიჟარებს შორის
გამოჩნდეს სიტყვა – დიდმარგალიტი ვითარც
დაირხეოდა ტალღების ლურჯი თქორი
რომ გაეგონა სივრცეს – უფალი დიდ არს
მაშინ განათდა ბნელთა უფსკრულთა სიღრმე

დადუმდა ლომი გაიზმორა და მიწვა
განფენილიყო წამი ვარსკვლავთა მიღმეთს
მარადისობა კრძალვით შერწყმოდა იმ წამს
მწვანე სახმილი ხსოვნის უდაბნოს მიწვავს
ოდესმე იყო – სიზმრად გიხილე ბავშვი
რა სევდით ფარავს ყოვლის ამტანი მიწა
უჟამობის და ჟამის უმანკო კავშირს

10. IX – 2006
10. X – 2006

უცხო პლანეტა

(დავით აკრიანს)

რისხვა რა იქნა ბნელით მოცულთა
რად იისფერი გახდა ნეტა მზე
და სულში იგი მზე ამოცურდა
შენ გაიღვიძე სხვა პლანეტაზე
აგიელვარდა ვით სამყაროს თეთრი ტაძარი
უცხო პირიმზე თუ გვირილა უზარმაზარი
აწ ფერგადასულ მოგონებათ ვეღარ ეთავსე
ვეღარ ეთავსე წარსულ ვნებათ გულგანაბზარი
სამყაროს თავზე მოგვირგვინე ფერთა ხანძარი
სარითმო ვუალს კვლავ მოჰფენდა ხილვად საზარი
ის არი ზარით მოვარსკვლავე და ქარით სავსე
ვით მოვალს კრავი რომ დაცაროს დროის ნაცარი
მან მოგაცალა ბნელის არშია
ტარტარის წიაღს არ შეგარიგა
ხელნი დაგსხა და გამოგარჩია
იისფერ მზეთა ნეტარ ტარიგად
იმ ლალის თასად ლიცლიცებდე გარდასახული
სისხლით ცხებულის – გარინდებულ ქართა მსახური
ცად მოცინარი სამოთხენი ვინ განარიგა
მძინარ ენიგმად რომ გელოდა ვერდანახული
ედემის წიაღ უმძაფრესი თვლემდა ზაფხული
საუფლო თხემთა მდინარებით გადაზაფრული
მზე რომ წარსულით მოაფენდა ზენაარ იგავს
აღმოხდა ლომი და ქალწული ზოდიაქური
აქ ურიცხვ ფერთა გალობა გწყალობს
მშობლიურია უცხო პლანეტა
გაგიცხოველდა უმიწაწყალოს
ნეტარი ელდა ოკეანეთა
ვერდაოკებით არიალდა ცად არიელი
მწყაზარ გრიგალთა დაწყნარებას აღარ მიელი
გრგვინვამ ზარების – სამყაროზე მოხმიანეთა
გამოგინათა კვაზარების სადარ იელით
ლანდი არყოფნის – საზარელი და ცარიელი
გარდასულ სოფელს მიესვენა დამცხრალ იერით
უფლის ვენახად მოგენახა უცხო პლანეტა
და მარადისით ბრწყინდებოდა დასალიერი

10. XI. 2005
2. V. 2006

პლანეტა ლელა

სხეული შენი დანისლული, ოქროსფერი არის პლანეტა –
ოკეანეთა სივრცეებით, კონტინენტებით;
საუკუნენი გარდავიდნენ. თეთრი ღმერთი იგვიანებდა
და კოსმოდრომი თვლემდა ღმერთების.

სხეული შენი – ლეგენდების, მითების მხარე.
შენი ანდები – გატრუნული ორი კრატერი.
შენს კლდოვან ნაპირს ათასწლების ტალღები ხრავენ
და მძაფრი თვლემა მოჰრევია ოქროსფერ და მწვანე მატერიკს...

სიზმრად გიხილე: დადგომოდა მწველი ზაფხული,
მოჩითულიყავ უმძაფრესი ვეფხის ტყავებით,
იწვოდი ავი მოლოდინით შეუცნობლის და არნახულის,
მეც მოგელტვოდი ბრმა სურვილით და გაავებით!

გხედავდი ლამაზს და განაბულს: თაფლისფერი ეგ სარკეები –
შენი მღიმარე, საყვარელი შენი თვალები
მეძახდნენ უხმოდ: მოდი, თეთრო, ჩემს მეომრებს მედგრად შეები,
დაისაკუთრე ეგ მთები და ეგ ტრამალები!

მალე შელოცვაც მაგიური წარმოსცდებათ უნდოდ გაპობილ
შენს სქელ ბაგეებს – მომლოდინე წითელ ვამპირებს;
იყავ სულგრძელი, ოქროვანი და სრულყოფილი –
ჩემი ხომალდი მოადგება შენს საშიშარ, კლდოვან ნაპირებს.

მე მოვალ შენთან. ელდორადოს, შიშით დატორილს,
ლომის ღრიალი გააყრუებს მთიდან ველამდე,
მე მოვალ შენთან – მარსის შვილი, ულმობელი კონკისტადორი,
მოვევლინები ღვთიურ რისხვად წითელ ბელადებს!

ზაუმი
(სომნამბულური)

სამყაროს შემქმნელი ჩვენს ფერისცვალებაში
ცოდვილ ნათურას წვავს უსისტემოდ
და კაცს ადარებს წვიმას
იგი მოდიოდა მძიმედ
როგორც ბაყაყზე შემდგარი საუკუნე
და როცა სურვილმა ბაყაყში აანთო
რძისფერი ინტეგრალი
მაშინ ჩამოეშვა უფსკრულთა ზედა
თესლის ნაკადი ურანოსისა
და ცერბერის ცნობიერება დაბნელდა
როგორც წარმოებულის ცნება
ლიტერატორის გონებისათვის
და იშვა არსთა მიმოხილვა
ანტიკური დაუდევრობის ნაზ მდინარებაში
ხოლო აფროდიტეს ვნებიანი ტვინი
ხვეულებისაგან განძარცული
ტიროდა კატის თბილ არსებაში
და ყვითელ ღვინოს ებერებოდა ფილტვები
საღამო თვრებოდა
როგორც პატარა გოგო
მდედრული მუხტის პირველი შემოტევით
მოკრიალებულ ცნობიერებას გადაეფარა
ირეალური ჩრდილი ცნებებისა
მერე აღმობრწყინდა სექსუალური ვარსკვლავი
რადიაციის უდაბნოში

ზაუმი
(ხამანწკების ჭამა დოლების ხმაზე)

ილინსიკიულოლობანდა
მელზიამონსალიერუ
პანდლიგონსამელლამონდა
სინგალიერუ
ტონზანიერომალეკონგა
ვაისინგლომეი
ბემბოსამერიანგოლიანუ
პელლამოსონდალიერუ
ოლმამოლოპელიანსორი
ენსელემორიამბელგიანუ
ამმორიერუ
მიერუ
გონსოლანიერუუუ

იოჰან ხევსური

მთაო

მთაო, ემანდ სად ასულხარ
ზევით ცივაო
და ფრთხილად არ გაცივდე,
ჭაღარა გაგრევია,
ალაგ-ალაგ თოვლივით დაგდებია
თუ მე ამერია
და თოვლი დაგდებია ჭაღარასავით.

მთაო, მთასავით გაყურსულხარ,
ტანს ზემოთ ტყეც კი გაგიხდია
დღეს ცივა და არ შეგცივდეს,
ჰეჰ,
ბედნიერი ხარ, ზევიდან დაგვცქერ
ბედის ირონია - მე სულიერი
და მთა გქვია შენ,
მოდი შევეცვალოთ
მე ვიქნები მთა
და შენ კი გახდი მე,
ფულსაც დაგიმატებ.

უარს მეუბნები? მაშინ შემიხიზნე
ამომაბღოტე შენს კალთებზე
ამომიშვი,
არ წამოვიღებ არაფერს,
არ დაგსვრი და არც ტალახიანი ფეხებით შემოვალ შენს სახლში,
რბილად დაგაბიჯებ შემოსასვლელის ფარდაგზე
ტელეფონის შნურივით გაჭიმულ მდინარეზე გადაგაბიჯებ,
სასადილოში კენკრას მოგწყვიტავ და დავნაყრდები
საძინებელში მზეს დაგაფარებ, არ შეგცივდეს.
აივანიდან დალის დავინახავ
ხმას არ ამოვიღებ, არ შევაშინო, მაინც ქალია.
მთაო, მოგასუქებ რომ ზამთარს გაუძლო
სათამაშო მურა დათვებს ჩაგაყოლებ, გაგათბობენ.

ხედავ? ისევ მოვბობღავ შენს კალთებზე
აი ისე, ბავშვი რომ ცდილობს დედის კალთაში ჩაჯდომას
რა გაცინებს?
ჩემს ონავრობაზე გეცინება?
ამოვედი, ჩამიკარი გულში, შემომახვიე ეგ ნისლები
შალის კაშნებივით.
მიყვარხარ!!!

მარიამს

ამასჭრა ძის ქალავ კიჭებმა?
ცისთვალავ გიხდება ღიმილი
იზრდები ქალშავავ ყოველდღე
ტიტინებ, მღერიან თოლები.

გესმისა, ძი-ძიას ძახილი?
ნეტა რას ბობოქრობ, მიბღვერი,
გახსენი კოპწია შუბლი და
დალალებ დაგშვენის მზისფერი.

მამაშენს ქალბნელო მთხოვნელთა
ბინას ჩამაუდგ რიგები,
ქალაუ ადრე ას, რას ჩქარობ
სხვისიც ხო ოდესმე გაჰხდები.

მანამ კი დედიძმის მკლავებში
იყუჩე, ნუ ჩქამობ მარიამ
ბეწიკუაი რაიმ ხარ,
მამეხუტ, შენ ღუღუნ კაია.

მაგდისა, ქალაუ ძახილი,
აჰ რახელ მაჩნიხარ რა იცი,
ცისთვალავ ავდარი არ გშვენის
იღიმე, გფარვიდნენ ხატები.

კამუს ნაპალეონ

იყიდება ღვინო -
კამუს ნაპალეონ
ფასი...
ათასრვაას სამოცდასამი წლის.

იყიდება ღვინო,
თუმცა არამარტო,
მოყვება ტრადიცია
უცხო არომატით.

იყიდება კამუს
ღვინო ნაპალეონ,
უამრავ მფლობელთა
შერჩენილ თვალებით,
სურვილით, წყურვილით,
კრძალვით და აკრძალვით,
ბოთლზე სითბოთი -
შერჩენილ ანაბეჭდთა.

იყიდება..,
ღვინო...
ფასი...
საუკუნე,
ტრადიცია იცვლება
იცვლება დღევანდელში
იყიდება ღვინო
ღვინო იყიდება
იყიდება კამუს
ღვინო ნაპალეონ
ფასი - ათასრვაას
სამოცდასამი წლის

იოჰანესბურგი

ღამე,
ვიტრინები ფერადი ნათურებით,
ციმციმებით,
მარად მომღიმარი
პლასტმასის მანეკენებით...

იოჰანესბურგი,
ქალაქი უშენოდ,
სადღაც დასავლეთში
პატარა ფერადი სახლებით,
ქარის დეკორატიული წისქვილებით,
მწვანე გაზონებით
და ერთადერთი ბარით,
სადაც ყოველ საღამოს
ათეულობით "მე" შედის
და ბანალურ გრძნობებს
რამდენიმე ჭიქაში ატევს.

იოჰანესბურგი,
აქ ხშირად ნისლია
და არაფერი ჩანს,
წვიმისას კი...
წვიმისას წვეთები
ისევე ცეკვავენ როგორც მაშინ,
ოღონდ უჩვენოდ.
ქალაქი, წვიმა...
წვეთებში არეკლილი ვიტრინები
ისე ციალებენ და ისე იმსხვრევიან
როგორც...

იოჰანესბურგი,
ქალაქი უშენოდ,
სადღაც დასავლეთში...

პაემანი ნაზარეველთან

წუხელ, პაემანი მქონდა ნაზარეველთან
და ვისაუბრეთ სიყვარულზე, მეგობრობაზე,
მე
მას ვუთხარი
რომ შენ მიყვარდი
და გამიკვირდა რომ არ იცოდა.
მერე, ჩემ ინვალიდ მეზობელზე გავაგრძელეთ
ყავარჯნებს რომ ეტლს უთავსებს
დროგამოშვებით,
შევთანხმდით რომ ცოდო იყო მარტოობისთვის,
რომ გაცილებით მეტს იმსახურებდა სიცოცხლეშივე
და მივეცით ძალა
თანამდგომთან სიარულის.

ბევრი ვიარეთ, კათოლიკურ შობის საღამოს
თბილისის აჭრელებულ ქუჩებში,
განვიხილეთ სექსი და ომი
ან სექსი ომში
ან ომი სექსში,
განვიხილეთ მეგობრობა და ღმერთი
და ღმერთის როლი მეგობრობაში,
ამაზე შევთანხმდით, რომ არ ჩაერეოდა
რომ მოგვცემდა საშუალებას არჩევანის.

ჩავუარეთ კატების მაღაზიას,
სადაც აღარ ყავდათ თეთრი კატები,
არც ვარდისფერი ბაფთები მოსჩანდა სადმე,
სამაგიეროდ უხვად იყვნენ ყვითლები,
”შავი ბაბოჩკებით”
ამოვიოხრეთ.
(თურმე იესოც ოხრავს ხანდახან)

წუხელ, პაემანი მქონდა ნაზარეველთან
აი ისეთი
როგორც მხოლოდ უფროსს შეიძლება შეხვდე,
მითხრა რომ შენც გიყვარდი ყველაზე მეტად
და გამიკვირდა, რომ არ ვიცოდი.

დარეჯან ლომთაძე

უდაბნოს ელეგია

აღმოხდების მზედ წუხდა შუადღის შიში
მგონი კორტნიდნენ ყორნები დამწვარ ქვიშას
ქარნი ხორშაკნი ვერ იოკებდნენ შიმშილს
გლეჯდნენ აკლდამებს გულარძნილობის ნიშნად
უდაბნოდ ვიჯექ უდაბნოსფერი ქალი
ალყა დამარტყა ხვადი ლომების ხროვამ
ქვიშაში ჩაფლულს ზეცისკენ მქონდა თვალი
წუთი რომ მგმობდა მარადისობის მთხოვარს
მოდგნენ ლომები ამოიმართნენ ხომლით
ტანზე მზე დასდით, ნისლი დედდება რისხვად
იღრიალეს და გამომიცხადეს ომი
მასკდება კვირტი და შიშის ნაყოფს ვისხამ
იქნებ ვეგონე ქალი მზედ შერაცხადი
ბნელ ღამეებში ვენთე სინათლის სვეტად
ველოდი ნიშანს და ბუნდოვანი ცხადი
ვით ღამის ყვავილს დაუნანებლად მწყვეტდა
უდაბნოდ ვიჯექ უდაბნოსფერი ქალი
დემონთ ფერხულში მწირი როკავდა ვინმე
დაგრიალებდა არყოფნის ცხელი ქარი
ჩამომქცეოდა მხრებზე სალმობის მღვიმე
აღმოხდების მზედ წუხდა შუადღის შიში
მწირი როკავდა და მოწიოდა ციდან
პირამიდები ამოპირთავდნენ ქვიშით
ამხობდათ ჟამი და მიწას ტანში ცრიდა
შეშლილი ზეცა მოვის პერანგებს იცვლის
ვარვარებს ქვიშა მყისიერებით ელვის
მოირღვა კიდე ხვატით ნაკერი სივრცის
ჩამოიშალა მიზიდულობის ველი
ქუხდნენ ლომები ზეცის უფსკრულთა მიღმეთს
და ტანთ დაჰკრავდათ დამწვარი ოქროს ალი
უდაბნოდ ვიჯექ და უდაბნოით მიხმე
ქვიშად წაშლილი უდაბნოსფერი ქალი
უდაბნოდ ვიჯექ და გადარჩენის ნიშნად
როკავდი შენ და უდაბნოიდან იშვი
მგონი კორტნიდნენ ყორნები დამწვარ ქვიშას
აღმოხდების მზედ წუხდა შუადღის შიში.

* * *

დაფი. ბობღანი.
მზე აღმუვლდა უღმერთო ცაზე,
ყვითელ ფაფარში ჩამიხვია
და მერე დიდხანს
ვარდიფურცლობა
მიგზავნიდა უდაბურ ზრახვებს,
ვარდიფურცლობა
მიგზავნიდა უდაბურ რისხვას.

ჩვენი ხიდი რომ
ნატიფ ტერფებს აღარ ენახათ,
უმხურვალესი ვნებათა ხიდი,
გარდაგავიწყეს ჩემი ტანი –
ოქროს ვენახად
რომ გეხვეოდა ველური რიდით.

გარდაივიწყე
როს მავედრდი ფრთებსა და ტირილს,
დათქარუნობდა მერნის ფლოქვები,
ბაღი ჰყვაოდა
და სურნელი ეფინა ბიის
ჩვენს თეთრ სარეცელს
სიყვარულით ასე მოთელილს.

მერნის ფლოქვები
და ცისფერი ბალდახინები
ღამეს ათევდა
ჩემთა ფერხთა უნაზეს ზღურბლთან,
შემომავედრე მაშინ
შენი მკრთალი თითები,
შემომავედრე სიყვარული
და მთვრალი სუნთქვა.

მე კი მიყვარდი,
ჩუმად ჩემთვის დავვალალებდი,
როს ბალდახინმა წარმიტაცა
გიჟური როკვით,
მზის ყვითელ ფაფარს
სუსტი ქალი ისე დავნებდი,
თან მომყვებოდა
შენი ცრემლის მსუბუქი ორთქლი.

მიყვარდი ისევ,
ტანთ ვისევდი მნათობებს უშქარს,
მიყვარდი ისევ
და აღმუვლდა ზეცად მთიები,
დაღამდა მყისვე
და ვერ ვგრძნობდი ურაგანს, ურჩ ქარს
გარდახვეწილი თუ მოსული გადამთიელი.

ვარდიფურცლობა მომეახლა
უდაბურ რისხვით
და ჩვენი ხიდი მიიცვალა, გადაიხაფრა,
გარდაგავიწყეს
ჩემი ტერფის ლამაზი ხიბლი
და ბიისფერი სურნელების
ჩამოხსნეს აფრა.

* * *

ვინ შემოვიდა
აქ ვინ შემოდგა ფეხი
და ვინ დაამხო ლურჯი საუფლო ტყეთა
ჩუმი უენო ცრემლით ივსება ეხი
და სააქაო მზეში მოცურდა ლეთა
აქა ვინ მოვიდა
ვინ გახდა ჩემი ფარდი
და ვის შევყურებ სულის მთოშავს და მთიშველს
აღმართა ხელი და ჩაქრა შარავანდი
გადასძვრათ შარმი და იდგნენ მთები შიშველ
ვინ გაისროლა
ძირს ჩამოვარდა ექო
იღება კარი – ჩუმი სამეფო მკვდრეთის
წავიდა ძერა გადააფრინდა ბექობს
ჩამოითვალა წვიმის ყოველი წვეთი
მიმზერს ქრონოსი და დრო გასმული ძელით
ხენი მიწვდიან ცივსა და ტიტველ მკლავებს
ყურში ჩამესმის რაღაც ნაცნობი, ძველი:
„ჩემო ძვირფასო, კარგად იყავი, მკლავენ“...
ვდგავარ ნაპირზე ამწვანებული შლამის
მოხსნეს ნახატი და ზვირთი სცდება ჩარჩოს
დუმილით სავსე მდუმარებისგან მშრალი
გადმოდის ნაპირს და მდუმარებით ახრჩობს
რა სიმშვიდეა. დგანან ხეები შიშველ
და რა შორსაა ელვა სამოთხის ვაშლის
ვდუმვარ, ვივიწყებ იეროგლიფთა ნიშნებს
და ვისმენ მესას ბამბის ყვავილით წაშლილს.

ამორძალი

ზაფხულს ვით დაარქმევ ხველას ჯოჯოხეთის
თუ ყვავილის სენი მოერია მიწას
თუ მზე იტანჯება დროის მეფურ ფერხთით
და სივრცეში ქრება საუკუნოდ იმწამს
მწვანედ დაწყლულებულ მიწას კვირტი სტკივა
სისხლით აფერადდა იარები ხეთა
ეშმა აყურადებს ღმერთის ღვთიურ სიტყვას
და სამოთხის ბაღიც იწვის ჯოჯოხეთად
სად პარიზის ტევრებს და ელისეს მინდვრებს
წყევლით გადმოჰყურებს ლანდი მამა კლოდის
ვიღას ააღელვებს აღსასრული მზისებრ
ამაყ საფლავებზე მარმარილოს ლოდი?
ანდა ამორძალთა დაუნჯებულ ხილვებს
ბრძოლის ველურ ჟინით გახელებულ ვნებას
დააოკებს ვინმე? თუ სამყაროს კიდეს
დიდი ისქანდერი უსამშობლოდ კვდება!
ძაძა, ძაძა მძიმე, დალალები ბნელი
გლოვის ზარი რეკს და გუმბათები თრთიან
ველი დაზამთრებას ვით გაზაფხულს ველი
ეშმას ლიუციფერს თვით ანგელოსს ფრთიანს
ო ჩემს ველურ ყივილს მზედამღვრეულ ფიქრებს
გამოაწრთობს სისხლი ცხელ მახვილთა ლავა
მე ვარ ამორძალი ბრძოლის ველზე ვილხენ
სად ქალური წლები ვაჟკაცურად წავა
მე ვარ ამორძალი და პარიზის ტევრში
წყევლით გადმომყურებს ციდან მამა კლოდი
გადმომყურებს წყევლით ჩრდილთა სიმკრთალეში
ძუძუდ აღმართული მარმარილოს ლოდი

* * *

ღრუბელთ არხევდა სათუთი სიო,
გადაეშალათ პალმებს კუდები
და მოარხევდა ლამაზი ქალი
ლამაზ ქვედატანს განსაკუთრებით.
მზეთა არილით იწვოდა მიწა,
ყვითელ პროფილებს მალავდა ჩრდილი,
დაბლით სოხუმი, მაღლით კი რიწა
და ნანაობდნენ ტალღები ჩვილი.
მოათრთოლებდა ლამაზი ქალი
ლამაზ ქვედატანს განსაკუთრებით,
აფრები თვლემდნენ, ტოკავდა ჩიტი
და გაეშალათ პალმებს კუდები.

გიორგი ბუნდოვანი

კონტრ–მონოლოგი

დაღდასმული, დაწნეხილი, როგორც დარტყმა მიზანში,
გართხმულია წარბებს გასწვრივ ნაოჭების ზიგზაგი...
ვერ შევხედავ სახალისოდ, მანტიების ფარფატში
გამოწყობილ ნაძირალთა სილუეტებს, წვიმაში!
– რომ მოვაშთო, ელიტური უსახობა, ვერაგი
და ჩავბეჭდო გამარჯვება ინდუსტრიულ მანდატში,
ვერ გაჩნდება, ჭეშმარიტი განმარტება, კამათში;
–შემომაკვდა, ვით წარსული, უშედეგო ლოდინი,
სიზმრებისგან დაცხრილული – გამგუდველი ლოგინი...
სადაც ვებრძვი კონვულსიით – ყოველ შემოღამებას,
ნეტარ მათი, ვინც გაუძლებს წნეხებისგან წამებას!
მტყორცნეთ თქვენი სიძულვილი, თუნდაც მიუღებლობა,
დაკანონდეს თქვენს სულებში დებოში და შეტევა!
– ვეღარაფრით პატიება, ფიქრში ვეღარ ეტევა.
დაეწაფეთ ჩანჩქერივით ამოფრქვეულ ტკივილებს,
ჩემი ლოცვა, ხომ თქვენდამი ვერასოდეს მოწვდება,
ჩემი სიტყვა, ალესილი საჭრისივით იწივლებს.
– აქ მოხდება ყველა ჯანყი და შეუგუებლობა,
დაიმტვრევა მონუმენტთა ცივი შეუღწევლობა!..
– გადავითლი ხელის თითებს სტრიქონების ზელვაში,
დავისერავ ფეხის ტერფებს კილომეტრთა თელვაში.
განფენილა თვალთა გასწვრივ დაეჭვების მანტია
– აღმოიფხვრეს ეს ბურუსი! – ზედმიწევნით მწადია!

ღაღადისი

მაჩუქეთ ღმერთი, დამწყვდეული ამ ხატებს მიღმა,
მაჩუქეთ ხათრი, სათნოება, ჩუმი სიმშვიდე...
მასწავლეთ ფიქრის შეჩერება, გაუცხოება,
მიჩვენეთ ის გზა, თქვენ რომელსაც მუდმივად ეძებთ,
ვერსად პოულობთ, როცა ებრძვით განმარტოებას!

გააღეთ კარი, შემოგინგრევთ შტურმით სარკმელებს,
მიბოძეთ აღთქმა, ვით მირონი ცინცხალი რწმენის...
მიმიღეთ, როგორც დაკარგული უმანკოება –
მე ვარ ამბოხი, თქვენ რომელსაც ნიადაგ დევნით!

მესროლეთ, როცა ღამღამობით დავკეცავ აფრებს,
როცა არსენალს შევინახავ გულის სიღრმეში.
მომაძებნინეთ, რომელ ფრთის ქვეშ დავიდო ბინა,
რომელ დამცველებს ვეთაყვანო ციკლურ სივრცეში!

მიმყევით მასთან, ვინც სისხლიდან გამოხდის ღვინოს,
ვინც წყალს ამრიტად გადააქცევს ერთი შეხებით,
მიმყევით მასთან, ვინც სამყაროს თავიდან შეჰქმნის,
ვინც ოკეანეს გადალახავს ოქროს ფეხებით!

რღვევიდან რღვევამდე!

ჩვენ მივდიოდით ხალხისგან სავსე–დაცარიელებულ ქუჩაზე.
იგრძნობოდა დენთის და შიშის სუნი...
უცნაური და უცხო შიშის სუნი, როდესაც გაურბიხარ მასზე ფიქრს,
აივნებიდან დროშები ფრიალებდნენ, გარეცხილი და მიტოვებული ნიფხვებივით.
ჩვენს უკან იდგა სახლების ჯარი, ქვის ლეგიონები შემოგვცქეროდნენ ზურგში.
ისევ შეუჩერებლად მივიწევდით წინ, თითქოს ადგილზე ვიდექით და
ქუჩა კი მოძრაობდა უკან.
მე და შენ გვახსოვდა ჩვენი ქვეყნის წარსული, თავისი პროლეტარი და
ავანტიურისტი გმირებით, თავისი შავი თუ წითელი ბელადებით...
კვამლში გახვეული პროსპექტების აქოჩრილი თვითმყოფადობა
და გარდასული პეწი;
ინდუსტრიული კანონზომიერება სინანულისა და დავიწყების ბაღებში
შემოღწეული, ფეხქვეშ გვედებოდა ალისფერი ბალახი,
ხავსი სრულყოფილების, როგორც ხსოვნის ნაშთი;
განწირულ ხმებში ირეოდა ჩვენი ცხელი და მძიმე სუნთქვა;
გარეუბნების ნაგვიანი ჟრიამული, მიჩუმათებულ სადარბაზოთა
თვალდათხრილი უპეებიდან – საკანალიზაციო ჭების გავლით, ჰაეროვანი
დამქანცველობისაკენ...
ჩვენ მივიწევდით ნათელი და მართალი მომავლისაკენ,
თაობების ნახტომით აღზევებულნი
– უთავბოლო სერენადებით მთვრალნი, აჭედილი კარიბჭეების რღვევით.
სახეებზე, მე და შენ, გვეწერა ჩვენი ქვეყნის ტკივილი, ჩვენი ბავშვობის
არშემდგარი ქრონოლოგია და მყოობადის დაუწერელი უვერტიურა!
ხმლების, დანების, ყუმბარების და რევოლვერების წვიმა ჩეჩქავდა
მშობლიურ მიწას, უჩვეულო მოზრდილი სეტყვის მსგავსად,
რომელიც ჩვენ გვერდს გვაქცევდა...
ჩვენ მივიზლაზნებოდით, ზოგჯერ გავრბოდით,
ზოგჯერ კუს ნაბიჯებით მივაპობდით ფარად ქცეულ,
ჯავშნის მკვრივ საჰაერო ზღუდეებს, მაგრამ მაინც წინსვლა იყო
ერთადერთი იმედი და მიზანი.
ჩვენ არ ვჩერდებოდით! გვცემდნენ, გვაფურთხებდნენ,
გვლანძღავდნენ, გვწამლავდნენ, გვკუწავდნენ, მაგრამ ვერასოდეს გვიყენებდნენ,
რადგანაც ჩვენ ვიყავით ამბოხისა და ბუნტის შვილობილები.
გადიოდა ისტორია, როგორც ეპიზოდი; შემოდიოდა ახალი უფრო გრძელი
ეპიზოდი
ისტორიისა და მას მოჰყვებოდა შემდეგიც...
ფეხები გვეფლობოდა ტალახში, ზოგჯერ ვიბანდით ოფლით, გაცვეთილ
ფეხსაცმელებს და ჩვენი შემტევი ნირი აცოფებდა თანადროულებს!
ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი, გვიყვარდა თავისუფლების ფენომენი, როგორც
ლამის რეალობადქცეული ილუზიის ნარჩენი და გვიყვარდა სიკვდილი,
ისევე როგორც ცხოვრება.
ჩვენ არ გვეშინოდა შინაარსიანი დაღუპვის და ლაჩრულად გავურბოდით

მარიონეტულ არსებობას!
რღვევიდან – რღვევამდე ვფხიზლობდით და ქუთუთოებს ვიკერებდით ლოყებზე, რომ არ ჩაგვძინებოდა.
რკინის მღვიმეებში და ცეცხლოვან სტალაქტიტებში გამოწრთობილებს, გვაოცებდა მხოლოდ ერთი, ის, რასაც სიმშვიდე ერქვა, რომელსაც არასოდეს ვიცნობდით ახლოს!
ინტეგრაციისა და გენერაციის მსხვერპლნი ვხდებოდით არაერთხელ...
სიმულაციის დაუძინებელი მტრის იმიჯით ვიკავებდით ისედაც დაკავებულ პოზიციებს,
ხელმეორედ, მეათედ, მეასედ, შუბლებით ვასკდებოდით ყველა უსამართლობას!
ჩვენ ვიყავით ნორჩი ლენინელები, ოქტომბრელები, პიონერები, კომკავშირლები და პარტიულები, და შემდეგ ამას სამარცხვინო წარსულად ვთვლიდით.
ნამუსახდილი დღევანდელობის ანაქრონიზმში, ვზელდით სიწმინდეებს, რომლებიც ოდნავ კიდევ შემოგვრჩა ჩვენს კასტრირებულ სულებში, მაგრამ მფეთქავ და მდუღარე გულებში, ამავე დროს!
ჩვენ მივტიროდით გარდაცვლილ მეგობრებს, ვუხმობდით გარდახვეწილ ახლობლებს და ჩვენს შვილებს ჰარდ–როკის და საბჭოური ჰიმნების ალილუიათი ვაძინებდით!
დგებოდა მემილიარდე დილა, მეტრილიარდე ღამე...
ჩვენ კვლავ ერთად ვიდექით ყველა პოზიციებზე, ბარიკადებზე, ხარაჩოებზე, ჩვენ, მე და შენ, შენ და ისევ მე, ხელიხელჩაკიდებულები, ვაცხადებდით ყოველთვის და ყველგან ჩვენს ნებას, როგორც სარწმუნოებას და საღვთო განაჩენს!
ფოლადის ჩექმებით, ნიჩბებით, ტექნიკით და საიდუმლო სამსახურებით გვებრძოდნენ, ჩვენ, მე და შენ და ჩვენ მაინც ყოველთვის გამარჯვებულნი ამოვდიოდით, გამარჯვებულნი და სუფთანი ამ მყრალი წუმპიდან, რასაც დაკარგული „სამშობლო ხიბლი“ ჰქვია.
ჩვენ ამ „ხიბლს“ დღითიდღე თავიდან ვეცნობოდით, მოხუცთა დარიგებებიდან, სკოლის მერხებიდან და ნაცადი ინსტიტუტებიდან და ეს თავს მოხვეული ჰეგემონიის მთავარ აზრად გვესახებოდა!
ჩვენ ყველაფერში გამოვლილები და ყველაფრის გამძლენი, სხეულდასერილები, მაგრამ გონებანათელნი დღეს, ისევ ერთად ვდგავართ ამოცანის წინაშე, ჩვენ, მე და შენ, ჩემო სისხლში მონათლულო სინდისო, ჩემო შავ–წითელა ბელადო და უდრტვინველო ისტორიავ;
ვიაროთ წინ და ავკაფოთ ხნული, როგორც მარადისი დინამიკის საწინდარი!...

ხელოვნური ხასიათი – წყალსაცავზე!

ეს თბილისის ზღვაა, ჭაობია ხორცის,
ლეშს იგრილებს – ჩონჩხთა დიდი ესკადრილია...
ეს თბილისის ტბაა, დაბოლილი, ნორჩი,
ტალღებივით სურნელი, ამორძალთა, გრილია!

ეს მეთევზე წყალში აღევლინა ლოცვად,
იქ ვიღაცის თავი, ვით ტივტივა – მოჩანს,
მწვანე ხვლიკი ქვაზე დასიცხული ცოცავს,
გოგო საცვალს იცვლის, ფაქიზად და მორცხვად!

გარუჯულა კაცი, ტრაურივით, შავად –
მას შიშველი ქალის ტატუ–დამღად აზის...
ჰორიზონტის ჭრილში მეზმანება ნავად –
ალისფერი ლაქა, ულმობელი, ამ მზის!

ყველას უნდა მძორი დაასველოს, რადგან
– ელემენტი ცეცხლის, უწყლოდაა სუსტი...
ამ ნაპირზე უცდის, თითოეულ მათგანს:
– ტანსაცმელი, ქოში და საათი ზუსტი!

დღეს თბილისი – მკვდარი ოცნებების პლაჟი,
ამ მხურვალე სხივებს პასეანსზე იწვევს...
მოზაიკა კენჭთა, პემზები და კაჟი,
ნიჟარები ჭრელი, რომ მოქცევას იტევს.

მაზოლებთან ერთად, მზესუმზირას, სიმინდს...
– დაატარებს ირგვლივ დედაბერი, კუზით,
ჭუჭყთან ერთად, ვინმე მოირეცხავს სინდისს,
ვინმეც, ბანქოს თამაშს დაასრულებს ტუზით!

ვერც კი აღვწერ, თუნდაც, ორიოდე წუთში –
თუ რამდენი მძორი ჩაეშვება ზღვაში?..
მენაყინე ბიჭი, პლომბირებით ყუთში
ააგროვებს ხურდებს, ნაბიჯების თვლაში.

არ გადადის სიცხე, მაგნიტური ფარდა
და რადიო მარცვლავს, ხრინწიანად, ჰანგებს...
– ეს მოხუცი ბიძა, ღრმად მიცურავს, მარდად,
კენტად მჯდომი ქალი მისცემია დარდებს...

ჟრიამულში ვარჩევ თოლიების სიცილს,
რომ ცინიზმით ციდან დაგვკივიან ასე –
წელიწადში ერთხელ, მოსასვლელად ვიცლი,
მომყავს ცოლი, ბავშვიც – სიხალისით სავსე!

სულაც არ ღირს კიდევ, გავგრძელო წერა,
იგივე, დამშრალი სიუჟეტების სახვა...
– თოლიებს ამარცხებს მოწივწივე ძერა,
თან მომბეზრდა ხალხთა სტომაქების ნახვა!

გუდა–ნაბადს ავკრეფ, უქეიფოდ, ზანტად,
გამიხვრიტა სკალპი, მადუღარა სხივმა –
დავბრუნდები ისევ, გაისადაც, ალბათ,
რომ სიღრმეში, შტორმით, გამაქანოს ტივმა!

შიდა–ხსნა

წამიდან–წამზე, ტერფების მსხვრევით
ვაბიჯებ მიზანს, გახედნილს ჩემგან...
ჩვილების ქვითინს, წოვით და რწევით,
მიცემულ სიტყვას, გატეხილს ერთგან.

წუთიდან–წუთზე, ქოშინით, მკერდით
მივარღვევ, შტორმში, წამომდგარ ღობეს...
გაგერთხმეს ყველა ყვავილი ფერხთით,
ყველა ამბორი ბაგიდან მოგწყდეს!

საათით–საათს ვაბრუნებ უკან,
კვირეებს, თვეებს გავწეწავ ქარში...
ავაწყობ რითმად, ამ აზრებს – უღრანს,
იმედთა წარღვნა მაციებს ტანში!

გავწირავ მრავლად – იუგებს, კალპებს,
ეონებს ცეცხლში შევუნთებ შეშად...
მსურს შენი ვნების უბიწო ატმებს –
შევაკვდე ისევ, უსუსტეს ლეშად!

წლებიდან–წლებში ვანაცვლებ ეგოს,
საუკუნეებს – მხედრული მარშით...
რომ ჩემი სიტყვა, ქვეყანას ეყოს,
რომ ჩემი სტროფი დამკვიდრდეს ტაშით!

თამარ ბოლქვაძე

ჰო, ეს ჩემი ხუთეულია, ამ ლექსებში ხმამაღლა ვფიქრობ თავის თანდასწრებით. მათში ყველაზე უკეთ ჩანს ჩემი სტილი და ხმა, რითაც განვსხვავდები სხვებისგან. და საერთოდ, ის პოეზია მიყვარს მკითხველს პოეტთან ერთად საკუთარ თავსაც რომ აღმოაჩენინებს. ამ ხუთეულში თითქოს ცოტა გავიზარდე. (თუმცა, ჯერ სრულყოფილებამდე შორსაა...) აქ მე ვამბობ ჩემსას, სხვისას, არავისას, ვიყურები შიგნიდან გარეთ და გარედან შიგნით. ამ დროს უხილავი მკითხველი ზის სადღაც, რომელიღაც კუთხეში და ექსტრასენსივით გადმომცემს საკუთარ აზრებს: - მაგრძნობინე, რომ ჩემთვის კი არა, ჩემზეც წერ და დაგიმახსოვრებ!

P.s წინასწარ არასოდეს ვემზადები ლექსის საწერად, არც ლექსიკონთა მრავალტომეული მიდევს წინ. მოდის მისი პირველქმნილება - სიტყვა და მეწყვილესაც თავად ირჩევს ფორმისა და შინაარსის მიხედვით. და როცა სიტყვები ამ მარათონს ამთავრებენ, მერე ვიწყებ მათ დავარცხნა- დასუფთავებას, რადგან, როგორც ანა ახმატოვა იტყოდა, - რომ იცოდეთ, ზოგჯერ როგორი ნაგვიდან იზრდებიან ლექსები...

ხვალ ბზობაა!

ხვალ ბზობაა
და დღეს ვიცი,
რა გრძნობა მაქვს,
გულისწყვეტის...
რომ ვერ ვტეხე
ცოდვის ციხე,
ვერ ვილოცე
ცოტა მეტი.
სინანული მიდგას მწარე,
რაც დრო გადის
ვნანობ უფრო.
ღმერთო, ისე რომ არ მწამდი,
როგორც ეკადრება უფალს!..
სიამეთა ნაყროვნებამ
დამიტოვა სული მარტო
და საცთურში ნამყოფ ვნებებს
ახლა, შენი ნებით ვამტვრევ!
ხვალ ბზობაა
და დღეს ვიცი
რა გრძნობა მაქვს,
მინდა მოთქმა
მუხლზე ჩოქვით.
მინდა მთელი ძალით

რომ ვთქვა:
გიხმობ ღმერთო,
ღმერთო, მოდი!
ვნანობ ყოველ წამს
და წუთებს,
ვნანობ სულის ასე შიმშილს.
ვწუხვარ, ვწუხვარ,
მართლა ვწუხვარ,
რომ ბოლომდე
გულს ვერ გიშლი...
ხვალ ბზობაა,
უკვე ვიცი,
რა გრძნობაა
ცრემლის წვეთში.
მაპატიე ღმერთო, ის დრო,
შენ რომ არ იყავი ჩემში...

უტრილოს ტილო...

მოჰგავს ოთახი რომელიღაც ტილოს უტრილოს,
მესამე დღეა მიკითხავს წვიმა სევდის სონეტებს.
ღამეს ჩემსავით თვალები აქვს ისევ უძილო,
ჰგვანან ფოთლები ალალბედზე აყრილ მონეტებს.
ჰგავს ეს ქალაქიც რომელიღაც ნახატს შეშლილის,
ქუჩებში აზრი გადაცმული დაიპარება.
ფიქრის საიტზე რახანია დგას დღე მეშვიდე,
და აღარ უნდა გადაფურცვლა კედლის კალენდარს...
სადღაც შორიდან ისმის ჯაზი, მგონი გერშვინის,
წვიმა კი უფრო ბლუზის რიტმში უკრავს რაფაზე.
და სანამ დილა ჩემს ოთახში ღამის ფერს შლიდა,
ლოგინს დააკვდა უძილობა, ჭერის ჯამბაზი...

ფიქრის მანსარდში

წიკწიკი საათის
წამიღებს არსაით.
დრომ მითხრა -
Банзай!
რა დომდე?
მადროვე ცხოვრება,
სულ მემახსოვრება,
დრო გაშვებული
Под откос...
დამატკბოს იქნება
უდროო ფიქრებმა
და იმის მიგნებამ -
Жизнь- пустьяк...
რა სწრაფი პულსი აქვს
ჩემს პოპულაციას.
ტანზე არ მაცვია
Грация.
დღე არის ცაცია,
ყოველ წუთს მარცხია,
სიკეთე არ სცხია -
Не фортит.
მთვარე ჰგავს ნეფერტიტს,
მიჰყვება ბებერ ტიპს,
შემთვრალს და
შებერტყილს-
Наугад.
არ ვფიქრობ აუგად,
როცა ვერ მიგებენ.
არ მიყვარს რიგებში
Голые лица.
წიკწიკი საათის
წამიყვანს არსაით
და ფიქრის მანსარდში
ვაჭედებ ფიცარს...

ჩემს ფოკუსში

ძილის წინ, როცა ჩემს ეკრანზე
მსხვილი ხედით ტივტივებ, უცებ მახსენდება,
რომ არასდროს ვწოლილვართ ერთად.
ჩემს გონებაში შენი ნელი სვლა
უფრო სხვა რამეა, ვიდრე
მდედრის ნესტოებში მოღიტინე მამრის სურნელი.
თუმც, სხვების თვალში
რახანია მოვიმსუყეთ ჩვენ ერთმანეთი...
ვინ დაგვიჯერებს, რომ ასე არა?
მე ხშირად ვფიქრობ, ღირს თუ არა
ნატიფ-გველური იერიში შენზე.
უბრალოდ, კარგად მეფიქრები
როცა გიყურებ როგორც ნეგატივს
და სულ არ მინდა შენი სულის ჭრილი ვიხილო.
რადგანაც ვიცი, ძალიან კარგი
იქ არის მხოლოდ, სადაც ჩვენ არ ვართ
და ის კაცია ყველაზე სანდო,
ჩვენ რომ არ ვიცნობთ...

მოდილიან!

პარიზის ქუჩები
შენსავით ურჩები
ჯერ ქუდს არ გიხდიან,
შენც ფეხზე გკიდია
და ბედს ეურჩები,
ბონჟურ, მოდილიან!
თოვს სევდა დილიდან...
იღბალი გახსენებს,
რომ უნდა გახელდე!
შენ სისხლში ახველებ
ფერების სისრულეს,
შენ სხვა გზა ისურვე...
ბრავო, მოდილიან!
უკვე ქედს გიხრიან
შეშლილნი მონმარტრის.
სავსე ხარ ცით სულაც
და ყველა იმ სურათს,
რომელსაც დახატავ
მტვერს დრო არ მოაყრის.
ბედ-იღბლის დილიჟანსს
გზადაგზა ეწევი
და თვალში ბეწვივით
გიზის ხელმოცარვა.
ფუნჯი შენს ცოლს ქარგავს
და ჟანა ტილოზე
წუხს უბედობაზე,
შენზე, უტრილოზე...
ბონჯურ, მოდილიან!
ღამეა დილიდან
და ნუ გაიკვირვებ
დაიჭერ წამს როცა.
სურს რომ დაგიმსგავსოს,
შენი შურს პიკასოს.
მას შენი სახელი
სიკვდილთან წამოსცდა...
შენ სხვა ბედს ელტვოდი
და სანამ ეტყოდი
პარიზის ხალხმრავალ
კაფეს და დარბაზებს,
სულ ბოლო ნაფაზმა
გიცვალა ანფასი...
და მხოლოდ მას შემდეგ
ათასგზის დაფასდა

გრძელი კისრები და
თვალები უძირო.
განცდებით უძღები
რა ტკივილს უძლებდი
მერეც და მანამდეც,
იცოდა, იცოდა, იცოდა
ჟანამ ეს...
ჟამიდან ჟამამდე
გაღებულ ფანჯარას
დღესაც კი არ სჯერა
დაღი მონპარნასის,
სიმწრის ტუჩნაჭდევი
ვიწრო ქვაფენილზე -
ძირს დანარცხებული
ოცნება ჟანასი...
პ.ს. მონპარნას ცამეტით
დასრულდა ფრაგმენტი.
შენი ტილოები
დღეს ფასს ვერ ითვლიან.
დრო ხურავს ჟალუზებს,
ჟამი წუხს ჟანაზე.
შენ დღესაც ფლანგავ მზეს,
ბრავო, მოდილიან!...

თამთა ირემაძე

სიყვარულის უღლება დროებში

* * *

შენ გადაწყვიტე
გაგეთიშა ყველა კაბელი,
რაც კი აბამდა ორ ნაცნობ სხეულს
შენსას და ჩემსას,
რადგანაც სივრცე ჩვენ შორისაც ისე გაბერეს,
რომ აღარ ღირდა გრძნობებში შესვლა.
შენ დაიღალე - საუკუნის ახალი ტალღით
ქსელურ ველებში ტექნიკა რომ გულთან დახლართა,
მობილურიდან მობილურზე გრძნობების გზავნით
დახურდავებით დოლარის ლართან.
მე გადავწყვიტე მეგობრებად ან ნაცნობებად
ან ფენ ფრენდებად ვქცეულიყავით,
რადგან სულ მთლიან ჩამოშორებას
რადგან სულ მთლიან განმუხტვას და გაფართოებას
ჩვენი სულის კალაპოტები
ვერ დაიტევდა - და ჟღრიალით
(სეკუნდებად ან დიეზიან ტერციებად) დავიღვრებოდით.
მე შენ მოგწერდი გრძელ-გრძელ წერილებს,
ისე როგორც და ფენ ფრენდები ადრე, ჰო, უწინ,
ხელს იწაფავდნენ,
რომ ერთურთის ენა ესწავლათ,
მაშინ როდესაც იყო წლები წითელ ოქტომბრის,
მაშინ როდესაც ფიქრის ლაშქრებს ფართოდ ახშობდნენ
(ჩაქუჩ-ნამგლებით)
და განახებდი თუ აიტანდი
გასული დროის ამ ძველ კანონებს.

* * *

მე ვიქნებოდი თმახუჭუჭა შავი ბიჭუნა
ალბათ კუბელი, დაგრეხილი მოკლე ფეხებით
და გაგაბამდი სიყვარულის ბუნებრივ ქსელში,
როგორც ობობა,
შეგიყვარებდი (ჩემივე მსხვერპლს)
ორ მაღალ კანჭზე აწოწილ და ჭკვიან გოგონას.
მე შევიცვლიდი თვალთა ხედვას ზღვისპირეთიდან
და ჩაგაცმევდი გამოკრული ჯინსის მაგიერ
ყავისფერ კაბას, თეთრი წინსაფრით
კომკავშირელის პატარა ბროშით ზედ გულის პირას,
რომ შეგეძინა ჩემი იერი -
უსულობა და გონებრივად წინ და წინ იარ!
შენც დაიწყებდი
წერილების სულ სხვაგვარად წერას და კითხვას,
მე თან გიცნობდი ხელწერაზე, თან ვერც გიცნობდი,
ყველა თეთრ კონვერტს მივაკრავდი მისამართს ჩემსას
და პირდაპირვე
მიგანიშნებდი:
როგორ და რატომ
მარცხნივ თუ მარჯვნივ უნდა გეარა
რომ მსტუმრებოდი პატარა კუბელს,
რომელიც გწერდა რომ შენი ენა ნელა ესწავლა,
რომელსაც სურდა რომ თავიდან შეყვარებოდი:
\"ჩემი ქვეყანაც ისეთივე წითელფერია,
როგორიც შენი.
ჩემი ზღვის პირას მაზუთი და ჟანგიანი ნავები წვანან,
ზუსტად ისევე, როგორც შენს ზღვაზე.
ჩვენი მამები ჟანგბადისთვის აქ რგავენ ნაძვებს,
რომ ჩვენ, შვილებმა შევისუნთქოთ ფიტონციდები,
კუბელი ერი ისეთივე ჯანსაღი არის, როგორიც შენი,
რომ აქ ზამთარშიც არვინ ვცივდებით.
აქ ჩემს წყალშიაც ლიფსიტა და შავი ზვიგენი
ისე ცხოვრობენ, ვით მეგობრები
არავინ არვის
არაფერს ართმევს
აქ ყველა მღერის ანდა ღიღინებს
და ღვინოს სვამენ წითელს თუ ქარვის
სადილობაზე -
თავჯდომარე და მუშა ქარხნის.
აქ ჩვენც არ გვიჭირს სულიერად
და სიყვარული ნელა გვერდს გვივლის,
ყველა ერთად ვართ ჯგუფად და გუნდად

და არა ერთ-ად, ცალ-ად და სულ-ად.
საბჭოურ მიწას
ჩვენც ისე ვიცავთ, როგორც თქვენ მანდ (მარად და მარად)\"
...და
მე და შენ ისევ
შენ და მე ისევ
საერთო ენას ვიპოვნით, ალბათ.
შენ ეზოს ბოლოს, ჭიშკრის წვრილი ბნელი ღრიჭოდან
დაუცდი ფოსტას...
მე კი მგონია, რომ მანდ ვიქნები
სანამდე ფოსტა შენამდე მოვა,
და დრო აგიხსნის
რომ ჩვენ ვერ გავხლეჩთ ჩვენი სხეულის დამუხტულ ველებს
და ვერ ავხლართავთ ჩვენივე გრძნობებს
ამ საუკუნის თუ წინა წლების კონსტიტუციით,
რადგან ორივე მოვირღვევით ენერგიული
ცვლითა და ვარდნით
მიმოვიპნევით, როგორც ხურდები,
(ფულის ცალსახა, უგერგილო ერთეულები)
და პოლიტიკა, ან ქვეყანა ან საუკუნე
ვერც შენ და ვერც მე ვერ გვასწავლის ანგარიშს-რიცხვას
და ჩვენ სიყვარულს თამაშის და განსჯის გარეშე
ჩვენი სულების რიტმით დავიცავთ...

ბებოს

მესმის თვითფრინავი ბურღავს ზეცას,
სადღაც შოშია გალობს,
ვსხედვართ ეზოში მე და ბებია
და არსად ვჩქარობთ.

ბებია ისევ მიყვება ამბად
სიზმარს წუხელ რომ ნახა
ვითომ მე და პაპა ბაზარში ვიყავით
და ტანს მარგებდაო კაბას,
ვითომ ვიყავიო ისევ ახალგაზრდა
ვითომ თან მყავდით და თან არ
ვითომ დედაშენიც გვერდით მომდევდაო,
მექაჩებოდაო სადღაც,
ვითომ მკერავმა კაბა შემიქოო
თვალით გაწონაო ჩითი
მერე არ მახსოვს რა მოხდაო,
ბებია უკლებს ჩიფჩიფს.

მე კი გავიზარდე
ამბები არ მაქვს,
კალთა რომ აგივსო,ბებო...
მე როგორც სტუმარი
ბებო მასპინძელი
ირიბად გავყურებთ ეზოს.

თვითფრინავი კი ბურღავს ზეცას
შოშია თვალებს ნაბავს,
მე და ბებია კაკლის ჩეროში
ვამტვრევთ შუადღის ამბავს.

ჩაის ჭიქა აბლაბუდებში

შენი ჩაის ჭიქა მაგიდას მიეკრა
აბლა-ბუდებით
იცის,წასულხარ კაი ხანია
და არც დაბრუნდები.
შენი დადებული თეთრი სურათი
მზემ გაახუნა ფანჯრის რაფაზე,
მე ხელს არ ვახლებ
დაე, გახუნდეს...
დე, იყოს ისე ყველა საგანი
როგორც შენ დადე
და დამიტოვე...

დრო შორს გასულა
უშენობაც ისე გახშირდა
შენს ჩაის ჭიქას მინდა შევეხო
დარდი დავისხა,
მერე შევსვრიპო ზუსტად იმ მხრიდან
შენ რომ იცოდი...
მაგრამ ვაი, რომ არ მემეტება
ეს ოხერი აბლაბუდები
ჩამოსარღვევად,
რამდენი თვეა უშენობის ფიქრებს აქსოვდნენ
შენს ჩაის ჭიქას თავგამოდებით...

სასწორი

როგორც სასწორი ბაზრის დახლიდან
პინზე ძველი და მძიმე გირებით,
სიზმრებისაგან ვიბან სახეს ყოველ ცისმარე
და მქანცველ დღეებს ზლაზვნით ვეგლისები.

ერთ მკლავზე ცალყბად
ვილაგებ დღეებს ცინცხალ-ცინცხალებს,
მისხალ-მისხლებით ნათვალს კაპიკად...
მეორე მხარეს გუშინდელ ამბებს
გახსენებად რომ ალბათ არც ღირდა,
მაგრამ რადგანაც
ჩალექილან გულში შრეებად
და მათი ჩხვლეტა მეჩხირება
როგორც ეკალი
(ვერ გავექცევი, რა ვქნა ჩემს წარსულს
და
ვე ფე რე ბი).
...
ერთ კილო 'გუშინს' ვდებ აქეთ მხარეს
თამაშ -თამაშით
და გზას ვუყენებ
დღევანდელ დღეს (მეორე მხარეს)
წარსულ ამბებთან
მიმართებაში...

და ზუსტად ისე, როგორც სასწორი
ნაწონასწორი
კარგი ყასბის თუ
უკბილო ვაჭრის
ისე ვიჭერ თავს
თითქოს არ მიჭირს
ამსიმძიმე და მილიონობით გათვლილი წამის
წონასწორობა
გათენებიდან დაღამებამდე...

თათათო

სიცივის ალერგია

სიცივის ალერგია მაქვს...
ექიმმა რაღაც აბები გამომიწერა...
ფსიქოლოგმა ეგოისტი ხარო და რამდენიმე ვიზიტი დამჭირდა ამ პრობლემის გადასაჭრელად...
დედამ ჩემს ჩაცმულობაში კორექტივები შეიტანა: ერთი დამატებითი სვიტერი, ყურებიანი ქუდი და ხელთათმანი
ნეტავ უშველის?...
არ უშველა...

* * *

მარტო მივაბიჯებდი უადამიანო ქუჩაში...
თოვდა უ(თავ)ბოლოდ...
თავქარიანი ყინვაც მიწვავდა სახეს...ვებრძოდი ღიმილით, ტირილით...
მჯობნიდა მაინც...არ ულბობდა გულს უსუსურობაც ჩემი...

* * *

ჩავუარე...
კიბეზე იჯდა ფეხმორთხმული...ტანმოხრილი და თავჩაქინდრული...
ქუდი ეგდო წინ...ხელზე მიყინვოდა სიმებიანი ინსტრუმენტი...
არ მოისვენა სინდისმა...ცნობისმოყვარეობამ...
და დავბრუნდი...
ჯიბეში ნაპოვნი რკინის ნივთები ჩავუცურე ქუდში მოხრილმა...
მხარს შევეხე ოდნავ...
ამომხედა მხოლოდ...

* * *

დედამ ხედავ თბილად რომ ჩაიცვიო...

თქვენი ჯერია

მაშინ როცა ღამე მოიპარავს მთვარეს და ცა გაწვიმებას გადიფიქრებს...
როცა ახმიანდება ემოცია...
როცა კედლებს შეშურდებათ ჩემი... საათის ისრები ატირდებიან და თებერვლის ბოლო დღეს ამოწურავს მარტი...
როცა იყვირებს სიჩუმე და რითმა იმართლებს თავს...
როცა დარდს დაღლის რისხვა და ყელში დაგროვდება ზღვა...
როცა ღიმილს დაიმორჩილებს სიცივე, ფიქრის განტოლებას ვეღარ ამოხსნი...
ეიფორია იკივლებს შიგნიდან, ხმა კი დაიწყებს ჩურჩულს...
როცა გათოვდება სიზმრები...
ჰორიზონტზე გამოჩნდება დილა, მელოდია დაიღვრება უკანასკნელ ნოტად...იმედის მოსასხამსაც დაარღვევს სიბნელის ტკივილი...
დამიძახებს ცისკარი...
როცა საფერფლეში ბოლო ნამწვს ჩააგდებ და კალამი ბოლო ბგერას დააწერილებს...
ჩემთან მოვა სიკვდილი და ჩაიბურტყუნებს მოგუდული ხმით: "დღეს თქვენი ჯერია"

გსაჭიროებთ!!!

განცვიფრებით ამოიკითხა ართქმული სიტყვები…გადამალული ბოლო უჯრაში…სტრიქონები გაფრინდნენ გაუსაძლისში…გამოიგონეს ოცნებები…დახატეს რითმები…შეიკრნენ…გაუძლეს შეგრძნებებს… აციმციმდნენ ფერებად..მო-ფერებად…

ვსაჭიროებ თქვენს სიმშვიდეს…სუნს..ჟანგბადს…პეშვებს ცარიელს…თქვენს მშრალ ხმას…ფანჯრებს ცინიკურს…ამბავს არასენტიმენტალურს…ჩვეულებრ br />?ვს…არა ჩვეულებრივს..ფიქრებს პრაქტიკულს…ნაბიჯებს გაწელილს..ფანქარს შავს რომ გადაგიტანოთ ტილოზე…ღიმილს უცაბედს…მზერას გამადიდებლიდან…

მე თქვენ გსაჭიროებთ…
გსაჭიროებთ…
გსაჭიროებთ..
გსაჭიროებთ…

ნატ..

ისეთი დიდი ხარ..
ცამდე აწვდენილ მზერაშიც ვერ გტევ..
და სულ უფრო მეტ გამოხედვას მპარავს ცა..
ჩემს და შენს შორის რამოდემინე საათი გაწოლილა..
ჩაგისუნთქე..
და დაგაგუბე..
ფილტვების გასკდომამდე..
სიტყვებ შეკვეცილ წინადადებებში გიპოვნი და
ვერ გიმეტებ სტრიქონებისთვის..
სიზმრის უკაცრიელ ქუჩებში დავბორიალობთ
უცნობი სიმშვიდის საპოვნელად..
უხმაურო ნაბიჯებით ვეხებით გაორებულ დედამიწას და
მანძილი ჩვენს შორის უფრო მცირდება..
ისევ ავიღებ ხელში კალამს..
წვალობს თითები,
მელნის ლურჯ სითხეში ბანაობს..
ბოლოს ?
ბოლოს მხოლოდ ამის დაწერას მოვახერხებ..
ნატ..

* * *

ზღვარგადასული სითამამე მოეკიდა სულს...
დავუძლურდი ტყუილ ჭიდილში ბედდთან...
შავ-თერი ვერასდროს გახდება ჭრელი...
ფიქრთა მწკრივს ჩაფიქრებული სერჟანტივით, მოგუდული ნაბიჯებით უხმოდ ჩამოვუარე...
არარსებული თვალებით ვეძებდი, წარსულში ჩარჩენილ ერთ-ერთ გამოგონებას...
უმისამართო სივრცეებში ბოდიალს მოვყევი, არამიწიერი განცდების საძებნელად...
გადაღლილი ღიმილით ვიმოგზაურე ქვეცნობიერში...
გულისცემას ავაყოლე სუნთქვა...
გადმოვაპირქვავე უპეები...
სახეს გაოცებულის გამოხედვა მივაწებე და თვალით გავზომე...
ლოგინიდან ფანჯრამდე დაახლოებით სამი საშუალო ზომის ნაბიჯია...

……..

არ გამომირჩევია...
უბრალოდ რომელიც შემხვდა დავდე...

ირინკა

დღეს უშენობის...

დღეს უშენობის სახლში მიწევს
მე არსებობა,
თითქოს ლოდინიც გათანგულა
ცრუ მოლოდინით,
ვცდილობ განვაგრძო უშენობით
ჩემი ცხოვრება,
თავდაკარგული გადაჩვევას
ავედევნები...

დღეს უშენობის მერამდენე
წუთებს დავითვლი,
დრო და წამები მატარებენ
ხელის გულებზე,
შენთვის ვინ იცის, იქნებ სწრაფად
მიქრის დღეები,
ჩემთვის კი...ვითვლი, უშენობის
საუკუნეებს...

დღეს უშენობის ოცნებებში
მიწევს გაფრენა,
ახლა ფიქრებმაც უმიზეზოდ
იწყეს ჩაფერფვლა,
სიკვდილის ჩრდილი აედევნად
სიცოცხლეს ლანდად,
იქნებ კონტურებს მიღმა ვცადო
შენი დაკარგვა...

დღეს უშენობის ვეგეებები
მერამდენე სხივს,
თითქოს მძულს კიდეც გაყინული
გარიჟრაჟები,
ღამის ქარიშხალს გავუწოდებ
თითებს გაცრეცილს,
სხეულს დავტოვებ, ასე უხმოდ
გავედევნები...

დღეს უშენობის მერამდენე
სტრიქონებს დავწერ,
თუმცა სიტყვები ფერს კარგავენ
გრძნობების ფონზე,
ისე მიყვარხარ აი ახლა...
გაგიჟებამდე...
მონატრებას კი...ხიდად გავდებ
გადაჩვევამდე...

დარჩები ჩემთან?...

სიშორე რომელიც ორივეს გვიჭერს მარწუხებს
შენ მანდ, მე აქ...
თითებით ვეხები ჩამომდგარ სიჩუმეს ჩვენს შორის
და უშენობა მთელი ძალით კაფავს ფიქრებს,
მტოვებს ხეიბარს...
მძულს ამოსუნთქვა, რადგან
თითო ჩასუნთქვა მაახლოვებს შენთან და
თუნდაც წამებით რჩები ჩემში...
საათის ისრები გამუდმებით გარბიან
გონების საწინააღმდეგოდ,
ამსხვერევენ ჩემში ნაშენებ შუშის ოცნებებს და
დაუდევრად ვარგებ ახალ გასაღებს იმედებს...
დამფრთხალი სიცარიელე შეშინებული მზერით
აცეცებს თვალებს,
გეძებს შენით არარსებულ სივრცეებში და
ცდილობს შეხებას,
შენს მითვისებას ან შენით შევსებას...
ახლაც ბარბაცით მომადგება შერყეული მუზა,
ნამთვრალევს დარჩენილი ლუდის ჩამოსხმას მთხოვს,
მე კი დაუდევრად ავუქნევ ხელს და
გავუშვებ სხვასთან...
წასვლამდე კართან ჩამოვაფლეთ პატარა ნაწილს,
დავწერ შენზე...
დავანგრევ ყველა კედელს და სიტყვებად მოვალ შენთან,

მერე კი...
სულ ერთი ამოსუნთქვაც და გკითხავ,
დარჩები ჩემთან?...

გახსოვსა?

ფეჩას შაუნთე არ გაცივდეს კერიაიო,
საღამოს ხინკალ შამოდგოდე ქობაით ცეცხლსა,
ემა ბანაზე დავსხდოდეთ და ვიმუსაიფოთ,
ჟიპიტაურიც მაუხდების, მაუდგი გვერდსა.

მემრე დავტკბოდეთ, დანისლული ქარაფის ცქერით,
არაგვის ხმაურს ავაყოლოთ ფანდურზე მღერა,
ღამით ნიავიც ჩამაულის ახალ ნათიბებს,
სუნთქვად მაიტანს ჩვენებური ბალახის ფერსა.

ზოგიც მთისა ვთქოთ, ზოგიც ბარის, ზოგიც ისრე რამ,
ხანდისხან ყურსაც მივუგდებდეთ არწივის ფრთებსა,
გავეხვეოდეთ შავ ნაბადში, დილის ლოდინში ,
თეოზე ძაღლის შაყეფვა კი დაგვიფრთხობს მტერსა.

გახსოვსა? ღამე, ვარსკვლავები, ჩვენი უბნობა,
ახლივ რა ტკბილად მაგონდების, არ დამვიწყნია,
მიყორხარ მეთქი, რომ გითხარი, ჩემო სულყველავ,
შენ, ბუსარჭილი, არაგვი და ბნელი ღამეა...

გიმკურნალებდი. . .

გიმკურნალებდი. . .
მაგრამ რა ვქნა, ექიმი არ ვარ,
არც მკურნალი ვარ და არც ძველი აფთიაქარი,
ექიმბაშობაც არ მარგუნა მაღალმა ღმერთმა,
მხოლოდ ქაღალდი გაცრეცილი, ავტოკალამი. . .
გიმკურნალებდი. . .
მე რომ ნიჭი მქონდეს სიზმრების,
ფერად სამყაროს მოვპარავდი ცრემლს უკვდავების,
მერე შენამდე მოვიტანდი სათუთად , ნაზად,
და შენს სიცოცხლეს შევღებავდი ლამაზ ფერებით.
გიმკურნალებდი. . .
რომ შემეძლოს მეც თავგანწირვა,
როგორც შექსპირის გმირმა შეძლო სიყვარულისთვის,
გადავლახავდი სიყმაწვილეს, უმანკოებას,
და შენს სუნთქვაში ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებდი.
გიმკურნალებდი. . .
რომ შემეძლოს განაწილება
შენთვის იმ გრძნობის, ემოციის, რაც ჩემში ცოცხლოსბს,
მაშინ იგრძნობდი უკვდავების მჩქეფარე წვეთებს
და დამიჯერე არასოდეს არ მოკვდებოდი. . .
გიმკურნალებდი. . .
მე რომ ვიყო ალბათ ქალღმერთი,
მუზად ვიფრენდი ოცნებებში და შენს ფიქრებში,
ჩემი თითების მოტრფიალე შეიქმნებოდი,
არამიწიერს ალბათ უფრო შემიყვარებდი...
გიმკურნალებდი. . .
მაგრამ რა ვქნა მკურნალი არ ვარ,
ერთი უბრალო მოკვდავი ვარ ავტოკალამით
და თუკი შევძლებ გეფიცები არ დავინანებ,
რომ გიმკურნალო ჩემი გრძნობით, ჩემი ლექსებით. . .

გეომეტრია

შენში დავეძებ რაღაც პოეტურს,
რაღაც რთულსა და არამიწიერს,
ვეპოტინები პოეტის კალამს,
და ფურცელს მიღმე შენს სუნთქვას ვხატავ.
ჩემში ვერ ნაპოვნს შენში ვაცოცხლებ,
მერე ფურცლებზე ხოტბასაც ვასხამ,
ხანდახან უჭირს გულს დაუჯეროს,
არარეალურს და შეთხზულ ზღაპარს.
მელნით ნადღაბნი ლურჯი სამყარო,
სივრცეს მოწყვეტილ სამკუთხედსა გავს,
სამში ზედმეტი მხოლოდ ერთია,
მე კი აღარ მსურს მესამე მერქვას.
ორი წერტილი: თავში. . .ბოლოში. . .
დასაწყისიდან, დასასრულამდე,
გეომეტრიას ვემეგობრები...
ცხოვრებაც მონაკვეთებად ვხაზე...
ლექსში შემოჭრილს რითმებს გაგიბნევ,
რიტმებს კარვების კედლებად დავდგამ,
არითმეტიკულ ჩვენს სამყაროში,
წერტილს წერტილზე, ფიქრს გარე დავსვამთ.
მასზე გავლებულ წრფელ ხაზებს გავდევთ,
მარტკუთხ-ოთხკუთხა ლენტებში ვდგავართ,
წრეზე მბრუნავი რუხ ფარგალივით,
ცენტრის გარშემო ვბრუნავთ და ვხაზავთ.
სამყარო შეშლილ გეომეტრიას...
ჩვენ კი მონაკვეთ ფიგურებს ვგავართ,
მასში დაგეძებ, თითქოს პოეტურს,
სამკუთხედს ვშლი და ათვლის წერტილს ვსვამ...

მარიკა ჟორჟოლიანი

მტვერი

გამიწყდა ლენტი და თმაგაწეწილი დავდივარ
დარაბებდახურულ სახლში,
სადაც ხვნეშის მტვერი –
და მინდა გადარევა, ტელეფონზე გადარეკვა,
შენთან დაღამება, დარაბების დახურვამდე – დაღამება.
გახურება მზით, გაწეწილ თმით,
გაწელილ თითებით, ფრჩხილებით,
დაკაწვრა სახის და გათელვა მირაჟის მინების.
მინელებული კადრები ერთმანეთს დაეწყობა
გა... იქ...ცა გოგონა
იქ ცის კიდეზე, გვერდზე კუთხეში დაიმალა
გამურული სილა და
მიწა კი ისევ დახეთქილი ხელისგულებიდან
სუნთქვას ლამობდა –
ლამაზად.
საშლელი კი საშინელებას შლიდა –
აი ასე ...

გაცრილი

(შვილს)

თვალები–საცერი, რომელშიც გავცერი
მე მთელი ალერსი,
მთლიანი მუცელი, გლობუსის სხეული
და დედამიწა გადაწეული –
და შიგ ღარი, ჩაღვრილი თვალების
სითხით დაქცეული.
სითბო დაფერილი, გულხელდაკრეფილი,
ღამე მთვარეული.
გამოგზავნეთ მირაჟები, ვიჭყლიტები,
- ვიტანჯები...
ვიჭყიტებით ტანის იქეთ
და სხეულში ვიზმორებით.
მზარეული ხორცს გვიმზადებს,
ზეზეული ზმანებიდან.
წამწამები ეწებება ტუშს და ტუჩებს
– წინა მხრიდან.
გაირინდა უხერხული, აწეწილი
თმების წყება,
ახლადგამომცხვარს მაგონებს, მე,
სხეულის მონატრება.
სიტყვით სითბოს მოტანილი თვალები,
გაცრილი ტანით,
ატანილი ზემოთ მკლავით.
წამით.
ვიყურებით საცერიდან –
– ამით.

* * *

(თეოს)

ჩ–ი–ტ–ი, თ–ი–თ–ი, ს–ა–ა–თ–ი,
ტაკ–ტაკი, ტიკ–ტიკი, ხითხითი, ხმაური,
დაძაბეთ ნერვები, გახსენით რვეული
– ჩვიდმეტხაზიანი. . .
დახატეთ ჟირაფი –
ჟრიამულს უხდება მიწაში დამალვა
და ისევ დაიწყებს პატარა თითები
სიტყვებს გადათვლას.
საშურველი პატარაობა თმაგაწეწილი ოინბაზის,
ჯამბაზის სტვენა და დაღლილი ლოგინის თვლემა,
თეთრი ფისოს დანახვა და აღარ...
და აღებული თეფში, ზედ პურის ნაფჩხვენებით,
გამოჩხრეკილი და გამოჩეკილი წიწილას დაბადება
და გადაგდება რელსებიდან წამოსული თოვლის...
თვალს ახელს ხმაური,
ხურდება ფესვები,
ხეს აწვდა პატარა –
ხელებით ხმელებით.
ჩ–ი–ტ–ი, ს–ა–ა–თ–ი,
მინდა გადავყარო წამოსული მიწა,
მოსული მერამდენედ უხმაუროდ მიწვა,
მოწამლა წმინდა დაწოლილი ფერები,
ფესვები. ეფერები სიტყვებს უხმაუროდ,
მარცვალს მიწაში აგდებ,
წამოსული ხორბლისგან კი ისევ დამარცვლას
იწყებ: თი–თი, ჩი–ტი, სა–ა–თი,
ათამდე დათვალე, თვალთვალით დაიღალე,
დაღებული პირი და თვალები დახარე,
შეგრცხვა და გაჩუმდი – და მერე დაწექი –
გეძინებოდა რადგან.
შენს თვალებში ხვალის მოლოდინი ჩანდა.
მერე წიგნების გადათვლა დაიწყება . . .
გაფრენა დამთავრდა –
ჩ–ი–ტ–ი.

ნაყოფი

გადაწოლილა ცა მზის კიდეზე
და გაშხლართულა ქარი,
ტიტინებს ქალი,
უფერებელ ფიქრიდან წამით.
წამწამს ხრის, წამი.
ჩამოდის ნამი.
გაურკვეველი სიტყვებით ბაღებს
და ბაგეს აღებს.
იკერავს კაბებს და ტანზე იცმევს,
დაგჭმუჭნის მყისვე,
გადაწოლილი გიყვება სიზმრებს,
ხელებს შლის ხათრით
და გხუთავს სანთლით,
სუნს აფრქვევს ლანდით,
ლოდინით დაგღლის.
ლოდივით მოგწყვეტს, მერე, ცის კიდეს,
სიყვარულს იტევს და კოცნას იტევს...
გვერდზე მდგარ მთვარის – ჩამოხევს კიდეს,
და კიდევ გეტყვის... მოგცემს ნაყოფებს,
გამოქცეული ამ ცას, ამყოფე.
და გაყოფ ხელებს ნაყოფებს შორის,
საშოთა შორის – შობს ჭინთვა ყვირილს
და ქარი ყივის.
ისმის ხმა ცივი, იქვე მდგარ მთვარის,
უსაზღვრო ქალის, თესლებთა შორის.
და თითებს შორის წაბილწა ქუჩამ – ნაყოფი.
უჩანს ურჩი ხელები,
ხმება ხეები, ასხამს წვიმები, ცისარტყელები –
ბედნიერებით განბანილ ფეხებს
აასხამს ღერებს, ყვავილის ღერებს...

ხილი

ეს შენ ხარ. ეს შენი სმენადაქვეითებული ძახილია,
ძახილი ხისა – სამოთხისა.
ეს შენ ხარ. ეს შენი ტანია, ტორსია შენი,
შენი, შენი...
შეშინებული შრიალებენ ხმები ჩემი და
ხმებიან უსინათლო ღამეები შენი სიყრუით.
ეს მე გეძახი, უხმო ოთახში უხმობს სირცხვილი
მოზღვავებულ ენერგიას და შენს ენას –
შენს საოცრად ლამაზ ენას –
რომლითაც დამწერდნენ და
დააყრუებდნენ სმენას, პეპლების ფრენას,
და ჩამოხევდნენ ცისარტყელას.
ნაკუწების წუმპეში ყელამდე ვარ.
ეს შენ ხარ. შენი გული ფეთქავს
და მახსენდება გახსნილი, ალმოდებული დღე
დაუხურავი შუადღიდან –
ჩამოსული კიბეებით, დაოთხილი ბებრები,
ჩვენი მომავალი – მომავალი...
დღეს კი შენი ფიქრის ფრენა
ფიქრობს ღამის გადაფრენას...
მე კარებს ვაღებ და
მთავრდება ბედისწერა –
ეს დაუწერელი კანონია,
ეს შენ ხარ.
და მე ვარ – წასული წარსული, ფიქრებში წასული –
– ფიქრებში ხილზე...

ქეთო ნინიძე

ყოველდღიური ლოცვები

უფალო,
მომეცი ძალა,
რომ მეყოს საკუთარი თავი,
დავანაწილო და
ლუკმებად გამოვიზოგო
სიკვდილამდე.

მომეცი სიხარული,
რომელსაც თმებში ჩავიწნი
და მისი სურნელით
კაბის კალთებზე ავიყოლებ
მოფუსფუსე ქუჩას.
მომეცი თვალები,
რომლებიც არ მეტკინება
და ხელები,
რომლებიც არ გამიუხეშდება
და ენა,
რომლის ძალითაც
ჭკუის კოლოფში შემოფრენილ
სამკუთხედებს, რომბებს და
პარალელოგრამებს
გადავადნობ ჩემი ახლობლების
თვალის უპეების,
ტუჩის კუთხეების და
ყურის ნიჟარები ყალიბში.

მომეცი ძალა, რომ
მიყვარდეს მთელი არსებით
და თვალებიდან სხვადასხვა ფერის
თავსაფრების მსდგავსად ამოვაძვრინო
ყელში დაგუბებული ხმები და
შეძახილები.

მომეცი მოთმინება,
რომ გავუძლო
მთებიდან ვარდნას,
ლოდებზე შესკდომას
და ათას გზაზე გატოტვას,
რაკი ვერ მივედინები
მდელოზე გაშვებული წყაროსავით
უშფოთველად.

მაჩუქე ხალხი,
რომლებსაც დავაბინავებ,
გამოვაზამთრებ.
და ნუ მეტკინება სული,
თუ ისინი წასვლის წინ
აურდაურევენ ჩემს ოთახებს.
მინდა, რომ ვიყო სუფთა და
ლამაზი მათთვის.
და ნუ ვიქნები დაცარიელებული
სახლივით
თვალებამოღამებული და
პირდაფჩენილი.

მომეცი იმედი, რომელსაც
საშოვარზე გასული
დატვირთული ხელჩანთებით ამოვზიდავ
ჩემი სახლის
კიბეებზე და
ოჯახის წევრებს გავუნაწილებ.
ან თავად მოვუმზადებ
საშოვარზე გასულ ოჯახის წევრებს
და კარის ზღურბლზე
გავურბენინებ.

მასწავლე, ღმერთო,
რა ვითხოვო შენგან
და ჩამახედე
ჩემი სულის
ექოებით ამოლესილ
უძირო ჭაში.

Live - ჩართვა

გოგონამ
პირში წყალი ჩაიგუბა.
უსარგებლო თვალები
აიღო და შორს მოისროლა.
და მუხლებს ჩამოაყრდნო
მობრეცილი სახე.

ეკლესიაში მორწმუნეები
ცრემლების მოდენას ცდილობდნენ
ხატების წინაშე
(და ცუდ ამბებს იხსენებდნენ
ატირების მიზნით).

მთავარ მოედანზე
მოიტანეს გიგანტური თევზი
რომლის ჭამის უფლება
რეგისტრაციაგავლილ მრევლს
შეეძლო.

პატარა ბავშვები
მუშკეტერობანას თამაშობდნენ
გიგანტური თევზის ფხებით.

ქვაფენილზე მოდიოდა
ბიჭი - ყვითელი კედებით:
ხელებზე, მხრებზე, წელზე,
ფეხებზე, ყელზე -
გამობმული ჰყვანდა
დიდი და პატარა ძაღლები
და ასეირნებდა.
ისინი კი იფანტებოდნენ
სხვადასხვა ჩიხებსა და ქუჩებზე,
აცმაცუნებდნენ ფერად ბაფთებს,
სველ ცხვირებს
და სხვადასხვა ხმაზე წკავწკავებდნენ
(ზოგი სასაცილოდ მღეროდა კიდეც).

მე და ირაკლი ვიდექით და
ვიმახსოვრებდით გამვლელების სახეებს.

2007 წ.

VACUUM

სიუკიუში მიწისძვრაა.
ბეირუთს ბომბავენ.
რამონი მაგდალენას ხვდება
ამ საღამოს და იქ
შედგება პირველი კოცნა.
სამიტი შედგება პრაღაში
(მანდ ევროპის გულია).
ლიონში ინცესტების რაოდენობამ
იმატა საგრძნობლად
(გარყვნილები!)
მოსკოვის დროით
8:00 საათია.
ბუდაპეშტში კარგი უნივერსიტეტია.
ქრთამს არ გთხოვენ.
იქ იდეალური განათლების სისტემაა.

ლოთი ხელოვანები
ჩაჩებს ჩამოიცვამენ.
ექაჩებიან მძიმე საწოვარებს.
გაჩერებაზე დაქალები
ერთმანეთს აჩვენებენ
სახეზე გამოსულ მუწუკებს:
-აი, ჩემი მუწუკი!
-აი, ჩემი მუწუკი!
-აი, შენი მუწუკი!
-აი, ჩემი მუწუკი!

მანდილოსანს ძალიან აწუხებს
ფეხსაცმელებზე მიმხმარი ლაფი -
მოსვენებას უკარგავს.
ბუზები გულშეღონებით დასტრიალებენ
გასუფთავებულ ნაგვის ბუნკერებს.
მენაგვეები პენსიაზე გადიან.
ჩვენთან ნაგავი არაა!
კითხვები საპნისბუშტებია.
კითხვები ტრიალებს ჰაერში,
შეხებით და ჰაერნაკადებით
გავაქრობთ.
გმირი ბოთლებში ჩაანერწყვავს -
იქიდან იკლავს წყურვილს.

ხშირია კულმინაციები,
ცრემლებს ვიდენთ.

რიტმი ძალას იკრებს -
გუმბათებზე უწყვეტად და
ინტენსიურად უკრავენ.

ყველანი ასე ვართ:
ხმამაღლა ვლაპარაკობთ,
ჩვენს სიტყვებს ვუშვებთ ჰაერში,
ჩვენი ხმის ტემბრს ვისმენთ
ტელევიზორიდან.
ჩვენი ხმის ტემბრზე ვეკიდებით და
თავს ვიხრჩობთ.
ჩვენი ხმის ტემბრს ვინასკვავთ
ბაფთებად და იმითი
მივდივართ პაემანზე.

სიუკიუში ცუნამია.
ლოზანაში გახშირდა
არასრულწლოვანთა სექსი.
ჩემს ქვეყანაში წესიერების
გაზონებს რგავენ.
ხოლო სუსტები ცხვირს იჩიჩქნიან

2008 წელი

მამაო

In den toten Haussen
in den toten Heimen
in den toten Liedern
ruhn die toten Toten

Hans Magnus Enzensberger,WORTBILDUNGSLEHRE

მამა
მამა-მ
მამა-ს
მამ-ის
მამ-ით
მამა-დ
მამა-ო

მამაო
მამაო-მ
მამაო-ს
მამაო-ს(ი)
მამაო-თ(ი)
მამაო-დ
მამაო-ვ

მიაშენეს მყიფე განცდები.
მყარ ფუძეებში კვდომას
განაგრძობს მამაჩემი.

დიასახლისი სილაში

მარი ლუიზე კაშნიცის მოტივზე

დამავიწყდა, როგორ ვწერდი
ძველებურ ლექსებს,
როგორ მოდიოდა სევდა,
რომელსაც ჩავიჭერდი და
მოვიმწყვდევდი გულში,
მოვხუფავდი...
ამიკლებდა ერთხანს ფრთხიალით
და ბჟუილით,
მერე კი გაყუჩდებოდა და
მთელ სხეულში გაჟონავდა.

დამეტყო კიდეც,
რომ ვერ ვიმორჩილებ სიტყვებს, -
ისინი ჯიუტად იზმორებიან
და თვლემენ
ჩემს ძველ რვეულებში.

მე კი ხელებდაკაპიწებული მარჯვედ
ვაგროვებ საჭირო მასალებს
ახალი კერძის გამოსაცხობად...

ერთი-ორი უცხო მეტაფორა,
თითო სახე (გაზოგადებით),
საინტერესო სათაური
(სასურველია, ერთსიტყვიანი),
ამაღელვებელი დასასრული,
იუმორი - გემოვნებით.

განაწყენდნენ ჩემი სიტყვები,
თბილი ქვეყნებისკენ დამწკრივდნენ,
მე კი ჯიუტად ვტრიალებ სილაში
და უგემური ტორტებისთვის
ტალახის ცომს ვზელ.

2006 წელი

ეს არ არის საუკეთესო ლექსები, ეს ჩემი საყვარელი ლექსებია.
და კიდევ: მე პოეტი არ ვარ. ამ საქმეში დიდ ინვესტიციას არ ვდებ
ქეთო ნინიძე

ნიკა ჩერქეზიშვილი

ქრიზანთემები

ბევრი არაფერი...
ოთხი კედელი და ერთი ტახტი...
საშუალოზე დაბალი ჭერი...
ბოლო დროს რაღაც უჩვეულოდ მოტყდი და გახდი...
უსურვილობის დაგედო ფერი...

ზიხარ კუთხეში მიყრდნობილი საკუთარ წარსულს...
გტკივა ბეჭები...
ოღონდ ეგ არა,
თანაგრძნობა ნამდვილად არ გსურს,
ტკივილს ეჩვევი...

ეს დღეც გუშინდელს ბაყაყივით თავზე მოება,
ეძებს სოროებს მეათასედ მიკურთხებული,
გიგდია სულში გაძარცვული ერთფეროვნება
მიფურთხებული...

ოხრად დადიან ქუჩა–ქუჩა დიდი გუდებით
კაცის სხეულში გადაცმული აბლაბუდები...

მაგრამ მოეშვი...
ყელამდე ხარ შენ შენს მორევში...

იქნებ ოდესმე გაფერმკრთალდეს ღამე თენებით,
აყვავდნენ ისევ დღეს დამჭკნარი ქრიზანთემები.

ცამეტი წუთი

ყოველ საღამოს...
შაბათისა და კვირის გარდა...
ზუსტად ექვსისთვის...
როგორც წესი...
უკანა კართან...
ზურგი კედელზე...
ფეხი კედელზე...
საყელო ზევით...
დრო გადიოდა ღიღინით და თუთუნის წევით...
გამოჩნდებოდი...
მოხვიდოდი...
უბრალო...
მშვიდი...
და ერთი თავით სიცოცხლისკენ
მთელი დღით მხრიდი...

ახლა დღეები მიდიან ასე...
ვარ...
ცამეტ წუთში სრულდება ექვსი...
შენი საფლავის უჩემო ქვაზე,
როგორც ლოდინი,
დავტოვე ლექსი.

ობი

თებერვლის ღამე...
რიცხვი ცამეტი...
საათი ორი...

ხარ ისევ ისე:
სული სინესტე,
სხეული შმორი.

კაცთან წახვედი ამას წინათ...
ალალად...
ძმობით...
ობობა დაგხვდა,
ქსელხლართვია,
ფარული მტრობით.

იწყებს ლაპარაკს მკრეხელობით,
ამთავრებს გმობით,
ორიოდ წუთში ამოგავსო ყელამდე ობით.

არა რა,
ძმაო,
ჯერ ღმერთამდე გზა არის შორი,
გასატანია ჯერ შენიდან ათასი მძორი.

ფიჭვები

ტყე...
შენი ტანივით თხელი...
უფრო ფიჭვები,
აქა–იქ ნაძვი.

შენ რომ დაგიწერე,
ის ლექსი დავწვი...

დავხიე შენი ყველა ფოტო...

ტვინიდან ვერ გშლი...

დღეს არა...
ხვალე,
უეჭველად ჭკუიდან შემშლი...

ახლაც ფიჭვებზე ტკივილების მომინდა ათლა...
დღეს უშენობის მეორე წლის დავიწყე ათვლა...

შემოდგომა სიკვდილის მერე

ქარით მივაბი რეალობა შიშველ ხეებზე,
ილუზიურად მოგაშორე ყოველთვის ნაღდი...
მოვალ...
ჩავიცვამ გაყვითლებულ ფოთლებს ხელებზე...
და...
ტკივილს გაგხდი...

დღეს
ყველა ჩემს გზას შენს კარებზე უნდა მოდგომა...
ვხედავ ყოველწამს ერთი სუნთქვით როგორ ვმოკლდები...
სამარადისოდ გაგრძელდება ეს შემოდგომა,
როცა მოვკვდები.

თეა თაბაგარი

მეც შემოგიერთდებით და ''ჩემს ხუთეულს'' იმ ლექსით დავიწყებ, რომლითაც პირველად შემოვედი ''ებლიტფოს'' სივრცეში...

ვერ დამაბრალებ
(კესანები)

ფიქრისგაუმხელად მესალმები,
თვალებშიც, რატომღაც, არ მიყურებ,
მახსოვს, ბავშვობაში, კესანების,
როგორ მპირდებოდი თაიგულებს.
ცისკრის ღიმილი რომ დამაბარო,
ნამით შეგიგროვებ და მოგიტან,
გინდა ერთგულება დამავალო?!
სულში მაქვს გამჯდარი ბავშვობიდან.
ახლა აკიდოებს ცვარად ადევს
ფერმკრთალი დღეების ნათითური.
სანამდე ამ კარსაც ჩარაზავდეს
ზამთარი,
იქნება დამიბრუნდე.
ზმანებებს თუ შენით გავათენებ,
ქარებს გადავლახავ,
ქარიშხლიანს,
და იქნებ გრძნობებიც გადავღვარო,
მიუსაფრობას რომ განიცდიან.
რომ მერე გაზაფხულს შევხვდეთ ერთად,
თეთრ-მწვანე ენძელებზე ფიფქებს ნადნობს,
რომ მერე ცისთვალა კესანებსაც
დაგვიანებული ფიცი ვანდოთ.
მერე - სიახლოვე შემაპარო
ატმის სურნელების ნიაღვარად.
ვინ იცის,
ის წლებიც გადავყარო,
ფერებწართმეული ფოტოს დარად.
ინატრე,
გულებმა ხეტიალი
კვლავაც ერთდროულად გააგრძელონ,
მუდამ შავ ზღვასავით ფეთიანი
სუნთქვა დავუკოცნოთ საქართველოს.
სულგაშლილ
ლექსებსაც მოგიყვები,
ლექსებით ერთმანეთს როგორ ვგავართ,
მხოლოდ გვაშორებენ ღამეები,
მე ვერ დამაბრალებ ოღონდ ღალატს.

ქუჩები ხიდებზე

ქუჩები ხიდებზე გადადიან,
მდინარე კალაპოტს უჯერებს,
გავუსხლტით,
გადავცდით, რა ხანია,
ვენებში თავშეყრილ უჯრედებს.
ბგერები სხედან და დუნდებიან,
ბეჯითად იჩვევენ სიჩუმეს,
უმზერენ ნაკვალევს,
ბრუნდებიან,
დაღლილს თამაშობენ ფიტულებს.
თუკი ყველაფერი ნათქვამია,
გავუძლებ ფრაზების სიბერეს,
ბორგვამ შემოდგომა გადარია,
კიდევ - მე (კიდიდან კიდემდე)
ხეებზე ფოთლების კანკალია,
ქარის შეხებისას რომ გრძნობენ,
ქუჩები ხიდებზე გადადიან,
სიშორის სიმოკლეს მოწმობენ.

Sagrada Familia (ბარსელონა)

მე წავალ გაუდის ნახატი ქუჩებით,
შენობებს შვენიან ნატიფი ნაკვთები,
ვიგრძნობ, რომ შეგრძნებებს ვეღარ ვეურჩები
და აქაც ძალიან მცირე ხნით დავრჩები.

რომ ისევ გაქცევით ვუწამლო სიგიჟეს,
ნატვრებს მონატრებით პირთამდე აღსავსეს...
ოცნების მწვერვალთან ხოხვით რომ მივიდე,
წყურვილით აზრდამშრალს ხმასაც კი არ გაგცემ.

ჩავუვლი გაუდის ტალღოვან აივნებს,
იქ, სადღაც, ჯერ კიდევ პირველმა ტრამვაიმ
ფეხქვეშ მოიყოლა მხატვარი და იმ დღეს
მის სულში ჩაშენდა ქალაქი-ზღაპარი.

მეც წავალ, არ ვიცი საით ან როდემდე,
თუკი ''ოჯახური სიწმინდის ტაძარიც''
ვერ შემაძლებინებს უჩინრად მოგდევდე
ჩემსავით ამაყს და ნისლმძიმეს მთასავით.

დავკოცნი ყველა ფერს, ზურმუხტებს, ნარინჯებს,
ქვადქცეულ სახეებს გავათბობ მზერებით,
ზურგსუკან დავტოვებ ნატყვიარ ნაბიჯებს,
სულს, ვერც რომ ველევი და ვეღარც ვერევი.

და წავალ გაუდის ნახატი ქუჩებით,
რელსებზე მოხუცის ლანდს თუ შევეყარე,
ალბათ, მეც ტრამვაის ვერ გადავურჩები,
და იმ დღეს მიხვდები შენც... როგორ მიყვარდი.

დროისგან

გულისცემა ნება-ნება მივუშვი,
უნებურად ავედევნე ტაეპებს,
უშენობის მენიუ მაქვს... დღიურში
ხელი მელნით კოქტეილებს აკეთებს.

ფეხაკრეფით გადავუვლი მძინარ ხიდს,
სიმშვიდისფერ ნაჩვევ მანდილს მოვისხამ,
საწვიმარწამოფარებულ ბინაში
დავყრი დარდებს, გამოფიტულს... დროისგან

გადმომედო სუნთქვა არითმიული,
აღარ ვითვლი ისრებშემჭკნარ საათებს,
დუმილია ახლა ჩემი ჟიური,
გავბედავ და ლექსთან წავიკამათებ.

მეტყვის, გატყობ უძილობის სიმძიმემ,
ნაოჭებით დაგიმძიმა თვალები,
მოიშორე ფიქრის ბუდე ტვირთმძიმე,
თორემ, მალე აღარ შემებრალები,

შეიძლება სულ დავმუნჯდე, შენს შიგნით
ჩავიკარგო, ჩავიკირო, გავქვავდე,
იქნებ, მერე, აღარ გერქვას შეშლილი,
ან სრულებით განიავდე, გაქარდე.

იქნებ, შეძლო ალმოდებულ კაეშანს
შეუნაცვლო სიმყუდროვე ღვთიური...
ჩემი გზები მოლოდინებს გაექცნენ,
გადმომედო სუნთქვა არითმიული

ჩემი პოეტი

ზის ახლა, სადმე, სიჩუმეში, ჩემი პოეტი,
დარდებთან ერთად ჩემსავით,
ან სულაც, სულ მარტო...
ფიქრითფანჯარასმიყრდნობილი,
მზერის ზმორებით,
ზეცის სარკმელთან მიახლებას უგონოდ ნატრობს.

ხორხში მიბჯენილ ბგერის ღმუილს
სიმივით ჭიმავს,
ნაოჭებს ტვიფრავს ხელისგულზე და მელანს ადნობს,
ცხადს აღარ ჰქვია მისთვის ცხადი,
სიზმარი - სიზმარს,
ბედნიერებაც მოპოვების ჟინია მარტო.

ამაოების მობეზრებულ მიეთმოეთში
მე უგზოობის წამებს ვითვლი,
პეშვში ნაგროვებს...
ზის ახლა, სადმე, სიჩუმეში, ჩემი პოეტი,
და კალმის ჩრდილქვეშ ეგუება ჩვენს სიმარტოვეს.

ნათია ნაცვლიშვილი

* * *

მე ვარ შენი ნაღვლიანი ჩინელი ბავშვი.
მხოლოდ სიზმარში თუ ამიტანს
მდუღარე წყლის ზედაპირიდან ორთქლი ზევით,
და ავცდები თვალებს,
ზევით,ზევით,
თვალებს...
ყველაფერი ისევ ქვევით ბრუნდება ცხადში...
მე ვარ შენი ნაღვლიანი ჩინელი ბავშვი.
და არც მაშინ ვმხიარულობ,
როცა ჩემს მუქ კანზე
ფერად-ფერად პეპლებს ხატავ.

მიამბე მათი თავგადასავალი,
ვინც ბრინჯის თეთრ და
ჩემი თვალებივით ვიწრო ბილიკებზე
დაგეკარგა...

მე ვარ შენი ნაღვლიანი ჩინელი ბავშვი.
შენ კი სიზმრებში
ისევ ჩემი აბრეშუმის ფერები გაქვს
გაფენილი.
არც არაფერი არ შეცვლილა,
როგორც საკუთარ ბავშვობაში,
ყველაფერი ისევ ისე მაკლია ახლაც:
დაწყებული მწვანე,
ანდა ყავისფერი ფლომასტრით და
მნიშვნელოვანი სახარულით
დამთავრებული

21.03.2004.

* * *

მითხრა: პეპელა,
ფრთებს გაუფრთხილდი,
არ გაგიხუნდეს ფრთებიო.

მე ვუთხარი:
ჩემს ქმარს ხელებზე,ტანსაცმელზე,
თმებზე,თვალებზე თევზის სუნი აქვს,
მეთევზეა და
პეტრე ჰქვია-მეთქი...
უყვარს,როცა ეს
ნაცრისფერი კაბა მაცვია,
და ვუყურებ,საღამოობით
ნაპირზე ბადეს როგორ აკერებს-მეთქი...

მითხრა:პეპელა,
ფრთებს გაუფრთხილდი,
თვალები შენი სულისათვის
ფრთებიაო.

მე ვუთხარი:
მე მის ქუდზე შემორჩენილი
მარილის თეთრი ლაქებიც კი მიყვარს-მეთქი.
როცა იგი ნაპირიდან ნავს მიაცურებს,
ზღვისკენ ყოველთვის ზურგით ზის და
თვალებს კარგახანს არ მაშორებს-მეთქი.

მითხრა: პეპელა,
ზღვაშია შენი გზა და შენი ბილიკი-
დიდ მდინარეებში,
და შენი კვალი არ არის ცნობილიო.

მე ვუთხარი:
ჩემი ქმარი უბრალო კაცია,
ზღვის ტალღები მას მტვრისგან და
ტალახისგან იცავენ-მეთქი.
საღამოობით,ცეცხლის შუქზე
ხისგან თოჯინებს თლის იმ ბავშვისთვის,
მე რომ მუცლით ვატარებ-მეთქი.

მითხრა: პეპელა,
რასაც სული შობს,გაუფრთხილდი,
სულის ნაყოფები აშენებენ
ცოცხალ ქალაქებსო.

მე ვუთხარი:
ყოველღამე ვკითხულობ-მეთქი
ჩემი ქმრის თვალებს,
ჩემი ქმრის ხელებს,
ხელისგულებზე გადმოწერილ ზღვის სუნს,
თევზის სუნს,
და ყველაზე შორეული ნაპირების სუნს,
ჩვენში ვაშენებთ ცოცხალ ქალაქს,
ფრთებით რომ უნდა დავიცვა და
ვემზადები იმ ნაყოფის მისაღებად,
ჩემმა სულმა რომ მასწავლა-მეთქი.

მითხრა: პეპელა,
ფრთებს გაუფრთხილდი,
არ გაგიხუნდეს ფრთები,რადგან
თვალები შენი სულისათვის
ფრთებიაო.

11.03.2005

* * *

მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით.
ჩემი ჩრდილის ოთხივე მხარეს იგულისხმება
შენი წყალი.მთა და უდაბნო.

მერამდენედ დამასწრო დილამ ასეთი მოკლე განთიადი.
და ბავშვობაში
კარადიდან გადმოვარდნილი გლობუსივით
დამემსხვრა ფერხთით
დედამიწის მყიფე სიმრგვალე.

ღმერთმა ვერაფრით გადაგვაჩვია ამნაირ ლოცვებს:
ყველაზე უფრო საიმედოდ თავჩახურულნიც
ღამღამობით იმდენს ვტირით,რომ
როცა იქნება
ჭაღს მოწყვეტილ მინის ბურთულას დაემსგავსება
დედამიწა.

აი,მაშინ კი
წამებისას ფრჩხილებიც რომ დაგვაცალონ,
მაინც არ გავთქვამთ,
რა ვთხოვეთ უფალს
ამ გამჭვირვალე
და უნაყოფო მინად ქცეული მიწის სანაცვლოდ.
მაინც არ გავთქვამ,
რა გადავმალე
იმ უარყოფით სიჩუმეში,
საითაც შენ ხარ.

მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით.
მე არავინ მყავს შენზე უფრო აღმოსავლეთით.

26.07.2007

* * *

ღამეში ორი მოპარული მტევანია შენი რწმენა.
თვალები,ორი ჟანგიანი მონეტაა შენი მშვიდობა,-
პატრონისთვის ხელისგულებში ჩასაწური.

აი,სხვა,
ორი ერთნაირად მშვიდი,
ერთი ორნაირად ღირსეული,
ბევრ ბეღურაზე უკეთესი...

ცარიელია ყველა სახლი,
სადაც შენი ორი,
მოპარული მტევნის შესაწირი ეძებე.

იქით პატარა და
წითელი სახლების სოფელია,
შენი მონეტების მიღმა დამალული განსაცდელი,
სხვისი და ღარიბი...

აი, აქ კი,
რა მართალი ხარ,ჩემო სიყვარულო,
როცა ამდენ
მშიერ მეზვერეს
უნაყოფო ტყეებისკენ მიერეკები.

04.09.2007.

* * *

აქ ყოფნა ისეთი მარტივია,
გემოც არ ესინჯება
თოკზე გასაშრობად გაფენილ ტანსაცმელებს.
დროც აღარ ესინჯება
სიტყვებს,ბავშვობაში
სარძევე კბილებივით მოცვლილს,-
ზებომ ხელუკუღმა რომ მასროლინა:
ეს თაგვს გაატანე,
შენ უფრო თეთრი და
უფრო ლამაზი გექნებაო...

ისინი,თეთრები და ლამაზები,
სხვა მინდორში შემოგათავდა,
და მანამ გაცხადდი,
სანამ მუჭა-მუჭა შეჭმული მარილივით
ყელში გაჩხერილი სიმშრალეც
შენი წყურვილისთვის მეყო.
აი,ამიტომ ვარ ჩუმად.

აქ ყოფნა ისეთი მარტივია,
ახლა მე თვითონ უნდა ვანუგეშო
ეს,
რაღაც,
მარცხნივ,
თოკზე გაკიდული ტანსაცმელივით
გამშრალი და ცარიელი.

... .00ღმერთო, მამაჩემო,
აი, საიდუმლო,
რომელიც თურმე
ამდენი ხანია იცოდი და
მიმალავდი.

1.09.2007.

გიორგი ზანგური

ყველაზე მცხუნვარე მზის ქვეშ,
ყველაზე სურნელოვან ქარში,
ყველაზე ნათელი მთვა რის შუქზე,
სადაც მიწა ბრძოლის ისტორიას ჩურჩულებს.
სიამაყისგან გულწასული
ვაგდივარ და ხელმეორედ,
ქართველად დაბადება მწყურია

კოსმიური პირამიდა

მაქვს უცისფრესი ნაღველი, უიშვიათეს ღამიდან,
მყავს ნაგოდები ოცნებით აზრში მოკლული საცოლე
და მე არ ვიცი ამხელა მარტოობაში რა მინდა,
გაჟღენთილია ცრემლებით მთვარენალეწი საწოლი.

გამიწყდა ყველა ფერადი ურთიერთობის ძაფები,
არის მტანჯველი სიჩუმე და მე არსაით მელიან,
საფლავში გამოღვიძებულ კაცივით დავიძაბები,
როცა ოთახში სხეულებს ჩრდილები ემალებიან.

დავიმეგობრე ვარდები - ჩემი გამხმარი ტრაური,
ყველა სურვილი დამეწვა, ყველა სურვილი ალშია.
სევდის აღლუმზე გაისმის შეძრწუნებული ხმაური,
უკანასკნელი აკორდი ჩემი ნერვების მარშია...

ნისლის ზღვიდან რიფებივით ამოყრილან სოფლები,
სადაფისფერ ღრუბლებშია მზის ბაჯაღლოს მონეტა.
ანგელოზი ემუქრება ზეცას წვიმის მოკრეფით,
გახსენება ამტკივდება გასულ სიმარტოვეთა.

ბამბის თეთრი კლავიშებით გაღიმებულ როიალს
ტუჩებს ძილში დავუკოცნი მკრთალ თითების ბალიშით,
ტვინის ნაოჭ ლაბირინთებს როცა ფიქრი მოიარს,
სურვილები ამიტაცებს შენთან ყოფნის გარეშე.

ჩემი გულის ფეთქვის ხაზი კავკასიის ქედებია
უშგულიდან ჯიხვის რქები როცა მთვარეს ენაცვლება,
ღრუბელს ჭმუჭნის ვიწრო ზეცა მზე რომ გაუმეტებია
შენი კოპის დაბღვერად და ემოციის შენაცრებად.

გადის, გადის უსასრულო წუთის, წამის საუკუნე,
საათბოთ ბაგეებზე უკოცნობა იფარება,
ვარსკვლავების დათვლილ სიას შუაღამეს დავუბრუნებ,
რომ მიყვარდა სიჭაბუკის მოწყვეტილი მიბარება.

ავახლიჩე დედამიწას მელნისფერი ოკეანე
და ნიღაბი დავამზადე - გამჭვირვალე ტრაგედია,
მერე შენი სიზმარეთი ფეხშიშველმა მოვიარე,
თითქოს ჩემი წარმოდგენის უცნაური მაკეტია,

ავიზვირთე, ავიტალღე, ნაპირები დავარბიე,
ოქროს ქვიშა დაგისველე - ცხელი მკერდი, პირამიდა,
ატმოსფერო კოსმოსამდე თითის აკვრით გავარღვიე,
ახლა შენი სიახლოვე - ატმისფერი დილა მინდა.

14 ოქტომბერი 2005 წ.

* * *

წანწალით დაღლილი ძაღლივით
მოვალ და კარებთან დავწვები,
თვალები მექნება დახრილი,
მზერა კი - დიდი და ხანგრძლივი.

ბარათით დაღლილი მტრედივით
სარკმელთან სიახლეს მოგიტან,
მერე დაგეხვევი რეტივით
მთვარის უალერსო ლოგინთან.

ოჯახით დაღლილი სახლივით
ხმაამოუღებლად გინატრებ.
წანწალით დაღლილი ძაღლივით
კარებთან მოგიტან სიმართლეს.

ოდესღაც მიყვარდი!

2 ივნისი 2006 წ.

სიჩუმე ხმაურით!

ერთხელ აღებულ აკორდებს
სული სხეულში აკორდებს,
როგორც შეჩვეულ ნარკოტიკს,
ისე ვექცევი ბწკარს.
მთვარეს ღამეში აბოდებს
და ვარსკვლავების ნაფოტებს
აყრის გაჩეხილ წალკოტის
გარდაცვალების წამს.
დგას მოწყენილი მეტივე,
ტბის სევდიანი მოტივით
და საუკუნო ლოდინით
უცდის შორეთი მგზავრს.
ვეღარ გაუძლო მეტი ვერ
და შეწყვეტილი ნოტივით,
მიწაზე გამხმარ ტოტივით
დამსგავსებია ბზარს.
დაანგელოზდნენ ვარდები,
მკვდარი პეპლების ვარდნებით
და მოწითალო ღვარი სდის
ბროწეულებში ქარს.
ცა ფიფქებშენავარდები,
შავბნელი ღრუბლის ლანდებით
ტკივილს ინახავს ხვალისთვის;
მზეს ახვევია გარს.
ფრთებჩამომტვრეულ იადონს
წალკოტი ფრენას მიანდობს,
დაიავადებს ბულბული
ნაიავარდებ ხმას.
ყვავილთხმაურში ია დუმს,
სიჩუმემ ხელი მიადო
და ჯოჯოხეთის გუგუნი
შეუბრალებლად ხნავს.

16 სექტემბერი 2005 წ.

ლექსი არაფრის დიდებით

ფიქრს მინდა გავექცე არაფრის დიდებით
და ყველა მოვლენა მეჩვენოს სულერთი,
ხმაური მიყვარდეს? არაფრისდიდებით!
სიჩუმემ დამღალოს? ხომ არ გასულელდი?!

მე დამღლის მუდმივი გრძნობების გამოცდა,
განწყობა - ფერი რომ არასდროს ეცვლება,
ტანჯვა, თუ შემთხვევით რაიმე წამომცდა
და დილა, რომლისაც რატომღაც შემრცხვება.

მე დამღლის ვიღაცა მუდმივი ხალისით,
სიცილით, რომელსაც ფინალი არ უჩანს,
ყვავილთა ქორწილის აკრძალვა მაისით,
ამ ლექსში რითმისთვის ნათქვამი ალუჩა.

მე დამღლის სამოსის მოდური შერჩევა,
სარკე - არსებობის პირადი პასპორტი,
ჩემს მარტოობაში ვიღაცის შემჩნევა
და ის, რომ გავხდი და წელშიაც გავსწორდი.

მე დამღლის თამაში პატარა სცენაზე,
ბავშვურად მე თვითონ ცარცით რომ მოვხაზე,
სათქმელი ტკივილით მომდგარი ენაზე,
ტუჩებით გათხვრილი ამბორი ლოყაზე.

მე შემშლის: ბოდლერი, ლორკა და ედგარ პო,
ბახზე და მოცარტზე ლექსების კონცერტით,
მთვარეს გვირგვინივით ატმების ედგა რტო
და ახლა სიგარეტს - ქალის თითს მოვწევდი.

27 მაისი, 2005 წ.

გამოცანა

ნუშმა იმრუშა მდიდარ აპრილთან
და უკანონო ეყოლა კვირტი,
ჭერამი იცმევს პერანგს ყვავილთა,
ატამს გაუბა ნიავმა ფლირტი.
ალუბლის ყვავილს ფუტკარი წველის,
ვაშლის ტოტებზე დახტის ბეღურა,
ტირიფმა ხშირი მოუშვა წვერი,
ალუჩას ქუდად ნისლი ეხურა;
მიეყრდნო ღობეს დაღლილი თხილი,
მზემ ხელისგულზე შინდი დაისვა,
თუთას დააჯდა პეპელა ფრთხილი
და ბაღმა ჩუმად გაიმაისა...
- გაზაფხულია!

10 მაისი 2003 წ.

გიორგი შალამბერიძე

მეგზურს თუ არამეგზურს,
ყველას, ვინც ამ ბილიკზე გაივლის და
ჩემთან ერთად შეისუნთქავს სიტყვას.
რასაც ერთის მეორისადმი
განდობა ჰქვია, ვუძღვნი.

გიორგი შალამბერიძე

* * *

მე მიყვარდა გარინდება, უსიტყვო დიალოგი
და ქალწულის სურნელებით გათანგული ლოგინი,
განისლებულ ხევებიდან მზე რომ ცისფრად ამოდის,
შენი ნახვა იყო შვება და ცისკართან ლოდინი.
დაზამთრებულ ფერდობებთან მყვირალობა დაიწყო,
ირმებს მოაქვთ საქორწილო-საპატარძლო მარხილი,
შავმა ღამემ ვარსკვლავებით ყელსაბამი აიწყო,
ღამემ გახსნა აგონია, ელდის დაჰკრა მახვილი.
მუდამ ვგავდი გაორებას, ვდუმდი სახეაშლილი,
მე მიყვარდა აღშფოთება, სვლა სიგიჟის ზღვარამდე,
დაილეწა სიჭაბუკე, დაიკარგა აპრილი,
მინდა შენი გაალებით და ალერსით მღალავდე.
არ მიყვარდა პაემნები და ვერ ვწერდი წერილებს,
ვაფასებდი გადათრობას და უმიზნო სიარულს,
მუდამ ვთხზავდი სიყვარულებს, სიტყვებს უცხოდ ფერილებს,
მე ვეტრფოდი შეუცნობელ, რაღაცნაირ სიყვარულს.

1 იანვარი 2006 წ.

* * *

გაიღვიძა სხეულში მძლავრმა აბობოქრებამ,
თან წაიღო ზამთარი უღიმღამო ოცნებამ,
საჭურველი შევასხი ჩემს რაშს ხალიბნალიანს
და შევცქერი ცხოვრების უნდობ გზებს პირბადიანს.

გადავკარი მგლის ტყავი რაშის თეძოს ნაფერებს
და ჭიხვინის გრიალით შევუყევით ფერდობებს,
გადავსერეთ კლდეები ქვა-ღორღის და ქანების
და ვიხილე ქალაქი უცხო, ზღაპრულ ზმანების.

კარიბჭიდან მოისმის უჩვეულო ღრეობა
და სიტყვები გაისმის, სად არ სჩანს პირფერობა,
შემეგებნენ ზარებით და ღვთიური ქნარებით
და დავრჩი მოხიბლული ჩემი გარდაცვალებით.

14 აპრილი 1997 წ.

* * *

მომენატრა სოფელი,
ჩემი ეზოს ბაღი,
კარში ბებოს შეხვედრა,
სიყვარული საღი.
სასაფლაოს სამრეკლო,
ძველი საყდრის კარი,
ბოძი ნაამბორალი,
ხატთან სანთლის ალი.
ყანების და ვენახის
სურნელება მტკნარი,
მამაჩემის საფლავზე
კოინდარის ცვარი.
მომენატრა ხის სახლი
და ჩემი ჭის წყალი,
მზეზე აწითლებული
მჟავე ალუბალი.
შებინდების გალობა
შაშვების და მთვარის
და ჩურჩული ფანჯრებთან
კარგად ნაცნობ ქარის.
მომენატრა სოფელი,
ჩემი ეზოს ბაღი,
მომენატრა ხის სახლი
და ჩემი ჭის წყალი.

29 იანვარი 2004 წ.

* * *

წამი ვარ ცხელი, როგორც ტყვია მიზანთან მდგარი,
ვარ უდაბნოში მდგარი სახლის ფანჯარა, კარი,
პაემანი ვარ არშემდგარი, მიჯნურთა ბაღის,
ვარ ერთი კოცნა, რომლის კოცნაც ნამდვილად არ ღირს.
ნანგრევები ვარ გალავანის, ურთიეთრგანცდის,
და ვარ ფარვანა, დრო სიცოცხლეს არაფრით მაცლის,
ვარ ხმელი პალმა წყურვილისგან დამშრალი ფესვით
მე ვარ სამიზნე, თქვენ რომელსაც ხალისით ესვრით.
ვარ წაგებული თამაშების აზარტის სენი,
მე შიმშილი ვარ, კეთროვანთა დედოფლის ძღვენი.
კამათელი ვარ არდამჯდარი სასურველ ციფრზე,
სიყვარული ვარ გაფატრული სიკვდილის პირზე.
იალქანი ვარ დაგლეჯილი კოხით და სეტყვით,
უცხო სიტყვა ვარ, რომელსაც თქვენ ვერასდროს გეტყვით,
ხის ხომალდი ვარ გაპობილი კლდეებთან შეხლით,
მუხა ვარ შვიდი, რვაასი წლის დამწვარი მეხით.
ჰორიზონტი ვარ ვარსკვლავეთის, სამყაროს კიდის,
საფეხური ვარ დანგრეული სასახლის კიბის.
ლესვით დამდნარი ხანჯალი ვარ, ჩახმახი თოფის.
სიტყვის ბუდე ვარ დაზნექილი თაბახის ტოტის,
საწნახელი ვარ გაჟღენთილი ბადაგის წვენით,
გაბრუებული ჭადარი ვარ ქარიშხლის რწევით.
წამი ვარ წუთის, საათების, ეპოქის დამღა,
ენერგია ვარ, ოკეანე და სიტყვის დაღლა.

6 აგვისტო 2005 წ.

* * *

მე მმართებს ერთი ზაფხულის ქარით იალქნის დარწევა,
მმართებს დავლაშქრო ზღვებიდან კონტინენტების ხმაური,
თუ ჩემი ფიქრი არ ელტვის შეუცნობელის დაწევას,
მაშინ ყოველი სიმღერა უნდოა და უცნაური.
მაშინ რა ეთქმის მეზღვაურს, ვისაც არა აქვს სახლ-კარი
და ვისი ბინაც ზღვაშია, ზღვის ფსკერი - მისი საფლავი,
ხვდები ყველა გზა ერთია - მთაგაუვალი ნაპრალი
და მხოლოდ მზეა შენს თავზე გათენებულით მართალი.
შევხვდები უცხო განთიადს, ნისლით მთვლემარე ქარაფებს,
ტბას - ვერცხლის სარკეს ჩახედავ, სხეულს მიწაზე დაამხობ,
გაუშტერდები სიჩუმეს, ფიქრი რომ ღიმილს დაბადებს
და ყორნებს შენი სირბილი, შენი ხარხარი დააფრთხობს.
ჩემთვის ყოველი სასახლე მხოლოდ ლოდი და მტვერია,
რადგან მგზავრი ვარ, ბევრი მაქვს ცისქვეშეთს ნავსაყუდელი,
ჩემთვის უმადლოდ მოძღვნილი სიკეთეც არაფერია,
მიჯობს, გვამებში მოარულს მაცხრობდეს მთათა ღრუბელი.
ჩემი ხვედრია ლექსიდან გავიერთგულო მრავალი,
დავგმო სიმდაბლით სნეული ამპარტავნების ადათი,
დავდაღო წლების სანიშნე - გზა სიბერემდე სავალი
და აკლდამებზე ნაწერი სიტყვიერების ლაზათი.
მე მმართებს ერთი ზაფხულის ქარით იალქნის დარწევა,
მმართებს დავლაშქრო ზღვებიდან კონტინენტების ხმაური,
მე ზღვაზე ზათქით მავალი, როგორც მდინარე, აქ ვწევარ,
აქ ვწევარ, როგორც მინდორი და გაზაფხული ფარული.

13 იანვარი 2007 წ.

დავით–დეფი გოგიბედაშვილი

ალუბლის ტოტებს

რაღაც ფრანგული იერი დაგკრავს,
თითქოს წელიწადს ზოგჯერ წამს მოწყვეტ,
მაძღარის დუმილს, მშიერის ნათქვამს,
როგორც წნელი წალდს იქნებ წამოჰყვე,

სიჩუმეს, ჰაერს, სიტყვა სულიდან
ამომაქვს, გალობის ვისმენ მუდამ ხმას,
ნიავს ალუბლის მიაქვს სუნი და
თუ კი თვალს მოკრავ, გაგხდის უნახავს,

ახლა ისე ვარ, შხამიც არა მწყენს,
ჟან ვალ ჟანს ცრემლიც განკიცხვის წასკდა,
როგორც ჭალაში მწყერი გაჰყვა მწყერს
ჟამი მრავალ ჟამს, წამებიც წამს და

ნაბიჯებს გზები, გზებს კი მთელი დრო
გადაჰყვა, მორჩა, რაღაცის მწამდა,
მაგრამ არ მახსოვს, ან რამ ააღზნო
მინდვრის ღრუბელი, ან ვინღა დაწნა,

ან როდის უთქვამთ – აი, მოდისო,
როდის მივლია ვინმესთან ერთად,
სანამ მოვკვდები მინდა მოგისწრო
კოცნა, კოცონის გვირგვინი ფერფლთა,

ალუბლის ტოტზეც – ოქროს საწმისი,
ჯანდაბას მწყერიც თუ არა შეჯდა
და არა იყო გინდ გვარი მისი
ან რა გაიყო, ოდეს შეერთდა

და ისევ წამი ამ ქვეყნად მტოვებს,
ცაც მთას გარშემო არ უვლის, არ ჰგავს,
აიმ ალუბლის, ალუბლის ტოტებს
შენ ჩემს გარშემო გაისად დარგავ.

1 აპრილი 2008წ.

კომა

ფიქრებით, სიტყვებით,
სუნთქვებით, აზრებით,
ხელის შეხებით,
გულის შეხებით,
შეგეხიდები
შეგეტაძრები,
თხილის ბუჩქებით
ბილიკს შევყევი,
ტყემ შემიტყუა,
ცამ შემიტყუა
და კომაში ვარ
და ჟანგბადს ვსუნთქავ,
ციებ–ცხელებით
შენი თავიც დღეს
რამ მომაშია,
რამ მომაწყურა,
ტყე მეზმანება, ტყე ჩუმადაა,
ტოტების აღმა ტივტივებს ღამე,
ჩემი შიშები ჩრდილებს გადააქვთ
შემოგიქსოვე,
შემოგიხამე,
დაუხარჯავი გახარჯე
ოქრო,
აუწონელი აგწონე ვერცხლად,
ოღონდ მოგნახო, მოგნახო ოღონდ,
თავსხმა დამეცა
დამეცა მეც და
შენი ფიქრებით, სიტყვებით, სუნთქვებით,
ხელის შეხებით, გულის აზრებით,
ხორციელ ვნებებს სულით ავყვები
შეგეხიდები, შეგეტაძრები,
მე კომაში ვარ,
გიახლოვდები,
აზრი მერევა, ვერ გამოგხატავ
და როგორც იქნა სიტყვის ხმოვნებით
მზეც როგორც იქნა
ამომიხარდა,
დილის ნათელი
დილიდან მიყვარს,
მოგარიჟრაჟებ, მოგანათებ და
ტყიდან გამოვალ,
შენც გამოგიყვან,
მე დედამიწის

მოქალაქე ვარ,
ამბობენ,
წამის წინ,
სიკვდილის წამის წინ,
ნიშნები მეძლევა,
რაღაც ნიშნები
და ვხვდები ყველაფერს,
ვხედავ ყველაფერს
და მარცვალ–მარცვალ,
წვეთი–წვეთ ვიშლები,
თავს ვიხდი თითქოსდა
პერანგი მეცვას და
ფანჯრიდან სამყაროს
სამი მეოთხედიც,
მოჩანს იმ ფერებად,
მოჩანს იმ მუსიკით,
როგორც წვიმის შემდეგ
ნამით მივარხევდი
წმინდა სურნელებას უცხო ნაბიჯების,
როგორც სიზმარშია,
როგორც ბავშვობისას
ახდა სიხარულით,
ყველა შიში გაქრა,
ახდა მონატრება
ახლა მათ შორისაც
და უფრო, უფრო შორს,
ან უფრო ახლოს და
ვიდრე კი მეგონა
ვიდრე ახლა ვომობ,
ღამე ვარსკვლავებს შობს
დილა მოახლოვდა
ღარიბების ხვედრით
მდიდრებს სათვისტომოდ
გავესამშვიდობე,
გავემიღმიერე,
ჩემი სულიც, ადის,
გადის, იმ ნიშნებით,
გადის ფრენითაც და
გადის სიმსუბუქით
გადის სააღდგომოდ,
როცა დავიშლები,
ზეცაც მთლიანად და
სხივშედგმული ხე–ტყით,
კაცებს, ანგელოზებს,
ქალწულთ საგუნდედ შობს,

მარტო არ დაგტოვებ
რამეს მაინც გეტყვი,
ჩემთვის ნაცნობი ხმით,
შენთვის სანუგეშოდ,
ამბობენ,
წამის წინ,
სიკვდილის წამის წინ,
ნიშნები მეძლევა
რაღაცა ნიშნები,
უთვალავს მოვითვლი
ოთხია სამის წილ,
ახლა მე შენს თვალწინ
სამმაგად ვიშლები,
დედამიწიდან
სხვა დედამიწამდე,
სხვა ცათა ღრუბლების
ის წყნარი შედინება,
ახლა მსიამოვნებს
ახლაკი ვიწამე
სინათლეს სინათლე
მართლაც ეჩრდილება,
მათაც სურნელება
იების ენებათ და
ჩემი სიყვარულის
ძვირფასი ნობათიც,
წინდაწინ მახარებს,
თან მიესვენება...
ღმერთი,
უსასრულო
და შეუცნობადი.

8 ივნისი 2008 წ.

უფალი მეტყველებისა

გჯეროდეს და ნუ მამოწმებ,
ხმა ჩამესმის ზეცის რყევის,
ესემესებს შენს გამო ვწერ,
გამომყევი, გამომყევი,
სამუდამოდ, სამუდამოდ,
სიდირომის თაიგულებს
ვზრდიდი რომში და უდაბნოს
სარდიონებს ჩავჩურჩულებ,
შემიყვარე, შემიყვარე,
წმინდა წერილს სად ვაგზავნი,
წამოედო ყუნწით მთვარეს
ციდან მწერლის თანამგზავრი,
მზე ხავერდის, მზე მონეტის,
კალმის წვეტით ნალესი ზმნა,
შენ წახვედი, მე მოვედი,
ერთმანეთი დაგვესიზმრა,
ერთმანეთი, ღმერთმა ღმერთი
სიტყვით შვა და სიტყვით შობა,
ნეტავ გეთქვა, გეთქვა მეტი,
უფრო მეტი ვიდრე გრძნობა,
ვიდრე სუნთქვა, ვიდრე ლოცვა,
გარემოცვა სიტყვის სეტყვად,
ლათინური ამერიკის,
იტალიის, ნეტავ გეთქვა
და გეთქვა რომ თავს შეიქებს
ღვთიურ კახპად კომანდანტეც
და ედგარ პოც გაჰყვა მთიებს,
ვერგილიუსს გაჰყვა დანტეც,
გამომყევი, გამომყევი,
გჯეროდეს და ნუ მამოწმებ,
ხმა ჩამესმის ზეცის რყევის,
ნუღარც ესემესებს მომწერ,
სამ ზღვას შორის, სამ უდაბნოს
მტვერში, წერილს მწერდა მთვარეც,
სამუდამოდ, სამუდამოდ,
შეგიყვარე, შეგიყვარე,
თავი ჩემი დაგანახე
შორიდან და ახლოდანაც,
აგიჩემე და გზად მახეს
ავცდი, ხელი ვახლო დანას
ზოგჯერ მინდა, ზოგჯერ ძლიერ,
იმ ძველ დანას, ნაჩუქურთმალს,
ხელი ვახლო, როგორც მძივებს,

როგორც კოცნას და ქურუმთა
ენით მივყვე თხრობას, ხოტბას,
დანის პირით ნალესი ზმნა
სიჩუმიდან რადგან მთხოვდა:-
ერთმანეთი დაგვესიზმრა,
მოდი ჩემთან, ამომითქვი,
ამომიღე გულიდანო,
გული აქ ძგერს, ქარი იქ ქრის,
რად ვზეიმობ ან რად ვნანობ,
მწიფედ-მწიფე ალუბალით
ვაგვირგვინე მოდგმა მგლების,
მე დღეს ნებით მყავს უფალი,
ჰო, უფალი მეტყველების.

2 თებერვალი 2008 წ.

* * *

ყური ჩემს გულზე დამადე ლოგოს,
ცა სეტყვა-სეტყვის თანმდგომი ტანად,
ლექსი ითარგმნა, ვინ თარგმნა, როგორ
და სიტყვა-სიტყვით გადმომიტანა,

ნაცვალსახელებს თმა შემოაჭრა,
ზედსართავებით მძივები ართო,
ოაზისი აქვს გარშემო ან ჭა,
ან თავთავები, ოქრონი ვართო-

მითხრეს სიტყვებმა, ვერცხლები ვართო,
ზურმუხტებს გავსო ჩვენი ქსოვილი
და სხვა ენების შესამოსელმა
შემოგავსოს და დღენით ქროლვილი

შემოგაბედოს ჩვენი ნათებაც,
შორიდან გიცნოს, გადაგეფინოს,
შენ რომ გაბედო, არ მედარდება,
ძნა მთვარეების, ზმნათა დაფიონს,

ელვად დაევლო, იქ დაიბადა,
ჩემი ლექსის ძმა, თავისა მსგავსი,
როგორც შენ ეძებ შენივე ბადალს,
როგორც ხორბალზე თავთავის ხავსი,

დამწიფებული, მაგრამ სხვათათვის,
სხვა ხერხემალით გამოვდე ხორცი,
ივლისის სურნელს, სურვილს მკათათვის
სულზე ნალივით გამონაცოცხლი

ლექსი ითარგმნა, ვინ თარგმნა, როგორ,
ცა, სეტყვა-სეტყვით თანმდგომი ტანი,
ყური ჩემს გულზე დამადე ლოგოს
და სიტყვა-სიტყვით გადმომიტანე.

12 თებერვალი, 2008 წ.

40

ორმოცი წელი, ორმოცი სუნთქვა,
ორმოცი ქვეყანა, ორმოცი მხარე,
არავის აჩვენო, არავის უთხრა,
რა მოგახარე, რა მოგახარე,

ორმოცი სიკეთე, ორმოცი ლექსი,
ორმოცი ომი და ათასი ჯილდო,
ათას ყვავილებს ათასჯერ გესვრი,
რით დავიმშვიდო, რით დავიმშვიდო

თავი, სხეული, სული, სიზმარი,
მეორმოცე დღეს მესაიდუმლა
რაღაც ძვირფასი, რაღაც ღვთის მსგავსი
ვერსად დამმალავს ყველგან მიუვალს,

ორმოც ღამეში, ჩემო ფრთოსნებო
ჩამოდით, ჩამოდით, ჩამოდით ჩემთან,
გულით მოგენდოთ, გულით მოგენდოთ,
დღე უთვალავთა და უფრო ბევრთა,

ორმოცი კოცნა შემწირავს, დამკლავს,
მხრებით ვათრიე ორმოცი ჯვარი,
ნახევარმთვარეს, დავითის ვარსკვლავს
დავენირვანე და ხელი ვკარი

ცაზე დაკიდულ გამოქვაბულებს,
ღრუბლებს, ო ღრუბლებს, ბედის გამრიგეთ,
უნაზესი ხმით, უნაზესს, ულევს,
სუნთქვით ავყევი, მრწამსი ვადიდე,

ძველმანებს ირგვლივ ყველგან მოვისვრი,
შემწვარი ვაშლი ან პანტა უმი
გავსინჯო მინდა, დგას როლს-როისი
და ღვთითნაკურთხი ძმა პენტიუმი

ისიც იქვე დგას, მაგიდის გასწვრივ
და მაკვირდება ორმოცი თვალით,
ორმოცი სუფრა მარილით დავწვი
ნეონის შუქი – მზის ანათალი,

შენს სახლთან ახლოს, შენს სახლთან ახლოს,
ვიღაც მეძახდა, რატომ ან რისთვის,
ო როგორ მინდა ხელახლა ვნახო
წმინდა მეძავთა მეგაპოლისი,

სადაც ღრუბლებმა ფრენა იციან
გენიალური ფიქრების ნამი,
ცაც ერთი წუთით გადაიწია,
აპოკალიფსი დამთავრდა, ამინ.

20 მარტი 2008 წ.

თეა თოფურია

* * *

წასვლაზე ბევრი დავწერე,
მოსვლაზე არ მეწერება,
ჩახერგეს შემოსასვლელი
ალქაჯებმა და დევებმა.
განა მთის წვერზე გელოდი,
ან სისხამ დილით, ადრიან.
არ მეძებ, როგორ მიპოვნი,
თითქოს არც დაგიკარგივარ.
ჩემივე სისხლი თავს მაწვიმს,
სველი მივდივარ შინისკენ,
დამხვდები - დამეწერება,
არა და ისევ იწვიმებს...
სისხლარეული ამინდი
ნისლად ჩამოწვა მინებთან,
სულო წადი და დამტოვე,
ვერ გიძლებ ჩემზე მძიმე ხარ.

სამეფო თხუნელა

უბავშვო აკვნებით გაივსო ოთახი,
არავინ მიამბობს ავისას, კარგისას...
ამ ეზოს სასახლე ოქროსი ახსოვდა,
გვირგვინის ნატეხებს ვპოულობ დაგვისას.
დაგძიძგნეს ჩიტებმა?
ეზოს თხემს ვეყუდე,
დახუჭულ თვალებზე დამწიფდა ჭინჭარი,
ყანის ჰორიზონტზე კვირადღე იწყება,
საფრთხობელებზე ბუდე აქვთ ჭილყვავებს.
მზე ისე ახლოა, გგონია მოწველი
და ცივი თითებით თბილ რძეში შეკრიბავ,
ნაკლულ მზეს გაუშვებ ცაში და გამძღარი
დამწვრობის წამლისთვის გადახვალ ექიმთან.
შენ სანამ მიშველი, სხვა მოვა პატრონი
და დამწვარ, ბრმა თვალებს სული თუ უბერა,
იქნებდა მომირჩეს, დავურჩე სამზეოს
ძვირფასბეწვიანი, სამეფო თხუნელა.
ვიცი, ცა არ სწყალობს პატარა ცხოველებს,
რომლებიც ნიადაგს ქვევიდან ბარავენ
და სანამ ხვრელები ერთმანეთს დაქსელავს
თავის გზას გამოთხრის სიცოცხლის მპარავი
და სადმე სამზადდთან, ბოსტანთან მოგვისწრებს,
მორჩება ეს ჩვენი ფხაკუნი -ბარბაცი,
გამოვა ქალი და გობებში ჩარჩენილ,
თბილ-თბილ რძეს ყოველდღე საფლავზე დაგვაცლის.

* * *

როდისმე დამთავრდება ხეტიალი
ვინ იცის, დაღლილზე გაგიხარდეს.
ან ხრამში ბოლო მოგეღება,
ან ზვავი შეგინახავს აპრილამდე.

არავის დააკლდება არაფერი,
არც მზე დაგაკლდება დილდილობით.
ეგ არის, ვერ გაიგებ ვერასოდეს,
მოვდიოდი თუ მივდიოდი.

* * *

სულ იოლია, თვალივით ჩაწყდეს
და მერე სისხლიც მიახმეს ძარღვებს,
როდესაც ,,დღეა სოფელზე გრძელი“
და დღეზე უფრო გრძელია ღამე.
როდესაც დროა, წახვიდე სახლში,
შინ იყო მაშინ, როდესაც მოწვიმს.
ვიღაცა ნატრობს, მოვიდეს წვიმად,
მე ვნატრობ, წვიმის მაგივრად მოდი.

* * *

დინოზავის ძვალივით იშვიათი გახდი,
ხარ კი საერთოდ,
ჩემს იქით სადმე თუ არსებობ,
სახე თუ გაქვს ან კიდური,
ოთხიდან ერთი მაინც.
დავიღალე,
იმ წიგნივით ვეღარ გამთავრებ,
ბოლო გვერდი, რომ მოახიეს.
ეს ყვავიც, მეფე ირაკლივით შავი,
სულ ხეზე ზის,
გუშინაც ყვა, ყვა დაიძახა.
ორჯერ მაინც ხომ გინახავს საიქიო,
რად ერთს არაფერს მეტყვი,
შე, სხვის ომში დაბრძენებულო?!
თითები რომ მიმოკლდება,
გული, რომ ფითილივით მეტრუსება,
შენთვის არც ცოტაა და არც ბევრი.
ან ის დაპირებული დილა სად არის,
ბედნიერს რომ უნდა გამეღვიძა.
არ მითხრა, სიზმარი ვნახე,
ვკეცე, ვკეცე ვერ დავკეცე,
ნეტავ რა იყოო.
გზა იყო, გზა!
ჩემი აღმართის გზა,
დილაობით ვერცხლისფერი გადაჰკრავს,
მამლები ასხდებიან და ყივიან ხოლმე.

მარიამ ხუცურაული

გიგზავნით სსსულ ახლად-ახალ ლექსებს, ჯერ რომ ნისლების ცვარი არ დაშროზიათ...

შარახევზე

შარახევზე იმისთანა წნორებია,
და არაგვი ისეთ ტალღებს მოაგორებს,
მთის მიხაკებს ფიანდაზად გამიშლი და
სადედოფლო სასახლეებს მომაგონებს...
უფრო ზემოთ მთებია და ნისლებია,
სიტყვებიც რომ აღარ ვიცით საკადრისი,
ტკივილები სიზმრებივით მიქრებიან,
ჩემი ცრემლიც ალალ მისი...
ცის კიდურზე ჟღალი ძერა დარონინებს,
დილასისხამ ჩვენს საძებრად აფრენილი,
თეთრახევას ბროლ-ჩანჩქერში მატოპინებ
ოცნებებით ახდენილით...
მერამდენედ გადაიფენ ხელზე ბადეს,
ოქროცურვილს დაულოცავ დალის დალალს,
ღმერთო, კიდევ ბევრჯერ უნდა გამიხარდე-
ფშავში მოსულ ფშავლის ქალას...
შარახევზე იმისთანა წნორებია
და არაგვიც კლდეებს მოჰყეფს, როგორც წინათ,
ოცნებისთვის ფრთები დამიტოლებია-
იმედებიც პაწაწინა...

მათურით გადმამავალი

მათურით გადმამავალი
ნისლი ვარ მზისთვალუხლები,
ცხრამთის იქით რო წამიხველ,
რად არ ჩემკენა სწუხდები?
თვალებს რადა მთხრი ბეჩავსა,
კიოთა მიორგულდები?!
იცია, ჩემ ავ ტაროსებს
რო არაგვივით უხდები?
ცალად რად გაგიმეტებავ,
ანამც რაისთვის მშურდები,
მაღალახადით შენ გზისკე
წამოალ - გამოვბრუნდები...
ჯავრზე უწინა ის მამკლავს,
ხვალ-ზეგ თუ არ მოგწყურდები,
წავალ, პატარძალ პირიმზეს
ყელს ცრემლად ჩამოვცურდები..
არცარას ჩემსას იკითხავ,
არცა რას შენს მეუბნები...
ვიდრემდე აგრე ტივლადა,
ვიდრემდე შორ-შორ უბრები?
სევდაით შამძიმებული,
ხევსურეთ გადავქუხდები,
ან მთა-მთა, ტაატ-ტაატით
ბარისკე ჩავეღრუბლები..

* * * * * * * *

მათურით გადმამავალი,
ვიდრემდე მზისხელუხლები?!

ვლიან ნისლები

იალნოზეო ივრისწყლისები,
ნაფაქიზევი მარმაშისები,
ფერად-ფერადი სადაფისები,
ჟამიჟამ წვიმა-ავდარისები,
შენზე ოცნების დასაწყისები,
სუყველა შენი საკადრისები,
საარაგვოსკე ვლიან ნისლები...

მათურის ნისლო

მათურის ნისლო, სადაროვ,
ჩემ ოცნებებად დართულო,
რაად არ ჩემკე სწუხდები,
რაად მწვერვალთა ჰნატრულობ?!
ვერ გამიბედავ მაგხელო,
უმზეო დღეთა იელო,
ჩემ უძილობის სახელო,
მათურის ნისლო, ტიელო...

წვიმა

უჯარმას ჩაღრუბლებულმა,
მაღალახადის ნისლმაო:
რად მწუნობს, ცოტად ფშაველმა
ნეტავ, რა იგულისხმაო?
-არც შენ თვალნ საცქერლად მინდან,
-არც სმენა შენი ხმისაო,
-დღემდისინ ჩემად ნანტრი
სულამც გამხდარხარ სხვისაო...
რად არა ჩემს გულსა ჰკითხავს,
ცრემლ-წვიმა რისად მჭირსაო,
სოფელ-ქვეყანა უმზეოდ
ჭკვას არცა მე მამდისაო...

მაია სარიშვილი

*** * ***

ახლა ქარიშხალმა სხვაგვარად გადააწყო შეშლილები.
სხვაგვარად ჩაამწკრივა.
ბოლოებში ბავშვები დააყენა რითმებად
და წამოვიდა დემონსტრაცია,
როგორც შეშლილთა ლექსი.
მე კი ღიმილი, როგორც ნატკენი ფრთა,
ძირს მეთრევა და უხერხულია.
ვერ ავიკეცე. ვერ ვიმაგრებ.
ჩემს ღიმილზე ებიჯება სუყველას ფეხი -
ხალხმრავლობაში უარესია.
თურმე თავსხმაა.
ავიხედე - წვეთები გვანან პაწაწინა მეგაფონებს,
რომელთაც დავსდევ და სათითაოდ
ყოველ მათგანს ვუკითხავ ლექსებს.
ეს სიგიჟეა. ერთი წვეთიც არ დამრჩენია.
და მახსენდება ბლანტი სცენა
სავსე დარბაზში,
სადაც ავედი ზუსტად ისევე სულელურად,
როგორც ოდესღაც ბავშვობისას,
როდესაც დედა მიკვდებოდა
და მაგიდაზე შევდექი შიშით,
რომ ახლოდან გაეგონა ღმერთს ჩემი ლოცვა...

* * *

ასე არ გამოვა -
ტყეც რომ ამოაყირავო,
ერთ ფესვს ვერ იპოვი ვერსად.
საზარელი სიზმარივითაა
მიწაზე დაუმაგრებელი სამყარო.
ქალაქები უბრალოდ დევს ასფალტზე.
გაშეშებული ზღვები
საითაც დედამიწა გადაბრუნდება,
იქით ცურდებიან -
უშველებელი სამართებლებივით
სრიალებენ უკონტროლოდ...
და ყველანი რა მონდომებით,
რა თითო-თითოდ
ვაცლით სხეულებიდან ძველმოდურ ძარღვებს -
სულ მალე
ფუტკრებიც ვეღარ დაკბენენ
ჩვენს როიალებზე შემოსასმელ
ფაიფურის შვილებს...

* * *

როგორი დამაჯერებელია სიმშვიდე,
როცა იგი სახლის ნივთებითაა შემორაგული.
ისეთი დაბალი ოცნებები -
ტელევიზორსა და ტუმბოებს რომ ვერ გადაახტებიან.
რა ყოჩაღად შემოვიღობე
ასეთი წესიერი სიცოცხლე,
სადაც ვერავინ დაინახავს,
როგორი სილის გაწნასავით წამებია -
მარჯვენა ლოყა და მარცხენა ლოყა,
ჩქარ-ჩქარა.
ამომეყარა პირიდან და აქეთ-იქით
ბადმინტონის ვოლანებივით დაფრინავენ ბგერები,
რომლებიც დაწყდნენ და ერთმანეთს
აცდნენ...

* * *

მამას

მე ვიცი, რაც გაყვირებს ძილში -
შანდლებზე წამოცმული გველები
ენებით გინათებენ ოთახს.
და მართლაც რა საშიშია ეგ მოგუგუნე სიბნელე -
ცბიერი შუქით დაგესლილი...
მე ვიცი, როგორ საპონივით ისვამ ღამღამობით
შენსავე გულს მთელს სხეულზე.
როგორ მონდომებით იცილებ ლაქებს
შენივე გულის ქაფით.
იქნებ, ამიტომაც,
დედა ყოველ ღამით გამოდის ბნელეთიდან
და ვარდებს გირგავს იმ ჩუსტებში,
შენ რომელშიც დილაობით ფეხებს აბიჯებ...
გთხოვ, მიაგენი ჩვენთან სახლში
ჩემს ბავშვობის ხმას.
ალბათ, კანფეტების ყუთთან იქნება სადმე ახლოს.
და თუ მარმელადის გოშია აყეფდეს,
ან რამე ამდაგვარი,
ესე იგი, ჯადო ახსნილია...

* * *

(მიკროსკოპი)

არავინ დაშინდა რატომღაც ჩემსავით.
ვერავინ დაინახა უჯრედების წამლეკავი მელანქოლია.
ხახვის ფურცლის უჯრედები,
ოროსნების და ხუთოსნების თმის ღერთა უჯრედები,
დაუჯრედებული მთელი კლასი,
ხედიც - ფანჯრიდან...
უცებ, სამყაროს გარსი აეფხრიწა.
გაუცხოებული გზა სახლისაკენ.
სახლიც - ყველა ოთახით.
უფრო შორს კი -
დაუჯერებელი უცხო მშობლები
დაუჯერებელ სამსახურებში...
რა სევდა. რა ჯადოქრობა.
მიკროსკოპით ნანახი მუნჯი კინო.
თითქოს,
ღმერთი თვალისაკენ რაღაცას ამოგძახის,
მაგრამ მთავარს მაინც არ გეუბნება..

შოთა იათაშვილი

ტანსაცმლის ოდა

არ შეუქმნია ღმერთს ადამიანი დედიშობილა.
ღმერთმა იგი ტანსაცმლით შექმნა.
საცვლებით, კაბით, შარვალით, წინდით...
ადამიანი ტანსაცმლითაა ადამიანი....
როცა აცვია, სხვანაირად ფიქრობს, მეტყველებს,
სხვანაირად იღიმება, სხვანაირად უყვარს მოყვასი...
საკუთარი თავის სჯერა, საკუთარ თავს გრძნობს...
მხოლოდ ჩაცმული ადამიანი ართმევს ხელს ჩაცმულს,
მხოლოდ ჩაცმული ხატავს შიშველს,
მხოლოდ ჩაცმული მღერის"წინწყაროს" და ცეკვავს "ხორუმს"...
ადამიანი ღმერთმა ქუდით და ფეხსაცმლით შექმნა.
შექმნა თუნდაც პიონერის ყელსახვევით, შარფით, ჰალსტუხით...
კაცი ჩაცმულ ქალს უმიჯნურდება,
ჩაცმულს ჩუქნის ყვავილებს და პირველად კოცნის...
ქალიც შემოსილ მამაკაცს ეტრფის...
და საერთოდ, სიყვარული თუკი არსებობს,
ეს იმიტომ, რომ ადამიანს როდესაც ქმნიდა,
ღმერთს გარდერობი ჰქონდა მისთვის გამზადებული...
გარდერობში ქალისათვის იყო თავშალი,
იყო ჩადრი,
იყო კორსეტი...
მამაკაცისთვის - ანაფორა, ბუშლატი, ჩოხა...
ერთისთვის - კვართი...
ადამიანი ღმერთს ჩაცმულიც და შიშველიც უყვარს,
მაგრამ მეტად უყვარს ჩაცმული...
ღმერთი არის ჩვენი პირველი ჭეშმარიტი დიზაინერი...
ერთხელ მოხდა: მეცნიერი აბაზანაში შიშველი იწვა
და სამყაროს ერთი კანონი აღმოაჩინა.
მაგრამ ეს ერთხელ.
ამის შემდეგ სამყაროს ახალ და უფრო ღრმა საიდუმლოებს
მეცნიერები შემოსილნი სწვდებიან ხოლმე...
ელექტრობა, ტელევიზია, ავიაცია თუ ინტერნეტი
ტანსაცმელმა გამოიგონა...
ტანსაცმელი გენიოსია!..
ტანსაცმელი წერს შედევრებს: ბატის ფრთით თუ კომპიუტერით...
ტანსაცმელი წმინდა წიგნებს წერს...
ტანსაცმელი წმინდანია,
ტანსაცმელი ესთეტია,
ტანსაცმელი ბრძენზე ბრძენია...

გამორჩეული ტალანტი აქვს თითოეულს:
მაგალითად, ტოგა არის ორატორი, ფილოსოფოსი,
პარიკი არის მეცნიერი ან მუსიკოსი,
მაისური - ფეხბურთელი, ხელბურთელი, კალათბურთელი...
კომბინიზონი იცმება ტანზე,
თავზე სკაფანდრი იხურება და ადამიანი ზეცაში ადის...
(ღვთის გარდერობში სომბრეროებთან,
შლაპებთან და კეპებთან ერთად
სკაფანდრებიც ეკიდა თურმე...)
რომ არა ასე, ადამიანი მთვარეზე თავის შიშველ ფეხისგულს
ვერასოდეს ვერ დაადგამდა...
ჯერ ჩაიცვით-დაიხურეთ ხალხნო და მერე გაეშურეთ კოსმოსისკენ...
ჯერ ჩაიცვით-დაიხურეთ და მერე ეშმაკსაც წაუღიხართ -
შახტაშიც ჩადით...
პირველად იყო...
ლამის პირველად იყო მგონი ტანისამოსი...
რაც იგი იქმნა, იმას შემდეგ
ადამიანი-ტანსაცმელი პირჯვარს იწერს,
ლოცულობს და ნამაზს აკეთებს...
ადამიანი-ტანსაცმელი თავის მეგობარ
ადამიან-ტანსაცმელებთან ერთად ღვინოს სვამს
და ყველაფერ ადამიანურ-ტანსაცმლურზე საუბრობს მათთან...
ადამიანი-ტანსაცმელი მიწას ხნავს და მოსავალს იმკის...
ჩაცმულ-დახურულ ადამიანს შეეწიე, მაღალო ღმერთო!..
თავის შორტთან, თავის ჯინსთან, თავის ფრაკთან ერთად დალოცე!..
დალოცე თავის ჩუსტებთან ერთად,
სახლში მშვიდად რომ დაბაჩუნობს
და ოჯახურ სიმყუდროვეს ქმნის!...
დაულოცე აჭიმები, ლიპები და პანტალონები!..
საცურაო კოსტიუმიც დაულოცე,
რადგან უკვე მეორე დღეს
საკუთარი დიადი ნებით
ხმელეთთან ერთად ზღვაც გააჩინე...
და თუ ასეა, დალოცე ყველა სექენდ-ჰენდი,
ყველა საფირმო მაღაზია თავის სეილით!..
დალოცე ყველა თერძი, ხარაზი, მოდელიორი...
დალოცე ხელი იმ ქალისა, რუდუნებით რომ შეუკერა
იესოს კვართი...

სამკერვალო ფაბრიკები დალოცე, ღმერთო!..
დალოცე, რადგან ადამიანი ტანსაცმლითაა ადამიანი...
ტანსაცმლით ცხოვრობს, იტანჯება, შრომობს და უყვარს...
ხოლო როცა იმქვეყნად წავა,
ტანსაცმელი მას ცოტა ხნით დაიცავს კიდეც...
ის გმირივით ჭიაღუების გააფთრებულ შემოტევებს შეეწირება...
.....
ღმერთო ძლიერო, კიდევ კარგი,
არ შექმენი ადამიანი დედიშობილა,
კიდევ კარგი ჩაცმული და დახურული შექმენი იგი!..

ოდა ცრემლსადენ გაზს

ყველაფერი ხახვით დაიწყო.
ადამიანებს როდესაც არ ეტირებოდათ,
მწარე ხახვს ფცქვნიდნენ,
წვრილად ჭრიდნენ,
ზოგჯერ სულაც უპუროდ ჭამდნენ
და ბოლოს მაინც იცრემლებდნენ
გამომშრალ თვალებს.
სიღარიბის და საშინელი ვირუსების
ძველ ეპოქებში
ხახვი სწორედ რომ მისწრება იყო:
იყო იაფი,
ორგანიზმის იმუნიტეტს აძლიერებდა,
თანაც როცა დანაყრდებოდი
და ცოტასაც ისლუკუნებდი,
გულზე ოდნავ მოგეშვებოდა!..

ამასთანავე,
დემოსს ძველი საბერძნეთის მერე როდისღა
ჰქონდა იმის შესაძლებლობა,
ევრიპიდეთი, ესქილეთი,
ან სხვა ნატიფი, დრამატული ხელოვნებით
განეცადა კათარზისი, ასე საჭირო!..

ამიტომაც, მწარე ხახვი და იმის ჯანი!…

ხანდახან ხალხი როცა მაინც აჯანყდებოდა,
მეფეებს და იმპერატორებს
გამოჰყავდათ საკუთარი ლაშქარი და
ისინი ხახვის მთელ მოსავალს
მოჯანყეებს გაფცქვნილი სახით
უშენდნენ ხოლმე...
განრისხებული უპოვრებიც
გააგდებდნენ ხელიდან ფოცხებს,
ფიწლებს და შუბებს,
ჩამოსხდებოდნენ სიპ ქვებზე და
რუსთაველის გმირებივით ატირდებოდნენ...

ისტორიულ ქრონიკებში და ანალებში
ამის შესახებ არაფერი არა წერია.
მიზეზი კი მარტივია:
მეფის კართა Jამთაღმწერები
ხახვის სროლით მოპოვებულ გამარჯვებებს
მალავდნენ ხოლმე,

ისე როგორც ხალხი მალავდა
ბოსტნეულით მიყენებულ ამ დამარცხებებს.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა...
ქვეყანა ბევრჯერ ამოტრიალდა:
ფეოდალებმა, მონარქებმა, დიქტატორებმა,
კომუნისტებმა, დემოკრატებმა, ლიბერალებმა
უთვალავჯერ მოინდომეს ამ ცხოვრების
დაყენება საკუთარ წესზე.
ამ მონდომება-მონდომებაში
მეთოდებიც აუმჯობესეს...
და აგერ, აი, ხახვის ნაცვლად
უკეთესი ცრემლსაფრქვევი ბოლქვებიც
კი გამოიგონეს...

ხახვს აწი უკვე ყველა მხოლოდ
საკვებ პროდუქტად იყენებს ხოლმე:
ხრაკავს და თუშავს,
წვნიანს უშვრება,
მწვადს, ქაბაბს ან სალათას აჭრის,
და ამიტომაც, რახანია, მზარეულები,
ან დიასახლისი ქალბატონები
თუღა ღვრიან მის გამო ცრემლებს.....

ჩვენი ქვეყანა დიდი ხანი
იყო ფრიად ჩამორჩენილი...
დიდი ხანი ვცდილობდით,
მაგრამ ვერ ვახერხებდით,
აგრარული ეპოქიდან თავის დაღწევას.....
ბანანის და სიმინდის კი არადა, ლამის
ჩიპოლინოს რესპუბლიკა ვიყავით მუდამ...

მაგრამ ბოლოს, მადლობა ღმერთს,
ჩვენაც გვეღირსა!..
გვეღირსა და დღევანდელობის შესაფერისად,
ღირსეულად და ამაყად,
ყველამ ერთად,
დედაქალაქის გულისგულში,
ისე როგორც ერთმა გუნდმა,
ისე ვიტირეთ!

ცრემლები მეც გადმოვყარე,
მით უმეტეს, რომ მიზეზი
სხვებზე მეტი მქონდა ნამდვილად!..
საერთო-სახალხო ქვითინამდე

ერთი დღით ადრე ხომ უეცრად
უახლოესი მეგობარი გარდამეცვალა.
და პირველ დღესვე, სულშეძრულმა,
სხვებთან ერთად
დავიტირე იგი გულის ამოჯდომამდე...

მეორე დღესაც, ცხადია, რომ
იქით გავწიე, მეგობარი სადაც ესვენა -
ანუ სწორედ იმ ვიწრო და მყუდრო ქუჩისკენ,
სახელმწიფო კანცელარიას რომ უერთდება...
წინადღინდელი ემოციებით
გადამწვარს და სულგამოფიტულს
გული მქონდა ჩაწყვეტილი,
თვალი გამშრალი...
მივდიოდი გამოღლილი,
მექანიკური ნაბიჯით და
ვიცოდი რომ პირველსავე დღეს
მის ცხედართან
გამოვლიე ჩემს სხეულში არსებული
ცრემლის თითქმის მთელი მარაგი...

მაგრამ უცებ, მაგრამ უცებ...
იცით, რა მოხდაწ.. …
არანაირად რომ არ მეგონა, ისე ავტირდი...
ცხვირსახოცით მწარე ცრემლებს ვიწმენდდი და
ჩაწითლებულ თვალებს ვისრესდი...
მთელი ქუჩა ხალხით იყო გადავსებული
და თანაგრძნობით შემყურებდნენ,
ბევრს საერთოდაც ზუსტად ჩემსავით
ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი...

ამდენ ხალხში გზას ძლივს ვიკვლევდი...
`მეგობარო... მეგობარო...~ - ჩემთვის გულში
განუწყვეტლივ ვიმეორებდი...
მუჯლუგუნებით გზას ვიკაფავდი,
ამასობაში გული თანდათან დამიწყნარდა
და შევწყვიტე თვალების სრესაც...
სახლამდე მცირედი მანძილიღა მაშორებდა...
მაგრამ უეცრად
კვლავ ქვითინი ამივარდა ისტერიული...

სლუკუნ-სლუკუნით მივედი
მკვდარი მეგობრის სახლში.
ამხანაგები, ნათესავები,
არც ისე ბევრნი,

ოთახში ისხდნენ...
შევხედე და დავინახე,
თითქმის ყველას
თვალები ჰქონდა ჩაწითლებული...
`მეგობარო... მეგობარო...~ - ჩემთვის გულში
კვლავ გავიმეორე.
ხოლო როცა ირგვლივ, ქუჩებში გამოფენილი
თვალცრემლიანი უამრავი ადამიანი წარმოვიდგინე,
მომეჩვენა, რომ
სიცოცხლეში დაუფასებელ
დიდ ქართველ მწერალ ზაზა თვარაძეს
დასტიროდა მთელი ქვეყანა.

.....
ღმერთო ძლიერო,
მადლობა რომ ხახვი შექმენი,
ხოლო მერე ცრემლსადენი გაზი - მისი
თანამედროვე ვარიაცია,
და შექმენი სახელმწიფო -
ძლიერი და ლიბერალური,
შექმენი ჯარი და `სპეცნაზი~ -
არც ისე ნაზი,
თუმც სატირალი საქმეების
მშვენივრად მცოდნე,
და მადლობა,
რომ გამოფინე ქუჩაში ხალხი
და `სპეცნაზის~ დახმარებით
გულამოსკვნით აატირე
უძვირფასესი ჩემი მეგობრის
ცხედართან ახლოს!..

ქალაქში, მტვერში, წაიქცა კაცი

ბესიკ ხარანაულს

რა კარგია, რომ მიხვდი,
რომ დღეს ბედნიერი ხარ,
დღეს,
გადატყავებული ხელისგულებით,
ჩაჭრილი მაჯით,
დასერილი შუბლით,
ჩალურჯებული იდაყვით და მუხლით,
ბედნიერი ხარ,
რადგან ბოლოს და ბოლოს
ჭეშმარიტად დაეცი,
დაეცი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ -
დაეცი შენი ქალაქის მტვრიან ქუჩებში,
დაეცი შენი ქვეყნის პირველი პოეტის ბინიდან
ფორიაქით და ბორძიკით გამოსული,
დაეცი და მიხვდი -
მიხვდი, რომ ჭეშმარიტად დაეცი -
დაჰყურებ გადატყავებულ ხელისგულებს,
სისხლი, ვით მელანი,
თითებისაკენ ჩაედინება,
კალმისტრისაკენ იკვლევს გზას,
და შენც წერ ლექსს,
ახალ, უცნაურ ლექსს და
ბედნიერი ხარ,
რადგან პირველად ცხოვრებაში
ჭეშმარიტად დაეცი და იცი უკვე,
რას ნიშნავს ეს -
დაეცე -
დაეცე შენს ქალაქში,
შენს ქუჩაში,
შენი ხალხის თვალწინ,
შენი ხალხის ფეხებთან,
დაეცე,
დაეცე,
დაეცე...
რათა წამოგაყენონ,
რათა მიგიყვანონ სახლში,
რათა მოგიარონ,
რათა მოგეფერონ,
და შენც , - ერთხელ ჭეშმარიტად დაცემულმა, -
ადგე და მშვიდად განაგრძო
დაცემულთა მარადი გზა...

19 მაისი, 2007 წელი.

მოძრაობა

ქარი ქროდა და ქალს მიაფრიალებდა.
ქალი მიფრიალებდა და კაცი მისდევდა.
კაცი მირბოდა და უკან სამეგობრო მიყვებოდა.
სამეგობრო მიდიოდა და ლუდხანა იდგა.
ლუდხანა იდგა და ლუდი მJავდებოდა.
ლუდი მჟავდებოდა და დახლიდარი ბერდებოდა.
დახლიდარი ბერდებოდა და თმა ცვიოდა.
თმა ცვიოდა და ბომბებიც ცვიოდა ციდან.
ბომბები ცვიოდა ციდან და სახლები ინგრეოდა.
სახლები ინგრეოდა და ახალი ლუდხანა შენდებოდა.
ახალი ლუდხანა შენდებოდა და ახალი სამეგობრო მოდიოდა.
ახალი სამეგობრო მოდიოდა და ახალი კაცი მორბოდა.
ახალი კაცი მორბოდა და ახალი ქალი მოფრიალებდა.
ახალი ქალი მოფრიალებდა და ძველი ქარი ქროდა.
ძველი ქარი ქროდა და ქარის წისქვილები ტრიალებდნენ.
ქარის წისქვილები ტრიალებდნენ და დონ კიხოტიც იბადებოდა.
დონ კიხოტი იბადებოდა და სერვანტესიც კვდებოდა.
სერვანტესი კვდებოდა და შექსპირიც კვდებოდა.
ანუ 1616 წლის 23 აპრილი იდგა და
ლიტერატურა გლოვობდა და Gღმერთი იცინოდა.
ღმერთი იცინოდა და ხანდახან კაციც იცინოდა.
კაცი იცინოდა და ლუდს სვამდა.
ანუ პირიქით: ჯერ ლუდს სვამდა და მერე იცინოდა.
და მერე ტიროდა.
ბოლოს კი დგებოდა ფეხზე და ბარბაცით ქალს მისდევდა.
ქალი გარბოდა და ქარს კუდში მიჰყვებოდა.
ქარი მიქროდა და ცდილობდა სინათლის სხივს დასწეოდა.
კაცი იდგა და მათ დაჭერობანას უყურებდა.
Kკაცი ხან ფიზიკოსი იყო,
ხან პოეტი,
ხან ლოთი.
კაცი ხშირად შედიოდა ლუდხანაში და
სანამ ლუდი დამJავდებოდა და დახლიდარი დაბერდებოდა,
სვამდა ლუდს და მეგობრებთან ბჭობდა,
ღმერთი კი იცინოდა,
ღმერთი იცინოდა……
და ქარი ქროდა……

ფანქარი მიწაში

დღეს ფანქარი დავასაფლავე…...

ჩემი ერთგული,
დაკუტებული,
ხანდაზმული,
ბრძენი ფანქარი...

ოთხი დღის წინ ხელში ჩამაკვდა...

არ გეგონოთ, რომ ლექსსა ვწერდი...
ვიჯექი და ქვეშმიწერით
გადასახადის, ვალების და
პურისა და სიგარეტის ხარჯებს ვკრიბავდი...

მოღრღნილ ბოლოზე პირი ვტაცე,
მაგრამ უკვე გვიანი იყო:
არ უშველა ხელოვნურმა სუნთქვამ, არადა
მთელი ცხოვრება გაჭვარტლული ჩემი ფილტვების
შხამიანი სიო იყო
მისეული შთაგონების უცვლელი წყარო...

ჩემმა ძველმა კრებულებმა,
საქაღალდეთა ზვინებმა და
კომპიუტერის კლავიშებმა
დაიტირეს იგი, იგლოვეს…...

ხალვათი სასახლე შევურჩიე:
ჩემი საწერი მაგიდის უჯრა;
გადასახადის, ვალების და
პურისა და სიგარეტის
მწარე ციფრებით აჭრელებული
ფურცელი სუდარად გამოვიყენე...

ჩავატანე სათლელები, საშლელები
და ორი ლექსი:
`ფანქარი ცაში~ და `ფანქარი არაცაში~,
და ნივთების მუხათგვერდში დავასაფლავე…...

ახლა ვზივარ, - მარტოსული, სევდიანი, -
მომცრო გორაკთან,
ხელში ჯოხი მიჭირავს და
დედამიწის ზედაპირზე,
მცირე ხნით მაინც, -

სანამ წვიმა გადარეცხავს
ან ვიღაცის ჩექმა გადაგლესს, -
აღვბეჭდო, ვცდილობ,
გარდაცვლილი ჩემი ფანქრის ეპიტაფია...

ჯოხი...
ხელჯოხი...
აწი უთუოდ იგი უნდა დამიმეგობრდეს.
როცა ფანქარი მიწაში გიწევს,
ჯოხიღაა შენი მეგზური.
ჩიჩქნე,
კაწრე,
დაეყრდენი,
უფრო მძაფრად შეიგრძენი
ასოების გამოყვანის წარმავალობა…...

ხოლო ბოლოს,
როდესაც იგრძნობ
აღსასრულის მოახლოებას,
მოიკრიბე ერთხელაც ღონე,
გადატეხე ეგ ხელჯოხი,
ჯვრად შეკარი შენი ჭაღარით,
დაასე საფლავს და ექეცი
საკუთარ ფანქარს
მარადიულ თანამეცხედრედ...

რუსუდან კაიშაური

ჩაიდანი

ჩაიდანო, რა ხდება?
ორთქლს უშვებ,
ჭიქამ ბრაზი გაგინელა.
განუყრელი მეგობრები:
კარაქი, ჯემი,
აჰყოლიან დანის ენას.
მურაბა დედოფლობს,
ალუბლის ტუჩებით
გაატკბილებს ლამბაქ-ფინჯანს.
ლიმონმა გუნების ასაჭრელად
პირდაპირ მდუღარეში ჩააბიჯა.
ჭიქებმა დაიფინეს ლამბაქები,
თავში კოვზის ცემა დააპირეს.
ცეცხლი გიკიდია, ჩაიდანო?
ჭიქაში ჩარგე ცხვირი, ჩაატირე.

ლობიო

ლობიო, შე მარცვლებდასაცლელო,
გასაგლეჯი ხარ,
გასათხლეში, გასამწარებელი.
სათითაოდ გამოდი, რომ მიგაჭყლიტო,
დაგამლაშო, მოგიმწვანილო,
ყურებზე ხახვი დაგაჭრა.
ცეცხლი შენ!
დადექი, ითუხთუხე, გასკდი სათითაოდ,
ცივ წყალს გადაგასხამ,
ძვალ-რბილს გაგიერთიანებ,
დაგღეჭავ, ჩასახეთქო.
გაგრილდი, თავი არ აიმჟავო,
თორემ...
აი, მჭადი კი დაგეცეს თავზე!
არც ისე საწყალი ხარ...
ყველა მოცლილია_
სუფრაზე რომ ხარ და
ქორწილი გაქვს;
კომბოსტოს მწნილი გარმონივით
იკეცება,
დანა-ჩანგალს შუა ჩაგატარებენ,
თეფშის სარეცელზე პურს მოგიწვენენ
გვერდით და
წიწაკით ჩაგამწარებენ.
ნივრის ნაფრცქვენები, თეფშის ირგვლივ,
შენი საცვლებია,
დასვრილი თეფში, წიწაკის ყუნწი...
სად არის დიასახლისი,
არ რცხვენია?

ვან-გოგი ყვითელ ავტობუსში

ყვითელი ავტობუსი – №46
მოსეირნობს ასფალტზე.
ვან-გოგის დროა, იღვრება მზე,
დედამიწელებმა სუნთქვით
რომ გაფატრეს.
ყვითელი ავტობუსი,
ვან-გოგის მზესუმზირას
რომ დაემსგავსოს,
უნდა შევავსოთ მე და
შავთმიანმა ბავშვებმა.
ტკბილი მზე მაღლიდან წვეთავს და
ჩემთან შერეული_მლაშეა.
ვან-გოგი ავტობუსიდან
ჩავიდა,
დანარჩენი მგზავრებიც
კარებმა დამარცვლა.
მზე ჩაიგუბა ავტობუსმა
და გადასცდა.

კალიების პერანგები

ხეები მესიჯობენ,
ერთმანეთს ჩიტებს უცვლიან,
ამიტომ ცაში წუთების
ფაციფუცია.
ხეები მთვარეს აქეთ-იქით
აქროლებენ,
როგორც თეთრონს.
ერთი სული აქვთ,
მერე გუბეში
რომ ჩაახეთქონ.
უხტუნავთ ხეებს
კალიების პერანგი ხამი,
წითელი ფარნის ქვეშ
დაჰყვებიან გაფუჭებულ ამინდს.
მონაზვნობენ კიდეც,
ფესვები მორჩილად არიან.
ხეს თავში ცულს ვუკაკუნებ:
,,შეშად მინდიხარ, გცალია?”

დარღვეული დედა

დედის საყვედურები
დიდი ხანია მდევნის
ნაცემი ძაღლივით,
მხრებზე უნდა მოვიხვიო
დედაჩემი,
რომ ვიგრძნო,
სად არის გაცვეთილი.
მისი მინდვრის ყვავილობიდან:
ნაწილი გატიალდა,
ქოთანში ჩავტენე მონარჩენი.
მთელი დღე ასმაგად ვინასკვები,
არ მცალია გავიშალო,
რომ პეპლად თავი მოვაჩვენო,
დავატარებ: შუბლიდან მკერდზე,
მკერდიდან_მხრებზე პირჯვართან ერთად
ნეტარებით,
არ ვეხსნები დარღვეულ დედას,
მზისსხივგაყრილი მახათივით
ვეტანები.

მაგიდა

დასხდნენ სკამები,
მოამრგვალეს ადგილი,
თავიანთ მაგიდას უცდიან,
ხანდახან არეულები, შეცდომით
შემოუსხდებიან კომოდს მუცლიანს.
უმაგიდოდ მიყრილმა სკამებმა
მოინდომეს კარობა და ფანჯრობა
გაასწორეს, ჩაქუჩი შემოარტყეს,
აიძულეს წყნარად დაჯდომა.
მაგიდა გვერდით
ოთახში იკუთხება,
რომ სკამნი არ
მიჰგვარეს.
გაიშალა, ფორმა
დაავიწყდა,
როდის წამოუვლის
ისევ სიმრგვალე.

ალეკო ცქიტიშვილი

ეპიტაფია წყალზე

რას აირეკლავს ჩემი მზერა
წყალში, ჩემი გახელილი თვალების სივრცე
რას უერთდება, როცა წყალმცენარეები
ირხევიან და არ შრიალებენ
წყალში, სადაც არ არის გზა
და არ რჩება კვალი სულიერთა მოძრაობისა.

მე წამოვედი იმ ქვეყნიდან,
სადაც ეკლესიებს აგებენ ქურდები
და ჩინოვნიკები, სადაც
ლოცვა არ იწევს ცისკენ.

წყალი ახლა სახლია ჩემი –
კარს თვითონ აღებს და
საკუთარი თავიდან გადის,
ხოლო, როცა ბრუნდება უკან,
აქ, წარმოსახვით მაგიდაზე
მთვლემარე თევზებს ჩემი ფიქრის
ნამცეცებს უყრის.

ყველანაირად გამსუბუქდა ჩემი სხეული,
მაგრამ რა ვუყო ცოდვას, რომელიც
წყლის ზედაპირზე ამოსვლას მიშლის,
რა ვუყო ცუდად დაფარულ წარსულს,
ტანზე დუმფარად რომ ამომივა
და გამოჩნდება?...

ან რა იქნება დამალული?...
მე გევედრები,
ვიდრე საკუთარ ძვლებს დავინახავ,
ღმერთო, ეს მატლი შემაყვარე,
ჩემს სხეულში რომ დაბუდდა ახლა.

ნათელი ფერები

რ.ა.-ს ხსოვნას

ნათელი ფერებია ჩემს ცხოვრებაში
ახლა, როცა სიცოცხლე ქრება
და მე მხოლოდ ნამქერი ვარ ქრობის.

ღმერთო, მასმინე, რომ ვინანიე,
როცა უკანასკნელად ამოგხედე
და მოულოდნელად
ნამიან თვალებზე არეკლილ ცაში
ჩავეფალი.

მე ვერ ამოვალ ციდან,
როგორც ვალებიდან,
რადგან ყველაზე დიდი ვალი
სწორედ ცასთან მაქვს.

ღმერთო, დამწერე ჯვარი –
ახლა, როცა ქარი მაბრუნებს უკან
და ვფარფატებ
და პეპელა ვარ ერთი დღის ცოდვით.

ან შენ მაინც ჩადექი, ქარო.
რა დამრჩა უკან?... მოუხერხებლად
გამოწვდილი მზერა კაცისა,
რომელმაც ნახა, როგორ დავსრულდი.

აღარც კი მახსოვს,
რა მიზეზი მიზიდავს მისკენ,
რა გზას ჩამოვრჩი,
როცა წინ ნათელი ფერებია
და ცხოვრების სხვა დასაწყისი.

მიზეზი

ჩემს ძმას, გოდერძი ჩოხელს

როგორი იქნება ჩემი დეპრესია?
ან რა იქნება მისი მიზეზი? –
ძაღლების მიერ შეჭმული მთვარე,
ცვალებადი მოღრუბლულობა,
თუ ეს ოხერი კორპუსები,
ეს ფანჯრები,
ეს კაქტუსების კოლექცია
ჩემს გვერდით მცხოვრებ მოქალაქეთა...

როგორი იქნება ჩემი შიში?
საკუთარ თავში დაჯერებული,
დაბეჯითებით რომ ამათრთოლებს,
თუ ისეთი, მარყუჟს რომ შეკრავ
და გაიღიმებ,
თითქოს სილაში თამაშობდე,
ან ძუძუს სწოვდე...

როგორი იქნება ჩემი მზერა?
უტეხი და გაუვალი,
უსინანულო,
თუ უცაბედად აღმომჩენი,
რომ ამ ცარიელ ყოფითობაში
ვნახე ხე
ჩემი ცოდვებისა როგორ გაშლილა.

ერთი მიმავალი კაცის ისტორია

ამ კორპუსებსაც აქვს სუნი
ამდენი ადამიანის მარტოობის,
ამდენი თვლემის,
ღამის პეპლები რომ მინებს ეხლებიან
და ნაბიჯების ხმა ისმის ქუჩიდან
იმ ერთი მიმავალი კაცის სიჩუმეში.

ამ სიჩუმეს აქვს მანძილი,
რომელიც ტოლია მთების,
მთებზე გადავლილი მწყემსების სტვენის
და ქარის, ფოთოლცვენითურთ,
შენამდე ახლა სიმღერით რომ გამოემართა.

და მხოლოდ შორიდან შემიძლია გავიფიქრო,
როგორ დააწყვე ხელები მაგიდაზე,
როგორ გაშრი
და გაიფიქრე, რა შეიძლება მოხდეს
ზეემკაზე ღამით
ამ პეპლების გარემოცვაში,
ამ ნარნარ ძილში,
თუკი მე ვარ ის ერთი
მიმავალი კაცი...

რა შეიძლება მოხდეს?!..

ასე ვმღეროდით

ლევან სეფისკვერაძეს

იქ თოვდა. ვიხსენებ.
ჩვენ გვქონდა პური, წყალი
და სიცივეში ვიდექით ზურგით
ერთმანეთისკენ. თოვდა.
იქ თოვდა. ცელოფნები
გვეფარა თავზე და გაყინული
ხელებით ვთხოვდით ცას დამშვიდებას.
გაზეთებს ვშლიდით, როგორც ნერვებს
და ვკითხულობდით. საოცარია.
არაფერი ეწერა ჩვენზე.
არაფერი. სულ არაფერი
და ჩვენ ვმღეროდით:
ჩვენო მერიავ,
ჩვენო ოპერის ბაღო,
ჩვენო მთაწმინდის პანთეონო
და მთავრობის სასახლევ.
მერე თითქოს მზე გამოვიდა.
თითქოს გადავრჩით...
ზამთარმა კი თან გაიყოლა
ჩვენი ჭუჭყიანი პალტოები,
ჩვენი სინდისი,
ჩვენი გასარეცხი მოქალაქეობა.

ვაჟა ხორნაული

ვით წყარო გაზაფხულისა

ამქვეყნად გამოუთქმელი
სიყვარულია რამდენი _
შორიდან ფიქრით ნათქვამი
და წმინდა, როგორც სანთელი.

ვით წყარო გაზაფხულისა,
თავისთვის, ჩუმად ნადენი _
ამქვეყნად გამოუთქმელი
სიყვარულია რამდენი...

(...და სამყარო პატარავდება...)

დედა შვილს ელაპარაკება —
სიტყვები გულიდან
ისეთი ნათებით ამოდიან,
თითქოს ახალი
ვარსკვლავები იბადებიან
ახალი ცის გასახარებლად.

დედა შვილს ელაპარაკება
და მწვანე ყურმილი
ფერმკრთალი თითების
სევდიან სითბოში
ისე ფეთქავს,
ვით მაჯა შვილისა.

მათ შორის დიდი მანძილია,
ვინ იცის, რამდენჯერ
გადავლილ-გადმოვლილი
მონატრების მზისფერი ბილიკებით.

დედა შვილს ელაპარაკება
და სამყარო პატარავდება
და, სადაცაა, ბუდედ იქცევა
და იმ ბუდეში ორი გული
უკვდავების წყაროსთან ამოსული
ყვავილივით დაიწყებს ფეთქვას.

უკვდავების წყაროსავით

აკიაფდა თვალი მარჯნის,
ისმენ წყაროს ანცობებს.
ჰორიზონტის ყვავილნარში
ვარსკვლავები წაწლობენ.

მიწა მწირის ჯვალოსავით
თბილია და უბრალო.
შენ ხარ ჩემი სალოცავი,
იისგულა უფალო.

რა ჩონგური, რის გიტარა
(ხმა გაკმინდეს მერცხლებმა), _
სიჩუმეა იმისთანა,
გალობისა შეგრცხვება.

სადღაც _ ცეცხლი მობრიალე,
ხმა სივრცეში გავიდა.
მთვარის ოქრო მოწკრიალებს
ღრუბლის თეთრი ღარიდან.

მიწა მწირის ჯვალოსავით
თბილია და უბრალო.
შენ ხარ ჩემი სალოცავი,
უკვდავების წყაროსავით
გეწაფები, უფალო.

* * *

ზოგისთვის დარდი ხარ
ზოგისთვის_სიხარული
ხოლო ღმერთისათვის_ორივე.

* * *

ბაღის სურნელში გავეხვიე
თითქოს ღმერთმა ჩამიკრა გულში.

შალვა ბაკურაძე

საქორწინო ლოცვა

ვიდრე საუბარს დავიწყებდე იმაზე, როგორ
შეიქმნა ცა და შემდეგ მიწა, რომელზეც ახლა
გიდგათ თითეულს ხორცი.
იმას გახარებთ დაწვრილებით, თუ რატომ გჯერათ,
რომ ეს მიწა ხართ
და რატომ გტანჯავთ, რომ ეს სული ხართ
და რატომ ამბობთ, ცოცხლები ვართო, სანამ ესწრებით
სულის და ხორცის ქორწილს.
ყოველ ქორწილში, დამეთანხმეთ, მივდივართ, რადგან,
იქ სიხარული გველოდება პატარძლის სახლთან,
სულიც და ხორციც ხარობს.
და თითეული ჩვენთაგანი, რომელიც მიდის
მეფე- დედოფლის დასალოცად და გულში ჩქარობს,
ნურცერთ ფიქრზე ნუ შეყოვნდება, იჩქაროს, ის ხომ
თავის ქორწილში მიდის.
თავდაპირველად იყო სული და შემდეგ უკვე
გამჩენმა მიწა გააჩინა, ეს ჩემზე უკეთ
პატარა ბავშვმაც იცის.
იმ სიყვარულშიც ბავშვი გვჯობნის, რომელიც ცამდე
მართალი იყო ღვთის წინაშე, როდესაც ამდენ
დუმილის შემდეგ სხეულსა და სულს შორის იშვა.
ხოლო მანადე, ვიდრე ღმერთი ცისა და მიწის
სიყვარულს გულზე დაადებდა სიცოცხლის ნიშანს,
გულისსწორებმა ერთმანეთის წინაშე დადეს
უღალატობის ფიცი.
არავის გვახსოვს ის ტკბილი დრო, როდესაც ზეცას
მიწა მეუღლის სხეულივით სხეულზე ეწვა
და სულში იყო ხორცი.
მაგრამ ჩვენ ვიცით, თუ ვინ იყო შემცოდე, როცა
სიყვარულს ფუძე მოეშალა და მხოლოდ ლოცვამ
იხსნა წყევლისგან ის მართალი, ხორცი კი, ხორცი
სიკვდილისათვის გაიწირა, რადგანაც ხორცმა
სულის სიყვარულს უღალატა, სული კი დღესაც
სულს ითქვამს მხოლოდ ლოცვით.
ცას იმ დღის შემდეგ გამოეყო ხმელეთი, ხოლო
სული სხეულში, როგორც უცხო ბინაში ცხოვრობს,
და სანამ ცხოვრობს, ქორწილია, თუმცაღა მხოლოდ,
დროებით შედის სული ხორცში და ბოლო-ბოლო
ადრე თუ გვიან ტოვებს.
ამიტომ, სანამ ერთადა ვართ სულიც და ხორციც,

ნუ დავასრულებთ სამარცხვინოდ ერთადერთ ქორწილს
ნუ დავიჯერებთ, რომ სხეულიც ჩვენა ვართ ჯერაც.
პატივი ვცეთ და ყოველ
შემთხვევისათვის გავამხნევოთ ასეთი ლოცვით,
რადგან ქორწილის შემდეგ სულად ვიქცევი, მჯერა.
სულად ვიქცევი, მჯერა.

"საღვთომან ნისლმან"

გზამ დაიფაროს ყველა მგზავრი,
გზამ აზიაროს მოკლულები,
გზამ ამიხილოს გული
ამ სიმღერაში, რომლისთვისაც
სამ უკანასკნელ შუაღამეს
გარს უშედეგოდ ვუვლი.

ზღვამ გამიმხილოს მარილი და
ამ მიწიანი ლაყუჩებით
კვლავ ამამღეროს შენთვის,
რომ შენი ხელი კიდევ ერთხელ,
რომ შენთან ყოფნა კიდევ დიდხანს,
სხვა არაფერი მეტი.

აქ ყველაფერი შენითაა,
აქ ყველა ძილი შენთვის მღვიძავს
და უფრო ვხვდები,მენდე
თუ ეს სიტყვები დღევანდლამდე
უ ერთმანეთოდ, როგორ ძლებდნენ,
რას ელოდნენ და ძლებდნენ.

ძლებს ჩემი ხსოვნაც ომგამოვლილ
ძვლებ გადამტვრეულ მეგობრებად,
წლებ გადახოტრილ ბავშვად,
რომ ჩემი ლოცვა სიყვარული
მათ დაუვიწყარ სახეებად
ამ სიმღერაში ჩავსვა.

ვსვა შენი წყალი სერობებზე,
ვსვა შენი ღვინო ონკანიდან,
სხვას ვეღარავის ვანდო,
ეს ეჭვით სავსე გულისჯიბე,
მტვრით გაჟღენთილი პერანგი და
მზით გაცრეცილი მანტო.

რომ ყველაფერი დაგავიწყო,
რომ ყველაფერი მაპატიო,
რომ შეჩურთული სადმე
ბნელ კარადაში მიპოვნო და
ფრთა სახელოში გამიყარო,
ტანთ ჩამიცვა და გავთბე.

სახელი

სამივე ფრთით
ნაწვიმარ მიწას რომ მივითრევ
ესაა ჩემი მთავარი ლოცვა

ესაა ჩემი ფრენა
სამივე მუხლზე სამი მკლავით გეხვევი როცა

სამივე ზურგით
შენს ღრუბლისფერ მკერდს რომ მივეყრდნო
ეგაა ჩემი ძილი

ჩემი ოჯახიც ეგეთია
სამი მამა
ერთი დედა
სამი ქმარი
და სამი შვილი

სამივე გულით ამას ვფეთქავ
სამივე თვალით ამას ვტირი
სამივე ჩემი ხელისგულით ვმალავ შენსგან სამივე სახეს

რადგან სამთაგან ვერცერთი ენა მათქმევინებს
შენს
ერთადერთ სახელს

საშობაო კვარტეტი

კორპუსებს შორის ჩაწოლილი ნისლის თანახმად
ღამემ ქალაქი მისი მოსვლის შიშით დანაღმა
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ჩააქრეთ შუქი ოთახებში, ჩააქრეთ ლამპა,
ნუ მოუყვებით დღეს ძილის წინ შვილიშვილს ამბავს
გასულ ზამთარზე, იატაკზე ჩაის რომ სვამდით,
როცა უეცრად ცვლილებები დაეტყო ამინდს
და ჩვენ შევძელით ფანჯრის მიღმა იმის დანახვა,
ვინც ათი წლის წინ სწორედ ასე, გასულმა ღამით
ბედნიერება მეგობრებთან ერთად დამარხა.
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ის არის თხელი, უფრო ჯმუხი, ვიდრე დაბალი.
ზამთარში დღისით ქურქი ათბობს _ ღამით საბანი.
ზამთრის ცივ ქარში აშრობს ხელებს ახალდაბანილს.
ქოთნის ყვავილებს უფრთხილდება, უვლის შვილივით
და ყოველ დილით პლანს ეწევა მამის ჩილიმით.
არ გამოხვიდეთ სახლებიდსან ამაღამ!

ის, როგორც წესი, ამ დილითაც ძილისგან აღსდგა,
მოფსა, ჩარეცხა, მიესალმა ოჯახის წევრებს.
მიუალერსა, ჩაეხუტა, თითეულ მათგანს.
თითოჯერ, ორჯერ, სამჯერ, ექვსჯერ და უკვე მერვე
წრეზე რომ უნდა წასულიყო გახედა ზამთარს,
მოიხედა და დედა უკვე კაკაოს სვამდა.
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

დავარცხნა წვერი, შემოიცვა, ტერფები ჩაყო
თბილ ფეხსაცმელში, შემოიჭდო, შეიკრა თასმა.
სარკესთან სახე მიიტანა ძალიან ახლოს,
ვერ შეამჩნია ცვლილება და გავიდა გარეთ,
არ გაუჩერა აჩქარებულს არცერთმა ტაქსმა
და კორპუსებზე მიბჯენილი ღრუბლის თანახმად
დღეს ამ ქალაქში არავინ არ გაუღებს კარებს,
მას ოცდაათი უსრულდება ამაღამ!

ხალხი კი მწყობრად, ძველებურად ხელში ნაძვებით
შობა ღამეში მიაბიჯებს მაინც თავხედად
და ჩვენ მათსავით თბილ ლოგინში სანამ ჩავწვებით,
სანამ ძილის წინ ფანჯრებსა და კარებს დავკეტავთ,
ლოცვასავით ვთქვათ თეთრი თოვლი, რომლის თანახმად
მას ოცდაათი უსრულდება ამაღამ!

გუშინ ბოლოჯერ იწვა ქალთან, რომელიც უყვარს,
რომლის სხეულსაც ათი წელი მორჩილად უძლებს.
იწვნენ უსიტყვოდ, უყურებდნენ გამურულ ბუხარს.
საათი, ორი, მერე ქალმა ფეხმიმე მუცელს
ხელისგულები მოუსვა და მამაკაცს უთხრა:
ექიმმა ზუსტად გამოთვალა, ივლისში უწევს
დაბადება და მომავალი შვილის მამა ხარ.
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

ის ახლა ქუჩის ბოლოში დგას მწვანე ფარდულთან,
მშვიდად უწოდებს ათლარიანს თევზის გამყიდველს,
თითით ანიშნებს შუქანთებულ მეცხრე სართულს და
ხმაჩახლეჩილი იმეორებს მშვიდი სახითვე,
რომ კორპუსებზე მიბჯენილი ღრუბლის თანახმად
იმ სახლში აღარ დაბრუნდება, მორჩა, დასრულდა,
რომ ოცდაათი უსრულდება ამაღამ.

ჩვენ კი ოთხივე, წლების შემდეგ დავსხდებით სადმე
უფრო ცალ-ცალკე _ ვიდრე ერთად და ამღამიდან
ავთვლით ცაში ცას, მიწაზე ღმერთს და
გულებში სათქმელს.
დავწერთ, რომ ყველა უღმერთოდ შეცდა,
თუ მასში ეჭვი შეეპარა, თუნდაც წამითაც.
დავწერთ, რომ მოკვდა ყველასათვის იმ საღამოს და
საკუთარ თავზე მხოლობითში ღმერთი წამოცდა.
არ გამოხვიდეთ სახლებიდან ამაღამ!

დავწერთ, რომ მოკვდა ყველასათვის და მერე შაშვი
დიდხანს მტრედის ხმით ღუღუნებდა მის ფანჯარასთან,
სანამ დედა არ წამოდგა და მსუბუქი ტაშით
დააფრთხო ჩიტი, ფანჯარა კი მტკიცედ ჩარაზა,
თმა ყურის უკან გადიწია და სუფთად გაშლილ
ლოგინს ქოშინით დაუბრუნდა ჩამოჯდა, დაწვა,
ერთიც ჩაკბიჩა ტუმბოს თავზე ნადები ვაშლი,
მკლავი ბალიშზე დაასვენა და მხოლოდ მაშინ,
შეამჩნია, რომ მის საწოლთან მეუღლის ნაცვლად
იწვა შიშველი ახლადშობილი ბავშვი,
ბედნიერია, ვინც არ შეცდება მასში!
ბედნიერია, ვინც არ შეცდება მასში!
ბედნიერია, ვინც არ შეცდება მასში!

ჯნანა

შუაღამისას წყლის ხმაური გამოგაღვიძებს
და სხეულზე ცისფერი ქვიშა აგეკრობა
ზღვის სურნელი ასდინდება მარილიან მკლავებს და ტერფებს
თვალებიდან კი დუმფარები ამოთენდება

ნავში გულაღმა ჩაძინებულ მოხუც მეთევზეს
პირველყოფილი სიჩუმე დაესიზმრება
და ცრემლების მლაშე შეგრძნება გამოაღვიძებს
“შიშველი ქალი კიბეზე ეშვება”
და ხედავს
მარადიული აწმყო ამტვრევს ზღვის ნეკნებს
მდინარეები სისხლით გრძნობენ დაბადებიდან სიკვდილამდე
გავლებულ ძარღვებს
დრო უძრაობას ეგუება
წყალო ცხოველო დაგვიბრუნე უნაყოფოებს სიშიშვლე
დედალოსი ლაბირინთებში მოხეტიალე
ბადე, რომელშიც ჩავაქსოვე მე ეს ბაწარი
უსასრულოდ გამჭვირვალეა და ცოცხალი
და რად ვიდარდო
რომ მემკვიდრე მეათასედ გამიტაცებს წრებრუნვაში
დღენიადაგ დასაბრუნებლად განწირულს
თუკი ჭურჭელი თიხისაა
და სიცარიელეს დასტრიალებს მაინც მეჭურჭლე

არა
გახსოვდეს მუდამ რომ შენ არა ხარ ეს სხეული
მაგრამ დადგება დღე
და მოინდომებ დაბრუნებას
მასში
ვინც უკვე დიდი ხნის წინ გადაივიწყე
გახვალ ეზოში და მოწმენდილ ცაზე ვეღარ იხილავ მზეს
რადგან მზერა მხოლოდ ფარდაა უმეცრების შესანიღბად
მოვა სატრფო ესეიგი საყვარელი ადამიანი
მთვარისფერი კანით და უამრავი საალერსო სიტყვით
მაგრამ ჩანჩქერის ხმა ჩაახშობს მათ
და ვეღარც ერთი ძველი ნუგეშით ვერ დაიმშვიდებ მოცახცახე სულს
რომელიც შენ ხარ

როცა აქილევსს ოცდაათი შეუსრულდება
დედიშობილა გავა ზღვასთან
და სხეულში ვარსკვლავებს იგრძნობს
ხოლო ბრძოლის წინ ოდისევსთან ჩაჯდება ეტლში
და აუწყებს საკუთარ თავს
(ვით ჟამსა და სამყაროთა უფსკრულს)

და იტყვის
დ ა მ ი მ ა ხ ს ო ვ რ ე
რადგან ოქროა ჩემ ირგვლივ და ვეღარ გამჩნევ
რადგან ვიხილე მზე პირველად
და ვხედავ სიზმრებს ოდესღაც რომ დამსიზმრებია
რადგან დღე დადგა მახსოვრობის
რადგან მარადიული ხორციელების დადგა დღე
მეტყვის კი ვინმე სად ვიწყები ან სად ვმთავრდები
აღიქვამს კი ჩემი ხორცის თვალუწვდენელ წიაღისეულს
ვინ განჭვრიტოს ჩემი შინასკნელი
მარადიული ლტოლვა ელიფსიდან ელიფსისაკენ
ვინ დათვალოს ვარსკვლავები თითო ატომში
ვინ ახსნას დემოკრიტეს ამხდარი სიზმრები
საით მივყავართ იმ სამ წელიწადს
რომლებმაც სამი მზიანი დღესავით ჩაიარეს

დილაადრიან მე და შენ ორნი ზღვასთან გავალთ
და მარადისობის თეთრ ბილიკებს გავუყვებით
იქ თოლიებად გადაიქცნენ მეთევზეები
იქ თეთრი მზეა და ოქროა

“მე სარეცლიდან გითვალთვალებ
როგორ დაამსხვრევ ძმრიან ლამბაქს
შენ
ვისთანაც ეს-ესაა ერთხორც ვიყავი”
და ჩავისუნთქავ დაღლილ მზერას
როგორც ჰაერს მაღლობ გზაზე

სამუდამოა ზღვის შეგრძნება
THALATA THALATA

ირმა მალაციძე

გადარჩენა

შეხედე _
გახუნებია ყვითელი ვინსენტს...
დაშვებული აფრებივით
უღონოდ ჰკიდია იმედი ანძებს...
ჩემს უძირო ჩანთაში მიყრილ ნივთებში
გაბნეულა წუხანდელი სიზმარიც...
პაწია თითები იღებენ ტოკატოებს,
სათვალიდან იმზირებიან პაწაწა ეშმაკუნები _
თიკოს თვალები...
სათამაშოდ იწვევენ სასოწარკვეთას.
მარწუხებივით ჩამფრენია
ორი მაშველი რგოლი,
და მიმათრევენ ნაპირისაკენ
თავგანწირვით...
რას შეამჩნევენ ოკეანეში
სულ რაღაც... ცრემლებს...
მლაშე მლაშეს ერევა
და ინთქმება თვალუწვდენელში.
არადა, რა ყვითელი ჰქონდა ვინსენტს...
მზემ თუ გაუხუნა ალბათ...

ილუზია

არსება, რომელიც შევქმენი ფიქრებით,
ოცნებით შევმოსე სადად და ლამაზად,
_ დღეიდან, იცოდე, შენ ჩემი იქნები
აღარსად გაგიშვებ _ კარს მაგრად ჩავრაზავ.

საუზმედ მოგართმევ ფაფას ილუზიის,
დღისით გამოგკვებავ რითმით და პწკარედით,
მერე შეგეყრები მწვავე ვირუსივით,
ბეწვის ხიდს გავივლით ორივე წვალებით.

გძერწავდი დიდხანს და გძერწავდი ჯიუტად,
შენს თვალებს ვკვეთდი და ვხატავდი საჭრეთლით,
ამ სტრიქონს ვარსკვლავი ცას ჭორად მიუტანს,
მეც, თავს მოვიტყუებ, ვითომ ვერც ვამჩნევდი.

არსებავ, რომელიც შეგქმენი ფიქრებით,
თიხით რომ მოგზილე, და წითელ აყალოდ
ცეცხლად რომ აგანთე... ვეღარ ჩამიქრები,
ღვარცოფმა მთელი რომც წალეკოს სამყარო...

სალამი, სევდავ!

სალამი, სევდავ!
მოხვედი?
აღარ გელოდი.
მეგონა, სამუდამოდ გაიხურე კარი და
თოვლივით დადნი დილის ლაჟვარდში.…
მეხსიერების შავ უჯრედებს ისევ ახსოვთ
შენი შხამწასმული,
ბასრი ისრების გემო.
შენი ეკლების სილბილე...
ფრთების სიმსუბუქე...
ჩურჩულის გრგვინვა...
ცრემლთა მდუღარება...
და მოლოდინის ყინულოვანი უსასრულობა...
შემოდი სევდავ!
კარი დახურე!
თორემ დაუბერავს იმედის სიო
და ისევ გაგფანტავს
და გადაგკარგავს იქ,
სადაც ვერ აღწევს ვერაფერი,
გარდა ფიქრისა...
ბავშვობის მივიწყებულ სურნელს ახსოვხარ...
ის გიგებს ლოგინს,
ამზეურებს მსუბუქ სასთუმალს
და ყოველ ღამით გიმღერის ნანას...
დარჩი, სევდავ!
არ წახვიდე!
გემუდარები!
უშენოდ სიტყვა აღარ სიტყვობს,
ვერ სწყდება ბაგეს...
ქაღალდიც ფრიად მოწყენილი ელის,
როდის მოუხატავენ კალთებს
იისფერ მელნით...
მოდი ახლოს, ჩემომიჯექი სასთუმალთან
და შემოევლე არშიებად
ჩემს უფერულ და უსახურ სიზმრებს!
სალამი სევდავ!
კეთილი იყოს შენი მობრძანება.
არ მიმატოვო!

სადღაც შუაში

ვერ დადგა ჩემგან ანგელოზი...
თუმცა ღრუბელი
ციბრუტივით მატრიალებდა,
როცა ქათქათა ფრთებს მარგებდა...
მმოსავდა ჰაერის გამჭვირვალობით
და სხივებს მიბნევდა თმაში...
სულ ფუჭად...
ვერ ვატარე სიმსუბუქე...
ფეხზე ქვა მომაბეს
და ცის ფსკერზე დამიშვეს...
მიწას რომ ეძახიან და
ცოდვისგან რომ იზნიქება...
თუმც ისევ მრგვალია
და ისევ ბრუნავს...
ფერებიც ისევ ხასხასაა და
ზღვაც არ დამშრალა... ჯერჯერობით...
ვეღარც ცოდვილად ვივარგე...
მძიმე აღამოჩნდა ქვის ტარება,
რომელიც უკვე ფეხიდან შემხსნეს
და გულში ჩამიდეს...
მოვძებნე ოქროს შუალედი _
გამოვეკიდე ცასა და მიწას შორის...
ახლაც იქა ვარ _ სადღაც შუაში,
ყოფნა-არყოფნის ზღვარზე,
ვერ გამიგია – ვისი ვარ?

* * *

ახლა ყველაფერი არია,
სიტყვებმა ადგილი ვეღარ გაიყვეს
და წინადადებაში დაიწყეს ხტომა...
შიშმა სიყვარულს ხელი უბიძგა,
გადააგდო ხაზიდან და გაიმაგრა პოზიციები,
ტკივილს ეყო კადნიერება და იმედს ჩაენაცვლა,
როცა ის დასასვენებლად მიწვა მინდორზე...
წერტილს კიდევ ორი წერტილი მიუსკუპდა,
რა დროს დასასრულიაო, _
ჩაიცინეს წერტილებმა ორაზროვნად.....
და დაიწყო ბრძოლა:
აღმაფრენის – სასოწარკვეთის,U
უნდობლობის _ მიამიტობის,
და ტყუილ-მართლის...
მერე, როგორც დაუმორჩილებელ მომიტინგეებს
დაეშვა ჭავლი ცრემლის,
დაფანტა ურჩი მოქიშპეები.
უწესრიგოდ მიყარ-მოყარა
ზემოდან რისხვად ჩამოსულმა...
და აიძულა წერტილს _ მოეძებნა თავისი ნიშა.
ახლა ბრძოლის ველი დადუმებულა,
მორწყულია ის მელნის სისხლით
უსულოდ ჰყრია სიყვარული, იმედი, ნდობა...

ლელა სამნიაშვილი

დაბრუნებამდე

”შენს მუჭში ხელი დამეღალა” –
უცაბედი ღალატივით ფიქრია, როგორც –
”სამშობლოში ვერ ვიკეტები”.

ფილიპინელი გოგო რომ ვიყო,
ვილოცებდი დაძინებისას, რომ ჩემი სოფლის ახლოს
ვულკანს გაღვიძებოდა და მეცეკვა საკუთარ ფერფლში.

ირანელი გოგო რომ ვიყო,
შუა ქუჩაში მოვიხსნიდი ამ წუთს - თავსაფარს
და თვალებზე შემოვიხვევდი.

როგორც სადგურზე გადამსკდარი ჩემოდანი,
ნივთები და ტანსაცმელი რომ სცვივა, - უნდა
ჩავაპირქვავო, ჩავკეტო წუთი;

გამახსენდეს, რომ ვდგავარ სადღაც –
გალერეაში; უზარმაზარი ნატურმორტი მათვალიერებს, -
ტკბილეული ლამისაა სათითაოდ ამომაცალოს;

გამახსენდეს, რომ ჯერ კიდევ შემიძლია დაბრუნება,
რომ ჯერ კიდევ შეგიძლია დაბრუნება;
გამიცოცხლდეს შენს მუჭში – ხელი.

კეროლაინი. დედა აფრიკა

ჩემი უგანდელი მეგობრის
კეროლაინ ლამუოკას ხსოვნას

მოძრაობიდან გამოძრომას სჭირდება ძალა
ხორცის ძვლებამდე დასვლის, ფილტვების შეშუპების,
ციებ-ცხელების, ან თვალწასული წყაროს სიწმინდის.

აბრეშუმიდან ამოცლილი ძაფია სუნთქვა.
შავ აბრეშუმს არც დაემჩნევა. გადავიხვიოთ თითზე,
დავწყვიტოთ. გამადიდებლად მზე დავადოთ, რომ დანახშირდეს.

ასეც – მუქია, ისეც – მუქია. არაფერი არ დაემჩნევა:
კონტინენტი – დედა ფუტკარი, რომლის საშოშიც
იდო ჩვენი პირველი ჩონჩხი. სიშავემდე ოქროსფერია.

ის მწიფდება ყველაზე ადრე. ის იზრდება,
ის ბერდება ყველაზე ადრე. და ყველაზე ადრე ვივიწყებთ.
ხის ნიღაბს ვადებთ მუქ სახეზე თვალდაუხუჭავს.

კეროლაინ,
შენი ქვეყნის თოფიანი შავი კაცები – ახმახები,
თოფიანი თეთრი კაცების სილუეტებში ვერჩატეულნი,
მშიერი ძვლებით – მზის მენჯებში რჩებიან მარად.

ზედ აკვრიან ბავშვები ქალებს, რომ რძის გაშრობის
შემდეგ პურად ლოღნონ მათი დამდნარი მკერდი,
მაშინ როცა ძილისპირულს ამღერებენ ძიძა მანქანებს –

ოკეანისმიღმა დედები. ბავშვები – ძიძა მანქანებისგან –
შენი ქვეყნის სიმღერებსაც ისმენენ ზოგჯერ
და გონიათ, რომ ლამაზი ზღაპარია – სიშავემდე ოქროსფერია.

შენგან სიტყვაც კი აღარ ისმის. როცა ისმის,
ეს არ არის შენი სიტყვა – თბილი და სადა, გულალალი, როგორც აფრიკა,
სადაც სიცხე დროს და ჰაერს დღემდე ადედებს,
რომ სულები დარჩეს ხილული

კონტრაბანდა

ჯოჯოხეთში არ მიშვებენ:
ყოველ ჯერზე _ ოკეანე შემაქვს კოლბით,

როიალის კლავიშები _ ჯიბით შემაქვს;
არ მიშვებენ: პოეტური ეშმაკობით _

რას ვაჯობებ ეშმაკობას;
და სამკბილა იასამნის ციცქნა მარცვლებს _

ფრჩხილებიდან მაცლიან და არ მაცდიან _
კოცონისკენ _ თაღებს გავცდე;

კოცნა შემაქვს. არ მიშვებენ _ სამოთხეშიც:
თითო ტკივილს თან ვიტოვებ ყოველ ჯერზე;

და როდესაც პოულობენ, _
შერცხვენილი _ პოეტობას ვიმიზეზებ.

კრისტალიდან

სიცხეში - გამთბარი - რა დასალევია -
წყალი, თუ ყინულის კვნიტი არ წკრიალებს -
გრძნობაში, რომელიც გადასარევია.
სამშობლოს ოხშივარს ვისუნთქავ კი არა -
უკვე სასულეში გადამცდა. ავყრიდი -
გრძნობიდან - ქვაფენილს. ვიცი, რომ გამიგებ.
და აეროპორტში ბოლო წუთს ნაყიდი
ქართული ღვინო რომ გაფრენის განრიგებს
და ცას გადავასხი და რკინის ფასკუნჯებს -
ამაზე გიამბობ მშობლიურ კაფეში.
და მიკვირს, ეს ღელვა რატომ არ მამუნჯებს
და ვიცი, ფიქრობ, რომ არ უნდა გაგეშვი -
სხვა მონატრებისკენ. რა დასალევია -
სიცხეში - გამთბარი წყალი. და ამიტომ
ამ გრძნობას, რომელიც გადასარევია -
მე ისევ ყინულის კრისტალში ჩაგიტოვ.

ფარდაგი

ქვიშა და წყალი, ქვა და ხავსი -
რელიეფი შენი ფარდაგის -
სახელდახელოდ გაგორებულის -
ტერფქვეშ იცვლება. დაბიჯებას ძლივს ვასწრებ.
კაწრავს. თვითონვე არჩენს.
ქუჩები და კიბეები და იატაკი,
განათება და შუქ-ჩრდილები -
მიცვლის სახეს, ასაკსა და მიმართულებას.
ნაბიჯს ვუჩქარებ და ფარდაგიც სულ უფრო სწრაფად
მიგორავს, ასწრებს ტერფქვეშ გაგებას.
ღმერთო, ზოგჯერ როგორ უშენოდ მტკივნეულია.
ხოლო ზოგჯერ - ფეხის თითები -
თმის ღერებამდე იწყებენ ციმციმს.
ცაც იცვლება ჩემს თავსზემოთ -
სპეცეფექტებს არ იშურებს -
მომდევს თავისი ღრუბლებით და
დიდი დათვის თანავარსკვლავედს
მოაფრიალებს. ვერ გავიგე -
ეს მზეები ერთჯერადია, თუ ერთია
და დღეები გზადაგზა სცვივა.
როგორ ვენდობი მე ამ ფარდაგს,
როგორ მივყვები, და ისიც - როგორ იგრაგნება,
როგორ მიგორავს- სულ უფრო სწრაფად -
ტერფქვეშ გაშლას ასწრებს, აგრძელებს.
რამდენი ნივთი დამრჩა უკან -
ვერ ავისხი სამკაულებად.
თითები და მხრები არ მეყო.
ოკეანემ შეასახლა მათში თევზები.
რასაც სული აქვს, თან გამომყვა -
გამოიქცა, კვალდაკვალ მდია -
ალუბლის ხეში ლიქიორი ჩადგა, გაცოცხლდა,
მეგობრებმა არქტიკული სილურჯისკენ
თვალების თაფლი გამომაყოლეს,
ტბებმა ყინული გადაიკრეს, რომ გადამევლო,
შენ - ჰაერივით შემომეხვიე,
რომ მეყო ასე - სუნთქვის ბოლომდე

არნოლდ გეგეჭორი

სიყვარულის - ადამიანის ფსიქიკის ამ უიშვიათესი გამოვლინების ინტერ-პრეტაცია "ფიზიკოსისა" (მეცნიერის) და ლირიკოსის (პოეტის) თვალსაზრისით

პრეისტორიული ადამიანის მამაკაცსა და ქალს შორის შორეულ წარსულში ჩამოყალიბდა *ეპიგამიური* ურთიერთობა - *სიყვარული.* იგი კულტურის მატარებელი არსების - ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის და, შესაბამისად, ფსიქიკის ერთ-ერთი განსაკუთრებული გამოვლენაა. ორ სქესს შორის ეპიგამიური ურთიერთობა გაცილებით მაღლა დგას ცხოველთა ბიოლოგიურ ინსტინქტებზე. ცოცხალი ბუნების სინამდვილეში ეპიგამია ისეთივე უნიკალური თვისებაა, როგორც თვით ადამიანი - ჰომო საპიენს-ი. განსაკუთრებული ფსიქიკური გამოვლინების - სიყვარულის ფორმირებას ადამიანში თავისი არაორდინალური, ბიოსოციალური საფუძვლები გააჩნდა. იგი მოტივირებული იყო: პირველი - მშობიარობის განსაკუთრებული სირთულით (რაც არცერთ ძუძუმწოვარს არ ახასიათებს), მეორე - ნაშიერის პოსტემბრიონული განვითარების (ჩვილობის ფაზა) უჩვეულო ხანგრძლივობით (რასაც არ ვხვდებით არცერთ პრიმატში).

ასეთ არსებას, ბუნების მტრულ გარემოში, მუდმივი და ერთგული დამცველი ჭირდებოდა. ქვითკირივით მყარი საყრდენი მამაკაცი იყო. სხვადასხვა ფუნქციების მქონე ორი სქესის ერთადერთ, მუდმივ დამაკავშირებელ ძალას სიყვარული წარმოადგენდა. ადამიანის ხანგრძლივი ევოლუციის პროცესში ეს ნიშან-თვისება ისევე ჩამოყალიბდა, როგორც, მაგალითად დისკრეტული (დანაწევრებული) მეტყველება (ასევე მხოლოდ ჩვენი სახეობისთვის დამახასიათებელი, იმავე ცენტრალური ნერვული სისტემიდან გამომდინარე ატრიბუტი). უფრო მეტიც, ეპიგამიურმა ურთიერთობამ - ოჯახის - სოციუმის ამ უპირველესი ერთეულის წინაპირობამ, ადამიანი, როგორც ბიოლოგიური სახეობა ფიზიკური განადგურებისგან იხსნა, სხვა სიტყვებით, მან არ გაიზიარა სხვა ბიპედური (ორფეხა) არსებების - ავსტრალოპითეკებისა და ჰომოს სხვა, აწ გადაშენებული სახეობების ბედი და ერთადერთ მოაზროვნე პრიმად, პირველად-პრიმატად შემორჩა დედამიწას.

მრწამსი

მრწამსის, თუ რწმენის გლობალური დევალვაციის საუკუნეში
შემჩრა იდეა და მიხარია!
არ მიყვარს ჭორი, კამუფლაჟი, ბაკქანალია,
ვისთანაც ვნატრობ ნაღდ ბოჰემას, განმარტოებას
– ერთეულია!
ნიჰილიზმი მარგარიტა გოტიესი ჩემთვის უცხოა:
„რად მიყვარს კაცი ფულიანი? – გრძნობა არა აქვს!
რად მიყვარს ღვინო შაქარწყლიანი? გემო არა აქვს!
რად მიყვარს ტურფა კამელია? – სუნი არა აქვს!"...
ყველაფერი ეს გროტესკი არის, კურტიზან ქალის

– ანომალია!
სიცოცხლე მიყვარს!!
მომწონს არშიყი მთვარიან ღამეს ლერწმის ნიავთან,
გამიჯნურება ნორჩი ბალახის მზის ოქროს სხივთან,
ვარდთა სავანეს ბულბულის ყეფა თვის გულის ტოლთან...
და მითუმეტეს მხიბლავს კაცი ხელი ტრფობითა,
მოჭარბებული სურვილებით, ვნებით, გრძნობითა.
სიყვარულისთვის შექმნილია ყველა არსება,
მღილი იქნება შეუმჩნეველი, თუ ჯიში ლომთა.
და ვაი, სულდგმულს, იმ ხორციელს, ადამის მოდგმას,
ვისაც აკლია არსი ამა წუთისოფლის
– ჟინი ტრფობისა!!!

“არასოდეს გქონდეს გაყოფილი ცხვირი ზომიერი კლიმატის სარტყლიდან და არ გქონდეს ნანახი ნოტიო ტროპიკები იგივეა, რაც მთელი ცხოვრება ტყისპირას გაატარო და ერთხელაც არ შეიჭვრიტო მის შიგნით”.

დევიდ ფერჩაილდი

იშვიათია ადამიანი, რომელსაც არ ენატროს მარადმწვანე, ნოტიო ტროპიკული ტყეების, ჩვეულებრივ ენაზე - ჯუნგლების ნახვა, მისი წიაღით ტკბობა, მით უმეტეს ბიოლოგს, ბიოგეოგრაფს. ცოტა ხნით დავივიწყოთ მეცნიერება, შევხედოთ ტროპიკებს რომანტიკოსის, ლირიკოსის თვალით, წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით. დავიწყოთ ადგილობრივი ყვავილებით, თუნდაც ორქიდეებით. ბუნების ძალებმა მათზე და, ცხადია, სხვებზედაც თავიანთი ფანტაზიის მაქსიმუმი დახარჯეს. ფერების, ფორმების, მაქმანების, სურნელის რა უკიდეგანო სამყარო, რა უსასრულო მრავალფეროვნება!...

ლექსის ენაზე ამ სამყაროს ასე დავხატავდი:

აქ კულტია ორქიდეის,
უნაზეს ჰიმნს სული მღერის,
აქ შეუთხზავს ქალღმერთ ფლორას
ყვავილები ყველა ფერის...

ყვავილის მუდმივი თანამგზავრი, მისი ღირსეული პარტნიორი - პეპელაა. ტროპიკებში დაფრენენ ადგილობრივი პეპლები - მორფიდები. მათ ლაჟვარდოვან სასწაულს უწოდებენ, ფანტასტიკურად ელავენ მზის სხივებზე პეპლის ფრთები - მათზე ხატოვნად მბზინავი და ლაჟვარდოვანი ქვეყნად ცოტა რამ თუ არის...

ცის ლაჟვარდოვან და ზღვის ზურმუხტოვან ფერებში მოელვარე სასწაულის გვერდით, ტროპიკებში ბინადრობს კიდევ ერთი უჩვეულო არსება. მისი ფრენისას თვალს ერთბაშად ჭრის ძვირფასი ქვების: ალმასის, ლალის, საფირონის, ქრიზოლითის ბრწყინვალება. კოლიბრზე მოგახსენებთ!..
მაგრამ ტროპიკულ განედებში, ნეპტუნის (ოკეანის) სამფლობელოში, პოლიპთა მარჯნისფერ ტევრებში “დაფარფატებენ” თევზები, რომლებიც ფერთა ურთიერთშეხამებით, ფორმათა ნაირგვარობითა და ფარფლების მოხაზულობით აჭარბებენ ყველას და ყველაფერს - ღვთიურ ორქიდეებს, პეპელა-მორფიდებს, ჩიტუნა-კოლიბრებს!!!

პირველად, 1986 წელს, ჭეშმარიტი ტროპიკები ვიხილე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შემდეგ, ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით მარადმწვანე სამყაროს ხიბლს ვეზიარე უკლებლივ ყველა კონტინენტზე.

პირველი მაინც ტროპიკული აზია იყო. აქ მიღებულმა ზეჭარბმა ემოციებმა ამაღებინა ხელში კალამი და ლექსებიც დამაწერინა. დაუვიწყარია ფილიპინების კუნძული მაკტანი: აქ, ეროვნულმა გმირმა, ლაპულაპუმ და მისმა ხალხმა 1521 წლის 27 აპრილს უკუაგდეს ესპანელი დამპყრობლები, მოკლეს მათი

ხელმძღვანელი - ყველა დროის ერთ-ერთი უგამორჩეულესი მეზღვაური, მსოფლიო ოკეანის ერთიანობისა და დედამიწის წრიულობის, უფრო ზუსტად - გეოიდურობის დამდგენი - ფერდინანდ მაგელანი.

ეჭვი, ანუ სარკაზმნარევი ბალადა მაგელანს

ძლიერთა ამა ქვეყნისათა:
მეფეთა, პაპთა, იმპერატორთა, თუ ფარაონთა..., გარნა გლახაკთა?
და მითუმეტეს, ტრანსცენდენტთა უკვდავსაყოფად და სადიდებლად,
ვინ უწყის, რამდენი სტელა, ტაძარი თუ პირამიდა წამოუმართავთ.
არავინ იცის, რამდენი მონა ღვთის შეწირვია
უღმრთო კაცღმერთთა ამბიციებს, ველურ ზრახვათა,
მაგრამ შვიდი ათასზე მეტი კუნძულისაგან შემდგარ ქვეყანას (და თანაც ედემს!)
სახელი ერქვას ერთი მონარქის – ფილიპ მეორის?!
დედამიწაზე მხოლოდ ერთია – ფილიპინები!
ვივა უშიშარს, ვითარც უხორცოს, ზღვის მთოკველ კენტავრს,
სული, რომლისაც ღრუბელთ რაშით დღესაც დაგელავს,
ვივა რაინდს და ვივა პირატს, ვივა მაგელანს!!!

* * *

... მაგრამ ერთიც ვთქვათ, ისე, ეჭვად, თან ჰაიჰარად,
მიაჩნდა კი მამაც მეზღვაურს ზღვის სტიქია ლამაზ ბალადად?*
იქნება, სულაც მეფისაგან ელოდა კიდეც დიდ წყალობას, შერმადინობას?...
ნუ მიწყენს ღმერთი მკრეხელობისთვის, რამეთუ ვცოდავ,
ასე მგონია: მეზღვაურ კენტავრს შმაგ ზრახვებისთვის
ტურფა პრინცესა იზაბელა ეცხადებოდა იმ სირინოზად,
ვინც ასე ჰგავდა კოლხთა მრისხანე მეფის ასულს,
ასულს უნაზესს, მშვენიერებით, ესკულაპობით მთელს ელადაში
სახელგანთქმულს,
ქალღმერთ მედეას!

---

* აკი ქვეყნის ერთ პატარა კუნძულ მაკტანზე მკაცრმა ბელადმა ლაპულაპუმ იმსხვერპლა კიდეც.

ფილიპინური ავე–მარია

„იქ არის თეთრი სამლოცველო
სანტა მარიას,
პალმებიანი ნაპირია
ოკეანიის
ნისლი რომ ფარავს“.
ანა კალანდაძე

ქალი, მშვენება ამა სოფლისა,
მუზის იმპულსი მხოლოდ ქალია,
ქალი, მშობელი ასულთ და ძეთა,
და დედა ღვთისა – ავე–მარია.

საქრისტიანო ქვეყნის დასასრულს,
მაცხოვარის წინ ლოცვა მარტვილთა,
ოქროჭედილი წმიდა ბიბლია,
დიდი აზიის დასტურ ხიბლია.
ღვთის მორწმუნეთა წმიდა ტაძრები,
ჯვარცმული ქრისტეს გვამის მშვენება,
ანგელოსების გაფრენა ცისკენ,
ზენარე ძალის ყველგან ჩანს ნება.

... ფილიპინები, მანილა ბეი,*
ოტელ პლაცეში შემოღამება,
მზის ჩასვენაბა ირეალური,
გიტარა, პალმა... ზღვა ნეტარება.

მელოდიები ცით დარხეული,
ესტრადა თითქოს ღვთის კუნძულია,
ლურჯი სამოსი ეგზოტურ ქალთა,
ორქიდეებად აკინძულია.

ჩუმი ჰანგები ესპანურ ბლუზის,
გიტარა კვნესის, თუ ლერწამია,
პიედრო, ხოსე, სან–ანტონიო,
და წყნარზე წყნარი ავე–მარია.

ქარის ჩურჩული ნაზ ყვავილებთან,
ხომალდის აფრაც თითქოს ქნარია,
ბუნების ვალსი პალმის ფოთლებზე
და ზღვის ტალღების ავე–მარია.

ლამპიონების მქრქალი ნათება,
ენით ვერ აღწერ, რაც გიხარია,
მელოდიები ნაზ ზღვაურს ერწყმის,
ჩამავალი მზის ავე–მარია.

ღვთის კუნძულიდან ლურჯი ნიმფები,
ღრუბლებს ჩამოყვნენ, თუ სიზმარია?
ჩამოფარფატდნენ როგორც ქანდაკნი,
ტერეზა, ლიზა... ავე–მარია.

მიპატიჟება კდემამოსილი,
ყველა ჩვენგანი უფლისწულია,
შემდეგ გაქრობა ღვთიურ კუნძულზე,
ჯილდო – ჟასმინის ყვავილწნულია.

* * *

ხარის ქედივით ძლიერ კისერზე,
ირხევა ყვავილთ კრიალოსანი,
აქეთ ნიმფა დგას ლურჯ მოსასხამით,
იქით ქართველი გვირგვინოსანი.

მინდა აორთქლდეს ცისფერი ნისლი,
მაგმა გააქროს ყველა ფერია,
გამომეცხადო, ივერთ მშვენებავ
და მე გიმღერო ავე–მარია...

---

* Manila bay - მანილის ყურე (ინგლისურად)

ცენტრალური (შუა) აზიის დაუთვლელი კონტრასტებიდან გამოვყოფდი ადგილობრივ უდაბნოებსა და მთებს. შუა აზიის უდაბნოები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მშრალი ტრამალებია, მთები - ერთ-ერთი ყველაზე მაღალნი და მასშტაბურნი. აი, მაგალითად, ყარა-ყუმის უდაბნო, მისი ქვიშის ბარხანები. ბუნების მოყვარულები მზის ჩასვლის წინ ყველაზე მაღალი ბარხანის წვერზე სპეციალურად მოექცევიან. დაისი აქ ხანგრძლივი იცის. მზის ჩასვლის შემ-დეგაც დიდხანს შეგიძლია დატკბე უღრუბლო ცის მეწამული ფერებით, სულ უფრო რელიეფურად იხატება ქვიშის სიმეტრიული ზოლები - უდაბნოს თავისებური იეროგლიფები. ნელდება ხვატი, სალბუნით იცვლება ქარის ხორ-შაკიც, დაბოლოს, მზის დისკო - ნახევარსფერო და ვეებერთელა - ჩაძირვას იწყებს ქვიშის ოკეანეში... დგება უდაბნოს ეგზოტიკით მაქსიმალური ტკბობის ჟამი. ყველაფერი ეს არაუდაბნოში მცხოვრებ ადამიანში იშვიათ, ლირიკულ განწყობას ქმნის.

შუა აზიის კონტრასტის მეორე მხარე - მთები. მოვიარე ქოფეთ დაღი, პამირი, ცენტრალური ტიან-შანი, ამ უკანასკნელის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის - ხან-თენგრის კალთებზე კარავი მქონდა დადგმული.

... მთები სიმაღლეა, სიმაღლისკენ ლტოლვა კი ადამიანის დაუოკებელი მისწრაფებაა. მწვერვალთა თავზე მოქცეული ადამიანი მაღლდება სულიერად, ფიზიკურად და თავისი ოცნებებითაც. მთები განსაკუთრებული სამყაროა, იზოლირებული საუფლოა, სადაც სიცოცხლის სიმბოლოდ ქცეულა ნებისყოფა და ვაჟკაცობა.

ვინ მოთვლის დედამიწის რამდენი მთის ციცაბო ბილიკზე მივლია: კავკასიონი, ალპები, ანდები, კილიმანჯარო, ავსტრალიის ცისფერი მთები..., მაგრამ განცვიფრებას ვერასდროს გადავეჩვევი. ყველაზე მეტად მანცვიფრებს უსაშველო სიმაღლეზე - თოვლის, ყინულის, შიშველი კლდეების საუფლოში როგორ იზრდებიან უნატიფესი, უნაზესი და უმშვენიერესი ყვავილები: ნაღველა, მედგარი, მაჩიტა, ღვინა, ფურისულა..., ევროპისა და აზიის ალპებში კიდევ - ედელვაისი...

უდაბნოს მირაჟები

შუა აზია, ყაზახეთი, დიდი ჭიშკარი ჯუნგარეთისა,
ვეება პანო უძველეს ხალხთა, მათი ცხოვრების რთული ხვედრისა.
ფერად ტრამალთა უსასრულობა, ხატოვანება იურტებისა,
ნახევარმთვარის ფერმკთალი რკალი, კულტი და რიდი მეჩეთებისა.

ეს მწირი მიწა წარსულია, ისტორიაა, გლახაკთ და გმირთა,
აგერ, დასტურიც – ყორღანები – უძველეს ხალხთა, მძლეთამძლე სკვითთა,
შემდეგ ჰუნები – დიდი ატილა – დაუზოგავი მეფე ვამპირთა
და კიდევ სხვანნი – ჭრელნი და ჭრელნი, ზოგნი მკვიდრნი და ზოგნიც გავლითა.

გამოხდა ჟამი, მიწაზე ისევ ჩამოწვა მწუხრი, წარღვნის ფერები,
ქარიშხალს მოჰყვა მონღოლ–თათართა გაუხედნავი, ურა ცხენები,
კოჭლი თემურის მუხანათობა, დემონური და ავი ვნებები,
ივერიასაც გველეშაპივით ლოკავდა მისი ცეცხლის ენები.

– გავიდა ჟამი და ერთხელ კიდევ ხალხთა ამკლები მომძლავრდა კეთრი,
წყვდიადმა შთანთქა ისევ სინათლე, შავად შემოსა ეოსი თეთრი,
ვინ ბრძენი იტყვის, თუ სადაურსა სად გადასტყორცნის ტიალი ბედი...,
სად ყაზახეთის ტრამალები და... სად კავკასიის ჭაღარა ქედი?

* * *

ჯერ კიდევ ჩადრში შემალული მფრთხალი ქალები,
ყვრიმალის ძვლებში ჩაკარგული კაცთა თვალები,
უდაბნოსავით უსასრულო ბაიათები,
აღმოსავლეთის დაშაქრული მინარეთები.

პირველყოფილი ლანდშაფტები – ქრისტეს სამწყსონი,
მდინარე–ჭალა, შესაფარი შაშვ–იადონის...
აქ დედამიწას ჯერაც შერჩა კდემა წარსულის,
დაისის ხიბლი მოვარვარე ცის კაბადონის.

აქ ბიბლიური სიმშვიდეა, სული განგების,
გალობს ბულბული, მოციქული ციურ ჰანგების,
ბარტყთა ჭყლოპინი ვერხვის ბუმბულით ნაგებ ბუდეში,
შრიალებს თელა, თელა–ყარა, მწყემსის ნუგეში.

კასპიის ზღვიდან მოქროლილი ცხელი ქარები,
ჩალა–კალამზე ავარდნილი ცეცხლის ალები,
გეპარდის სრბოლა უსწრაფესი, შავი ხალები,
ველის არწივის დაგეშილი, ქარვის თვალები.

ეკალ–ბარდებში ოქროს ჩიტი – ხოხობი ყივის,
ლერწამ–ლაქაშში ჭრელა–ჭრელა დურაჯი მირბის,
სადღაც დაიძრა მფრთხალი არვე ბუხარულ ირმის,
ქართული სურის მინამსგავსი – ყელი ფურირმის.

ყვითელი ქვიშა ავარაყებს ამუ–დარიას,
ზურმუხტ ჭალაში ისმის ტურის ცივი არია,
თრთის და ცახცახებს ლურჯი რიდე უდაბნოს ვერხვის,
ლელობის ექოდ მესმის ბრდღვინვა თურანულ ვეფხვის.

თიხნარ გორებში მოთარეშე მყრალი აფთარი,
ოლიმპოს ღმერთებს შეაკრთობდათ მისი ხარხარი,
მსგავს ტრამალებში იშვა ერთ დროს ჰიპარიონი,
რაღა საიგას ურიცხვი არვე, რაღა რიონი.

კაბა–ჯუბანით შეჯავშნული ქოსა თათარი,
რიბირაბოზე ცხენი როკავს – ბზინავს ფაფარი,
მოხრილ სილუეტს ადევნებული ახალთექური,
რაღა ეს ცხენი – ფეხზე მფრენი, – რაღა ენგური.

ღამის სუნთქვაში გაცოცხლებულ ფრთოსანთ ფუსფუსი,
ვერცხლურა მთვარის მისტერია, ნადირთ კუსკუსი,
ღამით მხედველთა შუქფარები – სულ უცხო ფერი,
ურიცხვ ვარსკვლავთა დაფრქვეული ალმასის მტვერი.

... მაგრამ რად გინდა ეს იდილია, ბუნების ძღვენი?
თუ ქვეყნად მძლავრობს ავი ნება, ბოროტი გენი?
რამ გაგვყო, ნეტა, ახლობელნი, ჰაოს–ქართლოსი,
კაცი რომ გქვია, იამაყე, სიკეთე ჰქმენი!

აქ ვნახე ხახა ამაზრზენი, ცხელი კრატერის,
აპოკალიპსი, ლავის წარღვნა, გმინვა პანთერის,
აქ იშვა ერთ დროს ავბედითი სოკო ატომის,
შავი სიმბოლო შავბნელ აზრის, კენტავრთა ომის.

* * *

ახლა ამ ქვეყნის მზე დამნათის, მთანგავს თაკარა,
აზიის ტრამალთ ვერც ამხელა მნათობი ნაცრავს,
მაგრამ ეს გრძნობა წყაროსავით წმიდა, ანკარა,
ჩემში შორეულ მოგონებებს მაგიურს მარცვლავს.

ვუცქერ ბარხანებს, მათ კალთებზე ეგზოტურ გრიფებს,
ქარი ქვიშაზე როგორ ხატავს იეროგლიფებს,
უცხო უსტარნი, ქვიშის რუხი პერგამენტები,
და მსურს ქარივით წავაწერო, რომ – მენატრები!

ო, როგორ ცხელა! მელანდება დილის რიჟრაჟი
და მოლიცლიცე ჰორიზონტზე ჩნდება მირაჟი:
ცისფერი ტბები, ზღაპრულ ბაღთა უცხო ზმანება,
მზის და უდაბნოს შეთქმულება – გხიბლავს და ... ქრება.

მძაფრი ხვატისგან ძილი მთენთავს და მეძალება,
სიზმარში ვხედავ არაგვს, კლდეში გამომდინარეს,
გათანგულ სხეულს სინამდვილე ძლივს უბრუნება
და კვლავ – მირაჟი – ივერია – პირმომცინარე.

ივლისში, გითხრა ყარა–ყუმი თუ როგორია?
დანტეს ზმანება ჯოჯოხეთის – მონაგონია!
უწინ უთვალავ ჯეირანს რომ აქ ურბენია,
დღეს ძლივს დავლანდე ორი–სამი, ამ უთენია.

მათ მომაგონეს შენი სხივი და სინარნარე,
ირმის ფეხები, მიხვრა–მოხვრა და სიგოგმანე,
ეგ სიამაყე – დედოფლური და სითამამე,
შენი თვალები, ნაზი კდემა და სიკამკამე...

* * *

აზიის ცადაწვდილ, ელვარე მწვერვალებს
კრძალვით მუხლმოყრილმა გუნდრუკი ვუკმიე
და მათი მეუფის ხანთენგრის კვარცხლბეკზე
ღმერთებს შენს ლოცვაში ღამენი ვუთიე.

ღმერთთა სიმაღლიდან ჰორიზონტს გავცქერი,
ლურჯი მწვერვალები პლანეტის თაღია,
აქ მეფობს სხვა ფერი, სულ სხვა განედები,
მაგრამ უშენობით მზის სხივიც თალხია.

ღრუბელთა ქარავანს მთათა მწვერვალებზე
სალმად ხელს ვუწევ და კაეშანს ვანდობ.
თუმცა გათანგული უცხო გარემოთი,
მაინც სნეული ვარ, ივერთ მთებს ვნატრობ.

შუა აზიის ალპები და მათი მშვენება - ედელვაისი

დღემდე მსმენოდა მხოლოდ არაკად –
შუა აზიის შორეულ მთებში
თვალის მომჭრელი ყვავილი კენტად
ელვარებს ყინვის საბრძანებელში.
აი, აზიის მთებიც, მაღალი,
ტბებში – მწვერვალთა ორეულები,
უცხო ფერები და სიდიადე,
მოგონებები, შორეულები...
ახდა ოცნება, ზეიმობს გეში,
თუმცა ვიგემე სუსხი და თქეში,
ედელვაისის ხიბლი სპეტაკი
მომავლის რწმენად ივანებს ჩემში.

* * *

ჩატკალ–თალასის იალაღებზე,
დამიმეგობრდა მწყემსი თურქმენი
მხარბეჭიანი, სპილენძისფერი,
სწორუპოვარი, ჭირთამომთმენი.
თეთრ იურტაში შემიპატიჟეს,
სუფრა აკურთხეს უცნაურ მოთქმით,
მახშვის ადგილზე მიმითითებენ,
კარის პირდაპირ ვჯდები ფეხმორთხმით.
დაძმობილება შემომთავაზა,
პირმშო მომგვარა – ერთი წლის ბიჭი,
მეორე მამა შენ იქნებიო,
დააბედეო ქართული ნიჭი.

* * *

... გათენდა დილა, მშვიდი, მზიანი,
როკვენ მერნები, ყორნისფერები,
ზვიად მთებისკენ ჩემი მეგზური,
ღრუბლები – ლურჯი ეფემერები.
შლეგი იაკი – მაღალმთის ხარი,
ჯიქი ირბისი – სწრაფი ვით ქარი,
შურთხების სტვენა – წკრიალა ზარი,
სტვენით დამფრთხალი ცხვარი – არხარი.
ლაჟვარდოვნება სამფერა იის,
მზის ელვარება ალპურ ბაიის,
რას შევადარო ფურისულები?
ყვავილთა ნაზი უფლისწულები!
ყაყაჩოები მზის გულის დარი*,
მათ მოახედეს მზისკენ ავდარი,

“და პეპელანი სამოსმდიდარნი,
ყვავილებს შორის ენის მიმტანნი”.
ოჰ, ეს ბუნების დღესასწაული!
რა ძალამ შექმნა ეს სასწაული?!
ვარ ყვავილთ ტკბობით ბოლომდე მთვრალი,
მაინც იმათკენ გამირბის თვალი.
ქალწულებრივი, ბავშვივით ლაღი,
აქ ქალღმერთ ფლორას ზეიმობს ბაღი,
გულწრფელად გიკვირს, ადამის მოდგმამ,
ჯერ ვერ დაატყო ჩვეული დაღი...

* * *

.... ქვათა და ღორღთა შავ საუფლოში
მძლავრობს ქარ–სუსხი, სრული ქაოსი
და ნაზ არსებებს – თითო ოროლას –
თავის მფარველი ჰყავთ ანგელოსი.
ქვათა და ღორღთა მზაკვრულ გროვაში
ჭკნება სიცოცხლე, ქრება ხალისი,
კლდეზე იხევენ კალთებს ღრუბლები,
კრძალვით ევლება მთის თხემს აისი.
“არსაიდან ხმა, არსაით ძახილი”,
ზეცა – ზურმუხტი, ვით კიპარისი,
ტინი კლდეების ბასრი ქიმები,
ჩამოცრეცილი მათზე დაისი.
... მივიწევ ზევით, თრთის ყველა ნერვი,
ასი ნაბიჯი – ყველაზე ბევრი,
მძლავრობენ ქანთა ლეგა ფერები,
სხვა დანარჩენი არს საფერები,
და როცა გაწყდა იმედის ძაფი,
დაჰკარგეს მთებმა ხიბლი მაისის,
ობოლ ვარსკვლავის სხვა ელვარებით,
კიაფობს თვალწინ... ედელვაისი!

* * *

ედელვაისი – ტურფა, ხალასი,
უსპეტაკესი, თლილი ატლასი,
ხავერდოვნება ენით უთქმელი,
ყვავილი წმიდა, როგორც პარნასი.
ედელვაისო – უღვთოდ ფაქიზო!
როგორ გაკლია სითბო ფაზისის,
ციურ ქალღმერთთა მესაიდუმლევ,
ვარსკვლავყვავილო, დაო ნარცისის.
ედელვაისო, სული ხარ ვისი?
მიწის არ გეთქმის, უფრო ხარ ცისა,
ფაფუკოვნება ღრუბელთ გაიღეს,

ნაზო ასულო მზის და მთვარისა.
ედელვაისო, ტანი გაქვს ვისი?
ვარსკვლავთ თუ გიძღვნეს ფორმა თავისი,
ურჩო მეტოქევ დაფნის–პარისის,
მზეს თუ ესესხე სხივი აისის!

* * *

აზიის ალპთა მშვენი, ნაისი** –
ნუთუ არ ათრობს პეწი თავისი?
... ჩამოგიტანე და შენ მოგართვი,
ნაოცნებარი ედელვაისი...
.....

*ცენტრალური ტიან–შანის მაღალ მთებში მასობრივად ყვავიან კვერცხისგულისფერი ყაყაჩოები, ჰიმალაების ყაყაჩოები კი ლურჯი ფერის გვირგვინის ფურცლებითაა შემკული.
** nice (ინგლისურად) – კარგი, სასიამოვნო.

რენუარი

აჰა, იხილე!

ლაზერის სხივი
უმზერს
ტურინის სუდარას,
თითქოს
ურწმუნო მოციქული
იცქირება
გახვრეტილი ხელისგულიდან.

* * *

მწერ აცივდაო,
თურმე ქარიც დაჰქრის ვერაგი...
აქ, კარადაში
შენს ეულად დარჩენილ კაბას,
გავიხადე და-
მოვახურე ჩემი პერანგი.

საღამოს

თათოს ვუამბობ
მოგონილ ზღაპარს-
უფლისწულზე და ფერიაზე.
შენ გეღიმება,
რადგანაც ხვდები...
ათასმეერთედ გიხსნი სიყვარულს.

დილა

ნუ საყვედურობ იადონებს-
იგალობონ.
დედისეულ ბეგონიას-
უფრო ხმამაღლა მიეფერე,
სმენა დააკლდა...
როგორ ახერხებ?
ისე დგება ყავის სურნელი,
მცირე ჩქამსაც არ გამოსცემს სამზარეულო.
და სწორედ ახლა-
მოვარდისფრო დილის ხალათით,
აწეწილი კულულებით,
ბუნებრივი-
ხელშეუვლები-
როცა გგონია არავინ გხედავს
და დაჰფარფატებ ჩემს სიმშვიდეს...
ისე მიყვარხარ!
რა ხანია გავიღვიძე-
და ვიტყუები.

გადატანის წესები

ასე.
გაგიჭირდება-
მაგრამ თუ დაივიწყებ,
რომ-ცოცხალს ვერ მიუსწარი.
რომ-ბოლო შეხვედრისას,
მოგეჩვენა- მხრებში მოხრილი.
მოიხდი ვალს.
შეასრულებ რიტუალებს-
რაც მას-აღარ!
ცოცხლად დარჩენილებს-უფრო სჭირდება
და
გამოგონილ საზრუნავებში,
გადაიტან მა-
მას.
მას-ვისაც არასდროს უთქვამს:
"ქმარი-ხეებს ფოთლად ასხია",
რომ-ჯერ მამაა,
მერე ქმარი-
რომელსაც დაფშვნი-
მარცვალ-მარცვალ,
მუხლქვეშ გაიფენ
და ამგვარად- თუ გადაიტან...
.....-..
შეხედე, დე!
აი- ერთ მარცვალში- ჩაგსვი.
დარჩი!

გელა დაიაური

* * *

ცაზე თამაშობენ ვარსკვლავები,
როგორც შავ თვალებში ჭინკები,
გვიდგას სიყვარულით, გალაღებით,
გრძნობით ავსებული ჭიქები.

ბახუსს გაუშლია ჭრელი აფრა,
ძმები ღვინოს ვსვამთ და ვღვინდებით,
შემთვრალს უფრო ხშირად, უფრო მზაფრად
უფრო მენატრები, მინდები.

ჰოი, ეს ეჭვები დამახრჩობენ.-
ვინ იცის, სად, ვისთან იქნები. . .
. . . ცაზე ვარსკვლავები თამაშობენ
როგორც შენს თვალებში ჭინკები.

* * *

ვერ გადავურჩით მარტის ქარტეხილს,
დავრჩით ჭირხლის და ყინვის ამარა,
ენძელა _ ჩემი სულის ნატეხი,
მოუსვენარმა თოვლმა დაფარა.

იღვიძებს მარტი თვალთა ფახულით,
აპრილის დღეებს ხვდება უმწვანო,
ბარში მივდივარ, მთას გაზაფხული
ხურჯინით უნდა ამოვუტანო..

* * *

უამინდობით ავადობს,
თოვლს იმედი აქვს რის?
სულში ხალისი ნავარდობს
ცოტა ტკივილი ცრის
კლდეებს ნისლები გალახავს
თეთრი აცვია ფხოვს...
რა მწყინს? შენ ჩემთან არა ხარ
რა მიხარია?თოვს!

მუცოს გოდება

სადაც ოქროსფერი მზის ქაფია,
თორღვაის ცხენი იქ აბია,
ჯაჭვი ძაგანისა მიაბნია,
ჟამმა გზა -ბილიკებს უცნობს.
მეც ხომ ვიძახოდი ღვთის კაფიას,
მტერი მამულისა მიკაფია,
სისხლი წყაროსავით მიხაპია,
იმედი რომ ერქვა მუცოს.
"ღმერთო! ძე ღვთისაო და მარიამ,
მტერი, მოყვარე მთავარია,
ჩემთან არც ერთი არ არიან,
ყველასთვის გავმხდარვარ უცხო".
ნეტა ეს ხმაა და რა ზარია,
რა გოდება და თავზარია,
მუცოს ბეჭები გაბზარვია,
ჟამისგან ძლეულა მუცო...
სურდათ აკვნები ურწეველი,
მტერი არ დარჩა უწვეველი,
"წასული თავ-ბედ უწყევლელი,
ქართლს მტერი ეყოლება ნურცო".
ასე ურყევი და ურღვეველი,
მტრისათვის ხარკის უძლეველი,
გაუტეხელი და უძლეველი,
ჟამისგან ძლეულა მუცო.
სადღაც ლამპიონთა ღაღანია,
სადღაც ცეკვაა და არღანია,
სადღაც ვაჭრობაა გაგანია,
ვიღაც მდიდრდება და წუწკობს.
აქ კი აღარც თორღვა ძაგანია,
აღარც ფარ-შუბების ჭახანია,
მშველელს ელოდება რა ხანია
ბეჭებგაბზარული მუცო .

* * *

მახსოვს ის ცელქი ცქრიალი,
მუცოში მოცვზე ცილობა,
ცად ცისარტყელას ციალი,
ოცნება და სიცილობა.
კოცნა დამქცევის სიცივის
ან ცვენა ცხელი ცრემლების,
ან ცივი ცვარის ციმციმი,
ცერებში ცეკვა ცელების.
კლდის ცქერით ზღვა გაოცება,
ცად აცერილი ფიცარი,
ან საოცნებო ცხოვრება,
სიმტკიცით შენაფიცარი.
ან ციყვის მომცრო ცაცებით,
ცირცელზე გადაცოცება,
ალიცლიცული ცაცხვები,
ცად ატყორცნილი ლოცვებად.
ან ჯერაც გასაციები,
ცვრიანი ხორცი აცმული,
მეცხრე ცას ასაცილები,
ცხელი კოცონის ტკაცუნი.
იმაზე ანცი ოცნება
რაც არ იცი და რაც იცი,
ცის-კარზე ცის დამორცხვება,
ცისფერ სივრცესთან ლაციცი.
ციცინათელას ციალი,
ოცნება და სიცილობა,
გახსოვს ის ცელქი ცქრიალი,
მუცოში მოცვზე ცილობა?

ადამ კადმონი

ანნა ყვავილს!

"სისხლიანი ბროწეულების ხეივანში
ჭიანჭველას მიაქვს შენი
წამწამი."
("ვარდისფერი ავტობუსიდან")

ანნა,სარკეში,
როგორც ხელნაწერი,
უკუღმა ვჩანვარ!
ანნა,კედელზე
მოხაზული ხელების ჩრდილი
უჩვენებს ჩვენგან დავიწყებულ
დიდი ხნის ამბავს:

მიასეირნებს ბროწეულის ხეივანს წყვილი...

ანნა,დღეების,გვირილების
ფურცლების წყება,
რა ვქნა,"ვუყვარვარ"არ ვუყვარვარ"ოცნებას მიყვნენ!
ან რა,
ვინ ქარი ჩამოვარდა,ხეებს რომ ება?!
ასე გროვდება გული ქვებად...თითქოსდა რიყე.

ანნა-სერობა...ქრისტიანნებს
გაგვეყო ღამე,
ახალ სიცოცხლეს და ტკივილებს
შთაბერა სული.
ანნა,რა ვქენით?!-გვირილები,ისევ შენ და მე,
ისევ მხურვალე სხეულების და ყვავილ-წნული...

ნეტავ,
სიზმარი გადაქანდეს საათის ისრის
საპირისპიროდ და მაჩვენოს
ღიმილით
ანნა!

იმ ბროწეულის ხეივანებს დარჩებათ შვილი...

წყვილი წამოვა
წამწამებად,
სიზმარად,
ქარად.

თუ(!)

მ ა ს,
ვინც დამივიწყა!

ეს ქარი,
ტანს რომ არ ედება,
სად არის?
ეს ტანი,
ხიდს რომ არ ედება,
სად არის?
ეს ხიდი,
წყალზე გადებული,
მზად არის
ხელიდან გაუსხლტე-
იქ,
სადაც
მიდინ
...
იქიდან
ვერ-ამოსაღები მადანი
შენ ხარ და ბინდია,
და თქვენზე ძვირფასი არავინ არ არი...

თუ ჩემი გოგონა გადახტა ხიდიდან!

თუ ჩემი გოგონა გადახტა ხიდიდან
ოდესმე,
უთუოდ
გახდება პერანგი ჩემი საუთოო...
გუგული უდროოდ
დარჩება საათში...მომესაკლისები
უტანოდ,უხმოდ...
რომ
უთოდ და გუგულად
შემეხო,
მომესმე-
თუ ჩემი გოგონა ოდესმე...

თუ ჩემი გოგონა გადახტა ხიდიდან,
ხელები მათხოვეთ,
მივწვდე ჩემს მარტოთავს-
მოვხვიო მის ნაცვლად,ვინც
მარტო
დამტოვა.

თუ ჩემი გოგონა სახლიდან გავიდა...წავიდა
იქ,სადაც
გუგულის ბუდეა
და მზე მოკვეთილი თავივით დაგორდა.

2008

კიკუძირო

ნაჭერ-ნაჭერ გამოვექეცი არარსებულ
სასწაულებს და -ახლა ასე-
სინანულის გარეშე მიმაქვს ეს ჩემი გუდა,
მატყუარა ბავშვობით სავსე...ქარი კი
სათამაშო ხეებს აჩხარუნებს.

გზად ყაჯი-ბადი-აბრეშუმის ღამე მაქვს-
კატის ფეხებით მოარული სხეულზე-მერე,
ღამეც აღარ ყავს ღამეს და მეც-ცალი ვარ,სხეულის
გარეთ...ქარი კი,
ისევ,
სათამაშო ხეებს აჩხარუნებს.

გუდაში ღმერთიც მიზის-ვოლფრამის ციმციმს
მომაგონებს-
შუქნიშნებად ვარიგებ ქუჩა-ქუჩა
და მაინც ვერასოდეს იკრიფება
ჩემი მკლავების მძიმე ყელსაბამი;
ვისი ყელიდანაც ჩამოწყდა,
ისიც აღარ ჩანს...ქარი კი
სათამაშო ხეებს აჩხარუნებს.

2008

..ან..

შენ გირჩევნია
მსხმოიარე
ყვავებით ნაძვებს
ესროლო გირჩი-
ააფრინო
ყვავებთან ერთად
შენი ტკივილი,
ვით ბავშვების
"პეპელა"ფრანი,
სამ პერიოდში,
პირობითად,
მაინც რომ კვდება,
შენს ინფანტილურ ღიმილამდე,
და ასე დარჩე...

მეც მახსენდება ჯადოქრობა,
სარეცხის ჯოხით
დავდევდი ვით (არ)გასაქრობად
განწირულ საგნებს,-
და რომ საგნების
უჩვეულო გამექცა ჯოგი
ბოლოს და
ახლა
დღე-ღამეთა მიჯნამდე აგნებს
ადევნებული უსულგულო ცხოველებს
დაღლა...

რა რჩება?
მხოლოდ-
მწუხარების ამ სიმაღლეზე
ჩვენი თავიდან
ავაფრინოთ
ჩვენივ თავები,
ან ერთმანეთის
სიცხოველეს
დავუწყოთ დევნა...

2008

წერილი მარტოობას

ყოფნა ხომ მე არ მეკითხება!
მომკლა,
არც ისე ადვილია.
თქვენი კაკუნიდან ჩემს კარამდე
გრძელი ზამთარია-ამინდია
უსაშველოდ
უმეზობლო...მე კი
გასაღები მარილიც მაქვს,
ცრემლიც გამაჩნია-
თავი ხახვის...მე კი
ბუხარი მაქვს,ისეთი,რო
ბარემ თქვენს ყინვასაც ეყოფოდა

* * *

ანდა,წერილივით მიუვიდე
მამას;
მუცელში ვარ-
შიმშილი და...
დედა,
ყველაფერი კარგად არის!
მინდა,მაპატიო უჭმელობა,
მინდა,გაპატიო ჩემი სახლი...
ასე-უთქვენოდაც
ვიბადები,
თქვენი ერთადყოფნა ნუ მეყოფა!..დე,
ვერც ვარსკვლავები გაჩენილან
შენით!..

გარეთ მოსაწყენი თოვლი არი.
და შინ ჭაღებიდან ობობებიც (იქნებ
ობობებმა მომიარონ-
მკვდარი ობობების მოტირალი)
ცვივიან.

2008

ანდრია

* * *

ვიცი, ოდესმე
ჩემი ცოლის ვნებასა
და
დედაჩემის სიმშვიდეს შორის
არარსებული სისავსის ზღვარზე
მახეს დამიგებ
და მეც
მოღალატის ერთგულებით
აგედევნები.

იქ, სადაც ჩვენ ვართ

იქ,
სადაც ჩვენ ვართ,
მანძილი ჰაერია,
სიტყვები მხოლოდ იწერება,
არსიყვარული სექსუალური შეუთავსებლობაა
და სიყვარული კი სულ არაფერია.

იქ, სადაც სიტყვები მხოლოდ იწერება
და არ დაფრინავს,
რომ
ვინმეს ანკესზე არ წამოეგოს,
და არსიყვარული სექსუალური შეუთავსებლობაა,
რადგან შეთავსება არც კი არსებობს და
სიყვარული კი სულ არაფერია,
ჩვენ ვართ,
და ჩვენ
სულ არაფერზე არ ვფიქრობთ,
არაფერი კი ჰაერიდან ჰაერამდე მანძილია
და ისიც არსადაა,
რადგან აქ
სულ არაფერი - სიყვარულია.

ალბათ ვგიჟდები-
ჩვენ ამ სამყაროზე არაფერი ვიცით,
და ერთმანეთზე კი სულ არაფერი...

მაშინ, როდესაც არარსებული სიტყვებით
ჰაერის ჩვენსკენ მოქცევას ვცდილობთ,
არ დაგვავიწყდეს -
იქ, სადაც ჩვენ ვართ,
გრძნობები მხოლოდ ქაღალდზე იწერება
და არ დაფრინავს,
ამ ჰაერში კი სიყვარული ჩვენს ანკესზე არ წამოეგება -
და ვერ გავიგებთ, ერთმანეთი გვიყვარს თუ არა.
უბრალოდ,
არსიყვარული ჩვენს შორის მანძილში
არ არის
იქ,
სადაც ჩვენ ვართ.

დამემატე

კარგად მომეჭიდე,
ჩამეკარი,
დამემატე,
ქვევით ჩავიდეთ,
იმაზე ქვევით, ვიდრე მხოლოდ მე
ან ხოლოდ შენ
ჩავიდოდით.

ჩამეკარი,
დამემატე,
დამიმატე შენი შეგრძნებების კილოგრამები,
რაც მაკლდა და ვერ მოვიმატე,
წავიდეთ სადღაც,
სიღრმეში
და ქვემოდან ამოვხედოთ,
როგორ უწითლდებათ ჰალსტუხები
და ეშლებათ ნაკვთები
სასაცილოდ წაგრძელებულ სილუეტებს.

ჩამეკარი,
დამემატე, რომ
ადგილიდან ვერავინ დამძრას,
ვერვინ ჩამბეროს თავის თავთან
მოფლირტავე დროის სული,
რომ თავისივე სარეკლამო საჰაერო ბუშტად მაქციოს და
გამიშვას სადღაც,
უწონობაში.
ჩამეკარი,
დამემატე,
და დავემატოთ
დროების ორგიიდან გამოქცეულ
შეგრძნებების კილოგრამებს.

კარგად მომეჭიდე,
ჩამეკარი,
დამემატე!

კუნძული

როცა ჩრდილი თავზე გადაევლებათ,
კაცები ნანადირევს და
ცოლების გამობზეკილ მუცლებს დაანახვებენ,
ქალები -
კაცების გაცვეთილ ქვეშაგებს,
ბავშვებს სამალავში დამალავენ
და
მათ ნაცვლად მოჭრილ კულულებს გამოფენენ,
ჩრდილს ფერფლს და ნახშირს
გაატანენ,
ერთმანეთს ცრემლებს შეაფრქვევენ
და მერე
კუნძულზე,
სადაც ყოველთვის მზეა,
ისევ ფერფლს და ნახშირს შეაგროვებენ.

ორნი

გვერდიგვერდ სხედან.
ორივე თევზს ელოდება.
ორივეს ერთნაირი ჭოგრიტი აქვს,
ბადე - გადაგდებული.
ერთის ბადე ძალიან ახლოსაა,
მეორეს კი ძალიან შორს.

ჭოგრიტში სხვადასხვა მხარეს იყურებიან.
ერთისთვის მოქცევაა,
მეორესთვის მიქცევა.
ერთისთვის თევზი ძალიან ახლოსაა,
მეორისთვის ძალიან შორს.
კამათი დიდი ხანია დაასრულეს
მანძილსა და დროში.
ახლა ზრდილობიანი ღიმილით
ერთსადაიმავეს ფიქრობენ ერთმანეთზე.

დუმილი,
ბადე,
ლოდინი,
თოლიების მშიერი ხმები.
თევზი იქაა.
ერთისთვის ძალიან ახლოს,
მეორესთვის ძალიან შორს,
არა ბადეში.
ორივემ იცის ერთმანეთზე ჭეშმარიტება.
ორივე თევზს ელოდება.

სანდრო ლორთქიფანიძე

ეს

როცა ეს მოხდა,
არ უყვარდათ ქალებს კაცები
და მთვარე იყო ოდნავ უფრო შეყვითლებული,
ვიდრე უფერო..
თვალები ჰქონდათ არეული და პირდაპირი,
როგორც ბილიკი, რომლის ბოლოც
ისე შორსაა, რომ ყველა არჩევს
შუა გზიდან უკან შემობრუნებას..
როცა ეს მოხდა,
არ აცხობდნენ ფორთოხლის ნამცხვრებს,
უბრალოდ ხიდან მოწყვეტილ ნაყოფს,
მტვრის შეუმჩნევლად და ამის გამო
ხელის გადასმის გარეშე ათავსებდნენ ენის შუაში..
არ არსებობდა არც ომები ათასწლოვანი,
არ ინახავდნენ მიწაში ოქროს
და არც ბანკებში ხსნიდნენ ანაბრებს,
მხოლოდ დაჰყავდათ მკერდზე მიბჯენილ
ტყავის ნაჭრებით ახალშობილი,
მათთვის კი უფრო, ერთ მზიან დილას საკუთარ სხეულს
მოწყვეტილი და გამოგდებული ანგელოზები..
როცა ეს მოხდა,
არ თამაშობდნენ ბავშვები ქაუნთერ სტრაიკს
და დღე იყო უფრო გრძელი, დაუგეგმავი,
არ ერქვათ თვეებს სახელები
და წელიწადებს არ ჰქონდათ რიცხვითი თანმიმდევრობა,
ასაკს, უბრალოდ თვლიდნენ ხელებზე კოჟრების მატებით
და ქუთუთოების სიმძიმით,
ამიტომ ხშირად მოხუც ბავშვებს ეკითხებოდნენ აზრს უფროსები..
როცა ეს მოხდა,
არ იცმევდნენ ბიჭები ჯინსებს
და გოგონები არ ისვამდნენ დიორის კრემებს,
მხოლოდ უყვარდათ ერთმანეთის კანის სუნები,
შეზავებული მიწის და წყლის არომატებით..
არ არსებობდა დედამიწა, როგორც ასეთი
და უსასრულო სამყაროზე წარმოდგენები იყო უეჭვო,
უსახური ღამეების ფონზე კი
ლამაზი ჩანდა ინტერესი მდინარის იქით..
როცა ეს მოხდა,
არ აგებდნენ კოსმოდრომებს
და არ ითვლიდნენ ყოველწლიურად რიცხვს ცუნამების
და სხვა მსოფლიო კატასტროფების,

რადგანაც ერთი უპრეცენდენტო სიკვდილი მაშინ
იყო ტკივილი მხოლოდ ერთი, მხოლოდ პირადი
და არა მთელი დედამიწის ბრმა სტატისტიკა..
როცა ეს მოხდა,
ჯერ კიდევ არსად არ მღეროდნენ საქველმოქმედოდ
და არ უყვარდათ პოპ-კორნი და “მეოცნებენი”,
მხოლოდ საღამოს, მზის ჩასვლისას გადაღლილები
იწვნენ ხის ძირას უწარსულო სველი თვალებით
და უყურებდნენ ჰორიზონტებს, თითების ლოკვით..
ასე იყო და ემატებოდნენ ერთმანეთს
ნასისხლარი და ნასიცოცხლარი მილენიუმები,
თითქმის ხუთამდე,
როგორც თითები მარცხენა ხელზე
და თითქმის არვინ
და თითქმის ვერვინ წარმოიდგენდა
როცა ეს მოხდა,
რომ სულ რაღაც ორმოცი წელი დასჭირდებოდა
მთელი მსოფლიოს ერთმანეთზე ორჯერ ზედიზედ გადაკიდებას,
რადგან არ გრძნობდნენ ამბიციას უკეთესობის
და სანამ ხე არ დარჩებოდა ჩრდილის გარეშე,
არ უნდებოდათ ქალებს კაცები..
როცა ეს მოხდა,
ჯერ არ წერდნენ ლექსებს ყოველდღიურად
და მით უმეტეს ვერ დაირქმევდნენ გენიოსებს,
უბრალოდ ჩხაპნიდნენ კედლებზე წარწერებს,
უსასყიდლოდ, დაუნანებლად
და თითქმის სჯეროდათ რომ ვიღაც შემდეგ ნახავდა სისხლით
გამოყვანილ და ამოტვიფრულ ეპიტაფიებს..
როცა ეს მოხდა
და ზუსტად მაშინ, როცა მოხდა ეს
ჯერ არ იცოდნენ კოსმიური ანომალია,
ჯერ არ იცოდნენ ინგლისური სალაპარაკოდ,
ჯერ არ ესმოდათ,
სწორედ მაშინ არ ესმოდათ, რომ ხდებოდა ეს,
როცა ეს მოხდა..

მე მათხოვარი

მე ჭუჭყიანი მათხოვარი ვარ.
ო, ღმერთო, როცა ჩემი ხარ და უფრო როცა არ,
შენ ხომ ყოველთვის ხედავ ჩემს ჯიბეს,
ამოვსებულს ხალხის მზერით და ზურგშექცევით,
ხედავ ჩემს კანს, დახეთქილს, დანაწევრებულს
და კანს მწყურვალს, ხედავ შენ, ღმერთო.
მე ჭუჭყიანი მათხოვარი ვარ..

ჩემი სახლია ქუჩის კუთხეში და უფრო გზაში,
ო, ჩემი სახლი, უკედლებო, ურემონტო,
წვიმის და მზის სახურავით გადაფარული,
ყოველ საღამოს, დაბრუნებისას ის თვითონ მიღებს კარს
და მე ჩემივე სახლის სტუმარი ვარ,
ღამეს ვათევ და შემდეგ სხვა ჩემი სახლის სტუმარი ვხდები.
ო, ჩემი სახლი, უამრავი და მხოლოდ ერთი..

მე ჭუჭყიანი მათხოვარი ვარ
და ნისლი, ბლანტი, ჩემს გარშემო, გაუკვალავი,
ჩემი ნაცრისფერი პალტოა, ალაგ-ალაგ ამოხვრეტილი,
მე კი სულ ვცდილობ მასში ჩამალვას,
თუმცაღა მხოლოდ გაჭირვებით თუ ვატევ მკლავებს.
ო, ნისლი, ნისლი, ჩემი წმინდა პალტო, რომელშიც
მე ჭუჭყიანი მათხოვარი – უფლისწული ვარ..

ჩემი საქმეა სიარული შენობებს შორის.
ვაგროვებ მზერებს, ჰაბიტუსებს არაჩემებურს
და მე სულ მშრალი, თითქმის ქვასავით,
უბარიკადო გრძნობებს ვეძებ გზატკეცილებზე,
ვეძებ ცივ თვალებს, არეულებს მიწის სიცხისგან,
ო, ღმერთო, ნურასოდეს გამოლევ უზედაპირო თვალებს,
რომ მე ვიარო შენობებს შორის და ვიმათხოვრო..

მე ჭუჭყიანი მათხოვარი ვარ.
შენ ხომ ყოველთვის ხედავ ჩემს ჩანთას,
რომლითაც დამაქვს ყრუ და უმიზნო ბგერები მათთვის,
ხედავ ჩემს ბინას, მოწყენილს, სტუმრის გარეშე
და სულ არასდროს მომლოდინე მომავალს ჩემსას.

ო, ღმერთო, როცა შენ ამოგიტან ჩემს სიტყვებს ხელით,
ნუ გაბრაზდები და გაიხსენე, რომ მე უბრალოდ
ჩემს ნისლის პალტოს ვიცვამ ყოველ დილით
და დამაქვს ჩემი ჯიბეებით თვალების ფსკერი..
გაიხსენე, რომ მე ვპოულობ ყოველდღიურად ადამიანებს,
მათ, ვისაც შენ კვლავ უმიზეზოდ, ედემში ეძებ,
მე ამ ქალაქის სველ ქუჩებში ვართმევ სიფხიზლეს..
ო, ღმერთო, როცა ჩემთან ხარ და უფრო როცა არ,
მე არ ვიცვლები, არ ვიცვლები, შენ კარგად იცი,
მე ისევ, ისევ ჭუჭყიანი მათხოვარი ვარ...

ჰირან!

ოვვა იალა!
დილა იწყება კვნესით..
რა უცნაური სიყვარული სცოდნიათ აღმოსავლეთში,
ფიქრის ღრუბლებით მოქუფრული,
ყოველ გამოხედვას ფერი აქვს წვიმის და წვიმა კი არ ჩანს..
ეს სამეფოა განწირული ემბრიონების..
ოვვა იალა!

მინარეთებზე შემომჯდარი პატიოსნება
ხარბად ეტანება ამერიკულ წყურვილს..
რა უცნაური ფიქრი სცოდნიათ აღმოსავლეთში,
თითქოს აქ მხოლოდ ცაა წყნარი, მზეა ღიმილის,
მაგრამ სულ მიწას ჩასჩერებიან ტირიფებივით
და ბავშვი, ცრემლით ხელ-პირს რომ იბანს განთიადისას,
ოცნებობს მხოლოდ ავტომატზე, ბევრი ტყვიებით..
და აქ თოჯინებს მიუჩინეს რა ხანია მყუდრო ადგილი,
ცეცხლის ზვინებში, მიწის ღრმულებში..
ჰირან! ოვვა იალა!
გაკივლებული ვნებებით
და მზის ჩასვლისას მიძინებული ანგელოსებით..
აქ ყოველ წამს სჭედავენ თვალების ამბოხს,
თქრიალით ღვრიან საკუთარ სისხლს გასამრავლებლად,
სერავენ ღურბლებს წვეტიანი მზერის ისრებით
და არც ელიან ცისგან შვებას..

ოვვა იალა!
დღე სრულდება კვნესით დაღლილი ქალებით
და ბავშვები ტალახებში იბანენ ფეხებს..
ჰირან! ოვვა იალა!
დაწნეხილი ოცნებებით გაზიპულ თმებსაც
ხშირად ეტყობათ წუხანდელი ნაოცნებარი ამერიკაზე..
ეს სამყაროა დაჩეხილი ემბრიონების,
და გამოჭვარტლულ თვალის გუგებს დანით ხეთქავენ,
რომ აღარასდროს დაინახონ ბავშვების ომი
და მინარეთზე შემომდგარი მოლა მძინარე..
ოვვა იალა! ჰირან! ოვვა იალა!
რა უცნაური სიყვარული სცოდნიათ აღმოსავლეთში..
გაყვითლებული კოცნებით და რაჰათლუჰუმით..
და სიტკბო აღწევს მხოლოდ პირის გამოქვაბულში,
იმის იქით კი მთები მწარედ იგრიხებიან..
ჰირან! ოვვა იალა!
ოვვა იალა, ჰირან! არ ჩაგეძინოს!

ჰეი

შიშინით დაბადებულ ბავშვებს,
მეექვსედ გარდაცვლილ ანგელოსებს,
ულტრაიისფერი გამოსხივების თვალებს,
კონტრრევოლუციონრებს
და ტბის ფსკერზე დაძირულ პოეტებს..

ჰეი, ნიუ-იორკ!
ფერადია შენი დღევანდელი ტოგა
და სისხლიანი საშოდან ისევ გცვივა ბომბები,
როგორც ჰუმანიტარული დახმარება
ძნელად აღსაზრდელი თოთო ქვეყნებისთვის..
ჰეი, ნიუ-იორკ!
დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
დაუძლურება ორსული სამყაროსი,
ამენ!

ჰეი, სფინქს!
რომელმაც გადაყლაპე უდაბნოების გუშინდელობა
და მახათებივით დაურიგე ნაშრომები
ყალბ თეორიტიკოსებს,
რათა ეამბნათ სამყაროსთვის შენს ორგანიზმზე..
ჰეი, სფინქს!
დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
გაუცხოება ჩვენი მოგონებების,
ამენ!

ჰეი, შიდს!
ყოველდღიურობის ნათელით დამწყვდეულო
და ოფლიან თეძოებზე შემხმარო ლუციფერო,
რადგან მოიყვანე სილამაზე აქ, გოლგოთაზე
და მაინც არ გეკლდა კდემამოსილება..
ჰეი, შიდს!
დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
ჩვენი სიყვარულის გაუკვდავება,
ამენ!

ჰეი, უილიამ შექსპირ!
ისევ უსასრულოდ დგამენ შენს პიესებს ეშაფოტებზე,
შიზოიდურ ღამეებში იზუთხავენ უაზრო სიტყვებს
და ჯერ ვერავინ, სულ ვერავინ მიხვდა,
რომ ჰამლეტი შენი მეზობლის კატაა..
ჰეი, უილიამ შექსპირ!

დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
ყოფნა არყოფნის ფორმულებით მუმიფიცირება,
ამენ!

ჰეი, სილიკონ!
ისევ ხოცავენ შენს წიაღში ბუნებრიობას,
კოლიზიური აჩრდილებით ანგრევენ სხეულს,
შენ კი სდუმხარ, ან ბუყბუყებ
და შეექცევი ბიგმაკს და ჩიპსს, ტუჩების ტლეკით..
ჰეი, სილიკონ!
დიდია სახელი შენი და მოვედინ ნება შენი,
გაბერვა ჩვენი ტვინების და თვალის გუგების,
ამენ!

ჰეი, ღმერთო!
ჯვრიდან ჯერ არჩამოხსნილო და ჯერ არმომკვდარო,
ისევ ახადეს ფიქრებს ჩვენსას თავსახურავი
და ღობეებზე ჩამოაცვეს ჩვენი ლოცვების ფიტულები,
როგორც შენი ფოტოსურათები, ნეგატივებში..
ჰეი, ღმერთო!
როდის იქნება სახელი შენი დიდი
და როდის დაადგება ნება შენი ავტომაგისტრალს
ჩვენი თმებისკენ..
მაშინ, როცა ჩვენ ამოვხოცავთ ირმებს გუნდებად,
თუ მაშინ როცა შევისწავლით ყველა ინგლისურს?
ჰეი, ღმერთო!
ჩვენ შენი უჩინარი ვნებები ვართ,
სულის მინდორზე გაწოლილები ტურისტებივით..
ამენ!

ელენ

არაფერია. დაღამდა და არაფერია, კიდევ უფრო
მოგენატრება ელექტროსუნთქვა, ენის ჩაყლაპვა, გაშეშება,
ერთი წვეთია ოკეანე, თუ გინდა ჩუმად ვისაუბროთ,
დაივიწყე რომ გაღვიძება სიცოცხლის შემდეგ, საშიშია.

ენერგიაა თითებიდან გამოწოვილი, დაწურული,
ჰაერში უაზროდ დაფანტული, გაყიდული უმისამართოდ,
დაბნეული ხარ, გაწვალებენ შენი სიტყვები, გაწელილი,
თვალების გუგებს აყოლილი სისხლის ხაზების სასამართლო.

არაფერია. დამიჯერე არაფერია, რაზე ტირი,
განგიახლდება კანის ქსოვილი, უფოთოლცვენო ნოემბერი,
მთვარის ბალიშზე ჩაიძინებ, ამქვეყნიური დეზერტირი,
გალაქტიური ღრმულებიდან, თვალებს, ფარვანებს მოეფერე.

ერთი ბეწოა დედამიწა, კარუსელივით, შენს გარშემო,
ტალახიანი, ნაცრისფერი, თითქოს ახლახან განაბერია,
თითქმის წვეთია, დამიჯერე, თვალის გუბურა, შეგაშრება,
არაფერია. გათენდება ელექტრომზით და არაფერია.

ტუფლა

რამდენიმე ჰაი(ნა)კუ სტიქიების შესახებ

მხოლოდ
მეხსიერების საზღვარზე
მოხვედრილები ვცნობთ ერთმანეთს.
საზღვარი
კი ხან
არის, ხან არა,
უფრო
ხშირად
მას მოქცევა-უკუქცევა
შლის
და ოკეანეში
მივიკვლევთ გზას ასე,
ცალ-ცალ-კე.
- - - - - - - - - - -
ქვის
ურჩხული ისვენებს
ხის ცარიელ თაროზე.
გათლილი
ქვის სული
თვლემს, თან ფერად
ბოლს
უშვებს ნესტოებიდან,
რკალად რომ ეკიდება
მეხსიერებას,
იმისათვის. რომ
გააღვიძოს და ათქმევინოს:
“აი,
უკვე აშკარად
გხედავ, ეს შენ
ხარ,
შენ ხარ,
ჩემი ბებერი მამა”.
- - - - - - - - - - - - - -
ადრე
მეგონა, რომ
ყველა თვეს თავისი
აჩემებული
ხე ყავს,
რომელსაც განსაკუთრებით პატრონობს
ხანაც
კი ერჩის,

ხან მოსავს, ხან
ხდის
სანახევროდ, ანდა
მთლიანად, ფერს უცვლის,
სამკაულებს
კიდებს ან
ართმევს. მაგრამ ახლა,
როცა
ფანჯრიდან
ასეთ ღონიერ,
ცოცხალ ჭადარს ვხედავ,
ვფიქრობ,
ხე ალბათ
თვითონ
ირჩევს თვეებს თავის
მსახურად.
- - - - - - - - -- -
ჰაერში
გაბნეული ფიქრები,
ვერასდროს შევკრიბე ერთად,
რომ
სახელი დავარქვა.
ყველა მათგანი ცალცალკე
მისხლტება,
ხელიდან მეცლება,
გარბის, გარბის, გარბის,
ისე,
რომ ხანდახან
კუდს თუ მოვკრავ
თვალს,
თორემ ხელის
შევლებას ვერასდროს ვასწრებ.
- -
თუკი
ცხოვრება
ისაა, რაც
ცივ ცეცხლში იწვის,
მერე
კი ქრება,
ისე, რომ არაფერს
ტოვებს,
არც ფერფლს,
არც ნახშირს, არც
კვამლს...
მაშინ მე

ის ერთ აალებად,
ერთ
ფეერვერკულ სანახაობად
ნამდვილად მიღირს და
ვტკბები
მანამ, სანამ
ლურჯი კოცონი ჩემს
თვალწინ იწვის.

წერილი

სახე გაუუცხოვდათ ხეებს,
დეპიგმენტაციის ნიშნები
დაეტყოთ ტანზეც.
ამინდის ცვლილებამ და
გართულებულმა ინფლუენციამ
დააოსა საუკუნის წინ
გაშენებული ჩემი ეზო,
და კიდევ ფრინველების მოლოდინმა,
რომელშიც ის უკვე რა ხანია
ათენებს და აღამებს, რადგან
ფრინველები ხეების უზარმაზარ
ტორსებს თავს აღარ აფარებენ.
სახლების ცქერა მობეზრდათ ხეებს,
ადამიანები კი ისე დაბლა დარჩნენ,
რომ აღარც კი ჩანან, თითქოსდა მოკვდნენ.
მათ ახლა არავინ უფხვიერებთ გარშემო მიწას,
არავინ ეყრდნობათ, არავინ ელაპარაკებათ,
არავინ უძვრებათ ფუღურო მუცლებში,
მხოლოდ ქარის მოტანილი
პლასტიკური ნაგავი, ესაა და ეს…

ჰაერი კი დღეს, როგორც არასდროს სავსეა
მათი ქანდაკებებად ქცეული ფერწასული დეტალებით,
რომლებიც ჩემს მიღმა თავიდან ეწყობიან,
ახლებურად ლაგდებიან, ფართოვდებიან,
მხრებში იშლებიან და ჩემი აქ ყოფნის
თეორემის დამტკიცებას ცდილობენ...

მე თვალს ვარიდებ ხეებს,
ჩემი ადგილის და დროის ჯარისკაცებს,
და შევდივარ სახლში.

ლექსები, კენჭები

ჟურნალის პრიალა
თავფურცელზე
აფოფრილი გამოსახულება,
კატერფილარივით
დაბრეცილი ასოების
დეკორატიული გამეორება,
თვალს მჭრის,
ის კი ასწრებს და უკვე
ჩრდილად ქცეული ნელა
მიძვრება მოჭუტული
თვალების იქით.
ჟურნალი შარშანდელია.
დაღეჭილია შიგთავსი,
გადაგდებული და
დავიწყებული
რაც შიგ ეწერა, ისიც.
ხოლო ფერადი ყდა-რელიქვია,
ყურთბალიშივით შემორჩენილი,
წამწამების ფარდის უკან,
სიზმრის სცენაზე, სამ-აქტიან
სპექტაკლს ათამაშებს.

პირველი მოქმედება
კედლის დიდ
სარკეში ვითარდება,
რომლის წინაც ვზივარ,
სარკის სიღრმიდან კი
კვერცხებივით ელიფსები
მოფრინავენ,
ფრთხიალებენ,
მერე სარკიდან
ლოკოკინებივით ძვრებიან,…
გარს მეხვევიან
და ხელისგულებში
კენჭებს მიდებენ.
ბევრი კენჭია,
ზოგს ჯიბეში,
ზოგს ქუდში მიწყობენ,
რაც არ მეტევა,
სარკის წინ ყრიან.

მეორე მოქმედება
მოყინული ტბის

ზედაპირზე ვითარდება,
რომელზეც ვზივარ
ელიფსოიდური არსება,
ტბის სიღრმიდან
თევზები ამოდიან,
გარს მეხვევიან,
ცეკვავენ, პირებიდან
კენჭებს ისვრიან,
რომლებიც ჰაერში
მძივებად იკინძებიან
და ჩხრიალით
ტანზე მეკიდებიან.
კაშკაშებენ კენჭები
ჩემს სხეულზე,
როგორც ფარფლები.

მესამე მოქმედება
ორადგილიან
საწოლზე ვითარდება,
რომელზეც ვწევარ
დიდი ვერცხლისფერი ქაშაყი,
რაღაცის თქმა მინდა,
პირს ვაღებ
და სიტყვის ნაცვლად
პირიდან ბუშტი მებერება,
რომელშიც კენჭი დაგორავს.
ბუშტი ტუჩებს წყდება,
ჰაერში სკდება,
კენჭი ლოგინზე
ვარდება
და ასე გრძელდება...
მეორე, მესამე... მეასე,
ზუსტად არ ვიცი რამდენი,
რადგან არ ვითვლი...
ბოლოს ლოგინი
კენჭებით ივსება
და ფარფლებივით
კაშკაშებენ
ვერცხლისფერი კენჭები
ჩემს საწოლზე.
ტანზე ვიხედები და
ეს მე ვარ,
ჩემი ხელ-ფეხით,
ჩემი თმით,
ჩემი ყველაფრით,

ლოგინი კი
სავსეა კენჭებით,
რომლებიც ხტიან,
ერთმანეთს ეხახუნებიან,
ერთმანეთს ეხუტებიან
და სიცილით იგუდებიან...
ვუყურებ
და მეც ვიცინი.

რადიო-თოლია

Now that you have reached your goal
Use A.M., F.M.
Steven Myers

სუნთქვა,
რომელსაც გრძნობ 500 მეტრში,
შენი ნების მიუხედავად,
ნაცნობ მზერასთან ერთად,
მდინარის იქიდან აქეთ,
დიაგონალურად გკვეთს.
ირონიულად მოჭუტული თვალების
საშიში თამაში,
სიტყვებით წუწაობა
და არყის სუნი
დაგსდევს თან
და გარბიხარ.
უნდა გაიქცე,
რადგან უიაროღო ხარ.
უნდა გაიქცე,
რადგან მანიპულატორი არ ხარ.
უნდა გაიქცე,
რადგან არც მაზოხისტი ხარ.
და რადგან გონებით ვერ წყვეტ
და არც სათქმელი გაქვს რამე,
გული გაქცევას გკარნხობს და
გარბიხარ, 500 მეტრი, 450 მეტრი, 300 მეტრი,
სხვისი პულსი ყურებში გიფეთქავს,
სხვისი სახე დიდ ფოტოდ გეკიდება თვალწინ,
სხვისი სუნი გახრჩობს,
გარბიხარ, 250 მეტრი, 200 მეტრი, 150 მეტრი,
100, 50, 40, 30, 20, 10, 9, 8, 7, 6, 5, 4, 3, 2...
ერთი ნაბიჯიც
და
უხილავ რადიო ტალღებს
შეუერთდები,
შეცურავ
ან
F.M. XY-ის ზედაპირზე იტივტივებ
თოლიასავით.

თავსატეხი

რამდენი ხანია აღარ მინახავს,
ის კაცი იყო, ველოსიპედისტი.
მისი მოსვლა მახსოვს,
დევნა მახსოვს, შიში მახსოვს,
კანის ფერი მახსოვს,
წრე მახსოვს, რომელსაც ვერ გადავუხვიე,
წრეზე სრიალი მახსოვს... განა ერთი,
წრეები, სპირალები, სერპანტინები.....
ქვიშის საათი, მახსოვს
თითქმის ჩამოცლილი,
ცოტაღა რჩებოდა, იცლებოდა, ოღონდ
ბოლომდე ვერა, ვერა და ვერა.
მაინც რამდენი ხანია, რაც არ მინახავს,
თითქმის დამავიწყდა კიდეც, მავიწყდებოდა უკვე
და აი სადღაც დავიწყების წკიპზე მოვიდა,
თან თავისი სპიდომეტრი მოიტანა
თან თავისი არქეტიპული მნიშვნელობა
სამალავიდან ამოათრია,
ზედ გადაიცვა,
და ყველაფერი დავიწყებული,
რისი დავიწყებაც შეიძლება
მუჭში მოიქცია, ხელში შემოიდნო,
ჩვენს შორის მანძილი ჯიბეში
დამალული მაკრატლით მოჭრა,
ჩვენს შორის სივრცე ხარბად,
ლუკმა-ლუკმა გადაყლაპა,
ჩემი დაბნეულობა და ცაიტნოტი
თითზე დაიხვია და თავისკენ მოქაჩა,
მოსწია, მომიახლოვდა,
თითქმის გამისწორდა,

ქვიშის საათს დასწვდა, მოისროლა,
ქვიშა ჰაერში, შუშის ნამსხვრევები
მიწაზე გაფანტა, გამასწრო.
ფინიშთან მისულმა ნიღაბი ჩამოიხსნა
და სახე დამანახა,
ყველა ჩემი დამარცხება,
ერთად აღებული,
მოზეიმე სახეზე გადაეწერა,
ეპიზოდებად აესახა,
უზარმაზარი ჟირაფის
კისერივით გაეწელა, გაეწელა,
ჩამოფრიალდა
და ჩემს ფეხებთან,
წინწკლებიან ლენტად ქცეული,
რბილად დაეშვა.
გადავაბიჯე,
საბრალოა გამარჯვებული.

ზვიად დევდარიანი

ემანუელი

ანუ, ჩვენთან არს ღმერთი (სიყვარული)!

<u>დაბადებამდე</u>

ვაკის პარკში კალიები ჭამდნენ ერთმანეთს.
სიყვარული გემრიელია

<u>დაბადება</u>

როცა გეტყვი
გამიშვი გარეთ,
(გაიჭინთე)
უბაწროდ გავალ, -
საკუთარ თავს დავეკიდები.
შენს სიჩუმეს არსად გავთქვამ, -
როცა გავალ
სუნთქვა-სუნთქვით,
ქოშინ-ქოშინით.
თუ ტკივილს იგრძნობ,
მომიჭირე მშიშარა მხრებზე.
შუა გზაზე გამჭედე შენში,
შემაფერხე,
მომანდომე შენში დარჩენა.
მერე ისევ მათქმევინე:
- როცა გეტყვი
გამიშვი გარეთ,
საკუთარ თავს მინდა სხვებში ველაპარაკო

<u>დასაწყისი</u>

როცა დგას გუბე -
მაწანწალა, ცივი თვალების,
როცა არ მშველის ყელიანი რეზინის ჩექმაც
და გამლუმპავი გულგრილობა (მგონია, რომ)
მისველებს წინდებს,
როცა შიშისგან წინდიანად
ვისხეპავ ტერფებს,
რომ ამ თვალების ცივ სისველეს
შევწირო მსხვერპლი და

ტერფებს ზევით ჩემი სითბო გადავარჩინო,
როდესაც ვხვდები, რომ
ეს გუბე -
მაწანწალა, ცივი მზერის თავსხმა წვიმის სასაფლაოა,
ვიგლეჯ ხელით და
ხორხთან ერთად ხმის იოგებს ვუთესავ ვულკანს,
რომ გულგრილობის გუბეები აქციოს ორთქლად,
რომ გადაადნოს მაწანწალა, ცივი თვალები
და ცხელმზერიან თოჯინებად გადააქციოს.

როცა დგას გუბე - ცეცხლზე ვფიქრობ

<u>გაგრძელება</u>

ასანთის ყუთში:
ენის წვერით ნაგროვები მოსავალი -
ზაფხულის ჭორფლი
შენს თავს მახსენებს.

საკუთარ თავს საყლაპავი მილით ვზომავ,
სადაც შენი ჭორფლის მდელოს მთელი მუჭა გადამცდენია -

იმ ზაფხულში,

როცა ზღვიდან
თევზებივით ამოყარე შიშველი მხრები,
როცა პირით ჩემს ყურამდე
მოიტანე ჭინჭრის მედუზა,
როცა ცხვირი დამიქოლე
თითების წნელით,
როცა დასცხე საკუთარი მზერის დოლები,

როცა ხელში ჩამაფრინდნენ შენი ჭორფლები,
აცოცდნენ მხრებზე,
ჩამოცურდნენ ოთხივე მხრიდან -

ვიფიქრე, რომ მამობას შევძლებ

<u>დასასრული</u>

უკვე რამდენი გაზაფხულია,
ვაკის პარკში არ მინახავს წყვილი კალია

ჰ.ს.

როცა მინდორი გაივსება მიტოვებული
უღლებით, როცა
მჭედლები ერთად შეიცვლიან პროფესიას
და უქმე ნალებს ბუხრის ალში შეაბრუნებენ,
როცა ერთმანეთს ჩაკიდული ხელის მტევნების მოსავალი
გაავსებს მიწას,
როცა გამომშრალ ძუძუსთავებს დაუშენენ
დედები შვილებს,
როცა შვილები
ურმებიდან გადმოცლიან ნაომარ მამებს,
როცა მამები ჭრილობიდან გამოყრიან
ფეხმძიმე დედებს -

როდესაც წერო გადაუფრენს დაქცეულ სახლებს
და გაიტაცებს ფანჯრებიდან მომავალს ზეწრით,
აფთიაქებში გაყიდიან შუშხუნა ღმერთებს (ჩვენს სიყვარულს)

ჩემი უბანი

ჩემი უბნის მშენებლობა დაიწყეს ცაში

<u>ბაბუის სახლი</u>

არსად მინახავს კარი უსახლოდ,
მაგრამ სახლი უკარებოდ არსებობდა
ცხრა სოკოს იქეთ.
სახლი, რომელშიც კენკრის სუნი
წლიდან წლამდე შეიცვალა წამლის გემოზე.
სადაც, ციყვებთან ვითამაშე მთელი ბავშვობა
დახუჭობანა
და ერთხელაც, საგულდაგულოდ,
ისეთ სიღრმეში დავმალე თავი,
რომ ციყვები დღემდე მეძებენ.
დღემდე მეძებენ ჩემი ხელით დახატული
მელიებიც, სპილოს ფეხებიც,
დედა, მამა და დის ნახატიც ბუხრიანი სიმშვიდის ფონზე,
მუხლისთავებთან დახეული შარვლის ტოტებიც,
დედის 8 მარტის მისალოციც
წარწერით:
“დედა, გილოცავ” და “სულ მეყვარები“,
მეძებს ბაღის დროინდელი კურდლის ფორმაც,
მეძებს ბაბუაც,
ყოველ ღამით მწვანე ჭიშკარს გადმოდის და
მეძახის:
„ბაბუუუუუუუ, დაიღალნენ შენი ციყვები,
დაბრუნდი სახლში“.

სახლში, რომელიც არსებობდა

<u>მამის სახლი</u>

მამა ცხოვბრობდა სხვის გულებში,
იქვე შეირთო დედაჩემი,
იქვე ვეყოლე,
იქვე გამზარდა,
იქვე მოკვდა,
ბოლოს, იქვე დავასაფლავე.

როცა მინდა მამის მოსმენა
გამვლელებს დავსდევ,
ვეკვრები მკერდში,
ვიტრუნები

ჩემი სახლი

იმ სახლში, სადაც უნდა მეცხოვრა,
გაიყვანეს ნავთობის მილი

განახლება

ჰერბარიუმში გავაცოცხლე ყველა მცენარე
და ეს სიცოცხლე, ვაჭარ მიწას,
მკვდარ მამაში გადავუცვალე.

ყველა პეპელა ჩამოვხსენი კედლებიდან,
ერთი დღის საგზლად ჩავუბერე თხელი სული
და ბუნებას გადავუფერთხე.

პეპლისსაჭერიც, ჩემი ცივი აირაღი -
ცარიელია.

ისევე, როგორც - ეს ხელები; -
თუ არ მიჭირავს შენი ოთხი კილოგრამი
რძიანი სუნი.
თუ არ მათბობს ორი ლიტრი ჩემი სისხლი
მტირალა კოლბით, -
ცარიელი ვარ,
არც ვივსები,
თუ ამ კადრებს არ ვაქცევ ფილმად
და არ ვიტყვი,
რომ რაც იყო - აღარ იქნება
და რაც მაქვს ეხლა, ავსებს ყველა სიცარიელეს,
მაგდებს ყველა სამალავიდან და
მისაკუთრებს.

ისაკუთრებს ჩემს ყველა გეგმას და მანდომებს, -

ჯაგრისის ნაცვლად, დღე დავიწყო
დაფნის აღუ-თი
და არ ვჭამო არაფერი
ღამის აღუ-მდე.

მერე ავუხსნი, რომ
მისი სახით - დავიხსენი მიწიდან მამა

სტამბული - თითებზე დათვლილი ქალაქი

I ღამე

დაღლილი ქალაქი ჭიპიდან გადმოდის,
ყველა მხარს ზევიდან ფეხები აწყვია,
ქუჩაში, შემწვარმა ბოსფორის ქაშაყმა
ტურისტი არწყია.

ღამეა,
მოლები ეძებენ მუჰამედს

II ღამე

ნაკბეჩი ვაშლები ქალაქში გორავენ,
ცოდვები ლუკმებად ყლაპავენ სართულებს,
ცოტაც და თვითმკვლელი გაზომავს სიცოცხლეს,
ამ ღამეს სიკვდილით ვართულებ.

სხვის ცაზე,
სხვა ქვეყნის მთვარეზე
შებმული მარყუჟი - ღამეა

III ღამე

ვისვენებ,
ამ ღამით, სასტუმრო ოთახში,
ქალს ვტენი სხვა ღამით გასაჩენ მომავალს,
რომელსაც საკუთარ სხეულში ვერ ვიტევ,

ვისვენებ,
ცოტაც და
ამ უცხო სიბნელეს მუსიკით შევუტევ.

IV ღამე

გავფრინდი -
მუჰამედს ხელს ვუქნევ ქრისტეში

დღენახევარი

9:00

გათენდა. გავმთელდი.

09:17

ვიღიმი.
დღეს სარკე მწვანეა.
მწვანეა ჯაგრისიც.
ზამთრისგან დაზაფრულს
ახლა მშურს აფხაზის, გაგრაში
უჩემოდ რომ ხვდება გაზაფხულს.

09:25

დღეს ჩაიც მწვანეა.

09:42

ბუჩქი. ხე.
ბუჩქი. ხე.
რუსთავი-თბილისი.
უძილოს, მგონია, ლავიწი მთვარეა.
გვერდზე ზის მეთევზე,
ზურგს უკან - ღმერთია.
არ მორჩა, დღეს, თითქოს,
ყველას გზა ერთმანეთს შერთვია

10:00

თავები, -
უკისრო, უმხრებო, უხელო, უტანო,
უფეხოდ მგორავი თავებით
სავსეა ოფისი.
თავები ფიქრობენ:
შენ ნაცვლად, მის ნაცვლად,
ჩვენ ნაცვლად, თქვენ ნაცვლად.
ამ ფიქრში მზე გაცვდა, ცა გაცვდა,
მთა გაცვდა, -

ღმერთს ლუკმად გადაცდა მსოფლიო ნაფიქრი.

18:00

სახლისკენ,
ცირკის წინ, ფულს ითხოვს სასწორი.
დღეს ტანი ავწონე.

20:10

ამ ეკრანს პატარა თითები ატყვია,
ეკრანი შტაბია.
აქედან თითები ესხმიან იატაკს,
დოქებს და მათ ჯინებს,
კუჭავენ გაზეთებს,
ამსხვრევენ თოჯინებს,
სჯობს თავად დანებდე თითების არმიას.
პატარა თითები ჰაერში დარბიან,
პატარა თითები ხაზავენ კონტურებს.
დღეს მამა კარგია,
თითები მამიკოს ტაშებს მიახლიან.

ეს ჩემი სახლია.

21:20

აქ სიყვარულია პატარა ჩოჩორი,
აქ კაცი ლოთია,
აქ შვილი მკვდარია,
აქ ცოლი ქალია, რომელსაც ნასვამი ქმარიც არ ეხება.
აქ ომი კერძია, ღომთან მისაჭმელი,
სიკვდილი სხეულის ნაწილი - ხელია,
ოჯახი ხვრელია,
სოფელი ხვრელია,
მსოფლიო ხვრელია,
რომელშიც გავძვრებით ღმერთისკენ ყროყინით.

მოძრავი ჩოჩორი ტიტრებში კუდ იქ ცა.
ბრავო, კუსტურიცა.

23:35

გვერდიდან შევივსე.

00:50

როდესაც არ გინდა და მაინც იძინებ.

როდესაც სიზმრები ცხადიდან გრძელდება.
როდესაც ეყოფი საკუთარს - სხვისისკენ
და გრძნობა ფესვშივე როდესაც ძველდება.
ღამეა “სულერთის”,
მთვარეა “სულ ერთის”,
ფანჯრის წინ მთვრალებიც არიან “სულერთის”
ნაწილი.

და გრძნობ, რომ გაგხადეს თამაშის საწილო.
დროებით.
ცასვლამდე.

9:00

გათენდა. გავმთელდი.

09:17

დღეს სარკე თეთრია.
თეთრია ჯაგრისიც.
იმედი ოხრდება.
ისევ მშურს აფხაზის, გაგრაში,
უჩემოდ, ამ ზამთარს რომ ხვდება.

09:25

არ მშია -
პირზე მაქვს ლოდინის არშია.
არ მოჩანს -
ღმერთს ვატყობ, რომ წარღვნა გამორჩა.
არ ესმის -
უბრალოდ, არავის არ ესმის

09:42

სამშობლოს თვითმკვლელის როლინგი აცვია.
განვიცდი

10:00

იწყება დღეს ლიკვიდ(ნ)აცია

ზექა ახალაია

* * *

ჩრდილი ღამემდე სკამზე იდება.
მიწევს სიფხიზლით ღამის შენება
და ძველებურად კვლავ მერიდება,
ქართველ პოეტად თავის ხსენება.

შენი არმოსვლა ცუდად მენიშნა,
ლექსიც წვეთივით ვეღარ წკაპუნობს
და გადაჭიმულ მკლავზე ვენაში,
სევდა მორფივით შემიშხაპუნეს.

ვერ ვდიეთ ქარებს,ველებზე გაშლილს,
ვნებაც კანივით შემომეცვითა
და მარტოობას,ბოთლივით დაფშვნილს,
ვკენკავ მრთთოლვარე ჩემი პეშვიდან.

* * *

ტრფობა დალალივით გაიშალე,
სუნთქვა შენს კისერზე გავაციე...
მიწის მოქრთამულმა ქარიშხალმა,
წუხელ ალუბალი წააქცია.

ვიღაც გადარია შენმა შარმმა...
გკითხე,შენ სიცილში გამიტარე,
მე კი გაბრაზებამ უეცარმა,
თვალის ბადურები გამიბზარა.

ალბათ გაცოფებულ კუროს ვგავდი,
ენაც გესლიანი გამომება,
ვაზა ავიღე და...ისევ დავდგი,
ბრაზი კი დავფშვენი ასოებად

* * *

ვერ მოვაცილე ქმარ- შაბათს კვირა-
ცოლი,მასავით არ მემეტები.
მოიწვიმა და ნიავმაც დილით
მინა მოკენჭა წვიმის წვეთებით.

ასე ღამეებს ვათევდი ადრე,
ვფანტავდი ლექსებს სიბნელის ტევრში,
მერე დრომ წლების აიკრა ჩადრი,
ქალაქის მტვრიან ღამეებს შევრჩი.
მონატრებული წარსულს მზერა და
ნათითურები შევაშრე კარებს
ოდის სიბნელე ააფერადა,
ალუბალს წვერი ატრუსა მთვარემ...

* * *

ხომ დაგიკრიფე ველად ყვავილი,
ეს დღეც უჩემოდ არ დაგაცალე.
დილით უჩუმრად ჩამოქროლილმა
ნიავმა ფოთლებს მზე ააცალა.

ეგ შენი მკერდი რძესავით შევსვი,
შემოგელია მგონი პანიკა.
გუშინდელივით ეს ერთი ლექსიც,
ჩამოვაფხიკე მაისს ტანიდან.

ხვალ ნეტარების ბურუსში შევალ,
მოგვრილში შენთან ვნებიან ზავით.
ამ დღეს კი,როგორც გადაჭრილ მტევანს,
მთვლემარე ღამეს მივაკრავ ქავად.

* * *

ისევ წახვედი სადღაც ამ დილით,
გულმა დადნობა რომ დააპირა,
გუშინდელისგან ეს დღევანდელი
დღეც უაზრობით დავაკოპირე.

არყით,თვალები მხოლოდ დამითვრა,
მეც კი მრცხვენია ჩემი ბოგინი.
ისევ ვითვლიდი წვეთებს,დილით რომ
ღრუბელმა წვიმა მოილოგინა.

რა ვქნა,ბახუსმა მხოლოდ დამცოფა,
ყველაფრისა ვარ ახლა მოვარე,
რადგან შენთვის ვარ როგორც ბავშვობა,
სადღაც ზურგსუკან დანატოვარი.

ლაშა ბერაია

* * *

აღარც კი ვიცი, რას მივაწერო
სევდიანი ჩემი ღიმილი...
იქნებ ალუბლებს, შენს მოლოდინში
რომ მწიფობენ ჩემი ფანჯრის წინ?

ახალი გალაქტიკა

რასაცა გასცემ, შენია, რას არა – დაკარგულია.
რუსთაველი

თუკი ოდესმე გირჩევს ვინმე –
გულს ნუ გასცემ უშურველადო...
და თუკი ოდნავ მაინც გეეჭვება რუსთველის სიბრძნე, –
გზაგასაყართან დგახარ, იცოდე:
ან იფეთქებ და ახალ გალაქტიკად დაიღვრები,
განწმენდილი და ხელახლა დაბადებული,
ან დაინთქმები მეშჩანობის მღვრიე ჭაობში –
უფრთო ფრინველად დაცემული დამზრალ მიწაზე.
ყოველი დღე და ყოველი წამი სავსეა გზნებით –
ან აღმაფრენის, ანდა დაცემის.
ფართოდ გახელილი თვალებით შეხედე ზეცას –
მირიად ვარსკვლავს შენთან თამაში უნდა...

* * *

მაიას

წუხელ საღამოს შენს მზერაში მზე ჩაესვენა...
გაუჩინარდა მოუღლელი კრთომა ალების,
და მუდამ ცინცხლად მოკიაფე შენი თვალები
დამგვანებოდა ზამთრის სუსხში გარდაცვალებას.

სიყვარულის და მიტევების უხმო ალერსი,
გულში ნადები, ვერავისთვის გასანდობარი,
გამოუცდელი თვალისათვის უცნობი სულაც,
უწყალო ეჭვმა დაგიმსხვრია ბარბაროსულად.

თავი იგრძენი მიუსაფრად და მარტოსულად.
უხმოდ წახვედი... დამიტოვე ორი ზმანება:
განაწყენებულ-გატანჯული მზის ჩავანება
და – სინანული, თვითმკვლელობამ რომ დაასრულა...

შენი გული

ჰა, ონავრული შემართებით მიაპობს ახლა
დაუდგრომელი შენი ნავი ქოჩორა ტალღებს.
თეთრი აფრების დგაფუნში ზოგჯერ ექოდ ჩამესმის
ზღვის მღელვარება – შორეული, უკვე ჩავლილი.
შუადღეა. შუბისტარზე მზე კი არა, შენი გულია.

წადი იქ, სადაც შაშვები ხმობენ

ნუ წახვალ იქ, სადაც გხედავენ მხოლოდ ლამაზ თოჯინად,
სადაც გართობით იქარვებენ უფერულ დღეებს...
იქ წადი, სადაც შენი მშვენება
სულის ოქროთი დაფერილი მოეჩვენებათ,
სადაც შაშვების გადაძახილს განძივით ფლობენ.

11.06.88

გივი ბერაია

* * *

ზღვას მთისთვის მოუხვევია წელზე მკლავივით – ღელე,
და ტალღა, ცირკის ვეფხვივით მშვიდი, მილოკავს ხელებს...
ზღვას მთისთვის გადაუდვია მხარზე ტორივით – ღელე.
აქ სული ისე იხსნება – ლექსი თავისით მოდის,
აყვავებული ლოდივით – დავედარები ლოდინს,
და სული ისე იხსნება, შვება თავისით მოდის.
არ მიგითვისებ! – ფიქრებში გელაციცები ოდენ,
რომ მუდამ... ფიცხლად აუყვე ჩემი სურვილის კბოდეს,
არ მიგითვისებ! შორიდან გელაციცები ოდენ.
შაშვის კვერცხივით ჭორფლიან კენჭებს ვაგროვებ შენთვის,
და ღმერთი ახლა ჩემშია – ჩემს თმენაშია ღმერთი,
შაშვის კვერცხივით ჭორფლიან კენჭებს ვაგროვებ შენთვის.
მკლავივით მოუხვევია ზღვას მთისთვის წელზე – ღელე,
ტალღა, გაწვრთნილი ვეფხვივით მშვიდი, მილოკავს ხელებს,
ტორივით გადაუდვია ზღვას მთისთვის მხარზე – ღელე...

* * *

მე მახსოვს ოქროს ფასკუნჯი, შუაცეცხლი რო ერქვა:
ერთხელ ფრთა აატკაცუნა და ზედ შემისვა ბალღი,
შუაღამისას ზესკნელის კარი შემიღო დაღლილს
და... დამასიზმრა ბაბუა, ჩაჭიდებული ერქვანს.
აპრილი იდგა. შროშნების მრავალწერტილი ხნულში
მზის ბოინს მოასწავებდა, და განახლებას სისხლის.
როს, ფეხშიშველა, ეზოში დავტანტალებდი მისხი,
ღიავარდისფერ კაბაში გამოგვეცხადა ნუში.
და მხარს უბამდა მურყანის სამზადი წაბლის ოდას,
გადავლით ემუქრებოდა მოლი ჭიშკართან გზაწვრილს,
და ყოველს ციდან მართავდა სხივის ათასი ბაწრით
მზე-მსახიობი. პონტიდან ლურჯი ზეფირი ჰქროდა.
მწამს, შეუძლია სულის ხსნა ამგვარ ხატებს და ხილვებს:
მარტივად მართალ, მიწიერ ვნებათა ციურ ნაყოფს,
მით ვცადე; ცეცხლის ფასკუნჯი სწორედ ისეთი ნახოს
ოცდამეერთემ, მე ახლა სულზე წამლად რო ვივლებ...

ახალი სიყვარული

გამომიყვანა დაღლილი მე-დან,
თუმც სად მივყავარ, არ იცის თავად,
და ჩირის ფასი არა აქვს ახლა,
რასაც აქამდე ვეძახდი მთავარს.
და ველტვი ახალ განზომილებას,
რომელსაც ძნელად თუ ვეთვისები,
მხოლოდ იმიტომ, რომ თვალებსა მჭრის
სხვა ელვარებით და სხვა ღირსებით.
ის კი იცინის (აზრზე არ არის) –
თამამი, ლაღი და ბუნებრივი.
და თავს მავიწყებს. და მე ვიბნევი.
და დრო მიცურავს აისებრგივით.
ვიცი, რაც წყალქვეშ დამალულია,
ხილულს ათასჯერ აღემატება,
მიტომაც ვცდილობ, თვალი ვუწვდინო
არშემდგარ ფერთა ფარულ ნათებას,
მაგრამ ამაო არის ყოველი –
დღეს მისი ნიშნით ბრუნავს ცამყარი
და კიბორჩხალაც მზის გულს მიელტვის.
და ვერეს პირას მწიფობს მაყვალი.
და მიწიერი და ღვთაებრივი
წონასწორდება მისი თანხმობით:
მწვანე მინდორი ლურჯ ქედს ასცქერის
და მდინარეზე ჩარბის მაღლობი.
ფრთებქვეშ მოიმწყვდევს სივრცეს არწივი.
და ნიავს კვალში მისდევს წიწკანა,
ფიქრში – ვით წყალში ფოტო – მჟღავნდება
შავ-თეთრი კითხვა: ცა ვარ? მიწა ვარ?
აღზევებულა ახლად სიცოცხლის
თავბრუდამხვევი სრბოლა-კორიდა,
და სამყაროულ შფოთვა-ქაოსებს
შენ სატრფოს თვალით ზვერავ შორიდან.
და ფრთებს აიქნევ და წაიგრძელებ კისერს –
მოაპობ ჰაერს გედივით
და შენს სრულყოფილ ფორმას შხივილით
გარს უვლის ჟამი მარადმედინი.
ციმციმებს შვიდი – მეშვიდე თვეა.

მზე ხურს კირჩხიბის ზოდიაქოში,
და დღეს ცის ბანზე გამოეგება
და მობარბაცებს ღამე ზარხოში.
და ციბრუტივით დატრიალებულ რვიანს
არილი ადგას ტრფიალის
და აფროდიტე იისფერ ნათელს
გვაპკურებს ციდან მთვარის ფიალით.

მოქანდაკის მონოლოგი

ძნელია შენი ტრფიალის ასე უჩუმრად ზიდვა:
ერთხელ... დილამდე გელოდი! და გამოგჭერი მზიდან.
გაურკვევლობის ბურუსში გკენკე სულ წერტილ-წერტილ,
ქარით ვლესავდი თეძოებს, მთვარით აგივსე მკერდი.
მიწის წრებრუნვა ჩაგიდგი მუხლებში...
შენი სული
ენგურის შხეფთა ფრთონაა, ლაჟვარდით შენისლული.
სად თვალშეუდგამ სიმაღლეს უფსკრულის ხახა უმზერს,
წყაროსთვალივით გადაგდის უშბას ციმციმი ზურგზე.
დალის წავარნას აჰყვები, სხივებს დაიხვევ მკლავზე,
დილის გაბრუებს ზღაპარი, სიზმარ-ცხადში რო ვკაზმე.
მთათა ულაღეს კონტურებს ისე თამამად ერწყმი, –
ხის ტოტზე გადარწეული ვაზის მგონიხარ ლერწი.
და მიჭირს შენი ტრფიალის ასე უჩუმრად ზიდვა:
მთელი სიცოცხლე გელოდი!
და გამოგჭერი მზიდან.

* * *

და მზე ჩავიდა. და ჩვენ წავედით –
თითქოს მზის შუქის დასაბრუნებლად,
თუმც მარტის ქარის ცივი უარით შემოგვეგება
ხიდთან ბუნება...
მე მიხაროდა გულში – მიზანი რო გაჩნდა:
რაღაც ზმანების მსგავსი
და ისეთი რამ გვწყუროდა დაღლილთ,
კონკრეტული რომ არ ედო ფასი.
და რომ არავინ არაფრის ახსნას არ გვთხოვდა,
და ჩვენც არვის ვერჩოდით:
ერთად ვიდექით კაცი გულქართლი
თუ კაცი ხარბი (თავის ეჩოთი).
და ბავშვებივით იმპულსურები,
ვუსმენდით ტყეში ტოტების ლაწანს,
და ივსებოდა სიცარიელე, ამდენი ხანი
გულზე რო გვაწვა.
მთვარემაც თითქოს სულში ჩაგვხედა:
გამომაფხიზლა სხივების მჯიღმა.
ასე უბრალოდ აღმოვჩნდით, მახსოვს,
ბოროტისა და კეთილის მიღმა...

ნინო გოგიაშვილი

ნინო ნადირაძემ მთხოვა, რომ თქვენთვის გამომეგზავნა ლექსები.
არ ვიცი, ეს 5 ლექსი რამდენად რჩეულია, ცოტა გამიჭირდა შერჩევა...

წყალსაც წაუღია!

შაოსანი სპლინი მე მაინც მაგიჟებს,
გეძებ და გპოულობ-ლაღს და აუგიანს,
ამოგიჩემე და გაგხადე სამიზნედ-
-უშენო დღეები წყალსაც წაუღია!

ეეე... როგორ დაბერდი,
ბიჭო, რა მოგსვლია...
მივყვები უშენო დღეების ქარავანს,
მთვარე დღენაკლული-წვიმების ლოთია,
მაბნევ და შენს გზებში ვპოულობ სამალავს...

ახლა სტიქიურად მშვიდი და ფლიდი ვარ,
მოზომილ ლექსიკას გახვევ და გამუნჯებ,
საზღვრებს ვცილდები და
მივდივარ, მივდივარ,
ზღაპრებში მივყავარ წრეგასულ ფასკუნჯებს...

თვალში რომ ჩამხედე,
ხომ გახსოვს, თავხედო,
ბავშვობას ვნებები მხარზე გაუდია...
ერთი სისულელის უფლებით ვსარგებლობ-
-უშენო დღეები წყალსაც წაუღია!

საგაზაფხულო აღსარება

ჩემს უსაყვარლეს იღუმენია იოანას

მოვედი, დედაო,
მხდალი და ფერმკრთალი,
მიწის ღონიერმა მეწყერმა წამიღო...
ბავშვივით წრფელი ვარ და მაინც ვერაგი,
თქვენ უნდა გამიგოთ!

ვევნები... ღიმილს კი ვერაფრით ვივიწყებ,
მაგიჟებს აპრილის საღამოს სუნთქვა,
ტალანდოს რაკუნში მაცხოვარს ვუღიმი,
იქნებ, მიშველოთ და
გამიგოთ უნდა!

გაზაფხულს მოვყევი კაბების ფრიალით,
გზა და გზა დაღვრილი აპრილი ვაგროვე,
მინდვრის ყვავილებით ოცნება შევკონე
და ისიც მაცხოვრის ფეხებთან დავტოვე...

ჩემს სულს რა ვუთხარი,
დედაო, გული კი
საშინლად ლამაზი ცოდვისთვის მაქეზებს!
თქვენს ძაძებს ვემთხვევი
და ხელებს გიკოცნით!
უნდა მაპატიოთ, დედაო!
გაგენდეთ...

დილა დამადგება ბატონივით

დილა დამადგება
ბატონივით,
ოხერ ჩამონათვალს
დამიტოვებს...
ბაღში აყვავებულ
ალუბლის ხეს
რიხით შეადარებს
ატმის რტოებს...
მერე, სიამაყით
შემახსენებს,
რომ დრო ფულია
და ფული-ჭუჭყი!
და მე ლოგიკურად
დავასკვნი, რომ
ადრე გაღვიძება
არის ფუჭი!
მერე, უსასრულოდ
ვიფარფატებ,
ათას უაზრობას
მოვედები...
ხელი მომაშველოს
ვინმემ დროზე-
-სად ხართ-
-ბოჰემური პოეტები!
სად ხართ, დროის
ფუჭად მფლანგველები
რაღაც ლექსებზე და
სონეტებზე!
მე დღეს ტრიუმფალურ
თაღთან ვდგავარ
და დროს ვაგირავებ
მონეტებზე...

გარსონ! ჩამომისხით...

ტუჩის კუთხეებზე თავს იხრჩობს წყურვილი...
ღამეს ავზნიანი ქალივით აზმორებს...
გარსონ! ჩამომისხით ეს ერთი სურვილიც
და მარტო დამტოვეთ...

გარსონ!
მე ფერებით მინდოდა მეცხოვრა...
ხურდას ნუ მიბრუნებთ-იყიდეთ ვარდები!
დამისხით ყველაზე შლეგური ოცნება!
ვთვრები და ვთავდები...

ვმთავრდები...
და სადღაც ფანტავენ ოქროზე
ლურჯი ანგელოზის შემოფარფატებას...
მაბოდებს მეცხრე ცის მეეტლის კოფოზე!
დღესაც რა საოცრად
სევდისფრად ღამდება...

ათიოდ ზამთარში...

ჩემს ქეთი ახვლედიანს!

ფიქრობ, დავბერდები?
ათიოდ ზამთარში
ჩამივლი მშვიდად და
უდარდელ მთქნარებით...
სკეპტიკურ ღიმილით
ოჯახს მომიკითხავ,
ხარბ თვალებს გააძღობ
კისკისა ქალებით?
ღერი არ შეგერხეს
იქამდე, ძვირფასო,
(თმის ღერი ვნებასთან
რა მოსატანია!)
სანამ გადაგივლი
მძიმე სახადივით,
სანამ მოგცილდება
შენ ჩემი მანია...
მექნება ნაოჭი-
-ძალიან ქალური,
და თითლიბაზური
ფერმკრთალი ღაწვები,
თხემიდან ტერფამდე
გველივით დაგივლი,
მთელი ბრწყინვალებით
შიგ გულში გავწვები...
ფიქრობ, დავბერდები?
ათიოდ ზამთარში
იქნებ, სააქაოს
საერთოდ ვერ მნახო...
ქარს ავედევნები
მაცდური ალივით,
რომ, ვითომ შემთხვევით,
ტუჩები შეგახო...

ნათია ავსაჯანიშვილი

სიზმარი

რა მოწყენილი ამინდია
ჰგავს დღეებს წასულს,
მუსიკის ჰანგებს გავურბივარ
მაგონებს წარსულს...

თვალებზე სიზმრის გუნდა გაწვა
წამწამზე დნება,
ოკეანეში ტივით გასულ
ფიფქებად ქრება...

ბურუსში მეხი დაენარცხა -
დააფრთხო შველი,
კორდზე ჭიხვინით მიჰქრის ჰუნე -
ჟინი აქვს მწველი...

ბინდი გამეფდა, უსასრულო
ჟამთ მოლოდინში...
მოიკალათა ნისლმა მშვიდად -
მთვარის ლოგინში.

ღაწვზე მოგორავს ციცქნა წვეთი -
ჩუმი ცრემლია,
ბაგე გაიპო სათქმელი აქვს,
მაგრამ სველია...

ძილ-ბურანიდან გამორკვევა
თურმე ძნელია,
უსაზღვრო სივრცის მარწუხებში
ტრფობის ველია...

ამინდი ისევ არ შეცვლილა,
მოწყენილია...
ვერც ეს ჰანგები მეტყვის ახალს,
მოსმენილია...!

წვიმს

მწყურვალი ვარ! - ეჰ, რამდენი ხნის!...
დრო გადის და უშენობა მწყინს,
გამაგონე მდუმარება ხმის
ახლაც ისე, როგორც მაშინ - წვიმს.

ვინ დამჩაგროს!? - როს შვილი ვარ კლდის,
მაგრამ შენთვის გული მუდამ თრთის,
შემიფარე ქვეშ ძლიერი ფრთის...
ახლაც ისე, როგორც მაშინ - წმივს.

გეფიცები, რომ ლეკვი ვარ მგლის,
ასხმული ვარ ურჩად - ჯაჭვით მთის,
მხოლოდ შენთვის, ვარ მე ნუკრი შვლის...
ახლაც ისე, როგორც მაშინ - წვიმს.

მწყურვალიო?! - თან რამდენი ხნის,
დაიჯერე დრო ვერაფერს ცვლის,
დასრულდება ეს რომანი ქვის...
ახლაც ისე, როგორც მაშინ - წმივს.

უსათაუროდ

ნადღეგრძელები თასი
დაფშვნილი,
ნავსი ხარხარი
ურჩად თარეშობს...
სიძულვილს ერგო
ჯერი დიდების,
ლმობიერება
აღარ არსებობს.

ჩამოღვენთილი
ვერცხლის სასმისი,
ცხოვრება მიდის
თავისთვის ღრეობს -
გამეფებული
ცოდვის ბანაკში,
დრო სიყვარულის
აღარ არსებობს...

გაბმული სტვენით
გაჰკივის სტვირი,
ცუდი დუმილი
ბედთან პაექრობს
ჩანჩალა სულის
ამოსათრევად -
აღარაფერი
აღარ არსებობს...

***
რა არ არსებობს?!... –
როცა არსებობს
სიცოცხლე ლაღი
თავისუფალი...
როცა,
სიკვდილის კარი
არსებობს,
გარდაცვალება
გარდაუვალი...!
როცა, ცად მაღლა
ღმერთი არსებობს,
სული სიწმინდე
და ძე უფალი!...

მირეულ-მორეული

ოთახი მირეული,
ფიქრი არეული,
გრძნობა მორეული
და გადარეული.

ხელი ფერფლიანი,
გული ცრემლიანი,
თვალი სევდიანი
და სანდომიანი.

ხმები შორეული,
ახლოს მოწვეული,
თავზე მოხვეული
და გაორებული.

ირგვლივ სიჩუმეა
და ხმა ორეულის
კვლავაც შორს ბუტბუტებს
გამომწყვდეული...

ძილი მორეული,
ოთახი მირეული,
ფიქრი არეული და
გადარეული...

სამშობლოვ ჩემო

სამშობლოვ ჩემო! - დრო გადის და
ცვდება საქები,
მოწოლილ სევდას გულში ვიკლავ,
ვერც გეფერები,
დაფლეთილ სამოსს ვერ გიკერავ,
ვერ ვარ მეწაღე,
რომ დაგიბრუნო ცისარტყელას
ლაღი ფერები.
გთხოვ მაპატიო, თუ, ჯეროვნად
ვერ ვამბობ სათქმელს,
ყალბმა დროებამ დაანგრია
სიმართლის კერა...
ბეწვის ხიდზეა დაფენილი
ხამი სიშიშვლე,
არავინ იცის, ხელი - ვინ?! - სად?! –
„რას მოაწერა“!?...
შენი სინაზე, შენი სითბო
ისე მაკლია -
თითქოს სამყარო გამბუტვოდეს -
არც ვიცი რისთვის?!...
სამშობლოვ ჩემო! ერთადერთო -
გთხოვ მაპატიო,
შენი ნაღველი ყველას ნაცვლად -
ამდენი წლისთვის...!

გია გეგია

ანიმ გამახსენა

ჩილეა და რას გაუგებ -
ვერც ვერაფერს!
ოკეანე - ტანზე არც რა აცვიათ...
ლამბადას თუ შეუკვეთავ - ,,ბოდიალეს,,
უკან რომ დაგას - ესეიგი კაცია!

რხევას ხედავ,
პარალელურ ხაზებს ხედავ,
აქ, დანდობას დამარცხების ფასი აქვს,
დაგეცემა ძუძუები თავზე მეხად,
ბიჭი ხარ და დაარღვიე გრაცია!

აქა-იქა შოკოლადის თეთრი ფილა,
ოკეანე - მზემ გაცურა ტალღებზე,
სხვაგან თითქოს საწამლავის კბოდე არის,
გიჟდებიან შავი ყავის ნაღებზე!

გამახსენდა -
დაისი და ოროველა,
ქუდიც გვერდზე დამიხურავს, მაცვია,
ჩილეა და ოკეანე - გაიხარე,
დაიჯერე - მამრი აქაც კაცია!

მგრამ...
მაგრამ თუკი ჰკითხავ
ჩილელ ქალებს -
კაცებს ჩვენსას ვერ დასტყუებ ,,ლამბადას,,,
ვიცნობთ, ვიცნობთ,
სტალინელთა წითელ მხარეს,
ეროსმა და ეროტმა რომ დაგბადათ!

გამეცინა,
(ვერ გაუძლებს კაცი ამდენს)
ბარმენს შუბლში ,,ასიანი,, ვტკიცე და
გავემართე, ღმერთმა უწყის მერამდენედ -
,,აჭარული,, ცეკვის დასამტკიცებლად!

* * *

(გენატრება ბოშები?)

ესც ასე... -
ჩაიფერთხა კაბის კალთა,
ჩაიკუჭა ფული შალის ჩულქებში,
ერთმანეთში ურევს ქვეყნის ტყუილ-მართალს,
დაუბედა გოგოს -
წასვლა თურქეთში...

ბოშაა და არ ანაღვლებს
სხვისი განცდა...
ლამაზია, მოხატული ტუჩებით,
ვიღიმები, მიხარია -
თუკი გამცდა...
ვბობოქრობ და მაინც
ვერ ვეურჩები!

გადაშალა ხელის გული დახაზული,
ჩურჩულებს და თვალებს წკურავს მალულად,
შემინგრია გულის კარი დარაზული,
შეგიყვარებს! -
დამამშვიდა ქალურად...

ბოშაა და გაიქნია კაბის კალთა,
სიზმარივით გაიქროლა ქუჩაში...
იმედი კი - პაწაწინა სულის ლამფა,
ჩამიტოვა გაფითრებულს, მუჭაში…

ულისეს სიზმრები...

(ჰენრი ფლაუერს მოკითხვამდე)

ასეა, ასე ჩემო ულისე...
ჩემიანების გულებს უმიზნებ!
...და სისხლი, როგორც ღველფი ცეცხლისა!
მიჰქრის სულეთში, ჯებირებს ანგრევს,
შენი დანახვა თუკი მეღირსა
სიკვდილ-სიცოცხლეს ავუნთებ სანთელს!
თეთრი საყელო და
ბასრი დაშნა!
დუელს ერთხელაც კიდევ ავიტან...
თავისუფლების წყურვილით მაშვრალს-
სიცოცხლე, ფეთქვას იწყებს თავიდან...
წაიქცა...
გახმა იმედის ფესვი,
ვეპოტინები ლექსის ნაპირებს,
შენი ღიმილი - ხელთათმანს მესვრის,
დამწვრის სურნელი ასდით ყვავილებს!
ვიჩოქებ...
ლირის თმებია ქარი,
რომ ერიდება აპრილის ნახვას,
გეთაყვანება… სიზმრებით მთვრალი...
გემუდარები… ნუ ჩასცემ ლახვარს!
გემუდარები...
არ უნდა გასხვლა,
გაიფოფინოს ფერთა თარეშით...
დე, იყოს თუნდაც - ცრემლების თავსხმა!
გადაკარგულო უცხო მხარეში...
მოხვალ...
და ვიცი მოინანიებ,
სისხლიან დაშნას დაისვამ მხარზე,
იმღერებ მერე მრავალჟამიერს!
იტირებ ჩემზე,
შენზე და სხვაზე -
,,თავო, ჩემო, ბედი არ გიწერია..."
ასეა, ასე ჩემო ულისე...
შენიანების გულებს უმიზნებ!

ბ. ვ-ს.

შივაა მარტი...
და საცეცებით მოძვრება სულში -
პოულობს ადგილს,
აუწევია სიცოცხლეს წარბი -
გაუთამამდა სურვილს და წადილს!

გადახსნილი აქვს ვენები აპრილს,
თქრიალებს სისხლი - ბუჟღებად ბარდნის,
კვლავ ეშინია მზის სხივებს - მარტის!
მწვანე ცრემლებად - ფოთლები დასდის...

სახეზე მწარე მოლოდინს გვაყრის,
და მაინც ელი,
და მაინც ველი,
შემოახიეს ქათიბი აპრილს,
ფეხზე ჰკიდია - კისკისებს, მღერის...

მარტი კი, მარტი -
ეს ძველი ფრანტი...
ეჩურჩულება, თითქოს აძალებს,
ხელკავს გაუყრის ჩერჩეტ აპრილს და
რევერანსებით შემოაბრძანებს!

აი, ჩემი სირცხვილისგან ალეწილი შუბლი!

გდია ზამთარი - მშიერი აფთარი.
წკრიალებს ყინული - წყაროთა ბინული.
მოფრინდა აპრილი - ქალივით ჩამთბარი,
იცვლება სამყარო - ფერების წრიულით!
აი, ჩემი სიხარულით ალეწილი შუბლი!

ვარდისფერი ოცნება კიდევ მოგეჩვენება
თაფლისფერი თვალებით...
გამოჩნდება კოცნებად -
(მწვანე სიხარხარეთი)
ყველაფერი მორჩება!
შეუხსნელი კარები,
აივსება ხარებით,
ლუკასი და მათესი...
უმღერებენ თარებით -
(სიკვდილს შენისთანები)
ყველაფერი ხორცდება!
წარსულს ვეღარ აიტან...
ჩამორეცხავს გობელენს სისხლის ნაკადულები,
გახსენდება გოგენის კომშის ქალბატონები,
ყვითლად დაკაწრულები!
საით, საით გაფრინდა -
ცეროდენა ოცნება,
(აუუუ, როგორ მეტკინა)
არაფერი თოლიგე -
ყველაფერი ხორცდება!
ყველაფერი მორჩება!

აი, ჩემი სიყვარულით ალეწილი შუბლი!

მწვანედ დააყრის ტანზე კოპლებს და
აახამხამებს თვალებს აპრილი...
ამდენი თეთრი უკვე მომბეზრდა,
სულგანაბული და თავდახრილი...
ველი...
ველი და ვიცი, აჭრილი,

ქალივით
თვალში სხივებს ჩაიყრის...
სისხლია ახლა - ,,ლურჯი აპრილი”!!!
რომ გაგაგიჟებს სადაც გაივლის...
მოაფრიალებს ნუშებს, ალუბლებს,
გადარეული ,,ლურჯი მაყარი”,
სიყვარულისგან როცა გაბოდებს,
სიკვდილთან რომ გაქვს წილი ნაყარი!
მაშინ ხარ,
მაშინ უფლის, იესოს,
მოჭირნახულე და მოამაგე,
კარი გახსენი,
კარი გააღე...
გემუდარები სულის ალაგე!
დაიმახსოვრე და იამაყე -
რომ გალეწილი ხარ სიყვარულით...
გადმოალაგე, სული ანახე
და ამაღლდები ეჟვნის წკარუნით!
მაშინ ხარ,
მაშინ უფლის, იესოს,
მოჭირნახულე და მოამაგე!
ქალი აგებდა ციხე-დარბაზებს,
ქალი ანგრევდა მეგა-ქალაქებს!
მწვანედ დააყრის ტანზე კოპლებს და
აახამხამებს თვალებს აპრილი...
ამდენი თეთრი უკვე მომბეზრდა,
მიყვარხარ!
გელი!
თვალებდახრილი...

ზექა რამიშვილი

ზოდვა გრანელის საფლავთან

გლოვის საღამო ისე მშვიდია,
რომ სინანული აქ აღარ მოვა
დღეს მე მკვდარი ვარ როგორც ფიდია
და უსხეულო ვით ქართა ქროლვა.
ჩემს სულში სევდა ისე დიდია,
წვიმის წვეთები ცრემლად წამოვა,
ჩემი ფიქრები ალბათ სხვისია
და არას მშველის ვარდების გლოვა.
ღამე მომიტანს მკვდრების სამოსელს,
ჩემი საფლავიც უკვე ახლოა,
შორიდან ვხედავ ალში ჯოჯოხეთს
სადაც ცოდვილთა სამოსახლოა.
და ჩემი სულიც გაქრება ალში,
აქ მხოლოდ მკვდარი სასფლაოა.
დამიტირებენ ფოთოლცვენაში
თუმცა ზამთარი უფრო სათნოა.
კვლავ სინანულის დადგება წამი,
ჩემი სხული ღამის პანოა
ჩაფიქრებულა თეთრად ზამთარი,
მე კი, მკვდარი ვარ...
სული მარტოა...
და ეს სამოთხეც ისე შორია
როგორც ცისფერი ეს საღამოა,
გამქრალა სევდა მკვდარი წარსულის
და ეს სიკვდილი უფრო სანდოა.
მთვრალია ღამე, ზეცა მშვიდია
არას მარგია ვარდების გლოვა
დღეს მე მკვდარი ვარ, როგორც ფიდია
და უსხეულო ვით ქართა ქროლვა.

სიკვდილის სონეტი

გავა ხანი და შემოცვდება თითებზე ხორცი.
თითებზე, ერთ დროს კლავიშებს რომ ეფერებოდნენ,
მუსიკის სუნთქვას ვეღარ იგრძნობს გაცლილი ჩონჩხი
დამსხვრეულ ძვლებზე სინანულით რომ ეხებოდნენ.
თითქოს პირფერი მისტერია იყო წამების
სიკვდილის ჰანგი კლავიშებზე აცეკვებული,
მთვარეს იწვევდა სამარისკენ გზა შეღამების,
ქარიც აჩრდილთა როკვად იყო გადაქცეული.
ელოდა ისევ, შეღერებულს, თეთრად ალიონს
ჩონჩხის თვალებში მოვლენილი ხილვად ტაძარი,
მდუმარებაში თავდახრილი ხედავდა დემონს,
რომ მოსდებოდა სისასტიკის შავი ხანძარი.
გოდებდა მთვარე, შემოსილი სისხლის მანტიით
და არაფრისმთქმელ სიმარტოვეს ებრძოდა სული.
ლპებოდა, ერთ დროს შეპყრობილი მკვლელის მანიით,
დემონის ხელით დაკუწული მისი სხეული.
და მხოლოდ თოვლი, დაფენილი მის სამარესთან,
ათბობდა ძვლების სიმარტოვეს ცხელი ყინულით.
იწვოდა სული, ჯოჯოხეთის დახშულ კარებთან
სნეული ცოდვის საბურველში გამოხვეული.
და იყო თეთრი ამბოხება მუსიკით ვნების,
თეთრ კლავიშებზე დანთხეული სისხლის სურნელად.
გამეფებული ჰარმონია ამაოების,
ნოტების სუნთქვა, გადაშლილი ფერად ფუცლებად.
შემორჩენილი ნაფლეთებად ჩონჩხზე წუხილი
განცდა ეული, გაფენილი ცაზე ღრუბლებად,
მკვდარი სხეული და მუსიკის გრგვინვა - ქუხილი
შემომსხვრეული ყინულებზე სიკვდილის ვნებად,
გადმოიღვრება სამარიდან სევდის ჩანჩქერად
ჩააქრობს ირგვლივ გამეფებულ მხიარულებას,
მძულვარე განცდას მიმოფანტავს სისხლის წვეთებად
მერე ჩაშრება და ჩაიშრობს სამარის ელდას.
და დაიტირებს ჩონჩხი უცხო სისხლის წვეთებით
იმ თითებს, კლავიშებს რომ ეფერებოდნენ
და ვეღარ იგრძნობს ათრთოლებას ის იმ ხელების,
დამსხვრეულ ძვლებზე სინანულით რომ ეხებოდნენ.

ლოთი

შეშლილი ღამე მოგონებებს აურევს გროვად,
სისხლი ოფლივით დაცვარულა ხელისგულებზე,
თითქოს ეს ხალხი გეჩვენება ძაღლების ხროვად
როცა, გაახელ დილით თვალებს ნაბახუსევზე.
შენ ეს თვალები გაშინებენ მრუდე სარკეში,
უაზრო მზერა ირგვლივმყოფთა უფრო გახელებს
შენ უკვდავი ხარ, როც მთვრალი ქვის სამარეში
მიცვალებულებს შემოახვევ გაყინულ ხელებს.
და ეს ფოთლები, ღამის საბნად რომ მოგიხურავს
გეალერსება უცხო ქალის ნაზი თითებით
სასაფლაოზე შეღამებას თოვლი გასუდრავს,
თითქოსდა ღვინით დაბანგული თეთრი ფიფქებით.
ეს მდუმარება შემზარავი შენ არ განაღვლებს,
ჩუმი ალერსი გენატრება ღვინის წვეთების
არ უშინდება ეს წადილი სისხლიან ტალღებს
არ ეშინია უსასრულოდ ქვებზე ხეთქების.
ო, შენს ფიქრებში მხოლოდ ღვინის სევდა ბატონობს,
მხოლოდ ბახუსის სურნელებას ემორჩილები,
შენს შთაგონებას მთვრალი ღამე მორცხვად პატრონობს
და შენ არ გზღუდავს ამ ცხოვრების ყრუ ბორკილები.
შენთვის სავანედ გაჩენილა ეს სასაფლაო,
სადაც სიჩუმე გარდაცვლილთა თეთრ ძვლებს დარაჯობს,
შენთან სტუმრობენ სასაფლაოს ძველი მუზები
და თეთრი თოვლი შენს სუფრაზე ნაზად სარაჯობს.
შეშლილ ღამეში არ გაშინებს მორჩილი სუნთქვა,
არც ეს სიცივე არ გაწუხებს ბახუსში თოვლით.
გათენებამდე მხოლოდ ერთი გსურს რომ ჩაუთქვა
გელოდებოდეს ბოთლი ღვინო დილაზე თრთოლვით.

ჰამლეტი

თითქოსდა ამ ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს,
ცრემლებში იწვოდა სისხლისფრად დაისი.
სიხარულს ვეძებდი, გული არ მათხოვეს
და მხოლოდ ოცნებას ართობდა მაისი.
აქ ღამე ფანტავდა ცრემლებად ყვავილებს
ამ მიწას სიტყვებით ართობდნენ მონები.
ჩემი სიყვარული თითქოს არ დაინდეს,
გათელეს სიტყვები...
გათელეს გრძნობები...
და ცრემლმა წალეკა ჩემში ეს სამყარო,
ბინძური ფიქრებით აღვსილი მორევი.
ეძებდა სიჩუმეს დაღლილი საღამო,
სიცოცხლე იბრძოდა სიკვდილზე მორევით.
და თოვდნენ თითები ცისფერ კლავიშებზე,
გრძნობები სიცივეს უფრთხოდნენ ცოდვებით
ნაპირებს სიჩუმის, აქრობდნენ ბისებზე
უაზრო სიცილით...
უაზრო ბოდვებით...
ამ ქვეყნად არ არის ნამდვილად სამოთხე,
კვლავ ცრემლში იწვოდა სისხლისფრად დაისი.
სიყვარულს ტყუილად ნუ მოსთხოვთ მათხოვრებს
აქ მხოლოდ ოცნებას გაართობს მაისი.

დღეს დამმარხავენ

დღეს დამმარხავენ...
ჩასვენებულს სანთლის კუბოში
და გადამფარავს ყვავილების ფერადი ტალღა.
ქარი წაიღებს ჩემს ოცნებას, დაკარგულს დროში,
დაცლილ სხეულსაც აღარ ტანჯავს ალბათ გადაღლა.
დღეს დამმარხავენ...
ცა ფერფლისფრად იტირებს დიდხანს,
ალბათ შენს სულსაც დააწვება სევდის ნამქერი.
ღამე მოიტანს ჩემს საფლავთან ნაცრისფერ მიხაკს
და სასაფლაოს გადაუფრენს მთვარის ნამღერი.
დღეს დამმარხავენ
და... სიცოცხლე მომენატრება,
ჩემთვის რექვიემს ააჟღერებს ყრუ ბეთხოვენი.
ალბათ სიმშვიდე წამიღებს და მომეახლება
დრო, როცა ღამის მდუმარებას დავეთხოვები.
დღეს დამმარხავენ...
დამემსხვრევა შენზე ფიქრები....

ლევან ალავერდაშვილი

შენა და ღამე ბეთანიისა

გეტყვი მშვიდობით მერე დაგტოვებ,
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,
ოღონდ ავსებდეთ ჩემს სიმარტოვეს
შენა და ღამე ბეთანიისა.
გეტყვი წუთები, შენით ნაფერნი
როცა აშვებულ რაშებად ჰქრიან,
რა გვიანაა სულყველაფერი
და არაფერი არაა გვიან.
გეტყვი, საუფლოს ღრმა დარბაზებში
ხატად მოვძებნი შენს ძვირფას სახეს,
სისხლისფერ ვარდებს დავყრი ბაღებში
და ლექსებს შენი თითებით ნახებს.
გეტყვი ნუ მოხვალ! მაგრამ რისათვის?!
უკვდავ მოლოდინს მაინც გპირდები,
და იმ ლამაზი წყენებისათვის
ხელში ბალღივით აგიტირდები.
გეტყვი, დემონურ წარსულს მათოვებს,
ნამი უშენოდ მორცხვი იისა...
ნუ მიმატოვებთ!
ნუ მიმატოვებთ!
შენა და მწუხრი ბეთანიისა.
გეტყვი შვებაა შენს ხელში კვდომა,
გეტყვი შენს შხამსაც ტკბილი აქვს გემო,
ღმერთმა შეგინდოს ცოდვა - შეცდომა,
მოურჩენელო ტკივილო ჩემო.
გეტყვი, დამთავრდა! ეხლა მშვიდობით;
ოღონდ სურნელი შეგრჩეთ იისა,
ოღონდ ნუ მომკლავთ უამინდობით
შენა და ღამე ბეთანიისა.

ან აქ რად მოხველ

მე კარგად ვიცი შენი წარსული
და მომავალი რადაც გაშინებს,
რომ ვნებათხარჯვა წრეგადასული
უმანკობას ვერ მიგაშვილებს.
შენთვის უცხოა გედის ოცნება,
არ გელის ზეცა ცოდვიან სტუმარს,
შენდობის დრო და პატიოსნება
როცა შენს სახელს ეტყვიან უარს;
ფეხქვეშ დალპება იმედის ხიდი,
რას უზამ მერე სულს ასე სნეულს,
როცა ერთ ღამეს მეც მომაყიდი
შენს უკვე ბევრჯერ გაყიდულ სხეულს.
დამენანები, რა გზით მიდიხარ,
დანაცრებული ღადარით თვალში,
დღეს ველურ ჟინით რატომ მინდიხარ,
როცა სათუთად მიყვარდი მაშინ;
როცა გიწოდე მუზის ასული,
ეხლა ის გრძნობა რად გაიყინა
სად გაიყიდა შენი წარსული,
ან მომავალი სად გაიყიდა.
ან აქ რად მოხველ....
რად გინდა ღმერთი?!
ხატებს აჩვენო ცოდვები ქმნილი,
რომ ხარ ლამაზი მარიონეტი
სხვისი ვნებისთვის გამოგონილი...
და გული ეხლა,ოჰ, არა იებს,
სულ სხვა საჩუქრებს შემოგთავაზებს
მკერდში მძივებად ჩაგადნობ ტყვიებს
და სისხლით მოვრწყავ ბოროტ დარბაზებს.
მერე კი მაინც შევუნდობ ცოდვებს,
თვალებს დახუჭულს და ბაგეს მდუმარს,
რომელნიც უკვე ჩემს მაღალ გრძნობებს
ვეღარასოდეს ეტყვიან უარს.

ასე თუ ისე

ასე უბრალოდ და გასაგებად
თავს გაიმართლებ წყევლისგან მყისვე,
თუ მოსახდენი დღეს არ მომხდარა
ხვალე მოხდება ასე თუ ისე.
ალბათ რამდენჯერ მუზამტკივანმა,
უძილო ღამით თვალი აივსე,
მერე კი მაინც, გინდა თუ არა,
ჩაგძინებია ასე თუ ისე.
ჩაგძინებია, მაგრამ უმალვე,
სიცხადის ეტლი, ცრუ და მერყევი,
შეგატორტმანებს და ბურანიდან
ასე თუ ისე გამოერკვევი.
გამოიღვიძებ, ზეცის ანთებას
იგრძნობ და გრძნობაც იყოს დღეგრძელი,
რომ სინანული და პატიება
ასე თუ ისე მაინც შესძელი.
არ ამიტირდე, არა ღმერთმანი
თუ ამ სიტყვებით გაგაგულისე,
არაფერია, ჩვენ ერთმანეთის
ბევრი რამ ვიცით ასე თუ ისე.
ასე თუ ისე შენ ხომ ქალი ხარ,
ამად ვჩუმდები ისევ და ისევ,
სულის სიღრმეში შენც მართალი ხარ,
და არც მე ვტყუი ასე თუ ისე.
ღმერთმა გიშველოს! უღრუბლო სახით
სულ იზამბახე და იმაისე;
ასე თუ ისე ხომ მაინც მოველ,
ხომ მაინც შეგხვდი ასე თუ ისე.

ქალბატონო

რატომ გგონიათ ქალბატონო, თითქოს წუხელის
თქვენით შეშლილი მივეძალე ასე კონიაკს,
არა, ეს მხოლოდ ახირება იყო წუხილის,
თქვენ კი გგონიათ,
ქალბატონო, თქვენ კი გგონიათ,
რომ მარტოოდენ თრობისათვის უაზროდ ვსვამდე,
ან სასიკვდილოდ შევიტოვე მეშვიდე ტყვია;
მე შემიძლია გიერთგულოთ იმ სადგურამდე,
რომელსაც ბოლო, ან უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია.
მიეძინება ამ ვნებასაც დროის მირაჟში,
მიეძინება როგორც მზისგან ნაგმობ ფოლიანტს,
თქვენ მომღიმარი დაბრუნდებით მყუდრო ბინაში,
მე კი სად წავალ, ქალბატონო, როგორ გგონიათ?!
ეს არც ფიცია, არც ღაღადი, არც აღსარება
თუ თქვენი კდემა გავიხადე სიგიჟის ძეგლად...
და ყველა მზერა, თუ უსიტყვო ამკვნესარება
იკმარეთ ჩემი თავხედობის მოსატევებლად...
და ნუ გგონიათ, მარტოოდენ თრობისთვის ვსვამდე,
ან საფეთქლისთვის ჩავარჩინე ლულაში ტყვია;
არა! უბრალოდ ერთგულება მწამს სადგურამდე,
რომელსაც ბოლო, ან უბრალოდ, სიკვდილი ჰქვია.

ღოლოიანში თათრის ასული.

ყარა ცხენები ჯირითობდნენ ტყის განაპირას,
ღოლოიანში თათრის გოგო ძროხას მწყემსავდა,
ნაგუთნი მიწა სათოვარი ღრუბლის ნატირალს
შავი ტუჩებით ჟინმოსული სვამდა და სვამდა.
ბელტზე ჩამოვჯექ, გულს მოაწვა მომწარო შური,
აღსდგა წარსული წინაპართა მითის მთხრობელი;
ნეტავ ამ ფურებს მომწყემსავდეს ქალი ხევსური,
უფრო ამაყი, მშობლიური და მახლობელი.
თათრის ასულო, მომაჩერდი ასე რისათვის,
ფიქრობ მაგ თვალთა სიმუქეში ჩავიქარგები,
ეჰ, შენ რა იცი, ერთი მუჭა ამ მიწისათვის,
სისხლისგან როგორ იცლებოდნენ გურჯთა ძარღვები.
თათრის ასულო, მოზამბახე ბაგე რომ გიკრთის,
თითქოსდა ჩემში დაეძებდე სუსტსა და უძლურს,
არა! ამ სისხლში არ დამშრალა გენი დავითის,
მე ქეთევანი მაწოვებდა დაშანთულ ძუძუს...
ვიჯექი დიდხანს, პანორამა სთვლემდა მეფური,
არე ველური, ლურჯი ნისლით შემოგარსული,
ლამაზი იყო, ღმერთო ჩემო, თექვსმეტი ფური,
ღოლოიანში ოცნება და თათრის ასული.

r____o____i

ციცავ

ჭალები, ყანა, ზვინები,
ოდა, ჰამაკი, ნალია,
მაგ გულში ჩაგეფინები,
სანამ ეს წლები გავლიან.

სულში რომ ჩაგიკუკულებ,
ჰადმე ვერ წახვალ ციცავო,
ღალატს არ გკადრებ ანტერო,
ერთადერთ ნენეს ვფიცავო.

მინდვრის ყვავილებს დაგათოვ,
ღრუბლებს დაგიწყობ ბალიშად,
ჩაგეფუნჩხები, გაგათბობ
და თუ სული არ გამიშპა -
მოდნი კაბებსაც ჩაგაცმევ,
როცა წაგიყვან შინაო,
აღმართ-აღმართ რომ ავივლით
შენ დაგაყენებ წინაო...

მარა ეს მემრენ, ახლა კი
ციცავ შენს პასუხს ველიო,
ან ისევ დარჩი ბაბასთან,
ანდაც მომეცი ხელიო.

ჭალებს,
ყანასაც,
ზვინებსაც -
ოდას,
ჰამაკს
და
ნალიას,
გოგოვ შენ ოღონდ დამთანხმდი -
ამათ სულ ყველას სცალია.

სანაპიროზე (გაკრული ხელით)

მკლავზე ბავშვობის გემჩნევა აცრა,
ქარი ქოლგების ხმაში გაიბნა,
თერთმეტი ხდება და უკვე დაცხა,
ისე ძალიან რომ დავიბენი...
.
აგვისტოსფერი თვალები შენი,
უცქერს პლიაჟის დასალიერებს,
მკერდისკენ მიმდის ცხელი მზერა და
ჩემს სურვილს შენში ვათვალიერებ.
.
ქვიშას ტალღების ასველებს წყება,
ჰორიზონტს გემი აფერხებს ორი,
მზის ცხელი კვამლი ნისლივით წვება
და მესიმინდე მკრთალდება შორით.
.
თვალით გჭამ... შენ კი თავგადაკლული -
მიმტკიცებ, - ლორკა ჯობია ედგარს,
ასე კარგი და "ზაგარნაკლული",
ჩემს გულს რეზინის ბუშტივით ხეთქავ.
.
ვთამაშობთ, ჩემი ნასროლი კენჭი,
ბოთლს სამარცხვინო მანძილით აცდა
თვალებით უცებ ამიწვი ბეჭი
და შენც შენიშნე ჩემს მკლავზე აცრა...

დიდაჭარაში

ნენე ისე ფაშფაშებს ოდა ორთქლში გახვია,
თეთრი ადგას ალიონს და იღვიძებს მამალი,
დილას რაღაც სხვაგვარი გათენება ატყვია,
მჭადზე ჯვარი წითლდება ძირძველი და ალალი.

მოტეხილი დიდნენეც წელში ისე გასწორდა,
იფიქრებდა ინსანი რომ ცა ქუდად ეხურა,
პაპა როცა ტაბლაზე ციცრის კვერცხებს აწყობდა,
მაშინ ბაბას მეჩეთში წასვლა ეუხერხულა...

თენდებოდა საოცრად - გაღმა ყანა ყვაოდა,
ნალიაზე ეკიდა ფიჩხი-ფუტის ხელჩანთა,
ხოლო ღელე გამოღმა მდინარესთან დაობდა
და კლდეების კატარში ვარდისფერი მზე ჩანდა.

პაპამ ოდის სასარკმლეს ფარდა ჩამოაფარა,
მერე კარი ჩაკლიტა და ბუხართან მივიდა,
ნენემ კვერცხი წითელი ტალიკებზე გაშალა,
ჯვარი გამოისახა, დაჯდა და აქვითინდა.

აუხსნელი რჩებოდა ირგვლივ ჩემთვის ყოველი,
ახლაც თვალწინ მიდგება ნენე როგორ ტიროდა,
ასე ჩვენი ოდიდან თენდებოდა სოფელი
და ყოველ წელს აღდგომა ასე შემოდიოდა.

მამას

- მკაცრიაო, სითბოს არ ამხელსო, - იტყოდა დედა...
მჯეროდა, მაგრამ...
ბავშვობაში, გამღვიძებია, თან არაერთხელ,
როდესაც მამა,
შენ, ჩემს ოთახში, სარკესთან მდგარი, თმას ისწორებდი.

- მკაცრიაო, სითბოს არ ამხელსო, - იტყოდა დედა...
არადა,
შენს ოთახშიც ხომ იდგა ისეთივე, სარკით,
კარადა...

შენ და თბილისი

კვლავ ქუჩებს მივყვებით მე და შენ თბილისის,
მიღიმი ისე რომ ვნებდები სიმთვრალეს,
მივდივართ ერთად და გვაცილებს ივლისი,
მზე შენი დეკოლტით სველ სხივებს იმშრალებს.

ლუდი კი მეოთხე ბოთლია რაც უკვე,
დავცალე და ოფლით დასველდა ხელკავი,
სულ ცოტაც და მერე მთელ ქალაქს გაჩუქებ,
მთვრალი ვარ ახლა თუ პოეტი ნეტავი?...

და სადარბაზოსთან ვჩერდებით, მიყურებ,
ბინდდება, მინდები, ივლისის ოცია,
შიშობ და გამშვიდებ - ვერ გვხედავს ვერავინ,
დღეებიც ერთმანეთს ხომ ღამით კოცნიან.

აშკარად მთვრალი ვარ და ლუდსაც შეპარვით
შენს თხელ და ვარდისფერ ბაგეებს ვაყოლებ,
იწყება მთვარე და ბებერი მთაწმინდა
მსუბუქი ნაფაზით მკრთალ ნისლებს აბოლებს.

ვიგონებ გარდასულს და ისევ სიმთვრალეს,
ვნებდები, ღამდება, ოცია ივლისის,
ვეწევი, ვახველებ ფილტვების სიმყრალეს
და ასე მიყვარს და არ მიყვარს თბილისი

დავით ფირცხალავა

პალატაში

სიგარეტის კვამლით შემოსილი თითებით
ვხაზავ კარდიოგრამის დეგრადირებულ ნოტებს
ვამუქებ გამოგონილი დღეების ერთფეროვნებას
და ვიდრე წვეთებად ჩამოიღვრება სიჩუმის ფარდა
ვიდრე უკანასკნელად შეიგრძნობ ხარბად ჰაერს

გიკითხავ:
გაწყვეტილი რომანის ჩემეულ დასასრულს
სადაც ინტიმურ სცენებს ვაწამებ მრავალწერტილად
და რეფლექსად გაჟღენთილ სიკვდილს ვიწვევ უიარაღო დუელში
შენი გახრწნილი ღამეების გახსენების ჟამს.

და ვიდრე ლარივით გაჭიმავს
უსწორმასწორო ხაზებს
სადგურიდან ნაკივლი ზარი

გიკითხავ:
ჩემი მოზღვავებული განცდების იეროგლიფებად წოლას
ვაქსოვ იდიოტურ დაკნინებას შენი სხეულის ილუსტრირებაში
და სარკეში ყოველი ჩახედვისას
მესმის ზურგსუკან ფრთხილი ნაბიჯები, როგორ მშორდებიან ისინი.

და ვიდრე გადავალ მომდევნო ფურცელზე
შემომხედავ უმწეო თვალებით
და მთხოვ
რომ გამოგრთო..

რომც არ გათენდეს

ხანდახან ასეც ხდება:
ობობის ქსელებით ეშვებიან ფეხებამდე სიჩუმის სუდარები
როცა აბონენტი ყოველთვის ხდება მიუწვდომელი
და სავარძელში მჯდომს ირგვლივ მევლება
ნიბელუნგთა დაჟანგული
ბეჭდები..
და ვაგნერიანი შავი საცერები
მივიწროვებენ ეიფორიაში გახლართულ ძარღვებს
სავარძელში, ან უფრო ეშაფოტზე განსასჯელ
კადანსს, რომელმაც პიესა მიატოვა ..

და წვრილად დაშლილ კადრს ვცდილობ გაგამჟღავნო
როცა გხატავ, ჩემი მოლურჯო უდაბნოების სილაში
გახვეულს
უფრო ღრმად, ვიდრე ვინმე კუბისტი მხატვარი
გაცმევ ჩრდილებს, თვალსქვევით სიმუქე,
შავებს მიკერილი, სულ ოდნავ ღიმილი..
as always, როცა შენი სახის ფორმა
აჩქარებს ჩემს მოახლოვებას
as always, როცა ჭაობში ჩაძირული ირონია
მტოვებს ყრუ ფსკერზე..

და როცა
ეს ხდება
ყოველთვის იცვლი კედელზე ადგილს
მიყურებ პირდაპირ, ხანდახან გვერდიდან
(მჯერა რომ მოძრაობ.. (ვიღლები საშინლად)
და ვხვდები, რომ არანაირი აზრი აღარ აქვს
მოვახევ განვლილ დღეს კალენდარს
თუ არა..

შემიყვარდები

იცი, შენ მკვლელი შეგიყვარდა,
შელანძღულ თოვლზე ლანდივით მდგომი.
აქ ვეღარ ამყრალებენ წელიწადის ორგანოებს
ცხელი ზაფხულები,
ვეღარ იპარავენ ცაზე გართხმული ცრუ ვალსები
შუშის თვალებს.
ვდევნი სუიციდის კარაველას დამშრალ ჭაობებში
მე- ვინმე კორსარი.

იცი, ოთახის ყველა ნათურა დავლეწე
და მთვარეც მოვგუდე
მენორაგიით კიდეებშერუჯული, წითელი ზეწრით.
ახლა უფრო ირონიით ვხოცავ მანძილებს ჩვენს შორის.
(ახლა მუდამ ჩემს წინ დგახარ, ტკივილიანი ღიმილით.)

იცი, ჩემმა ოცნებამ თავი მოიკლა, გუშინ.
ზუსტად იმ ხეზე,
მზის სიკვდილამდე,
ჩვენს შიშველ ჩრდილებს რომ ფესვებში ხლართავდა,
და როგორც ბავშვს დედა, საქანელაზე,
ვდგავარ და ვარწევ უმიზნო სივრცეში..

იცი, ყველა ბილიკი ფეხქვეშ მომიკვდა, მისტიურ ქუჩამდე,
და შენს ოთახში დამჭკნარ ყვავილებს
ეკლებადესობა ცხედარი წამები
მე გელოდები, უშენობის სენით შეპყრობილი,
რომ აწმყოს ავუწყო დამსხვრეული კადრები
და განვმეორდე:
მე ვარ მკვლელი!
- შენი მოლურჯო ფანტაზიების.
მე ვარ მკვლელი!
- ბრმა სანტიმეტრების ჩვენს ტუჩებს შორის.
მე ვარ მკვლელი!
- ბინძური ჰაერის შენს სასუნთქ მილებში.
მე ვარ მკვლელი!
- შენს ფეხებს შორის ჩავარდნილი უნიჭო მუსიკოსის.
...და მიყვარს ისინი!

იცი, შენ მკვლელი შეგიყვარდა,
რომელსაც არასდროს შეუყვარდები ცოცხალი.

ჩააქრე...

ღამეს მოპარა ფიქრმა სიმუქე
სხივებით დაეყრდნო მინებს
მკვდრისფერი
- თენდება
და შენი სილუეტის დაკარგვამ
მაპოვნინა საკუთარი, დამახინჯებული..
- შუქი ჩააქრე, ვერ გხედავ.
..
ჩემს ნაბიჯებს აყოლილი..
(ან იქნებ პირიქით)
იბეჭდება დანგრეულ კედლებზე
დაუმთავრებელ სტატიებად..
აგორაფობიით გატანჯული
უორგანო ფორმა..
- შუქი ჩააქრე, მეზიზღები.
..
ზეციურ ბაღებში
გადამკვდარი ღიმილით ბაგეზე
ვგრძნობ იასამნის საამო სუნთქვას
და თვალმოჭრილი უცხო სინათლით
ვეუბნები გალავანს შემომსხდარ ციურ არსებებს:
- შუქი ჩააქრეთ,
მეშინია..

მერე რა...

მერე რა..?!
რომ მწოლიარე ცხედრების აღდგომით
გტაცებს გენიოსს ლანდებს გათენება,
და ისმენ ტუჩებსშორის
გველივით მოსრიალე რეპლიკებს.
ლურსმნებით გაჭედებს გაცრეცილ პორტრეტად და
მერე ვარდები..

რომ ათასი მლიქვნელი მეტაფორით
გეპარება ძვლებში სიცივე
აპარატზე შეერთებული დაჩხაპნილი ფირფიტასავით
ასრულებ გამოსვლას ბანალური აკორდით..
-გჩუქნის ყვავილებს
და ცრემლებს
და სურნელს
(ოღონდ გამხმარ-დამშრალის)

რომ ჰაერი დაიღალა მონობით.
ზიხარ განსასჯელის სკამზე
და ელოდები უმკაცრესს განაჩენს.
მერე რა..?!

ახალი არაფერი
- ჩვენ შობითვე გაგვასამართლეს.

სოსო ნადირაძე

* * *

უკვე მეწვია ჩემი ზამთარი,
თითქოს ვეჩვევი მღვრიე ქარ-წვიმებს
და მინავლული ცეცხლის ღადარი
აღარ მათბობს და აღარ მამშვიდებს...

თითქოს სხეულში გული მაქვს ორი,
ერთი მომყვება მკერდში მორჩილად,
ხოლო მეორე სტრიქონებს შორის
მათხოვარივით ჩამოძონძილა.

საკუთარ სუნთქვას ვეღარ ვერევი
და დამარცხებულს ახლა სრულებით,
თითები, როგორც ჩალის ღერები,
ისე მიჭირავს ხელის გულებით...

გაზომილია დრო და მანძილი,
ქარი კითხულობს უკვე განაჩენს
და ბწკარებს შორის ფიქრით დაღლილი
კალამს ვეყრდნობი,როგორც ყავარჯენს...

* * *

ახლა ღამეა სარკმლების მიღმა
და ნათურები ანთებენ სახლებს,
ნათურა ღამეს იფარებს ნიღბად,
ღამე ნათურით ინიღბავს სახეს.

ჩემს სადარდებელს მივყვები ნელა,
და აღმოჩენა მაოცებს უცებ,
ფურცელი ნიღბად მოირგებს მელანს,
მელანი ნიღბად მოირგებს ფურცელს.

გზაგასაყართან უსიტყვოდ ვდგევარ,
საბრალოდ მზეზე ჭკნება მიხაკი
და ჩემი ლექსის ნიღაბი მე ვარ,
ჩემი ლექსი კი ჩემი ნიღაბი...

ნაძვები

ერთმანეთისთვის იწვიან,
ოცნებები აქვთ ლამაზი,
ამ ნაძვს ათასი წიწვი აქვს,
ამ წიწვს ნატვრა აქვს ათასი.

კოცნასაც მოიპარავდა,
მაგრამ ტანზე რომ იხდიდა,
მზე მდინარეში გადახტა
ცისარტყელების ხიდიდან...

ძაღლი

სოფელს დარაჯობს ძაღლი "გრანიტი",
ენით ილოკავს თათებს ქონიანს
და სახურავის ყველა კრამიტი
სახლის მშიერი ენა ჰგონია...

რა დაკვირვება სცოდნიათ ძაღლებს,
ასე მკვირცხლებს და ასე მამაცებს?!
მოვა წვიმა და გაბუტულ სახლებს,
კრამიტის ენით ალაპარაკებს...

ნიღბები

თუმც გარს მარტყია, როგორც ნათელი,
თუმც დღე და ღამე ჩემს წინ ციმციმებს,
ცრემლებად აწევს თვალებს გახელილს,
ნიღბის ჩრდილი და ნიღბის სიმძიმე.

მწარედ გადაგკრავს ღიმილის მახვილს,
გიძღვნის ბორკილის მძიმე ყვავილებს
და სევდა გიპყრობს ნიღბისგან დაღლილს,
როდესაც ხვდები ნიღბით დაღლილებს.

და თუ ღიმილის იდუმალ ფარდას,
სუდარასავით ჩამომაცილებთ,
ნახავთ თვალები თუ როგორ კარგავს
ცრემლის და სისხლის ფერმკრთალ ნაწილებს.

და ამ ნიღბების მიღმა მავალნი,
თუმცა ერთმანეთს ვერ გავაცინებთ,
მაინც დაგვნათის ერთი ვარსკვლავი,
ნიღბით ცოცხლებს და ნიღბით დასჯილებს..

დავით შემოქმედელი

ჩემი ხუთეული? წარმოუდგენლად მიმაჩნია ჩემგან მისი შერჩევა. ერთ-ერთ ვარიანტს შემოგთავაზებთ.

* * *

დედის საფლავზე
ამუსულო ყვავილო
ნიავზე რომ ირხევი
დედის სუნთქვა მგონიხარ...

* * *

გახსოვს ის ღამე,
როცა მეუღლეს
პეტეფის ლექსებს უკითხავდი,
სასთუმალი რომ შეიცვალა
და ძილი დააპირა,
შენ ადექი,
ქალიშვილობის კაბა ჩაიცვი,
ხელიდან ბეჭედი წაიძრე
და ატირდი.
თან ისეთი მინდორი მოინატრე,
სადაც გვირილების ტყეა
და არც ერთი სარეველა არაა...
ახლა კი... ისევ ბუზღუნებ შენთვის
და ჩაფრენილი დილის სარეცხს
და ათას წვრილმანს,
ვეღარც კი ამჩნევ –
აქლემივით მძიმე და ზანტი
გიახლოვდება საღამოს ჩრდილი.. . .

* * *

მოირწეოდა ქალი ვით ალი,
გვირილებიან-ცვრიან-იანად,
შემოეპარა კაბის ქვეშ ქარი
და მთელი ღამე მაეჭვიანა. . .

* * *

რაც გასაცემი არსებობდა,
წარსულში დარჩა,
ჰყვება და ჰყვება სარეკელა,
ძველ ჟამს იხსენებს,
გადაჭრილ მორზე ფრთებმოკეცით
დაეშვა ყანჩა,
თითქოს მოხუცი მამაჩემი
ლოდზე ისვენებს. . .

* * *

/მეუფე თადეოზ იორამაშვილს/

რას მეტყვი, მამავ?!
ვერ დავასრულე
წუთისოფელთან
ჩემი წანწალი,
გეზი აუცდა ამ გზებს
საუღლეს,
ჯიბრში მყავს ჯიქურ
ბედი წაწალი.
რაც ვიცოდვილე,
წრიალებს სულში
სულ ამიწეწა
ფიქრის სამანი.
ვერ ჩავრგე ნერგი
ცრუ სიყვარულში,
ვერ ვამზეურე
იასამანი.
მამავ, იქნება,
ეს გზაც ნისლია,
და მირაჟ – მირაჟ
დავალ ცეცებით.
სანთლების შუქზე
ლურჯი ბიბლია,
თითქოს ცის შემთბარ
სამოსს ვეხები.
დილა გზას მკრთალი
სხივით ლამბავდა.
სწუხდნენ ქარები,
ნელი თუ მალი,
და თავქვე მედო
უფლის ლაბადა,
მიწა მზის თბილი
თავსასთუმალი.
დავდივარ ასე
სულის ხსნისათვის,
სიტყვების ზვავის
დამატყდა თქეში,
და ერთი ციდა
სტრიქონისათვის,
რამდენი ღამე
ჩამადნა ხელში.
ხანდახან თითქოს

სივრცე – მანძილი
წამში ჩემ თვალწინ
უხმოდ დამთავრდა,
რას მეტყვი,მამავ?!
როცა დაღლილი,
სულს ძლივს ვიბრუნებ
დედის საფლავთან.
გახიდული ვარ,
ცხოვრების ჯვარზე,
ხორცით ვცოდებ და
ლექსით ვმარხულობ.
ჩემი ხმა ჩიტსაც
არ ესმის გზაზე,
მაშ, სტრიქონ – ხილვებს
რისთვის ვნახულობ.

რას მეტყვი, მამავ?!

გიორგი კობახიძე

სასულე ორკესტრი საღამოს ბაღში

საღამო არის ისე ნაცნობი,
თითქოს ვფურცლავდე ძველისძველ ალბომს,
ეთერს აპურებს პურის საცხობი,
უსმენ ჩემს ჩურჩულს და არას ამბობ.

საღამო არის ისე უბრალო,
როგორც წყურვილი, ან როგორც ცრემლი.
იწვის დაისი წყნეთზე უალოდ
და ჩემს კითხვებზე პასუხს არ ველი.

ჭადრების რიგებს აუდ-ჩაუდის
შინაურივით, სამხედრო მარში;
ცელქობენ მოლზე (მწვანე მაუდი)
შენი ბავშვები და ჩემი ბავშვი.

მოტივი ძველი

შენს მარტოობას კიდევ ერთხელ შევუღებ კარებს,
შავ როიალთან მძიმე ტახტი - მთვრალ ფიქრთა მექა.
მუქი პომადა, თეთრი ტოგა და მოკლე კარე,
და ფანჯრებს მიღმა ქუჩის პიკის რიტმული ფეთქვა.
ორპირი ქარით მიმოფანტულს კრეფ ნაცნობ ნოტებს,
"იცი, ძვირფასო..." - თავს ვერ უყრის მზა სათქმელს ბაგე.
კდემით ჩახშული შენს იდუმალ ღიმილში ფორტე
ქალურ ტკივილთა ყველა ფორმის კვლავ ამსხვრევს თარგებს.
გადაბრუნებულ ფინჯანს ლექი აშრება ყავის,
მოტივი ძველი ხანგრძლივ დუმილს სულ უფრო ძაბავს.
მიკვირს, ივლისში ღვთიშობელა რომ იშლის ყვავილს
და ვხვდები, სიტყვამ ვით დაკარგა ჩვენ ორში ძალა.
თლილი თითების თრთოლვით მორიგ სიგარეტს აქრობ,
მზერა თავისდა უნებურად დაითვლის ნამწვებს.
ქუჩის კუთხისკენ სველ ქვაფენილს მიჰყვება ფიქრი, -
"ერთსაც დავლევ და..." მერე, ალბათ, ერთ სტროფსაც ჩავწერ...

* * *

თქვენ მიამბობდით - მონმარტრი... ლუვრი...
მოგონებებით იყავით მთვრალი,
ეკიდებოდა მთაწმინდას რული,
არ გვადარდებდა ფიქრები ხვალის.
ლამპიონებში თბილისი ღელავს,
გავცქერით არეს, ჩვენს ფერხთით გაშლილს.
მე გკითხეთ მაშინ - ყოფილხართ გელათს?
თქვენ მიპასუხეთ - ვყოფილვარ, გავლით.
ფსიქოთერაპია
(წელში გაწყვეტილი და რითმებმორყეული სონეტი)

სერზე გადმომდგარი ვინმე ათაბაგი,
მონოტონურობა განზრახ გაცვეთილი.
და ჰა, ოვაცია, როგორც ათაშანგი,
მასებს მოსდებია სასოწარკვეთამდე.

მიდის გაკვეთილი, მხოლოდ შიგადაშიგ,
მხოლოდ შიგადაშიგ ამა გაკვეთილის
მრავალმეათასედ (მკვდარსაც გააშმაგებს),
დახშულ არეს ავსებს ჰანგი დაკვეთილი.
.....
სივრცე დაუფარავთ თითქოს ჩალმა-ჩადრებს,
გრძნობათ წამლეკავი ჩამოწვა უკუნი,
ხანგრძლივ მოლოდინში წვინტლიან სლუკუნის.

მაგრამ გასაკვირად თქვენდა, არა ჩემდა,
ფილტვმა ამოხეთქა ხორხის ჩახლეჩამდე:
ბერწი საუკუნე!.. ბერწი სა-უ-კუ-ნე-ე-ე!..

ძველ მარანში

ცხოვრება ჩემი არის ბოჰემა,
სულს ვერ მივანდობ ფერად მისტიკებს.
იქნებ, ამ ღვინომ, ფიქრივით ძველმა
გზა მაპოვნინოს ჭეშმარიტისკენ.
ასე ყოფილა, ამ ქვეყნად მოსვლა
განაჩენია უუმკაცრესი.
გზებს წუთისოფლის ბურუსი მოსავს
და ღელავს ფერით სიმწუხარესი.
ვინც იყო გუშინ, დღეს ფერფლად იქცა,
თავშესაქცევად ხვალის გრიგალის.
დამისხით ღვინო, რომ დედამიწამ
ჩემი სურვილით იწყოს ტრიალი.
რომ შევეჩეხო გრძნობებს პირისპირ,
რომ ილუზიებს ავხადო ფარდა,
მეტკინოს ყველა ნაღდი ტკივილი...
ჩემზე იტყვიან - "ის სხვებს არ ჰგავდა!"
...და ჭურის თავზე დგას დიონისე
გვერდზე მოქცეულ კახური ქუდით
და აზარფეშებს პირთამდე მივსებს,
და თბება გული, ვით მტრედის ხუნდი.
მაშ, მეგობრებო, ვახსენოთ ღმერთი
და თაყვანი ვცეთ წმინდა ხატებას...
მერე რა ვუყოთ, თუ ყველა წვეთი
ვიცი, რომ დარდად შემემატება.

.....

საკუთარი შემოქმედება არაერთ ხელოვანს დაუთმია პოლიტიკის გამო (შედეგიანად თუ უშედეგოდ, ეს სხვა საუბრის თემაა), მაგრამ პირიქით და თანაც შედეგიანად იშვიათად მომხდარა. მე სწორედ ამ "იშვიათს" წარმოგიდგენთ გიორგი კობახიძის ლექსების სახით. მცდარი აღმოჩნდა ნაპოლეონი, როცა ამბობდა - პოლიტიკას არა აქვს გული, მას აქვს მხოლოდ თავიო. გიორგის პოეზიაში თავიც ჩანს, გულიც და კიდევ ის მეექვსე, თუ პირველი გრძნობა, რომლის გარეშეც ლექსი არ იწერება... -

თამარ ბოლქვაძე.

ია(იკა) ქადაგიძე

ქართული მზერა

გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას
ლაშა-გიორგის ხმას რომ ჩრდილავს, ჰე, ჰამადავლე.
ძმარი შეასვი ლურსმნის ფერდზე გაკიდულ ნებას,
საკუთარ სიზმარს ჩონჩხის ყანწით შენ სანამ დალევ
კიდურზე მშვილდად დრო მოგწვდება, გადაწვართული,
მტვრიან ქონგურზე მათრახები გულმშვიდად ავლენ,
ყველა ეპოქას მოინელებს მზერა ქართული,
მზის ფერხულს ქვიშად შემოაცვდი, ჰე, ჰამადავლე
მე ისე მცხელა, უდაბნოთა კიჟინის ფერად
ჟამითი კარი უსასრულო ტალღებით განვვლე,
მამულის ძარღვი გადამექცა უხავსო წერად
შენ რომ გაკრთობდა უშორეს დღეს, ჰე, ჰამადავლე!
გზა მოეც ისეთ უიღბლობის შემორკინებას,
რომ შიშსაც ხელი ვითა ფაფარს ისე წაავლე,
მზემ ლაშას მზერის სილურჯეში სვლა თუ ინება,
საუკუნენი აღმა დავლენ, ჰე, ჰამადავლე!

1994 წ.

მე და ყივჩაღი

არაგვმა ქვიშა ამოახველა,
ჩოხად ჩააცვა ველებს, თორიანს
არა მსურს მზისთვის სულის გამხელა,
მუხლის მოდრეკაც არ მითხოვია
მიწა ვისაგზლე ჯვარცმულ ხმიადად
უომარ სივრცემ წვიმად დამცადა
დროს ვძლევ, არწივად რომ გახმიანდა
მზეს ფრთა შემოჰკრა ლივლივა ცა და
ნისლის ქონგური გაოცდა, როგორც
ველური ორთქლი ძირძველ ქვიშათა
მარტო მოვდივარ, იღბალო, ხომ ვთქვი
გზად უცხოს მზერა ამოიშანთა
დაუგეშავი თვალების ნაცვლად ირიბად ჭრილი სათოფურები
დათარეშობდნენ მუხრანის ველზე
არ იღლებოდნენ ჩემი ყურებით
მუხრანს დედოფლის სული ახსოვდა
გადანამღერი ციცინათელად
ათასწლეულთა სისხლის ნამქერი
შეუბღალავი გზით რომ გათელა
ირიბი ჭრილის სათოფურები
ქსანმა წყევლით რომ ამოურეცხა
ვერ გაძღა ქართულ ზეცის ყურებით,
შემრიგებლობის მტვერიც არ ეცხო
მგლის ფაფარივით უხედნავ ველებს
ხარხარი ელვად შემოაფრქვია
თვალი რომ მკიდა, ფიქრს დანასვენებს
სადავე მოსდო მკითხა: _ რა გქვია?
” - მზეო, სადა გყავს ქმარი დამცველად
უდრეკნი ვართო ამტკიცებთ აკი
მე შენი მზერის ცეცხლმა დამცელა
ვიქნები შენი ყმა და ქომაგი! ”
ღორღიან სიტყვით ამოამტვრია
სიტყვა ნაძოვი ბედაურების,
მუჭში მოწურა ზეცა თვალღია
მოწამე ბრძოლის არდაურვების
და უცებ ხელი აუკანკალდა
თმათა ნიაღვარს როცა უტია,
” - ვერ იქნა მზერა ვერ შეგაჩვიე
- შენში თვით ღმერთის სიჯიუტეა!”
მაგრამ ყივჩაღის უკან დახევა
არ გაგონილა ჯერაც აქამდი
მიწას შემაჭმევს შენი სახება
ღრუბლებო, ელვის კვერთხად აჩქამდით!

”- მე მორჩილება არა მჩვევია,
ვთქვი და მაღალი ღმერთი ვახსენე
- ცას ვერ დაგითმობ, მიწაც ჩემია
- მტერს თავის ქალა გადავუხსენი!”
არაგვმა ქვიშა ამოახველა,
ჩოხად ჩააცვა ველებს, თორიანს
დახვედრა ვიცი, ბევრის მნახველმა
მუხლის მოდრეკა არა მდომია!

1997 წ.

მე დავიტირებ ქალაქს

მე დავიტირებ ქალაქს, როგორც უხარისხო ქაღალდს,
რომელსაც შთანთქავს გალაქტიკის ცეცხლი უყოყმანოდ
და გასრულდება სამყაროს უგემოვნო რომანი ტექნიკის თანხლებით...
ხმელეთის ფიცით აივსება ღრუბლების დახლები
ჩვენს წინაშე წარსდგება დრო - ბანკროტი ან მოფარიკავე.
ადამიანებს სტკივათ განახლება,
ღმერთი თავს იკავებს
ღმერთი, მთვარისფერ შანდლად ნაგულისხმები,
მისი წიაღიდან ნაკვები სინათლე
ელექტრონის შუქს რა ხანია აღარ ემთხვევა!
უდროოდ იბნევი...
ხმა მომაწვდინეთ ადამ და ევა!
დიურერის ნახატებიდან განბიძგებულო სულიერებო
სამოთხიდან განდევნილო უვარსკვლავო ქალაქის მძევლებო
ამიერიდან ტექნოჯოჯოხეთურ სამოთხეს უთქვენოდ მოევლება,
ადამ და ევა!
უკანონოდ ჩასახული შვილივით უხმაუროდ
მოკვდინებული ბუნების ცოდვა
იშვა ახლიდან,
ხმელეთის დაულაგებელი ფიცი
გალაკტიკის უდროობამ გახლიჩა!

მე დავიტირებ ქალაქს,
მხრებზე ნაჩქარევად წამოვისხამ,
როგორც საშინაო, ვადაგასულ ხალათს,
მაგრამ ვეღარ ვზიდავ ატლანტივით,
სივრცეს ადამიანის მექანიკური ტალანტი აღარ სჭირდება!

ჩვენს წინაშე წარსდგება დრო -
გალაქტიკის უპირობო მკვიდრი
და მოითხოვს ერთადერთ სიმდიდრეს - სიცოცხლეს!
ოდესღაც ღვთისაგან რომ გამოვითხოვეთ,

მე დავიტირებ ქალაქს,
და თუმცა გული მიგრძნობს დამტირებელი არ მეყოლება,
როგორც უხარისხო ქაღალდს -
ჩემს ერთადერთ ქონებას,
სამყაროთა გზაჯვარედინზე,
სიკვდილის ჯიბრზე
დედამიწას - ჩემს ავლა-დიდებას
უფასოდ გამოვფენ,
რ აც ა რ ი ყ ი დ ე ბ ა!

ალკეოსი საფოს

ორი დიდი ელინი პოეტი ერთმანეთს იცნობდა.
შემორჩენილია ალკეოსის ერთადერთი ფრაზა საფოსადმი:
”ჩემო იისფერნაწნავიანო, მსურს რაღაც გიხრა, მაგრამ მრცხვენია...”

I ვარიანტი

ჩემო იისფერნაწნავიანო,
მსურს რაღაც გითხრა,
მაგრამ მრცხვენია... და უკან ვიხევ,
ერთს გეტყვი მხოლოდ
მთვრალ ცას არ გავხარ,
არც ნაწვიმარ საფეხურს თიხის,
შენ ბაგეთაგან მომდურავი სიტყვაა ძელქვა,
მუზაზე მეტად ახლა ჩემი სიტყვები გიპყრობს,
რა უნდა მეთქვა?
გულახდილობა თოლიების ხელობაა, იცი უთუოდ,
მე კანაფივით დაჭიმულ გულს უკეთ ვაცეკვებ,
სიტყვებსაც ვუღრენ, წავუთაქებ, როგორც ურჩ ლეკვებს
კაცად თუ გაჩნდი, ქალი სიტყვით არ უნდა კვებო!
მაგრამ შენ რადგან პოეტი ხარ, სუნთქვა გაქვს ნაღდი.
მზის ფერფლად უნდა შეგაგროვო, განიარაღდი!
დროა იგემო უკვდავების ზღვა გაქანება,
შენი მკლავები გადავჭიმო იალქანებად!
თლილ თითებს სისხლად შევესიტყვო, ყვრიმალთა სითბო
ხმადაბალ სიტყვის საჩრდილობელს დავუმორჩილო
ესა მსურს მხოლოდ:
გ უ ლ ს ს ხ ე უ ლ ი გ ა დ მ ო ა ყ ო ლ ო.

I I ვარიანტი

ჩემო იისფერნაწნავიანო!
მსურს ტალღასავით მოგელამუნო.
მაგრამ მრცხვენია,
სამყაროს შენსას სიზმრადაც არ ვარ განდობილი.
და... მეც ვსაპყარობ, ეთეროვანო ჩემო დობილო!
არ ვიცი როგორ უნდა მოგმართო
ჩემი კაცური ბუნებაა უკუღმართი თუ
შენი ქალური სიმყუდროვე სიტყვას მიჰყიდე, მიაფლანგე დაუზოგავად,
ლანგრით მოგერთვა აღიარება!
რის გამოც თავი სიკვდილად სცანი
სად ამაქმანე ჭირვეული მუზის ლებანი?
მაცდური ტანი აღარც მამრს და არც მდედრს ეკუთვნის

ხორცის საუფლო მჭლე, უსქესო სიტყვით შეფუთნე,

მე შენ გიბრძანებ, დედაკაცო!
საკუთარ ექოს დაუზავდი ლექსთან, ნუ ანცობ,
ქალების მიერ ნაცოდვილარ სიტყვას უთუოდ
სამოთხესავით უხარისხო უხდება ნავთი!

I I I ვარიანტი

ჩემო იისფერნაწნავიანო!
მრცხვენია, რასაც მომაწერენ,
ეს ავყიათა, უავშარო, ცრუ ენებია,
მე შენს ლექსებზე ნაბახუსევს დამთენებია,
გულიდან ვშალოთ უსაქმურთა მოხსენებები
სტუმრად მაწვიე,
შენი ღაწვი დაშანთოს სიტყვამ მე რომ დავთოვლავ,
სტუმრად მაწვიე, ჭირვეულო მუზავ, შავთვალავ!
რომ ერთად შევსვათ სტიქსისაკენ მრბოლი მყოფადი,
არ გიყრი საკენკს, ჩვენ-ჩვენი ვთქვათ და... მერე წადი!
არა გყავს ტოლი ხმაურიან ჭორთა მორევში,
არ გეჯიბრები, ლექსები ვთქვათ, მერე... მომეშვი!
მრეში სათქმელი შენებურად აიდუმალე,
დავეწაფები ტრფობის სურას
თუ გსურს კუთხეში დავეყუდები,
ვერ გავუგე საერთოდ ქალებს,
თუმცა არც კაცთა საზრუნავი ფხვიერობს ჩემში,
ძლიერი ცეცხლით მნათესაობ,
ძუ სიტყვის გეში გათანაბრებს მამაკაც მგოსნებს.
მაწვიე ლესბოსს, შექებისთვის ლექსივით მკოცნე!
თუმცა ვხვდები, რომ ჩვენ შეხვედრა არ გვიწერია,
შუამავლად ხომ სიტყვის ნაცვლად... კაცი ჩადგება - ავგიას თავლა
და შეხვედრა არ გვიწერია,
კაცის გული ხომ სასიკვდილო, ბრმა ფიწლებია,
ჰოდა ჩათვალე, არაფერი მომიწერია!
ალბათ არცა ღირს პირველობა ქალი პოეტის
ასე საქვეყნოდ და ხმამაღლა გავახმოვანო,
გამაქილიკებს კაცთა მოდგმა, დროა მავანი
ჩემი სინდისი იმ ლესბოსურ ჭილოფზე კვდება
ჭკუისკოლოფო, შენი ნებით რომ არ დამიგე!
შენ ჩემი გრძნობის გამგებელო, არსთა გამრიგევ.
სხვისი ძაგება საამქვეყნო მკვიდრთა წესია
ჰოდა, იწამე, არაფერია მ ო მ ი წ ე რ ი ა!

2007 წელი

ტერენტი გრანელს

მაესტრო! შეუძახე ღრუბლებს,
თვალში წუხს ლაჟვარდის მინორი,
შენს სიკვდილს უფალი დაესწრო,
მწუხრს ერთვის: `momento mori`

როიალს ასწევს მეკუბოვე,
როიალს - სასაფლაოს სინაზის,
მზის ლოცვებს სიჩუმეს უგროვებ
სევდას ეგებები სინას მთაზე

მკლავებს შეაშველებ ღრუბლებს
თვალებს საგიჟეთის კოცონს
დარდი მონატრებით დაიუბრებს
ფერმიხდილს ვარდის თოვა მოგწონს!

შუბლზე ფიფქადნაწოლ ღრუბლებს
ლაჟვარდი ფიქრები ალტობს,
ჯვარცმაა პოეტის აწმყო,
დრო ჰგავს სიკვდილმისჯილ ალბომს!

მაესტრო! შეუძახე ღრუბლებს,
თვალში წუხს ლაჟვარდის მინორი,
შენს სიკვდილს უფალი დაესწრო,
მწუხრს ერთვის: `momento mori`

2008 წ.

სალომე დონაძე

გაშემოდგომდა...

გაშემოდგომდა...
გზები მზისფერ ბილიკებს ხატავს...
მე ზეცის ცქერით ვტკბები,
იგი მიამბობს ზღაპარს...
სევდისფერია ისევ
უკიდეგანო სივრცე...
დღეს სევდის ფერი მოსავს,
ცას თეთრი ზოლი
მისდევს...
გაშემოდგომდა...
ზეცა მიგზავნის ჭრელ–ჭრელ ფიქრებს...
მე ზღვის სარაფანს ვრეცხავ
და ზაფხულამდე ვითმენ...
ზეცა ამთავრებს ზღაპარს და გულისტკივილს
მანდობს...
უსიტყვოდ, ჩუმად ვუსმენ
და უსაშველოდ გნატრობ...

19.09.07

* * *

თოვლის ვარდები ისევ ცვივიან
დ ზეცას ადნობს ზამთრის ბუხარი...
შენი თვალები ისე ცივია,
ისე სავსეა დარდით, მწუხარით...
ნათქვამს შემინდობს ზამთრის სიცივე
ახალწელს სახლში პარვით შემოვა...
მე შევესწრები სითბოსთან ჭიდილს
ბუხართან ახლოს სუსხი ვერ მოვა...
თოვლის ვარდები ისევ ცვივიან
და ფიქრმა დარდი შემოინახა...
ვნატრობ გაზაფხულს, ზეცას ლილიანს...
დღეებს სიმწვანე შემოელახათ...
ათასი დარდი ნაძვის ხეს ეკვრის
წარსულის დაღი ჰკიდია წვიმად...
ახლაც ამტკივდა ნაჩხვლეტი ეკლის,
სევდა მესტუმრა და ისევ მცივა.

3.01.08

* * *

სულმოუთქმელმა
ჩაიარა დროის დინებამ...
სევდამ ბრჭყვიალა მისახსოვრა თვალზე ცრემლები...
ალბათ შეგხვდები
თუკი ასე ღმერთმა ინება,
თეთრი მოხუცი შორს რომ წავა სვენებ–სვენებით.
გნატრობ... მახსოვხარ...
როგორც იის თვალები მახსოვს...
ამ გადარეულ თეთრ თოვაში ვდგავარ ეული...
მონატრების და მოგონების, ცის სევდა მათოვს...
გარდასულ დღეთა მოგონებებს ვარ მიჩვეული.
მომენატრები...
ვიცი, ისევ˜ითოვებს ალბათ...
მიწას ჩაუქრობს აალებულ ნაკვერჩხალს თოვლი...
გულში ჩამყვება შენზე ფიქრი სიზმრად და დარად...
ულურჯეს თვალებს დავივიწყებ ვეღარა მგონი...
გადამავიწყდა
გაზაფხულის ცისფერი სუნთქვა...
წვიმისი წვეთები დანადენი იისფერ თვალთა...
ოდესღაც ჩემი სიყვარული უზომოდ გსურდა,
იყო დრო შენი სიყვარულის მეც ძლიერ მწამდა...

7.02.05

* * *

მთელი დღე ვფიქრობ, სად გაფრინდა ოცნება ძველი...
არც ახდა და არც გულს შემორჩა ფიქრები მასზე...
ზამთარმა ისევ შემომხვია მოხუცი ხელი
ჩემს მოხრილ მხარზე...
დღე ისევ შფოთავს თიტქოს კოშმარს ნახულობს ღამით...
შენ რაღაც სხვა ხარ, უცხო რამ ხარ, მე სულ არ მგავხარ!
მთელი ცხოვრება გაიელვებს ჩემს თვალწინ წამით
და ამ თამაშის ბოლო კადრში მხოლოდ შენ ჩანხარ...
შენ ხარ და ქარი...
იცი, კვლავ ვფიქრობ მომავალზე, არ ვდარდობ სულაც.
მზე მაინც ჩნდება ღრუბლებს მიღმა, ანათებს
თითქოს,
აშუქებს სხივით, ჩაბნელებულ ბუნების სურათს
და გული შენზე შეუწყვეტლივ დღე და ღამ ფიქრობს,
არ ვნანობ სულაც...
ქარს მიაქვს სევდის ნაფლეთები, მიათრევს
გზაზე...
მე იგი მტკივა და სულს ისევ ჰკიდია ჯვარი...
შემოსკდება ქარი ხეებს და უკრავს ქნარზე,
კვლავ სევდიანად როკავს ჭრელი ფოთლების ჯარი,
ამ გამის ხმაზე...
მთელი დღე ვფიქრობ სად გაფრინდა ოცნება ძველი,
რად არ დამინდო, რად გამწირა, დამტოვა მარტო...
გულს ისევ დაღავს მარტოობის მტანჯველი ხელი,
მე ისევ გნატრობ...

12.12.07

* * *

ანგელოზისფრად ჩამობრწყინდნენ ციდან სხივები,
მზის ცივმა კაბამ შემაწუხა, გული გაყინა...
მხოლოდ ანათებს და სუსხი სდის ვით ცვილს წვეთები...
ჩემი ცხოვრება დაეკიდა კვლავ თავდაყირა...
და ერთი რამე არის რაც კვლავ ისე მაშფოთებს,
მღლის თუნდ ჩურჩულიც, გარინდული ფოთლების კვნესაც...
და სიხარულთან ისევ წვეთი სევდა მაშორებს...
მე დაღალული ალბათ მოვქსოვ გაზაფხულს ლექსად...
ო, შენს თვალებზე ისევ კრთება ცეცხლის ალები,
და მე მაშინებს მაგ თვალების ელვა–ბრიალი...
ისევ მოხეთქენ შემოდგომის კარებს ქარები...
ისევ იქნება დროის ქროლვა, ბრუნვა–ტრიალი...
ანგელოზისფრად ჩამობრწყინდნენ ციდან სხივები...
ახლახან გათბა ჩემი სულის მცირე სარკმელი,
ისევ დაცვივდა სველ მიწაზე ხეთა ღილები,
და ალბათ ხვდები დავამთავრე ჩემი სათქმელი...

20.11.07

დალილა ბედიანიძე

კარგი!

კარგი, გამოგყვები სახლში!
კარგი, აგიდუღებ ჩაის,რომელიც ორივეს დაგვავიწყდება!
კარგი, დამიკოცნე ხელები!
კარგი, დამიკოცნე მუხლისთავები!
მეც ძალიან მომენატრე.
კარგი, დაგიჯერებ ყველა ტყუილს!
კარგი, დღეს შენთვის ლამაზი ვიქნები!
კარგი, აღარ მოგაწევინებ სიგარეტს!
ჩვენი გულები მაღლა აფრინდებიან,
როგორც ორი ფერადი ბუშტი და თვალს მიეფარებიან,
როგორც ჩვენი საიდუმლო შეხვედრები.
კარგი, კოცნით გამიშრე სველი თმა!
კარგი, დამივარცხნე თმა და დამიწანი,როგორც შენ გიყვარს!
კარგი, ჩავრთოთ მაგნიტოფონი და ჯიმი ჰენდრიქსს მოვუსმინოთ
და თან ვიცეკვოთ!
მე მოგეხვევი ცეკვისას და ვიგრძნობ,როგორ თრთი.
კარგი, მოგეფერები,როგორც დედა და და!
კარგი, გავიყოფ შენს მარტოობას!
რა კარგია, რომ სწორედ დღეს შემხვდი!
რა კარგია, რომ შენც მოგენატრე!
კარგი, გამოგყვები სახლში!
კარგი, ყველაფერს დაგიჯერებ!
კარგი, ვიქნები შენი და დაგიჯერებ,რომ ჩემს გარდა არავის ეკუთვნი!
კარგი, დავიჯერებ,რომ დღემდე მე მელოდებოდი!
კარგი, აგინთებ სანთელს და მერე ჩაგიქრობ!
სიბნელეში უკეთესად ისმის მუსიკა.

1996

ყვითელი ჰაერი

გამოვედი ყვითელ ჰაერში, ცხელ ჰაერში გამოვედი,
ცხელი მწვანე, ცხელი თეთრი, ზაფრანისფერი...
დედამიწას ალმური ასდის ყვითელ ჰაერში
და სულებს ათბობს, შეცივულ სულებს,
გამოვედი ყვითელ ჰაერში,
ყვითელ სურნელში, ყვითელ ხმაში, ყვითელ გემოში,
ვენებში სისხლად ახლა ყვითელი ჰაერი მიდგას
და სუნთქვაში - ყვითელი ხვატი.
ჩემში ყვითელი ჰაერია და მე ყვითელ ჰაერში ვარ
და ერთმანეთს ვერ დავცილდებით.
აქედან მოსჩანს მზის გერი და მზის ღვიძლი შვილი,
აქედან მოსჩანს მზე დედა და მზენაცვალი
და მზე ის მზე სულაც არ არის, რომელსაც ვხედავთ,
ყვითელ ჰაერში მზე მშობლიური,
გამოვედი ყვითელ ჰაერში და უკან აღარ მინდა, დავბრუნდე.
გამოვედი ყვითელ ჰაერში,
ყვითელი ჰაერი ჩემს ვენებში გადმოვიდა.
აქ არც დილაა, არც - შუადღე, არც - საღამო,
არც ზამთარი, არც ზაფხული, არც გაზაფხული, არც შემოდგომა.
მხოლოდ ყვითელი ჰაერია საღამოობით სიმინდის ტაროს აბრეშუმივით.
აი, ყვითელი სურნელით მთვრალი, გაბრუებული, თვალახელილი
ყვითელ ჰაერში ქვეყნიერებას ვათვალიერებ.
თეთრი, როგორც ჭყინტი სიმინდის მარცვლები, ცაზე მიმობნეულან
ბავშვი პლანეტები და შიშით კრთიან ადუღებულ ყვითელ ჰაერში,
გადნობის შიშით.
დამსხვრეულ ნაჭუჭს გადავაბიჯე.
გამოვედი ყვითელ ჰაერში, ცხელ ჰაერში გამოვედი.

* * *

ბზობასავით ხასხასებს ღამე,
ხასხასებს ღამე და დამწყვდეული აპრილი ბორგავს,
ბორგავს ძარღვებში, ბორგავს გულში,
ფშვინავს, ცახცახებს ყოველ ჩვენგანში ამ აპრილის მწვანე ტაძარი.
ყვავილების ჩირაღდნები ფეთქავენ ღამით
და ყოველი შებინდება ჰგავს დღესასწაულს,
ჰგავს სოფლურ ქორწილს ხეივნის ქვეშ.
ბზობასავით ბრიალებს ღამე
და მზის ტოტი შავ როიალს აჩნია, როგორც სიყვარულით გაწნული სილა,
როგორც ნაკოცნი,
როგორც ოტელოს ხუთი თითი
აჩნია ყელზე იჭვით გაგუდულ როიალს და მე ვიხრჩობი,
ვიხრჩობი -
კატები ჩხავიან აივანზე, ჩხუბობენ და არ მაძინებენ.
ბზის ტოტივით ქანაობს ღამე.
ეს-ესაა ჩიტვარსკვლავა მოწყდა, დაიწვა.
ჩხავის ღამე და დამწყვდეულ კატასავით მიფხაჭნის კედლებს.

გაოცება

გაოცებული გადმოვყურებ ქვეყნიერებას,
როცა სკოლიდან შინ მოვფრინავ გაოცებული.
ჩემში ნელ–ნელა იღვიძებს ხსოვნა მიტოვებული პლანეტებისა,
ჩემში ნელ–ნელა იღვიძებს ხსოვნა განვლილ ზეცათა.
გადარჩენილი სულები ასე იბუდებენ ამ სამყაროში –
შემოგვყურებენ ხეებიდან, გამვლელებიდან, ქვებიდან, წყლიდან.
წიგნებიდან, მანქანებიდან...
ყველას, ყველაფერს აქვს თავისი თვალი და გული.
გადარჩენილი სულები...გაოცებული შემოგვყურებენ.
იმათ იციან, რატომ არის ცოდნა ცოდვა,
მე–ახლა ვხვდები და მეც ვდგავარ გაოცებული.
გაოცებული შევყურებ ყველა მასწავლებელს
და ისინიც მიყურებენ გაოცებული.
ერთხელ, როცა სკოლა დაამთავრეს,
მოსწავლეებმა მთელი სკოლა ისე დაწვეს, მნახველიც არ გადარჩენილა.
გაოცებული ვათვალიერებ დამწვარ სკოლას,
გაოცებული ვათვალიერებ გამვლელ–გამომვლელს,
შინაურებს და გარეულებს ვაკვირდები გაოცებული
და ყველაფერზე უფრო მეტად საკუთარი თავი მაოცებს,
საკუთარ თავს ვათვალიერებ გაოცებული.

ვერაფრით ვერ გავიხსენე –
როცა სკოლას დავამთავრებთ, ეს სკოლაც დაიწვება?
და კიდევ სკოლას ააშენებენ?
მაოცებს ჩემი გაოცებაც.
გაოცებული მოვედი. მივდივარ ასე გაოცებული.

გუგული

არავის არ ვეპატიჟები, კარს აღარ ვაღებ.
ღვივის აპრილი ღამის სიკვდილში.
ფარდის უკან ბუზები კოცნაობენ.
შეშლილი გუგული ყოველ წუთს რეკავს და რკავს -
თავზე დაიცა მთელი ზარი.
რა გინდა, რა?
აუცილებელია, ყოველ წუთს ზარდაცემულ ვიყო?
გადახლეჩილი ნაზამთრალი ბროწეულის შავი მარცვლები
ხელებიდან ვარსკვლავებად გადმომიფრინდნენ,
გადახლეჩილი ღამის მარცვლები.
ო, მონტე კარლო! მელომანთა შავო სასტუმროვ!
შენგანაც ასე მოფრინავენ სიმღერები
და ვითიშები, როგორც რადიო ექვს საათამდე.
რა ფერია ყელაზე ლამაზი თვალები, რა ფერია?
თქვი, გუგულო, აპრილურო მედიალოგევ, ვის ბუდეში ზის შენი შვილი?
ვისი დედა ხარ? ვისი თვალები დაჰყვა შენს ბარტყებს?
არავის არ ვეპატიჟები. კარს აღარ ვაღებ.
და ნუთუ მართლა არავინ მოვა,
აი, ახლაც არავინ მოვა?
მაშ, თუ არ მოვა, რად მაწამებს წინათგრძნობა?
რად ვახრჩობ ღამეს და მის ფართხალში
რად ჩამესმის ნაბიჯები ვიღაც მშობლიურის,
რომელიც მაშინ წავიდა,
როცა მე აზრზე არ ვიყავი
და კი არ უნდა მოვიდეს,
უნდა დაბრუნდეს.

სოფო მიქიაშვილი

დალაქის პარადოქსი

მამაჩემი ცივი კაცია,
წიგნების მძიმე სუნი ასდის და კაბინეტის დაკეტვე უყვარს.
ჩემი ძმები მხოლოდ უქარო ამინდებში გადიან გარეთ,
ბებიაჩემი კი ჰამაკში არასოდეს წოლილა,
ამიტომ მის სხეულზე დახატულ კუბიკებში არასოდეს არავის
უთამაშია კრესტიკი-ნოლიკი.
პაპაჩემს მწვანე ცრემლიანი თვალები და ერთი კბილი აქვს
დეიდაჩემი მზისფერია და რადგან ვარსკვლავებს ჩრდილავს,
ისინი არასოდეს უნახავს.
მამიდაჩემს გრძელ ხვეულ თმაში ღამე აქვს ჩაყოლილი
და როცა იღვიძებს, ჰგონია სხვებს სძინავთ და ამიტომ ფეხაკრეფით დადის.
ჩემს დეიდაშვილს მზისფერი დედისგან დამწვარი კანი გამოყვა,
სიამოვნებს, როცა ამ კანზე ეფერებიან.
ბიძაჩემი ცხენოსანი იყო, მერე აივნიდან გადმოხტა.

ჩემს ერთ მეგობარს არტერიებში იასამნისფერი სისხლი დაუდის და
ქერა თმა ეწვის ლოდინიგან.
მეორეს მკერდზე ვერცხლისფერი ლაქები აქვს და ყოველ დილას ფერადი
ფუნჯებით იღებავს ადამიანისფრად სხეულს.
მესამე მთვარეულია- უყვარს ზღვა და სიცილისგან იფსამს.
მეოთხე მეგობარი მხოლოდ სხვების თანხლებით მღერის,
ელოდება ქალს, რომელიც მარტო უმღერებს იავნანას.
მეხუთე მეგობარს ხოჭოებიანი სახლი აქვს
ამიტომ კინოფაკულტეტზე ფილტრთმცოდნეობაზე სწავლობს.
მეექვსე მეგობარი მას სწავლაში ეხმარება ყოველთვის, როცა სცალია,
რადგან სუსტი ძვლები პირველი მეგობრის იასამნისფერი სისხლით აქვს
მიწებებული და ყოველთვის მის ზარს ელოდება.
ჩემი მეშვიდე მეგობარი სრულყოფილია და რადგან ამოსასუნთქი ჰაერი
ჩასასუნთქს სჭარბობს, ასთმის შეტევებით იტანჯება.
ჩემი მერვე მეგობარი მულტიპლიკატორია, მაგრამ მთელს დროს ხალათით
ოთახებში სიარულში და ფეხმძიმე კატის მომავალი კნუტების
რაოდენობაზე ფიქრში ატარებს.
ჩემს მეცხრე მეგობარს ამელის ამსგავსებენ- საწყალი ვერავისთან ამბობს, რომ
კლუბებში სიარული და ცხოვრების გინება უყვარს.
ჩემი მეათე მეგობარი თვითმფრინავებს აწყობს და თბილი საგანი, როგორც კი
ეხება, უხერხულობისგან თვითმფრინავების ფოტოებს იღებს ჯიბიდან.
ჩემი მეთერთმეტე მეგობარი სავსე მთვარის დროს თმას ცისფრად იღებავს
და კატებისთვის ცეკვავს.
ჩემი მეთორმეტე მეგობარი გასხივოსნდა
და ამის გამო სინდისი ქენჯნის.
კიდევ ერთი მეგობარი სარდაფში ცხოვრობს.

საწოლთან კლოუნის ფორმები ულაგია, მაგრამ მტვრის გადმოსაწმენდად
ვეღარ იცლის - სულ სძინავს.

ჩემი პირველი სიყვარული პიდარასტია
მეორე იოგა.
ჩემი მესამე სიყვარული გვირილებს პუტავს
ღეროებით სახლს ხურავს და მერე სახლიდან გარბის.
ჩემი მეოთხე სიყვარული დაწოლამდე კონცენტრაციის სავარჯიშოებს აკეთებს
და როცა ვერაფერზე კონცენტრირდება- ჩეხოვის გინებას იწყებს.
ჩემს მეხუთე სიყვარულს ნესტის სუნი ასდის,
თუმცა იმუქრება რომ ჩამოიბერტყავს და მერე სათევზაოდ წავა.
ჩემი მეექვსე სიყვარული ისეთი უბრალოა.. ისეთი უბრალო...
ჩემი მეშვიდე სიყვარული წითელ ბეღურებს ელოდება
და ყველა ხმაურზე კანი გულის ადგილას გამჭვირვალე უხდება.
ჩემს მერვე სიყვარულს დაკარგვა უნდა, მაგრამ დასაკარგავად ადგილი არ
ყოფნის.

ჩემი მეზობლები წყვილ-წყვილად ტირიან
და ცალ-ცალკე ებადებათ ერთნაირი კითხვები.
ჩემი პერსონაჟები დეპრესიული მიმიკებით და თეატრალური გრიმით
ბუნუელის გმირებს გვანან.
ჩემი ხელმძღვანელი ფილმს ასე ამთავრებს:– ოპივნე? –ჯერ ვერა.
ოპერატურის ჩემს ლექტორს კი ახლო ხედების გადაღების ერიდება.
დედაჩემი ანგელოზებმა მზარეულად აიყვანეს და
ყოველდღე ტარტალეტკებს აცხობინებენ.
ჩემი ღმერთი დაიღალა ჩემს ფანჯარაზე დაწერილი სურვილების ტყუილად
წაკითხვით და დილაობით საწოლის ალაგებაში მეხმარება.
ჩემი ქუჩა ყველასია, ვინც მასზე დადის.
ჩემი სახლი მე არასდროს დამილაგებია.
ჩემი ოთახის კუთხეებში შპალერი ახეულია და დაწებებული,
ბავშვობაში ყვითელი კაბით ვიჯექი და ჩემი ნახატებით
ახალი შპალერის გაკეთებას ვცდილობდი.
მიყვარდა გაბრტყელებულ ცომზე ჩემი ნახელურების დატოვება
და ყურება, როგორ ჭამდნენ ჩემს ნახელურებიან პეჩენიებს.
მიყვარდა მძინარე დედაჩემის ყურება ყველაზე ტკბილსუნიან ოთახში.
მიყვარდა ისტორიების მოგონება და მათი ყველასთვის არ მოყოლა,
მიყვარდა თოვლი და ჩემი ძმისთვის არ თქმა, რომ ვცნობდი ცხენოსან ბიძაჩემს
სანტაკლაუსის ფორმაში.

მკერდის ამოსვლამდე ჩემი ლაქებიანი მეგობრის სხეულზე ტირილი მიყვარდა.
მიყვარდა ფიქრი, რომ ვისწავლიდი ქსოვას და ჩემს მცივანა ძმებს
მოვუქსოვდი დიდ, თბილ კაშნეებს.
კიდევ მიყვარდა ჩემი მეორე ძმის აწეწილი თმები ქარიან ამინდში.
კიდევ წერილების წერა მომავლიდან- ვუგონებდი ცხოვრებას, რომელიც
ელოდათ.

ჩემს ერთ მეს ჰგონია, რომ მე ყველასი უკეთ მესმის, ვიდრე მათ საკუთარი
თავების.
მეორე მეს მათი დახმარება უყვარს.
მესამე მე კი დაბნეულია და დალაქის პარადოქსს იხსენებს:
დალაქს წესდებაში ეწერა, რომ უნდა გაეპარსა თმა ყველასთვის,
ვინც თავად არ იპარსავდა.
დალაქი ვერ მიხვდა რა უნდა ექნა საკუთარი თავისთვის.

მაესტრო

დაატოვებინე ქალებს გრძელი თმა
და კაცებს გრძელი ნაბიჯები
და გახადე...
დაატოვებინე თევზებს დუმილი,
ბებრები კი მდუმარე დალტონიკები გახადე.
მხატვრებს დაატოვებინე კივილი და პერსპექტივა,
მატლებს დაატოვებინე პერსპექტივა.
რეჟისორებს დაატოვებინე გადანათებული კადრები
პოეტებს დაატოვებინე გრძელი და მოკლე სიგარეტები.
პლანეტებს დაატოვებინე გზები.
სამყაროს სივრცე და მყუდროება.
ჰაერს დაატოვებინე ამოსასუნთქი ჰაერი.
წიგნებს სუნი და უბრალოება.
უბრალოება დაატოვებინე ფიქრებს
წამებს დაატოვებინე თვითდაჯერებულობა.
დედებს დაატოვებინე ნაზი კანი,
კანს დაატოვებინე ხორკლები.
ხეს დაატოვებინე ჩამოსაჯდომი ტოტები
თვალებს დაატოვებინე სიმორცხვე.
გზებს დაატოვებინე მეხსიერება
ხმაური გახადე ჩუმი
ჩუმად გამხადე,
ჩუმად შემომიძვერი სულში
და იხმარე ყველაფერი, რაც გამაჩნდა...

მერე დაბერდი..
ამბობ, რომ შეცდი, რომ შეგაცდინეთ და რომ სინანულსაც არ აქვს აზრი -
გაიძახი, რომ ძველ მაესტროს ახალ სიმღერებს ვერ ასწავლი.

გრძელთმიანი ხარ, მდუმარე, გადანათებული.
ზიხარ უგემოვნოდ ჭრელ სივრცეში
და გახსოვს ყველა კივილი, ყველა გრძელი ნაბიჯი და ყველა პერსპექტივა...
ზიხარ და აბოლებ ჩვენს დატოვებულ ყალიონს,
ჩვენ კი შენს დატოვებულ სულებს ვუკიდებთ ცეცხლს და დალევამდე ვწვავთ...

(ჩვენც და შენც) ისევ გვინდა ახალი ღმერთი და მატლის პერსპექტივა..
ძველ მაესტროს ახალ სიმღერებს ვერ ასწავლი.....

თუთისფერი

აქ წვიმა იშვიათად მოდის.
ბედნიერების ხეს მეორენაირად სიმდიდრის ხეს ეძახიან
და ბორჯომის ბოთლით უსხამენ წყალს ყოველ საღამო..

აქ ხშირადაა ქარი.
უყვართ მისი არ შემჩნევა
და უკეთეს შემთხვევაში მასთან ბრძოლა..
აქ არ იციან ,რომ ქარი წაიღებთ..

აქ თუთას იშვიათად ჭამენ,
რადგან თუმცა ძალიან ტკბილია,
ძალიან უთხუპნით სახეს და ხელებს..
აქ ურჩევნიათ სუფთად იყვნენ..

აქ ურჩევნიათ ხმაურიანად.
არ ახსოვთ, რომ მარტოობის დასასრულთან ბაზარია
და ბუზების ბზუილს, რომელიც მას ახლავს,
ქარის ზუზუნზე ადვილად ეგუებიან...

აქ ხშირად ლოცულობენ.
უფრო ხშირად სამარშუტო ტაქსებში
და უფრო ხშირად იმიტომ, რომ ბედნიერების ხე,
რომელსაც მეორენაირად სიმდიდრის ხეს ეძახიან, დიდი გაიზარდოს...

აქ ეშინიათ შიდსის,
თუმცა ამბობენ რომ უყვართ..
აქ არ იციან რომ შიდსი დიდი სიყვარულია...

აქ ეშინიათ.. რადგან
ყველაფერი აქვთ რომ დაიცვან თავი
და არაფერი რომ დაცულნი იყვნენ...
აქ გონიათ რომ მოკვდებიან
და გონიათ, რომ ცოცხლობენ..

. . . . .

თუმცა, შენ რას გიყვები, დე..
შენ ბოთლებს ყოველთვის აგდებდი
და იშვიათად მოსული წვიმით სავსე თმებს აწურავდი ყვავილებს,
რომლებისთვისაც სახელები არასოდეს დაგირქმევია..
შენ ტუჩები წყლისფერი გქონდა
და ხელებზე მარტოობის ნაოჭებში თუთისფრად გქონდა ამოვსებული ფორები...

მეც ასეთივე ვარ.
ბევრი ამოსავსები ნაოჭით რომელსაც ვერ ხედავენ
რადგან ჩემი თმებიც იშვიათად მოსული წვიმითაა სავსე
და მისი წვეთები ავსებენ მათ..
მეც მიყვარს ქარის ზუზუნი
მაგრამ როცა შენთან ვატან კითხვას,
სიცოცხლე მეტია თუ არა, ვიდრე მოგონება,
ის ზუზუნითვე მპასუხობს
და ამიტომ არ ვიცი ღირს თუ არა წრეწირის ცენტრის ძებნა
წრეზე სიარულთან ერთად..

არ ვიცი, დე..
ალბათ ისიც შეიძლება ვიფიქრო, რომ
თუ წრეს მთლიანად მოვივლი
და შევძლებ შიგნით ყველა მოგონება შევინახო,
ცენტრი სასაცილო სიტყვა გახდება და ზუზუნს დავაფარვინებ...

ჩვენ ხომ, დე, ქარს ისე შევეჩვიეთ, სიყვარული ვისწავლეთ მისი
და ზუზუნსაც ისე ვიყენებთ, როგორც ჩვენ გვინდა...
ხან მისი ხმით ვივიწყებთ აქაურობას
და ხან ვაჩუმებთ და ვუსმენთ ბზუილს,
რომ გვახსოვდეს,

რომ აქ წვიმა იშვიათად მოდის
და ჩვენი მარტოობის თუთისფრად ამოვსებული ნაოჭებიდან
ღირს გადმოვღვაროთ ტკბილი წყალი
რომელსაც აქვს ფერი, რომელიც ძნელად ამოდის..
და არასოდეს ვიკითხოთ იმის სახელი, ვისაც დაეცემა

ჩემი დავიწყება მარტივია

ჩემი დავიწყება მარტივია.
ნემსი უნდა შეურჭო პარკს, სადაც ჩემი ნაჩუქარი თევზები დაცურავენ
და მერე თქვა, რომ წყალს, რომელშიც ჩემს თევზებს ვაცოცხლებ
თხელი პარკი აკრავს, რომლის უსაფრთხოდ შენახვა
სხვა თუ არაფერი მოსაბეზრებელია.

მზის ამოსვლის მერე ადექი,
რომ არ გაგახსენდეს ჩუმი სიმარტოვე
მზის ამოსვლის დროს.

შეხედე საგნებს კირისფრად,
რომ თეთრის სიმძიმემ
ჩვენი ფეხებით გაჭუჭყიანებილი კიბისფერი დაგავიწყოს.

შეხედე საგნებს ფხიზელი თვალით
და გამთენიისას ნუღა მიადგები ყრუ-მუნჯთა კავშირს სამი ჭიქა არყისთვის,
სადაც სამივე სადღეგრძელო სიჩუმის იქნება.

ჩემი დავიწყება მარტივია,
უბრალოდ არ მნახო ორი საღამო
და მესამე დღის დილას,
როცა თევზების ძებნას
ცარიელ, შეკრულ ჩემოდნებში დავიწყებ,
მესამე დღის დილას,
როცა თევზების ძებნას
ხახვების,
სტაფილოების,
ჭარხლების პარკებში დავიწყებ,
მე არ მოგადგები საყვედურისთვის
იმიტომ რომ პარკჩამოფარებულს და ტუჩებაკერილს ვეღარც კი გიცნობ.

მე თევზების ძებნას გადავყვები მანამ, სანამ
შენს კირისფერ პარკში ჩემი უკანასკნელი მეილი შემოაღწევს.
იქ ეწერება, რომ ვეძებ დაკარგულ თევზებს.
შენ შეგეცოდება უცნობი მძებნელი და დააჭერ პასუხის ღილაკს,
ჩონტროლ პასტე-ი კი თავისით დაწერს შენი ბოლო პერიოდის უცვლელ მეილს-
ჩვენთან დავიწყება მარტივია.
ნემსი უნდა შეურჭო პარკს,
სადაც ჩვენი შეგროვილი თევზები დაცურავენ
და მერე თქვა, რომ წყალს, რომელშიც ჩვენს თევზებს ვაცოცხლებთ
თხელი პარკი აკრავს,
რომლის უსაფრთხოდ შენახვა სხვა თუ არაფერი მოსაბეზრებელია.

შეეხმიანე

გაჩუმებული ქარის აგონია ეხმიანება ხვალინდელ სეტყვას,
რომელმაც დღეს ღამე ციდან ვარსკვლავები მოსპო..

მანქანის ძრავა ეხმიანება გაჩუმებულ ქარს,
რადგან წინააღმდეგობა მისი სტიქიაა..

შენი სტიქიაა მიწა,
ყოველ ორშაბათს ბენზინის ცისარტყელებს ეხმიანები..

ყველა შესაძლო პერსპექტივა კრავს ლოგიკურ ჯაჭვს,
სადაც აქსიომები და ლოგიკური იგივეობებია;
გამორიცხული მესამის კანონი კი მაფინქრებინებს, რომ
ან ჯაჭვს შიგნით ვარ ან ჯაჭვის მიღმა..

ქაღალდის გემებს მიაქვთ ჩვენი სურვილები ჰორიზონტთან, აღსასრულამდე,
ჩვენ კი ამ სურვილების გადარჩენაზე ვუყვებით შვილებს.

სანამ კონდუქტორი ყველა ფუნთუშას შეჭამს, გადაუღე ფოტო
და შენი შვილი ფონზე დაწყობილ ფუნთუშებს შეეხმიანება
და ჰორიზონტს, სადაც გადარჩენილი სურვილები იძირებიან..

ჩემი ბებიის მოქსობილი საბანი ეხმიანება
ველზე გაშლილ ცხვრებს მისი ბავშვობიდან.

შეეხმაინე სულს და თუ მას სძინავს,
შეეხმიანე რომელიმე მომხიბვლელ სხეულს
და თუ არ სძინავს...
შეეხმიანე !..

თამრი ფხაკაძე

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა

ა
ანანურის ციხე კოშკთან
არაგვს ჩამოუდენია,
ანანო და ანანია
ასკილს კრეფენ უთენია.
ალიონზე არემარეს
ასე არსად ულხენია.

ბ
ბაკურიანში თოვლი დევს,
ბორჯომში უკვე დნებაო,
ბაგასთან ბღავის ბოჩოლა,
ბალახი ენატრებაო,
ბეკეკას ბიბინ-ბიბინა
მინდორი ესიზმრებაო.

გ
გორში გარგარი დავკრიფე,
გავავსე მთელი გოდორი,
გამოვუყევი გზა-შარას,
გადმოვიარე გომბორი.
გოგნი-გოგონას მივუტან,
გაგვინაწილოს ორ-ორი.

დ
დარიალში ნაავდრალზე,
დარი დადგა დიდებული,
დედა დათვი დავინახე
დრუნჩა ბელმოკიდებული,
გადატოპეს დევისღელე,
დელგმით წამოდიდებული.

ე
ერთადერთია სამშობლო,
ვერ შეედრება სხვა მხარე,
ემსახურე და ეფერე,
ერთგულებითაც ახარე,
ენად ნუ გაიკრიფები,
ნერგი კეთილი ჩაყარე.

ვ
ვისია ვაზი, ვენახი
ვაკეზე გავაკებული?
ვისია ზვარი ქარვისფერ
ვარაყში აელვებული?
ვისი და _ ვანო პაპასი,
მისგან თავშემოვლებული.

ზ
ზევით ზეცაა მზიანი,
ზღაპრული ცისარტყელები,
ზღვა არის ფირუზისფერი,
ზურმუხტისფერი _ ველები,
შენ იცი, შენმა ბიჭობამ,
თავზე თუ შემოევლები.

თ
თრიალეთის მთა-გორს ვფიცავ,
თავთავიან ყანის შრიალს,
თოლიების თართაშს ზღვაზე,
თერგის თქრიალს, ზეცის კრიალს,
თუკი სამტროდ მოვა ვინმე,
თავს ვანანებ ოხერ-ტიალს!

ი
იმერიდან ამერამდე,
ცა ისეთი ცისფერია,
იმდენია ია-ვარდი,
ისეთ ჰანგებს იმღერიან,
იხატება მომავალი:
იკაშკაშებს ივერია!

კ
კორდის უკან, კუნელებში
კურდღელი რომ ჩამალულა,
კიდევ კარგი, _ გასუსულა,
კიდევ კარგი, _ განაბულა,
კაცი მოდის, თოფი მოაქვს,
კონდახი ძირს, მაღლა ლულა!

ლ
ლილეო და! _ მაღლა, მთაში
სოფელი ჩანს, _ ლაილაში.
ლილეო და! _ შორს ლაჰილი
აზიდულა ლამის ცაში!
ლილეო და! _ მყინვარები
ლაპლაპებენ მზის კალთაში.

მ
მამული, ჩემი მამული _
მთა, მოლი, ზღვა და მდინარე...
მამაცი მამა-პაპანი
მშობელ მიწაში მძინარე,
მტრისთვის _ მეც რისხვა ვიქნები,
მოყვრისთვის _ მზე მოცინარე!

ნ
ნაკადულის ნაპირ-ნაპირ
ნახირი ძოვს ნება-ნება,
ნარნარებენ ყვავილები,
ნაგაზს მზეზე ეძინება.
ნარჩიტა სტვენს, ნიბლია ფრენს,
ნისლი ნელა-ნელა დნება.

ო
ოღრო-ჩოღრო ორღობეში
გოგო-ბიჭი მოდიოდა,
ორი ეზო დავინახე,
ორი ჭა და ორი ოდა,
ორი გლეხი ყანას მკიდა,
ოდოიას დასძახოდა.

პ
პირაქეთა ხევსურეთში
პაპა ცხოვრობს, _ აპარეკა,
პაპამისსაც, პაპის პაპებს _
ყველას აპარეკა ერქვა.
პირში სული სანამ უდგას,
პაპა არის სოფლის ძელქვა.

ჟ
ჟუჟუნა წვიმამ დაუშვა,
ჟინვალი მოჩანს ღრუბელში,
ჟოჟონში ღელე ადიდდა,
ჟუნჟრუკო ცურავს გუბეში,
ჟრუნა ჩიტუნა პატარა
ჟღურტულებს მყუდრო ბუდეში.

რ
რაგინდ დიდი კაცი დადგე,
რაგინდ მეფისტოლა იყო,
რიდი გქონდეს დედის, მამის,
რჩევაც ჰკითხე, არ გარიყო.
რეგვენივით არ მოიქცე,
ამაგი არ დაუვიწყო.

ს
სალოცავო, საფიცარო,
მიწა-წყალო საყვარელო,
სილამაზით _ საქებელო,
სიმამაცით _ სასახელო,
სიცოცხლესაც განაცვალებ,
თუ დაგჭირდა, საქართველო!

ტ
ტაბაწყური, ტაბახმელა,
ტყეში გრილა, ტყისპირს ცხელა,
ტბაში ტივი შევაცურე,
დავტივტივებ ნელა-ნელა,
ტალღა იქით, ტალღა აქეთ,
ტივია თუ საქანელა?!

უ
უჰ, რა ცუდი სიტყვებია:
~უზრდელი` და ~უმეცარი`,
~უპირო` და ~უსამართლო`,
~უგულო` და ~უტიფარი`...
ნუ შეირქმევ მოდი, ნურცერთს,
თუ ხარ ჩემი მეგობარი!

ფ
ფიქრი ვიფიქრე ფიცივით:
ფარავნის ტბიდან ფსოუმდე
ფეხით დავივლი ბილიკებს,
რაგინდა ხანსაც მოვუნდე!
გზაც ფიანდაზად მეგება
ფარავნის ტბიდან _ ფსოუმდე!

ქ
ქორბუდა, ჩემო ქორბუდა,
ქარვა-ქათიბა ირემო,
ქორფა ბალახს რომ მიადექ,
არ გნახოს მონადირემო,
ქედს ამოუყვა ქადილით,
ირემზე ვინადირებო!

ღ
ღარიბს თუ დაეხმარები,
ღონეს შეაწევ უღონოს,
ღიმილს თუ არ დაინანებ,
მოყვასს გულზე რომ უფონოს,
ღმერთი მაღალი დაგლოცავს,
შენც, _ მადლი არ დაუყოვნო.

ყ
ყოფილა და რა ყოფილა, _
ყელ-ყარყარა, ოქრო-ყანა,
ქვეყანა რომ დაიარო,
ვერსად ნახო ამისთანა,
ყოჩაღ, ბიჭო! მაგ მარჯვენამ
ეს რა ყანა მოიყვანა?!

შ
შენია, შენი _ შავი ზღვა,
შენია შხარა, დალარი,
შენია შატილ-შუაფხო,
შავი და თეთრი არაგვი,
შენამდე შემოუნახავთ,
შენც არ დაუთმო არავის.

ჩ
ჩამჯდარა მთებში ჩარგალი,
ჩქარ-ჩქარა მოჩქეფს მდინარე,
ჩურჩულებს ტყეში ფოთოლი,
ჩახჩახებს მზე მოცინარე,
ლექსს ყვება წყარო ვაჟასი
ჩანჩქერად ჩამომდინარე.

ც
ცელქია ციცოს ციკანი,
ცეტზე ცეტი და ანცია,
ციცაბოს ცქვიტად არბენას
სულაც არ დაუქანცია,
ციცოც ფეხდაფეხ მიჰყვება,
ციკანი ციცოს განძია!

ძ
ძირძველი ჩვენი სამშობლო
რომ იყოს სვებედნიერი,
ძნელბედობა რომ დაძლიოს
ძლევამოსილი იერით,
ძილშიც გახსოვდეს, ძმობილო,
ძმა რომ ძმითაა ძლიერი!

წ
წყაროზე მიდის პირიმზე,
წითელი კაბა აცვია,
წაბლი, წიფელი შრიალებს,
წარაფებს ნისლი ასცლია,
წყალი წკრიალით გადმოდის,
წვეთები მზის სხივს ასცმია.

ჭ
ჭალატყე და ჭალადიდი,
ჭალისწყალზე გადეს ხიდი.
ჭუკებს ეძებს ჭოლა-ბიჭი,
ჭალა-ჭალა სტვენით მიდის,
ჭიკჭიკებს და რას ჭიკჭიკებს
ჭალისპირას ჭრელი ჩიტი!

ხ
ხატავს და ხატავს ხატია,
ხოხბებს და იხვებს ღუნღულას,
ხან _ ხატავს მეფის სასახლეს,
ხან _ ხატავს გლეხის ხუხულას,
ხან _ მინდორს, ხანაც _ ხრიოკებს,
ხვატით რომ გადახუხულა.

ჯ
ჯეჯილს გაჰქონდეს ბიბინი,
ჯაგნარი არსად ხარობდეს,
ჯიღა-მზის გულზე ჩიტი და
ტაძარში მრევლი გალობდეს,
ჯავრი არ მოგვცა საჯავროდ,
ჯვარი უფლისა გვწყალობდეს!

ჰ
ჰეიდა, ჰარი ჰარალე,
ჰაერში ყურძნის სუნია,
ჰეიდა, რთველი გაჩაღდა,
ჰეიდა, რა გუგუნია!
ჰამაკში ძილი ვის უნდა? _
ჰკითხეთ ზარმაცს და უნიათს.

მურაბა

ტყეში ცხოვრობს ორი ჯუჯა,
რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.

რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა
ჟოლოს ჭამენ მუჭა-მუჭა.

ჟოლოს ჭამენ
მუჭა-მუჭა.
ყვავილს კრეფენ
ბღუჯა-ბღუჯა.

ყვავილს კრეფენ, ჟოლოს ჭამენ
რკოსქუდა და ქუდნაჭუჭა.

უკრეფიათ გუშინ ხენდრო,
მოიტანეს ერთი ვედრო.

ერთი ვედრო,
დიდი ვედრო,
სავსე ვედრო
მწიფე ხენდრო!

ხარშეს, ხარშეს, ურიეს,
შაქარი ჩაურიეს,
ჩაამატეს მაყვალი,
მოცვი ახალ-ახალი,

ჩააყარეს კუნელი,
დატრიალდა სურნელი!

რომ მოხარშეს მურაბა,
გვიწილადეს ძმურადა.

მეც მომართვეს ერთი ქილა.

მხიარული
გქონდეთ
დილა!

კაკლის ჭია

ეს ხასხასა კაკლის ჭია
ერთი ნახეთ, რა ბიჭია?!

ცეკვა იცის _ ბუქნები!
მოიარა დუქნები,

ააცეკვა ყველა:
კოღო, ბუზი, კელა,
ხოჭო, ჭიაყელა,
მახრა, ჭიანჭველა...

ქალბატონი პეპელა
აბზრიალა ნელ-ნელა,

თვით ობობა ალისა
ისე გაახალისა,
ისე ამხიარულა,
დათვს ეგონა მარულა,

ადგა ბურდღუნ-ბურდღუნით,
იქ მივიდა ძუნძულით.

უჰ, დაფეთდა ყველა:
კოღო, ბუზი, კელა,
ხოჭო, ჭიაყელა,
მახრა, ჭიანჭველა...

ქალბატონი პეპელა
შორს გაფრინდა ნელ-ნელა.

თვით ალისა ობობა
ვაი-ვიშით მორბოდა!

და სადღაა კაკლის ჭია?
ერთი ნახეთ, რა ბიჭია!
აძვრა თავის კაკლის ხეზე,
წამოგორდა დილის მზეზე!

გიო აფრიკაში

ერთი დიდი გემი მინდა
თავის თეთრი აფრითა,
გადავცურო მინდა ზღვა და
ვინახულო აფრიკა!

სანამ მოიღრუბლება და
ზღვა ღელვას დააპირებს,
ჰერიიიი! უკვე მივადგები
მე აფრიკის ნაპირებს.

აფრიკაში,
აფრიკაში,
მდინარეა _
ნილოსი!

აფრიკაში,
აფრიკაში,
ჯოგი დარბის
სპილოსი!

მოვახტები სპილოს ზურგზე,
აჩუ, აჩუ! ჰოპა, ჰოპა!
ისე სწრაფად გავაქცუნებ,
ვერ გაგვასწრებს ანტილოპა!

თქვენ გგონიათ, შევშინდები,
თუ გამოხტა ლეოპარდი?!
აი დარდი!
ლეოპარდი
სულ არაა ჩემზე მარდი!

არც ლომების მეშინია
და არც ტახის ეშვების,
ნიანგებით სავსე ტბაშიც
მედგრად გადავეშვები!

გავცურავ და გამოვცურავ,
თუ არ გჯერა, ნახე, მოდი!
_ ჩამოხვედი, ჩემო გიო?
გაიხარებს ბეჰემოთი!

ბეჰე, ბეჰე,
ბეჰეკუდა,
ბეჰე, ბეჰე,
ძილისგუდა,
მიდის, მოდის
ზანზარით
ბეჰე
უ–ზარ–მა–ზა–რი!

ბაობაბი გაგიგია?
რომ იცოდე, რა დიდია!
იმხელაა ბაობაბი,
აბა, სინჯე! აბა, ადი!

სხვა თუ ავა ძნელზე ძნელად,
მე ავძვრები ხეზე ხელად!
იმიტომ, რომ
ნელა-ნელა
ამაცურებს
მახრჩობელა!

გრძელზე გრძელი,
ჭრელზე ჭრელი,
მახრჩობელა
დიდი გველი
კუდით ისე
მატრიალებს,
ვერ აჯობებს
კარუსელი!

მერე უნდა ვინახულო
მაიმუნი გორილა.
მაიმუნი გორილა
თურმე წელში მოხრილა!

მერე უნდა გავიყარო
ცხვირში რგოლი ოქროსი,
წინ გორებად დავილაგო
ბანანი და ქოქოსი,

ანანასის წვენს დავლევ
მოხატული ხელადით.
ვეღარ მიხვდით? გავხდები
მე ზანგების ბელადი!

თვალებს დავაბრიალებ!
კბილებს დავაღრჭიალებ!
შუაღამით ჯუნგლებში
კოცონს ავაბრიალებ!

ჩემი შიში ექნება
მალე ყველა აფრიკელს!

ვაი! კოღო დაფრინავს!!
დეეეეე!!
უთხარი, აფრინდეეეეს!!!

ციყვი და ხავსისქუდა კაცუნა

უღრან,
უღრან,
უღრან ტყეში,
ფუღუროა წიფლის ხეში.

შიგნით ციყვი შეყუჟულა,
არ ადარდებს წვიმა თქეში.

წვიმა ასხამს მარცხნიდან,
წვიმა ასხამს მარჯვნიდან,
იყურება ციყვუნია
პაწაწინა ფანჯრიდან.

ო–ჰო–ჰო, რა ღვარია?!
ო–ჰო–ჰო, რა ქარია?!
    უკვირს, უკვირს ციყვუნას,
    დარი რამ გადარია?!

სულ წვიმას რომ უყუროს,
ვინ მიხედავს ფუღუროს?

ჰოდა, სანამ სველდება
ნაძვი, მუხა, წიფელი,
დადგა ციყვმა ღუმელზე
ჩაიდანი წითელი.

სუფრა გადააფარა
პაწაწინა მაგიდას,
დაალაგა ნუგბარი,
რა გინდა, რომ არ იდგას!

თხილი, ჩირი, კაკალი,
მურაბა და შაქარი,
ტკბილი კვერი, შაქარლამა,
რაღა დარჩა?
მარტო ჭამა!

ერთი კაცი ცოდოა
თქმულა, პურის ჭამაში.
ერთი ციყვიც ცოდოა,
თურმე, თხილის ჭამაში!

უცებ,
            უცებ,
                        უცებ,
                                    გარეთ
ტოტმა გაიტკაცუნა!

_ კაკ–კუკ! კაკ–კუკ!
_ ვინ არის?
_ ხავსისქუდა კაცუნა!

ხავსის ქუდი _სველი!
ხავსის ჯუბა _ სველი!

დაფაცურდა ციყვი:
_ არ აგტკივდეს ყელი!
სიცხემ არ აგიწიოს!
სიტკბომ არ დაგიწიოს!
მერე მწარე წამლების
ყლაპვამ არ მოგიწიოს!

ჯერ ღუმელთან გათბე უნდა,
საყვარელო ხავსისქუდა!

მერე ჩაი ცხელი, ცხელი,
ნამცხვარი და კარამელი!

ხავსისქუდა კაცუნამ
პირი ააცმაცუნა.

ჩაი ზუსტად,
            ზუსტად,
                        ზუსტად
ცხრა ფინჯანი დალია.

ცხრა ღვეზელი მიაყოლა
გემრიელი ძალიან.

ჯერ ხუთი და მერე ათი
გადასანსლა შოკოლადი!

კარამელი, რაც კი იდო,
სულ მიირთვა თითო–თითო.

მურაბა რომ ამოსვლიპა,
შემოსძახა: იფა, იფა!

_ რა კარგია აქაო!
დააყოლა კაკაო.

იტკბარუნა დიდხანს პირი.
ჭამა თაფლი,
ლეღვის ჩირი,
თაფლაკვერი, შაქარლამა
არ დატოვა, სულ შეჭამა!

მიაწოდა ციყვმა ჟოლო:
_ იქნებ ესეც დააყოლო?

სწორედ ჟოლო,
სწორედ ჟოლო,
სწორედ ჟოლო იყო ბოლო!

ძლივსღა, ძლივსღა,
ძლივსღა შეძლო
ხავსისქუდამ ადგომა!
და თქვა უზარ–მაზარი,
დიიდზე_დიიიდი
მ ა დ ლ ო ბ ა!

გარეთ ამასობაში
წვიმას გადაუღია,
მზე გამოჩნდა ჩახჩახა,
ცა_ კამკამა, გულღია!

ალბათ, დამეთანხმები
ჩემო კარგო, ამაში:
კარგ ამინდში ჯობია
გარეთ ხტუნვა–თამაში!

ციყვუნამ და კაცუნამ
მზეზე ირბინ–ირბინეს,
ტყის პირი და მინდორი
უცებ შემოირბინეს!

ჩაურბინეს ყანისპირს,
ჩაურბინეს ვენახებს,
გააცინეს მეველე,
მეწისქვილე,
მებაღე!

აბა, ახლა ნახვამდიის!
გკოცნიიიი!
კარგად მენახეე!

ზურაბ რთველიაშვილი

ოდდა მის უდიდებულესობას სამოქალაქო საზოგადოებას

მაქე და მერიდე!
მოამზადე ჩემთვის კუთვნილი
ბრინჯი და ხორბალი,
ველიდან ველამდე–ველიდან ველამდე
როცა ცელები ცეცხლს აქრობენ
ოქროს თავთავში
მაქე და მერიდე!
როცა ქარები მივარცხნიან
თმას მღელვარებით,
მაქე და მერიდე!
ალესე ცელი და იმეორე
ათი სტრიქონი ჩემი ლექსიდან
მაქე და მერიდე!
წმინდა ხმაურში, წრფელ ხმაურში, უხმო ხმაურში,
ბევრი ხელი მაქვს ვინც მოითხოვს
სიტყვის უფლებას!
ველიდან ველამდე – ველიდან ველამდე
როცა ცელები ცეცხლს აქრობენ
ოქროს თავთავში –
მაქე და მერიდე!
მაქე და მერიდე!
მაქე და მერიდე!

ტირანასტანი

გადამატარე ზაფხული!
გადამატარე გაზაფხული!
გადამატარე ტანზე
ტანკივით
ტანზე გადამატარე!
მე საწოლი ვარ-
ეს მწერალი წევს ჩემს გულმკერდზე-
ვაწვდი სიგარეტს რომ მოწიოს
წერის პროცესში-
ხან ტერმიტივით ვანადგურებ ფურცელს-ფურცელზე!
ხან მცირე ბიძგით ვაძლიერებ საკვანძო ტერმინს ...
მე სასწორი ვარ!
ყველა მწერის, ყველა პოეტის –
მრავალი წელი როგორც ამწე
მაღლა ვწევ სტროფებს.
თამბაქოს ვაწვდი ჩემს სხეულზე
გაშლილ პოეტებს,
რომ თაბახ თაბახ
სართულები
აღმართონ
ტექსტის.
მას – ვინც ვერ დასთმო პოეტისტანი,
მას– ვინც ვერ დასთმო ტირანასტანი,
მას– ვინც ვერ დასთმო ტირანისტანი,
მას– ვინც ვერ დასთმო ავღანისტანი,
მას– ვინც ვერ დასთმო ტაჯიკისტანი
მას– ვინც ვერ დასთმო თბილისისტანი
გადაატარე ზაფხული!
გადაატარე გაზაფხული!
გადაატარე ტანზე!
ტანკივით –
ტანზე გადაატარე!

ჯვარცმულ თვითმფრინავს

ჯვარცმულ თვითმფრინავს
ცაში ჯვარცმულს
სული აქვს კაცის
ტყვიამფრქვევს ტყვიის მარაგი აქვს
სიტყვის მაგივრად
ცად ამღლებულ უცნობ მფრინავს
ღიმილი მკაცრი,
დილით ქალაქის მელოტ თავზე როცა მიფრინავს...
ჯვარცმულ თვითმფრინავს
ცაში ჯვარცმულს
ვნება აქვს კაცის
ქალაქებს აქრობს
უცნაური მისი გალობა
მარჯვნიდან-მარცხნივ, როგორც ძველი დალაქი ვარცხნის,
მარცხის შეგრძნებით განცვიფრებულ
ცოდვილ მთავრობებს
ჯვარცმულ თვითმფრინავს
ცაში ჯვარცმულს
ნება აქვს კაცის
ტყვიამფრქვევს ტყვიის მარაგი აქვს
სიტყვის მაგივრად
ცხელ ბომბებს, როგორც ბამბის ქულებს
ხველებით დაცლის და
ვალმოხდილი ფრინველივით
ცისკენ მიფრინავს....

ოდდა თავისუფლებას

მზეო
ამ სიზმრის,
მზეო
არათავისუფლების,
არყოფნის მზეო,
ზავის მზეო,
მზეო ყირმიზო,
ასწიე თაჯი ცხელ კეფაზე –
სუნთქვა არ მყოფნის,
რომ მკერდზე კვართი მოვიზომო და
გავიზმორო...
რევოლუციას შეგასწავლი სისხლის გარეშე,
თოფის სასხლეტზე არ გამოკრა თითი იუნკერო,
არ მეგულება სხვა სიმშვიდე უცხო მხარეში,
რომ ზარბაზანი გადავტენო და მივუტევო.
აფრინე ლოცვა, მინარეთთან, ბებერო მოლავ,
რაც აქ დაიწყო, მარადისობს ყომრალ ღამეში,
მე ამ ქალაქის სარეცელზე შიშველი მოვალ,
მშიერი მოველ, გევედრები, შინ არ გამიშვა –
ჩემი ტუჩები ალამივით იქნება წრფელი,
როცა ცხელ ენას ამოვუსვამ ჩამქრალ ბადურებს,
რევოლუცია მახინჯია სისხლის გარეშე,
თითქოს ვიღაცა კაბების ქვეშ ხელს აფათურებს.
ეს ამბოხება მოვიწაფე ლოცვის გარეშე,
ვასწავლე ფრენა გადაღებილ
წითლად ბეღურებს,
მე ყველაფერი ჩავიდინე ...
ხელი გამიშვი!
ხელს ნუ შემიშლი
ვიოცნებო ახალ კოცნებზე ...
მეფეს რომ სურდა,
არ შობილა ისეთი მთვარე,
მზე არ ანათებს
სხვისი მზერის ჟინით გამთბარი...
გადექი განზე!
ნუ აწვები შიგნიდან კარებს,
გადექი განზე!
რომ გადავჭრა ლიანდაგები...

მზეო
ამ სიზმრის,
მზეო
არათავისუფლების,
არყოფნის მზეო,
ზავის მზეო,
მზეო ყირმიზო,
ასწიე თაჯი ცხელ კეფაზე –
სივრცე არ მყოფნის,
რომ მკერდზე კვართი მოვიზომო და
გავიზმორო...

აპოკრიფი

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
კრემატორი ვარ ავსებული ხალხთა ცოდვებით,
მილიარდობით ხსოვნა დავწვი ფოლადის გულში,
რომ დავუბრუნო ცას სპეტაკი მისი ლოცვები...

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ავტოსტრადა ვარ უსასრულოდ ჯვარცმული გზების,
პოლიციელი რკინის ფარას ხელკეტით მწყემსავს,
ფარას რომელიც სავსე არის რკინის მხეცებით...

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ბუდა ვარ, შივა, შენი ძე ვარ, შენი სიმშვიდე,
გთხოვ ააცილო განსაცდელი ამ სხეულს წმინდას,
სხეულს, რომელსაც რკინისა აქვს ყველა ნეკნები.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ქარხნების ხმაზე წაგიკითხავ აკრძალულ ლოცვებს.
სექტა ვარ დოლით! წმინდა სექტა და რწმენის
ლიფტით
ვმოძრაობ ფრთხილად უნეტარეს შენს
სართულებზე...

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა,
ელმავალი ვარ ავსებული ხალხთა ცოდვებით,
როგორც თეთრეულს, აღსარებას გაბარებ წმინდას,
რომ დავუბრუნო ცას სპეტაკი მისი ლოცვები...

ზესო ხვედელიძე

მოკლედ

გაზაფხულია,
გიკოცნი ჭორფლებს,
და გატყობ, სადღაც ძლიერ უხდები ყველაფერ მოკლეს:
წელამდე ყანას, თვალის ჩაკვრას
და გაზაფხულის ოთხ გაელვებას:
ქალობისაკენ მიმავალ უმოკლეს ბილიკს,
ერთხორცად ყოფნის მოკლე კინოფილმს,
უმოკლეს კაბას და მოკლე თმასაც ძლიერ უხდები...
ტაიმებს შორის შესვენებაზე ნაყინის ჭამას
არჩევ მზის ფონზე მოკლეფეხება ფოტოგრაფის წინ პოზირებას და
შენს უკან ზღვა ვარ, მოკლე ტალღებით
და ამ თამაშის განუყრელ ანტრაქტს
შენ გაურბიხარ ვითომ ღიმილით,
მოკლე ნაბიჯით,
სუნთქავ სწრაფ-სწრაფად,
და ძლიერ მოკლე ისტორია აქვთ
ამ გოგოს მსხლების ნერვიულ ჭორფლებს,
რადგან გუშინწინ სულმოკლედ თოვდა,
და ამ მოკლე ხანს
გასულს იქიდან ზუსტად აქამდე
"გაზაფხულია" უწოდეს მოკლედ,
რომელსაც, როგორც
წელამდე ყანას,
თვალის ჩაკვრას
და გაზაფხულის ოთხ გაელვებას, უხდები ძლიერ...
მოკლედ ,მეცნობი , რომ გქვია რაღაც - ძალიან მოკლე,
და მაყოლინებ ჩემი სხეულის მოკლე შინაარსს:
რომ ჟირაფებს აქვთ გრძელი კისერი,
რომ ჟირაფებს აქვთ შავი კოპლები,
რომ ჟირაფებმა კარგად უწყიან,
რადგან მარადჟამ სხვის ეზოებში იყურებიან,
რომ პიზის კოშკი ისეთია - როგორიცაა,
რომ ატლანტიდა ჩაძირულია,
რომ ბაიკალი ყველაზე ღრმაა,
რომ სირაქლემა დიდი ჩიტია,
რომ პინგვინები ფრინველებს ჰგვანან,
რომ კარალიოკი მეფის ხილია,
რომ ყველა ქორწილს ჰყავდა თამადა,
რომ წიწამურთან მოკლეს ილია,

და მოკლე ჩართვას გიხორციელებ
იქ, საიდანაც ვიწყებით ერთად,
და ვიდრე გეტყვი:
“მოკლედ ,მიყვარხარ” -
გიკოცნი ჭორფლებს,
გაზაფხულია.

მშვილდოსნის სიმღერა

როცა შარვლიდან ჩამოფერთხილი ნამცეცი ნისკარტს გაუგებს გემოს,
ჩემი ბავშვობის ქათმების სიზმრებს
წითლად შეღებილ მოხარშულ კვერცხებს დავადებინებ –
მეტყვიან ვისი ჩადენილია ჩემს ხელისგულზე
ერთსიტყვა ლექსი "ბედნიერება"...
და თუ ის მხოლოდ ჩემი ბავშვობის
შოკოლადების გაუქმებული გაჩერებაა,
ბავშვობის სარკეს რომ დავუტოვე ის ორეული,
ჩემი ბავშვობის თმის გადავარცხნა რას შვრება ნეტავ?

– გოგოვ, გოგოვ,
მითხარ რამდენ ენას ფლობ და
რა სიხშირით გიცემთ გული ჩემი ბავშვობის სათამაშოებს...
– ჰეი, მეეზოვევ!
ჩემი ბავშვობის ფოთლებს დავეძებ...
თუ შეგხვდნენ სადმე,
გადაეცი რომ – რაც დამიკარგავს ვიპოვი მალე...
ხალხნო –
თქვენ ამ თვალებით მე ტიტვლებს გხედავთ,
ზღვა კი ყოველთვის იმ ფერისაა
რა ფერის თვალებითაც ბავშვობაში გავყურებდი და –

– ბავშვობის მზეო, მომკიდე სხივი –
შატალოზე ვართ,
კლასში თავხედი ვარსკვლავი რომ გყავს
ის გადაგარჩენს:
– კარები ჩაეკეტაო,
ლიფტში გაიჭედაო,
ბებია მოუკვდაო,
დედამ თავი გადახოტრა და რცხვენიაო...
ჩვენ კი წავიდეთ –
ესკიმო ვტლიკოთ,
თუ გავცივდებით, ცა შევისუნთქოთ,
სულკარგად ვიყოთ –
მერე კი დილით
ეშმაკის ბორბალს აჰყვები ცაში
და ერთად ყოფნის საპნის ბუშტებსაც თან გაიყოლებ,
დამტოვებ კიკოდ ნაბახუსევს და –

მაწონი რა ღირს წყნეთელო ქალო?
შენ მაიასი ვიღაცა ხარო...
– ბელადი ტომის?
გემთხვევი ტერფზე და შენს ნაკვალევს ჯიბით ვატარებ...

მეფის და ვიყო თუ ვამეტებდე,
ჩემი კარები ხომ სულ ღიაა
მათთვის ვისაც კი მოსვლა სწყურია...

ასე ველურად,
ასე ქალურად რომ დამეწაფოს,
მომკლას, დამბადოს,
ჯერ უნდა მკითხოს ზოდიაქო და როგორ ვათავებ
დღისა და ღამის გადარბენისას კოლოფ სიგარეტს,
რომელი მხრიდან მიყვარს "პატარა
პრინცად" ქცევა და
თუ მოგეცემათ შანსი საკითხავ კინოფილმად გადამეშალოთ
ბიბლიოთეკა პასს დაგიბრუნებთ –
ყოველი თქვენი ჭუჭრუტანა (იყოს გვირაბი)
ამოქოლილი იქნება მტკიცედ...

ვიცეკვებს ტანგოს პამპასებითურთ,
წერილებს ვაფრენს მტრედებიანებს,
სახლებიანებს გავზრდით სუროებს,
ველოსიპედით ვეწვევით ედემს,
და ვაშლის კომპოტს ჩემს ბავშვობას იქით მივართმევ...

მე შევიყვარებ მისი თვალების ზღვაში ჩამავალ ცეცხლისფერ სითბოს,
ბაც ჰორიზონტზე მკრთალად ჩამომჯდარ მეთევზის ანკესს
ოქროს ტკივილად წამოვეგები,
რაც დამიკარგავს – აუცილებლად უნდა ვიპოვნო,
არ დამიკარგავს? – ჰოდა, ვერასდროს ვეღარ ვიპოვნი...

არყოფნის ნება

და თუ:

თვალი ვერ ხედავს, ყურს არ ესმის მისი არსება,
ის კი არის, სულყველგან სუფევს – ცხადსა თუ ძილში...
გარიჟრაჟია
და ჭრიჭინებენ მგზავრთა თვლემას ძველი სკამები.

თითს რომ მიიჭერ ცალ ნესტოზე და შეისუნთქავ
ზებრას თეთრ ზოლებს, გაიხსენე – როგორ თოვს ყველგან...
შუადღეა
და ჭრიჭინებენ ზეწრიან კვნესას ერთხორცმწოლები.

ფანტელები ნიშნავენ ქუდებს, ქუდები კეფას,
გაიხსენე – ხორცი ენად, ენა - ძვლად, ძვალი კი მიწად...
საღამოა
და ჭრიჭინებენ ღმერთიან ქუსლებს იატაკები.

დანარჩენი კი მსუბუქდება, საფლავებს ასდით
კვამლი თუ ორთქლი, იქნებ ჭრიჭინა მოღლილ სულს ითქვამს...
შუაღამეა –
არ იჭრიჭინონ საფლავებმა შობა, აღდგომა?

რაღაა ნება?

ლოცვა # 1

მწყურია ღმერთი და ვეძებ ყველგან: თვალის ფშვნეტაში, თან მთქნარებაში, ფანჯრის რაფაზე მდგარ კაქტუსებში, იქ მოღუღუნე ცოლ-ქმარ მტრედებთან, წვეთების შემდეგ დამბალ ეზოშიც, ეზოს სკამზე მჯდომ ცალ მეზობელთან, რომელიცა ჰგავს ამ ნაწვიმარზე თეთრ სოკოსავით ამოსულ წმინდანს. მის მშრალ ფეხებთან აბუზულ ძაღლში, ძაღლში, რომელიც არავის არ ჰყავს, შენს ბილწ თვალებში, ბინძურო ძაღლო, რომ ამოცქერენ ამ სველ ფანჯარას.

აქ მე ვარ ჩემი ძვლებით, ბზარებით სავსე ოთახით და ჩემი სუნით, კედლის სარკეთი, რომელშიც მე ვარ, მე ვარ ბოლომდე, ოღონდ პირიქით... აგერ საწოლი, სკამი, მაგიდა, მაგიდაზე კი ელეთ-მელეთი – არეულობა თეთრი ფურცლების, რომლებზეც დღემდე სიტყვებით ვცეკვავ. ირყევა სკამი, მაგიდა დგას და სუფთა ფურცლებზე მე ვხედავ გემოს, გემოს ვგრძნობ სუნით, ხოლო სუნს მზერით, ღმერთის არომატს მე ვეძებ ყველგან:

უმ სიტყვებსა და წერტილ-მძიმეში, თვალისხამხამში გალეულ დღეში, ამ კალენდარში, კიდევ ნახატზე – (მახსოვს, საბავშვო ბაღში დავხატე) რომელზეც გარბის ჟირაფი მარცხნივ: ის ვეღარ იტანს საკუთარ კოპლებს – ჟირაფი გორაკს აირბენს კოხტად და დაინახავს ტბას წყნარს და ქორფას, ერთს გაიღიმებს, შეიკუნტრუშებს და დაეშვება დასარწყულებლად,
მოსრუტავს ყლუპს და მზის ამოწვერა თითქოს დაუვლის კოპლებზე ოფლად.

ვეძებ თმის სარჭზე შერჩენილ თმაში, გუშინ რომ დარჩათ (შემთხვევით?:)) ჩემთან, ნახევრად სავსე ჩაის ჭიქაში, რომლის ფსკერზეც სიტკბო არ გალღვა, ძილით დაორთქლილ მწვანე ყურმილში, რომლით ხელშიაც გამომეღვიძა, და ერთადერთი მახსოვდა წვიმა და კიდევ სველი მტრედების რაფა. და მე მომწყურდა, მომშივდა ღმერთი, დავიწყე ძებნა დედის მუცელში, ნანახ სიზმარში, ჩემში და გარეთ, ფანჯრის ჩარჩოში, სარკეში, ჭერში, კაქტუსებსა და ცალ მეზობელთან, გამორთულ დენსა და წვიმის სუნში, რომელიც დგება ავდრის დასასრულს, მას არ აქვს წონა, მაგრამ აქვს ფერი – ის არის ერთი და არის ყველგან:

– შორ ჩრდილოეთში, სადაც სათბობად ერთმანეთისგან ხდიან ბევრ არაყს, მერე კი სვამენ გაოგნებამდე – მისაყოლებლად ნერწყვიც კი არ აქვთ; – შორ სამხრეთშიაც, სადაც კი ჩრდილებს ვერ პოულობენ შეღამებამდე, საღამოსაკენ აღმოაჩენენ და მერე, ღამით, სულ აღარ ჩანან; – შორ დასავლეთში, სადაც პლასტმასის მანეკენები გაცოცხლდნენ ერთად, ადამიანად დაცემის ვნებით დადგნენ ქუსლებზე, აყვირდნენ ერთხმად. – აღმოსავლეთში, იქ სადაც მწიფობს მზის გულზე სილა, სილაში ვარდი, ჩილიმს ეწევა მამა და შვილი, ირგვლივ კი ცაა სხვა სილაჟვარდის.

ვეძებ მას ყველგან: ზემოთ და ქვემოთ, მპირჯვრავს მოხუცი ბენზინის სუნში, ჰორიზონტსა და ღრუბლიან ცაში, მღვრიე მზერების ჩხარუნთან ხურდის. ცრუ მათხოვრებში, ნაძვის გირჩებში, ცხელ მზესუმზირის ყრუ გამყიდვლებთან, პურის სურნელის გრძელ მთაგრეხილში, რომ ესამხრება ქალაქს ფერდიდან. და ვეძებ ყველგან, ყოველ ნაბიჯში, წვიმის წვეთებზე ასხლეტილ მზეში – მივდივარ ჩუმად, კანკალით, ფეხით, ხელებს ძლივს თბილათ ჩემს ჯიბეებში – ხეებს კი სცვივათ, და სცივათ ფოთლებს, მათ შეაგროვებს მოხუცი ქალი, წაიღებს სახლში, ჩადებს წიგნებში და მოინიშნავს წასაკითხ თავებს – გვერდებს, აბზაცებს, წინადადებებს, საკუთარ თმებსაც გათეთრებამდე, ომში უკვალოდ დაკარგულ ქმარს და ქორწილის ღამის თამამ ჭრიალებს, თბილ წყალში ჯდომას, ხმარტალა საპონს, ფანჯარას სადაც იწყება მთვარე...

ქარებშიც ვეძებ, ქარტეხილებთან, შორიდან მოსულ ნიავქარებშიც, მათ მოაქვთ სევდა ცათამბჯენების, დანგრეულების, დახვრეტილების: – ა, წაატეხეს ეშმაკსა რქები! – ფეხშიშვლად თოხნის გლეხკაცი ყანას. მის ფიქრშიც ვეძებ, თოვლისკენ, ტყისკენ, ხეზე შერჩენილ ყვავის ყრანტალთან, მიწასთან ახლოს, დამჭკნარ ფოთლებში, კვალში, რომელიც ჩამომრჩა უკან, ფიქრში, რომელიც აქამდე დამცდა, დამრჩა წარსულში, ისევ ქარებთან.

და ვეძებ იქაც, შორ ბავშვობაში: დაჩუტულ ბურთში – კოპლებიანში, აქერცლილ მუხლში, ქვიან გუნდაში, მერე სკოლაშიც, მასწავლებლებთან, დაფაზე, ცარცში, გასაწურ ჩვარში, მერხზე ნაკაწრში, სუფთა წერისას, კვამლით გაბუღულ ტუალეტებში, თვით დირექტორში, ბოლო ზარისას. ვეძებ მას ყველგან: ჩემში და მათში, აქვე, იქამდე, ვიდრე, ოდესღაც, მე მიყვარს ჩემი მზისფერი მსხლების სველ ფოთლებიდან კისკისით ჭვრეტა...

სადღაც იყვირეს: – ვლესავთ და ვლესავთ! აბა, საზამთრო! ვიბარებ ბოთლებს! მაწონი! ნავთი! ნაყინი! ნესვი! მწვანილი! ხორცი! წამალი! თევზი! სულყველგან ვეძებ: აქაც და იქაც - ზღვებსა და ტბებში, შორ კუნძულებზე. იქ პალმებს არხევს ნამდვილი ქარი – ცხელი, ველური, ოხშივრიანი, ნიჟარებს უგდებს ყურს სანაპირო – ქვიშიანი და ალაგ ქვიანი.

და იქაც ვეძებ, სულყველგან ვეძებ, ხელისგულიდან ვკითხულობ ამბებს, დავიწყებულებს, გასახსენებლებს, მოსახდენს ალბათ, ან არმოსახდენს: რომ ძიებაა მუდამ მთავარი, რომ ძიებაა – მერე კი მისვლა, არც წყურვილის კვლა, მუცლის ავსება, და არც სიმღერა მის სადიდებლად. გზაა მთავარი, გზა განიერი, სადაც ეტევა ერი და ბერი, ქალი და კაცი, ძროხა და ხარი, ძაღლი და კატა, ტურა და მგელი. ამ გზას გათელავს ბოლოსკენ ყველა, და მხოლოდ იქით, ძიების იქით, აღმოაჩენენ, რომ ღმერთი მოხდა, მოხდა უეცრად და ყველა ხნის წინ.

ცისმარე დილით, უმამლო დილით, ჩუმ ალიონზე გამოღვიძებულს, დამხვდა ლოგინში მე სუნი წვიმის – ჩემს გვერდით ტკბილად იწვა, ეძინა. მე დავუკოცნე შუბლი და ლოყა, მერე კი ყელი, მკერდი, მუცელი, და კოჭებამდე სულ კოცნა-კოცნით შევისწავლე და ვერ დამავიწყდა მივმხვდარიყავი მის ვინაობას, მის ყველა სახელს, ყველა თვისებას, გავმხდარიყავი სულყველა ერთად, ყველა ენაზე ხმამაღლა მეთქვა:

– მე მომიტევეთ მთელი მსოფლიოს ხმაური ერთად, მთელი სამყაროს გუგუნი, კვნესა, როდესაც დღეა და ძინავთ სიზმრებს, ღამით, როდესაც სიზმრებში ძინავთ. გადაჭედილან ავტოსტრადები, ცოლებისავით დარბიან ქმრები, თითის ანაბეჭდს ამჩნევენ ღილაკს, ლიფტებიც ისევ ზემოთ მიჰქრიან.

მე მომიტევეთ ყველას სირბილი ქანცგაწყვეტამდე, მსოფლიოს ყველა საათი ერთად, მათი წიკწიკი, მკვდარი მაჯები, ყველა მათგანზე დრო ისევ ფეთქავს. სველი მორები მიაქვთ და მიაქვთ, სველი ხარები ტყლიზნიან ტალახს, წყაროსთავებზე აღარ დევს ჭიქა, მინდორში აღარ თიბავენ ბალახს. ტყეებში აღარ ამოვა სოკო, არ გააღვიძებს გოგოს ბებია – დაესიზმრება, რომ გააღვიძეს: – აგერ კალათი, გელოდებიან...

მე მომიტევეთ ყველა ცრემლი და ყველა ძაძა, როცა დეკემბრის ბოლო დგას თითქოს, როცა დედები ბადებენ შვილებს, მამები ბოლთას სცემენ უკბილოდ. მათი ფიქრები ასულა ცაში, იქ ღრუბლებია, მზეა ნელ-თბილი, ყველა მოლოდინს ერთხმად დაათოვს, როცა შერცხვებათ ბავშვის ტირილის. ცივი წყალია მათი შვება და ჯიბეებს ათბობს სიცარიელე, შვილებს სწყურიათ კუთვნილი რძე და დედების ძუძუ მშრალია ისევ.

მე მომიტევეთ ყველა სირცხვილი და გაწითლება, ბერიკაცები ქექავენ ნაგავს, მათი წვერები თეთრია, ოღონდ სასაფლაოს თოვლს ჯერ კიდევ არ ჰგავს. ღმერთის ქერტლივით გაფითრებულნი ისინი წმენდენ ჭუჭყიან ქალაქს, მათ ყავთ ცოლი და სხვისი შვილი, ჯიბიდან ხურდას ურცხვად რომ პარავს –

რომელსაც უყვარს მულტფილმები და სკოლის ღვეზელი შესვენებისას, ის იღებს დედის ფიქრებში ნიშნებს, მან კარგად იცის არითმეტიკა – მდინარეები, ტბები და ზღვები, და ჭაობებთან წვიმის სიმღერა - როცა ბაყაყი ყიყინებს წყალში, ჭრიჭინები კი ღმერთებს რომ ჰგვანან, როცა ბალახი აძინებს მიწას, მიწა რომ ფშვინავს ჭიანჭველებად, ცოლები გლეხებს რომ ბანენ ფეხებს, მერე იმ წყალში დიდხანს რომ დგანან.

მე მომიტევეთ ყველა ძილი და გამოფხიზლება, სქელი მკლავები რომ ფენენ სარეცხს, უთქმელი ორთქლი ასდის ჩაიდანს, ასფალტს ერევა ბალახი, მწვანე. ლიფტები უკვე მიქრიან ქვემოთ, დედებს კოცნიან შვილები მორცხვად, სიზმრის ნაფლეთებს ტოვებენ ზღურბლზე, გარბიან ფეხით, გარბიან ნორჩად. დილაა ისევ ქალაქში ყუჩი, დილის სიჩუმე დაძრწის ქუჩებში, ვიღაცა კატას რძეს ალევინებს, ცოლი აფხიზლებს ქმარს შუბლზე ტუჩით.

მაინც მოხდება ომი და წავლენ – უიარაღოდ, მშრალი ხელებით, ტუჩების კვნეტით, წარბის თამაშით, ბოლო ამბორით, ცოლის ცრემლებით. ომს წააგებენ – მოიკვლებიან, დაბრუნდებიან ტყვიის ყუთებით, ვიღაც იპოვის სანგრებში ლოცვებს, სიკვდილის შემდეგ სისხლით დაწერილს. წამოიღებს და ჩამოარიგებს, როგორც ბილეთებს ყველასთვის ღმერთი: – აბა ბალკონი, პარტერი, ლოჟა!! – და მეც შემხვდება მხოლოდ ერთ-ერთი.
მეტყვიან – თქვი, და მეც ვიტყვი ჩუმად: – მწყუროდა, ჰოდა, ვეძებდი გარეთ, აგერ ვიპოვე... შეხედეთ, ის სულ – აქ იყო, ჩემში... აქ იყო მარად...

ემზარ კვიტაიშვილი

სოფლის მკერავი
(ხსოვნიდან წაუშლელი)

ცარცს და მაკრატელს იღებდა
ძველი მანქანის უჯრიდან;
მამიდაჩემი, ანეტა,
სამ გოგოს კაბებს უჭრიდა.

დღე, ნაცრისფერი, სარკმელში,
იცრემლებოდა, კვიმატი...
ატმისფრად მწიფდა, ყვაოდა
სახე და შუბლი იმათი.

ჩითს, ლამაზს, ჭარხლად დაფოთლილს,
მოდას ურჩევდა, სეზონის...
ვენახი შვენის ტალავერს
და თეთრი ვარდი მეზონინს.

ჩემზე ათი წლით უფროსთაც,
მსახვრალმა ხელი დარია;
ის ორი ბებრუცუნაა,
მესამე – ცალად მკვდარია.

მიწაში ჩადნა მამიდა,
რაღა ვარ, მეც დავინგერი...
ზეთნასხურები, ბზინავს და
გრიალებს მისი „ზინგერი“.

ჩავლა სასახლის ბაღთან

თამარ ჯავახიშვილს

მოსისხლესაც შეშურდეს,
გალობენ თავშეკავებით...
ჩვენი ყრმობის სასახლის,
სხვაგვარია შაშვები.

რა ედაროს იმ სურნელს,
გაზაფხულის მოტანილს?
გახსენებაც მაშინებს,
დავრჩით ასე ცოტანი.

გულით გვიტარებია,
ვინც რო ჩვენი ღვიძლია;
ლექსი არაფერზე და
აროდეს გაგვიცვლია.

სხვა გზა აღარაა
(შესაკრავი წრე)

ალბათ ჩამოთოვილია –
სტეფანწმინდა, მლეთი...
შემეფეთა შემოდგომა,
თავის სიყვითლეთი.

თვალს აცოცხლებს,
სხვა მადლი აქვს –
მის ნათებას, კრიალს;
ტოტებიდან დაცვენილი,
ოქრო კალოდ ყრია.

მახსოვს, გათლა რო მიყვარდა
ბროწეულის ისრის;
ნოემბერი სამოცი წლის
მიღმა გადამისვრის

ცის, ფოთლებით მოქუბულის,
ვერ მოვიშლი ქებას;
თავი, ბოლო ერთმანეთზე
უნდა გადაებას.

ძველს მივტირი

სურვილი გამოაცალე,
თუ გინდა კაცი მოცელო...
კვლავ გამახსენდი, ძუძუზე
მოძალებულო ძოძელო.

ბრაზი მკლავს, შენებრ უებრო,
აღარსად ჩანან ბიჭები...
რომელი ჭრელი ხურჯინი,
რის ჯუბა, რა პაჭიჭები!...

არვინ მეგულვის, მოარგოს
ცხენს ფიცხელს, ლაგამ–ავშარა,
ნანდაურისკენ გასწიოს,
დასტვინოს, ამან დამშალა.

უღონოს, ღამე, ყოველი,
დამწვარ სიზმრებთან მაწყვილებს;
ჩამომისახლდა მოწყენა,
მივტირი შორ სიყმაწვილეს.

სხვა რა მეცადა, გული მეც
ლოდინში გადამელია...
ჩაქროლებულის, ჩავლილის,
შემობრუნება ძნელია.

გვიანი საღამო

იტყოდი, ქარი სახურავს გვისო,
ოფლმა დამცვარა, კანი ამეწვა.
ნეტავი მქონდეს წვივები ქვისა,
ამშორდებოდა მათი დალეწვა.

სად გადავმალო, რა ვუყო ამ წლებს?
(ცისა და მიწის მე ვარ ნაზავი)
ვინატრი, ვიყო ქვასავით გამძლე,
უგრძნობელობა არ მსურს ქვასავით.

თუ ვერ ავლოკე მინაზე ჭირხლი,
ვეღარ შევეხე – ხეს, ადამიანს...
მარადისობას რა თავში ვიხლი,
ძარღვებში ჟრჟოლა თუ არ დამიარს?

ნინო თარხნიშვილი (ამელი)

ეს ჩემი ხუთეულია. მინიატურები... პოეზიასთან რა უნდა ამ მინიატურებს? რა ვიცი, მე თვითონაც არ ვიცი.
ეს ხუთეული იმიტომ, რომ ამ მინიატურების კითხვა არასდროს მბეზრდება და ხანდახან ისიც კი მიკვირს როგორ მოვახერხე მათი დაწერა.

ავტომოპასუხე

მე გავდივარ.
არა აქვს მნიშვნელობა, ქუჩაში გავდივარ,
ფინალში გავდივარ, თამაშიდან გავდივარ,
თუ გაღმა გავდივარ,
უბრალოდ გავდივარ და შეტყობინებას გიტოვებ ავტომოპასუხეზე...
მაცივარში, ალუმინის ქვაბით დაგიტოვე ცოტა წვნიანი,
სახლში რომ მოხვალ გაიცხელე ადუღებამდე.
კიტრი და პომიდორი გარეცხილია, უბრალოდ დაჭრა უნდა, დანები, იცი, სადაც დევს.
ყველის ყიდვა ვერ მოვასწარი, მაღაზიაში ჩადი და გამყიდველს უთხარი, მარილიანი ყველი მოგცეს, სუნიანი არ იყიდო, ხომ იცი, ვერ ვიტან.
ახალი პური დავტოვე საპურეში, თონის პური არ იყო, ქარხნისა ვიყიდე.
ბავშვის სარეცხი დამრჩა გარეთ გაფენილი, საღამომდე თუ არ მოვედი, ჩამოხსენი, იმის ამბავი რომ ვიცი, წურწურით გადმოფენს თავის სარეცხს და ჩემსასაც ჩამილპობს.
გეხვეწები, რომ ისადილებ, მაგიდა აალაგე, გაშლილი არ დატოვო, ხომ იცი, ჭიანჭველები დაესევიან, მომბეზრდა უსულო ჭიანჭველების მუჭში გროვება და მერე ფანჯრიდან სროლა.
კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა..
.ჰო, ტელევიზორთან არ ჩაგეძინოს, შეგცივდება და მე სახლში არ ვიქნები, რომ შალი მოგაფარო.
ყოველ 15 წუთში ერთხელ საათს უყურე და იფიქრე – რატომ იგვიანებს?
მელოდე...
დიდხანს მელოდე...

მთელი საღამო მელოდე,
დადექი ფანჯარასთან, ცხვირი მიაჭყლიტე შუშას და მელოდე,
ან სადარბაზოში ფეხის ხმის გაგონებაზე ყურები დაცქვიტე და კარზე კაკუნს დაელოდე,
ან დროის გასაყვანად ათასჯერ დალაგებული უჯრების ლაგება დაიწყე,
ან ასე თქვი: ასამდე დავითვლი და მოვა, მაინც რომ არ მოვალ, ახლა ხუთასამდე დაითვალე,
მერე უბრალოდ სავარძელში ჩაჯექი...

...

მერე მე დავბრუნდები, ჩემი გასაღებით გავაღებ კარს და ვითომ გაოცებული აღმოვაჩენ, რომ შენ ჯერ არ მოსულხარ...
მერე დავდგები ფანჯარასთან ცხვირს მივაჭყლეტ შუშას და დაგელოდები...

* * *

სასუნთქ გზებში გადამცდი,
საყლაპავ მილში გამეჩხირე ბურთივით
და მერე საცრემლე ჯირკვლებიდან
გამჭვირვალე სითხედ გადმომეცრემლე გამხდარ ლოყებზე.
ენის წვერით დაგაგემოვნე, მემლაშე და გადაგაფურთხე
ოღონდ არ მითხრა, ზრდილობიანი გოგოები არ იფურთხებიანო.
ზრდილობა მაშინ დავკარგე, შენ რომ, ვითომ შემთხვევით, ხელი მოგიხვდა
ჩემს მკერდზე...
ხელგამოწვდილი ვზივარ ქუჩის ბოლოში,
ფუ, როგორ გმათხოვრობ,
როგორ მეწვის ძუძუს კერტები...
დღეს ისევ იტირებს ჩემი საშვილოსნო დაღუპულ კვერცხუჯრედებს,
სისხლიანი ცრემლებით...

კაცი

კაცი მინდა ვიყო
და მინდა ერთად ვიბრძოდეთ ომში.
შენი თანამოსანგრე მინდა ვიყო
და მინდა თხრილში ერთად გვეყრებოდეს თავზე ბელტები.
ერთი ღერი სიგარეტი მინდა გვქონდეს და
მიწიანი თითებით ხან შენ მაბოლებინებდე და ხან მე.
ერთი იარაღი უნდა გვქონდეს - ერთადერთი ტყვიით
და ამ ტყვიას ყოველი შემთხვევისთვის საგულდაგულოდ ვინახავდეთ.
წერილს მინდა ვღებულობდეთ ერთ ქალისგან
და მერე ამ ქალს ცალ-ცალკე ვწერდეთ უხამს წერილებს.
და საერთოდ, ზიარი საყვარელი მინდა გვყავდეს:
ერთ ღამეს შენთან ატარებდეს და მეორე ღამეს ჩემთან.
მერე მე შენზე მიყვებოდეს და შენ ჩემზე...
საინტერესო იქნება სხვა ქალისგან მოყოლილი შენი ამბები
და მერე ამ ქალთან ერთად დილამდე, ქანცის გაწყვეტამდე, ბრძოლა.
ერთ დილასაც ყოველი შემთხვევისათვის შემონახულ ტყვიას გესვრი.
დაგჭრი, არ მოგკლავ
კაცურად მინდა მოგიარო
ზურგზე მოგიკიდო, ჩემს ბეჭებზე ვიგრძნო შენი სხეულის სიმძიმე და სითბო,
მაგრამ ვერ გადაგარჩინო.
ბოლოს ძმაკაცურად მიგაბარო მიწას
და ზიარ საყვარელს შენი უკანასკნელი სიტყვები გადავცე: უერთგულე ჩემს
მეგობარსო...
ნუ დამესიზმრები ღამ-ღამობით,
ნურც ჩვენს საყვარელთან ნებივრობისას წამადგები თავზე აჩრდილად...
რატომ გესროლე ყოველი შემთხვევისათვის საგულდაგულოდ შემონახული
ტყვია?
რა ვიცი, როგორც ქალს ისე მიყურებდი...

მისის კაცობრიობა

მინდა, რომ შავ თმებს შენ მვარცხნიდე.
ისიც მინდა, რომ სათვალის მინებს შენი მაისურით მიწმენდდე.
კიდევ მინდა, რომ დილაობით, თოხლო კვერცხს შენი ხელით მიფცქვნიდე.
მინდა, ისევ მბანდე ფეხებს, როგორც მაშინ, მუცელი რომ მიშლიდა და მე ვერ ვიბანდი, შენ კი დამცინოდი, მერე კი ტყავის გაძრობამდე გულიანად მიხეხავდი ტანს, თითქოს ასი წლის დასაბანი ვიყავი...
მინდა, ძილის წინ ჩემს ლოგინთან ანთებულ წითელ ნათურას აქრობდე, საბანს მაფარებდე და პატარა ბავშვივით მეუბნებოდე – დაიძინე ახლავე, ჩქარა თვალები დახუჭე და დაიძინე...
მე კი სარკის წინ ვდგავარ...
ერთი ძუძუ მეორეზე დიდი მაქვს (რძე დაგიშრება და ისიც დაგიპატარავდებაო).
მუცელი ხბოს პირში ნაღეჭი ქაღალდივითა მაქვს დაჭმუჭნული (დრო გავა და გაგისწორდებაო),
ფეხები 22 წლის წინანდელი მდუღარე წყლის ნაკვალევითა მაქვს დახაზული (22 წლის წინაც არწმუნებდნენ დედაჩემს გაიზრდება და გაუვლისო),
შენ კი მაინც მეუბნები, მისის კაცობრიობა ხარო...
გინდა და ვარ...

ნარდი გახდაზე

მზეს ვეთამაშე ნარდი გახდაზე.
და, რა თქმა უნდა, წავაგე.
ვგდივარ ახლა, სადღაც სამხრეთში, დამსკდარ მიწაზე - ნერწყვდამშრალი, ოფლდაღვრილი და საკუთარი გამხმარი ენით ვილოკავ მკლავებს - წყურვილს ვიკლავ...
თმებში გამეხვა მომწვანო ხვლიკი - თმისსამაგრად... ორკაპით ყურთან წამისისინა - ცოლობა მთხოვა...
სახეზე მუცლით გადამახოხდა, ცივი წვეთივით დამეცა მკერდზე... და მეჯვარის მოსაყვანად სადღაც გასხლტა.
ვერ არის-მეთქი... გავიფიქრე, ხვლიკის საცოლემ...
მალე დაბრუნდა მომწვანო საქმრო, ფუტკარი მოიყოლა მეჯვარედ...
მკვდრედით აღმდგარა ის მოსაკვდომი, გუშინ არ იყო საკუთარი ხელებით რომ დავასრისე ატმის ნაფრცქვენებს?...
უცხო ყვავილივით ლამაზიაო, თითქოს ქალს გავსო... არჩევანი მოუწონა ფუტკარმა ხვლიკს და დამნექტრა...

...

ჩემი სისხლით დაამზადა ფუტკარმა ცვილი სანთლებისთვის... აბა ჯვრისწერა უსანთლებოდ სად გაგონილაო...
ცხრა თვალი დახუჭა მზემ, ჩემი და ხვლიკის ქორწილის ღამეს...
და შენ დაგენიძლავა, თვალდახუჭული მოგიგებ ნარდსო...
რატომ წამაგე...